Գրքասիրաց

ՀԱՅԱՑ ՀՈԳԻԱՅ

ԵՐԻՏԱՍԱՐԴԱԿԱՆ ԳԻՐՔԱՐԱՆ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული

რევოლუციური ეკონომიური
ფინანსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Ეკა ჩარკვიანი

თხუთმეტ ცომაღ

ცომი III

რომან

პოეზიმე

ციხიდან ციხეში

მეფუარეების მაგივრ

თბილისი „გეა“
1992

83.3 ქ
ქ 644

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია:
გურამ გვერდწითელი
მიკი ალბაზიშვილი
ტაბუ მეგურიშვილი
ირმა მეგურიშვილი
ვახტანგ ხარჩილავა
რევაზ კვერენჩხილაძე

რედაქტორი ლამარა თურგანიძე

K 289.658
3

წიგნი გამოდის ავტორის
ხარჯით

გამომცემლობა „მეა“

საქართ[illegible]ს პარლამენტის
ეროვ[illegible]ული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი პირველი

ნეტავი პოლიტიკოსებს!...

ბედნიერად იცხოვრებს თავის ოჯახთან ერთად, პატივით მოიკლის უამრავ ქვეყანას, იცხოვრებს დიდებულ სასახლეებში, ეცმევა სახელგანთქმული მკერავების ნახელავი ტანისამოსი, იგემებს ყველაფერს, რისი შექმნაც ადამიანის ხელს შეუძლია და რასაც ბუნება იძლევა... სიბერეში კი დაჯდება და დაწერს მემუარებს, აქაოდა, მე, ვისაც ბედმა მარგუნა ხალხის რჩეული და განმგებელი ვყოფილიყავი მრავალი წლის განმავლობაში, დღენიადაგ იმის ცდაში ვიყავი, რომ ხალხისთვის მშვიდობა და კეთილდღეობა მომეტანა; ამ გზაზე ბევრსაც მივაღწიე. მაგრამ გაცილებით უფრო მეტს მივაღწევდი, მეზობელი სახელმწიფოების და შინაური მტრების გაუთავებელი ხრიკები რომ არა; ამ სატანის ნაშიერებმა დიდად შემიშალეს ხელი ჩემი დიადი მიზნების განხორციელებაში; დღეს ამას ყოველი მიუკერძოებელი ადამიანი ჰხედავს; დრომ ყველაფერი გააშიშვლა და გამოაჩინაო...

ოჰ, ეს მეზობელი სახელმწიფოები და შინაური მტრები! ეს ბოროტი დემონები რომ არა, რა ბედნიერი იქნებოდა ყველა ხალხი, ვისაც წინ თვით ამ ხალხის მიერვე არჩეული პოლიტიკოსი მიუძღვება! მაგრამ სად იპოვება ისეთი ქვეყანა, რომელსაც მეზობელი ხალხი და შინაური მტრები არ ჰყავდეს? ასეთი ქვეყანა არ არსებობს. ამიტომაცაა, რომ ყოველი წინდახედული პოლიტიკოსი სიცოცხლის რამდენიმე უკანასკნელ წელიწადს უთუოდ შემოინახავს იმისათვის, რომ მემუარები დაწეროს და თავის სათაყვანებელ თანამემამულეებს განუმარტოს, თუ რატომ ვერ შეძლო თავისი დიდი მიზნების სრულად განხორციელება. რიგითი მოქალაქეები იმ მემუარებს წაიკითხავენ, დაიჯერებენ და იმედით ალსავსე მზერას სახელმწიფოს ახალ მესაჭეს მიაპყრობენ, რომელიც, თუ თავისი წინამორბედივით წინდახედული გამოდგა, თავისი სიცოცხლის რამდენიმე უკანასკნელ წელიწადს აგრეთვე მემუარების დასაწერად შემოინახავს.

ეს იწილო-ბიწილო უკვე უთვალავი საუკუნეა, რაც გრძელდება.

ვერ იქნა და კაცობრიობამ ჭკუა ვერ ისწავლა.

თუმცა, ჩვენს დროში იყო ერთი სახელგანთქმული პოლიტიკოსი, ვინც მემუარების დაწერა ზედმეტად მიიჩნია. ეს პოლიტიკოსი გენერალისიმუსი სტალინი გახლავთ. მაგრამ ეს გამოცანა ადვილი ამოსახსნელია. იოსებ ბესარიონის ძემ უკლებლად, უმაღლეს დონეზე შეასრულა ყველაფერი, რასაც კი ხალხს დაჰპირდა. ამიტომ ზედმეტი გახდა მემუარებისა და ახსნა-განმარტებების წერაც თემაზე, თუ რატომ ვერ შეძლო მან ზოგიერთი თავისი დანაპირებისა და მიზნის სრული ასი პროცენტით შესრულება...

ისე კი, იქნებ, უკეთესი იქნებოდა, გენერალისიმუსს მემუარები რომ მაინც დაეწერა.

დავუკვირდეთ, რა ხდება, თუ სახელმწიფოს მეთაურმა ამა თუ იმ მიზეზით მემუარების დაწერა ვერ მოასწრო და ხალხს წასაკითხი არაფერი დაუტოვა. ეს მუდამ დიდ არეულობას, შეხლა-შემოხლას და, ასე გასინჯეთ, ზოგჯერ სამოქალაქო ომებსაც კი იწვევს. მესაჭეს დამარხავენ თუ არა, ქვეყნის მოსახლეობა მყისვე ორ მტრულ ბანაკად იყოფა. ერთნი ამტკიცებენ, რომ ასეთი ჰუმანური, ენერგიული, ბრძენი, შორსმჭვრეტელი და უანგარო ბელადი ჯერ არც ერთ ხალხს არ ჰყოლია. მეორენი კი, პირიქით, ირწმუნებიან, ასეთი უნიჭო, უსაქმური, ბედოვლათი, ანგარებიანი და კაცთმოძულე მეთაური ჯერ არც ერთ ხალხს არ ჰყოლია და ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ მომავალში კიდევ ვინმეს ეყოლოსო.

- დაე, - მთელი ქვეყნიერების გასაგონად გაჰკივიან მეორენი, - ჩვენი მაგალითი ყველასათვის ჭკუის სასწავლებელი იყოს! დაე, მთელმა ცისქვეშეთმა გაიგოს, რომ ის ადამიანი, ვისაც სახელმწიფოს მართვა ვანდეთ, ორგული, ფლიდი, არამზადა და უმაქნისი გამოდგა.

- უმადურებო! - ვალში არ რჩებიან პირველნი, - დაუნახავებო!

საქმე, როგორც მოგახსენეთ, სამოქალაქო ომამდეც კი მიდის. ომი რამდენიმე წელიწადს გრძელდება და უამრავ მსხვერპლს, ნგრევას, აუწერელ შიმშილს და მორალურ ღირებულებათა სრულ გაუფასურებას იწვევს. ბოლოს მეომარი მხარეები წყნარდებიან, რიგდებიან, შეიძლება, დალუპულები ერთ საერთო საძმო საფლავშიც

კი დამარხონ, და დანგრეული სახლების, ფაბრიკა-ქარხნების, გაპარტახებული ველ-მინდვრების და გაუფასურებული მორალური ღირებულებების აღდგენას იწყებენ. მაგრამ ყველაფერ ამას ხომ ბელადი, წინამძღოლი ჭირდება. მაშინვე უთუოდ გამოჩნდება პიროვნება, ვინც დამშეულ და ჩამოძონძილ ხალხს სიუხვისა და მშვიდობისაკენ მიმავალ გზებს დაანახვებს. სიუხვესა და მშვიდობას მოწყურებული ხალხი მყისვე ნიშნავს იმ პიროვნებას სახელმწიფოს მეთაურად. მეთაური საჭესთან დგება, სახელმწიფოს აღთქმული ნაპირისკენ მიმართავს და... მყისვე წამოჰყოფენ თავებს მეზობელი სახელმწიფოებიცა და შინაური მტრებიც, რომელთაც ერთადერთი აზრი ამოძრავებთ, როგორმე ჩაფუშონ სახელმწიფოს ახალი მეთაურის დიადი მისწრაფებანი.

თუ სახელმწიფოს მეთაური თავისი სიკვდილით მოკვდა, მაშინ, იმისდამიუხედავად, თუ მის მოღვაწეობას როგორი შედეგები ჰქონდა, ქვეყანა ისევ ორ ბანაკად იყოფა.

- იმის დროს ეს არ მოხდებოდა. - გაიგონებთ ამ ქვეყანაში.

- რა თქმა უნდა! - უდასტურებენ სხვები, - არავითარ შემთხვევაში!

მოწინააღმდეგენი კი:

- კიდევ კარგი, იმის ხელში აღარა ვართ; ჩვენზე უსაცოდვესი ძაღლიც კი არსად იქნებოდა.

- რა თქმა უნდა! ახლა უფსკრულის ფსკერზე ვეყრებოდით.

- ახლა კი არა გვიშავს.

- რა თქმა უნდა, ახლა არა გვიშავს...

და - ასე შემდეგ. ასე -'დაუსრულებლივ.

ისე, კაცმა რომ თქვას, სახელმწიფო მოღვაწე ვალდებულიც კია, მემუარები დაწეროს. ალბათ, დადგება დრო, როცა მემუარების დაწერა ისევე საკალდებულო იქნება, როგორც ნაცნობთან მისალმება ან მეზობელი ქვეყნის გაფრთხილება, თუ მასზე თავდასხმას აპირებ.

მაშინ ყოველი პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი უფრო წინდახედულად იმოქმედებს და, ვინ იცის, იქნებ, ზნეობრივი

კანონების დაცვასაც კი შეეცადოს, რაკი ეცოდინება, რომ პენსიაზე გასულმა ყოველი თავისი ნაბიჯი ზუსტად უნდა აღწეროს და განსასჯელად შთამომავლობას დაუტოვოს.

ისტორიკოსებსაც საქმე გაუადვილდებათ. კაცობრიობა ამით ბევრს მოიგებს — მას უკეთ ეცოდინება საკუთარი ისტორია.

რა თქმა უნდა, კაცობრიობის ისტორიამ იცის არა ერთი და ორი პოლიტიკური მოღვაწე, ვისაც მემუარების დაწერა ისევე ეხალისება, როგორც სახრჩობელას ყულფში თავის გაყოფა. თუ სერიოზულად ვიმსჯელებთ, რა უნდა უანდერძოს შთამომავლობას ენაბრგვნილმა სემინარიელმა იოსებ ჯუღაშვილმა, ვინც ათეული მილიონობით ადამიანი ისე ამოჟლიტა, რომ ახლა მათი საფლავებიც კი ველარავის უპოვნია? იმ ხითხითა ჯალათზე — ლავრენტი ბერიაზე ხომ ლაპარაკიც არა ღირს. კაცმა არ იცის, მას რა უფრო ერჩია, — ლამაზ ქალთან კოტრიალი თუ მაგრად გაბაწრული მსხვერპლისათვის მუშტებითა და წიხლებით პირისახისა და მთელი სხეულის დალურჯება, მერე კი „ნაგანის“ ტყვიებით იმავე პირისახის სისხლიან ნაფლეთებად ქცევა?

ქართველი ხალხის, უფრო ზუსტად, მისი ერთი ნაწილის საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ ასეთი „მოღვაწეები“ სხვა ერებსაც საკმაოდ ჰყოლიათ. ჩვენს დროში ველარავის ველარაფრით გააკვირვებ. საკვირველი უფრო ის არის, რომ ზოგი ქართველი იმ ორ სალახანას დღესაც ვერ შელევია და შემთხვევას არ გაუშვებს, რომ მაღალფარდოვნად არ ადლეგრძელოს და ომახიანი სიმღერაც არ მიუძღვნას.არადა, ყოველმა ცივილიზებულმა ერმა ყოველ საკუთარ არამზადას უკვე კარგა ხანია, საკადრისი მიუზღო. ან დღეს-ხვალ მიუზღავს. მერედა, ცივილიზებულ ერთა რიგში ჩადგომა ჩვენ ვითომ გვაწყენდა?

მკითხველმა უკვე იცის, რომ ამ წიგნს „ციხიდან ციხეში“... ჰქვია.

კატორღაში თერთმეტი წელიწადი გავატარე — ბევრად უფრო მეტი, ვიდრე იოსებ ჯუღაშვილმა და ვლადიმერ ულიანოვმა — ორივემ ერთად. თანაც ისინი გადასახლებაში წიგნებს წერდნენ და

ნადირობა-თევზაობით ერთობოდნენ, მე კი თავზე დღენიადაგ რევოლვერებით, შაშხანებით, ავტომატებით, ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვევებით, ჯავშნიანი ავტომობილებით, დაგეშილი ნაგაზებით და კიდევ ათასი უბედურებით აღჭურვილი სალდათები მადგნენ და დღეში ათჯერ მაინც ფეთიანებივით შემომბღავლებდნენ, – „Шаг вправо, шаг влево – конвой стреляет без предупреждения“-ო.

ზოგი თანამემამულე ახლაც ჩამინისკარტებს ხოლმე, – სტალინი გადასახლებიდან ხუთჯერ (ათჯერ, ოცჯერ) გამოიქცა, შენ კი ერთხელაც ვერ გაბედეო. დიდება შენდა, ღმერთო! ის იმიტომ „გამორბოდა“, რომ მართლა იშვიათი ვაჟკაცი კი არა, ყოვლად ურცხვი სულიერი იყო. თუ არავინ გდარაჯობს, თუ მარხილს როცა გინდა, მაშინ დაიქირავებ, – ამისი ფული ყოველთვის გაქვს, - მთავრობამ თვეში ცხრა ოქროს მანეთი დაგინიშნა – და ბუნებრივად წამოსრიალდები, გზაში საბუთს არავინ მოგთხოვს, არც ვინმე გაგაჩერებს, არც მოგშივდება და არც შეგცივდება, ამას „გამოქცევა“ ჰქვია?

ეს ცოდვა ჩემს თანამემამულეებს ღმერთმა შეუნდოს! მე კი, გადასახლებიდან კარგა ხნის წინათ დაბრუნებული კაცი დღემდე აზრზე ვერ მოვსულვარ, რა საჭირო იყო ის ზღვა სალდათები, ოფიცრები, გენერლები, იარაღი, ძაღლები, ჯავშნები, ტანკები და კიდევ ათასი ვაი-უშველებელი? ისეთ გადაკარგულ ადგილას ვყავდით, რომ იქიდან გამოქცევა ისევე შეუძლებელი იყო, როგორც მთვარეზე ფეხდაფეს ასვლა. გარშემო ათასობით კილომეტრზე ყინულის უდაბნოა, სად წახვალ და ორმოცგრადუსიან ყინვას როდემდე გაუძლებ? ორი ქურდი „გაიქცა“. მათი გაფშიკინებული გვამები ერთი კვირის შემდეგ უკანვე მოათრიეს და ლაგერის ჭიშკართან დაჰყარეს, თქვენივე თვალებით დაინახეთ, „გულ-მამაცებსა და თავზე ხელაღებულებს“ რა დღეც მოგელითო. არადა, იმ ზღვა სალდათებსა და ოფიცერ-გენერლობას იარაღი სახელმწიფოსთვისვე რომ ჩაებარებინათ და, ვთქვათ, საცხოვრებელი სახლები ეშენებინათ, საბჭოთა კავშირში საბინაო პრობლემა უკვე

დიდი ხნის გადაჭრილი იქნებოდა. მაგრამ არა, „ხალხების მამას“ საცხოვრებელი სახლებისათვის არ ეცალა. ის ფოლადის, თუჯის და ნაგლინის წარმოების გადიდებისთვის იბრძოდა. მერე მისი მემკვიდრეებიც მისსავე კვალს გაჰყვნენ და იმდენი ფოლადი, თუჯი და ნაგლინი დააგროვეს, რომ ახლა აღარც კი იციან, სად წაიღონ და რა მოუხერხონ. თანაც გენერალისიმუსს ფოლადიც, თუჯიცა და ნაგლინიც ძალიან ძვირი უჯდებოდა: პატიმრები შახტებსა, ქარხნებსა და ფაბრიკებშიც მუშაობდნენ და იმ უმაქნის სალდათ-ოფიცერ-გენერლებსაც ინახავდნენ, ეს კი ულმერთოდ აძვირებდა ყველაფერს, რაც კი პატიმრების ხელიდან გამოდიოდა.

ჯულაშვილი უკვე რამდენჯერმე ვახსენე. ეს შემთხვევით არ მომხდარა. მისი ხსენება კიდევ ბევრჯერ მომიწევს. ამის მიზეზებს მკითხველი თანდათანობით შეიტყობს. ერთი ამ მიზანთაგანი, შემიძლია, ახლავე გაგიმხილოთ: შემიძლია იმ კაცზე ზოგი ისეთი რამ ვთქვა, რაც აქამდის არავის უთქვამს. ამ ბოლო დროს რუსულ პრესაში ხშირად ბრძანებენ, 900-იან წლებში საქართველოში ექსპროპრიაციის აქტები რომ ხდებოდა, იმისი სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი ჯულაშვილი იყო, ლამის ყუმბარებსაც თვითონ აგრიალებდაო, და სხვა ამგვარები. დაბეჯითებით უნდა განვაცხადო: არაფერი ამის მსგავსი! იმ საქმეების ორგანიზატორი კამო ტერ-პეტროსიანი იყო. კამოსა და ჯულაშვილს ერთმანეთი თავიდანვე თვალით დასანახად სძულდათ და იმ სამასი ათასი მანეთიდან, ექსპროპრიატორებმა ერევნის მოედნიდან რომ გაიტაცეს, ჯულაშვილს ერთი კაპიკიც კი არ რგებია. მთელი ფული შვეიცარიაში „მთის არწივს“ წაულეს, — ეს თვითონ კამომ იკისრა და ბოლშევიზმის ისტორიაშიც შევიდა, — „მგზნებარე კოლხიდელი“ კი უწინდებურად ძველმანებში გამოხვეული დადიოდა. მერე, ოციანი წლების დასაწყისში, როცა აშკარა გახდა, რომ რომანოვების ყოფილ იმპერიას ჯულაშვილი ეპატრონებოდა, კამო თავის თანამებრძოლებს (მათ შორის ბიძაჩემ ბაჭუა კუპრაშვილსაც) დღენიადაგ ჩასჩიჩინებდა, დამიჯერეთ, გუდანაბადი ავიკრიფოთ და საზღვარგარეთ წავიდეთ, თორემ ეგ ურჯუკი არც ერთს ცოცხალს

არ დაგტოვებსო. თანამებრძოლებს ეს ყველაფერი სასაცილოდაც კი არ ყოფნიდათ, მაგრამ... თბილისში მაშინ ერთადერთი საბარგო მანქანა და ერთიც ველოსიპედი იყო. ელბაქიძის დალმართზე ის ერთი მანქანა და ერთი ველოსიპედი მაინცადამაინც ერთმანეთს დაეჯახა და... კამოს თანამებრძოლები კი „საზღვარგარეთ“ 1937 წელს წავიდნენ.

ამ ისტორიას ასეთი დაბეჯითებით იმიტომ გიამბობთ, რომ კამოს ერთი თანამებრძოლთაგანი ბიძაჩემი ბაჭუა (სამუელ) კუპრაშვილი იყო.

ერევნის მოედანზე მომხდარი ექსპროპრიაციის დროს ყუმბარა სწორედ ბაჭუამ - ჩვიდმეტი წლის ჭაბუკმა ისროლა. მაგრამ ვერ მოზომა, აფეთქების ტალღა თითონ მასვე ეძგერა და წააქცია. ამხანაგები გულშემოყრილ ექსპროპრიატორს მივარდნენ, აიტაცეს და გაარბენინეს. როცა აქოშინებული პოლიციელები მოცვივდნენ, ველიამინოვის, ახლანდელი დადიანის ქუჩიდან მეფის ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი კამო გამოვიდა და პოლიციელებს გზაკვალი აუბნია, ტერორისტები აი, იქით გაიქცნენო.

ტერორისტები ამჯერად გადარჩნენ. მაგრამ აფეთქების ტალღამ ერთი უდანაშაულო ადამიანი - სახაზინო ფულის გამყოლი შეიწირა. ამას ექსპროპრიატორებს დღემდე დიდ ცოდვად უთვლიან. უდანაშაულო ადამიანის სიკვდილი მართლაც დიდი ცოდვაა. მაგრამ იმ წლებში განწყობილება იყო ასეთი, როცა ტყეს ჭრიან, ნაფოტი ცვივაო. მკითხველს კი კარგად მოეხსენება, ნაფოტის იღბალი ჩვენს ისტორიაში როგორ ადამიანებს რგებია.

თუ სიმართლეს ვიტყვით, სიცოცხლე რევოლუციონერებს არც საკუთარი ენანებოდათ. იგივე ბიძაჩემი ნიკოლოზის დროს ორჯერ უნდა ჩამოეხრჩოთ და ორჯერვე ბოლო წუთებში შეიწყალეს. მაგრამ ბედკრულს სხვისი სისხლი მაინც არ შერჩა, — ოცდაჩვიდმეტში ჯულაშვილის ბრძანებით დახვრიტეს, სწორედ იმ კაცის ბრძანებით, ვინც იმავე ცხრაასიან წლებში უსახლკარო, ჯიბეცარიელი და ტანისამოსშემოხეული სწორედ ბიძაჩემის სახლში თვეობით ცხოვრობდა. ის სახლი ახლაც დგას ქუთაისში, საფიჩხიაზე, გელათის ქ. № 8.

- თავიდანვე უადამიანო იყო, - ამოიოხრებდა ხოლმე ბებიაჩემი ჯულაშვილის ხსენებისას, - რაც მე იმისთვის პატივი მიცია, ენა ვერ მოთვლის, მაგრამ მისგან მადლობის სიტყვა კი არა, ერთი თბილი შემოხედვა არ მახსოვს. ქვედა ოთახში გვყავდა. დილაობით სიმონიკას ხელით ჯერ წყალს შევუგზავნიდი და ხელ-პირს დავაბანინებდი. მერე ცხელ ხაჭაპურსა და რძეს მივართმევდი. სადილად საუკეთესო ნაჭრებს შევურჩევდი. მაგრამ - შენც არ მომიკვდე! შემოდგომა-ზამთარი ისე მიილია და ისე გამოზაფხულდა, რომ ერთხელ არ შემსიტყვებია: იჯდა ტახტზე - დალეული, უფერული, წვერგაბურძგვნილი - და იატაკს დასჩერებოდა. იფიქრებდი, მუნჯიაო. მაინც მყავდაასეთ პატივში. იმიტომ კი არა, რომ ხვალ თუ ზეგ ქვეყნის პატრონი უნდა გამხდარიყო. ამას ვინ იფიქრებდა! მაგრამ სტუმარი იყო, ხელშემწყობი სხვა არავინ ჰყავდა — და იმიტომ. ბიძაშენსა და მის ამხანაგებს კიდეც ვეჯავრებოდი, ვამტყუნებდი, „ნაბიჭვარს" ნუ უძახით-მეთქი. მაგრამ შენც არ მომიკვდე! „გაგიტკბა, ნაბიჭვარო, მინადორა ლალიძის ხაჭაპურებიო!.." — ასე, სიცილ-ხარხარით შეუძახებდნენ ხოლმე. ის კი ვითომც აქ არაფერიო, ეს სიტყვა არც სწყინდა და არც უხაროდა. იჯდა გულხელდაკრეფილი და იატაკს დაშტერებოდა. არადა, ასეთი სიტყვა მარტო პირადად ადამიანის კი არა, დედ-მამის შეურაცხყოფაცაა. ჰოდა, ალბათ, გულში იხვევდა და აგერ, ოცდაჩვიდმეტში... თუმცა, ოცდაჩვიდმეტამდე ვინ გაცალა? ბაჭუაცა და ირაკლიც ოცდათექვსმეტში დამიხვრიტა. ეჰ!..

ირაკლი — უმცროსი ბიძაჩემი იყო. რევოლუციურ საქმიანობაში უფროსმა ძმამ ჩაითრია. რაღაც საქმეებს ავალებდნენ ხოლმე. ქუთაისელმა ჟანდარმებმა ერთხელ რაღაც ეჭვი აიღეს, თოთხმეტი წლის ბიჭი რიონის პირას ჩაიყვანეს, გახადეს, ყინულოვან წყალში ჩააგდეს, ამოიყვანეს და მათრახით მთელი სხეული აუსისხლიანეს. სიტყვა კი ვერ დააცდენინეს, ისეთი მოდგმისანი იყვნენ.

მკითხველის ნებართვით, ცოტა გვერდზე გადავუხვევ. როცა ოცდაჩვიდმეტწელზე ვლაპარაკობთ, სიტყვა „დახვრეტა" უადგილოდ მეჩვენება. ეს იურიდიული ტერმინია და გულისხმობს, რომ ადამიანმა

მძიმე დანაშაული ჩაიდინა, დაიჭირეს, საქმე გამოიძიეს, დანაშაული დადასტურდა და, ამის შემდეგ, დიდი პაექრობისა და ყოყმანის შედეგად დახვრეტა მიუსაჯეს. არაფერი ამისი მსგავსი ოცდაჩვიდმეტში არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, არც ერთს ჩემს ბიძას გამოძიება და სასამართლო არ ჰქონია. გვითხრეს, ციმბირში ვასახლებთ და თბილი ტანისამოსი მოუტანეთო. მივუტანეთ. იმ ღამესვე კი დაუხვრეტიათ, ის ტანისამოსი ვინ გაცვითა, არავინ იცის, ჩვენ კი ოცი წელიწადი გვამშვიდებდნენ, მიმოწერის უფლების გარეშე არიან გადასახლებულნი და თავს კარგად გრძნობენო.

სხვათა შორის, იმ გარემოებამ, რომ ჩემი ბიძები გამოუძიებლად და გაუსამართლებლად დახვრიტეს, რაღაც გავლენა ჩემს ბედზეც იქონია. მე ორმოცდახუთი წლის ივნისში დამიჭირეს. მერე გიამბობთ, თუ რა გადამხდა პირველი ოთხი დღის განმავლობაში, სანამ შინაგან ციხეში ჩამგზავნიდნენ. ეს კი იყო, რომ როცა პირველ გათენებულზე, ცემისაგან გონებამიხდილმა მაიორ მალანიას მაგიდაზე სუფთა ქაღალდები დავინახე, თითონ მალანიას კი კალმისტარი ჰქონდა მომარჯვებული, და ოქმის შედგენას აპირებდა, გამოუთქმელი შვება ვიგრძენი. ვიფიქრე, ოცდაჩვიდმეტი ჩავლილია, ახლა უკვე კანონებს იცავენ, გაიგებენ, რომ არაფერი დამიშავებია და გამიშვებენ-მეთქი. თანაც გაგებული მქონდა, რომ ჩემს „საქმეზე" ორი თუ სამი ადამიანი 1942 წელსვე გაათავისუფლეს. ერთი მათგანის გვარიც მახსოვდა - თუშმალიშვილი. ჰოდა, იმ ოქმს ხელი ისე მოვაწერე, რომ შიგ ხეირიანად არც კი ჩამიხედავს. ან ვინ წამაკითხებდა, შიგ რამდენიმე ისეთი გვარი ჩაუწერიათ, რომ მე არც კი მიხსენებია. ეს მხოლოდ თერთმეტი წლის შემდეგ, გადასახლებიდან დაბრუნებულმა გავიგე. ესეც არ იყოს, „ხელი მოვაწერეო" - ცოტა მაგრად არის ნათქვამი. 1956 წელს, რეაბილიტაციის დროს, როცა პოდპოლკოვნიკმა გუზევმა ის „ოქმი" მაჩვენა, მწარედ გამეცინა. მთელი ღამის ნაწამებსა და ნაცემს, თურმე, ხელი ისე მიკანკალებდა, რომ ის ბატიფეხური ყველაფერს ჰგავდა, გარდა ადამიანის ხელმოწერისა.

ახლა ისევ ჩემს ბიძებს მივუბრუნდეთ უმცროსს, ირაკლის. ბედი

არაფერში ჰქონია. ახლა იგი აღარაფის ახსოვს. უფროსი კი ახლაც არაიშვიათად იხსენიება, მაგრამ ზოგჯერ უმართებულოდ, შეცდომით, უსწორო კონტექსტში.

„ცნობილი რევოლუციონერი სამუელ (ბაჭუა) კუპრაშვილი, - ვკითხულობთ გაზეთ „ტყიბულში" (№ 19, 1990 წლის 13 თებერვალი), - დევნის გამო გადადის ჩრდილო კავკასიაში და წითელი არმიის ნაწილებთან ერთად ბრუნდება საქართველოში".

ბაჭუა კუპრაშვილს ჩრდილო კავკასიისკენ არც კი გაუხედავს.

იგი, ბოლშევიკი 1905 წლიდან, 1918 წელს მენშევიკებს მიემხრო, გვარდიაში შეიდა და თავგანწირვით ებრძოდა მე-11 არმიის ნაწილებს. ბრძოლით უკან დაიხია ქუთაისამდე. აქ კი ნაწილში ერთი ჯარისკაციც კი აღარ შერჩა, ყველანი გაპარულიყვნენ. მაუზერი მოისროლა და სახლში წავიდა.

ქუთაისი საშა გეგეჭკორის წითელმა რაზმმა დაიკავა.

ერთი საათიც კი არ გასულა, რომ ჩვენი სახლის შორიახლო ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა. „გეგეჭკორმა პროვოკაცია მომიწყოო", - შესძახა ბაჭუამ. მართლაც, რამდენიმე წუთის შემდეგ წითელარმიელები მოცვივდნენ, ბაჭუა დაატყვევეს და საშა გეგეჭკორს მიჰგვარეს. „გაები!" - დასჭექა ულვაშებაპრეხილმა კომუნისტმა და ბაჭუას, როგორც „პროლეტარიატის საქმის მოღალატეს", მყისვე დახვრეტა დაუპირა. მაგრამ ბედად შტაბში ძველი ბოლშევიკი შამშე ლეჟავა შემოვიდა, საქმის ვითარება გაიგო, ბაჭუა შინ გაუშვა, გეგეჭკორს კი უთხრა, მაგას შენთვის ყუმბარა რომ ესროლა, ახლა შენი ბუნდლაც აღარ იქნებოდა, ყუმბარის სროლა მაგან ძალიან კარგად იცისო.

გაზეთ „ტყიბულში" გამოქვეყნებული წერილი ბაჭუას დიდ ქომაგებს პავლე ბერეკაშვილსა და გივი გეწაძეს ეკუთვნით. ბაჭუას დამცირება მათ ფიქრადაც კი არ მოსვლიათ, პირიქით. და თუ შეცდნენ, იმიტომ, რომ საქართველოს თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ჯერაც ბევრი რამ არის გადასახედი.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მეექვსე ტომში (თბილისი, 1972 წ.) წერია, თავადმა ლევან დადეშქელიანმა

აჯანყებულ სვანებს გინება და მუქარა დაუწყო და ამიტომ მოკ კლესო (გვ. 575).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამდვილად კი საქმე, აი როგორ იყო:

სვანები აჯანყდნენო - ეს ამბავი ლევან დადეშქელიანმა ქუთაისში გაიგო. მაშინვე სვანეთში წასვლა განიზრახა. ახლობლებმა არ ურჩიეს, სვანები ძალიან გაცეცხლებულები არიან და არაფერი დაგიშავონო. ამაზე ლევანმა ისეთი პასუხი გასცა, რომელიც ყოველ სახელგანთქმულ გმირს დაამშვენებდა: „თუ მე სვანმა თოფი მესროლა, ესე იგი, ამ ქვეყანაზე ტყუილად მიცხოვრიაო".

ეს სიტყვები ლევანს მიტინგზე ან ტელეკამერის წინ კი არ წარმოუთქვამს, შინაურებს, რამდენიმე ადამიანს უთხრა.

მან მხოლოდ თავისი სიძე, იგივე ბიძაჩემი ბაჭუა კუპრაშვილი იახლა და სვანეთს მიაშურა.

აჯანყებულები ლაჯანურას პირად იყვნენ დაბანაკებულნი. თოფიარაღასხმულებს კოცონები ენთოთ, საომრად მზად იყვნენ და არავისთან შერიგებას არ აპირებდნენ.

- გამარჯობათ, სვანებო! - ლევანი ცხენიდან ჩამოხტა.

- გაგიმარჯოს! - გაიხმაურეს აჯანყებულებმა.

- მიცანით?

- გიცანით.ლევანი ბრძანდები.

- აბა, მითხარით, რამ აგაღელვათ?

თავადს რამდენიმე სვანი ეახლა და არზა მიართვა. ლევანმა ქაღალდი ყურადღებით წაიკითხა და აჯანყებულებს ასეთი სიტყვით მიმართა:

- ყველაფერი გავიგე. ახლა მომისმინეთ. აი, ამ მოთხოვნებს (ჩამოთვალა რამდენიმე მოთხოვნა) მე თვითონვე, ახლავე, ჩემი უფლებით გისრულებთ. ამაზე აღარავისთან წასვლა და აღარავის შეწუხება აღარ დაგჭირდებათ. აი, ესა და ეს მოთხოვნები (კიდევ რამდენიმე მოთხოვნა ჩამოთვალა) ქუთაისის გუბერნიის კომისარმა კაჩუხაშვილმა უნდა გადაწყვიტოს. გპირდებით, მოვახსენებ და, როგორც თქვენ გინდათ, ისე გადაწყდება. რჩება კიდევ რამდენიმე მოთხოვნა. ეს აღარც ჩემი საქმეა და აღარც კაჩუხაშვილის. ეს

თბილისში უნდა გადაწყდეს. კაჩუხაშვილს არზას გავაგზავნინებ და როგორც თბილისი გადაწყვეტს, ისე იქნება. კმაყოფილები ხართ?

- კმაყოფილი ვართ. - დაიგრიალეს აჯანყებულებმა, - იცოცხლე, ლევან!

- აბა, ნახვამდის!..

- ნახვამდის, ლევან!..

ლევანმა უზანგში ფეხი შედგა. ამ დროს უკანიდან ვიღაც „კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის" მებრძოლი, ნამდვილად კი მოსყიდული ფუნქციონერი მიეპარა და ზურგში თოფი დაახალა. ლევანი მკვდარი დაეცა.

ბაჭუა ლაჯანურში გადახტა. მერე ჰყვებოდა: წყლიდან რომ თავი ამოვყავი და უკან მივიხედე, დავინახე, რომ ის ურჯუკი თოფს მეც მიმიზნებდა, მაგრამ სვანები ეცნენ, თოფი გამოგლიჯეს და კინწისკვრით გააგდესო.

ახლა მკითხავთ, პროფესიონალი რევოლუციონერი, ტერორისტი და ექსპროპრიატორი სვანეთის მთავარს, უბრწყინვალეს თავადს, როგორ ჩაესიძაო.

ჟანდარმერიამ ქუთაისელი რევოლუციონერების კვალი აიღო. ამათ რომანოვების ტახტის წინაშე ბევრი მძიმე ცოდვა მიუძღოდათ და ჩამოხრჩობა არ აცდებოდათ. ბაჭუას ურჩიეს, სვანეთში წადი და ლევან დადეშქელიანს შეეკედლეო.

- ვის?!

- ლევან დადეშქელიანს. სვანეთის მთავარს.

- ხუმრობთ?

- რასაც გეუბნებიან, ის ჰქენი.

ლევანმა დევნილი რევოლუციონერი კარგად მიიღო.

- ვერ გეტყვი, თითქოს თქვენი გზა - ტერორი, ბომბების გრიალი და ასეთები ძალიან მომწონდეს, - უთხრა მან ექსპროპრიატორს, - მაგრამ ახალგაზრდობით გეპატიება. იყავი აქ. სანამ ჩემი სტუმარი იქნები, ხელსაც ვერავინ გახლებს.

ბაჭუას ხელი მართლაც კარგა ხანს არავინ ახლო. მაგრამ ბედმა ინება, რომ ლევან დადეშქელიანს თექვსმეტი წლის პირმშვენიერი,

სარსტანა, თავნება და გულმამაცი ასული ჰყოლოდა. ჰოდა...

მაგრამ აქ ისევ ბებიაჩემს, მინადორა ლალიძის ქალს მოვუსმინოთ:

- ნასადილევია, ჩემო ბატონო, და ქუთაისში , ეზოში ვზივართ მღვდელიც სახლშია, ლელვის ძირას ჭილოფზეა წამოწოლილი (ბებიაჩემი თავის ქმარს, ბლალოჩინ დიანოს კუპრაშვილს მუდამ „მღვდლად" იხსენიებდა). გავიხედოთ და - ჭიშკარს ორი ცხენოსანი მოადგა. ერთი - ვხედავთ, ბაჭუაა, მეორე კი ვილაც თვალით უნახავი სილამაზის ქალიშვილი. სულ ბავშვი. ჭიშკარი გაალეს, ცხენები ალვირით შემოიყვანეს, შორიახლო გაჩერდნენ. ჩვენ ვერაფერი გაგვიგია. მღვდელი წამოდგა, ტანსაცმელი შეისწორა, გაკვირვებული მისჩერებია. ყველანი დაბნეულები ვართ. ვიცოდით, რომ ბაჭუა სადღაც დასამალად იყო გადაკარგული. და აგერ...

- ეს ქალიშვილი ვინ ბრძანდება? - ჰკითხა ბოლოს მღვდელმა ბაჭუას.

- ეს ლევან დადეშქელიანის ასულია.

- ვისი?!.. - მღვდელმა გაოცებისაგან პირი დააღო.

- ლევანის... სვანეთის მთავრის.

- მერე?!..

- ცოლად გამომყვა.

- რაო?!.. ლევან დადეშქელიანის, სვანეთის მეფის ასული ცოლად შენ, ყაჩაღს და ბანდიტს გამოგყვა?!.. ეს რა ესმის ჩემს ყურებს! გესმის, ქალო?!.. - მღვდელი მე მომიბრუნდა, მაგრამ სიტყვებს ველარ პოულობდა, - აწი რაღა გვიჭირს, ლევან დადეშქელიანი, სვანეთის მთავარი დაგვმოყვრებია. აწი ვიხაროთ დავიმხიაროთ!.. გესმის? - მღვდელი ისევ ბაჭუას მიუბრუნდა, - შენ, უკულმართ დღეს გაჩენილო! ესეც იკადრე, ხომ? ვინც გიპატრონა, იმას ქალიშვილი მოსტაცე, ხომ? სად ლევან დადეშქელიანი და სად შენ, შე ქვეყნის დამაქცევარო! მე შენ გაჩვენებ!.. ან შენ როგორ დაგემართა ეს, ჩემო შვილო! - მღვდელი ლევანის ასულთან მივიდა და მხარზე მამაშვილურად ხელი დაადო, - ამ ტყის ნადირთან შენ რა საქმე გაქვს? ეს დღეს რომ აქ არის, ხვალ ხელს წაავლებენ და, კაცმა არ

K 28 8 6 5 8 3
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

იცის, რომელ ხეზე ჩამოკიდებენ.

ჩამოხრჩობას ორჯერ ძლივს გადაურჩა! არა!... ჩემი სიცოცხლე პატიოსნად გამიტარებია და ახლა, სიბერეში... არა! არა და არა!.. ქალო! - მღვდელი ისევ მე მომიბრუნდა, - ლევანი ამას ასე არ დატოვებს. დღეს-ხვალ მოგვადგება და... მანამდე ეს ნადირი ამ ბავშვს არ მიაკარო! ზედა სართულზე, ზალაში აიყვანე, ჩიტის რძე არ მოაკლო. ამასობაში ლევანიც გამოჩნდება... შვილო, შენ რა გქვია?

- გვილიფხი.

- ჰო... სახელიც სვანური გრქმევია. ეს არაფერი, ჩემო გვილიფხი, ახალგაზრდობაში ერთი შემცდარი ნაბიჯი ვის არ გადაუდგამს. აბა, ქალო! ახლავე - ზევით! მოშიებული იქნება. აბა!..

ვინც კი სახლში ქალები ვიყავით, გვილიფხის შემოვეხვიეთ, ზევით ავიყვანეთ და... მართლაც კარგად მოვუარეთ. ისეთი სუფრა გავუშალე, რომ რუს ხელმწიფეს არ დაეწუნებოდა. მოშიებულიც იყო და კარგა გემრიელად მიირთვა. რა თითები ჰქონდა, ან როგორი თავდაჭერა!.. სისხლი და აღზრდა, შვილო, მართლაც ბევრს ნიშნავს. მეც, დედაშენიც, დეიდაშენიც, კატოსანებიც - პირდაპირ მოჯადოებულები მივჩერებოდით.

ის დღეც ისე დაღამდა. ოღონდ, გვილიფხის რომ ლოგინი გავუშალეთ და დასაძინებლად გავამზადეთ, უეცრად ცრემლი მოერია.

- დავფეთდით! არიქა, შვილო, გვილიფხი, რა იყო, რა დაგემართა, გვითხარი, გაგვაგებინე...

თურმე, მიჩვეული ყოფილა, ძილის წინ გამდელი ნაწნავებს დაუშლიდა ხოლმე და თმას დაუვარცხნიდა. ეს ჩვენ არ ვიცოდით და... რაღა თქმა უნდა, ნაწნავებიც დავუშალეთ, თმაც დავვარცხნეთ და სხვაც ყველაფერი... დაწვა, შენ ხარ ჩემი ბატონი, და ისე მშვიდად დაიძინა, თითქოს საკუთარ სახლში ყოფილიყოს.

ბაჭუა ღამით რომ არ შემოპარულიყო, ლოგინი გვილიფხის კარებთან გავიშალე. მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. მაგრამ, ღვთის წინაშე, ბაჭუას ზევით ამოსვლა არც უფიქრია. ახლაც არ

ვიცი, იმ ღამეს სად ეძინა.

მღვდელმა მეორე დილით ჯორი შეკაზმა და სოფლებში გასასვლელად გაემზადა, - უკვე ბლაღოჩინი იყო და ოკრიბაში რამდენიმე ეკლესია ებარა. წასვლისას მკაცრად გამაფრთხილა, მაგ ბავშვს თვალი არ მოაშორო და ეს ნადირი ზევით არ აუშვა, თორემ არ ვიცი, რას ვიზამო; თუ ლევან დადეშქელიანი ან მისი კაცები უჩემოდ მოვიდნენ, დაუჩოქე, პატიება თხოვე, ოჯახს მთლად ნუ გამიუბედურებენ, მაგ ყაჩაღის გადამკიდეს სიმწარე და შერცხვენა მაინც არ დამკლებიაო. გესმის, ქალო?

- მესმის.

- ზეგ მოვბრუნდები.

ჩვენ დავრჩით. და ასე: გვილიფხი ზედა სართულზე იყო, ბაჭუა ან ეზოში დაბორიალებდა, ან ბაღში ვითომ რაღაცას საქმობდა. ქალაქში გასვლას, რა თქმა უნდა, ერიდებოდა, არადა, თვალდათვალ ვხედავდი, უერთმანეთობა რომ აღარ შეეძლოთ. ერთი-ორჯერ შევისწარი, ბაჭუა ქვევიდან, ფანჯარასთან იყო მიმდგარი და გვილიფხის რაღაცას ეუბნებოდა. გვილიფხიმ რა უპასუხა, არ გამიგონია. ერთხელ კიდევ ბაჭუა ლელვზე ასულიყო და იქიდან გვილიფხის რაღაცას ანიშნებდა.

გულმა აღარ გამიძლო. ვიფიქრე, ეს ანგელოზი გოგო თუ წამართვეს და ჭიშკარგადაღმა გადაიყვანეს, რაღა ქალი ვიქნები-მეთქი; რა ვუყოთ, რომ დადეშქელიანის ასულია, ხომ არ მოუტაცია, თავისი ნებითაა გამოყოლილი-მეთქი. დრო შევურჩიე, როცა მღვდელი წყალწითელას გადაღმა სოფელში იყო წასული, ბაჭუას თვალი ეუქნი და... იმ შეჩვენებულს საფეხურებზე ფეხი არ დაუდგამს, მეორე სართულზე ისე აფრინდა. ჩაკოტრიალდნენ ეროხელ და...

ჩემს ცხოვრებაში ბევრი სიმწარე ვნახე, მაგრამ ერთი-ორი ტკბილად მოსაგონარიც გამაჩნია...

მღვდელი დასაბმელი შეიქნა. ძლივს დავაშოშმინეთ. ან რაღას იზამდა? დავლაგდით და ლევანის მოსვლას დავუდარაჯდით.

ლევანის მაგიერ მისი კაცები მოვიდნენ. ასეც უნდა ყოფილიყო - სვანეთის მთავარს ვილაცა ოკრიბელი მღვდლის ოჯახში მისვლა

არ ეკადრებოდა. შემოეთვალა: თუ ერთმანეთი შეგიყვარდათ, ამით გამოპარვა რა საჭირო იყო, ჩემთვის გეთქვათ და ყველაფერი თქვენს ნებაზე მოხდებოდაო; ოღონდ ბაჭუამ მთავრობასთან ბრძოლას და ყუმბარების გრიალს თავი დაანებოს; ეყოფა, რაც იგრიალა; ორივენი საზღვარგარეთ წავიდნენ, ისწავლონ და სამშობლოს გამოადგნენო.

მაგრამ საზღვარგარეთ წასვლა აღარ ეწერათ. წლისთავზე ბავშვი - ნამდვილი ანგელოზი ეყოლათ. გოგუტუნა. რამდენიმე თვეში ბავშვი დეზინტერიამ შეიწირა. მაშინ ხომ ახლანდელი მკურნალობა და წამლები არ იყო. გვილიფხი დარდს გადაჰყვა, - მთელი თვე პირში ლუკმა არ ჩაუდევს, ბავშვის საფლავზე აღამებდა და ათენებდა. ბაჭუამ ორჯერ თავის მოკვლა სცადა, მაგრამ ორჯერვე მივუსწარით და გადავარჩინეთ. თითქმის მთელი წელიწადი დღე და ღამე ვყარაულობდით მერე კი... დრო ყველაფერის მკურნალიაო, ხომ გაგიგონია?

XXX

უფროს ბიძაზე სიტყვა გაგიგრძელდაო, მისაყვედურებს მკითხველი. ალბათ, ეს საყვედური მართლა დავიმსახურე. მაგრამ რა ვქნა, რაკი მაინც რალაც მემუარების მსგავსსა ვწერ, მკითხველმა ხომ უნდა გაიგოს, ვინა ვარ და საიდან მოვედი. ვარ, - ეს ერთი მეორე: თითონ ჩემი ცხოვრება ერთობ ღარიბია მნიშვნელოვანი ფაქტებით და ქვეყანა არ დაიქცევა, თუ ჩემი ახლობლების ბიოგრაფიას მოვიშველიებ; მესამე კი ისა, რომ ბაჭუა კუპრაშვილი მაინც საინტერესო პიროვნება იყო. მისი თაობის ხალხი პირდაპირ ლეგენდებს ჰყვება მის სიმამაცეზე, უდრეკელობაზე და გულკეთილობაზე... დიახ, დიახ, გულკეთილობაზე... არ შემხვედრია ბაჭუას თაობის ადამიანი, რომელი სოციალური წრიდანაც არ უნდა ყოფილიყო იგი, - თავადი თუ ქარხნის მუშა, დახვეწილი ინტელიგენტი თუ ხელებდაშაშრული გლეხი, რომელსაც ბაჭუა კუპრაშვილი სცნობოდეს და მისით აღტაცებული არ ყოფილიყო. ცოდვებიც ჰქონდა, ვიცი, მაგრამ...

აკი, ცოდვებმა უწია კიდეც. დღეს მისი საფლავიც კი დაკარგულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილი, ბატონო. ამჯერად ბაჭუაზე ლაპარაკს მოვრჩეთ. მერე - ვნახოთ. ახლა მეორე ბიძაზე - ირაკლიზე მოგახსენებთ. მაგრამ ამაზე სათქმელი ბევრი არაფერი მაქვს. რამდენადაც ვიცი, ირაკლის არც ბომბები უგრიალებია, არც მთავრის ასული მოუტაცნია, არც თუ მთელი ცა და ქვეყანა იცნობდა უფროსი ძმასავით. რევოლუციურ მოღვაწეობაში ადრე, ყმაწვილობაშივე ჩაება. ყოველგვარ დავალებას თავდადებულად ასრულებდა. პარტიის ისტორიის ინსტიტუტში მითხრეს, პარტიიდან ორჯერ არის გარიცხული - 1919 და 1929 წლებშიო. ან ერთხელ რატომ გარიცხეს, ან მეორეჯერ, არ მითხრეს. ეს, ალბათ, ახლაც დიდ სახელმწიფო საიდუმლოდ ითვლება. ის კი ვიცი, რომ ირაკლი კუპრაშვილს ამდენი იწილო-ბიწილო მობეზრდა, პოლიტიკას თავი დაანება, ინდუსტრიული ინსტიტუტი დაამთავრა და ლიმონტრესტში დაიწყო მუშაობა. დღე და ღამეს ასწორებდა, კარგი მუშაობისათვის ორდენზე წარადგინეს და ველოსიპედითაც დააჯილდოვეს. ეს მაშინ კარგ ჯილდოდ ითვლებოდა. ერთი კვირის შემდეგ კი დაიჭირეს და, როგორც გითხარით, გაუსამართლებლად დახვრიტეს - მოჰკლეს. ამ კეთილი, მუდამ სიცილად გამზადებული კაცის პატივსაცემად ჩემს ერთადერთ ვაჟიშვილს ირაკლი დავარქვი.

რევოლუციამ ჩვენი ოჯახის კიდევ ერთი წევრი - დეიდაჩემი შუშანიკაც შეიწირა. ბოლშევიკების პარტიაში 1919 წელს შესულა და საქართველოს კომკავშირის ერთერთ დამაარსებლად ითვლება. ძალიან აქტიურობდა არალეგალური გაზეთებისა და პროკლამაციების ბეჭდვა-გავრცელებაში. ამან ისედაც სუსტი ჯანმრთელობის მქონეს სწრაფი ჭლექი დამართა და კიდეც შეიწირა. მაგრამ საწყალმა ის მაინც იცოდა, რისგან და რატომ კვდებოდა - რა თქმა უნდა, მთელი კაცობრიობის ნათელი და ბედნიერი მომავლისათვის. ხოლო რას ფიქრობდნენ ნაშუალამევს მოსაკლავად გაყვანილი ბაჭუა და ირაკლი კუპრაშვილები, ეს დღესაც არავინ იცის.

საყურადღებოა ირაკლის მეუღლის მსახიობ ეკატერინე კედიას

ამბავიც. ცნობილია, რა დღეში ცვივდებოდნენ მაშინ რეპრესირებულების ცოლები. კატიუშას კი გ. მდივნის „ალვაზარში“ მთავარი როლი მისცეს, გაზეთებში გამოხატეს, აქეს და ადიდეს. თურმე ნუ იტყვით და - აკაკი ხორავას ამ გზით მისი გულის მონადირება გადაუწყვეტია. ქალი დაფეთდა, სხვა რომ ველარაფერი მოახერხა, ცოლად თავისზე ბევრად უმცროს მსახიობს გაჰყვა. ხორავამ ეს არ აპატია, თეატრიდან გამოაძევა. ბოლოს, შიმშილით რომ არ მომკვდარიყო, ინამუსა და თეატრალურ ინსტიტუტში რითმიკის გაკვეთილები მიუგდო. სცენაზე როლი აღარ ღირსებია, თავის დროზე კი აბმეტელის „ანზორში“ ზაირას როლში ბრწყინავდა.

ახლა მკითხველისგან კიდევ ერთ შენიშვნას ველი - სულ ბიძებზე და დეიდა-ბიცოლებზე რომ გვესაუბრები, დედა და მამა არ გყავდაო? მყავდა... იმათზეც მოგახსენებთ. მაგრამ მაქვს ერთი მიზეზიც, რომ უფროს ბიძაზე მეტი ვილაპარაკო.

თავი მეორე

ჩემი პირველი შთაბეჭდილება ასეთია: ქუთაისში, ბალახიან ეზოში ვზივარ. შორიახლო, ხეზე, გრძელი თოკით კაცია მიბმული. გულხელდაკრეფილი ქვაზე ზის და არ ინძრევა. რამდენადაც მახსოვს, ამ ამბავს სრულიადაც არ ავუღელვებივარ. ალბათ, ჩვეულებრივ მოვლენად მივიჩნიე. უკვე სტუდენტი ვიყავი, ბებიაჩემმა რომ მითხრა, ის ჩვენებური ბიქტორია როინიშვილი იყოო; კომკავშირელებმა ეკლესიიდან ჯვრის ჩამოღება რომ გადაწყვიტეს, ასვლა ვერავინ გაბედა. ბიქტორია წამოყელყელავდა. ჯვარი კი მოგლიჯა და ჩამოაგდო, მაგრამ იმავე საღამოს ჭკუიდან შეიშალა და ისევ ბიძაჩემმა უპატრონა, ის ხომ ქვეყნის ჭირისუფალი იყო, ქუთაისში წამოიყვანა და კიდეც მოარჩენინაო.

უფრო ცხადად ჩემი ცხოვრება ხუთი თუ ექვსი წლის ასაკიდან მახსოვს. ბიძაჩემი ბაჭუა მაშინ უკვე მაგდა ამილახვართან - ძალიან

ლამაზ, განათლებულ, მაგრამ აშკარად ამპარტავან ქალთან იყო შეუღლებული. მაგდა განათლებით ფსიქოლოგი ბრძანდებოდა, ჩემდამი თავიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა და, როგორც გამორჩეული ბავშვი, გამოსაკვლევად კედოლოგიის - ბავშვთა ფსიქოლოგიის ინსტიტუტში წამიყვანა. რამდენადაც მახსოვს, ვიღაც ჭკვიანი, ალერსიანი დეიდები თითქმის მთელი კვირა მსწავლობდნენ, უამრავი კაბინეტი და ლაბორატორია ჩამომატარეს და ყურადღებას იჩენდნენ. გამოკვლევის შედეგები, რა თქმა უნდა, გულმოდგინედ დამიმალეს. არ მახსოვს, რა გზებით, მაგრამ მაინც ძალიან მალე გავიგე, რომ გამორჩეული, პირდაპირ უიშვიათესი ნიჭის ბავშვი ვყოფილვარ და საგანგებო ყურადღებას, მიდგომას და აღზრდას ვსაჭიროებდი. ბაჭუას მაშინვე ფიცხელი განკარგულება გაუცია: თუ ნუკრის ვინმემ დაუყვირა ან დატუქსა, იმ ოჯახში ფეხს აღარ დავადგამო. პირველმა კი ისევ თვითონვე დამიყვირა, - სოფლად, თოვლიან ზამთარში, ეზოში წინდების ამარა გავიქეცი და - იმიტომ. მას აქეთ სამოც წელიწადზე მეტი გავიდა და, წარმოიდგინეთ, დღემდე მახსოვს, თუმცა, ბაჭუას, ბევრჯერ ნაკატორღალ და ჯანმრთელობაშერყეულ კაცს, მუდამ ყველანი ყველაფერს ეპატიობდით ხოლმე. გულბოროტი ნამდვილად არ მეთქმის, ზედმეტად, პირდაპირ ავადმყოფურად თავმოყვარე და იჭვიანი კი ბავშვობიდანვე ვიყავი. რკინიგზის მერვე სკოლაში ლექსის სათქმელად სცენაზე გამომიყვანეს. დარბაზში ვიღაც გოგონებს ხმამაღლა გაეცინათ. გავიბუტე, ლექსს აღარ ვიტყვიმეთქი, და სცენიდან გავედი. ასე მოხდა რეპეტიციაზეც და მერე კი საზეიმო საღამოზეც.

კედოლოგია კი, როგორც მეცნიერება, მალე გააუქმეს. სახალხო კომისრებმა თავიანთი და მუშების შვილები გაასინჯეს, აბა, ამათზე რას გვეტყვითო... რაღაც ეშმაკად, ყველა ის ბავშვი ყეყეჩი გამოდგა. „ნარკომები“ განრისხდნენ, დიმიტრი უზნაძეს საქართველოში ეს რა სულელური მეცნიერება შემოულიაო და - ინსტიტუტი მიუკეტეს.

მეორე კლასიდან სასწავლებლად სახელგანთქმულ მე-14 სკოლაში გადამიყვანეს. მგონი, იმ წლიდან დაიწყო ჩემი ცხოვრების

უკიდურესობანი, მუდამ, აი, ხანდაზმულობამდეც რომ თანა მდევდა: ფრიადოსანიც ხშირად ვყოფილვარ, ზრდილიც და ყოველმხრივ სანიმუშოც; ასევე ხშირად - ოროსანიც, უგულისყუროც და არც თუ ძლიერ თავაზიანიც; თავშეუკავებლობის გამო ბავშვობაში ორჯერ თუ სამჯერ ისეთი საქციელიც კი ჩავიდინე, რომ ქალალდზე ახლაც კი ვერ გადამიტანია: მაგრამ თუ ბოლომდე გულახდილი ვიქნები, ისიც უნდა ვთქვა, რომ თითქმის ყველა სიძნელე, პრობლემა და ხიფათი, რაიც ცხოვრებაში შემხვედრია, გამოუკლებლივ დედაჩემის თამარ დიანოსის ასული კუპრაშვილის დამსახურებაა. არავის ვუსურვებ, საკუთარი დედმამის შეცდომები თუ უკულმართობანი მხოლოდ ხანდაზმულობაში-ღა დაინახოს, როცა საქმეს (ე.ი.საკუთარ ბიოგრაფიასაც) აღარაფერი ეშველება. არადა, საქართველოში, ალბათ, ახლაც მრავლადაა ახალგაზრდა, ვისაც ცხოვრებაში სწორი გზის მონახვა სწორედ იმიტომ უჭირს, რომ საკუთარი დედ-მამის შვილია. თამარ კუპრაშვილი ერთი უბრალო სოფლელი გოგო იყო. გაჭირვებით ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის ეპარქიული სასწავლებელი დაამთავრებინეს. ამბობდნენ, იმ სასწავლებელში როგორი ცოდნითაც შევიდაო, ისეთივეთი გამოვიდაო. არც არავითარი ინტელექტუალური პრეტენზიები არ ჰქონია და, დარწმუნებული ვარ, სულის სიღრმეში გამოუთქმელ ზიზღს განიცდიდა ყველა წიგნიერი ადამიანისადმი. ალბათ, მთელს ცხოვრებას ასევე გაივლიდა. გათხოვდებოდა და წიგნის არსებობასაც დაივიწყებდა.

მაგრამ ბედი სხვანაირად შეუტრიალდა: რევოლუცია მოხდა და მისი ძმები, განსაკუთრებით უფროსი, სულ ტყესა თუ ციხეში რომ ეგდო და მთელი ოჯახი გაწამებული ჰყავდა, უეცრად ეროვნულ გმირად იქცა. მისი სახელი მთელს საქართველოს პირზე ეკერა. რამდენიმე წელი გავიდა და თბილისში, ერევნის მოედანზე ბაჭუას ძეგლიც კი დაუდგეს. თანაც - დიდი იაკობ ნიკოლაძის ნახელავი. რამდენადაც ვიცი, იაკობისთვის იმ სკულპტურული ჯგუფის გაკეთება კამო პეტროსიანი, ბარონ ბიბინეიშვილი, ბაჭუა კუპრაშვილი, მეოთხე კი, მგონი, დემეტრაძე, - არავითარ ცეკას

პლენუმს არ დაუვალებია, თითონ მოინდომა. უფროსი თაობის ხალხს ეხსომება, ეს სკულპტურული ჯგუფი ახლანდელი ქართული ხელოვნების ინსტიტუტის წინ, ბაღში იდგა. ოცდაჩვიდმეტში აიღეს. ამასწინათ ერთმა „მოღვაწემ“ ამიხსნა, ის ძეგლი არ ვარგოდა, იაკობ ნიკოლაძეს მაგ ნამუშევარზე ხელი მოეცარაო. მანამდე ათი წელიწადი „ვარგოდა“, ოცდაჩვიდმეტში კი „აღარ ივარგა“. ესეც არ იყოს, განა რაც ახლა თბილისში ძეგლები და ქანდაკებები დგას, ვითომ ყველა „ვარგა“?

უბირ სოფლელ გოგოს უფროსი ძმის გარშემო ატეხილმა ხმაურმა თავბრუ დაახვია და ის განუკურნებელი სენი შეჰყარა რომელსაც პატივმოყვარეობა ჰქვია. რომ იტყვიან, ცა ქუდად აღარ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნადო, სწორად ის იყო. თავის უწმინდეს და უპირველეს მოვალეობად მიიჩნია, ყოველთვის ყოველ სიტუაციაში ისე მოქცეულიყო, როგორც თითონ ეპრიანებოდა. არავითარ ანგარიშს აღარ უწევდა არც საზოგადოებრივ აზრს, არც საყოველთაოდ მიღებულ წესებსა და კანონებს.

მე ძალიან დიდი დაგვიანებით, აგერ ახლა, ხანდაზმულობაში მოვისაზრე, რატომ დამატოვებინეს „პრესტიჟული“ მე-14 სკოლა სოლოლაკში და როგორ მოვხვდი ავლაბრის მე-4 (აწინდელ 77-ე) სკოლაში. მაშინ დედაჩემმა ასე ამიხსნა, ახლა სოლოლაკიდან შორს ვცხოვრობთ და იქ სიარული გაგიჭირდებაო. არაფერიც. უფრო ის იყო, რომ პრესტიჟული სკოლის მესვეურებმა დედაჩემის ქცევას ველარ გაუძლეს: წამავლებდა ხელს და მაისის პირველ რიცხვებში სოფელში წამიყვანდა. ამაოდ ემუდარებოდა კლასის დამრიგებელი, - ქალბატონო თამარ, სწავლის დამთავრებამდე კიდევ ორი თვეა, ჩამორჩება, თანაც გამოცდები აქვს ჩასაბარებელიო... თქვენც არ მომიკვდეთ! სოფლიდან კი ნაცვლად იმისა, რომ 1 სექტემბრისათვის ჩამოვბრუნებულიყავი და ნორმალურ მეცადინეობას შევდგომოდი, შუა ოქტომბერში ჩამომიყვანდა. 1936-37 წლები კი სულაც აბასთუმანში გავატარეთ - დედაჩემს ფილტვების ტუბერკულიოზი ახალი მოხდილი ჰქონდა და ექიმებმა ასე ურჩიეს.

სწორედ აბასთუმნიდან დაბრუნების შემდეგ გავხდი იძულებული, მე-4 სკოლაში გადავბარგებულიყავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1937 წლის გაზაფხულზე აბასთუმნელმა მასწავლებლებმა, ვისაც გამოცდებს ექსტერნად ვაბარებდი, შეიდწლედის ატესტატი მიწყალობეს. მიწყალობეს-მეთქი - იმიტომ რომ, არც ერთ საგანში სრულიად არაფერი ვიცოდი. ის ორი წელიწადი, დილიდან საღამომდე, ზაფხულობით ფეხბურთის თამაშისა და ზამთრობით ალმა-დალმა უსაქმოდ ხეტიალის მეტი არაფერი მიკეთებია. მაგრამ დაიჯერებენ კი ის მასწავლებლები, თუ ახლა კიდევ ცოცხალნი არიან, რომ ის სრულიად არაფრისმცოდნე, დაბღვერილი ბიჭი, გამოცდის დროს თვალი კარისკენ რომ ეჭირა და მარტო იმას ფიქრობდა, ნეტავი, თავს როდის დამანებებენ, ხომ ხედავენ, რომ არაფერი ვიცი, — დაიჯერებენ კი ისინი, რომ ის ყოვლად უიმედო, წყალწაღებული ბიჭი რაღაც წელიწადნახევრის შემდეგ რესპუბლიკურ რეკორდებს დაამყარებდა ურთულესი გეომეტრიული ამოცანების სწრაფად და უშეცდომოდ ამოხსნაში, რამდენჯერმე კი იმ ამოცანათა ამოხსნის სრულიად ახალი, ორიგინალური ხერხი აღმოაჩინა? ალბათ, არ დაიჯერებენ. არადა, თუ თავის ქებაში არ ჩამომერთმევა, პედოლოგიური მეცნიერება, იქნებ, ყველაფერში არ ტყუოდა. მეოთხე სკოლა ისე დავამთავრე, რომ არ მახსოვს, სახლში ერთი გაკვეთილი მაინც მომემზადებინოს. ჩანთა სკოლიდან შინ არც კი მიმქონდა. სკოლის გვერდზე ჩემი კლასის ამხანაგი ეთერი ფარასტაშვილი ცხოვრობდა. გაკვეთილების შემდეგ ჩანთას იმას ჩავაბარებდი ხოლმე. წაიღებდა, დავალებებს შეასრულებდა, ჩემს რვეულებშიც გადაიტანდა და მეორე დღეს სკოლაში მომიტანდა. მე კი გაკვეთილზე ახალ ამოცანას, დიდი მონდომებით და პათოსით რომ გვიხსნიდა მათემატიკოსი შოთა იაშვილი, წამით თვალს შევავლებდი და - მორჩა. ასე სხვა საგნებშიც. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა გრიგოლ ჯაკობიამ ერთხელ „ვეფხისტყაოსნის“ რომელიღაც სტროფში სასვენი ნიშნები ჩამასმევინა. ეს იყო და ეს. მას შემდეგ აღარც გამოვუძახებივარ. ისიცა და ქართულის სხვა მასწავლებლებიც მუდამ „ხუთიანებს“ მიწერდნენ.

ჯერ კიდევ მე-14 სკოლაში სწავლის დროს ერთხელ გამოძახების შემდეგ წლობით მიწერდნენ „ხუთიანებს“ – გეოგრაფიაში – კლიმენტი ნოდია, ისტორიაში – მამფორია, რუსულში – ნებიერიძე. ასე მიწერდა „ხუთიანებს“ ფიზიკაში ეასო ქოიავაც. მაგრამ ერთხელ რატომლაც ეჭვი შეეპარა, გამომიძახა, დარწმუნდა, რომ სრულიად არაფერი ვიცოდი და იე განაწყენდა, რომ გაკვეთილი დროზე ადრე შეწყვიტა და მთელი კლასი კაბინეტიდან გამოგვრეკა.

ფრიადოსნის ატესტატი კი მეოთხე სკოლიდან მაინც ვერ წამოვიღე. ამასთან დაკავშირებით იძულებული ვხდები, მკითხველის ყურადღება ერთ უცნაურობაზე შევაჩერო.

მართლაც რომ უცნაური მჭირდა: ძალიან მნიშვნელოვან ფაქტს, რომელსაც ჩემს ცხოვრებაზე ძალიან დიდი, პირდაპირ გადამწყვეტი გავლენა მოუხდენია, დიდი დაგვიანებით ვიგებდი ხოლმე, როცა აღარაფრის გამოსწორება აღარ შეიძლებოდა. ზემოთ გითხარით, ხანდაზმულობაშიღა მოვისაზრე, მე-14 სკოლიდან მე-4-ში რატომ გადამიყვანეს-მეთქი. ახლა მეორე ამბავსაც გიამბობთ.

უკვე უნივერსიტეტს ვამთავრებდი, როცა გავიგე, თუ რატომ გაჯიქდა ქიმია-მინერალოგიის მასწავლებელი მე-4 სკოლაში გრიშა სიჭინავა და „ხუთიანებით“ პირთამდე სავსე ატესტატში ერთადერთი „სამიანი“ ჩამიწერა. იგი პედსაბჭოს სხდომაზე სხვა მასწავლებლებმა პირდაპირ უშვერი სიტყვებით ლანძღეს. ლიტერატორმა ალექსანდრე ჯოხაძემ დაუყვირა, - „ზოგსა კაცსა კაცი ჰქვიან, ზოგსა კიდევ კაცუნაო“. ხელი არც სხვებს დაუკლიათ, მაგრამ - თქვენც არ მომიკვდეთ! „სხვას რომ ეგრე ჩაებარებინა, „ხუთს“ დავუწერდი, მაგას კი არ დავუწერო“, - ბრძანა სიჭინავამ და ფეხი ველარ მოაცვლევინეს.

სკოლაში სწავლის უკანასკნელ ხანებშივე ვგრძნობდი, რომ სიჭინავამ რატომლაც ამითვალისწუნა და ყოველნაირად ცდილობდა, გზაზე გადამდგომოდა. ერთხელ მოსწავლეთა კომიტეტის თავმჯდომარეობიდან გადაყენებაც კი მომინდომა, - არაფერს აკეთებსო. (ახლაც კი არ ვიცი, მაინც რა უნდა მეკეთებინა). მაგრამ საერთო კრება ვერ დაითანხმა - ყველა მე მომემხრო. ამან

ეს ასაკოვანი, პარტიული და მოწინავე პედაგოგი მთლად გააცოფა და პირდაპირ დაუძინებელ მტრად მექცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზეზი კი აი, რა ყოფილა:

სიჭინავას პატარა გოგონა ჰყავდა. ავად გახდა და საავადმყოფოში დააწვინეს. ერთ დღეს, როცა სიჭინავა თავის სადამრიგებლო კლასში გაკვეთილის ჩასატარებლად უნდა შესულიყო, ვილაცამ დაურეკა, არიქა, ბავშვი ძალიან მძიმედ შეიქნა და მიხედეო. რა თქმა უნდა, დაფეთდა და გაიქცა. ბავშვს კი ისეთი სულაც არაფერი სჭირვებია. მალე სულ მორჩა და კიდეც გამოწერეს, მამამისს კი საფიქრებელი გაუჩნდა, ასეთი ბოროტი ხულიგნობა ვინ გამიბედაო. ცოტა იფიქრა, თუ ბევრი იფიქრა, ბოლოს მტკიცედ გადაწყვიტა, ეს ნამდვილად... რამაზ კობიძის გაკეთებულიაო.

დიდება შენდა, ღმერთო! ზევითაც გითხარით, ნატიფი, განსაკუთრებული ზრდილობით არასოდეს გამოვირჩეოდი-მეთქი. მაგრამ კეთილი, თავდაჭერილი და გულისხმიერი ყოველთვის ვიყავი და ასეთი ველური საქციელის ჩადენა არამცთუ ფიქრადაც კი არ მომივიდოდა, არამედ სხვასაც კი არასდიდებით ჩავადენინებდი.

ის ოჯახშენებული იმას მაინც რატომ არ ჩაუფიქრდა, რომ სწორედ მაშინ დაურეკეს, როცა გაკვეთილის ჩასატარებლად საკუთარ სადამრიგებლოში უნდა შესულიყო? იმ კლასში ყველა სანიმუშო ქცევის ბრძანდებოდა?

არადა, სკოლის დირექციას და სხვა მასწავლებლებსაც იმავე დღესვე გაუგიათ, ის საქციელი ვინ ჩაიდინა. სწორედ სიჭინავას სადამრიგებლოში იყო ერთი მოსწავლე, გვარად მ., ერთი აცვენილი ვილაც, არც სწავლობდა, კიდეც ურევდა, კიდეც ხულიგნობდა... დირექციას და სხვა მასწავლებლებსაც უფიქრიათ, ეს ამბავი სიჭინავამ თუ გაუგო, მთლად დაღუპავს, იქნებ, კიდეც დააჭერინოს, კობიძეს კი რა უნდა დააკლოს, ფრიადოსანი მოსწავლეა და ქცევითაც არა უშავსო. ამიტომ პირში წყალი ჩაიგუბეს. მე კი, როგორც გითხარით, ამ მიზეზით მიწერია ატესტატში ერთადერთი სამიანი. მაგრამ ეს მხოლოდ უნივერსიტეტში სწავლისას გავიგე, სწორედ იმ ყმაწვილისგან, ვინც მაშინ სიჭინავას დაურეკა და თავგზა დააკარგინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მესამე

უნივერსიტეტში 1940 წელს შევედი. ფილოლოგიის ფაკულტეტზე შემსვლელები შვიდ საგანს ვაბარებდით. შვიდივეში „ხუთიანი“ მივიღე და მარტო უნივერსიტეტის კი არა, მთელი ქალაქის სალაპარაკო გავხდი. გაზეთებში გამომწერეს. ფოტოკორესპონდენტები დამეძებდნენ. რექტორმა დავით ყიფშიძემ რადიოთი მთელს საქართველოს აუწყა, უნივერსიტეტი გაბედნიერდაო. შურა ჯობაძემ - მე-4 სკოლაში ჩემმა დიდმა ქომაგმა და მოამაგემ მახარა, მეთოდკაბინეტებში შენს მეტი სალაპარაკო აღარაფერი აქვთო. მელიქიშვილის ქუჩაზე თვითონ გრიშა სიჭინავა შემხვდა და ხელი გამომიწოდა. ჩამოვართვი.

- მთელ რიგ საგნებში მომზადება გამოგიჩენია.

- დიახ...

- შენი გამარჯვება ჩვენი - შენი მასწავლებლების გამარჯვებაცაა.

- დიახ...

- აბა, ჰე!..

ასე გავშორდით. აღარც შემხვედრია. გადასახლებიდან რომ ჩამოვედი, გარდაცვლილი დამხვდა.

XXX

ახლა ხშირად ვფიქრობ, მართლა ასეთი მცოდნე ვიყავი? შვიდი „ხუთიანი“, აქედან ორი - წერაში! არადა, იმ წელიწადს ალგებრა-გეომეტრია-ტრიგონომეტრიაც უნდა ჩაგვებარებინა, ქიმიაც, ფიზიკაც, - და მოხსნეს. თორემ ამ საგნებშიც ნამდვილად „ხუთებს“ მივიღებდი და ჩემი სახელი, ალბათ, საბჭოთა კავშირის ფარგლებსაც გასცდებოდა.

არა, ასეთი მცოდნე ნამდვილად არ ვყოფილვარ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საკმაოდ ზარმაცი სულიერი გახლდით. მეორეც იმიტომ, რომ, ჩემის ფიქრით, საერთოდ არ შეიძლება, არსებობდეს მოსწავლე თუ აბიტურიენტი, რომელიც ყოველ საგანში თანაბრად

ძლიერი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეოგრაფიის პროფესორმა, სიმკაცრისა და მიუდგომლობით ცნობილმა გიორგი გეხტმანმა რატომღაც თავიდანვე გამომარჩია, რიგგარეშე გამიძახა, რუქაზე მიმითითა და ჯიქურ მკითხა, ეს რა ქვეყანაა. შეკრთი, კიდეც გამიკვირდა, ასეთ უბრალო რამეს როგორ მეკითხება-მეთქი. მგონი, დაბნეულობისაგან მხრებიც კი ავიჩეჩე:

- საბჭოთა კავშირი...

- ეს რა ტბაა?

- ბაიკალის.

- იმ ტბაში რომელ მარილს იღებენ?

- ისა... ე... სუფრის...

- ?!..

- გლაუბერის!

- წადი.

ასე მივიღე პირველი „ხუთიანი“.

სკოლაში გეოგრაფია მეცხრე კლასში დაგვიმთავრდა და მასწავლებელმა სანდრო კაკულიამ თავის ქნევით მითხრა:

- რა გიყო, შე მართლა ყალთაბანდო! კანონით „ოთხი“ გეკუთვნის, მაგრამ გიწერ „ხუთს“! და იცოდე, გაისად ყველა საგანში „ხუთი“ უნდა მიიღო. მე-4 სკოლამ ერთი ფრიადოსანი მაინც არ უნდა გამოუშვას?! მაგრამ რა ხუთოსანი ხარ, თუ ისიც კი არ იცი, რურის აუზი სად არის?

- გერმანიაშია...

- ახლა კი, გერმანიაშია, მეც ვიცი, წადი!..

უნივერსიტეტში გამოცდებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება იმით მოვახდინე, რომ უშეცდომოდ დავწერე რუსული კარნახი. ეს მაშინ დიდ გმირობად ითვლებოდა. ხელიც კარგი მქონდა. წერისას ვინმე ხანდაზმულმა გამომცდელმა ამიარ-ჩამიარა, კიდეც მითხრა, კარგი ხელი გაქვთო (თქვენობით!), კომისიის თავმჯდომარეს დავით მგელაძეს რაღაც უთხრა, და ჩემს კენ მოახედა... გერმანულში „ხუთი“ თავისი სერიოზულობითა და მიუდგომლობით ცნობილმა მაიერის

ქალმა დამიწერა. იგი ომის დაწყებისთანავე გადაასახლეს და ვინ იცის, სული სად დალია. ქართულ წერაში რამდენიმე ფაქტობრივი შეცდომა დამიშვია, მაგრამ ტექსტი, მისი სტილი მაინც იმდენად მოსწონებიათ, რომ კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე ბარამიძემ არამც თუ „ხუთი“ დამიწერა, არამედ სწორედ იგი იყო, მეთოდ-კომისია ჩემზე ლაპარაკით რომ აიკლო.

დადგა ბოლო გამოცდის დღეც. სსრკ ისტორია უნდა ჩავაბარო. უკვე ვიცი, რომ ჩემს გასტუდენტებას წინ აღარაფერი უდგას. ის კი არა, უნივერსიტეტის ეზოში რომ შევალ, ათასობით თვალი ინტერესით მომჩერებია. ისმის გადაჩურჩულება, - „ეს არის“..., „მოვიდა“... „ნეტავი მაგის დედას!..“ „თქვენც ერთი! პროტექტორები ეყოლება...“ „არაო, ამბობენ, კაციშვილი არ ჰყავსო“...

რატომღაც პირველი გამომიძახეს. აუდიტორიაში შევედი. კომისიის თავმჯდომარემ, - შემდეგ გავიგე, პროფესორი თავხელიძე ყოფილა, - განმარტოებით მჯდარ, ჯერაც საკმაოდ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე შეჭაღარავებულ კაცზე მიმითითა და მითხრა, იმასთან დაჯექიო.

გამომცდელმა, - გვარად, მგონი, ხუციშვილი იყო, - ცივი მზერა მომაპყრო:

- დაბრძანდით. მომზადებული ხართ?

- დიახ...

- აბა, დეკაბრისტებზე რას მეტყვით? - და, როგორც გომომცდელებს ჩვევიათ, ხუციშვილი ნებიერად გადაწვა სკამის ზურგზე.

იური ტინიანოვის „კუხლია“ ახალი წაკითხული მქონდა. ამიტომ ისტორიის სახელმძღვანელოთი აღარ შემოვიფარგლე და ხუციშვილს დეკაბრისტების მოძრაობის ფრიად შთამბეჭდავი სურათი დავუხატე. მაგრამ შეატყობდი, გამომცდელს ეს დიდად არ გახარებია. ბოლოს კი მეტად უბრალო შეკითხვა მომცა, დეკაბრისტების გამოსვლა მაინც სად, რომელ მოედანზე მოხდაო.და აი, აქ კი გამოირკვა, რომ სასტიკად მოტყუებულან ის პედაგოგები, რომლებმაც უჩვეულო ნიჭი აღმომიჩინეს და დიდი მომავალი

მიწინასწარმეტყველეს. გამომცდელს მოვახსენე, დეკაბრისტების გამოსვლა... წითელ მოედანზე მოხდა-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარწმუნებთ, აუდიტორიაში შესვლამდეც და მერეც მშვენივრად ვიცოდი, რომ დეკაბრისტების გამოსვლა პეტერბურგში, სენატის მოედანზე მოხდა, მაგრამ... ამოფრენილ სიტყვას უკან ხომ ველარ დაიბრუნებ?

-ჰმ!.. - ხუციშვილი კიდევ უფრო მოიღუშა, - აბა, ბოლოტნიკოვზე რას მეტყვით?

ბოლოტნიკოვზე მხოლოდ ის ვუთხარი, რაც ისტორიის სახელმძღვანელოში ეწერა. ამასობაში კი კომისიის თავმჯდომარე თავხელიძე კათედრიდან ჩამოსულიყო და თავზე დაგვადგა:

- როგორაა საქმე? - ჰკითხა მან ხუციშვილს.

- Он смело называет Кюхельбеккера, - რატომღაც რუსულად უპასუხა ხუციშვილმა, **- но говорит, что восстание декабристов произошло в Москве.**

- „ხუთიანს" ვერ დაუწერ?

- ვერა.

- „ოთხიანს"?

- „ოთხიანს" - კი.

- აბა, დაუწერე „ხუთიანი"! - ბრძანების კილოთი მიუგდო თავხელიძემ.

- თუკი თქვენ მიბრძანებთ...

- გიბრძანებ!

ხუციშვილმა მხრები აიჩეჩა და კალამს მისწვდა.

ასე მივიღე მეშვიდე „ხუთიანი".

თურმე, გამოცდამდე ამ ხუციშვილს ერთი ამბავი აუტეხია, - რატომ უნივერსიტეტის პრესტიჟს არ ვუფრთხილდებით, ვინ არის ეს კობიძე, რომ ამდენ „ხუთებს" უწერენ, თუ ასეთი გენიოსია, რატომ ფრიადოსნის ატესტატით არ შემობრძანდაო, და სხვა ამგვარები. ერთი მომიყვანეთ, მე უნდა გამოვცადოო. თავხელიძემაც იმასთან ამიტომ გამაგზავნა. არადა, ისტორია მუდამ მაინტერესებდა,

კარგად ვსწავლობდი, ახლაც მაინტერესებს და ხშირად მიფიქრია, ისტორიკოსი უნდა ვყოფილიყავი-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ეს ამბავი ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს, თუ რა უკულმართ დროში ვიცხოვრეთ ჩვენ, ჩემი თაობის ადამიანებმა. ერთმა დოცენტმა თავის გამოჩენა მოინდომა, აქაოდა, აი, როგორი მიუდგომელი და პრინციპული პიროვნება ვარო აქ, მშობლიური უნივერსიტეტის პრესტიჟს როგორ ვუფრთხიდებიო და - ათობით თავისი კოლეგის გაბიაბრუებას არ მოერიდა. ყოველ კომისიაში ხომ რამდენიმე წევრი იყო, ასე რომ, ისტორიის გამოცდამდე ექვსი „ხუთიანი“ ექვსმა კი არა, ოცდაათამდე გამომცდელმა დამიწერა. ესეც არ იყოს, ქართული უნივერსიტეტის პრესტიჟს თავგამოდებული ქომაგი რატომ ერთხელ მაინც არ დაუფიქრდა იმას, რომ მე, ქართველ აბითურიენტს გამოცდაზე სულ ორად-ორი შეკითხვა მომცა და - ორივე რუსეთის ისტორიიდან? მეკითხება ბოლოტნიკოვზე და არც კი ახსენდება, რომ ქვეყნად იყო ვთქვათ, უტუ მიქავა, რომელიც ბოლოტნიკოვს თუ არ სჯობდა, არაფრით ჩამოუვარდებოდა. ან, კიდეც რომ ეკითხა, რამეს ვუპასუხებდი? მშვენივრად ვიცოდი, ვინ იყვნენ პიპინ მოკლე, ნაბუქოდონოსორი, ალექსანდრე მაკედონელი, იულიოს კეისარი, ნაპოლეონ ბონაპარტე, პეტრე პირველი და კიდევ ათასი ვინმე, დავით აღმაშენებლისა კი მხოლოდ სახელი მქონდა გაგონილი. ახლანდელ ახალგაზრდებს, იქნებ, დაჯერებაც კი გაუჭირდათ, მაგრამ ჩვენ, ვინც საშუალო ომისწინა წლებში დავამთავრეთ, საქართველოს ისტორიაზე თითქმის არავითარი წარმოდგენა არ გვქონდა. ასეთი დისციპლინა არც კი არსებობდა. ასე რომ, რაკი ხუციშვილს ჩემი ჩაჭრა და „სააშკარაოზე გამოყვანა“ უნდოდა, დეკაბრისტ-პოლოტნიკოვისთვის თავი უნდა დაენებებინა და რომელიმე ქართველი მეფის ცხოვრება ეკითხა - ფარნავაზიდან მოყოლებული გიორგი მეცამეტემდე. ზუსტად იგივე სურათი განმეორდებოდა, რომელიც აბასთუმნის სკოლაში გათამაშდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე

ადვილი წარმოსადგენია, რა დიდებულ ხასიათზე ვიქნებოდი, როცა უნივერსიტეტში მეცადინეობა დაიწყო. ცა ქუდად აღარ მიმაჩნდა და დედამიწა ქალამნად. სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ უნივერსიტეტის დარაჯებიდან რექტორამდე ყველა მცნობდა და ეუყვარდი. ერთმა უფროსკურსელმა, რომელსაც კიროვის პარკში ენახა, კალათბურთს როგორ ვთამაშობდი, დაუყოვნებლივ აცნობა ფიზკულტურის კათედრაზე შალვა დიასამიძეს, ის ჭაბუკი უნივერსიტეტში შემოსულაო. დიასამიძემ დამიბარა და საკმაოდ შთამაგონებელი კილოთი ლექცია წამიკითხა, ვიცით, სხვა უმაღლესების სტუდენტები ხშირად გარეშე გუნდებში თამაშობენ, მაგრამ ჩვენ, უნივერსიტეტი, ამის უფლებას ვერ მოგცემთ, რაკი უნივერსიტეტის სტუდენტი ხარ, უნივერსიტეტის გუნდში უნდა ითამაშო. რამდენიმე კვირის შემდეგ დიასამიძემ უნივერსიტეტის ოსტატ კალათბურთელთა გუნდსაც კი მიმამაგრა.

17-18 წლის ჭაბუკმა მეტი რაღა უნდა ინატროს?

ალბათ, ფული. ჯიბის, პაპიროსის, წყლის ფული მაინც. ეს კი არასოდეს გამაჩნდა. ჩემს ტოლებში ჩემისთანა ჯიბეცარიელი სხვა არავინ ყოფილა. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ახლაც კი ადამიანებისთვის არაფერი დამენანება, შემიძლია, სხვას ვაჭამო და მე თითონ მშიერი დავრჩე, ფულის ჩუქება და გასესხებაც კი არა და არ მეხალისება. ეს ნაკლი ხანდაზმულობაშიც ვერ დავძლიე, მიუხედავად იმისა, რომ ახლა ფული ჩემთვის კი არა, შვილიშვილებისთვის მინდა.

ერთი სიტყვით, მე ვიყავი და დანარჩენი კაცობრიობა! რომ იტყვიან, ბუზსაც არ ვისვამდი. ამიტომ პირდაპირ გამაოგნა პატარა, ერთი შეხედვით სრულიად უმნიშვნელო შემთხვევამ.

მეორე სართულზე, ფანჯარასთან თანაკურსელები ვიდექით, რაღაც სამხიარულოს ვყვებოდით და ხმამაღლა ვხარხარებდით. აქედან აუდიტორიამდე კარგა დიდი მანძილი იყო და ლექციების მსვლელობას ხელს ნაკლებად შევუშლიდით. მოულოდნელად

უნივერსიტეტის ალკა კომიტეტის მდივანმა ალიოშა ფარულავამ ჩაგვიქროლა. სადღაც მიეჩქარებოდა. მაშინდელ პარტიულ-კომკავშირულ ლიდერებს ხომ მუდამ სადღაც მიეჩქარებოდათ და მუდამ მეტად საქმიანი, უკარება, მკაცრი გამომეტყველება ჰქონდათ. მაგრამ ალიოშა ფარულავა მაინც ერთი წამით შეჩერდა, თავით ფეხებამდე ავად შეგვათვალიერა და ძაღლივით შემოგვყეფა:

- აქ რა ხდება?

- არაფერი... - ამოვილულლულეთ დაბნეულებმა, - ვდგევართ... ვლაპარაკობთ...

- არაფერი! - სარკასტულად გაიმეორა ფარულავამ, - ლაპარაკობენ! შენ რა გვარი ხარ?

- კობიძე. - წამით გამიელვა, ჩემი გვარის გაგონებაზე რალაც მაინც ენიშნება-მეთქი. მაგრამ...

- შენ?

- ერთელიშვილი.

- შენ?

- მჭედლიძე.

- ჰმ! - არც ერთ გვარს ფარულავაზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, - ახლა ჩემი ასეთი გაფრთხილება მიიღეთ მხედველობაში: უნივერსიტეტი არის ახალგაზრდა კადრების სამჭედლო.

სტუდენტებისადმი ჩვენ ვანხორციელებთ პრინციპულ მიდგომას. და ამ გზიდან ვერავინ გადაგვახვევინებს. გასაგებია?

- დიახ...

მაგრამ ფარულავა უკვე აღარ გვისმენდა. ისევე მკაცრი და წარბშეკრული კიბეზე შურდულივით დაეშვა და დეკანატებისკენ ტყვიასავით გაქანდა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ: იქ რომელ კაბინეტშიც არ უნდა შეჭრილიყო, ყველგან ფეხზე წამოდგომით და მოწიწებით შეხვდებოდნენ, არიქა, ჩვენი წინამძღოლი, მოძღვარი და გზის გამკვლევი მოვიდაო. ასეთი დრო იყო: პარტიულმა და კომკავშირულმა ლიდერებმა კი ყველაფერი იცოდნენ, ყველაფრის უფლება ჰქონდათ და ყველაფერში ერეოდნენ.

ორიოდე კვირის შემდეგ კი უნივერსიტეტში მისულს ასეთი ამბავი დამახვედრეს: უნივერსიტეტიდან გარიცხული ხარო. პირველ სართულზე უგრძესი სია იყო გამოკრული. ჩემი გვარიც ადვილად ვიპოვნე: გაირიცხონ ლექციების გაცდენისთვისო. არ მეგონა, თუ ასე ადვილად გამიმეტებდნენ. მაგრამ დეკანის მოადგილემ ალექსი ბექაურმა შეგვიწყალა, - აწი ნულარ გააცდენთ, ახლა კი აღგადგენთო. მართლაც, მეორე დღესვე ყველანი აღგვადგინეს.

ეს „მასშტაბურობაც" იმ წლებისთვისაა ნიშანდობლივი: თუ გარიცხვაა, ბარემ, ასი, ორასი სტუდენტი ერთად გაირიცხოს; თუ აღდგენაა - ასივე და ორასივე. თუ იმ ასში და ორასში რამდენიმე ისეთიც ურევია, ვისაც არასოდეს ერთი ლექციაც კი არ გაუცდენია? არაფერია. შიში შეიქმს სიყვარულსო. უფრო გაფრთხილდებიან და თუ აქამდე არ გაუცდენიათ, ამას იქით მით უმეტეს აღარ გააცდენენ.

ანდა:

წარმოუდგებოდა ხოლმე პარტიუროს მდიანი შალვა კაკულია შუა ლექციაზე კოტე ბაქრაძეს, როცა პროფესორი, ვთქვათ, ლაიბნიცის მონადოლოგიაზე გვესაუბრებოდა და მეტად საქმიანი, მკაცრი კილოთიც კი შენიშვნას მისცემდა, „ერთი წუთითაც ნუ დაგვავიწყდება, რომ ლაიბნიცი დალისტი იყოო". პროფესორს ისღა რჩებოდა, რომ აღშფოთებისაგან მხრები აეჩეჩა და გაჩუმებულიყო. კაკულია კი სიტყვებს „იდეალიზმი", „იდეალისტი" სწორედ ასე წარმოთქვამდა - „დალიზმი", „დალისტი"... რატომ შეიტანა მან ეს უმნიშვნელო ცვლილებები საყოველთაოდ ცნობილ ტერმინებში, ეს დღემდე საიდუმლოებითაა მოცული.

ალიოშა ფარულავას ჩამოქროლებამ და შემოჯაჯღანებამ მხიარულებისა და სიცილის ყოველგვარი სურვილი მოგვისპო. ერთმანეთს ისე დავშორდით, რომ აღარც შევსიტყვებივართ.

უმნიშვნელო ეპიზოდიაო, მეტყვით, გაზვიადებულ მნიშვნელობას ანიჭებო. არა. ეს თითქოსდა უმნიშვნელო ეპიზოდები მთელს მაშინდელ დროს ახასიათებენ. შემოყვირება, დატუქსვა, აბუჩად აგდება და, რაც მთავარია, მუდმივი, გაუთავებელი,

პერმანენტული „იდეურ-პოლიტიკური მზადყოფნისათვის ბრძოლა ყველგან და ყველაფერში - უნივერსიტეტში თუ შინ, სუფრასთან, სტადიონზე, ბაღში თუ ტუალეტში, - ამ გაუთავებელი, ხელოვნური, უაზრო წნეხისაგან პირდაპირ სუნთქვა გვქონდა შეგუებული. არსად და არასოდეს არ იყავი დაზღვეული იმისაგან, რომ ვილაც ტუტუცი, თითონ უმეცარი და გაუზრდელი, რაღაც „შეცდომაში" არ გამოგიჭერდა, არ დაგტუქსავდა და რაღაც სულ უმნიშვნელო ქცევას თუ სიტყვას უზარმაზარი მნიშვნელობის „იდეურ-პოლიტიკურ" მოვლენად არ აქცევდა. განსაკუთრებით კი პროვინციელი „ამხანაგები" აქტიურობდნენ, რომლებსაც ცხოვრებაში მბრძანებელი და შემოსავლიანი მაღლობების დაკავება სწორედ „იდეურ-პოლიტიკური აქტივობისა" „სიმტკიცისა" და „შეურიგებლობის" ხარჯზე უნდოდათ და მშვენივრადაც ახერხებდნენ.

მაშინ ჩვენს თვალში სიტყვამ „პროვინციელი" ახალი სოციალური ელფერი შეიძინა. „პროვინციელი" მაშინ ის კი არ იყო, ვინც სოფელში თუ დაბაში ცხოვრობდა და შრომობდა. „პროვინციელი" ის იყო, ვინც კოლმეურნეობას გამოექცა, გზადაგზა, სულაც მატარებელში რამდენიმე დემაგოგიური ფრაზა გაიზეპირა და ქალაქში იმ მიზნით დამკვიდრდა, რომ ვინმესთვის, ვინც „წარსულს მისტიროდა" და ახალი, სოციალისტური საზოგადოება „სულის სიღრმემდე სძულდა", ხაფანგი დაეგო, უფსკრულში გადაეჩეხა და თვითონ მის ადგილზე წამომჯდარიყო. ბევრი ასეთთაგანი ახლა თანამდებობის პირი, ან პროფესორიც კია, წარბშეუხრელად არღვევს და ტალახში სვრის ნორმალურ საზოგადოებაში ცხოვრების ელემენტალურ პრინციპებს, ხოლო იმას, რასაც ცხოვრებაში მიაღწია, ვერავითარი ძალა ხელიდან ველარ გააგდებინებს.

არ ვიქნები ბოლომდე გულწრფელი, თუ არ ვიტყვი, რომ იმ „იდეურ-პოლიტიკური პრინციპების" ტყვეობაში ერთხელ მეც მოვხვდი. ერთი ჩემი ნათესავი ქალი ცოლად თავისზე ხნიერ კაცს გაჰყვა. მგონი, წესიერი, კეთილი, ზრდილი პიროვნება იყო. მაგრამ

როცა მკითხეს, სიძე-ბატონი როგორ მოგეწონაო, ხელი ამრეზით ჩავიქნიე, კარგად არ ვიცნობ, მაგრამ ეგ საბჭოთა ადამიანი არ უნდა იყოს-მეთქი. ის ბეჩავი საძულველი იმპერიალისტების ბანაკში იმიტომ გადავისროლე და ნათელი მომავლისაკენ მიმავალი გზაც სამუდამოდ იმიტომ გადაეუკეტე, რომ ძილის წინ (ამბავი სოფელში ხდებოდა)... აბრეშუმის პიჟამა გადაიცვა. მადლობა ღმერთს, მეტი ასეთი მეტიჩრობა არასოდეს გამომიჩენია.

XXX

იმ აღტყინებამ, რაც უნივერსიტეტში შესვლისას გამოვიწვიე და რამაც ჩემს თვალში პირდაპირ რესპუბლიკური მასშტაბები შეიძინა, ცუდი სამსახური გამიწია. ცოტა მოთავხედო, მეტისმეტად თავდაჯერებული სტუდენტი გახლდით. ზედმეტად მიმაჩნდა მეცადინეობაც და ლექციებზე დასწრებაც კი. ლექციას თუ დავესწრებოდი, თავი არც თუ სამაგალითოდ მეჭირა. (დოცენტმა სევერიან ყალიჩავამ ერთხელ ლექციიდანაც კი გამომაგდო, სხვათა შორის, ამჯერად, სრულიად უდანაშაულოდ). მაგრამ იანვრის სესიაზე პროფესორმა არნოლდ ჩიქობავამ „ზოგად ენათმეცნიერებაში" მაინც „ხუთი" დამიწერა, მიუხედავად იმისა, რომ „სამზე", ან, ჰა, „ოთხზე" ძლივს ვუპასუხე.

- რამდენ ხანს მეცადინეობდი, რამაზ? - მკითხა მან.

- ერთი თვე. - ტყუილი ისე ვუთხარი, რომ თვალი არ დამიხამხამებია.

- არა, ერთი თვე არ გიმეცადინია, - რბილად მისაყვედურა ბატონმა არნოლდმა. მისი საქციელი ბოლომდე ახლაც ვერ ამიხსნია. უფრო ის იყო, რომ იცოდა, ამ ბიჭმა შემოსასვლელ გამოცდებზე შვიდი „ხუთიანი" მიიღო და მაგრძნობინა, მეტი სერიოზულობა და, თუ სიმართლე გითხრა, პროფესორისადმი მეტი პატივისცემა გმართებსო.

ლიტერატურის თეორიის ლექტორმა მამია დუდუჩავამ მე და განსვენებული ფარნაოზ ერთელიშვილი ჯერ იყო და გარეთ

გამოგვყარა, გრცხვენოდეთ, ასე მოუმზადებელი მოდიხართო, მეორე გასვლაზე კი „ოთხიანები“ დაგვიწერა და თან დაგვამადლა, არც ამისი ღირსნი ხართ, მაგრამ არ მინდა, სტიპენდია დაგიკარგოთო. ფონეტიკის ლექტორმა სერგი ჟღენტმა კი არაფრად ჩააგდო ის გარემოება, რომ სტიპენდია მაშინ მხოლოდ „ხუთოსნებს“ და „ოთხოსნებს“ ეძლეოდა და რაკი ვერცერთ კითხვაზე ვერ ვუპასუხე, თავი კი საკმაოდ გამომწვევად მეჭირა, მატრიკულში ისეთი „სამიანი“ ჩამიხატა, რომ თქვენი მოწონებული. ღვთის წინაშე, შეეძლო სულაც ჩავეჭერი; მაშინ მეორედ მომზადებული გავიდოდი და იქნებ „ხუთიანიც“ კი მიმეღო. სხვათა შორის, მერე, გადასახლებიდან რომ დავბრუნდი, ს. ჟღენტი უნივერსიტეტში ძალიან თბილად შემხვდა და მაგრძნობინა, ყოველგვარი დახმარებისათვის მზადა ვარო. თითქოს საქციელწამხდარიც კი იყო...მგონი, თავის დროზე იმავე არნოლდ ჩიქობავამ უსაყვედურა კიდეც, იმ ბიჭისთვის „სამიანი“ რამ დაგაწერინაო. არ ვიცი... ეს კი იყო, რომ სალამზე ცივად ვუპასუხე და გავშორდი, აქაოდა, დამხმარე ახლა სხვაც ბევრი მყავს, თქვენ აღარაფერში მჭირდებით-მეთქი. ჩემებური ყოყლოჩინობა გადასახლებიდანაც თან ჩამოვიტანე.

არნ. ჩიქობავას „ხუთიანს“ კი, აი, რა მოჰყოლია: რამდენიმე ჩემი თანაკურსელი განრისხებულა, ეგ ჩვენთან ერთად ღლაბუცობს, ანცობს, ლექტორებს ურევს, თან კი, თურმე, ჩუმ-ჩუმად მეცადინეობს, თორემ ჩიქობავა „ხუთიანს“ როგორ დაუწერდაო. ფარნაოზ ერთელიშვილი ამაოდ ცდილა დაერწმუნებინა, ერთად ვაბარებდით არნოლდს თითქმის ვერც ერთ კითხვაზე ვერ უპასუხაო.

- აბა, „ხუთი“ რატომ დაუწერა?!

- არ ვიცი.

- ჰოი!..

ის ჩემი ამხანაგები თბილისში ცნობილი ლიტერატორის შვილები იყვნენ. დატრიალდნენ და... უსტიპენდიოდ მარტო მე დავრჩი.

ახლა თუ გეტყვით, იმ სტიპენდიის დაკარგვამ ჩემი მშობლები აღტაცებაში მოიყვანა-მეთქი, ნუ დამიჯერებთ. საერთოდ, ჩვენს

ოჯახში ასეთი „წესი“ იყო: სტიპენდია უკანასკნელ კაპიკამდე დედაჩემისთვის უნდა ჩამებარებინა. ახლაც არ ვიცი, ის ფული რაზე იხარჯებოდა. მე კი მეცხრე კლასში რომ პალტო შემიკერეს, უნივერსიტეტიც იმ პალტოთი დავამთავრე. ერთი მატრაკვეცა სტუდენტი გოგო კიდეც „გამეხუმრა“, პალტო დაგმოკლებიაო და იძულებული გამხადა, განმემარტა, პალტო კი არ დამიმოკლდა, მე თითონ გავიზარდე-მეთქი. ისე კი ნამდვილად კარგი იქნებოდა, სადმე სამსახური დამეწყო და ჩემს პალტოზეც და სხვა დანარჩენზეც თითონვე მეზრუნა. მაგრამ წარმომიდგენია, რა ამბავს ასტეხდა მაშინ დედაჩემი! ეს ხომ მისი დიდებული, სახელოვანი ოჯახის დამცირება იქნებოდა.

ერთხელ უკვე გითხარით, რომ ზედმეტად თავმოყვარე და შთაბეჭდილებიანი ვიყავი. სერგი ჟლენტის „სამიანმა“ კალაპოტიდან ამომაგდო. ველარც შინ ვჩერდებოდი და ალარც გარეთ გამოსვლა მინდოდა. უნივერსიტეტის აუდიტორიები თვალით დასანახად შევიძულე. საქმე, რა თქმა უნდა, მარტო სტიპენდია კი არ იყო, არამედ ხსენებული თანაკურსელების ბრიყვული საქციელიც. ძალიან ცოტა ყოფილა საჭირო, რომ ახალგაზრდა ადამიანს მთელი ქვეყნიერება შეაძულო. მაშინ არა ერთმა და ორმა მითხრა, ისეთი გამომეტყველებით დადიხარ, თითქოს მთელი ქვეყნიერების დარდი შენ გაწევსო. განგებამ კი ასე ინება, რომ ჩემი პირადი შეჭირვებანი დროში იმ დიდ ტრაგედიას დამთხვეოდა, რომელიც საბჭოთა კავშირს მაშინდელმა უნიჭო და ტრაბახა მმართველებმა, უპირველეს ყოვლისა კი იოსებ ჯუღაშვილმა დაატეხეს. მხედველობაში მაქვს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომი, რასაც ისტორიაში გაუგონარი სისხლის მდინარეები, ნგრევა, შიმშილი, ტანჯვა, განუკითხაობისა და უსამართლობის ახალი მოზღვავება მოჰყვა. იმ ომის წინა პერიოდს, დაწყებას, მსვლელობასა და შედეგებს კი, ჩემის აზრით, ხშირად ახლაც არასწორად აფასებენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეხუთე

საბჭოთა კავშირში, თითქოს, ერთი ადამიანიც კი არ ყოფილა, ვისაც ჰიტლერისა და სტალინის დამეგობრება არ გახარებოდეს. „აი, მესმის გონივრული პოლიტიკა! - გაისმოდა ყოველი მხრიდან, - ინგლისელებს, მაგ გაუმაძღარ იმპერიალისტებს, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ნარ-ეკლის სხვის ხელით გლეჯვას აპირებდნენ? ვერ მიართვეს! ახლა გერმანია და საბჭოთა კავშირი - ორი გოლიათი ერთადაა. ვინც ბიჭია, წინ გადაუდგეს“.

მაგრამ ამავე დროს გამოუკლებლივ ყველას ეჭვის ჭიაც ღრღნიდა. გუშინ არ იყო, რომ ჰიტლერსა და მის სახელმწიფოს უშვერი სიტყვებით ვლანძღავდით? ვიცოდით, რომ ჰიტლერს თავისი ცხოვრების უმთავრეს მიზნად საბჭოთა კავშირის განადგურება მიაჩნდა. ახლა რაღა შეიცვალა?

- ჰიტლერმა ჭკუა იხმარა! - რიხიანად პასუხობდნენ პარტიული ფუნქციონერები, - დარწმუნდა, რომ უძლეველ საბჭოთა კავშირთან ბრძოლა არ შეეძლო. ამიტომ მეგობრობა არჩია.

- გუშინ გიჟსა და დამთხვეულს ვეძახდით...

- მაშინ ასე იყო საჭირო. ახლა სამეგობროდ გამოიწია. ხელი ვკრათ? არა! საბჭოთა კავშირი მშვიდობის ბურჯია. სტალინს არაფერი შეეშლება. არა, - და უფრო დაბალი ხმით, - გერმანიასთან ომი მაინც გარდაუვალია. მაგრამ ჯერჯერობით... ინავარდოს ევროპაში ამასობაში ჩვენ კიდევ უფრო გავძლიერდებით და, თუ რამე გაბედა...

ასეთი იყო ჩვენი პოლიტიკური აზროვნების მაშინდელი დონე. იმდენიც კი არ გვესმოდა, რომ „ევროპაში ნავარდი“ ჰიტლერს არნახულად გააძლიერებდა. ბევრი კი დღესაც იმ ჭკუაზეა. ამასწინათ ცნობილი ქართველი კრიტიკოსი სერიოზულად მიმტკიცებდა, სტალინისთვის 1941 წლის 22 ივნისს ჰიტლერის თავდასხმა მოულოდნელი სულაც არ ყოფილა, ყველაფერი წინასწარვე გამოთვლილი ჰქონდა, მტერი ქვეყნის სიღრმეებში შემოიტყუა და მერე გაანადგურაო. - თუმცა რა, დღეს ჩვენ ისიც კი გვაეიწყდება,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ ბოლოსდაბოლოს სტალინმა ომი მოიგო! - კრიტიკოსმა ცალი წარბი მრავალმეტყველად აქაჩა და დამემშვიდობა.

არა, ბატონო! არ გვავიწყდება. ვიცით, რომ სტალინმა ომი ბოლოსდაბოლოს, მართლაც მოიგო. მაგრამ ომი იმან ჰიტლერს მოუგო, თუ ფრანკლინ რუზველტს, რომელიც გაჭირვებაში ჩავარდნილ „ხალხების მამას“ გვერდში ამოუდგა და ყოველმხრივ დაეხმარა, ეს ჯერაც საკითხავია. სტალინის ლაჩრული და გველაძუა ბუნება თავიდან ბოლომდე სწორედ ამ ომში გამოჩნდა. მან სწორად ის კაცი გაატყავა და გაფცქვნა, ვინც მას ენდო, კაცად მიიჩნია და კაცურადვე ექცეოდა.

მეტყვიან, პოლიტიკამ კაცობა და ადამიანობა არ იცისო.

იცის! სიცრუე და ვერაგობა პოლიტიკაშიც მხოლოდ დროებით შედეგებს იძლევა. ეს ამ ომის შედეგებმაც დაადასტურა. ამერიკელები ტრუმენის დახმარებით ბოლოსდაბოლოს მიხვდნენ, რომ სტალინი რუზველტს - თავის მხარდამჭერსა და ხელისგამმართველს ყოველ ნაბიჯზე ატყუებდა, აღმოსავლეთ ევროპაც ასწაპნა, ჩინეთიც და უფრო შორსაც იცქირებოდა. ამიტომ ჩერჩილი ფულტონში მიიწვიეს, საპროგრამო სიტყვა ათქმევინეს, პოლიტიკური გეზი 180 გრადუსით შეცვალეს და საბჭოთა კავშირს, რომელმაც ვალის გადახდაზე უარი განაცხადა, გრანდიოზული, ყოვლისმომცველი პოლიტიკურ-ეკონომიკური ბლოკადა მოუწყვეს, ახლა „ცივი ომის“ სახელით რომ იხსენიება. იზოლირებული საბჭოთა კავშირი ცივილიზებულ მსოფლიოს შორს ჩამორჩა. საქმეს ვერც იმან უშველა, რომ სტალინმა მეცნიერებს ხელფასები მოუმატა და „პირობები შეუქმნა“. თუ მეცნიერს შეცდომის დაშვებისა ეშინია, თუ იგი კვლევით მუშაობაში რისკზე წასვლას ვერ ბედავს და ყოველ ნაბიჯზე შიშისგან სული ძვრება,მისგან დიდ ხეირს ნუ გამოელით. მეცნიერული აზრი კი საბჭოთა კავშირში სტალინის დროს, მით უმეტეს კი ომისშემდგომ წლებში პირდაპირ გაქვავებული იყო. ამისი შედეგები კი ახლა გამოჩნდა, როცა „გლუშიტელები“ მოიხსნა, ხმის ამოღების უფლება მივიღეთ და დავინახეთ, რომ ჩვენი საამაყო საბჭოეთი ცივილიზებულ მსოფლიოს კუდში მისჩანჩალებს და

როდესმე დაეწევა თუ არა, ის ღმერთმა იცის. ახლა იმასაც ვხედავთ, რომ ეს გარდაუვალი, ლოგიკური შედეგია ყოველივე იმისა, რაც „კაცობრიობის უდიდესი გენიოსის“ დროს ქვეყანაში ხდებოდა. ან სხვა რა შედეგი მოჰყვებოდა, ვთქვათ, ბიოლოგიურ მეცნიერებაში უმეცარი აგრონომის ლისენკოს გაბატონებას? ფიზიოლოგიაში გამოტვინებული ბერიქალის ლეპეშინსკაიას „აღმოჩენებს“? კიბერნეტიკის გაბიაბრუებას? ჟდანოვის ლიტერატურულ-კრიტიკულ ხულიგნობას? მხატვრულ ლიტერატურაში ბაბაევსკისა და მისთანების გამეფებას? შოსტაკოვიჩსა და პროკოფიევის მუსიკის მიწასთან გასწორებას? ახლა ომისშემდგომი წლების საქართველოში ჩამოვიხედოთ და ქართველი სტალინისტების „ნამოღვაწარი“ გავიხსენოთ: აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი - იდეალისტი და იმპერიალიზმის აგენტი; აკადემიკოსი დიმიტრი უზნაძე - იდეალისტი და ხალხის მტერი; აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი - იდეალისტი, შენიღბული მტერი და იდეოლოგიური დივერსანტი;აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე - იდეალისტი და კოსმოპოლიტიზმის მედროშე; პროფესორი კოტე ბაქრაძე - იდეალიზმის ჭაობში ჩაფლული, „მოფილოსოფოსო პიროვნება“ და ა.შ. და ა.შ. გადარჩა კი ერთი სერიოზული და ნამდვილი მეცნიერი მაინც, რომ მიწასთან არ გაესწორებინათ? მადლობა ღმერთს, ის წლები ციხეებსა და ლაგერებში მოვათიე, თორემ ხომ შეიძლებოდა, „იდეურ ამხანაგებს“ ავყოლოდი და... რითი ვიყავი დაზღვეული? რამდენი ვიცი, რომ იმ დიდებულ მეცნიერებს დღისით ქვას და გუნდას უშენდა, შელამებულზე კი სახლში მიუცუცქდებოდა და ბოდიშებს უხდიდა, რა მექნა, დამავალესო...

სტალინი რკინის ლოგიკის ადამიანი იყო! რა ლოგიკაა, მაგალითად, ე.წ. „მეგრელების საქმეში“? ისინი ხომ თავგადადებული სტალინისტები იყვნენ? ციხეებში რატომ-ღა ჩაჰყარა და ცემით სული ამოჰხადა? შეიძლება კი იმ ქვეყანას, სადაც ყველა ამ სიმახინჯეს, სიბრიყვეს, უმეცრებას, განუკითხაობას, სისასტიკეს - მოქალაქეობრივი უფლებები აქვს მოპოვებული - შეიძლება ამ ქვეყანას ნორმალური ეწოდოს? ჩვენ კი მას ნორმალურს კი არა,

კაცობრიობის გზისგამკვლევ ვარსკვლავად ვთვლიდით.

ასეთი იყო ჩვენი ცხოვრება. ასე ვფიქრობდით და გვჯეროდა ჩვენ მაშინ. ან, ყოველ შემთხვევაში, საკუთარ თავსაც და სხვებსაც ვაჯერებდით, გვწამს და გვჯერაო.

ეს - რაც შეეხება ქვეყნის შინაურ საქმეებს.

არანაკლები სირთულეები იყო საერთაშორისო ცხოვრებაშიც.

ევროპის პოლიტიკურ სარბიელზე ომისწინა წლები ჰიტლერის ზედიზედ მიყოლებული პოლიტიკური და სამხედრო გამარჯვებების დრო იყო. ეს რაიხსკანცლერიც ისეთივე ამორალური ქუჩის სალახანა და ადამიანთა მოდგმის მოუსვენარი მტერი იყო, როგორც ჯულაშვილი. მასაც შეეძლო, რაღაც აკვიატებული, „მესიანისტური“ იდეის გულისათვის სისხლის ზღვაში ჩაეხრჩო მილიონობით და ათეული მილიონობით ადამიანი. და ჩაახრჩო კიდეც. წარბიც კი არ შეუხრია. მაგრამ გადავხედოთ იმ წლების ევროპას, შევაფასოთ, რაკი დღეს ამისი შესაძლებლობა გვაქვს, მაშინდელი ევროპის პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიური ურთიერთობანი და დავინახავთ, რომ ჰიტლერს გაუკეთებია იმისი მაქსიმუმი, რისი გაკეთების საშუალებასაც აგრესიული გერმანული სახელმწიფოს მეთაურს მაშინდელი საერთაშორისო ვითარება აძლევდა. ეს შესაძლებლობები ჰიტლერმა ბოლომდე ამოწურა, სწორედ იმიტომ, რომ აბსოლუტურად გულგრილი იყო ყოველგვარი მორალური პოსტულატისადმი და პოლიტიკურ თამაშში არ ერიდებოდა არაფერს - ტყუილი იქნებოდა ეს დემაგოგია, შანტაჟი თუ ქრთამი და მოსყიდვა. ახლა ცნობილია, მაგალითად, რომ იაპონიასთან კავშირის გაფორმება, რომლის მნიშვნელობასაც საბჭოთა კავშირის მესვეურები ყოველნაირად ბუქავდნენ, ჰიტლერმა მხოლოდ მილიონებიანი ქრთამის გზით შესძლო.

ჰიტლერს არასოდეს დაუმალავს, რომ მისი პოლიტიკური ბრძოლის მთავარი მიზანი კომუნიზმის განადგურება და აღმოსავლეთში „სასიცოცხლო სივრცის“ მოპოვება იყო. თუ საჭადრაკო ტერმინოლოგიას მოვიშველიებთ, ჰიტლერისა და სტალინის ორთაბრძოლა ხანგრძლივი და მომქანცველი მატჩი

იყო, რომელიც მრავალი პარტიისაგან შედგებოდა. იმ პარტიებიდან ჰიტლერმა ბევრი მოიგო. განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო რამდენიმე იმ პარტიათაგანი.

ჰიტლერმა ისარგებლა სტალინსა და ტუხაჩევსკის მტრული ურთიერთობით და საბჭოთა კავშირის მეთაურს პროვოკაციების გზით 1937-1938 წლებში წითელი არმიის გენერალიტეტი გაანადგურებინა, რამაც ძალიან დაასუსტა ქვეყნის თავდაცვის უნარიანობა.

ჰიტლერმა ჩაითრია საბჭოთა კავშირი ფინეთთან ომში, რამაც, ერთი მხრივ, ძალიან შეასუსტა ქვეყნის მორალურ-პოლიტიკური ავტორიტეტი, ხოლო მეორეს მხრივ, მთელს მსოფლიოს დაანახა, რომ წითელი არმია თანამედროვე ომის წარმოებისთვის მზად არ იყო.

განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო ჰიტლერ-სტალინის მატჩის ის პარტია, რომელიც ახლა მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის სახელითაა ცნობილი. ზოგიერთ ჩვენს ისტორიკოსს ამ პაქტის დადება ძალიან გაიოლებულად წარმოუდგენია. მაგალითად, ასე: ჩამოვიდა რიბენტროპი 1939 წლის 20 აგვისტოს მოსკოვში, დილის ათ საათზე, მივიდა გერმანიის საელჩოში, პირი გაიპარსა, მოწესრიგდა, ისაუზმა, მერე კი მოლოტოვს გადაურეკა და უთხრა, - ადამიანო, ქრისტიანო, რა გვაქვს ჩვენ გასაყოფი, ის არა სჯობია, დავმეგობრდეთ და ინგლის-საფრანგეთს საერთო ძალით შევუტიოთო?

- რომელი ხარ?

- რიბენტროპი ვარ.

- ჰოო... მერე, მაგაზე ჰიტლერი რას იტყვის? - დაინტერესდა მოლოტოვი.

- ჰიტლერიც ამ აზრისაა. სტალინი?

- ახლავე დაველაპარაკები.

მოლოტოვმა სტალინს გადაურეკა. სტალინიც ამ აზრისა ყოფილა. მოლოტოვმა რიბენტროპს გადმოურეკა. შეთანხმდნენ. მდივნებს ტექსტი დააწერინეს, მემანქანეებს დააბეჭდინეს, ხელი

მოაწერეს და - მორჩა. 12 საათზე ხელშეკრულება მზად იყო. მერე ერთად ისადილეს, ერთმანეთს დღეგრძელობა უსურვეს და რიბენტროპი ბერლინს გაემგზავრა.

ნამდვილად კი ჰიტლერმა ამ საქმის „ჩაწყობა“ 1939 წლის აპრილიანი გაზაფხულიდან დაიწყო, როცა საფრანგეთის განადგურება უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა.

საფრანგეთთან და საერთოდ, მთელს ევროპასთან საომრად ჰიტლერს ჭირდებოდა არა მარტო პური, ნავთობი, მარგანეცი, ხეტყე, შაქარი, ხორცი და კიდევ ბევრი რამ, რაც საბჭოთა კავშირში უხვად ეგულებოდა, არამედ ესაჭიროებოდა უხიფათო, საიმედო ზურგიც, ე.ი. მას, გერმანიის მწარე გამოცდილების გათვალისწინებით, უნდა ეომა მხოლოდ ერთ ფრონტზე, ე.ი. მოეხდინა საბჭოთა კავშირის ნეიტრალიზაცია, სანამ ევროპაში თავის საქმეებს მოათავებდა.

1934 წლის გაზაფხულზე ბერლინში საბჭოთა დიპლომატებს საკენკი დაუყარეს, - იქნებ, მოგველაპარაკა, მოვრიგებულიყავით, ინგლისელებსა და ფრანგებს ნუ შევეჭმევინებითო.

ამას სამხედრო და ეკონომიკური ექსპერტების გაცვლა მოჰყვა. ჰიტლერის სპეციალისტებს საბჭოთა კავშირში საქმე ბევრი არაფერი ჰქონდათ, ისედაც კარგად იცოდნენ, სტალინი რისი პატრონიც იყო, საბჭოთა ექსპერტები კი გერმანიიდან თავზარდაცემულნი დაბრუნდნენ.

ჰიტლერმა ბრძანა და საბჭოთა სპეციალისტებს ვერმახტმა ფართოდ გაუღო თავისი არსენალების კარები, - აი, ბატონები, ნახეთ, რისი პატრონებიც ვართო. ჰიტლერის ვარაუდი სწორი გამოდგა: მისი თვითმფრინავები, ტანკები, არტილერია, საერთოდ, ყველაფერი, რაც ომისათვისაა საჭირო, ბევრად სჯობდა საბჭოთა სამხედრო აღჭურვილობას. ამაში საბჭოთა სპეციალისტები თვალნათლივ დარწმუნდნენ; რომ გერმანიის ვერმახტთან ბრძოლა მაშინდელ წითელ არმიას, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან გაუჭირდებოდა. მაგრამ კიდევ ერთი ყურადსაღები მომენტიც დაემატა: ეჭვიანი და უნდო სტალინის მიერ გამოზრდილმა

სპეციალისტებმა არ დაუჯერეს, რომ გერმანელები მათ მართლაც ყველაფერს აჩვენებდნენ და არაფერს უმალავდნენ, საბჭოთა ექსპერტთაგან ერთ უმთავრესს - ავიაციის მარშალ გოლოვანოვს, სიკვდილამდე თავგადაკლულ სტალინისტად რომ დარჩა, მაღალი თანამდებობის გერმანელ ოფიცერთან კონფლიქტიც კი მოუხდა, - ბევრ რამეს გვიმალავთ და არ გვაჩვენებთო.

გერმანელმა იტკიცა, ოფიცერს მატყუარობას მაბრალებენო, და გოლოვანოვი კინაღამ დუელში გამოიწვია. დაბნეული, ეჭვითა და უნდობლობით ყელამდე გამოტენილი ექსპერტები მოსკოვში დაბრუნდნენ და სტალინს „სრული სიმართლე" მოახსენეს, - რაც გვაჩვენეს, ის ხომ არის და არის, მაგრამ რაც დაგვიმალეს და არ გვაჩვენეს, ის ალბათ, მთლად ღვთის რისხვაა.

„კაცობრიობის უდიდესი გენიოსი" დაიბნა. უფრო ზუსტად, შეშინდა და ზუსტ პოლიტიკურ ორიენტირებას ვინ-ღა ჩივის, საღი აზროვნების უნარიც კი დაჰკარგა. მან სასწრაფოდ ხელშეკრულება დაუდო თავის უმთავრეს მტერს, რომელიც - ეს თითონ სტალინმაც იცოდა და მისმა მტერმაც, - ხვალ-ზეგ უთუოდ თავს დაესხმოდა და სრულ განადგურებას დაუპირდება.

ის ხელშეკრულება რაღაც ფარმალური, ფარატინა ქაღალდი სულაც არ ყოფილა. გერმანიისაკენ შეუჩერებლივ დაიძვრნენ პურით, მარგანეცით, ნავთობით, ხე-ტყით, ხორცით, შაქრით და ათასი სხვა რაღაცით დატვირთული ათეულობით და ასეულობით ეშელონები.

ჰიტლერმა სწორედ ის მიიღო, რაც ევროპაში საომრად ესაჭიროებოდა. გარდა ამისა, მან მიიღო იმისი მტკიცე გარანტია, რომ სანამ იგი საფრანგეთს და სხვებს გაუსწორდებოდა, ზურგიდან არაფერი დაემუქრებოდა და ორ ფრონტზე ომი არ მოუწევდა. ჰიტლერი საფრანგეთს ეძგერა და თვენახევარში დააჩოქა. ინგლისის ბედი ბეწვზე დაეკიდა. ჰიტლერი თავის ნებაზე დათარეშობდა მთელს ევროპაში. მან მთელი ევროპის სამხედრო და ეკონომიური პოტენციალი თავის სამსახურში ჩააყენა და უმაგალითოდ გაძლიერდა. მთელი მსოფლიოსგან იზოლირებული საბჭოთა კავშირი კი მარტოდმარტო დარჩა თავის მტრის პირისპირ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ხვალ-ზეგ უთუოდ თავს დაესხმოდა.

რა მიიღო სტალინმა ჰიტლერთან ხელშეკრულების დადების შედეგად?

ბალტიისპირეთი, დასავლეთ უკრაინა და ბელორუსია, ტერიტორიები, რომლებიც 1941 წლის ივნისში საბჭოთა კავშირზე თავდასხმისას ჰიტლერის არმიამ რამდენიმე საათში გადმოირბინა.

რა გააკეთა სტალინმა 1939 წლის სექტემბრიდან 1941 წლის ივნისამდე ქვეყნის თავდაცვის გასაძლიერებლად? არაფერი, გარდა იმისა, რომ უსაქმური და უნიჭო ვოროშილოვი მოხსნა და მის ნაცვლად თავდაცვის სახალხო კომისრად ასევე უნიჭო ტოროშენკო დანიშნა და ლაგერებიდან გამოაშვებინა სამიოდე გენერალი - როკოსოვსკი, მერეცკოვი, გორბატოვი, რომლებიც ოცდაჩვიდმეტში დახვრეტას სულ შემთხვევით გადაურჩნენ. 1940 წელს სტალინმა უკვე ჩინებულად იცოდა, რომ 37-ში გაბრიყვდა და წითელი არმიის გენერალიტეტი სრულიად უმიზეზოდ გაანადგურა. მაგრამ მკვდრების გაცოცხლება არც სტალინს შეეძლო. ხოლო რა როლი შეასრულეს აქ ხსენებულმა გენერლებმა სამამულო ომში, განსაკუთრებით მარშალმა როკოსოვსკიმ, ეს სამხედრო სპეციალისტებს უკვე გამორკვეული აქვს.

რისი იმედი ჰქონდა სტალინს, როცა ხედავდა, როგორ დღითიდღე ძლიერდებოდა ჰიტლერი, როგორ ზედიზედ ემხობოდნენ ფიურერის წინაშე ევროპის სახელმწიფოები და როგორ გარდაუვალად უახლოვდებოდა საბჭოთა კავშირს მომაკვდინებელი საფრთხე? იმედოვნებდა, არაფერია, გაძლიერდეს, მთელი ევროპაც აიღოს, მე მაინც ვერ მომერევაო? ძნელი დასაჯერებელია. ასეთი ბრიყვი „კაცობრიობის უდიდესი გენიოსიც“ კი არ იქნებოდა. მაშ, რისი იმედი ჰქონდა? გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არაფრისა და არავისი. ჰიტლერმა იგი სრულ საერთაშორისო პოლიტიკურ იზოლაციაში მოაქცია, სამხედრო სტრატეგიული ინიციატივა წაართვა და მატერიალურადაც გაამათხოვრა. სტალინი მოვლენების მსვლელობას იყო მინდობილი. მეტი აღარაფერი შეეძლო.

1941 წლის 22 ივნისს ჰიტლერი საბჭოთა კავშირს დაეცა. ომის დაწყება ხალხს საგარეო საქმეთა კომისარმა მოლოტოვმა ამცნო, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა. თვითონ სახელმწიფოს მეთაური მიკროფონთან ორი კვირის შემდეგ, 3 ივნისს ძლივს მილასლასდა, როცა ბელორუსიის დედაქალაქი მინსკი გერმანელებს უკვე ალებული ჰქონდათ. იმ გამოსვლის ტექსტს მას აქეთ ფხეკენ და ალამაზებენ, როგორც ცნობილი № 267 ბრძანებისას, რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობს, საბჭოთა მოქალაქეების გარდა. კბილებამდე შეიარაღებული გერმანული არმია რკინის ნიაღვარივით მიიწევდა პირდაპირ მოსკოვისაკენ. და მაშინ საბჭოთა კავშირს დახმარების სწრაფი ხელი იმ პოლიტიკოსმა გამოუწოდა, ვისგანაც სტალინი არასგზით არ მოელოდა. ეს პოლოტიკოსი ინგლისის პრემიერ-მინისრი უინსტონ ჩერჩილი იყო.

ჩერჩილს ყველაფერზე ნაკლებად კომუნისტური წესწყობილების ბედი აეჭვებდა. მეტიც, იგი თავისი სისხლის უკანასკნელ წვეთს გაიღებდა, ოღონდ კი ეს წიგნებში ნაფათურევი თითიდან გამოწოვილი, ადამიანის ბუნების აბსოლუტურად საწინააღმდეგო, სულისშემხუთველი წყობა დედამიწის პირისაგან აღგვილიყო. მაგრამ ჩერჩილისთვის უცხო იყო ყოველგვარი პილიტიკური დოგმატიზმი. ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში იგი ისე მოქმედებდა, როგორც მისი ქვეყნისათვის იყო საჭირო. მან კარგად იცოდა, რომ ჩემბერლენისა და სტალინის ბეცი პილიტიკის შედეგად არნახულად გაძლიერებულ გერმანიასთან მარტო ინგლისს, ან მარტო საბჭოთა კავშირს გამკლავება არ შეეძლო. და ამ პართლაც შორს მჭვრეტელმა, უმაგალითო ენერგიის მქონე პოლიტიკოსმა ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნა მაშინაც კი მოახერხა, როცა საამისოდ თითქოს აღარავითარი პირობები აღარ არსებობდა.

ერთი საყურადღებო დეტალი მახსენდება: ჩერჩილის ემისარმა მოსკოვში ლორდმა ბივერბრუკმა განაცხადა, სტალინს არასგზით არ სჯეროდა, რომ ჩვენ ინგლისელები, მას მართლა დავეხმარებით და დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რომ იგი ამაში დამერწმუნებინაო. ბივერბრუკმა მოითხოვა, რომ ეს მისი განცხადება უთუოდ საბჭოთა

პრესაში გამოქვეყნებულიყო. სხვა გზა აღარ ჰქონდათ და ბიელრბრუკს ეს თხოვნა შეუსრულეს. მერე კი, ომის დამთავრებისა და სტალინის სიკვდილიდან კარგა ხნის შემდეგ მარშალმა ჟუკოვმაც კი აღიარა, მოკავშირეებმა დიდი დახმარება აღმოგვიჩინესო.

უკვე ფრანკლინ რუზველტთან მივედით. ეს პოლიტიკოსი რამდენადაც დიადი, შეუდარებელიც კი იყო 30-იან წლებში, როცა ამერიკის შეერთებული შტატები უღრმესი ეკონომიკური კრიზისიდან გამოიყვანა, იმდენად არაკომპეტენტური და ბეცი გამოდგა ომის წლებში, როცა მას აქტიურ საგარეო ასპარეზზე გამოსვლა და ევროპის საქმეებში ჩარევა მოუხდა.

დიდი საგარეო შორსმჭვრეტელობით იგი არც ომამდე გამოირჩეოდა. საყოველთაოდ ცნობილია, მაგალითად, თუ მთელს მსოფლიოში როგორი აღშფოთება გამოიწვია ე.წ. მიუნხენის გარიგებამ, როცა ჩემბერლენმა ჰიტლერს ჩეხოსლოვაკია გამოხრული ძვალივით მიუგდო და ამით აგრესორი „დააშოშმინა". ჩემბერლენს თვით ინგლისის პალატაშიც სტვენა-ღრიალით შეხვდნენ და უსინდისოც კი უწოდეს. და მთელს მსოფლიოში ერთადერთი პიროვნება, ვინც ჩემბერლენს ეს ნაბიჯი მოუწონა, რუზველტი იყო. ინგლისის უნიჭო, სახედარივით ჯიუტ პრემიერს მან ერთსიტყვიანი დეპეშა გამოუგზავნა - „ყოჩაღ!" მარტო ერთი ეპიზოდიც ნათლად ამტკიცებს, თუ რა ცუდად ერკვეოდა მსოფლიოს უმდიდრესი და უძლიერესი ქვეყნის პრეზიდენტი ევროპის პოლიტიკურ ლაბირინთებში.

მაგრამ პირდაპირ საარაკო საქმე დამართა რუზველტს იოსებ ჯუღაშვილმა. ჰიტლერის მიერ მოტყუებულმა, დაშინებულმა და გაძარცვულმა სტალინმა იცოდა, რომ ჩერჩილთან თამაში და ორპირობა მაინც სახიფათო იყო. ამიტომ გეზი უფრო მდიდარსა და უფრო გულუბრყვილობაზე აიღო. და აი, აქ მართლაც აღარ მოტყუებულა. გაუმართლა. მან მოხერხებულად ამასაც წესი აუგო. შემდეგ ასევე გამოიყენა მოლოტოვი და ვოროშილოვი ბუხარინის წინააღმდეგ და რომ დაცლოდა, ამათაც წესს აუგებდა. მე პირადად ამაში არავითარი ეჭვი არ მეპარება. სტალინი ის კაცი არ იყო,

თავისი სიბრიყვის, სირცხვილის, პროსტრაციისა და ისტერიკის მოწმეები ცოცხლად დაეტოვებინა. მას უკვე ჩამოსხმული ჰქონდა ბერიას დასახვრეტი ტყვიაც, რისი პირისპირი დასტურიც ე.წ. „მეგრელთა საქმე" გახლავთ.

რუზველტი სტალინს არ დაუხვრეტია. მაგრამ ყველაფერი ის, რაც ამ პრეზიდენტის სიკვდილს ამერიკის საგარეო და საერთაშორისო პოლიტიკაში მოჰყვა, რუზველტის - ომის დროინდელი საგარეოპოლიტიკა, მისი სასაცილოალიანსი „კეთილ მოხუც ძია ჯოსთან" ამ პრეზიდენტის სრული პოლიტიკური კრახია, რისი შედეგებიც ახლა, ნახევარი საუკუნის შემდეგ ძლივს სწორდება. „კეთილმა მოხუცმა ძია ჯომ" (ასე იხსენებდნენ სტალინს რუზველტის ოჯახში) ამერიკის პრეზიდენტი პირდაპირ გაძარცვა. ამ გზით ჰიტლერს აჯობა და ბინა მარმარილოს მავზოლეუმში დაიდო, ჰიტლერმა კი ტყვია იკრა და სულაც უსაფლაოდ დარჩა. ტრუმენმა ამერიკის საგარეო პოლიტიკის კურსი 180 გრადუსით შეატრიალა და საბჭოთა კავშირის გუშინდელი უერთგულესი მეგობარი მის დაუძინებელ მტრად იქცა. ვინ იყო მართალი - რუზველტი თუ ტრუმენი, ამ კითხვის პასუხი აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს უნდა ეკითხოთ, ვინც სტალინის უღელი, ის უღელი, აი, ახლა, ორმოცდაათი წლის შემდეგ ძლივს გადაიგდო კისრიდან.

ომის დროს ჩერჩილის ზოგი პოზიციით უკმაყოფილო რუზველტი სტალინს მხარში პირდაპირ ღვიძლ ძმასავით რომ არ ამოდგომოდა, არ მოხდებოდა არაფერი, რითაც სტალინისტები დღესაც კი ამაყობენ - არც გამარჯვება „დიდ სამამულო ომში, არც კომუნისტური წყობილების დამყარება აღმოსავლეთ ევროპასა და აზიის ზოგიერთ ქვეყანაში, არც ჩინეთის კომუნისტური რევოლუცია, (რასაც, სხვათა შორის, შემდეგ ნახევარკუნძულზე სტალინის მიერ მესამე მსოფლიო ომის გაჩაღება მოჰყვა) და არც კიდევ ბევრი რამ. როგორ და რა ხერხებით მოაჯადოვა სტალინმა რუზველტი, როგორ მიაღწია მან, რომ რუზველტის ოჯახში მას აღფრთოვანებით „მოხუც კეთილ ძია ჯოდ" იხსენიედნენ, ეს მისი საიდუმლოა, რომელიც საფლავში წაიღო. სათავე ამ ორი პოლიტიკოსის „მჭიდრო

მეგობრობას“ თეირანში დაედო, როცა სტალინმა რუზველტი საცხოვრებლად საბჭოთა საელჩოში მიიწვია, ჰიტლერის ტერორისტები მოკვლას გიპირებენ, აქ კი უხიფათოდ იქნებიო,და ზრდადაუსრულებელი ბავშვივით მიმნდობ ამერიკელ პრეზიდენტს, მთელი სიცოცხლე ლორიან ერბოკვერცხზე უფრო გემრიელი რომ არაფერი უჭამია, მთელი ქვეყნიერების საუკეთესო საჭმელებით, მათ შორის ქართული კერძებითა და ღვინოებით უმასპინძლა. ამ არგუმენტს არასერიოზულად ნურავინ მიიჩნევს - ამერიკის პრეზიდენტიც ისეთივე ადამიანია, როგორც ჩვენ ყველანი.

საერთოდ კი რუზველტ-სტალინის ალიანსი მსოფლიო ისტორიის ერთი გამოცანათაგანია. განა რუზველტმა არ იცოდა, 37 წელი, კოლქტივიზაცია და სხვა ამგვარები? განა მან არ იცოდა, რომ 30-იან წლებში თითქმის მთელი უკრაინა გლეხთა უზარმაზარ სასაფლაოდ იქცა? იცოდა, საზღვარგარეთ ყველაფერი იცოდნენ. მერე? აკი „ფართო ჰორიზონტის“ და „ჰუმანურად მოაზროვნე“პოლიტიკოსი იყო? ერთის თქმა კი დაბეჯითებით შეიძლება: ჯულაშვილი აქ, საგარეო ასპარეზზეც საკუთარი თავის ერთგული დარჩა - სწორედ იმას ატყუებდა, მახეს უგებდა და ლუპავდა, ვინც მისდამი კარგად, კეთილად იყო განწყობილი. ასე გამოიყენა იციან წლებში მისი კეთილმსურველები ზინოვიევი და კამენევი ტროცკის წინააღმდეგ, მერე კი ორივე დახვრიტა. ასევე გამოიყენა თავისი მეგობარი ბუხარინი ზინოვიევისა და კამენევის წინააღმდეგ და მერე კი ისიც დახვრიტა და ასე შემდეგ. რუზველტმა ჩერჩილს არ დაუჯერა, „ძია ჯოს“ დაუჯერა და 1944 წელს მოკავშირეთა ჯარები ევროპაში ბალკანეთიდან კი არა, ნორმანდიიდან შეიჭრნენ. ამერიკის მოსკოველმა ელჩმა ჩარლზ ბოლენმა კარგა დიდი დაგვიანებით თქვა, რუზველტს სტალინი ჯელტმენი ეგონა, ის კი ბანდიტი იყო. მე თუ მკითხავთ, კაცობრიობისათვის და, მათ შორის, საბჭოთა კავშირის მოსახლეობისათვის კარგი იქნებოდა ამ ომის დროს პრეზიდენტად მაღალი რანგის პროფესიონალი პოლიტიკოსი უინსტონ ჩერჩილი ყოფილიყო.

ახლა საკითხავია, მაინც, რა იზარალა კაცობრიობამ და, მათ შორის, საბჭოთა კავშირის მოსახლეობამ იმით, რომ სტალინი რუზველტს თავის ნებაზე ათამაშებდა?

ზარალი მართლაც რომ აურაცხელია. მის აღნუსხვას ტომები დაჭირდება.

ამ ქვეყნად ყველაფერი, სახელწიფოებს შორის მეგობრობაც კი ფული ღირს. ომის დროს საბჭოთა კავშირს ამერიკის ვალი - 10 მილიარდი მაშინდელი დოლარი დაედო, რომლის გადახდაც ომის დამთავრებიდან 20 წლის შემდეგ დაწყებულიყო. რუზველტი ისე აღესრულა, რომ ეჭვიც კი არ შეჰპარვია, „მოხუცი კეთილი ძია ჯო“ ამ ვალს დროზე გადაიხდისო. „კეთილმა ძია ჯომ“ კი რუზველტის მემკვიდრეებს ხელი აუქნია, თქვენი ვალი ჩემი ხალხის სისხლით მაქეს გადახდილიო. ესე იგი, ამერიკული სტუდებეკერების, ტანკების, ნახმარი ტანსაცმლის, ღორის კონსერვებისა და კვერცხის ფხვნილის საფასური „ხალხების მამას“ თავისი ხალხის სისხლით გადაუხდია. ამის შემდეგ ვინმე კიდევ გაბედავს და იტყვის, სტალინი უდიდესი ჰუმანისტი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი არ იყოო?...

მაგრამ მისი „ჰუმანურობა“ იქით იყოს, სახელმწიფო ვალის გადაუხდელობას კი საბჭოთა კავშირისადმი უნდობლობა და ცივილიზებული ქვეყნებისგან სრული ეკონომიური იზოლაცია მოჰყვა. ამით კი მარტო საბჭოთა კავშირი არ დაზარალებულა.

სტალინმა ხელთ იგდო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და იქ საკუთარი მოდელის „სოციალიზმი“ დაამყარა, რამაც აურაცხელი ტანჯვა მიაყენა ამ ხალხებს და მათი განვითარება ნახევარი საუკუნით შეაფერხა.

სტალინმა კომუნისტური რევოლუცია მოახდინა ჩინეთში და ეს უზარმაზარი ქვეყანა ხელში პოლიტიკურ ავანტიურისტს მაო ძედუნს ჩაუგდო, ამან კი, ზუსტად სტალინის რეცეპტებით, ნახევრადფეოდალურ, მშიერ და უწიგნურ ქვეყანაში სოციალიზმის და პირდაპირ კომუნიზმის მშენებლობა წამოიწყო. ამას რა შედეგებიც მოჰყვა, და არა მარტო ჩინელი ხალხისათვის, ახლა ყველამ კარგად იცის. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა.

ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ ატომური იარაღით და სტალინურ-მაოისტური იდეებით აღჭურვილი ჩინეთი ახლაც და მომავალშიც დიდ საფრთხეს წარმოადგენს ცივილიზებული კაცობრიობისათვის. დენ სიაოპინი ცხვრის ტყავში გახვეული მგელია და მეტი არაფერი. ამას ტიანანმინის მოედანზე მომხდარი შემაძრწუნებელი სისხლის ღვრაც ადასტურებს. საერთოდ, ძნელი წარმოსადგენიც კია, თუ რა უნდა მოუხერხონ ჩინეთის ახლანდელმა ლიდერებმა თავის მილიარდნახევრიან ხალხს, რომელიც რაოდენობრივად კატასტროფულად არ ჰყოფნის. გულუბრყვილობა იქნებოდა იმისი ფიქრი,თითქოს ჩინეთის ეკონომიურ პრობლემებს სასოფლო-სამეურნეო იჯარა გადაჭრის. იჯარის გადამკიდე ჩინეთი სულს ორი-სამი წლით თუ მოითქვამს. მერე? განა დასაჯერებელია, რომ ჩინეთის მრავალ ათეულ მილიონიანი მმართველი პარტიული აპარატი თავის პრივილეგიებს დათმობს, სახელმწიფო სადაჯეებს ნებაყოფლობით გადააბარებს იმათ, ვინც ქვეყანაში კერძო საკუთრების აღდგენას შეეცდება, თითონ კი დაზგებთან და გუთნებთან დადგება? სხვა გამოსავალი კი ძნელი სავარაუდოც კია. მაგრამ ჩინეთის ახლანდელი მესვეურები „სხვა ვარიანტებზე" არც კი ფიქრობენ. ისინი ისევ მაო ძედუნის „უკვდავი იდეების" ერთგულნი არიან, იმ „კომუნისტისა", რომელიც საჯაროდ აცხადებდა, პატარა ხალხების ბედს კაცობრიობის (იგულისხმე - ჩინეთის. რ.კ.) ისტორიისთვის მნიშვნელობა არა აქვს, მსოფლიოში წერსიგის დამყარება მხოლოდ იარაღით შეიძლება, ატომის ბომბი - ქაღალდის ვეფხვია, ბირთვულ ომს გადარჩენილები კი (იგულისხმე - მხოლოდ ჩინელები. რ.კ.) ახალ, დიდებულ ცივილიზაციას შექმნიანო.

ვინ გამოიცნობს, რაზე ფიქრობენ ჩინეთის მარად მომღიმარე ახლანდელი მმართველები?

სტალინზე ტყუილად არ ამბობენ, ქვეყნის მაოხრებელი მკვდარიაო.

მაგრამ ყველაზე უარესი „კაცობრიობის გენიოსმა" საბჭოთა კავშირს და მის მოსახლეობას დამართა. ჰიტლერის დამარცხებამ, რაც, სხვათა შორის, დიდსისხლიანი სპექტაკლით - ბერლინის

ალებით დაგვირგვინდა, - აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ჩინეთის გაწითლებამ სტალინს საკუთარ თავზე განუზომლად დიდი წარმოდგენა შეუქმნა, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელი იყო. ჰიტლერიზმის განადგურებამ, რასაც „უდიდესმა სტრატეგმა“ თვალის დაუხამხამებლად შესწირა 20 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე, კომუნისტებს მთელს მსოფლიოში დიდი ავტორიტეტი შეუქმნა და „ხალხების მამა“ დაუყოვნებლივ შეუდგა ზრუნვას.... მთელ მსოფლიოში კომუნისტური წყობილების დამყარებისათვის. ჭეშმარიტად, ამ კაცს რაღაც პერმანენტული ტვინის ანთების მსგავსი რაღაც სინდრომი სჭირდა. მაგასაც და მის მასწავლებელ ლენინსაც. ეს არ იყო ფინეთის ეოგზალზე რომ დასჭექა, მსოფლიო რევოლუციას გაუმარჯოსო? და ეს ტრაგიკომიკური ეპიზოდი ბოლშევიკურმა პროპაგანდამ მერე მსოფლიოს განახლების დასაწყისად გვიქცია. ჰოდა, რაც ლენინმა ვერ მოასწრო, იმის ხორცშესხმას სტალინი შეუდგა. თავის დამშეულ, ჩამოხეულ და დაშინებულ მოსახლეობას ყოველწლიური, პირდაპირ რიტმული, მაგრამ ყოველწლიურადვე ფიქტიური „ფასების დაკლებით“ გაუმასპინძლდა (და ჩვენც გვჯეროდა ისეთი ეკონომიკის არსებობა, რომელიც რვა წლის განმავლობაში სულ აღმა-აღმა ივლიდა?), საცხოვრებელი სახლების მშენებლობა გაურკვეველი ვადით გადასდო (მე ვაცხადებ, რომ სტალინის სიცოცხლეში ბინებით უზრუნველყოფილნი მხოლოდ ჩეკისტები იყვნენ), მთელი მატერიალური და ინტელექტუალური პოტენციალი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს დაუქვემდებარა და მთელს მსოფლიოში საკუთარი მოდელის „სოციალიზმის“ დანერგვას შეუდგა. ის ლენინი გოლოვანოვი სულ ამ ცოტა ხნის წინათ ამტკიცებდა, სტალინს ათი წელიწადიც რომ ეცოცხლა, სოციალიზმი მთელ მსოფლიოში დამყარებული იქნებოდაო. მკითხველო, თქვენ წარმოგიდგენიათ 83 წლის ასაკში ძლევამოსილი მხედართმთავარი? მე - ვერა. გოლოვანოვს კი წარმოუდგენია და უდიდესი მნიშვნელობის სამხედრო საიდუმლეობასაც კი გვიმჟღავნებს. სტალინის ბრძანებისამებრ ჯარები ქვეყნის ჩრდილოეთში უნდა გადაგვეყვანა და ამერიკისთვის იქიდან

დაგვერტყაო. ჭეშმარიტად, საზღვარი არა აქვს ადამიანის სიბრიყვეს. გოლოვანოვმა ის არ იკმარა, 1939 წელს გერმანიიდან დაფეთებული რომ ჩამოვარდა და სტალინს ჰიტლერთან ბრიყვული ხელშეკრულება დაადებინა, ახლა ამერიკასაც შეუტია...

ყოველივე ამას ტიტოს „ღალატიც" დაემატა -იუგოსლავიის დიქტატორმა თავის ქვეყანაში კოლექტივიზაციის ჩატარებაზე უარი თქვა და ამით სტალინი პირდაპირ გააცოფა - „ხალხების მამა" სოციალიზმის მშენებლობას ხომ ყველა ქვეყანაში, ეს საჭირო იყო, თუ არა, სოფლის კოლექტივიზაციით იწყება. აკი ამაოდ ეუდრა კლემენტ გოტვალდი, ჩეხოსლოვაკიაში კოლექტივიზაცია საჭირო არ არის, ეს განვითარებული სამრეწველო ქვეყანაა და სოფლიდან ქალაქში სახსრების გადაქაჩვა სრულიად ზედმეტიაო. არა! გლეხური მეურნეობა - წვრილბურჟუაზიული სტიქიაა და უნდა ამოიძირკვოსო, - უბრძანა სტალინმა. ეს ხომ მარქსიზმის მონოპოლისტი იყო... ჰოდა...

ერთი სიტყვით, ტიტომ სტალინს ულალატა და უნდა დასჯილიყო. ეს იმას ჰგავდა, ყვავს აფრენა უნდოდა და ხელის აქნევას უცდიდაო - მთელს მსოფლიოში სოციალიზმი ხომ მაინც დასამყარებელი იყო! გადადებული საქმე ეშმაკისაა... „კაცობრიობის უდიდესმა გენიოსმა" ჯერაც ოცდაათიან წლებში ბრძანა, ჩვენ და კაპიტალიზმი ერთად დიდხანს ვერ ვიარსებებთ, დადგება დღე (?! რ.კ.),როცა ვეტყვით, ან თქვენ, ან ჩვენო. ის დღეც დადგა. სტალინმა თავის ყურმოჭრილ მონას მაო ძედუნს უბრძანა და ჩრდილოკორეელი ლეგიონერები 28-ე პარალელზე, სადემარკაციო ხაზთან, მძინარე ამერიკელებს დაეცნენ და გააქციეს... დაიწყო ის, რასაც ერთადერთი სახელი შეიძლება ეწოდოს - მესამე მსოფლიო ომი.

სახელმწიფოს მეთაურმა მსოფლიო ომი წამოიწყო ისე, რომ თავისი ხალხისათვის არაფერი უთქვამს. ბევრ საბჭოთა მოქალაქეს კორეის ომი დღესაც ადგილობრივი მნიშვნელობის სამხედრო კონფლიქტი ჰგონია. ნამდვილად კი იქ ცხრა მილიონი მარტო კორეელი გაწყდა. რამდენი გაწყდა ჩინელი „მოხალისე", ამერიკელი ჯარისკაცი და სხვები, რომელთა ვინაობის გაშიფვრისაგან თავს

შევიკავებ, ეს არავინ იცის. ამერიკელმა გენერალმა მაკარტურმა კონტინენტალური ჩინეთის ინტენსიური ბომბვა დაიწყო და ტრუმენს ატომური იარაღის გამოყენების ნებართვა გამოსთხოვა. სტალინის დივიზიები მზად იყვნენ დასავლეთ ევროპაში შესაჭრელად. მთელ ამ უაზრობას, კაცობრიობის დაღუპვა მოჰყოლოდა, წერტილი სტალინის სიკვდილმა დაუსვა.

ყველაზე საყურადღებო კი მაინც ის არის, რომ ასეთი უფსკრულის პირად მიყრილებს ჩვენ მაინც მშვიდად გვეძინა და წარმოდგენაც კი არ გვქონდა იმაზე, თუ ხვალინდელი დღე რას გვიმზადებდა. შეიძლება ახლა ვინმემ მითხრას, მსოფლიო ისტორიის გრანდიოზულ ფიგურებს თავი დაანებე და საკუთარ თავზე გველაპარაკეო. კი, მაგრამ თითონ ის „გრანდიოზული ფიგურები" თავს მანებებენ? სრულიად დარწმუნებული ვარ, მაშინ საბჭოთა კავშირი „უდიდეს გენიოსს" კი არა, ვინმე სრულიად ნორმალურ ადამიანს რომ ემართა, ჩემი ცხოვრებაც სულ სხვანაირად წავიდოდა. ყველაფერი, კარგიც და ავიც, რაც ჩემს ცხოვრებაში შემხვედრია, სწორედ ეს „გრანდიოზული ფიგურების" წყალობითაა. მსოფლიო ჩვენს თვალწინ სულ უფრო და უფრო პატარავდება. ესეც არ იყოს, სულ ახლახან ტელევიზორიდან ვილაცა მხარბეჭიანი სტალინისტი არ დაგვემუქრა, მალე მოგიყვანთ ჭკუაზეო?

თავი მეექვსე

ისეთი ძძიმე გადასატანი, როგორიც ჩვენთვის 1941 წელი იყო, იშვიათად, თუ რომელიმე თაობას შეხვედრია. ძლივს ოცდაჩვიდმეტის მეხი მიწყნარდა. ხალხი ჯერაც ვერ მოსულიყო გონს იმ განუკითხაობისა და სრულიად უაზრო სისასტიკისაგან. რაკი რეალურ ცხოვრებაში იმედი აღარსაიდან იყო, ადამიანები ილუზიებს იქმნიდნენ, - ჩემიანები (დედ-მამა, და-ძმა, ქმარი, შვილები, ბიძაბიცოლები და ა.შ. და ა.შ.) დახვრეტილები არ იქნებიან: რატომ უნდა დაეხვრიტათ, როცა არაფერი დაუშავებიათ; ალბათ, სადღაც

ცოცხალნი არიან, აკი შინსახკომშიც გვითხრეს, მიმოწერის უფლების გარეშე გადავასახლეთო. მაშინ არავინ იცოდა, რომ „მიმოწერის უფლების გარეშე“ სწორედ დახვრეტას მოასწავებდა და ბარე ოცი წელიწადი გავიდოდა მანამდე, სანამ ამაში დავრწმუნდებოდით. თუმცა, ეჭვის ჭია გულს მაშინაც გვიღრღნიდა, - ეს მიმოწერის უფლების გარეშე რაღაა, ვაი თუ დახვრიტეს და ვინ იცის, ყვავ-ყორნები ახლა სად ძიძგნიანო.

მაგრამ ამ შემაზრზენ ფიქრს თავიდან მალე ვიშორებდით. რატომ უნდა დაეხვრიტა სახელმწიფოს საჭესთან თავდაჯერებულად მდგომ, მუდამ დინჯ, აუღელვებელ და მომღიმარე სტალინს ის უბრალო ადამიანები, რომლებიც მას ხელს არაფერში უშლიდნენ, თანაც აი, ეს-ეს იყო, დიდებული კონსტიტუცია მივიღეთ, სოციალიზმის გამარჯვება ვიზეიმეთ, ქვეყნად სრული სამართლიანობა დამყარდა... ეგარის, ჰიტლერი გვემუქრება. მაგრამ ჰიტლერი რას დაგვაკლებს, ვოროშილოვმა აკი თქვა, თუ მტერი თავს დაგვესხა, მყისვე მისსავე ტერიტორიაზე გავანადგურებთ, თანაც - მცირე სისხლის ფასადო. აი, სტალინი და ვოროშილოვი საკუთარი ხალხის სიცოცხლეს როგორ უფრთხილდებიან! არა, ჩემიანები, ალბათ, მართლაც მიმოწერის გარეშე არიან გადასახლებულნი, ცოტა დრო გავა და უკანვე დაბრუნდებიან.

არც კი მეგონა, საქართველოში თუ იყო ერთი ოჯახი მაინც, ასეთი ილუზიებით რომ არ ეცხოვროს. მაგრამ ახლა, აქედან რომ ვუკვირდები, ასეთებიც საკმაოდ ყოფილან. მაშინ რკინის კეტი გამოუკლებლივ ყველა ოჯახს არ მოხვედრია და სწორედ ესენია, რაღაც განუკურნებელი სინდრომი რომ შეეყარათ და მთელს მსოფლიოს ჭკუას ასწავლიან, სტალინი, ეს ნაღდი ქართველი კაცი, სწორედ იმათ ხვრეტდა, ვინც მართლა დასახვრეტი იყო, თორემ პატიოსანი ადამიანებისთვის ხელიც კი არ უხლიაო. მერე რა, რომ მეზობელს ნაშუალამევს შეუცვივდნენ, მთელი სახლი გადაუქოთეს, თითონ იგი კი წაიყვანეს და მას აქეთ ველარავინ გაიგო, ცამ ჩაყლაპა, თუ დედამიწამ? მაგითი ვითომ რაო? - რატომ მე არ დამიჭირეს? - კითხულობს გაზულუქებული ობივატელი,

რომელსაც აღარც კი ახსოვს, ოცდაჩვიდმეტში ყოველი შელამებიდან გათენებამდე შიშით რომ აცახცახებდა, - სტალინმა კარგად იცოდა, ვინ დაეჭირა. რატომ მე არ დამიჭირეს?..

- თქვენს ახლომახლო არავინ დაუჭერიათ?

- რატომაც არა? ესა და ეს დაიჭირეს... ესეც და ესეც... ისიც და ისიც...

- რატომ?

- ხალხის მტრები იყვნენ. - ობივატელი გაკვირვებით მხრებსაც კი იჩეჩავს, ასეთი უბრალო რამ არ გესმიოთ.

- საიდან იცით, რომ ხალხის მტრები იყვნენ?

- აბა, რატომ დაიჭერდნენ?! ხე-ხე!.. რატომ მე არ დამიჭირეს? - ობივატელის გულრწფელ გაკვირვებას უკვე საზღვარიც კი არა აქვს.

უნდა გავუგოთ! სტალინს თავის სიცოცხლეში სხვა არაფერი შეშლია და რაღა ხალხის მტრების გამოცნობაში შეცდებოდა?

ახლა იმ ფსიქოლოგიურმა სინდრომმა პირდაპირ ანეკდოტური ფორმები მიიღო. ამას წინათ ერთმა ქუთაისელმა „მოლვაწემ" ნიშნის მოგებით მკითხა, მიხეილ ჯავახიშვილი თუ პატიოსანი კაცი იყო, გვარი რატომ გამოიცვალაო.

- ეგ მწერლის უფლებაა.

- გასაგებია! ყველაფერი გასაგებია. - და „მოლვაწემ" გამარჯვებული კაცის ღიმილი შემომანათა.

ეგ კაცი ღრმადაა დარწმუნებული, რომ „ჯავახიშვილი" იმპერიალისტური დაზვერვის პროფესიონალი თანამშრომლის ფსევდონიმია. მაგრამ, ერთი ესეც ვიკითხოთ, იდეალიზმი მაგ კაცს მართლა სჯერა? თუ საკუთარ თავსაც და სხვებსაც არწმუნებს, აი როგორი გამორჩეული გონების კაცი ვარ, ისეთ რამეს მივხვდი, რაც სხვებს ფიქრადაც კი არ მოსვლიათო? უბრალოდ რომ ვთქვათ, შორსმჭვრეტელი ადამიანის პოზა უჭირავს?

ძნელი სათქმელია. რას გაუგებ ზოგიერთ ადამიანს.

თუმცა, ეს კერძო შემთხვევა, იქნებ, არც ისე ძნელი ასახსნელი იყოს. ამ კაცმა, თურმე, თავის სტუდენტ შვილს სასტიკად აუკრძალა

ყოველგვარ არაფორმალურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება. და მიზანსაც მიაღწია: როცა მთელი კურსი მიტინგზეა, მამის გამგონე და ერთგული შვილიკო საათნახევრის განმავლობაში მარტოდმარტოზის ცარიელ აუდიტორიაში და ლექტორს ელოდება. ლექტორი კი თითონაც მიტინგზეა. ყოველად უაზრო საათნახევრიანი ლოდინის შემდეგ შვილიკო შინ ბრუნდება, ალბათ, სრულიად კმაყოფილი საკუთარი თავითაც და მამიკოთიც, რომელმაც ცხოვრებაში სწორი გზა ასწავლა!.. ვინ დამიმტკიცებს, რომ ეს სიმახინჯე სათავეს 37 წლის ტოტალურ ზაფრაში არ იღებს?

მაგრამ ისევ 41 წელს მივუბრუნდეთ.

ვისაც თავში ცოტა ჭკუა მაინც ჰქონდა, ყველას ცუდად ენიშნა, რომ ომის დაწყება მოლოტოვმა გვამცნო და არა „ხალხის მამამ". მოვლენები კი ელვის სისწრაფით ვითარდებოდა. მაღაზიებში სწრაფად გაჰქრა პურიც და სხვა ყველაფერიც. რომ იტყვიან, თვალის გახელაც კი ვერ მოვასწარით, რომ გერმანელები უკვე მოსკოვს ბომბავდნენ. თბილისი ჩააბნელეს და სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადეს. არადა, აკი პირიქით უნდა ყოფილიყო?! 22 ივნისს ბიჭებმა ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბს ჩავუარეთ და ყარაულში მდგომმა ნაცნობმა, სალდათმა აღტაცებით მოგვაძახა, ჩვენებმა ვარშავა აიღესო. დიდად არც კი გაგვხარებია - ასეც უნდა ყოფილიყო! ჯერ ერთი, 17-18 წლისანი ვიყავით და, მეორეც, გვჯეროდა, როგორც კი ფაშისტებს გავანადგურებთ, სტალინი ყველა დაპატიმრებულს, ახლა სადღაც მიმოწერის უფლების გარეშე რომ სხედან, შინ გამოუშვებს და ყველანი ისევ ბედნიერად ვიცხოვრებთო.

ყველაფერი ამის ნაცვლად - ჩაბნელებული ქალაქი, შიმშილი, შიში და დაბნეულობა... კარგი, ბატონო, ჰიტლერი კარგი ადამიანი გამოდგა და გვიმუხთლა, მაგრამ ჩვენი ჯარი უკან რატომ-ღა იხევს? ახლა არ იყო, ხალხინ-გოლთან იაპონელებს შავი დღე რომ დავაყენეთ! მერე თეთრფინელებს კუდით ქვა ვასროლინეთ! ახლა რაღა ხდება?

იმ ზაფხულსა და შემოდგომაზე საბჭოთა კავშირში, ალბათ,

ერთი კაციც კი არ ყოფილა, პოლიტბიუროს წევრებისა და მხედართმთავრების ჩათვლით, ვინც მოვლენებს სწორედ ხედავდა და ყველაფერს თავის სახელს არქმევდა. კაციშვილმა არ იცოდა, რა ხდებოდა და წინ რა მოგველოდა.

ახლა ჯუღაშვილს ბევრი დიდ გმირობად უთვლის, 1941 წლის 7 ნოემბერს წითელ მოედანზე პარადი რომ გამართა და სიტყვა წარმოთქვა. ერთმა გერმანელმა გენერალმაც კი დაწერა, იმ გამოსვლით სტალინმა დაგვარწმუნა, რომ იარაღის დაყრას არ აპირებდაო. არ ვიცი... მე მივჩერებოდი ტრიბუნაზე აწრიალებულ ფარაჯიან, უბრალო შესახედაობის კაცს და ვხედავდი, რომ „უეჭველი გამარჯვებისა" მას ისევე სჯეროდა, როგორც შარშანდელი თოვლისა. აშკარა მხოლოდ ერთი იყო - ჯუღაშვილი არავითარ მსხვერპლს არ მოერიდებოდა, ოღონდ კი ომი მოეგო. ომის მოგებაში იყო მისი ერთადერთი ხსნა. უამისოდ იგი ისტორიაში დარჩებოდა, როგორც ჯიუტი და ბრიყვი ტირანი, რომელმაც მილიონობით გვამით მოჰფინა თავისი უაზრო ცხოვრების გზა. ხოლო ის გერმანელი გენერალი ახლა რომ სადმე შემახვედრა, ვკითხავდი, სტალინს 1941 წელში „უეჭველი გამარჯვება" როგორ სჯეროდა, როცა ერთი წლის შემდეგაც კი, 1942 წელს, ჰიტლერთან შესარიგებელ გზებს ეძებდა და ფიურერს ლამის საბჭოთა კავშირის ნახევარს უთმობდა? ომი ბოლოსდაბოლოს ჯუღაშვილმა მართლაც მოიგო, მაგრამ ვინც ომი მოიგო, ყველა დიდი და გენიალური მხედართმთავარია? მხდალ და უნიჭო მხედართ უფროსებს ომის მოგების საკუთარი „სტილი" აქვთ - მოწინააღმდეგის დამარცხება აურაცხელი მსხვერპლის ფასად. ისტორიკოსები ჯერაც ანგარიშობენ და იკვლევენ, მაინც რა დაუჯდა საბჭოთა კავშირს გამარჯვება ჰიტლერის გერმანიასთან ომში, და ამ კვლევა-ანგარიშს ბოლო ჯერაც არ უჩანს. ბევრს კი დღესაც არ უნდა, ხალხმა სრული სიმართლე გაიგოს - იმათ თავისი მოსაზრება აქვთ.

- სტალინმა დანგრეული ქვეყანა 1947 წელს აღადგინა, - კრიახობს ვინმე ჩაპუტკუნებული მანდილოსანი, - ორ წელიწადში!..

- ქალბატონო, 1947 წელს როგორ აღადგენდა, როცა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დნეპროჰესი 1949 წელს აამუშავეს?!

- წიგნაკები მოსპო... მაღაზიები სავსე იყო...

- დნეპროჰესი თავისი მნიშვნელობით...

- რა გაგიხდათ ეს დნეპროჰესი, რა ჰქნაა!.. მაშ, წიგნაკები როგორ-ღა მოსპო?

- გლეხებს პასპორტები არ...

- ახლა - გლეხები!.. ახლა - პასპორტები!.. არა, თქვენ ადამიანი ვერაფერს დაგანახებთ. ყველაფერს საკუთარი არშინითა ზომავთ!

ნეტავი ვინ ზომავს ყველაფერს საკუთარი არშინით, მე, თუ ეგ მანდილოსანი, რომელიც მშვენივრად უთავსებს ერთმანეთს მკვლევარის, ლექტორის, პატბიუროს მდივნის, მეუღლის, დედის, ბებიისა და სიდედრის მოვალეობებს?

XXX

ერთი სიტყვით 1941 წლის შემოდგომაზე მე და ჩემი სამშობლო - საბჭოთა კავშირი - ორივენი შავ დღეში ჩავცვივდით-ეს ჰიტლერის მიზეზით, მე კი - დოცენტ სერგო ჟღენტის გამოისობით, უფრო კი, ალბათ, საკუთარი ცუდბედობისა და ყოყლოჩინობის გამო. მაგრამ საბჭოთა კავშირს „ხალხების მამა" პატრონობდა, მე კი საკუთარი თავისთვის თითონვე უნდა მიმეხედა. სწორედ ამ ხანებში დავახლოვდით მე და ყოფილი თანაკლასელი მე-14 სკოლიდან, უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი, რომელსაც სტალინური სტიპენდია მხოლოდ იმიტომ არ მისცეს, რომ მამა რეპრესირებული ჰყავდა-მიტო (დიკი) მამულაიშვილი.

უცნაური რამ არის ყრმობისა და სიჭაბუკის ხანა. ჩემი ბავშვობის ამხანაგებს, რომლებთანაც მე-14 სკოლაში შვიდი წელიწადი ვიზრდებოდი, როგორც გითხარით, სამი წლით ჩამოვშორდი, „არისტოკრატიულ" სოლოლაკს მოვწყდი და უბრალო ხალხის უბანში - ავლაბარში გადავბარგდი. და შემდეგ, უკვე უნივერსიტეტში შესული, იმ სოლოლაკელ ამხანაგებს ისე ვუყურებდი, როგორც, ალბათ, თავის დროზე მშიერი, ჩამოხეული და უწიგნური

ალმოსავლელი ფალლაბები ძვირფასად ჩაცმულ, მაძღარ, თვითკმაყოფილ ინგლისელ ლორდებს შესცქეროდნენ. სოლოლაკელები მივიჩნიე ქცევის, ზრდილობის, ცოდნა-განათლების ეტალონებად. მათ ჩემზე ბევრად უფრო მეტი წაეკითხათ, მეტი იცოდნენ, უფრო თამამად მსჯელობდნენ, საზოგადოებაში თავი უფრო ლაღად და ბუნებრივად ეჭირათ. მე კი თავს უკვე ავლაბრის პიმშოდ ვგრძნობდი, იმ უბნისა, სადაც ჭაბუკის უმთავრეს ღირსებად ღონიერი მკლავი, „ბუტილკა“ შარვალი და „სვოი ბიჭობა“ ითვლებოდა, თუმცა როდესმე არც „სვოი ბიჭი“ ვყოფილვარ, არ „დამრტყმელი“ და არც „ბუტილკა“ შარვალი მცმია. ავლაბრელი ტოლები „მამენკინ სინოკად“ - „დედილოს ბიჭუნად“ მთვლიდნენ.

ჩემს ყოფილ თანაკლასელებში, ახლა კი თანაკურსელებში მიტო მამულაიშვილს უკვე საგრძნობი ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი. ბავშვობა მასაც მძიმე ჰქონდა. დედა ადრე მოუკვდა, როგორც იტყვიან, მოულოდნელად და გაურკვეველ ვითარებაში. მამამ მეორე ცოლი, ვიღაც უსახური რუსის ქალი შეირთო და რატომღაც ახალციხეში დასახლდა, - შვილს ძალიან იშვიათად, თითქმის სულ არ აკითხავდა ხოლმე, - მერე კი ოცდაჩვიდმეტს შეეწირა. მიტო ბებიამისის - „ბაბუსიას“ ამარა იყო, გალატაკებული, მაგრამ მაინც ამაყი და ქედუხრელი დიდგვაროვანი მანდილოსნისა, რომელმაც ღრმა სიბერემდე ვერ აპატია თავის გარდაცვლილ ქალიშვილს, რომ იგი ცოლად ვიღაც „გლეხუჭა მამულაიშვილს“ გაჰყვა.

- მაგისთანებს ჩემს ოთახებში ვინ შემოუშვებდა, შვილო! მაგათ ჩემი მოურავი ფიგელში დააბინავებდა ხოლმე. მაგრამ ვნახოთ და - ერთ მშვენიერ დღეს სიძედ არ გამომეცხადა!... რას იზამ, ჩემი ბედი ეგა ყოფილა. მერე ხომ დაიჭირეს კიდეც. ახლა ცოცხალი ალარც იქნება.

სიძეს ისევე დარდობდა, როგორც შარშანდელ თოვლს. ქალიშვილს, ალბათ, მაინც უფრო მეტად, თუმცა განსაკუთრებული არაფერი შემიმჩნევია. ნამდვილი, ღრმა, მოუნელებელი დარდი კი მხოლოდ ერთადერთი ვაჟიშვილის - მიტუშა აბაშიძისა ჰქონდა.

ამისი სურათი თითქმის მუდამ წინ ედო და თვალს არ აშორებდა. ბალიშის ქვეშ მხოლოდ მაშინ ამოდებდა ხოლმე, როცა მის პაწაწკინტელა ოთახში (მაშინდელი სასახლის ქუჩაზე, ახლა რომ ახალი უნივერმაღია) ძალიან ბევრნი შევიყრებოდით.

- ქვიშხეთში ვიყავით... გამთენიას აივანზე ამოვიდნენ და წაიყვანეს. მას აქეთ მისი აღარაფერი გამიგია.

ეს ფრაზა ბაბუსიასგან უთვალავჯერ მაქვს მოსმენილი.

სურათიდან ახალგაზრდა, ჩოხოსანი, ფრიად თავმომწონე თავადიშვილი იცქირებოდა. მის ხსოვნას თითონ მიტოც წმინდად ინახავდა. როგორ უბრალო და ღარიბულ სუფრაზეც არ უნდა შეკრებილიყავით, მიტო - ჩვენი უცცლელი თამადა, - მიტუშა აბაშიძის - სასიქადულო მამულიშვილისა და ბოლშევიკური ტერორის მსხვერპლის სადღეგრძელოს უთუოდ ღრმა გრძნობით წარმოთქვამდა და ღვინოს პურზე დაგვაწვეთებინებდა. ჩვენც ვსვამდით, თავებს ნაღვლიანად ვაქნევდით და ვოხრავდით, ბოლშევიკებმა საქართველოს მართლაც რამდენი ღირსეული, საამაყო შვილი დაუხოცესო. კარგა ხანი გავიდა, სანამ გავიგებდი, რომ ეს მიტუშა აბაშიძე ერთი თავცარიელი და უსაქმური ვინმე ბრძანდებოდა და მთელი სიცოცხლე ქალების დევნის მეტი არაფერი გაუკეთებია. „ქვიშხეთის მიდამოებში ერთი გოგო არ გაუშვია". „პირველი ღამის უფლებით" ლამის 1921 წლის თებერვლამდე სარგებლობდა. ალბათ, იმ რაზმელებმაც ამიტომ მოჰკლეს და მტკვარში გადააგდეს. მაგრამ, როგორც გითხარით, ეს კარგა მოგვიანებით გავიგე. ხოლო „ბედკრული საქართველოსთვის წამებული და აღსრულებული მიტუშა აბაშიძის" სახება ჩემს თვალში კარგა ხანს დიდად ამაღლებდა მისი შვილიშვილის მიტო მამულაიშვილის ღირსებასა და ავტორიტეტს.

მიტო მამულაიშვილმა ძალიან ადრე ჩაიხედა ცხოვრების ფსკერზე. 17-18 წლის ასაკში მან ბევრი რამ იცოდა ისეთი, რაც ჩვენ ათი თუ ოცი წლის შემდეგ თუ გავიგეთ. განსაკუთრებით ადამიანების ცნობა და მათთან ურთიერთობის დამყარება ეხერხებოდა.

ღრმად გააზრებულ, ფარულ ანგარიშიანობას ბუნებრივად

უთავსებდა ადამიანებისადმი სან წრფელ, სანაც მოჩვენებით პატივისცემას, მისთვის უცხო არც ვინმეთი პირდაპირ ისტერიული ალტაცება იყო. არავისი არაფერი შურდა, მაგრამ ყველა პიროვნებას მაინც საკუთარი ინტერესით ზომავდა. ახლობლების გამარჯვება, სიკეთე, წინსვლა გულწრფელად ახარებდა, მაგრამ სულის სიღრმეში ურყევად იყო დარწმუნებული, რომ იგი მაინც ყველა სხვაზე მაღლა დგას და ცხოვრებაში დიდი გამარჯვებები ელის, ოღონდ, რა თქმა უნდა, ყველა იმ გამარჯვებას საკუთარი ძალისხმევით უნდა მიაღწიოს. დაუმატეთ ყოველივე ამას საკმაოდ დიდი ენერგია, შრომისუნარიანობა, ცხოველი ინტერესი მხატვრული ლიტერატურისადმი, ფილოსოფიისადმი, კარგი მეხსიერება, საკუთარი გრძნობების დაოკების უნარი, თუ ამას სიტუაცია კარნახობდა, და დაინახავთ, თუ რატომ სწამდა ამ ახალგაზრდას, რატომ იყო დარწმუნებული, რომ იგი გამორჩეული პიროვნება იყო, მოწოდებული სხვათა წინამძღოლობისა და ბელადობისათვის.

ამ რწმენას, კიდევ უფრო ამტკიცებდა ერთი გარემოებაც, სახელდობრ ის, რომ ჩვენ, ქართველებს, საკმაოდ არაზუსტი წარმოდგენები გვაქვს კაცთმოყვარეობასა და ჰუმანიზმზე, რაც განსაკუთრებული სიცხადით ობლებისადმი დამოკიდებულებაში მჟღავნდება. რა თქმა უნდა, ობლისადმი თანაგრძნობა სავსებით ბუნებრივი მოვლენაა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ობოლს ყველაფრის უფლება აქვს, მათ შორის, ვთქვათ, ამხანაგის საქორწილო სუფრიდან ძეხვის ნაჭრების მოპარვისაც. და მას ყველაფერი უნდა ეპატიოს, მათ შორის ისეთი საქციელიც, რისთვისაც ყოველი სხვა ადამიანი გაკიცხვასა და სასჯელს დაიმსახურებდა. მიტო მამულაიშვილი კი ხშირად ბედავდა და კითხულობდა იმას, რაც არავის ეპატიება. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, როგორი „გაბედვაა“ 1941 წლის შემოდგომაზე დაახლოებით ოცამდე ახალგაზრდის დამუნათება და რალაც ივლი კანტური, დემაგოგიური გზებით მათი თანხმობის მიღება საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად შეიარაღებული აჯანყების მოწყობაზე?

თავი დავანებოთ იმას, რომ ასეთი „განზრახვებისათვის“ მაშინ გააფთრებული ჩეკისტები ადამიანებს ცოცხლად ტყავს აძრობდნენ, ფრჩხილებქვეშ ნემსებს ურჭობდნენ, სულის ამოხდამდე სცემდნენ, მერეკი, ცემისაგან დაოსებულნი და ცნობამიხდილნი, დასახვრეტად კი არ დაჰყავდათ, არამედ მიწა-მიწა მიათრევდნენ და ძაღლებივით ხოცავდნენ და ეს ყველაფერი - რისთვის? იმისათვის, რომ მიტუშა აბაშიძე მკვდრეთით აღმდგარიყო და „ქვიშხეთის მიდამოებშიერთი ქალიც კი აღარ გაეშვა“? ან, ესეც რომ იქით იყოს, მიტო მამულაიშვილს ჰქონდა კი იმდენი ვაჟკაცობა, რომ იმდენი ტანჯვა-წამებისათვის გაეძლო და თავისსავე მიერ დამუნათებული ამხანაგები ჩეკისტების ხელში არ ჩაეყარა? თუ ჰქონდა, მაშ ის რაღა იყო, რომ 1945 წლის ზაფხულში, როცა ომი უკვე მოგებული იყო, ჩეკისტები კი შედარებით უფრო მშვიდად ირჯებოდნენ, - ვიმეორებ, შედარებით-მეთქი, - რაღად მოხდა, რომ მამულაიშვილს თავში ერთი-ორჯერ წაუთაქეს თუ არა, მაშინვე გუდას თავი მოხსნა და, სიმართლეს ვინ-ღა ჩივის, იმდენი ტყუილი დააფრქვია, რომ ერთ წელიწადს გარს ვერ შემოუვლიდი? რატომ კადრულობდა ყველაფერ იმას, რისთვისაც ყოველ ნარმალურ ადამიანს შეაჩვენებდნენ და საზოგადოებიდან მოჰკვეთდნენ? იმიტომ, რომ ობოლი იყო, გაჭირვებაში გაიზარდა და ასეთს კი ყველაფერი ეპატიება?

კარგი არგუმენტია!..

მაგრამ ამბებს თანმიმდევრობით მივყვეთ.

უკვე მოგახსენეთ, იმ ხანებში - 1941 წლის შემოდგომაზე, - ძალიან დაბნეული, პირდაპირ კალაპოტიდან ამოვარდნილი ვიყავი მეთქი. არ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი. ფრონტზე გაჭრა და ფაშისტებთან ომში თავის დადება, როგორც სხვა ქართველ ახალგაზრდებს, ისე არც მე მეჩქარებოდა. საერთოდ, დარწმუნებული ვარ, მაშინ დიად საბჭოეთში ფაშისტები მხოლოდ წითელი არმიის პოლიტმუშაკებს ძულდათ. მაშინ მხოლოდ პოლიტმუშაკები იყვნენ მზად, „სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლათ“ ფაშისტების წინააღმდეგ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ფაშისტები მათ დაულაპარაკებლად ხვრეტდნენ, და მეორეც იმიტომ, რომ

პოლიტხელები თითონ კი არ ომობდნენ, არამედ „შთაგონების გზით“ სხვებს აომებდნენ, ვალდებულნი ხართ, სამშობლოსთვის თავი გასწიროთო. საკმარისი იყო, პოლიტხელს ჩეკაში დაბეზღების ქაღალდი შეეტანა, მავანი და მავანი მზად არ არის, სამშობლოსთვის თავი დაუყოვნებლივ გასწიროსო, რომ საკუთარი ვალი სამშობლოს წინაშე მოხდილად მიაჩნდა. ვინ იცის, ამ ხორცმეტებმა რამდენი უდანაშაულო ადამიანი დაღუპეს, ოღონდ კი ჩეკა და ბარემ საკუთარი თავიც დაერწმუნებინათ, კარაქიან პურს ტყუილად კი არ ვჭამთ, სამშობლოს დაუფასებელ სამსახურს ვუწევთო, მართლაც, ხუმრობა ხომ არ არის ისეთი ომის დროს შენიღბული მტრების გამომჟღავნება! „შენიღბული მტრები“ კი, მოგეხსენებათ, საბჭოთა ხელისუფლებას არასოდეს არ ელეოდა, ხოლო თუ მკითხველს ეჭვი ეპარება ჩემი მტკიცების სიმართლეში, მაშინ ფაშისტებთან შებმა ქართველ ახალგაზრდებს დიდად არ ეხალისებოდათო, ვურჩევ, ცნობილი სტალინისტისა და ამავე დროს ასევე ცნობილი ანტისტალინისტის კონსტანტინე სიმონოვის წიგნები და საჟურნალო პუბლიკაციები გადაიკითხოს და დაინახავს, რომ 1941-42 წლებში ფაშისტებთან შერკინება მარტო ქართველს კი არა, საბჭოთა კავშირში მცხოვრებ არც ერთი ეროვნების ხალხს არ ეჩქარებოდა. ხოლო რაც შეეხება პოლიტხელებს, ისინი სტალინმა სამხედრო ნაწილების მეთაურებს მხოლოდ 1942 წლიდან დაუმქვემდებარა, ისიც გენერალური შტაბის კატეგორიული მოთხოვნის შედეგად; მანამდე ნაწილის მეთაური და პოლიტხელი სრულიად ერთნაირი უფლებებით სარგებლობდნენ, ე.ი. ყოველ ოცეულს, ასეულს, ბატალიონს, პოლკს, დივიზიას და ა.შ. და ა.შ. ორი თანაბარუფლებიანი მეთაური ჰყავდა. სამხედრო გენიალობა ამაზე შორის ვეღარ წავა! არა, „ხალხების მამას“ ნამდვილად არ შეეძლო, ყოველ ათ-თხუთმეტ საბჭოთა მოქალაქეში ერთი ჯაშუში მაინც არა ჰყოლოდა. ასე იყო ომამდეც, ომის დროსაც და ომის შემდეგაც. ასე იყო არმიაშიც და ზურგშიც, ფრონტზეც და სოფელ-ქალაქებშიც. სამხედრო მეთაურებს კი თავიანთ „ხელქვეითებად“ ქცეული პოლიტხელებისა, ე.ი. ჩეკას

აგენტებისა, 1942 წლის შემდეგაც ისევე ეშინოდათ, როგორც მანამდე. არადა, ეს შიში ახლა უკვე სრულიად ზედმეტი იყო: 1942 წლის შემდეგ, როცა ხალხი მართლაც დარწმუნდა, რომ ჰიტლერი სტალინზე უკეთესი კი არა, უარესიც კი იყო, ხოლო როკოსოვსკიმ სტალინგრადთან პაულიუსის მთელი არმია დაატყვევა და ქვეყნიერებას დაანახვა, ვერმახტი არც ისე უძლეველიაო, მთელმა ხალხმა ხელი გამოიღო და ჰიტლერს მართლაც სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გაუმართა, რაც გამარჯვებით დაასრულა კიდეც. სტალინი კი რისი სტალინი იქნებოდა, ეს ყველაფერი პირადად თავის სასარგებლოდ არ გამოეყენებინა და ომის დამთავრების შემდეგ მხრები გენერალისიმუსის ეპილეტებით არ დაემშვენებინა.

ისევ მამულაიშვილს მივხედოთ. იმ ხანებში მან ჩემს მიმართ ნამდვილად დიდი ყურადღება და გულისხმიერება გამოიჩინა. ჩამჩიჩინებდა, უნიჭიერესი ბიჭი ხარ, ცოდვაა, შენ ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდეო, რა შენი საქმეა გრამატიკაში ჩხირკედელაობა, უკეთესი იქნება, თუ ფილოსოფიის ფაკულტეტზე გადმოხვალო... მართლაც, გადავედი. კოტე ბაქრაძეს ეს საკმაოდ დიდ შრომად დაუჯდა. ერთ ხანს ლექციებზეც კი დავდიოდი. მოსე გოგიბერიძემ ანტიკური ფილოსოფიის ისტორიაში „ოთხი" დამიწერა და მითხრა, ეს ახლა ასე იყოს, შენ კი, გეტყობა, ფილოსოფიის სწავლა ნამდვილად შეგიძლია და ყურადღებას არ მოგაკლებო. მაგრამ მე ძალიან მალე ასეთი „პოზიცია შევიმუშავე": თუ გინდა, ნამდვილი ფილოსოფოსი იყო, კანტისა და ჰეგელის ნააზრევი უნდა იცოდე-მეთქი. ალბათ, ეს პოზიცია არც თუ მთლად მცდარი იყო. მაგრამ ორივე ამ ფილოსოფოსის, განსაკუთრებით კი ჰეგელის დაძლევა ძალიან გამიჭირდა. მე არც ისა მგონია, რომ თვით იმათ შორისაც კი, ვინც ახლა პროფესიონალი ფილოსოფოსის სახელით სარგებლობს, ამ გერმანელის ნააზრევი ყველამ ძალიან კარგად იცოდეს. ისიც გაითვალისწინეთ, რომ უნივერსიტეტში პირდაპირ სულისშემხუთავი ატმოსფერო იყო და ისე მოხდა, რომ უნივერსიტეტის ბაღში უფრო მეტ დროს ვატარებდი, ვიდრე ლეციებზე, სრულიად დარწმუნებული, იმდენად ნიჭიერი ვარ, რომ

სხვებს როცა მოვინდომებ, მაშინ დავეწევი-მეთქი. თანაც ესთეტიკა მუდამ უფრო მაინტერესებდა, ვიდრე ფილოსოფიის სხვა განშტოებანი, ესთეტიკას კი ჯერჯერობით არც გვიკითხავდნენ.

ძალიან შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ მაშინდელი ჩემი ქცევა იდეალურადწარმოგიდგინოთ. ეს ყველაფერი იმითი გათავდა, რომ კოტე ბაქრაძე უკვე ნანობდა, ესბიჭი ჩემს ფაკულტეტზე რატომ გადმოვიყვანეო. მორიგ გამოცდაზე „ოთხიანი“ ძლივს გამოიმეტა. ორი წლის შემდეგ კი ასეთ ამბავშ იგავები: თითქმის მთელი კურსის ბიჭებმასიყალბე ჩავიდინეთ და „ქართული პედაგოგიკის ისტორიაში“ ნიშნები თითონვე ჩავიწერეთ. ჩავარდნით კი მარტო მე და გოგი ხუნწარია ჩავვარდით. კინაღამ უნივერსიტეტიდან გაგვრიცხეს, თუმცა-ღა ამ საგნის ლექტორს, პროფესორ გიორგი თავზიშვილს ასე უთქვამს, ძალიანაც კარგი უქნიათ,მაგრამ მოსულიყვნენ, „ხუთებს“ მე თითონაც დავუწერდიო. მართლაც, ფილოსოფიის ფაკულტეტი ახალი დაარსებული იყო, - ჩვენ პირველი გამოშვება უნდა ვყოფილიყავით, - კარგად გააზრებული პროგრამა არც კი არსებობდა და ზოგჯერ ისეთ საგანს „წაგვიკითხავდნენ“ ხოლმე, რომელიც ჯერ ხეირიანად დამუშავებულიც კი არ იყო, ხშირად ლექტორმაც კი არ იცოდა, რაზე ელაპარაკა.

მაშინ ასე იყო, როგორც ამბობენ, ქართული პედაგოგიკის ისტორია ახლა უკვე სერიოზულად დამუშავებული მეცნიერული დისციპლინაა. კეთილი და პატიოსანი.

მე და გოგი ხუნწარია კომკავშირულ კრებაზეც დაგვამუშავეს. ამ კრებაზე „ყალთაბანდობის, ფაკულტეტის შემარცხვენელთა“ მისამართით მგზნებარე ფილიპიკა წარმოთქვა მიტო მამულაიშვილმაც, რომელსაც იმავე საგანში ზუსტად ასეთივე ყალთაბანდობა ჰქონდა ჩადენილი.

იმედია, ყველაფერ ამას მკითხველი დიდად არ გაიკვირვებს. მაშინდელ კომკავშირულ კრებებზე ამაზე გაცილებით უფრო საოცარი ამბები ხდებოდა. დაახლოებით იმავე ხანებში თავი ჩამოიხრჩო ჩვენმა სტუდენტმა, ნიჭიერებით უკვე სახელგანთქმულმა ლეო ხვიჩიამ. კომკავშირელები შეჰყარეს და კომკავშირელისთვის

შეუფერებელი საქციელისთვის მიცვალებული კომკავშირიდან გაარიცხინეს. ხელი ყველამ ასწია. აქვე უთუოდ უნდა გითხრათ, რომ ლეო ხვიჩიას გპატიოსნება მისმა მეზობელმა, ცნობილმა ფეხბურთელმა მიხეილ ბერძენიშვილმა იდო თავზე, რაც იმ დროის კვალობაზე ნამდვილი გმირობის ტოლი იყო. თბილისის „დინამოს“ ცნობილი ინსაიდი, მერე კი ჰავბეკი, ლეგენდარული პენალისტი, მიშა ბერძენიშვილი ისე მოიქცა, როგორც ნამდვილ თბილისელს შეეფერებოდა. თვით ხვიჩიას გასვენება კი ნამდვილ დემონსტრაციად იქცა - მიცვალებულს მთელი თბილისი მიასვენებდა. მაშინ თბილისელები თანაუგრძნობდნენ რეპრესირებულებს და მათი ოჯახის წევრებს. მაშინდელი თბილისელი ზოგიერთი ახლანდელივით არ იტყოდა, უდანაშაულო რომ ყოფილიყო, სტალინი არ დახვრეტდაო.

ჩემი და მიტო მამულაიშვილის დამეგობრება ინტენსიურად ვითარდებოდა. ჩემთან სახლშიც ხშირად მოდიოდა და, მგონი, თავს აქ ჩემზე უკეთესადაც კი გრძნობდა. „Обоятельный молодой человек“-ო, ბრძანა ერთხელ დედაჩემმა. ერთ საღამოს კი, ოღონდ არა ჩემთან, არამედ მიტოსთან, ჩვენს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა.

- გუშინ ერთ კაცს ბიძაშენზე ველაპარაკე. მითხრა, ამ ხნის კაცი ვარ და ისეთი ვაჟკაცი ჯერ არ მინახავსო.

- მეც გამიგონია.

- სხვებისგან? შენ თითონ არ იცნობდი?

- მართლაც ძალიან უშიშარ ვაჟკაცს ამბობენ. შეიძლება, რაღაცეები ეშლებოდა, მაგრამ შიშით, მგონი, არასოდეს არაფრის შეშინებია. ნათესავმა ქალმა მითხრა, ჩამოხრჩობა რომ მიუსაჯეს, მომაძახა, არ შეგეშინდეთ, მე ესენი ვერ ჩამომახრჩობენო... ამ ბორკილებს დავგლეჯო... მართლაც, ნიკოლოზმა შეიწყალა. მერე ჩამოხრჩობა, მგონი,ერთხელაც მიუსაჯეს და - ისევ შეიწყალეს. არ ვიცი, ტყუილია, თუ მართალი, მაგრამ თითქოს ნიკოლოზს უთქვამს, ერთი მაჩვენეთ, რა კაცია და რას მერჩისო.

- შეშლით რაღა შეეშალა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- რა ვიცი... დაიჭირეს... აღარსად ჩანს...

- რაკი დაიჭირეს, ესე იგი, რალაცა შეეშალა?!

- აბა, რა ვიფიქრო?

- ჰმ!..

- გერმანელები მოსკოვს კიდევ ბომბავენ?

- ახლა, მგონი, აღარ... მაგრამ მე შენ ბიძაშენზე გელაპარაკები. ვინმე დარჩა?

- ქალიშვილი, ცოლი დაჭერილია.

- ეს ცოლების დაჭერა რაღა იყო?

- ეგ არც მე ვიცი.

- მე ის ვიცი, რომ მამაჩემს პოლიტიკასთან არაფერი ესაქმებოდა. აი, ბაბუაჩემი, მიტუშა აბაშიძე...

- ჰო, მიტუშა...

- ეჰ!.. კარგი, ეს მითხარი... ისა... ნუკრი, არაფერი გაწუხებს?

- როგორ - არ მაწუხებს?!

- მაინც, რა გაწუხებს?

- ბევრი რამ...

- მაინც?

- მაინც - რა ვიცი... ბევრი რამ...

- ჯარის საქმე როგორა გაქვს?

- ალბათ, წამიყვანენ.

- რემი და გიორგი მუშათა ბატალიონში არიან...

- მაგათ მამები დაჭერილი ჰყავთ. შენ?

- არ ვიცი. მეც ხალხის მტრის შვილი ვარ. მეც მუშათა ბატალიონში წამიყვანენ.

- ბეგემოტა? ლუტუ?

- ბეგემოტას და ლუტუს პატრონები ჰყავთ. მაგრამ ეს არაფერი. მაშ, არაფერი გაწუხებს?

- რატომ - არაფერი? გითხარი, ბევრი რამ-მეთქი.

- კარგი. ახლა გავათავოთ. ხვალ გამოიარე. სერიოზული საქმე მაქვს.

მეორე დღეს იმავე ტახტზე ჩამოვჯექით. ფერი არ იდო და

პაპიროსს პაპიროსზე აბოლებდა. დიკი შესაჩნევად ღელავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- შალვა ნუცუბიძე ჩამოდის.

- ვიცი.

- იჯდა, ხომ იცი?

- როგორ არა!

- სტალინმა გამოუშვა.

- ბარემ. სხვებიც გამოეყოლებინა.

- სხვების ჯერ არაფერი ისმის, მაგრამ რაც მითხრეს, თუ ეს მართალია, მოსკოვამდე -ფორთხვით წავალ, სტალინთან მივალ და მუხლებს დავუკოცნი.

- ისეთი რა გითხრეს?

- სტალინი დიდი მასშტაბის პოლიტიკოსია. ასევე ბერიაც. გამონაკლისებს ეგენი არ უშვებენ. დიდ პოლიტიკოსს გამონაკლისის დაშვების უფლება არ აქვს. მაგრამ აი, შალვა გამოუშვეს. თანაც - ყველაფერი ალუდგინეს, ჩვენს აკადემიაში აირჩევენ, უნივერსიტეტში ლექციებს წაგვიკითხავს. ასეთი ამბები კი უმიზეზოდ არ ხდება.

- მაინც, რა მიზეზია?

- არის, და თუ ეს მართალია, აკი გითხარი, მოსკოვში ჩავალ და სტალინს თავიდან ფეხებამდე დავკოცნი.

- სტალინთან არავინ შეგიშვებს.

- იმის ნაკვალევს დავკოცნი.

- არც ნაკვალევთან მიგიშვებენ. მაგრამ მაინც - რა ამბავია?

- ყური დამიგდე. - მიტომ უფრო ახლოს მოიწია და ხმა, როგორც ილფი და პეტროვი იტყოდნენ, სრული არალეგალურობის დონეზე დააყენა, - ჩარკვიანი და ბაქრაძე მოსკოვში ყოფილან, იცი?

- ჩარკვიანი და ბაქრაძე მე ანგარიშს არ მაბარებენ. მერე?

- სტალინისთვის უკითხავთ, უკან დახევა თუ მოგვიხდა, თბილისი დავწვათ თუ არაო. ჩვენები ხომ უკან დახევისას ყველაფერს წვავენ და აფეთქებენ.

- ყველაფერს?!..

- სადაც დნეპროჰესი ააფეთქეს...

- დნეპროჰესი ააფეთქეს?!..

- მანდ უბრალო არითმეტიკაა. გერმანელები დნეპროჰესს ჯერ თავისთვის გამოიყენებენ, მერე კი, უკან დახევისას, თითონვე ააფეთქებენ. ასე რომ...

- ეგ სტალინმა მოიფიქრა?

- სხვა ვინ გაბედავდა!..

- მაგარი კაცია? მერე?

- რა - მერე?

- ჩარკვიანი, ბაქრაძე...

- ჰი... სტალინს გენიალური პასუხი გაუცია: კაცო, თბილისში ისეთი რა მრეწველობა გაქვთ, რომ გერმანელებმა დაწვან და ააფეთქონ. ეს ერთიო. მეორეც: თბილისის დატოვებას ჩვენ არ ვაპირებთო; და მესამეც: მე ახლა თბილისში შალვა ნუცუბიძეს გამოვგზავნი, თუ ღმერთი გაწყრა და თბილისის დატოვება მართლა მოგვიხდა, ნუცუბიძე გერმანელებთან საერთო ენას გამონახავსო.

- მართალია, ნუცუბიძე და სტალინი ახალგაზრდობისას ერთ გაზეთში თანამშრომლობდნენო?

- მართალია.

- მაშინ ყველაფერი გასაგებია.

- ოღონდ ამაზე - კრინტი! არავისთან არაფერი!

- მესმის.

- ისე, ხალხი გაფრთხილებულია... ვინც საჭიროა... საქმის კურსში არიან შტაბშიც და ყველგან, სადაც საჭიროა. ოღონდ...

- მესმის.

- საქმე, შეიძლება, იარალამდე მივიდეს. არა, ეს ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ... მაინც... ვინ იცის... შალვას ჩვენი დახმარება დასჭირდება... ალბათ...

- ალბათ, მართლაც...

- შენ რას იტყვი?

- მე რა შემიძლია?

- რა, სხვაზე ნაკლები ხარ?

- მე მგონი, არა.

- აბა?..

- არაფერი. თუ საჭირო გახდა...

- აი, სწორედ მაგისი გაგონება მინდოდა. ახლა მომისმინე: ამ თემაზე მე და შენ არც კი გვილაპარაკია.

- მესმის.

ეს დიალოგი ამითი დამთავრდა. მერე რამდენჯერმე გავიფიქრე, სტალინის დავალება ასეთია, ჩარკვიანი და ბაქრაძე რაღას გაბედავენ-მეთქი. მაგრამ ამ პრობლემას დიდად არ შევუწუხებივარ და მალე სულაც გადამავიწყდა. მით უმეტეს, რომ გერმანელები მოსკოვთან შეაჩერეს და კიდეც უკუაგდეს. ოღონდ, რა თქმა უნდა, არ „გაუნადგურებიათ", როგორც ამას საბჭოთა პროპაგანდა დღემდე ირწმუნება. რომ გაენადგურებინათ, ტყვედ ორიოდე ოფიცერს მაინც წამოიყვანდნენ, ეს ერთი, და მეორეც - მომდევნო წელს სტალინგრადამდე აღარ ირბენდნენ და სტალინი ჰიტლერთან მოსარიგებელი გზების ძებნას აღარ დაიწყებდა.

ახლა აღარ მახსოვს, იმ დიალოგის შემდეგ რამდენი ხანი გავიდა. იქნებ, ერთი-ორი კვირა; იქნებ, ერთი-ორი თვე. ეს კი იყო, რომ რუსთაველის პროსპექტზე მოსეირნეს კიდევ ერთი თანაკურსელი ლეო ბოლქვაძე დამემგზავრა. ამ მთის, იმ ბარის და - მერე შემპარავი, „სრული არალეგალურობის დონეზე" დაყენებული ხმით მკითხა, ასეთი ამბები ტრიალებს და ნუთუ არავინ არაფერს ფიქრობსო.

- რისას?

- გერმანელები გაზაფხულზე ისევ შემოგვიტევენ.

- მერე?

- ხალხი ასე გულხელდაკრეფილი იქნება?

- რატომ - გულხელდაკრეფილი? ხალხი ომობს. წაგვიყვანენ და ჩვენც ვიომებთ.

- მაგას არ გეკითხები.

- აბა?

- არა... არაფერი... ისე...

ბოლქვაძე მალე ჩამომშორდა. მრავალმნიშვნელოვნად იღიმებოდა. თურმე, მას უკვე „დანამდვილებით" ცოდნია, რომ

უნივერსიტეტის ასპირანტებს კოტე ხიმშიაშვილის და კიდევ ვილაცეების მეთაურობით შეუდგენიათ ფარული ანტისაბჭოთა ორგანიზაცია, რომელსაც შეიარაღებული აჯანყების გზით უნდა დაემხო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება, ხოლო მე... პრინციპული თანხმობა მიმიცია ამ ორგანიზაციაში მონაწილეობაზე! არა, მაშინ მე ხეირიანად არც კი ვიცოდი, ვინ იყო კოტე ხიმშიაშვილი. მაშინ კი არა, ახლაც მხოლოდ ეს ვიცი, რომ მწერლობა, სხვებთან ერთად 1941 თუ 42 წელს დაიჭირეს და დახვრიტეს. ახლა რეაბილიტირებულნი არიან. ახლა მისი „ჯონქა ხორნაულიც“ წაკითხული მაქვს. მაგრამ მაშინ მაინც რას აპირებდნენ, როგორი ჩანაფიქრი ჰქონდათ და მართლა რამეს აპირებდნენ თუ არა, ახლაც არ ვიცი. ამასწინათ სიონის ტაძარში მათი სულების მოსახსენებელ პანაშვიდს დავესწარი - და მაინც ვერ გავიგე, რა ჩაუდენიათ. ახლა მხოლოდ ის ვიცი, - მოგვიანებით გავიგე, რომ მიტო მამულაიშვილს 1941 წლის შემოდგომაზე ერთი სული ჰქონდა, გერმანელები საქართველოში როდის შემოვიდოდნენ, მაიორატს დააწესებდნენ (თუ აღადგენდნენ) და მიტო მამულაიშვილს ბაბუამისის, „საქართველოსთვის წამებული რაინდის“ მიტუშა აბაშიძის ქვეშხურ მამულებს დაუბრუნებდნენ. ფილოსოფიური პრობლემების რკვევაზე არანაკლებ მიტო მამულაიშვილს მემამულეობა აინტერესებდა.

მიტო მამულაიშვილს კოტე ხიმშიაშვილთან და მის ორგანიზაციასთან დაკავშირებით რაღაც ისტერიული ეიფორია ჭირდა. აღარავის და აღარაფერს ერიდებოდა, თუმცა კარგად იცოდა, რომ არც შალვა ნუცუბიძე და არც მით უმეტეს, სტალინი არაფერ შუაში იყვნენ. საქმე ეხებოდა ფარულ ანტისაბჭოთა ორგანიზაციას, რომლის მიზნებიც მხოლოდ ხიმშიაშვილმა და თითონ მამულაიშვილმა იცოდნენ. ერთხელ რუსული ფაკულტეტის სტუდენტებმა ვახშმად მიგვიწვიეს და მიტო მამულაიშვილმა სცადა, თავის, თანამდგომად გია მარგველაშვილი გაეხადა, რაზეც კატეგორიული პასუხი მიიღო. „მე ბევრი ვიარე ამ ქვეყნად, მაგრამ მარქსიზმზე ჭკვიანურ მოძღვრებას ვერსად წავაწყდიო“. მეორეჯერ

მამულაიშვილმა თავის რჯულზე მოქცევა ისეთ პირწავარდნილ სტალინისტს დაუპირა, როგორც გიორგი გელაშვილი (მასკ) იყო, და ასე შემდეგ. ჩანს, სრულიად დარწმუნებული იყო, სადაცაა, გერმანელები კავკასიის ქედს გადმოაბიჯებენ და ქვიშხეთის მამულებს ჩამაბარებენო.

არ მახსოვს, ხიმშიაშვილი და მისი ჯგუფი უკვე გასამართლებულნი იყვნენ, თუ არა, როცა ასეთი ეპიზოდი შემემთხვა.

იმავე რუსთაველზე (გოლოვინს ეს პროსპექტი სწორედ ჩემდა ჭირად გაუყვანია!) ცნობილი „ბაირონა" დამემგზავრა. მისი სახელი და გვარი აღარ მახსოვს. კოჭლი იყო, ყავარჯნით დადიოდა და ძალიან ბევრ დროს უნივერსიტეტის ბაღში ატარებდა. მასლაათში მითხრა; ვერ წარმოიდგენ, როგორ მომწონს მიტო მამულაიშვილი, ნამდვილად წამებულის სახე აქვსო. მერე მომიახლოვდა, მკლავი გამომდო და ხმა იმავე „სრული არალეგალურობის დონეზე" დააყენა:

- შენ და ეგ მაშინ როგორ გადარჩით?

- როდის?!

- როცა ბიჭები დაიჭირეს.

- ვინ ბიჭები?!

- კარგი ახლა... ჩემთან მაგისთანები რად გინდა!.. რა ჩეკაში გამქცევი მე მნახე?!

- მაინც, რომელ ბიჭებზე ლაპარაკობ?

- კარგი. მოვრჩეთ. შენ სწორედ იქცევი. რაც იყო, იყო. გადარჩით? მაშ, ბედი გქონიათ.

ერთი ხნის შემდეგ კი გივი კარბელაშვილმა მითხრა, ვიცი, შენ და მიტო იმ საქმეში რომ ერიეთ და ბეწვზე ხართ გადარჩენილებიო.

- რომელ საქმეში, ქრისტიანო?!

- კარგი ახლა... რაც იყო, იყო!..

ოღონდ მკითხველი ნუ იფიქრებს, თითქოს ჩემს დაპატიმრებაში რაიმე წვლილი მიუძღოდეთ ან „ბაირონას", ან გივი კარბელაშვილს. არაფერი ამის მსგავსი!

კიდევ ერთხელ ფილოლოგმა სტუდენტმა ქალიშვილებმა, -

ხუთნი თუ ექვსნი იყვნენ, - ასევე, ჯგუფურად საუბრის ჩამოგდება, ჭკუის დარიგება და გაფრთხილება დამიპირეს. მიეხედი და გავეცალე.

მიტო მამულაიშვილი კი განაგრძობდა.

იმ ხანებში მასთან მისული ხშირად წავწყდომივარ საიდანლაც, რომელიღაც სოროებიდან გამომძვრალ, გაცრეცილსამოსიან ნამოურავალებს, ჩაფარყოფილებს, ნამოახლარებს და მსგავს საზოგადოებას.

მიტო მამულაიშვილის გარშემო წრიალებდნენ, ეჩურჩულებოდნენ და უკვე კიდეც ელიქნებოდნენ. ერთი-ორჯერ კი უკვე ხანში შესული, ძალიან ღარიბულად, რაღაც ძველმანებში ჩაცმული, მაგრამ მაინც საკუთარი ღირსების გრძნობით აღვსილი, ზრდილი და დარბაისლური ქცევის ვინმე კნიაგონია ელიზავეტაც დავლანდე. მოწყალედ მომესალმებოდა და რატომღაც მაშინვე მარაოს მოიმარჯვებდა, თუმცა-ღა გარეთ მაგარი ზამთარი იდგა.

იმ გაცრეცილი საზოგადოების ვინაობას მამულაიშვილი გულმოდგინედ გვიმალავდა და ხან რომელ „ლეგენდას" მოგვიგდებდა და ხან რომელს. მაგრამ მთლად დამალული ამ ქვეყნად ხომ არაფერია. სწორედ ამ „მაღალი საზოგადოების" შემხედვარემ გავიფიქრე ერთი-ორჯერ, მიტო მამულაიშვილს რაღაც საკუთარი ანგარიშები უნდა ჰქონდეს-მეთქი. მაგრამ დიდად არც ამ ალმოჩენაზე დავფიქრებულვარ. მოგეხსენებათ, სიჭაბუკე - უდარდელობის ხანაა.

იმავე ხანებში ლეო ბოლქვაძემ პირდაპირ გამარეტიანა. იმავე რუსთაველზე სეირნობისას მიიხედ-მოიხედა, ხმა დაიდაბლა და გამომიტყდა:

- იცი, ნუკრი, შენ რომ მაშინ ის ამბავი მითხარი, მე ბიჭებს გავანდე.

- რა ამბავი?!..

- აი, მაშინ რომ ვილაპარაკეთ...

- ჰმ! ვინ ბიჭებს გაანდე?

- ალეკო მარგველაშვილს, გივი ცინცაძეს...

- კაცო, შენ გაგიჟდი?!..

- ?!..

- ჯერ ერთი, არაფერი „ამბავი“ მე შენთვის არ მითქვამს. შენ თითონ რაღაც ჭორი იცოდი და შენვე მითხარი, მე კი ახლაც არაფერი ვიცი. და მეორეც: შეიძლება, რაიმე სერიოზული ამბავი ალეკო მარგველაშვილს ანდო? გივი ცინცაძეს შორიდან ვიცნობ, კარგი ბიჭი ჩანს... ცუდი არც ალეკია, მაგრამ კაცი სმას, კარტს და ქალებსაა გადაყოლილი, იმას შენი „რაღაც ამბებისთვის“ სცალია?

- ალეკოს მამა ჰყავს დაჭერილი.

- მამა დაჭერილი ნახევარ საქართველოს ჰყავს. და საერთოდ, თუ კაცი ხარ, მაგ თემაზე აღარ დამელაპარაკო.

ამ თემაზე მე და ბოლქვაძეს მართლაც აღარასოდეს გვილაპარაკია, სანამ უშიშროების სამინისტროს შინაგან ციხეში არ მოვხვდით. სამაგიეროდ ამავე თემაზე იმ დღეებში მიტო მამულაიშვილს დაველაპარაკე. პირდაპირ ვუთხარი, ნუცუბიძე და სტალინი არაფერ შუაშია, შენ რაღაც სხვა საქმეში მაბამ, ან, იქნებ, უკვე კიდეც ჩამაბი-მეთქი.

- არაფერში ჩამიბიხარ. ეგეთი გულუბრყვილო კი არ უნდა იყო, ხე-ხე!..

- რატომ - გულუბრყვილო?

- აბა, ბიჭო, როდის იყო, სტალინი თბილისზე და საქართველოზე ზრუნავდა? თბილისიც და საქართველოც იმას ფეხებზე ჰკიდია. ერთხელ ბუდუ მდივანს მიუწერია, კაცო, ცოტა ხალხსაც მივხედოთ, ასე გაჭირვებული სანამდე უნდა იყოსო... და იცი, რა შემოუთვალა? შენ იკითხე, ჩემო ბუდუ, თორემ მე კი მივირთმევ აქ მოხრაკულებსო. ბავშვი ნუ ხარ!

- კარგი, ბავშვი აღარ ვიქნები, მაგრამ... რატომ ყველაფერი თავიდანვე არ მითხარი?

- რაც საჭირო იყო, ის გითხარი. სახუმარო საქმე არ იყო.

- მართლა ბავშვი გგონივარ?

- ო-ოჰ!..

შევყევით და ერთმანეთი მაგრად გამოვლანძღეთ. კარგა ხანს აღარც ვლაპარაკობდით. მაგრამ ობოლს ხომ საქართველოში ყველაფერი ეპატიება, მით უმეტეს, თუ თავსაც მოიკატუნებს და

პატიებას გთხოვს. მე კი ნამდვილად არ ვიცოდი, თუ ეს ყველაფერი თერთმეტი წლის კატორღად დამიჯდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამულაიშვილი უბრალოდ მოვალე იყო, ეს დიალოგი 1945 წელს გამომძიებლისთვის ეამბნა და კიდეც ჩაეწერინებინა, მაგრამ... თქვენც არ მომიკვდეთ! ძიების ოქმში სწორედ პირიქით წერია, რამაზ კობიძემ ცხოველი დაინტერესება გამოიჩინა ხიმშიაშვილის საქმით და ორგანიზაციაში კიდევ სამი პიროვნება - ლეო ბოლქვაძე, ალეკო მარგველაშვილი და გივი ცინცაძე ჩააბაო (?!). მერე, კოლონიაში, ვკითხე, ის რამ გათქმევინა-მეთქი და - მაგითი სხვები გადავარჩინეო (?!). თურმე, მე გამწირა და ამ გზით სხვები „გადაარჩინა“, სწორედ ისინი, ვიზეც დამლუპველ, თანაც ხშირად სრულიად არასწორ ჩვენებებს აძლევდა და ხელსაც აწერდა. ერთი სიტყვით, მე ნურაფერი დამიშავდება და სხვებს კისერიც უტეხიათო. ის კი არა, როცა ხმა გამოვიდა, ხიმშიაშვილი და მისი ჯგუფი დახვრიტესო, ყელგამოწევით მთხოვა, წამოდი, პანაშვიდზე მივიდეთ და მოხუცები ვანუგეშოთ, ვინ იცის, ის ბიჭები მართლაც რატომ დახვრიტესო. არც დავფიქრებულვარ, ისე წავყევი. კომუნისტების ხელში ტყუილ-უბრალოდ დახვრეტილების მეტი რა მინახავს...

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ მიუხედავად ყოველივე ამისა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მძიმე წლები იყო და ადამიანებს სულ უმნიშვნელო მიზეზით, ჩვეულებრივ კი სრულიად უმიზეზოდაც კი იჭერდნენ და სამუდამოდ ჰკარგავდნენ, მე ამ ეპიზოდებს ძალიან მალე ვივიწყებდი. თავი არასოდეს რომელიმე ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრად ერთი წუთითაც კი არ მიგრძვნია. არც ის მჯეროდა, რომ სისხლის სამართლის კოდექსში მართლა იყო მუხლი (58 12), რომლის ძალითაც დამნაშავედ ითვლებოდა და სასტიკად, ხშირად სიკვდილითაც კი ისჯებოდა ადამიანი, რომელმაც იცოდა რაიმე ფარული ანტისაბჭოთა ორგანიზაციის არსებობა და ამის შესახებ სათანადო ორგანოებს არ აცნობა. იმ მუხლის არსებობა უნდა მცოდნოდა, მაგრამ, ვთქვათ, ვიცოდი და ჩეკაში განცხადებით მივედი, რა უნდა მეთქვა? სტალინმა ნუცუბიძე ციხიდან იმიტომ გამოუშვა, რომ თბილისი აოხრებისგან

გადაერჩინაო? მეტი კი არაფერი ვიცოდი. ხოლო ის, რომ სხვებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყება ჰქონდათ ჩაფიქრებული, ეს გავიგე მაშინ, როცა ეს ჯგუფი დააპატიმრეს და მათზე მთელი თბილისი ლაპარაკობდა. გავიგე-მეთქი, ვამბობ, მაგრამ დავიჯერე თუ არა, ეს სხვა საკითხია. შეიარაღებული აჯანყება - ვის წინააღმდეგ? სტალინის და ბერიას კაციჭამიების წინააღმდეგ? ჩემის აზრით, ეს ძალიან ძნელი გასაბედია. იმ ბიჭებს მაშინაც რეჟიმის უდანაშაულო მსხვერპლად ვთვლიდი და ახლაც ისევე ვთვლი. შეიძლება დაზუსტებაც: იმ ორგანიზაციის წევრები გონებაგახსნილი, ნიჭიერი, პატიოსანი ახალგაზრდები იყვნენ, რომლებიც თვალნათლივ ხედავდნენ, თუ რა უკულმართობა მეფობდა მათს ქვეყანაში. ისინი ამან გააერთიანა. მაგრამ მართლა მზად იყვნენ თუ არა ისინი სტალინის ხელისუფლების წინააღმდეგ იარაღით ხელში გამოსასვლელად, ამაზე აზრის გამოთქმისაგან თავს შევიკავებ. ამაზე ლაპარაკი მხოლოდ სუკ-ის არქივების გახსნის შემდეგ შეიძლება. ეს კია, რომ ამ ბიჭებმა უშიშროების მაშინდელ მესვეურებს მაგარი შიში აჭამეს და ამიტომაც იყო, რომ გამომძიებელი, „ნაკოლკებიანი" ნაძირალა მარქაროვი ფეთიანივით დარბოდა მოსკოვსა და თბილისს შუა და მანამდე არ მოისვენა, სანამ 17 თუ 19 ახალგაზრდა არ დაახვრეტინა. დახვრეტასაც თითონვე დაესწრო, რისი უფლებაც მას არც კი ჰქონია.

სხვათა შორის, 1945 წელს ძიების დროს ლეო ბოლქვაძემ ერთად-ერთი სიმართლე თქვა, - 1941 წლის შემოდგომაზე კობიძეს მე თითონ ვკითხე, ვინმე რამეს ხომ არ აპირებსო. ის კი აღარ უთქვამს, და აღარც გამომძიებელს ჩიტაიას უკითხავს, რაღა მე მკითხა, და არა სხვა ვინმეს. ცნობილი ანტისაბჭოთა ელემენტი არასოდეს ვყოფილვარ, არა იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ძალიან მიყვარდა და ვენდობოდი, არამედ იმიტომ, რომ საერთოდ სიტყვაძვირი ჭაბუკი გახლდით და ჩემი გრძნობებისა და ფიქრების გამომჟღავნება არასოდეს მეხალისებოდა.

მიტო მამულაიშვილი კი არ შემოიფარგლა მხოლოდ ფარული

ანტისაბჭოთა საქმიანობით და, როგორც შეეფერება ნამდვილ ობოლს, რომელსაც ფეხი ცხოვრებაში მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით უნდა მოიდგას, ცნობილ პარტიულ მოღვაწეს ალიოშა ქუთელიას დაუახლოვდა და სულ მალე კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატად, მერე კი წევრადაც მოგვეკლინა. უნდა გავუგოთ. გერმანელებს საქართველოში შემოსვლა და მაიორატის აღდგენა დაუგეგმიანდათ, მიტუშა აბაშიძის მამულები ისევ კოლმეურნეობების ბრიგადები ჩხაოდნენ, - გამოდი, შე სასიკვდილე, ვერა ჰხედავ, მზე შუბის ტარზეაო... მიტოს კი ცხოვრება უნდოდა.

სულო ცოდვილო, ახლა ისიც კი გავიფიქრე, კოლმეურნეობებს, იქნებ, მართლაც მაიორატი სჯობდეს, მით უმეტეს, რომ ახლა გლეხები პირველ ღამეს არავითარ აბაშიძეებსა და მამულაიშვილებს საკუთარ ცოლებს არ მიურბენინებენ, - აბა, მწყალობელო, გასინჯე, როგორი გოგო მიშოვნიაო...

თავი მეშვიდე

ჰიტლერის შემოსვლას საქართველოში, თითქოს, მართლაც მაიორატის აღდგენა უნდა მოჰყოლოდა. ეს მე კოტე ჯავრიშვილმა 1949 წელს, ლაგერში მითხრა. თუ ეს მიტო მამულაიშვილმა 1941 წლის შემოდგომაზე იცოდა, მაშასადამე „დიდი მამულიშვილის“ მიტუშა აბაშიძის ერთადერთ პირდაპირ მემკვიდრეს ფრიად სერიოზული მიზეზი ჰქონია, რომ „საქართველოს გათავისუფლებისათვის“ ებრძოლა და იბრძოდა კიდეც. ხიმშიაშვილის ორგანიზაციაში მას ათი თუ თორმეტი ადამიანის ჩასმა მოუსწრია, მათ შორის ისეთი გვარების წარმომადგენლებისაც, ვისაც მაიორატის აღდგენა აბსოლუტურად არავითარ სიკეთეს არ მოუტანდა - სიკინჭალაშვილი გნებავთ, თუ ბეგიაშვილი, გვენეტაძე თუ ხუნწარია, თოფურიძე თუ დოლიძე, და ა.შ. კობიძეზე აღარაფერს ვიტყვი...

სხვათა შორის, მამულაიშვილმა ჩვენება მისცა, ხიმშიაშვილის

ორგანიზაციაში მირიან აბულაძე ჩავაბიო. არადა, მოწმე ვარ, როცა მამულაიშვილმა მირიანი გაიცნო, ხიმშიაშვილის ორგანიზაცია კარგა ხნის გამომჟღავნებული და დაპატიმრებული იყო, მგონი, დახვრეტილიც.

1956 წელს, რეაბილიტაციის დროს, ელენე თოფურიძემ გაოცებით მითხრა, იმ კაცს მართლაც რაები ულაპარაკია, რაიმე წამალი ხომ არ დაალევინესო. არა, ბატონო, არაფერი დაულევინებიათ. მშვენიერ, ჰაერიან კამერაში იჯდა გრიშა კოსტავასთან ერთად. ხმის გამცემი და ჭკუის დამრიგებელი მაინც ჰყავდა - გრიშა კოსტავას ჩეკისტებთან ბრძოლის დიდი გამოცდილება ჰქონდა. მაგრამ... ერთხელ მაინც ცდილიყო და გამომძიებლებისთვის მოეხსენებინა ის ლათაიები სტალინისა და ნუცუბიძის შესახებ, რომლებითაც მე გამიმასპინძლდა. ერთხელაც არ ცდილა. არც უფიქრია. იქნებ, ამას ჩვენი მდგომარეობა როგორღაც შეემსუბუქებინა. მე კი გამომძიებლებმა ნუცუბიძის ხსენება კატეგორიულად ამიკრძალეს და რამდენჯერაც კი ვახსენებდი, იმდენჯერ ყურს მოიყრუებდნენ ხოლმე. სხვათა შორის, პოდპოლკოვნიკი ჩიტაია ოქმებზე, რომლებსაც საკუთარი ხელით წერდა, მე ხელს ისე მაწერინებდა, რომ არც კი მაკითხებდა. ეს ძალიან იოლად გამომჟავნდა 1956 წელს, რეაბილიტაციის დროს. ზოგი გაიკვირვებს, რატომ აწერდიო. მაგრამ გაიკვირვებს მხოლოდ ის, ვინც მაშინდელ ჩეკაში არასოდეს მჯდარა.

ოღონდ ეს ამბები უშიშროების ორგანოებამდე მაშინვე, 1941 წლის შემოდგომაზე რომ მისულიყო, ბევრი ჩვენგან უსასტიკეს წამებას და დახვრეტასაც კი არ გადაურჩებოდა.

კარგი. მამულაიშვილმა იცოდა, რისთვისაც „იბრძოდა", მაგრამ რისთვის იბრძოდა ლეო ბოლქვაძე, რომელსაც საქართველოში მაიორატის აღდგენა ზემოთხსენებულ „შავსისხლიანებზე" ნაკლებს შესძენდა?

ეს რისთვისღა იბრძოდა?

ამბობენ, საქართველოს დამოუკიდებლობისთვისო. კეთილი და პატიოსანი! მართლაც, დიადი მიზანია. მაგრამ თუ ასეა, მაშინ

მართლაც უნდა ებრძოლა. საქართველოს თავისუფლებისთვის საბრძოლველად მუდამ უამრავი გზა და საშუალება არსებობდა. მაგრამ სადღაც სუფრაზე, სიმთვრალეში წატრაბახება და თავის მოწონება, აქაოდა, ვიცი, რომ არის ხალხი, ვინც საქართველოს მომავალზე ფიქრობს და ზოგ მათგანს პირადადაც კი ვიცნობო, მერე კი ამ ნატრაბახევის გამოფხიზლებისთანავე სამუდამოდ გადავიწყება, - ეს არც გზა გახლავთ საქართველოს უკეთესი მერმისისათვის ბრძოლისა და არც საშუალება. ეს არის პოლიტიკური ენამრუშობა, მოქალაქეობრივი უზნეობა, უპასუხისმგებლობა და - მეტი არაფერი. მე და ლეო ბოლქვაძე ამის შემდეგ ერთმანეთს 1945 წლის ზაფხულამდე, თითქმის 4 წლის მანძილზე ვიცნობდით, ვამხანაგობდით და საქართველოს მერმისზე ერთმანეთს ერთხელაც კი არ შევსიტყვებივართ. არც ერთხელ! არადა, საამისოდ დროცა და მოვალეობაც მუდამ თავსაყრელი გვქონდა. ვფიქრობდით და ვმსჯელობდით ყველაფერზე, გარდა საქართველოს გათავისუფლებისა. და ახლაც დარწმუნებული ვარ: მაშინ ამ საკითხზე ფიქრს არავითარი აზრი არ ჰქონდა. ეს ჩემი მოსაზრება თითონ ცხოვრებამაც დაადასტურა. რაღა შორს წავიდეთ, იმავე იმერლიშვილისა და ხიმშიაშვილის ხალხმა ერთმანეთთან ხეირიანად დალაპარაკებაც ვერ მოასწრეს, რომ მაშინვე ვილაცამ დაბეზღა და... მე არ ვამბობ, რომ მაშინაც კი ვიცოდი, ფარული თვალთვალისა და დაბეზღების ინსტიტუტი რა ძლიერ იყო განვითარებული, მაგრამ იმას კი ვხედავდი, რომ ადამიანები ერთმანეთისადმი უნდობლად, იჭვნეულად იყვნენ განწყობილი... ეს კი ბევრს ნიშნავდა.

მგონი, 1942 წლის დასაწყისი იყო, როცა ლეო ბოლქვაძე ჯარში წაიყვანეს. ორიოდე კვირა თუ გავიდა და რუსთაველზე ვილაცამ მითხრა, დაჭრილა და ჩამოსულაო. მაგრამ დაჭრილი თანაკურსელის სამხედრო ჰოსპიტლებში ძებნა არ დამჭირვებია - იმავე საღამოს ოპერაში შემხვდა და „ჭრილობა“ მაჩვენა - ხელზე ბალანი ჰქონდა შეტრუსული, ხოლო კანს ხუთიოდე მილიმეტრის სიგრძეზე უნაზესი ვარდისფერი დასდებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამეცინა:

- ეს რა არის?

- ჭრილობაა. - ცოტა არ იყოს, ბოლქვაძესაც შერცხვა და ხელი უკან დამალა.

- სად დაგჭრეს?

- უკრაინაში.

- უკრაინიდან აქამდე მაგ „ჭრილობით" გამოგიშვეს?

- ჩამოვედი...

- გზაში არავინ გაგაჩერა?

- არა.

- ახლა რას აპირებ?

- არ ვიცი. ალბათ, მოვრჩები და უკანვე გამაგზავნიან.

- მორჩენილი უკვე ხარ...

- საზიზღრობაა!

- რაო?

- ფრონტი. საშინელებაა!

- ჰოო...

ერთხანს ვიყუჩეთ. ფრონტი მართლაც საშინელება იყო, ამას რა ბევრი ლარი და ხაზი უნდოდა. მერე კი, რაც მართალია, მართალია, ვურჩიე, რამე გაახერხე, ფრონტიდან ვინც ჩამოვიდა, უკან აღარ გაბრუნებულა-მეთქი. ან მეტი რა უნდა მეთქვა? მე თითონ შინ ვიყავი და ამხანაგისთვის მერჩია, ფრონტზე მიბრუნდი და სამშობლოსთვის თავი გასწირე-მეთქი? მაშინდელი სამშობლოსი მე არაფერი მწამდა.

ლეო ბოლქვაძემ კი ის „მოახერხა", რომ აღარც ფრონტზე მიბრუნებულა და აღარც სადმე სამუშაოზე მოწყობა უცდია. სამი წელიწადი უსაქმოდ და უსაბუთოდ დაეხეტებოდა სამხედრო პატრულებით სავსე თბილისში, ურცხვად იჯდა მოხუცი მამის - სანახევროდ მშიერი ღამის დარაჯის, თანაკლასელებისა და თანაკურსელების კისერზე, მერე კი ისიც „მოახერხა", რომ უშიშროების პოდპოლკოვნიკს ჩიტაიას ასეთი ჩვენება მისცა, ჩემი ამხანაგები და მათი მშობლები ანტისაბჭოთა ელემენტები არიან და

დეზერტირს იმიტომაც მინახავდნენ და მაჭმევდნენ. გამომძიებელ ჩიტაიას კი ასეთი „სიმართლეც“ მოახსენა, ჩემი დეზერტირობა ნაწილობრივ კობიძის ბრალიაო.

- დაახასიათე თინა ლობჟანიძის მშობლები, - ეკითხება, სხვათა შორის, ჩიტაია.

- ოო... სმამაღლა არასოდეს არაფერს იტყვიან, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გულში კონტრრევოლუციონერები არიან (?!).

ჩიტაიას ეს ფრაზა ოქმში მთელი სერიოზულობით შეაქვს!

- რა ღმერთი გაგიწყრა, ბიჭო, ასეთ ჩვენებებს როგორ აძლევდი, - ეკითხე ბოლქვაძეს კოლონიაში.

- იცი, ნუკრი, მე იქ... გავბოლშევიკდი.

ლეო ბოლქვაძე უშიშროების სამინისტროს შინაგან ციხეში „გაბოლშევიკდა“!

„გაბოლშევიკება“, თურმე, იმას ნიშნავს, რომ შენი ამხანაგიცა და მისი მშობლებიც, სრულიად უდანაშაულო ხალხი, რომლებისგანაც ყურადღებისა და ხელის გამართვის მეტი არაფერი გახსოვს, უშიშროების ორგანოებში დააბეზღო და საქმე დასაჭერად გაუხადო. მადლობა ღმერთს, ჩვენი „საქმე“ ახლაც სუკ-ის არქივებშია. თუ როდესმე ვინმემ წაიკითხა, დარწმუნდება: ბოლქვაძემ დასაჭერად გაუხადა საქმე თითქმის ყველას, ვისაც კი იცნობდა, ვისაც დალაპარაკებია, ვისთანაც უსაუზმია; უსადილია და უვახშმია. კიდევ კარგი, ჩეკისტებმა კეთილგონიერება გამოიჩინეს და ყველა არ დაუჭერიათ. მაგრამ ვინ დამიმტკიცებს, რომ როდესმე არ დაიჭერდნენ? განა ასეთი „ჩვენებების“ საფუძველზე ცოტა ხალხი გაანადგურეს? კიდევ კარგი, რომ დრო შეიცვალა. იმ დროის დაბრუნება ღმერთმა ნუ ჰქნას!..

ეს კაცი თბილისში დაიბადა, აქვე გაიზარდა, სკოლაში კარგ მოწაფედ ითვლებოდა, უნივერსიტეტში კი - კარგ სტუდენტად; მაგრამ სიკვდილამდე თვითკმაყოფილ, საკუთარ თავში შეყვარებულ, ეგოისტ პროვინციელად დარჩა.

ლეო ბოლქვაძის ჯარში გაწვევამდე ასეთი ამბავი მოხდა.

უნივერსიტეტის ჭიშკართან მისულმა თანაკურსელების დიდი

ჯგუფი დავინახე. ხელში ყველას რაღაც შეკრული ეჭირა. თურმე, ლეო ბოლქვაძე ჯარში გაუწვევიათ და ამხანაგებს მისთვის, როგორც ხელმოკლე სტუდენტისთვის, საგზალი გაუმზადებიათ, ვისაც რა და რამდენი შეეძლო. (სხვათა შორის, დაახლოებით იმ ხანებში ლეო ბოლქვაძეს მე „პროფესიონალი ღარიბი" შევარქვი. თუ რატომ, მოგვიანებით გაიგებთ.) მალე გამოირკვა, რომ „ნარიადი" შეივსო და ლეო ბოლქვაძე იმ დღეს ჯარში აღარ წავიდოდა. მან, მართალია, ღარიბმა, მაგრამ ამავე დროს მეტად ამაყმა სტუდენტმა, მტკიცე უარი განაცხადა, ამოდენა საგზალს შინ ვერ წავიღებო. რაკი ცოტა ფული იყო შეგროვილი, ვიღაცამ მოისაზრა: „ზემელზე" სამახსოვრო სურათი გადავიღოთო. მაგრამ ფული არ გვეყო საიმისოდ, რომ ყველას თითო სურათი გვრგებოდა. მაშინ ახალი წინადადება წამოიჭრა, - ლეოს ჯარში დღეს თუ არა, ხვალ მაინც წაიყვანენ, ამ ფულით ღვინო ვიყიდოთ, საღამოს სადმე, თუნდაც მერი მატაბელთან დავსხდეთ და პატარა დრო გავატაროთო. ასეც გადაწყდა.

იმ საღამოზე წასვლა არც მიფიქროა - არც საგზალი მიმიტანია და არც ფული დამიდევს. სოლოლაკში გვიანობამდე დავყოვნდი (ვიღაცის ქორწილში უნდა წავსულიყავით) და შინ, სამხედრო პატრულს რომ არ გადაეყროდი და ღამე მილიციაში არ გამეთია, ზედა ქუჩებით წავედი, რაც ძალიან ხშირად გამიკეთებია. პეტრიაშვილის ქუჩის კუთხეში სწორედ ის თანაკურსელები ხმაურობდნენ - „ვახშამი" დაემთავრებინათ და იშლებოდნენ. იმათაც დამინახეს, სახლში ძალად შემიყვანეს, ჭიქებში ჩარჩენილი ღვინო ერთ ჭიქაში მოაგროვეს და დამალევინეს. დიასახლისმა საიდანღაც პურის ნაჭერი მომიტანა და ბოდიში მომიხადა ეს იყო და ეს. ათ წუთზე მეტს არ დავყოვნებულვართ, გამოვედით და დავიშალეთ.

მაგრამ აი, როგორ გაფორმდა ეს ეპიზოდი უშიშროების მაშინდელ სამინისტროში ძიების დროს გამომძიებელ ჩიტაიას მცდელობისა და ბოლქვაძის აქტიური მონდომების შედეგად: პროფაშისტურად განწყობილი ახალგაზრდების ჯგუფმა დიდი ზეიმით აღნიშნა ის მათთვის სასიხარულო ფაქტი, რომ ლევან

სერგოს ძე ბოლქვაძემ შეძლო, თავი აერიდებინა წითელ არმიაში სამსახურისთვის და დარჩენილიყო საქართველოში არალეგალური კონტრრევოლუციური საქმიანობის გასაგრძელებლად. ამის აღსანიშნავად ექიმ მატაბელის ბინაში გაიმართა დიდი ვახშამი.

გამომძიებელმა მოქალაქეს მოთხოვა „დიდი ვახშმის" მონაწილეთა პოლიტიკური დახასიათება. ბოლქვაძემ ყოველი მათგანი დაახასიათა, როგორც მძვინვარე ანტისაბჭოთა ელემენტი. ჩიტაიამ ეს ოქმში შეიტანა და ბოლქვაძემ ხელი მოუწერა.

შემდეგ გამომძიებელმა ბოლქვაძეს მოთხოვა „დიდი ვახშმის" მონაწილეთა მშობლების პოლიტიკური დახასიათება. ბოლქვაძემ გამოუკლებლივ ყოველი მშობელი დაახასიათა, როგორც აქტიური ანტისაბჭოთა ელემენტი. ხოლო რა თქვა ერთი მათგანის, თინა ლობჟანიძის მშობლებზე, ხომ უკვე მოგახსენეთ.

სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარემ პოლკოვნიკმა სობოლევმა პირადად მე ყველაზე სერიოზულ კონტრრევოლუციურ ქმედებად სწორედ მაგ „დიდ ფაშისტურ ვახშამში" მონაწილეობა ჩამითვალა. ეს რომ არა, როგორც რეაბილიტაციის დროს პროკურორებმა სიმალმა და გუზეევმა მითხრეს, სობოლევი, თურმე, კარგი თვალით მიყურებდა და შეიძლება, 8 კი არა, 5, ან უფრო ნაკლები წელიც კი მოესაჯა. ჩემი საქმე იმ „ფაშისტური სულისკვეთებით გაჟღენთილ ვახშამში" მონაწილეობას გაუფუჭებია.

მკითხავთ, თავი სასამართლოზე რატომ არ იმართლეო. სასამართლოს სხდომებში თითქმის არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია. როცა ჩემი დაკითხვის ჯერი დადგა, წამოვდექი და სობოლევს მივახალე, ეგ ყველაფერი ტყუილია-მეთქი, და დავჯექი. არადა, შემეძლო, მთელი „საქმე" სასამართლოზევე ჩამეშალა. ხოლო ეს რატომ არ ჩავიდინე, მოგვიანებით მოგახსენებთ.

ახლა ზოგიერთი მეტყვის, შენც მტყუანი ხარ, ხელი არ უნდა დაგეფარებინა, უნდა შეგერცხვინა და ფრონტზევე გაგებრუნებინა, მაგისი ტოლები იქ სისხლისგან იცლებოდნენ, სადაც 300 თუ 400 ათასი ქართველი, იქაც ეგ შენი ლეო ბოლქვაძეო. ამის პასუხი უკვე

მოგახსენეთ და დასამტებელი არაფერი მაქვს... ბოლქვაძეს შეც და ჩემი თუ მისი ამხანაგებიც მართლაც ხელს ვაფარებდით. მომხდარა, რომ ჩემი დოკუმენტებიც მითხოვებია. ერთხელ უდოკუმენტოდ კიდეც გამომიჭირეს და მილიციაში ჩემი სკოლის ამხანაგი რომ არა,ვინ იცის, საქმე როგორ გათავდებოდა.

არადა,ბოლქვაძის ამბავი თანდათან ყველას უფრო და უფრო გვაწუხებდა. აღარ ვიცოდით, რა გვექნა, რა გვერჩია. ამასობაში დედაჩემი მიხვდა, მაგ ბიჭს საქმე რაღაც უკულმართად უნდა ჰქონდესო. ყველაფერი ვუთხარი, როგორც ახლა იტყვიან,„საქმეში გავიყვანე". მაშინვე დაფაცურდა, ვიღაც რუსი პოლკოვნიკი მონახა, რომლის ნაწილიც ახალციხეში იდგა, გაენდო და დახმარება თხოვა. პოლკოვნიკმა ჯერ იტკიცა, მერე კი, როგორც იყო,მოლბა, და უთხრა, ჯანდაბას, მოვიდეს, ჩემს ნაწილში ჩავრიცხავ, მადლობა ღმერთს, ახალციხის მიდამოებში ჯერ ომი არ არის და, ალბათ, არც იქნება, ოღონდ მონდომებით და პატიოსნად უნდა იმსახუროსო. ეს ამბავი ბოლქვაძეს მივახარე, მან კი... ცივი უარი მითხრა: ვერ მივალ, მეუხერხულებაო. თავმოყვარე ვაჟკაცი ბრძანდებოდა! წლების მანძილზე კარდაკარ წოწიალი და სხვის სადილ-ვახშამზე „შესწრება" არ ეუხერხულებოდა, აქ კი...

არ ვიცი, ახლა მკითხველი ყველაფერ ამას როგორ შეაფასებს. მე არც გიმტკიცებთ, იდეალური ახალგაზრდა ვიყავი-მეთქი, მაგრამ იმას კი ვცდილობ,ყველაფერი გულახდილად გიამბოთ. თავისი იდიოტური მდგომარეობა ბოლოსდაბოლოს ბოლქვაძესაც მობეზრდა. ეგ რომ ფრონტიდან გამოპარული იყო, დეზერტირობდა და თბილისში წლების მანძილზე უსაქმოდ დაეხეტებოდა, ეს ძალიან ბევრმა ვინმემ იცოდა, უნივერსიტეტშიც და მის გარეთაც. თბილისში დამსმენებისა და მაბეზღარების ნაკლებობა არასოდეს ყოფილა. და ამიტომ დღესაც კი ვერ ამიხსნია,მაშინ ლევან ბოლქვაძე რატომ არავინ დაასმინა. თითონ მას კი არასოდეს ჰქონია იმისი ვაჟკაცობა, რომ საკუთარი თავისთვის თითონვე მიეხედა და საკუთარ უკულმართობაში საკუთარივე თავი დაედანაშაულებინა.პირიქით, ისიც კი იკადრა, რომ ერთხელ უნივერსიტეტის ხალხში პირდაპირ

გვითხრა, ახლა მე თუ დამიჭირეს,ყველას,ვინც კი ხელს მაფარებთ,ხელს დაგადებთ და დაგაჭერინებთო(?!). აი, საკუთარ თავს რა ძვირად აფასებდა. ამ„განცხადებამ"(თუ მუქარამ) ისე დამაბნია, რომ ხმაც კი ველარ ამოვიღე. ბოლქვაძემ კი დაქადნებული მალე შეგვისრულა.

ბარემ წინდაწინვე ამასაც გეტყვით: ძიების დროს და სასამართლოზეც საშინლად მეშინოდა, ბოლქვაძემ დედაჩემსაც (და რუს პოლკოვნიკსაც) ხელი არ დაადოს, ჩემი დეზერტირობა იცოდნენო, და არ დააჭერინოს-მეთქი. ეს იყო კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ ბოლქვაძეს მაშინაც კი არ შევკამათებივარ, როცა იგი პირზე დამადგა და გამომძიებელ ჩიტაიას ფარული ანტისაბჭოთა ახალგაზრდული პროფაშისტური ორგანიზაციის გაფორმებაში დაეხმარა.

ომი თვეზე მეტი ხნის დამთავრებული იყო, როცა ბოლქვაძე დაიჭირეს. შევფიქრიანდი. იმ რუსი პოლკოვნიკისა ბოლქვაძემ არც გვარი იცოდა და არც სახელი. მე და დედაჩემი კი, როგორც იტყვიან, ხელის გულზე ვყავდით. მაგრამ ვიღაცეებმა მანუგეშეს, დეზერტირებს ახლა აღარც კი ერჩიან, ომი მოგებულია, მაგასაც მალე გამოუშვებენ,შენ კი საკუთარ საქმეებს მიჰხედეო.

თავი მერვე

საკუთარი საქმეები კი მართლაც მისახედი მქონდა. უნივერსიტეტის დამთავრება, დიპლომის დაცვა, სახელმწიფო გამოცდების ჩაბარება... მერე საძებარი მიხდებოდა სამსახური, ბინა, — ყველაფერი, რაც ადამიანს ცხოვრებაში ესაჭიროება. ზედსიძეობის გაგონებაც კი არ შემეძლო, ბინები კი საბჭოთა კავშირში არ შენდებოდა... მასწავლებლობა რომ თავიდან ამეცდინა, როგორმე ასპირანტურაში უნდა მოვწყობილიყავი, მაგრამ არც ერთი პროფესორი ხეირიანად არ მიცნობდა. აღარავის ახსოვდა ჩემი უნივერსიტეტში შესვლის დროინდელი გრიალ-გრიალი.

დიმიტრი უზნაძემ აზროვნების ფსიქოლოგიაში „ხუთი“ დამიწერა, მაგრამ ფსიქოლოგია არ მაინტერესებდა. ერთი სიტყვით, ოცდაერი წლისა ვხდებოდი, მაგრამ არ მქონდა გაკეთებული არაფერი, რაც ამ ხნის აბალგაზრდას გაკეთებული უნდა ჰქონდეს. რამდენიმე მეგობარმა სერიოზულად მირჩია, თავი მოიკალი და სადიპლომო კარგი დაწერე, თორემ ასპირანტურის გარეთ დარჩებიო...

სადიპლომო შრომას მართლაც სერიოზულად ჩავუჯექი, მაგრამ... ფილოსოფიის ფაკულტეტს თხუთმეტი ქალ-ვაჟი ვამთავრებდით, თოთხმეტმა „ხუთი“ მიიღო, „ოთხი“ კი მარტო მე დამიწერეს. კიდევ კარგი, ზუსტად ხუთი დღის შემდეგ დამიჭირეს, თორემ, ალბათ, იმ „ოთხის“ მიხედვით მართლაც ასპირანტურის გარეთ დავრჩებოდი. მაშინ თავი მარტო მე კი არა, ჩემს მეგობრებსა და კეთილისმსურველებსაც მოეჭრებოდათ.

სადიპლომო თემად „ჩერნიშევსკის ესთეტიკური შეხედულებანი“ ავირჩიე.

დიპლომის დაცვისას ოფიციალურმა ოპონენტმა დოცენტმა ამბროსი თავაძემ ბრძანა, სტუდენტს სწორად გაუგია ჩერნიშევსკის ესთეტიკური შეხედულებანი და კარგადაც გადმოუცია, მაგრამ სადიპლომო ნაშრომში არ იგრძნობა თვით ავტორის დამოკიდებულება ჩერნიშევსკის შეხედულებებისადმი,სადიპლომო ნაშრომი ობიექტივისტურ შთაბეჭდილებას ტოვებსო.

ახლა შემიძლია დავადასტურო, რომ პატივცემული ოპონენტი მართალი ბრძანდებოდა-სადიპლომო ნაშრომში მართლაც არ გამომიმჟღავნებია კრიტიკული დამოკიდებულება ჩერნიშევსკის ესთეტიკური ნააზრევისადმი, მაგრამ არა იმიტომ, რომ ეს ნააზრევი უზადოდ მეჩვენა და ნაკლი ვერავითარი დავუნახე, არამედ, პირიქით, სწორედ იმიტომ, რომ ჩერნიშევსკის სადოქტორო დისერტაცია— „Эстетические отношения искусства к действительности“ ფილოსოფიური გამოკვლევა კი არ არის, არამედ მოზრდილი პუბლიცისტური წერილია, ხოლო მისი მთავარი დებულება ბუნებრივად წარმოშობს კითხვებს, რომელთა პასუხებიც ჩერნიშევსკის არც კი უძებნია. მე დიდი რუსი რევოლუციონერი-

დემოკრატის შეხედულებათა გაბიაბრუება ვერ გავბედე- მაშინ ამას არავინ მაპატიებდა. დიპლომზე მუშაობისას კი რამდენჯერმე გავიფიქრე, ამ თემაზე რაიმე სერიოზულის დაწერა სრულიად შეუძლებელია, უკეთესი იქნება, თუ თემას გამოვიცვლი-მეთქი. მაგრამ აღარც ეს შეიძლებოდა, თემა უკვე ყველა „ინსტანციაში" იყო დამტკიცებული, თანაც, ალბათ, მეტყოდნენ, ძალა არავის დაუტანებია, ორი კვირის წინ ეს თემა შენვე აირჩიე და ახლა რაღა დაგემართაო.

ჩერნიშევსკის სადოქტორო დისერტაციის მთავარი აზრი ის გახლავთ, რომ ცხოვრება, სიცოცხლე უფრო მშვენიერია, ვიდრე ხელოვნების დანიშნულებაა სიცოცხლის, ცხოვრების ხელახლა შექმნა (Воспроизведение), იგი მეორადია, სიცოცხლე კი-პირველადი, და ამიტომ ხელოვნება სიცოცხლეს ვერასოდეს გაუტოლდება.

ამ იდეის ფილოსოფიურად განსჯის, ლოგიკური მსჯელობის გზით დასაბუთებას ჩერნიშევსკი არც კი ცდილობს, იგი თავის იდეას უბრალოდ, კატეგორიული ფორმით გვაწვდის. ეს იდეა მატერიალისტურად ითვლება და ეს თითქოს მართლაც ასეა. მაგრამ როდესაც ამ პოსტულატს ვიწამებთ, ბუნებრივად გვებადება კითხვა: და, რა მიზეზითა და მიზნებით არსებობს ხელოვნება, თანაც თავისი მრავალი ფორმით! განა ხელოვნების ყოველგვარი ფორმის დამოკიდებულება სიცოცხლისადმი, ცხოვრებისადმი პრინციპული თვალსაზრისით ერთნაირია? განა ერთნაირია, ერთის მხრივ, ვთქვათ, პორტრეტული ჟანრის და, მეორეს მხრივ, სიმფონიური მუსიკის მიმართულება სიცოცხლისადმი, ცხოვრებისადმი? ხოლო თუ პრინციპული თვალსაზრისით მაინც ერთნაირია, მაშინ საერთოდ რატომ-ღა არსებობს ხელოვნება? აკი მას სიცოცხლის მაგივრობა არ შეუძლია. ჩერნიშევსკი კი არ უარყოფს ხელოვნების ფენომენის არსებობას. ამასთან უდავოა ისიც, რომ ხელოვნების ნაწარმოები - ადამიანის ნახელავია. ამიტომ გაუგებარი ხდება, თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ადამიანი, მთელი კაცობრიობა რატომ ხარჯავს უამრავ დროსა და ენერგიას

ხელოვნების ნაწარმოებების შესაქმნელად. ხოლო არ შეიძლება, ამ უზარმაზარ ძალისხმევას არავითარი მიზეზი და მიზანი არ ჰქონდეს? რა არის ეს მიზეზი და მიზანი? რაში მდგომარეობს ხელოვნების ფუნქცია? რა არის, ან არის კი რაიმე ხელოვნებაში ისეთი, რაც მასზე უკეთეს ფენომენს - სიცოცხლეს, ცხოვრებას არ გააჩნია?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ჩერნიშევსკის არც უცდია. ამ კითხვებს კი ჩერნიშევსკის მთავარი პოსტულატი ბუნებრივად ბადებს. ეს კითხვები ახლა კი არა, თითქმის ნახევარი საუკუნის წინ, დიპლომზე მუშაობის დროს გამიჩნდა. მაგრამ მათზე ყურადღების შეჩერება,ცოტა არ იყოს, სახიფათო საქმედ მივიჩნიე, რაც, შეიძლება, დღევანდელმა მკითხველმა არც კი დამიჯეროს.

ასე იყო თუ ისე, ოფიციალური ოპონენტის შენიშვნა მორჩილად მოვისმინე და „ოთხიანით" დავკმაყოფილდი. პატივცემულმა ამბროსი თავაძემ მამაშვილური კილოთი ისიც კი მისაყვედურა, ცოტა წაგიზარმაცებიაო. დავა არც ამაზე ამიტეხია. თავი იმითი ვინუგეშე, რომ პროფესორ კოტე ბაქრაძეს - ჩვენს მთავარ ავტორიტეტს, - ძალიან მოეწონა ჩემი შესავალი სიტყვა, - საქმიანი, ნათელი და ლაკონური მეტყველება აქვსო, ხოლო მერე ცნობილ საზოგადო მოღვაწეს უთქვამს, - „Это-человек талантливый,которого надо взять вруки и заставить работать".ალ.ქუთელია როგორც ფილოსოფიის სპეციალისტი კოტე ბაქრაძეს აშკარად ჩამორჩებოდა, მაგრამ გავლენა და უფლებები მასზე გაცილებით მეტი ჰქონდა, ამიტომ, როგორც ხედავთ, ცხოვრებაში გასვლა დიდად აღარ უნდა გამჭირვებოდა.

იმავე დღეებში გამოირკვა, რომ უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტში ჩემზე არც თუ ძალიან ცუდი აზრისა იყვნენ - საგარეო საქმეთა სამინისტროში გამგზავნეს - მოსკოვში უმაღლეს დიპლომატიურ სკოლაში სასწავლებლად გაგიშვებენო. მაგრამ სამინისტროს კოლეგიისა და ვიღაც მოსკოველი დიპლომატის წინაშე პატიოსნად ვაღიარე, ხალხის მტრების ოჯახიდან ვარ, ორი

ბიძა და ერთი ბიცოლა დაჭერილი მყავს-მეთქი. ამის გაგონებაზე ერთმა მინისტრის მოადგილემ სხვებისგან ნამალევად შუბლზე თითი მიიკაკუნა, აქაოდა, ოჯახაშენებულო, დედ-მამა სახლში გყოლია, ბიძა-ბიცოლებზე ვინ რას გეკითხებოდა, საქართველოში ბიძა თუ ბიცოლა დაჭერილი ვის არა ჰყავსო. კოლეგია და მოსკოველი დიპლომატი კარგა ხანს მრავალმნიშვნელოვნად სდუმდნენ. მერე მითხრეს, ცეკას მდივანთან თოფურიძესთან მიდი და ანკეტები შეავსეო. მივედი და რაღაც უსქელეს ანკეტებს მთელი დღე ვავსებდი. ამით დამთავრდა ჩემი დიპლომატიური კარიერაც.

მაგრამ ეს დიდად არ მიდარდია, მიუხედავად იმისა, რომ ერთმა მეგობარმა ქალმა სრულიად სერიოზულად მითხრა, თუ უმაღლეს დიპლომატიურში წახვედი, რომელ თბილისელ გოგოსაც კი ხელს დაადებ, ცოლად გამოგყვებაო.

- ყველა?

-გეუბნები, რომელსაც კი ხელს დაადებ!

-შენ თითონაც?

-მე, თუ გინდა, ოჩხამურში გამოგყვები.

-შეუხედავი რომ ხარ?

-ხოდა, ქე ვაგდივარ ჩემთვის.

არა, ალბათ, უცოლშვილოდ არც თბილისში დარჩენილი გადავეგებოდი, მაგრამ... დაცოლიანება შორეულ ჩრდილოეთში მომიხდა.

ომის დამთავრებისთანავე რატომღაც დაღლილობა ვიგრძენი. რაღაც უცნაური - სიმშვიდით შეზავებული დაღლილობა. ქვეყანას, ხალხს, ადამიანებს თითქოს ახალი თვალით ვუყურებდი. ალბათ, ასე იცის დიდი ომის დამთავრებამ. გრძნობ, რომ აღარ ინგრევა და მახინჯდება დედამიწა, აღარ იღვრება უდანაშაულო ადამიანების სისხლი. ჯერ კიდევ გუშინ და გუშინწინ მხეცადქცეული, სისხლის მწყურვალი ადამიანი მშვიდ, გონიერ, სინდისიერ სულიერად იქცევა... თანდათან შრომის, წინსვლის, თავის გამოჩენის სურვილიც გამიჩნდა. გერმანული ენის მასწავლებელთან სიარული დავიწყე, -

ხანდაზმულ გერმანელ ქალს კედელზე რატომღაც პოეტ ალექსანდრე აბაშელის პორტრეტი ეკიდა, ერთი სიტყვით, არავითარი სერიოზული მიზეზი არ მქონია, საკუთარი თავით დიდად უკმაყოფილო ვყოფილიყავი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს რაღაც მძიმე, ხანგრძლივი ავადმყოფობა გადავიტანე და ახლა ამქვეყნიურ ცხოვრებას თანდათან ვუბრუნდებოდი.

თავი მეცხრე

დიპლომი 1945 წლის 15 ივნისს დავიცავი და, როგორც მეგონა, ცხოვრებაში ასე თუ ისე გზა გავიკაფე. კოტე ბაქრაძისა და ალიოშა ქუთელიას კეთილგანწყობა ცოტას არ ნიშნავდა. მაგრამ თურმე, უშიშროების სამინისტროს უკვე ნიშანში ვყავდი ამოღებული. შემდეგ, კარგა ხნის შემდეგ გავიგე, რომ სწორედ მაშინ, როცა მე ახალგაზრდა ვეფხვივით თათებს ვისწორებდი და ცხოვრებაში დიდი ნახტომი უნდა გამეკეთებინა, უშიშროების ორგანოების ფარული აგენტების მთელი ბრიგადა მთელი ერთი თვე დღე და ღამე მითვალთვალებდა. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ჩემი ვარაუდით მთელ ამ ბრიგადას - დაახლოებით 10-12 კაცს ჩემი თვალთვალის მეტი მთელი ერთი თვე არაფერი უკეთებიათ.

რამდენიმე კაცი, თურმე, საჯარო ბიბლიოთეკაში მითვალთვალებდა. ერთხელ ბიბლიოთეკარ ქალებს პირდაპირ თავზე დადგომიან, ეგ ბიჭი ვინ არის, აქ რატომ დადის (?) და რას კითხულობსო. რაკი დასამალი არაფერი ჰქონდათ, დაზაფრულ ქალებს ყველაფერი წვრილად მოუხსენებიათ. აგენტებს ისინი მკაცრად გაუფრთხილებიათ, მაგას არაფერი გააგებინოთ, რა წიგნიც მოითხოვოს, ულაპარაკოდ მიაწოდეთ (ამას ქალები ისედაც აკეთებდნენ), მერე კი ყოველი მაგისი ნაბიჯი ჩვენ მოგვახსენეთო.

ახლა არ ვიცი, საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზებში „ოპერატიული მუშაობის" შედეგად ჩეკისტებმა რა შედეგები მიიღეს. ჩერნიშევსკის სადოქტორო დისერტაციის შტუდირება კონტრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციური საქმიანობა სულაც არ არის. მაგრამ ოპერ-მუშაკები საჯარო ბიბლიოთეკით სულაც არ შემოფარგლულან.

იმავე ხანებში დილაადრიან, დაახლოებით გამთენიის ხუთ საათზე ბელინსკის ქუჩაზე ერთ ოჯახში რძისათვის დავდიოდი. ალაყაფის კარებში შევიდოდი ხოლმე, პატარა ეზოს გადავჭრიდი და კიბეს ავირბენდი. შუშაბანდში მომღიმარე დიასახლისი შემომეგებებოდა და ბოთლებით რძეს მომაწვდიდა. იმავე გზით უკანვე ვბრუნდებოდი. მაგრამ ერთ დილას დიასახლისი რატომღაც ალაყაფის კარებთანვე მომეგება. ადამიანის ფერი არ ედო. სახეში არც კი შემოუხედავს, რძიანი ბოთლები ისე მომაწოდა, გაბრუნდა და ეზო ტყვიანაკრავივით გადაირბინა. ზრიალით მოიკეტა შუშაბანდის კარიც. ცოტა კი გამიკვირდა, მაგრამ დიდი ყურადღება არც ამ შემთხვევისათვის მიმიქცევია. ერთი წლის შემდეგ კი გავიგე: წინა დღეს, როგორც კი რძე წამოვიღე, მერძევესთან ოთხი შეიარაღებული აგენტი შეჭრილა. ოჯახის წევრები კუთხეში მიუმწყვდევიათ და, აბა, თუ თავი გებრალებათ, ახლავე თქვით, ეგ ბიჭი ვინ არის და ასე უთენია აქ რატომ დადისო. საწყალ მერძეველებს უთვალავი ფიცი და მტკიცი დაჭირვებიათ, სანამ მომხვდურებს დააჯერებდნენ, მაგ ბიჭის სახელიც კი არ ვიცით, ჩვენთან რძეზე დადის, მაგრამ თუ ეს კანონს ეწინააღმდეგება, რძეს აღარ მივცემთო.

- არა! - უბრძანებიათ უშიშროების ორგანოთა გულმამაც, ენერგიულ და შორსმჭვრეტელ თანამშრომლებს, - პირიქით! თავი ისე დაიჭირეთ, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. ჩვენ აქ არც კი ვყოფილვართ. რძე ისე მიეცით ხოლმე. ჩვენზე სიტყვა არ წამოგცდეთ, თორემ ციმბირს აქეთ დაგატოვებინებთ! გაიგეთ?

- დიახ!.. ჩვენ საბჭოთა ხელისუფლების ერთგ...

- კრინტი! ვიცით! ჩვენ ყველაფერი ვიცით!

იმავე დღეებში მწერალთა კავშირმა ნიკო ლორთქიფანიძის ხსოვნის საღამო ჩაატარა. ვერაფერი ერთ ზონზროხა, ცივილურად ჩაცმულ კაცს თავი ვერ გავარიდე. აქეთ-იქით ორი ფაშფაშა ქალი ჰყავდა ამოყენებული. საითაც კი არ წავედი, ყველგან უკან დამედევნენ. ერთხელ იმ კაცმა საკმაოდ თავხედურად თვალიც კი

ჩამიკრა და კიდეც გამიღიმა. ვიფიქრე, ვილაც ქალების უნახავია, უხარია და თავი მოაქვს, რომ ორი ქალი უშოვნია და ალბათ, უნდა ერთი მათგანი მე გადმომილოცოსმეთქი. მე ეს ვარიანტი არ მაწყობდა. საღამო დამთავრდა და წავედი. მერე კი გავიგე, რომ ის ზონზროხა საქართველოს სსრ უშიშროების სამინისტროს თბილისის ოპერატიული განყოფილების უფროსი მაიორი ილია მალანია ყოფილა და უშიშროების მინისტრის მოადგილის გენერალი ირაკლი წერეთლის მიერ პირადად ჩემი თვალთვალი, გამომჟღავნება და დაპატიმრება ჰქონია დავალებული. გამომჟღავნებისა რა მოგახსენოთ, დაპატიმრებით კი რამდენიმე დღის შემდეგ მართლა დამაპატიმრა, თუმცა ამისი უფლება პროკურორს მისთვის არ მიუცია. მთელი საღამო კი უკან იმიტომ დამდევდა, რომ გაეგო, ასეთი დიდი მასშტაბის კონტრ-რევოლუციონერს სახელდობრ რომელ ქართველ მწერალთან მქონდა საიდუმლო კავშირი. მოგეხსენებათ, მწერლებს საბჭოთა ხელისუფლება რატომღაც არასოდეს ბოლომდე არ ენდობოდა, თუმცა, როგორც უფრო და უფრო ირკვევა, ქართველი მწერლებისთანა ერთგული საბჭოთა ხელისუფლებას სხვა არავინ ჰყოლია. რაც შეეხება იმ ღიმილიან თვალის ჩაპაჭუნებას, იგი, ალბათ, ასე უნდა გამეგო: ითვალთმაქცე, ჩემო კარგო, ითვალთმაქცე, სულ ერთია, ვერსად წამიხვალ, მთელი შენი კონტრრევოლუციური საქმიანობა აი, აქ, ხელისგულზე მაქვს აღბეჭდილი.

იმავე ხანებში კიდევ ერთი ამბავი მოხდა. გივი ცინცაძის მამისთვის ვილაცას შემოუთვლია, შვილმა ფრონტიდან წერილი გამოგიგზავნა და სასტუმრო „თბილისში“ ამა და ამ ნომერს მიაკითხეო. ბერიკაცი წასულა. ნომერში მართლაც სამხედრო პირი დახვედრია, დიდის ამბით მისალმებია და უთქვამს, მე და შენი გივი ერთ ნაწილში ვმსახურობდით, შენთან წერილი გამომატანა და ახლავე გადმოგცემო. სწორედ ამ დროს ნომერში ვილაც გლეხურად ჩაცმული, ნაბდისქუდიანი კაცი შესულა, ხილით, სანოვაგით, ღვინის ბოთლებით სავსე კალათით ხელში. გლეხი და სამხედრო ერთმანეთს დიდის ამბით გადახვევიან, - გავიგეო, გლეხს

უთქვამს, - ფრონტიდან ჩამოსულხარ, რაღა გული გამიძლებდა, აი, მოვედი, გინახულე და ბარემ ქართული ძღვენიც მოგართვიო.

ამბროსი ცინცაძეს ეჭვი შეჰპარვია, ეს ყველაფერი ცუდად დადგმულ სპექტაკლს ჰგავსო და სამხედროსთვის შვილის წერილი უთხოვია.

- არა, წერილს ხელში ვერ მოგცემ.

- რატომ?!..

გივიმ დამაბარა, წერილი მამაჩემს ხელში არ მისცე, შენვე წაუკითხე და იქვე დახიეო.

- ჰმ!..

- ნამდვილად ასე დამაბარა.

- აბა, ერთი, წამიკითხეთ.

სამხედროს ჯიბიდან რაღაც სამკუთხედად („ფრონტულად") დაკეცილი ქაღალდი ამოუღია და ასეთი რამ წაუკითხავს: მამა, მე აქ, ფრონტზე, პარტიაში უნდა მიმიღონ, მაგრამ საქართველოში ფარული ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრი ვიყავი, გამიგე, თუ ის ორგანიზაცია გამომჟღავნებულია, პარტიაში ველარ შევალ, თუ არადა - შევალო (?!).

- წერილი აქ მომეცით! - შეჰკივლა ამბროსი ცინცაძემ.

- არა! - სამხედრო წერილი მყისვე ნაკუწებად უქცევია.

- თუ გივი ანტისაბჭოთა საქმიანობაში ურევია, ის ჩემი შვილი ალარ არის. ასეც გადაეცით! მაგრამ მე ეს „სპეკტაკლი" რაღაც არ მჯერა.

ამბროსი ცინცაძემ კარი გამოაჯახუნა.

ამბროსი ცინცაძე ჩვენს სასამართლოზე... მოწმედ მოიყვანეს. მაშინ ვერაფერს მივხვდი. ახლა კი დანამდვილებით ვიცი: უშიშროებამ ის განგებ „უნიჭო", აშკარად თეთრი ძაფით ნაკერი სპეკტაკლი შეგნებულად გაითამაშა, რათა გივი ცინცაძის მამა დაეფეთებინა. მათი ვარაუდით, ბერიკაცი გივის ამხანაგებს შეპირდა, ამ ამბავს გიამბობთო, ესენი კი, - ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრები, - თავის მხრივ აგრეთვე დაფეთდებოდნენ, ერთმანეთთან მივარდებოდნენ, გააფრთხილებდნენ, მყისვე მოსპობდნენ

ანტისაბჭოთა საქმიანობის ყოველგვარ კვალს - იარაღს, ქაღალდს, საბეჭდ მოწყობილობას, პროკლამაციების მარაგს, შიფრებს და სხვ. და სხვ. ეს ალიაქოთი უშიშროების ორგანოებს საბოლოოდ დაარწმუნებდა, რომ საქმე სწორედ ფარულ ანტისაბჭოთა ორგანიზაციასთან ჰქონდა და დაანახვებდა იმასაც, თუ ვინ და ვინ იყო ამ ორგანიზაციის წევრი... მაგრამ რატომ უნდა ცოდნოდა ამბროსი ცინცაძეს იმ ანტისაბჭოთა ორგანიზაციის ზუსტი შემადგენლობა, რომლის წევრიც, თურმე, მისი შვილიც ყოფილა? ამაზე უშიშროების ორგანოებს აღარ უფიქრიათ. რამდენადაც ვიცი, მათ არც დაუჭერიათ ყველა ახალგაზრდა, ვისაც კი იმ დღეებში ამბროსი ცინცაძე გამოელაპარაკა.

თვით ამბროსი ცინცაძის შვილი კი, სამედიცინო სამსახურის კაპიტანი გივი ცინცაძე დაიჭირეს. თბილისიდან ჩეხოსლოვაკიაში (!) საგანგებო მისიით გადაფრინდა უშიშროების კაპიტანი თავდიშვილი და სამედიცინო სამსახურის კაპიტანი ცინცაძე თბილისში ჩამოაფრინა. ჭეშმარიტად, სახელმწიფო არ ერიდებოდა არავითარ ხარჯებს, როცა საქმე მის უშიშროებას ეხებოდა. თუ არ გჯერათ, იანგარიშეთ, რა დაჯდებოდა თბილისიდან ჯარში 1943 წელს გაწვეული ექიმის გივი ცინცაძის მოძებნა ჩეხოსლოვაკიაში, თბილისიდან ჩეხოსლოვაკიაში ერთი კაპიტნის, ხოლო ჩეხოსლოვაკიიდან თბილისში უკვე ორი კაპიტნის გადაფრენა და გადმოფრენა. ახლა კი ბარემ იმასაც გეტყვით, რომ გივი ცინცაძის თანამებრძოლები, რომელნიც საკუთარი თვალით ხედავდნენ, თუ როგორი თავგანწირვით შრომობდა და იბრძოდა ფრონტზე ექიმი გივი ცინცაძე, გაოცებულნი და დაბნეული დარჩნენ ამ კაცის დაპატიმრების, იარაღისა და წოდების აყრის გამო.

XXX

იმ ხანად ოჯახში ძალიან შემოგვეჩვია, თითქმის ყოველდღე მოდიოდა ერთი შორეული ნათესავი, ხანდაზმული კაცი, ყოფილი მენშევიკი, 1937 წელს რომ შემთხვევით გადაურჩა (ახლა

დანამდვილებით ვიცი, რომ „შემთხვევით“ არ გადარჩენილა). ისე ხშირად მოდიოდა, რომ ჩემს მშობლებს უკვირდათ კიდეც, ოცდაჩვიდმეტს აქეთ ერთხელაც არ გავხსენებივართ და ახლა რა დაემართაო. ჩამომიჯდებოდა, ყავარჯენს მუხლებს შუა ჩაიდგამდა და პოლიტიკაზე მელაპარაკებოდა. რამდენჯერმე მათქმევინა, კოლმეურნეობები არ მომწონსო. ახლა შემიძლია, სრული დარწმუნებით განვაცხადო, რომ უშიშროების ორგანოების მოგზავნილი იყო, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ ჩემი აზრები და განწყობილება გაეგოთ. იმათ ჩემი დაპატიმრება უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ და ხითხითა, ტკბილად მოუბარ ბერიკაცს სხვა დავალება ჰქონდა. მან ერთ საღამოს ჩემი მშობლები ფუნიკულიორზე „დაჰპატიჟა“. მეორეჯერ, ადექით, ბოშო, რაა, სულ სახლში რომ ზიხართ, ამ ბიჭს თავისუფლება მიეცით, რა იცით, რომ ერთი კაი გოგო ახლა არ ელოდება, თქვენ როდის წახვალთ, რომ შემოუვარდეს და მაგრად ჩაეკონოსო. ერთ დღეს კი შეუჩნდა, ესა და ეს კაცი მომკვდარა და უთუოდ პანაშვიდზე უნდა წავიდეთო. ჩემმა მშობლებმა განსვენებული ვერასგზით ვერ გაიხსენეს, მისი სახელიც კი არ გაეგონათ და ვერ ხვდებოდნენ, თუ რატომ უნდა წასულიყვნენ უცნობი ადამიანის პანაშვიდზე. მაგრამ ვერასგზით ეს კაცი თავიდან ვერ მოიშორეს.

- ბოშო, მაგ ადამიანი რავა არ გახსოვთ, თელი ბავშვობა მაგის კალთაში გაქ-ყე გატარებული.

- სად ცხოვრობდა?

- იქვე, საფიჩხიაზე. მამაშენი უმაგისოდ სუფრას არ მიუჯდებოდა. ანდა, კარგი, ვთქვათ, მართლა არ გახსოვთ, მაგრამ მაინც რა დაშავდება, ერთი ჩვენებური, ქუთაისელი, ტკბილი კაცის პანაშვიდზე რომ წამოხვიდეთ? ამითი რამე დაშავდება? ერთმანეთში მეტი თვისება არ უნდა გვქონდეს?!..

- მაგითი რა უნდა დაშავდეს?!..

- ხოდა, ჩეიცვითა და წევიდეთ. ნუ დამღალეთ ეს დროული კაცი. ამისთანა ახლობლის გაპატიოსნებას არ უნდა დაესწროთ? აბა, ჩქარა!

რალას იზამდნენ, ჩაიცვეს და წავიდნენ. ხოლო ამ „ოპერაციაში“ თუ რა ღრმა აზრი იყო ჩადებული, ეს ძალიან დიდი ხნის შემდეგ, სულაც გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ამოვხსენი: უშიშროების სამინისტროს ოპერატიულ მუშაკებს ჩემი დაპატიმრების ორდერი ჯერჯერობით არ ჰქონდათ და ამიტომ სახლში ვერ შემოვიდნენ: „კანონის ერთგული ხალხი“ იყო! ისევ სადმე, უკაცრიელ ქუჩაში, უხმაუროდ უნდა ავეყვანე. ამიტომ ცდილობდნენ, მარტო ვყოფილიყავი. მომეწყინებოდა, გარეთ გამოვიდოდი და აი, მაშინ, სადმე, მოფარებულში... ისე კი, მათ ეს „ღრმააზროვანი ოპერაციაც“ ბევრი ფული დაუჯდათ. სხვა რომ არაფერი, „ნათესავმა“ ფუნიკულიორზე მდიდრული სუფრა გააშლევინა და დანახარჯიც თითონვე გადაიხადა.

XXX

1945 წლის 20 ივნისის მზიანი და მყუდრო ნასადილევი იყო. უნივერსიტეტის მეორე კორპუსში დოცენტმა მათე მირიანაშვილმა მთელ ჩვენს კურსს „თანამედროვე ფიზიკის საფუძვლები“ ჩაგვითვალა, - ვიცი, ლიპათ ხართ მოსულებიო, - და ცხოვრებაში გზა დაგვილოცა. აქედან მაშინდელ კიროვის პარკში წავედი და ერთ ხანს კალათბურთს ვუყურებდი, მერე „ზემელამდე“ გავისეირნე და მოსკოვის ქუჩის დასაწყისში იმ დაწესებულებაში ჩავირბინე, ურომლისობაც არ ეგების (ასეთ დაწესებულებაში სტუმრობა მაშინ უფასო იყო). იქიდან ამოსულს შინაურული კილოთი ნათქვამი მომესმა, - საით, ნუკრი? კედელთან ვიღაც შავხალათიანი იდგა და ხელს მიწვდიდა. თითქოს ნაცნობი სახე ჰქონდა. ხელი ანგარიშმიუცემლად ჩამოვართვი და კიდეც ვუპასუხე, - სახლისაკენ-მეთქი. „მანქანით წაგიყვანო“, - და იქვე მდგარ „ვილისზე“ მიმითითა. (რაც მაგ ხალხმა ჩემს დევნას და თვალყურს ბენზინი დაახარჯა!). მანქანაში ფეხი ისევე ანგარიშმიუცემლად ავდგი და... მყისვე უკანა სკამზე, ორ კაცს შუა მოვექეცი. „ნაცნობიც“ მყისვე ამომყვა და შოფერს მიუჯდა. მანქანა კი რუსთაველის პროსპექტისკენ გაქანდა.

ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. რაღაცას მივხვდი. ზემელის აფთიაქთან თვალი მეორე „ვილისს“ მოვკარი, რომელშიც ოთხი კაცი იჯდა და ჩვენ გვითვალთვალებდა. ისიც დაიძრა და უკან დაგვედევნა. საქმე ცუდად იყო. „ვილისები“ რუსთაველის პროსპექტისკენ მიჰქროდნენ და არა ვაკისკენ, ჩემი სახლისაკენ. როგორც იტყვიან, გავფაფხურდი და დავიძახე, ვინა ხართ, საით მიგყავართ-მეთქი. „ნაცნობმა“ - მილიციიდან ვართო და - რაღაც წიგნაკი დამანახა. ჩემს მარჯვნივ და მარცხნივ მჯდომნი უხმოდ, დამცინავად იღიმებოდნენ. ყველანი სომხები იყვნენ, - ეს ორნიც, „ნაცნობიცა“ და შოფერიც. მანქანამ კავშირგაბმულობის სახლთან აუხვია, აღმართს აჰყვა და უშიშროების სამინისტროს ჭიშკარს მიადგა. „ნაცნობმა“ მუშაკს ხელით რაღაც ანიშნა. ჭიშკარი მყისვე გაიღო. გადმომიყვანეს და მეორე თუ მესამე სართულზე რაღაც ოთახში შემიყვანეს. ჩემთან მხოლოდ „ნაცნობი“ დარჩა. მაგიდას მიუჯდა, ყურმილი აიღო და არც ნომერი აუკრეფია, არც სხვა რამ კოორდინატი დაუსახელებია, ორად ორი სიტყვა ჩაულაპარაკა:„У меня“.

ყურმილი დასდო, ცხვირსახოცით სახე ჩამოიწმინდა და სრულიად გულგრილი, სასხვათაშორისო კილოთი მკითხა, რატომ მოგიყვანესო (?!) ისე იქცეოდა, თითქოს აქ თითონ მან კი არა, ვილაც სხვამ მომიყვანა. ამან მაფიქრებინა, ასეთი „ოპერაცია“ მას, ალბათ, იმდენჯერა აქვს ჩატარებული, რომ ისევე უბრალო, შეჩვეულ, ყოველდღიურ საქმედ მიაჩნია, როგორც ბაზრიდან მწვანილის მოტანა-მეთქი. მინდოდა, მეპასუხა, არ ვიცი-მეთქი, მაგრამ ვერ გავბედე და მხოლოდ მხრები ავიჩეჩე.

- გეტყვიან. - იმავე გულგრილი, სასხვათაშორისო კილოთი მომიგდო მან. ნამდვილად ჩემისთანები ამ ოთახში მას ბევრი ჰყავდა მოყვანილი.

ორიოდე წუთის შემდეგ ოთახში ვილაც კაცი შემოვიდა. ესეც - სომეხი. ჩემთან სულ ახლოს მოვიდა, თვალებში ჩამაშტერდა და ძალლივით შემომღრინა:

- რატომ მოგიყვანეს?

- არ ვიცი... - ისევ მხრები ავიჩეჩე.

- გაჩხრიკეთ! - უეცრად მთელი ხმით დაიღრიალა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნაცნობი“ მეცა, ხელები მთელს სხეულზე მომიფათურა, ჯიბიდან ცხვირსახოცი, მატრიკული, ხურდა ფული ამომიღო და მაგიდაზე დააწყო.

- ეს რა არის? - „სომეხმა“ მზერა მატრიკულზე შეაჩერა.

- მატრიკულია.

- მატრიკულია. - რატომღაც გაიმეორა მან, - იქ მიდი!

კუთხესთან მივედი. იქიდან დავინახე, რომ მაგიდის ქვეშ ელექტრომავთულის ნაჭრები ეყარა. დამცეცხლა, ახლა ამით ცემას დამიწყებენ-მეთქი.

- პირით კედლისაკენ! - დამიღრიალა „სომეხმა“.

მიეტრიალდი. მთელს სხეულზე ჭირის ოფლმა დამასხა. ველოდი, ან ახლა დამცხებენ, ან ახლა-მეთქი. მაგრამ დრო გადიოდა და უკანიდან ხმადაბალი, საკმაოდ მშვიდი ლაპარაკის მეტი არაფერი მესმოდა. რომელიღაც მათგანს ერთხელ ხმამაღლა, მაგრამ მოკლედ გაეცინა და წამოიძახა კიდეც, „კანეჩნაო“, რაზეც მეორემ ისევ დაბალი ხმით რაღაცა გრძლად დაუდასტურა. მეტი არაფერი.

-შენ გეუბნები! - მომესმა უცებ „სომხის“ სწრაფი შეძახილი, - ყურები აქეთ ნუ გაქვს.

ხმა აღარ ამომიღია. ისევ მხრები ავიჩეჩე.

- მხრები ნუ იჩეჩამ! პადუმაეშ, კნიაზ!..- და ისევ ხმადაბალი საუბარი განაგრძეს.

კარგა ხანს ასე ვიდექი. მერე გავიგე, რომ მათ ასეთი მეთოდი ჰქონდათ. შენ დაბნეული, შეძრწუნებული, აფორიაქებული დგეხარ და არ იცი, რა იფიქრო, რა თქვა, რა ითხოვო, რატომ მოგიყვანეს, რა მოგელის, გცემენ, თუ ტყვიას დაგახლიან და აქვე გაგათავებენ. ისინი კი წყნარად, ნამდვილი თუ მოჩვენებითი გულგრილობით საუბრობენ, იციან, შენს აქ ყოფნას აღარაფრად აგდებენ...

ვიდექი და ვიდექი. თავში კი ათასი ფიქრი მიტრიალებდა. რატომ მომიყვანეს? დაჭერილი ვარ? თუ არა? დედაჩემი გადაირევა. ახლა რომელი საათი იქნება? თუ შუაღამემდე შინ არ გამიშვეს,

დედაჩემს რალაცა დაემართება... მაგრამ მაინც - რატომ მომიყვანეს? კი, ლეო ბოლქვაძე დაჭერილია, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვგონია, მაგრამ ყველანი ხომ მეუბნებოდნენ, ეგ ამბავი შენ არ გეხება, დღეს არა ხვალ თითონ მაგასაც გამოუშვებენო... აბა, რატომ მომიყვანეს? მამოწმებენ? ცეკაში უმაღლეს დიპლომატიურ სკოლაში წასასვლელი ანკეტები რომ შემავსებინეს? იქნებ, ახლა აქ შესამოწმებლად მომიყვანეს? არა,დიპლომატიურში სამი წელიწადია, ხალხს აგზავნიან, მაგრამ არ გამიგია, რომელიმე „ჩეკაში" შეემოწმებინოთ. აბა, რატომ მომიყვანეს?

მკითხველი მიხვდება, რომ ეს ფიქრები თავში ასეთი ლოგიკური თანმიმდევრობით კი არა, ქაოტიურად მიტრიალებდნენ და ყოველ მათგანს რამდენჯერმე ვუბრუნდებოდი. ჩემი მთავარი დარდი კი ის იყო, თუ სახლში მიბრუნება ძალიან დამაგვიანდა, დედაჩემს რალაცა დაემართება-მეთქი.

- მოტრიალდი!..

მოვტრიალდი.

ოთახში კიდევ ვიღაც შემოსულიყო. ჩეკისტის ფორმა როგორც „ნაცნობსა" და „სომეხს", ისე არც ამას ეცვა. კარებში გაჩერებულიყო და ჯიქურ მომჩერებოდა. მერე თავით კარებისაკენ მანიშნა:

- წამოდი!

უგრძესი დერეფანი სწრაფი ნაბიჯით გამატარა. ბოლოს რომელიღაც კართან შეჩერდა. მეც შევჩერდი.

- არა!

მოტრიალდა და უკანვე წამიყვანა. ისეთსავე კართან შეჩერდა. რატომღაც თავიდან ფეხებამდე ჩამათვალიერა და კარი გამოაღო.

-შედი!

შევედი.

პატარა ოთახში სამი პატარა მაგიდა იდგა. მათ ფორმიანი ჩეკისტები უსხდნენ და რაღაც ქაღალდებს ჩაჰკირკიტებდნენ. ჩვენთვის არავითარი ყურადღება არ მოუქცევიათ. ჩემმა „პატრონმა" კედელთან მდგარ ტაბურეტზე მიმითითა:

-დაჯექი!

დავჯექი. რაკი უკვე საშინელ დაღლილობას ვგრძნობდი, კედელზე მიყრდნობა ვცადე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

-კედელს ნუ ეყრდნობი! - მკაცრად გამაფრთხილა მან.

წელში გავსწორდი.

- ასე იჯექი!

კარი გამოაღო და წავიდა.

ფორმიანი ჩეკისტები - ერთი კაპიტანი და ერთიც სრულიად ახალგაზრდა უმცროსი ლეიტენანტი ხმაამოუღებლად ჩაჰ კირკიტებდნენ თავიანთ ქალალდებს. მე მათთვის თითქოს არც კი ვარსებობდი.

მაგრამ საქმე არც ასე ყოფილა:

ერთი ხნის შემდეგ კარი ხმაურით გაიღო, ვიღაც ლოყებლაქლაქა ჩეკისტი შემოიჭრა და თავზე დამადგა:

- ეს არის, ხომ? - მრავალმნიშვნელოვნად იკითხა მან.

ქალალდებს ჩაკირკიტებულ ჩეკისტებს მისკენ არცკი მიუხედიათ, თავები ისე ჩაიქნიეს.

წამოდგომა ვცადე.

- იჯექი, იჯექი! - დამცინავი კილოთი მომიგდო შემოჭრილმა, - იჯექი!..

თავი მძიმედ გადააქნია და გავიდა.

ტაბურეტზე ჯდომა ჯოჯოხეთად მექცა. მაგრამ რას ვიზამდი?

ერთი ხნის შემდეგ კარი ისეთივე ხმაურით გაიღო. ოთახში ვიღაც ქერა კაპიტანი შემოიჭრა, ხელები უკან დაიწყო და თავიდან ფეხებამდე შემათვალიერა.

- Этот самый, да?- რატომღაც რუსულად იკითხა მან.

ჩეკისტებმა თავები ხმაამოუღებლად ჩაიქნიეს, ისე, რომ თავიანთი ქალალდებისთვის თვალი არ მოუშორებიათ.

ქერამ თავი მძიმედ გადააქნია და გავიდა.

არ ეტყობოდა, რომ მალე გამიშვებდნენ.

- არ შეიძლება, დავრეკო? - გავბედე და ამ კითხვით უმცროს ლეიტენანტს მივმართე.

ვითომ არც გაუგონია. თავის ქალალდებს ჩასცქერებოდა.

გავიდა კიდევ ნახევარი საათი. ერთი კედელზე მიყრდნობა ყველაფერს მერჩია, მაგრამ...

- გთხოვთ, დამარეკინეთ... ტელეფონი მეზობელს აქვს. - ამ თხოვნით ახლა კაპიტანს მივმართე.

რაც მართალია, მართალია, თავი ერთი წამით ასწია და შემომხედა, მაგრამ მის სახეზე არაფერი გამოსახულა. თმაზე ხელი გადაისვა და ისევ ქაღალდებს ჩააცქერდა.

გავიდა კიდევ ნახევარი საათი ან, იქნებ,მეტიც. უკვე კარგად დაღამებული იყო. დროზე ყოველგვარი წარმოდგენა დავკარგე. კარი ამჯერად მშვიდად გაიღო. ორი შუახნის, ფორმაში გამოწკეპილი,ჭრაჭუნაჩექმებიანი ჩეკისტი შემოვიდა. ძალიან მშვიდად, აუღელვებლად იქცეოდნენ. მომიახლოვდნენ და თავზე დამადგნენ. ერთ ხანს ორივე დუმდა. მე ისევ წამოდგომა დავაპირე. არა მხოლოდ თავაზიანობისა გამო, არამედ უფრო იმიტომ, რომ ძვალივით ხმელ ტაბურეტზე გაჯგიმულად ჯდომა აღარ შემეძლო.

- იჯექი, იჯექი, - თბილი კილოთი მითხრა ერთმა, - იჯექი. - და მრავალმნიშვნელოვნად მეორეს მიაჩერდა.

მეორე, მაღალი და გადმოკარკლულთვალებიანი, ისე მაკვირდებოდა, თითქოს ცდილობდა გაეხსენებინა, სად ვენახე, და ვერ იხსენებდა. მერე მხრები უხმოდ აიყარა, რაც, ალბათ, ასე უნდა გამეგო: შესახედავად დიდი ვერაფერი ვაჟკაცი ჩანს და - ასეთი საქმეების ჩადენა როგორ გაბედაო. მერე ორივენი თავების მძიმე ქნევით გავიდნენ.

სიმართლე გითხრათ, ამ საკმაოდ პრიმიტიულ მიზანსცენებს ჩემზე თითქმის არავითარი გავლენა არ მოუხდენია. თავს სრულიად უდანაშაულოდ ვგრძნობდი და, ალბათ, იმიტომ. ინტერესიც კი გამიჩნდა, ეს სპექტაკლი სანამდე გაგრძელდებოდა. ეს თითონ ჩეკისტებმაც იგრძნეს და... თავი დამანებეს. ამ ორის შემდეგ ოთახში კარგი ხანს აღარავინ შემოსულა. ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე ვთხოვე - ხან კაპიტანს და ხან უმცროს ლეიტენანტს, დამარეკინეთ, დედაჩემს დავამშვიდებ-მეთქი, მაგრამ ამაოდ. ტელეფონის რამდენიმე აპარატი უქმად იდგა მაგიდებზე. ორი

ოფიცერი კი ხმაამოუღებლად იჯდა და თავის ქაღალდებს ჩასჩერებოდა. სიჩუმეს ხანდახან იმ ქაღალდების გადაფურცვლა თუ არღვევდა. შევნიშნე, რომ ქაღალდებს ჩეკისტები უდიდესი გულისხმიერებით, პირდაპირ მოწიწებით ეკიდებოდნენ. შემთხვევით გაკეცილ გვერდს იმდენ ხანს ასწორებდნენ და აუთოებდნენ, სანამ იდეალურად არ გაასწორებდნენ და კუთვნილ ადგილს არ მიუჩენდნენ. ალბათ, სანამ იმ ქაღალდებამდე მოაღწევდნენ, ადამიანის მოღვაწეობის სხვა სფეროც ჰქონდათ გამოვლილი, მაგალითად, ყანების ბარვა, ან ტრაქტორის საჭესთან ძიძგილაობა...

დრო მიდიოდა...

უკვე აშკარა იყო: ჩეკისტები ან მართლა დიდ დამნაშავედ მთვლიდნენ, ან უნდოდათ, დაეერწმუნებინე, რომ ყოველი შენი ნაბიჯი შესწავლილი გვაქვსო. მაგრამ მაშინ რაღა საჭირო იყო ეს თეთრი ძაფით ნაკერი მიზანსცენები? პირდაპირ ეკითხათ, რა უნდოდათ, და პატიოსნად მოვახსენებდი. ვეტყოდი, რომ მაგ ლეო ბოლქვაძემ ყველას თავი მოგვაბეზრა. საკუთარი თავი თითონ მასაც მობეზრებული ჰქონდა, ახლა დაპატიმრებული გყავთ, თქვენ იცოდეთ და მაგან, მე კი თავი დამანებეთ-მეთქი. მეტი რაღა უნდა მეთქვა? მეამბნა, რომ სადილად თითქმის ყოველდღე ჩემთან იყო? რომ დედაჩემმა ვიღაც პოლკოვნიკთან „საქმე გაუჩარხა“? მაგრამ ბოლქვაძეს იმ შანსით არც კი უსარგებლია, იმ პოლკოვნიკთან არც კი მისულა... ესეც არ იყოს, ყველა მცოდნე და გამოცდილი ადამიანი დარწმუნებით მეუბნებოდა, მაგისი დეზერტირობა შენ არ გეხება, მშვიდად იყავი და შენს საქმეებს მიჰხედეო. აკი ჩემს საქმეებს მივხედე კიდეც. აბა, რაღას მერჩიან? არადა, იქნებ, მართლაც შესამოწმებლად მომიყვანეს - უმაღლეს დიპლომატიურ სკოლაში გავაგზავნოთ, თუ არაო? მოსკოველ დიპლომატს აკი მოვეწონე კიდეც: „Будете молодым, двадцатичетырехлетним, красивым дипломатом“.

არა, რაღაც არ ჰგავს... საქმე სხვანაირად უნდა იყოს. მაგრამ მაინც - როგორ?

- გთხოვთ, ძალიან გთხოვთ, მეზობელთან დამარეკინეთ...

არავითარი რეაქცია.

ჩეკისტები იმავე გულმოდგინებით ჩასცქერიან თავიანთ ქაღალდებს.

მე თითქოს არც კი ვარსებობ.

ეს - მეთოდია. მოგიყვანენ ამ შემზარავ დაწესებულებაში, სკამზე დაგსვამენ და საათების განმავლობაში არაფერს გეკითხებიან. ხმასაც კი არ გცემენ. არ ვიცი, რა იფიქრო. თანაც, ნუ დაგავიწყდებათ, ოცდაერთი წლისა ვარ და ჯერ გარეთ ღამე არ გამითევია.

ჩეკისტები გულმოდგინედ ჩასჩერებიან თავიანთ ქაღალდებს.

მე მათთვის არც კი ვარსებობ.

მაგრამ საქმე მთლად ასეც არ ყოფილა. რომელიღაც წამში ნერვიულ დაძაბულობას ველარ გავუძელი და უეცრად, თვით ჩემთვის მოულოდნელადაც კი, ფეხზე წამოვიჭერი. მაგრამ წელში გამართვაც კი ვერ მოვასწარი, რომ ორივე ჩეკისტი გააკებული ძერასავით მომაფრინდა. ორივეს ხელში რევოლვერები ელავდნენ. - გამიგონია, უშიშროების თანამშრომლები შენობაში შესვლისას იარაღს აბარებენო. ტყუილია! ამ ორს ნამდვილად რევოლვერები ჰქონდათ და კარგად გაწვრთნილი ბიჭებიც ბრძანდებოდნენ.

- დაჯექი! - ავად დამჩხავლა კაპიტანმა. დავჯექი.

ოფიცრები თავიანთ ქაღალდებს დაუბრუნდნენ. ორივე ღრმად სუნთქავდა.

ხერხემალი გამიშეშდა. სასოწარკვეთილება მიპყრობდა. ვხვდებოდი, რომ უმაღლესი დიპლომატიური სკოლა აქ არაფერ შუაში იყო: ერთხელ დავინახე, რომ უმცროსი ლეიტენანტი აშკარა ინტერესით მომჩერებოდა. მაგრამ როგორც კი ჩემი მზერა დაიჭირა, მაშინვე თავი ჩაღუნა და ქაღალდებს ჩაუკირკიტდა. ერთი წამით მის თვალებში თითქოს გაკვირვებაც კი მომელანდა, აქ რატომ მოუყვანიხართო.

მერედა, მითხარით, ადამიანებო, რატომ მომიყვანეთ. ქრისტე არა გწამთ?

არა, ამათ ქრისტე არ სწამდათ. როცა ერთი წუთის შემდეგ ისევ კედელზე მიყრდნობა ვცადე, იმავე უფროსმა ლეიტენანტმა მაგიდაზე

მკაცრად დააკაკუნა. მაშინ-ღა მივხვდი, რომ ისინი იმ ქალალდებს არც კი კითხულობდნენ, ტყუილად ფურცლავდნენ და ფარულად მე მითვალთვალებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდება შენდა, ღმერთო!

დროზე წარმოდგენა დავკარგე. უკვე კარგად ბნელოდა.

უეცრად კარი ხმაურით გაიღო. ზღურბლზე მაღალი, ზონზრუხა, ახლად თმაშეკრეჭილი კაცი გაჭიმულიყო. კიტელი ეცვა, მაგრამ სამხრეები არ ეკეთა. ვერც კი მოვისაზრე, რომ სწორედ ეს იყო, ნიკოლორთქიფანიძის საღამოზე ერთთავად უკან რომ დამსდევდა.

- წამოდი! - ქვასავით მესროლა მან.

წინ ხბოსავით გამიგდო. უგრძესი დერეფანი გადავჭერით, ლიფტს გავცდით და კიბეს ავყევით. ზედა სართულზე რომელიღაც კარი გამოაღო და ოთახში შემაგდო.

საწერ მაგიდას ახალგაზრდა, პუტკუნა სომეხი უჯდა და „აბაჟურის" მყუდრო სინათლეზე წიგნს კითხულობდა. პირდაპირ იდილიური სურათი იყო. ჩვენს შესვლაზე თავიც კი არ აუწევია.

- დაჯექი! - ზონზრუხამ სკამზე მიმითითა.

დავჯექი.

მაღალი, შავლედერიანიანი კარი გამოაღო და შევიდა.

ჩასუქებულ ახალგაზრდას მაგიდაზე გრაფინით წყალი ედგა.

– Воду, если можно...

- Нет воды! - მომახალა. წიგნიდან თავიც კი არ აუწევია.

- А это что? - წამომცდა გაკვირვებით.

სომეხმა პასუხის ღირსად აღარ მცნო. თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი, მაგრამ...

ჯანდაბას!..

მაღალი კარი გაიღო, ზონზრუხა გამოვიდა და კარი მჭიდროდ მიხურა.

- აქ მოდი!

მივედი.

-მინისტრთან შედიხარ! - და მსუქანი თითი მუქარით დამიქნია, - იცოდე, ყველაფერი სიმართლე ილაპარაკე!..

კარი გამოაღო და შემიშვა.

ვერცკი წარმომედგინა, საქართველოში ვინმეს ამოდენა და ასე მდიდრულად მოწყობილი კაბინეტი თუ ექნებოდა. სანამ საწერ მაგიდამდე მივაღწევდი, რამდენჯერმე ღრმად ამოვისუნთქე. საწერი მაგიდის გვერდზე ტელეფონების მაგიდა იდგა, ზედ რამდენიმე აპარატი. კედელთან კიდევ ორი პატარა მაგიდა იყო, ერთზე გრძელი, ექვსკუთხედი, მწვანე თალათინით გაწყობილი ტელეფონის აპარატი იდგა, მეორეზე - ისეთივე, მაგრამ წითელი თალათინით გაწყობილი. მერე მითხრეს, ერთი - პირდაპირ სტალინს უკავშირდებოდა, მეორე - პირდაპირ ბერიასო.

როგორც კი ჩვენ შევედით, მოპირდაპირე კარიდან - დასასვენებელი ოთახიდან, - ხანშიშესული, შავკოსტუმიანი, თვალებჩაწითლებული კაცი შემოვიდა. საწერ მაგიდასთან გაჩერდა და შუბლქვეშიდან შემომხედა. ეს კაცი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი შალვა წერეთელი ბრძანდებოდა.

ზონზროხა სარგადაყლაპულივით იდგა.

- ეს არის? - იკითხა წერეთელმა.

- ეს გახლავთ.

- დაჯექი! - მითხრა წერეთელმა და სკამზე მიმითითა. მაგრამ იმ წამსვე ხელები გაასავსავა, - არა! ჯერ არა! ჯერ ვნახოთ, როგორ მოიქცევი. თუ კარგად მოიქცევი, დაგსვამთ; თუ არა და...

- ო! ო! ო!.. - დაიროხროხა ზონზროხამ.

- ნუკრი, ხომ? - გენერალმა მაგიდიდან ჩემი მატრიკული აიღო.

- დიახ...

გენერალმა ჩემი მატრიკული გადაშალა:

- აქ რამაზი წერია.

- დიახ...

- კარგი. - წერეთელმა მატრიკული მაგიდაზე დასდო, - ახლა ყური დამიგდე: აქ იმისთანა ვაჟკაცები გვინახავს, რომ შენხელა ყვ... ჰქონდათ, მაგრამ... ჰო! ტყუილ-უბრალოდ ნურც ჩვენ გაგვაწვალებ

და ნურც შენ გაწვალდები. ახლა ყველაფერი შენზეა დამოკიდებული. კარგად მოიქცევი - კარგად მოგექცევით. არადა... გესმის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

- დიახ...

- აბა, ახლა ასე: - ერთ ხანს იყუჩა, თან თვალებში მომჩერებოდა; მერე კი უცბად მომახალა, - თქვი, ამ ომის დროს რომელი ორგანიზაციის დავალებით სად რა გაგიკეთებია?

სახტად დავრჩი. წრფელი გაოცება სახეზეც გამომეხატა, ამიტომ წერეთელმა და მალანიამ წამიერად ერთმანეთსაც გაკვირვებული მზერა შეავლეს.

წერეთელმა მაგიდაზე თითები აათამაშა:

- აბა,აბა!.. ყველაფერი გულახდილად მოგვიყევი.

- კომკავშირის ორგანიზაციის დავალებით... ჩაის საკრეფად... სოფელ ნარაზენში...

- არა, არა! - წერეთელმა ხელები გაასავსავა, - ეგ ჩვენც ვიცით. ჩვენ არაფერი გვეპარება. შენ სხვა გვითხარი. სიმართლე, გესმის? სიმართლე გვითხარი!

- სათქმელი სხვა არაფერი მაქვს.

- დაფიქრდი! ჩვენ სათამაშოდ არ გვცალია. ხომ იცი, სადა ხარ? სიჩუმე ჩამოვარდა.

გენერალიც და მაიორიც - ორივენი წამიერად შეფიქრიანდნენ. ჩემმა წელანდელმა გაოცებამ შეაფიქრიანა. ისინი რაღაც სხვა რეაქციას ელოდნენ. თითქოსდა, დაინახეს, რომ არავითარ სხვა ორგანიზაციაზე, კომკავშირის გარდა, წარმოდგენა არ მქონდა.

მალანია სკამზე დაეშვა და გულხელი დაიკრიფა. მზერას არ მაშორებდა.

- აბა, რატომ მოგიყვანეს?!

ესეც მეთოდია - დაგიჭერენ, მიგიყვანენ და აქეთ გეკითხებიან, რატომ მოგიყვანესო.

- არ ვიცი...

- მაინც?..

- მე... უმაღლეს დიპლომატიურ სკოლაში...

- ნუ სულელობ!

- ?!

- დიდი დაქოქილი ვინმე ჩანს. - უთხრა მალანიამ წერეთელს.

გამიკვირდა, მინისტრთან რა სიტყვა იხმარა-მეთქი.

წერეთელს არ გაჰკვირვებია. იგი უხმოდ მომჩერებოდა. სათქმელი აღარაფერი ჰქონდათ. ჯერჯერობით მაინც.

- კარგი, - თქვა ბოლოს წერეთელმა, - გაუშვით.

- ჩემი მატრიკული...

- იქ მოგცემენ.

მალანიამ ისევ წინ გამიგდო. წელანდელ ოთახში ჩამიყვანა. ოფიცრებმა კითხვით შეხედეს. მალანიამ არაფერი უპასუხა და ოთახიდან გავიდა.

სული მოვითქვი. სიმხნევე მომემატა. ვიფიქრე, ღამეს, ალბათ, აქგამათევინებენ, მაგრამ დილით გამიშვებენ და დედაჩემს როგორმე დავამშვიდებ-მეთქი. თითქოს, მართლაც იმას ჰგავს, რომ სამოსკოვოდ მამოწმებენ. მალანიამ კი დამიყვირა, ნუ სულელობო, მაგრამ ეს ისე, თვალის ასახვევად... შემამოწმონ... სხვები, ვინც მოსკოვში გაგზავნეს, არ შეუმოწმებიათ, მაგრამ იმათ დაჭერილი არავინ ჰყავთ და იმიტომ. მე კი მაინც ნაკლებად მენდობიან. ის რაღაც ორგანიზაციაც იმიტომ მიხსენეს...

ნამდვილად ასეა.

მაგრამ...

მატრიკული რატომ აღარ მომცეს? როდის მომცემენ?

იმ წუთებში პირველად გამიელვა, ეს ყველაფერი მიტო მამულაიშვილის მაშინდელ ლათაიებს ხომ არ უკავშირდება-მეთქი. მაგრამ, არა. ის ხალხი - ხიმშიაშვილი და სხვები 1941-შივე დაიჭირეს და დახვრიტეს. ჩვენ რატომ-ღა დაგვინდობდნენ. ან მე იმათთან რა საქმე მქონდა: არც მამულაიშვილი დაუჭერიათ... მე იმას კიდეც ვეჩხუბე და დიდხანს არც ველაპარაკებოდი. არა, ის საქმე არაფერ შუაშია, მაგრამ მაინც, რატომ მომიყვანეს?

გამიშვებენ?

თუ აღარ გამიშვებენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ერთი წუთით წამოვდგები. წელი გამიშეშდა...

- არ შეიძლება! - თავაუწეველად მომიგდო კაპიტანმა. არა, რაღაც არ ჰგავს, რომ გამიშვებენ...

მაგრამ ამათ ციმშიაშვილის საქმე მაშინ სწორედ აწარმოეს, რაც იმითაც დასტურდება, რომ სამი ადამიანი მაშინვე გაათავისუფლეს. ერთის გვარიც მახსოვს - თუშმალიშვილი... აბა, მე რაღას მერჩიან? არა, დილით გამიშვებენ...

დროზე ყოველგვარი წარმოდგენა დავკარგე. გარეთ ბნელოდა.

- ტელეფონით მაინც...

პასუხი არავინ მომცა.

უეცრად კარი გაიღო და განრისხებული, თვალებგადმოქაჩული მალანია შემოიჭრა. ოფიცრებს წამოდგომაც კი დაუგვიანდათ.

- წამოდი!..

იქვე, გვერდით, ვეებერთელა, მწვანეფარდებიან კაბინეტში შემაგდო და კუთხისკენ მიბიძგა.

- თქვი!..

- რა ვთქვა?!..

- ყველაფერი თქვი!..

- მკითხეთ, რა...

- ოჰ, მე შენი დედა!..

კაბინეტში მეორე ჩეკისტი - წითური, თეთრთვალება კაპიტანი გრიშა ლორთქიფანიძეც იყო. ორივენი მეცნენ და თავპირში, მუცელში, კისერში, კეფაში, წვივებში - ყველგან მუშტები და წიხლები დამიშინეს.

აღარ მახსოვს, ეს რამდენ ხანს გაგრძელდა. ალბათ, გონება დავკარგე. როცა გონს მოვედი, უკვე კარგად გათენებული იყო. მოპირდაპირე სახლის აივანზე ქალმა გასამზეურებლად საბანი გამოჰკიდა - უშიშროების სამინისტროს გარშემო სახლებში, თურმე, სულ ჩეკისტებს უცხოვრიათ. მე იატაკზე ვეგდე, სანახევროდ კედელს მიყრდნობილი. ტანზე და ფეხებზე აღარაფერი მეცვა, შარვლის გარდა. ცალი ფეხსაცმელი იმ ვეებერთელა ოთახის ერთ კუთხეში

ეგდო, მეორე - რატომღაც - „ოტომანკაზე“. პიჯაკი ოთახის მეორე კუთხეში, იატაკზე ეგდო. აქოშინებული, თვალებგადმოკარკალული მალანია საწერ მაგიდას უჯდა და მუშტისოდენა, რუსული ეკლესიის ფორმის სანთებელათი პაპიროსის მოკიდებას ცდილობდა. ოფლში გაწურული ლორთქიფანიძე თავზე მადგა. ფერი აღარ ედო და სულს ძლივს იბრუნებდა. გასაკვირიც არ არის - რამდენიმე საათი „მუშაობდნენ“.

- შენი დედა!.. - ბრდღვინავდა დორბლმორეული მალანია.

- დურაკ!.. - დამკიოდა ლორთქიფანიძე, - ყველაფერი ვიცით!

- მაცალე! დედის ხსენს ამოგილებ მუცლიდან.

- დურაკ! ამეიღე, კობიძე, შენი დაჟანგული კონტრრევოლუციური ბებუთი და დადევი მაგიდაზე! ჩვენ ყველაფერი ვიცით.

- ო-ო!.. - დუღდა და ქოთქოთებდა მალანია, - ო-ო!.. ო, შე გველის წიწილო, შენ!.. ო-ო!.. ო-ო!..

- დადევი, დადევი შენი დაჟანგული ბებუთი! შენ ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებ. დურაკ!..

- ადექი! ო, შე მამაძაღლო, შენ!..

წელი ძლივს ავითრიე. თხემიდან ფეხის ფრჩხილებამდე - ყველაფერი მტკიოდა, მტეხდა, მეწოდა... კედელს მივეყრდენი.

- ო-ო, შე მამაძაღლო, შენ!

- დურაკ!

- ბებუთი - მაგიდაზე! დურაკ!

ძლივს წამოვდექი. თავიდან ფეხის ფრჩხილებამდე ყველაფერი მტკიოდა, მტეხდა, ცეცხლი მეკიდებოდა... კედელთან ძლივს მივბარბაცდი და მივეყრდენი.

- ო-ო, შე მამაძაღლო, შენ!

- დურაკ!

- გვეთამაშები, ხომ? ო-ო!.. ო-ო, შე მამაძაღლო, შენ! ო-ო!..

- გეიგებს! მალე ყველაფერს გეიგებს! დურაკ!

- ო-ო!.. ო-ო!.. მაცალე! დედის ხსენს ამოგილებ! ო-ო!..

ფეხზე დგომა აღარ შემეძლო. ერთი წუთით იატაკზე ჩაცუცქება და სულის მოთქმა დავაპირე. მაგრამ ვერ მოვასწარი ლორთქიფანიძე მეცა, ამათრია და ყბაში მითავაზა, მას მალანიაც მიეშველა და - ისევ მომდგნენ. მალანია თავში ახლა სანთებელას მირტყამდა. ლორთქიფანიძე კი თან მცემდა და თან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ყურში ჩამკიოდა:

- ااااااا!..

- ო-ო!.. ო, შე მამაძაღლო! ო, შენი დედა!.. ო-ო!.. ო-ო!..

ბოლოსდაბოლოს დაიღალნენ. აქოშინებული მალანია ისევ თავის მაგიდას მიუჯდა და პირში თითისსიმსხო პაპიროსი გაირჭო. სულს ლორთქიფანიძეც ძლივს ითქვამდა.

ეჭვი აღარ იყო, რაღაც დიდ დამნაშავედ მთვლიდნენ. და თავში ბრიყვული აზრი მომივიდა, მოდი, ამათ ახლა ერთი მაგრად გავაცუცურაკებ, რომ თითონვე დარწმუნდნენ, რა ტყუილად მაწამებენ-მეთქი. სული მოვითქვი და სიტყვა-სიტყვით ჩავუკაკლე ის ლათაიები, რომლებითაც მიტო მამულაიშვილი ოთხი წლის წინათ გამიმასპინძლდა - სტალინის, შალვა ნუცუბიძის, თბილისის გადარჩენისა და სხვა მსგავსი მატერიების შესახებ.

ეს იყო ყველაზე დიდი სისულელე, რაც კი ცხოვრებაში ჩამიდენია.

ერთმანეთს წამიერი მზერა შეავლეს. მალანია მყისვე დაფაცურდა, ქაღალდი მიიწია და რაღაცის სწრაფად წერა დაიწყო. ამან თითქოს შემაფიქრიანა. მაგრამ მაშინვე ისიც გავიფიქრე, ოცდაჩვიდმეტი წელი ხომ მაინც აღარ არის, აი, ოქმს ადგენენ, ყველაფერი გამოირკვევა და გამიშვებენ-მეთქი. ის კი აღარ მომეწონა, რომ მალანია თითქოს გახარებულიც კი ჩანდა. გულში ეჭვმა გამიარა. მაგრამ ნათქვამს ხომ ვერ დავიბრუნებდი. არადა, ცუდი, კონტრრევოლუციური და მთავრობის საწინააღმდეგო ხომ არაფერი მითქვამს! ხელი ჩავიქნიე და იმ ქაღალდს ხელი წაუკითხავად მოვაწერე. მხოლოდ დიდი ხნის, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ გავიგე, რომ იმ ქაღალდის მიხედვით მამულაიშვილს თავის (ანუ ხიმშიაშვილის) ორგანიზაციაში, თანაკლასელების გარდა,

ჩემი მეშვეობით ჩაუთრევია ბოლქვაძეც, მარგველაშვილიც და ცინცაძეც. არადა, არც ერთი, არც მეორე და არც მესამე მალანიასთვის არ მიხსენებია.

თავი მეათე

გულუბრყვილობაა იმისი ფიქრი, თითქოს შეიძლებოდა, ადამიანს რაიმე ანტისახელმწიფოებრივი, დანაშაულებრივი საქციელი ჩაედინა და მაშინდელ უშიშროების ორგანოებს იგი ვერ გამოეტეხათ. ადამიანის სულიერ და ფიზიკურ ძალებს თავისი საზღვარი აქვს. იმ საზღვრებს იქით - სიკვდილია. მაგრამ ამაზე ძლიერია შიში ახლობლების ბედის გამო, რაზეც ძირითადად იყო აგებული უშიშროების ორგანოების მუშაობის მეთოდები მრავალი ათეული წლის მანძილზე. მე ვიცნობდი ერთ გულმხეც ჩეკისტს, რომელიც ძიების დროს თითონაც არაფერს ერიდებოდა, - არც თმების დაგლეჯას, არც ფრჩხილებში ნემსის შერჭობას. არც ელექტროშოკს და ა.შ., რომ არაფერი ვთქვათ ისეთ „წვრილმანებზე", როგორიცაა ვთქვათ, ფეხის მუხლებზე რეზინის ჯოხით ცემა. და აი, ამ კანიბალმა ხელი მოაწერა ყოვლად აბსურდულ ბრალდებას იმის გამო, რომ მეზობელ კამერიდან ცოლის უნუგეშო ტირილი გააგონეს.

- რომ არ მოეწერა?

- გაიყვანდნენ და დახვრეტდნენ. რა, ცოტანი დაუხვრეტიათ?!..

ეს ჩეკისტი იქით იყოს! ბევრზე ბევრ ლირსეულ, ფიზიკურადაც მეტად ძლიერ და ამტან ადამიანებს ისეთ ჩვენებებზე აქვთ ხელი მოწერილი, რომ მერე, სულის მოთქმის შემდეგ, თუ დახვრეტას რაიმე სასწაულით გადაურჩნენ, თითონვე სასოწარკვეთას ეძლეოდნენ, ეს რა დამემართაო. ბევრი თავსაც იკლავდა. სწორედ ეს მეთოდი შიშისა დედ-მამის, ცოლ-შვილის, ძმებისა თუ დების ბედის გამო, რაც მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფი სულაც არ გახლდათ, ვინაიდან უდანაშაულო მამების, ქმრებისა თუ ძმების კვალდაკვალ ასევე უდანაშაულო შვილები, ცოლ-შვილი თუ და-ძმანი

გაუყოლებიათ, იყო უმთავრესი „არგუმენტი“, რასაც ეყრდნობოდა სტალინისეული სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ყოვლისშემმუსვრელი ძლიერება.

ამას დაუმატეთ ისიც, რომ მაშინდელ საბჭოთა კავშირში არ ყოფილა არცერთი ცოტად თუ ბევრად გონებაგადახსნილი ადამიანი, რომელსაც სახელმწიფოს წინაშე „დანაშაული“ არ ჩაედინოს. ანეგდოტი მოჰყევით? ან ანეგდოტი მოისმინეთ და გაიცინეთ? მორჩა! მე არ ვამტკიცებ, რომ იჭერდნენ გამოუკლებლივ ყველას, ვინც ანეგდოტს მოჰყვებოდა, ან ანეგდოტის მოყოლაზე გაიცინებდა; მაგრამ სახელმწიფო დამნაშავე იყო ყველა, ვისაც ამა თუ იმ მიზეზით, ან სრულიად უმიზეზოდაც კი დაიჭერდნენ და რკინის კარებს იქით შეაგდებდნენ. პოლკოვნიკმა მარქაროვმა იურისტ ტყავაძეს პირდაპირ ასე უთხრა, კომუნისტები მხოლოდ ჩვენ, ჩეკისტები ვართ. ჩვენი სახელმწიფო ამ რეზინის ჯოხებზეა დამოკიდებულიო.

- ეგ ანტისაბჭოთა აგიტაციაა. - სიტყვა შეაპარა ტყავაძემ.

- არა! - მარქაროვმა ხელები აიქნია, - მე ეგეთი არაფერი მითქვამს. თქვენ მე რაღაცას მაბრალებთ...

ასეთი იყო სტრატეგია. სხვა ყველაფერი უიშვიათესი გამონაკლისების რიცხვს განეკუთვნება.

პირადად მე იმიტომ „გამომტეხეს“, რომ, ჩემი მაშინდელი ჭკუით, დასამალი არაფერი მქონდა. ძალიან საღად და, იმ დროის კვალობაზე, ძალიან გულუბრყვილოდაც განვსაჯე, ანტისახელმწიფოებრივი დანაშაული არც ჩამიდენია, რომ ვმალავდე და არ ვამხელდე, და არც მომავალში ვაპირებ, ამიტომ, თუ სამართალია, გამიშვებენ-მეთქი. ხოლო რაღაც სამაროალი რომ მაინც იყო, ამაში დამარწმუნა იმან, რომ მეკითხებოდნენ, გვითხარი,რა ჩაგიდენიაო, და თან ოქმიც შეადგინეს. (მე კი ვიცოდი, რომ 37-ში ჩემი ბიძები, მაგალითად ყოველგვარი დაკითხვების და ოქმების გარეშე, რაღაც სიების მიხედვით დახვრიტეს. თანაც არავითარი წარმოდგენა არ მქონდა სისხლის სამართლის კოდექსზე, პროცესუალურ ნორმებზე და ა.შ. არ მჯეროდა, რომ ადამიანი რაღაც „განუცხადებლობისათვის“ შეიძლება დაიჭირო და დასაჯო.

მერე, როცა გავიგე, რომ მე და ბოლქვაძე ერთ „საქმეზე“ ვიყავით დაჭერილები, მან კი გუდა მოხსნა და ოღონდ გამომძიებლისთვის, ესე იგი, საბჭოთა ხელისუფლებისთვის ეამებინა, პირდაპირ ფანტასტიკურ ჩვენებებს იძლეოდა, პირდაპირ ისტერიულმა შიშმა შემიპყრო, მაგ წყალწალებულმა დედაჩემიც არ დააჭერინოს-მეთქი. ეს იყო და ეს. ბოლქვაძესთან შეკამათებას ველარ ვბედავდი. ტრიბუნალის სხდომაზეც ასე განვაცხადე, ბოლქვაძე ტყუილს არ იტყვის-მეთქი. არადა, შინაგან ციხეში მჯდომს არც გამიგია, რომ დეზერტირებზე ამნისტია იყო გამოსული და, ძალიანაც რომ მოენდომებინა, ბოლქვაძე დედაჩემს მაინც ვერ დააჭერინებდა.

ეგ კი არა, იაპონიასთან რომ ომი იყო, ისიც კი არ გამიგია. ერთხელ ტუალეტიდან - ფარი ჩამოვარდნილიყო, - რუსთაველის თეატრის წინ უამრავი ხალხი და დროშები დავინახე. ვერაფრით ვერ მივხვდი, რა უნდა ყოფილიყო. თურმე, საბჭოთა ხალხი იაპონიაზე გამარჯვებას ზეიმობდა... ესეც სტალინის ვერაგობის კიდევ ერთი მაგალითი - იაპონიასთან აკი სამშვიდობო ხელშეკრულება გვქონდა დადებული. ყოველ შემთხვევაში, იაპონიას საბჭოთა კავშირისთვის არაფერი დაუშავებია.

როგორც საერთოდ მემართება ხოლმე, ახლაც კარგა ხნის შემდეგ გავიგე:

წერეთლის კაბინეტში ჩემმა აშკარა გაოცებამ, როცა მკითხეს, რომელი ორგანიზაციის დავალებით როდის რა გაგიკეთებიაო, წერეთელიც და მალანიაც შეაფიქრიანა. ეს მაშინვე შევამჩნიე - აკი გითხარით კიდეც. ისიც მოგახსენეთ, ამან ცოტათი გამამხნევა-მეთქი. ამის შემდეგ მალანიამ „ჩემს ოფიცრებთანვე“ მიმაბრუნა, თავის კაბინეტში კი ბოლქვაძე შეიყვანა და ერთხელაც დაჰკითხა. ბოლქვაძეს ერთი ჩვენება უკვე მიცემული ჰქონდა. ახლა ის ჩვენება მეორეჯერაც გაიმეორა და ამას მოჰყვა ის ეგზეკუცია ჩემს მიმართ, რომელზეც უკვე გიამბეთ.

ამასობაში კარგად გათენდა. თანამშრომლებმა სამსახურში მოსვლა დაიწყეს. „ჩემი“ ოფიცრები გამოცხადნენ. ათი თუ თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა ვიღაც კაპიტანმა თეფშით ორი ცალი

ტოლმა მომიტანა და მითხრა, ჭამეო.

უარი ვუთხარი. რა მაჭმევდა? დრო გადიოდა, მე კი შინ არ მიშვებდნენ და არც საბუთები დაუბრუნებიათ.

იმ წამსვე ხუთიოდე დაფეთებული ჩეკისტი შემომეხვია:

- არ ჭამ?!..

- როგორ თუ არ ჭამ?! არა გშია?!

- ჭამე, კარგია, სასადილოდან მოგიტანეთ.

- ჭამე, ბიჭო, ჭამე!

გაგიხარიათ, შვებით ამოვისუნთქე. ახლა კი გამიშვებენ! მართლაც ოცდაჩვიდმეტი ხომ არ არის. აი, როგორ გულისხმიერად მექცევიან, საუზმე მომიტანეს. ჩემი გაშვების საკითხს, ალბათ, მინისტრთან ათანხმებენ. შეათანხმებენ, მატრიკულს დამიბრუნებენ და - ჰაიდა!..

ორივე ტოლმას ბოლო მალე მოვულე, მაგრამ...

თურმე, იმ განუკითხაობის, ყოველგვარ საზღვრებს გადაცდენილი სისასტიკის ქვეყანაში ორგანოებს დიდ მინუსად ეთვლებოდათ, თუ პატიმარი შიმშილობას გამოაცხადებდა (?!). ორგანოებს თავისი „პეწიც“ ჰქონდათ, მაშ!.. მე რომ ტოლმაზე უარი ვთქვი, ეს შიმშილობის გამოცხადებად მიუღიათ და ამიტომაც დაფეთებულან. შევჭამე და - დამშვიდდნენ.

მალანიას განყოფილებაში კიდევ ოთხი დღე-ღამე მამყოფეს. გაშვების იმედი მეორე საღამოსვე გამიქრა. იმ ორი ცალი ტოლმის მეტი საჭმელი თვალითაც აღარაფერი მინახავს. არავითარი „პატივისცემა“ კი არ დამკლებია. დაძინების უფლება მხოლოდ ერთხელ მომცეს, მიდი, იმ „ოტომანკაზე“ დაწექიო. მაგრამ როგორც კი ღრმად ჩამეძინა, ლორთქიფანიძემ ფერდში ხელის მაგარი კვრით გამომაღვიძა და დაკითხვაზე წამიყვანა. საკითხავი კი არაფერი ჰქონია. უბრალოდ, კიდევ ერთი ასეთი მეთოდიც ჰქონიათ. ამის მეტად დაძინების უფლება არ მოუციათ. ვიჯექი იმ ხმელ ტაბურეტზე და ორი ოფიცერი მყარაულობდა, კედელს არ მიეყუდოსო. ყველაფერზე ხელი ჩავიქნიე. დამშეულს, დაქანცულს და სულიერად გატეხილს ერთადერთი სურვილი-ღა მქონდა, ნეტავი,

ერთი წუთით ამ იატაკზე წამომაწვინა და სული მომათქმევინა-მეთქი. თუ ვინმე მეტყვის, სუსტი ყოფილხარო, ოთხი კი არა, ერთი დღედაღამე ტაბურეტზე მჯდომარემ კედელზე მიუყრდნობლად გაძლოს. თუ გაძლებს, თავისუფლად შეუძლია, საბჭოთა ხელისუფლებას შეიარაღებული აჯანყება მოუწყოს. უთუოდ გაიმარჯვებს.

ამასობაში მამულაიშვილიც მოუბრძანებიათ. არ ვიცი, სცემეს თუ არა, მაგრამ არც სტალინი გახსენებია და აღარც ნუცუბიძე. მამულაიშვილიც და ჩვენც - ჩემს გარდა კიდევ ათიოდე ადამიანი, - „ფარული ანტისაბჭოთა ახალგაზრდული პროფაშისტური სამხედრო-საჯანყებო ორგანიზაციის წევრებად „გავფორმდით". ორგანიზაციისა, რომელიც საქართველოში ჰიტლერის ჯარების შემოსვლის შემდეგ მამულაიშვილს მიტუშა აბაშიძის მამულებისა და უფლებების აღდგენაში უნდა დახმარებოდა.

მეოთხე თუ მეხუთე დღეს, მალანიამ, ისე, რომ არც წაუკითხინებია, რაღაც ქაღალდზე ხელი მომაწერინა, - ეს პროკურორის სანქცია ყოფილა, - მითხრა, თავიდანვე ყველაფერი რომ გეთქვა, ახლა შინ იქნებოდი, ახლა კი მაგრად ჩაჯექიო, და ოფიცრების თანხლებით შინაგან ციხეში ჩამგზავნა. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ძიებაში ყოფნის დროს „რაღაც" ქაღალდებზე წაუკითხავად ხელის მოწერა - ახალგაზრდული პოზაა და არავის ეპატიება. მე ეს პოზა საკმაოდ ძვირად დამიჯდა.

გამიგონია, სახელმწიფო უშიშროების შენობაც და შინაგანი ციხეც აკადემიკოსი შჩუსევის პროექტითაა აშენებულიო. თუ მართლა ასეა, ბარაქალა მის აკადემიკოსობას! არ შევუდგები ამ ვეებერთელა კომპლექსის დაწვრილებით აღწერას. ამას ცალკე წიგნი დაჭირდებოდა. ესეც არ იყოს, ეს უკვე შესანიშნავად გააკეთა გივი მალულარიამ. ვიტყვი მხოლოდ, რომ აქ ყოველი კუთხე-კუნჭული ზედმიწევნით ემსახურება მიზნებს, რომლების განხორციელებაც სტალინმა ამ შენობების აგებისას დაისახა. ეს არის ადამიანის დათრგუნვის, მისი სრული ფიზიკური და მორალური განადგურების ღრმად გააზრებული რაღაც აგრეგატი

და არა შენობა. მკითხველის ყურადღებას მხოლოდ ერთ დეტალზე შევაჩერებ: ამ ვეებერთელა კომპლექსში, სადაც ადამიანებს უმოწყალოდ სცემდნენ, ასახიჩრებდნენ, ხოცავდნენ, ამავე დროს პირდაპირ სტერილური სისუფთავე სუფევდა. სისხლი, თმების ნაგლეჯები, ამომტვრეული კბილები, თეთრეულის და ტანისამოსის ნაფლეთები - ეს ყველაფერი მყისვე გაჰქონდათ, და იქ, სადაც ორიოდე წუთის წინ ადამიანი კვნესოდა, გმინავდა, ბღაოდა და იგრიხებოდა, ახლა, ვითომც აქ არაფერიო, მოკრიალებული პარკეტი, მბზინავი ავეჯი, ლაპლაპა ტელეფონები და უზადოდ ჩაცმული ჩეკისტები მოჩანდნენ. ვიღაც აყლაყუდა პოლკოვნიკი მოროზოვი შინაგანი ციხის კამერებს ჩამოიელიდა ხოლმე და ფანჯრების რაფებს თეთრ, ქათქათა ცხვირსახოცს აუსვამდა. ვაი ციხის ადმინისტრაციას და წითურ ექიმ რაზმაძეს, თუ იმ ცხვირსახოცს იოტისოდენი მტვერი აჰყვებოდა. მაგრამ ეს სისუფთავე - მოსაჩვენებლად, ან თითონ ჩეკისტებისთვის, პატიმრები კი... მე სამი თვე ვყავდი შინაგან ციხეში და არც ერთხელ აბანოში არ წავუყვანივარ.

ეგრეთწოდებულ „მეხუთეკოლონაზე" ვიჯექი. გრძელ, ნახევრად ბნელ დერეფანში რატომღაც სწორედ ის მძიმე, აუტანელი სუნი იდგა, ზოოპარკში ან ცირკში დიდი გარეული ცხოველების ვოლიერებში რომ არის ხოლმე. იმ სუნს პოლკოვნიკი მოროზოვი რატომღაც ვერ ამჩნევდა. მხარმარცხნივ და მარჯვნივ სრულიად ერთნაირი რკინის კარები იყო ჩამწკრივებული. მაგრამ მარჯვნივ ჰაერიანი, შედარებით ნორმალური კამერებია. მარცხნივ კი - „რეჟიმის" უჰაერო და უსინათლო. მარცხენა კართაგანი ძგრიალით გამიღეს და ნამდვილ ბეტონის კუბოში შემაგდეს. კუბოში ჰაერი არსაიდან შემოდიოდა. დაკითხვაზე წასაყვანად იმ აქოთებულ დერეფანში - ვოლიერში რომ გამიყვანდნენ, მეჩვენებოდა, სამოთხეში მოვხვდი მეთქი. კამერაში დღე და ღამე ლითონის ბადიანი ნათურა ენთო. აქეთ-იქით ხის ორი ნარი იდგა. არა ბალიში, არა ლეიბი, არა საბანი... თუმცა იმ აუტანელ სიცხეში ლეიბ-საბანი არც მჭირდებოდა... შემაგდეს და ჩამკეტეს... მაინც როგორ უზადოდ

მორგებული კარები იყო, გასაღები შიგ რა რბილად, ძალადაუტანებლად ტრიალდებოდა... ეს აგრეგატი მართლა თავისი საქმის შეუდარებელ მცოდნეებს უშენებიათ. ნეტავი, ასეთი სპეციალისტები ჩვენს სამოქალაქო ბინათმშენებლობას მისცა.

როცა სწორედ ჩემს ცხვირწინ რკინის მძიმე კარი ჩაიკეტა და მარტო დავრჩი, მივხვდი, რომ მართლაც დაჭერილი ვიყავი.

ამ ბეტონის კუბოში სრული სამი თვე გავატარე - ივლისის ოციანი რიცხვებიდან სექტემბრის ოციან რიცხვებამდე. კამერაში აუწერელი სიცხე და უჰაერობა იყო. 7 ივლისამდე სამას გრამ „პურზე" და დღეღამეში ერთხელ ერთ ჯამ ნელთბილ წყალზე ვიყავი და ჩემს ტყავზე პირველად გამოვცადე, თუ რა არის ნამდვილი შიმშილი. 7 აგვისტოს სტალინს ამნისტია გამოუცხადებია - „დიდ სამამულო ომში გამარჯვების აღსანიშნავად ციხეებიდან პატიმრების ნაწილი გამოუშვია, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა პოლიტიკური პატიმრები, - მეც „პერედაჩა" მომცეს და დედაჩემმა უამრავი საჭმელი შემომიგზავნა. ვეძგერე და გამოვძეხი. დიდი ხნის ნაშიმშილევს ნახევარი საათის შემდეგ ისევ ჭამა მომინდა. მაგრამ... უკვე ყველაფერი აყროლებულიყო და პირში აღარ ჩაიშვებოდა. გიჟურად მშიოდა, საჭმელი მაგიდაზე მეწყო, მაგრამ პირს ვერ ვაკარებდი. გადაყრით კი მხოლოდ მეორე დილას გადავყარე, როცა განრიგის მიხედვით ტუალეტში გამიყვანეს.

არ ვიცი, მკითხველი დამიჯერებს, თუ არა, მაგრამ იმ სამი თვის განმავლობაში არამც თუ ერთი წუთიც კი არ დამიძინია, არც კი ჩამოვმჯდარვარ. დღე და ღამე გალიაში გამომწყვდეული მხეცივით ვწრიალებდი - ოთხი ნაბიჯი წინ, ოთხი ნაბიჯი უკან. ამასწინათ უსაქმობის დროს გამოვიანგარიშე და დავადგინე, რომ იმ სამი თვის მანძილზე ჩემს „სარეჟიმო" კამერაში 25.000 კილომეტრამდე მანძილი გამივლია, ესე იგი, დედამიწის ეკვატორის ნახევარზე მეტი. თანაც მშიერს., თანაც სრულიად შეუსვენებლივ, პირდაპირ სულმოუთქმელად. ადამიანს მართლაც ძალიან ბევრი შეძლებია. საინტერესოა, ახლა ვინმემ 20-22 წლის ახალგაზრდას რომ შესთავაზოს, ეკვატორის ნახევარი აუტანელ სიცხეში ფეხით გაიარე

და მილიონ დოლარს გაჩუქებო, ის ახალგაზრდა დათანხმდება?

არადა, კანონით ამ ციხეში საღამოს ათ საათზე უთუოდ უნდა დაიძინო. ნაშუაღამევს მოულოდნელი, უხეში ხელის კვრით გაღვიძება და დაკითხვაზე აყვანა - აქაური მეთოდების ერთი ელემენტთაგანია. ციხის უფროსი რუსი ოფიცერი იყო. რამდენჯერმე მკაცრი შენიშვნა მომცა, ერთხელ თავზე მთელი კომისიაც კი დამაყენა, მაგრამ რა დარწმუნდნენ, ვერ იძინებსო, ბოლოსდაბოლოს თავი დამანებეს.

სხვათა შორის, ასეთი ხანგრძლივი უძილობა შემდეგ შორეულ ჩრდილოეთშიც დამემართა. თეთრი ღამეები რომ დაიწყო და მზე აღარ ჩადიოდა, ძილი სულ გამიქრა. ვიწექი, თვალებგახელილი და ველოდი, „პადიომი" როდის გამოცხადდებოდა. ეს ორი თუ სამი თვე გაგრძელდა. წარმოიდგინეთ, არავითარი დაღლილობა არ მიგრძვნია. „პადიომზე" წამოვხტებოდი ხოლმე და პირის დასაბანად გავრბოდი.

კამერაში რომ შემაგდეს, საღამომდე ვიწრიალე. იმ დღეს პურიც კი არ მოუციათ. ერთი ხნის შემდეგ კაკუნი ავტეხე. პატარა რკინის ფანჯარა - „კორმუშკა" გაიღო და ზედამხედველმა შემოიხედა. შევჩივლე, პაპიროსი არა მაქვს-მეთქი. გაკვირვებული შემომაჩერდა.

- იქნებ, როგორმე... პაპიროსი და ასანთი...

ერთხანს ისევ ხმაჩავარდნილი მომჩერებოდა. ნამდვილად გიჟი ვეგონე. მერე ფანჯარა ჩაკეტა და წავიდა. იმ დღეს აღარც გავხსენებივარ.

ახლა შეღამებულზე სულ ახლოდან, თითქოს დერეფნიდან დიდი სატვირთო ატომანქანის დაქოქვის ხმები მომესმა. მერე დერეფანში სირბილი და ლაპარაკი ატყდა. ავტომანქანა არაფერ შუაში ყოფილა, ჩემს მოპირდაპირე კამერაში ვიღაც ინჟინერი, თურმე, პირსახოცით თავს იხრჩობდა. ჩამოწყდა და ის ხრიალ-ქშენაც იმას მოჰყვა. ზედამხედველებმა სადღაც წაათრიეს, მერე ისევ მოათრიეს - კამერაში შეაგდეს და კიდეც „გაეხუმრნენ", - ა, შენ, პირსახოცი, თავი კიდომ ჩამეიხრჩვეო... უკანასკნელი, რაც იმ კამერიდან გავიგონე, ინჟინრის უნუგეშო ტირილი იყო, - რა უნდათ,

რას მერჩიან, ნატახტარი ჩემი აშენებულია, ესაა მთელი ჩემი დანაშაულიო... აღარავის მისთვის აღარავითარი ყურადღება აღარ მიუქცევია.

ნაშუაღამევს კი ზედა სართულის ღია ფანჯრიდან მათრახის ტყლაშუნი და ვიღაც გოგონას შემზარავი წივილ-კივილი მოისმა. ეს კარგა ხანს გაგრძელდა. მერე სადღაც დერეფნის ბოლოში კამერის კარი ძგრიალით გაიღო და შიგ ვიღაც შეაგდეს. ალბათ, ის გოგონა იყო. კარგა ხმამაღალი ბრაგვანის ხმა მოვიდა. არადა, იმ კამერიდან ჩემამდე ბარე ოცი მეტრი მანძილი იქნებოდა.

იმ გოგონას ანტისაბჭოთა ლექსი დაუწერია და ამიტომ დაიჭირეს. მაშინვე ყველაფერი აღიარა. მაგრამ შორსმჭვრეტელ ჩეკისტებს ვინ მოატყუებდა? „ეგ ლექსი შენ რომელიღაც ანტისაბჭოთა ორგანიზაციამ დაგაწერინა და სანამ იმის წევრებს არ დაგვისახელებ, შენი საშველი არ იქნებაო“. მართლაც უსაშველოდ სცემდნენ და აწამებდნენ. რითი გათავდა ეს ყველაფერი, არ ვიცი. ეს კი იყო, რომ გოგონა ტირილით ემუდარებოდა, არავითარი ორგანიზაცია არ ვიცი, ლექსი მე თითონ დავწერე და რაც გინდათ, ის მიყავითო.

საერთოდ,ყოველ ნაბიჯზე „ფარული ორგანიზაციის ძიება“. მაშინდელ უშიშროების ორგანოებს პირდაპირ აჩემებული ჰქონდათ. ჩემთან თვრამეტი წლის იური ბოგომოლოვი იჯდა. ნიჭიერი და წიგნიერი ბიჭი იყო. თოთხმეტი წლისას ანტისაბჭოთა ლექსი ღაუწერია და საკუთარი ბიძისთვის - რუსთაველის თეატრის ორკესტრის მევიოლინესთვის წაუკითხავს. მევიოლინეს, ალბათ „სექსოტს“ მშობლიური ხელისუფლების ხელყოფა ვერ აუტანია და ლექსი უშიშროების ორგანოებისთვის მიურბენინებია. ბიჭი დაიჭირეს და მისდგნენ, თქვი, ეს ლექსი რომელი ანტისაბჭოთა ორგანიზაციის დავალებით დაწერეო. ცემითა და შიმშილით რომ ვერაფერს გახდნენ, „დახვრეტა“ მოუწყეს: სარდაფში ჩაიყვანეს, თვალები აუხვიეს და ტყვიები დაუშინეს, ოღონდ ისე რომ არ მოხვედროდა. ბიჭს ენა დაება და გული წაუვიდა. ბოლოს 10 წელი აკმარეს და № 49, თემქის კოლონიაში გაგზავნეს, სადაც შიმშილისგან დაილუპა.

ბეტონის კუბოში - №81 სარეჟიმო კამერაში დღეების სათვალავი მალე დამეკარგა. მგონი, ივლისის პირველი რიცხვები იყო, როცა საგამომძიებლო განყოფილების უფროსთან პოლკოვნიკ მანიასთან ამიყვანეს. მანია დაბალი, მსუქანი კაცი იყო. გრძელ მაგიდას კიდევ რამდენიმე დიდი ჩინი უჯდა. კუთხეში გამაჩერეს, როგორი საქმეა ნაპატიები, გამოწკეპილი, სუნამოკურებული პოლკოვნიკების საზოგადოებაში ნაცემი, დამშეული, თავგზადაკარგული ახალგაზრდის დგომა დღის სინათლეზე, თანაც ყველა ღილი აჭრილი მაქვს, შარვალი ხელით მიჭირავს... ფეხსაცმელი იმ ბეტონის კუბოში დამილპა და აღარც კი მახსოვს, მანიას კაბინეტში, მგონი, ფეხშიშველა ამიყვანეს.

პოლკოვნიკებს არაფერი გაკვირვებიათ. მანიამ კიდეც დამამშვიდა, - გარეთ კი ლაპარაკობენ, თითქოს ჩვენ აქ ხალხს ვაფუჭებდეთ, მაგრამ ეგ ტყუილია, ჩვენ ტყუილ-უბრალოდ არავის ვერჩით, შენი გამომძიებელი კი, აი, ეს იქნება, ყოფილი მასწავლებელია და იმედია, საერთო ენას გამონახავთო.

და „ოტომანკაზე" მორიდებით მჯდარ, თმაშეკერცხლილ, ციკილურად ჩაცმულ კაცზე მიმითითა, რომელიც მართლაც ქართული ენისა და ლიტერატურის პროვინციელ მასწავლებელს ჩამოჰგავდა.

იმ დღეს ჩიტაიამ თავის პატარა კაბინეტში რამდენიმე უმნიშვნელო შეკითხვა მომცა, ოქმი არც შეუდგენია და კამერაში ჩამაბრუნა.

ერთი ესეც ვიკითხოთ, რატომ არ შეიძლება, რომ პატიმრის ჭირისუფლებს შეატყობინონ, თქვენი შვილი (მამა, ძმა, ცოლი, რძალი და ა.შ. ა.შ.) ამა და ამ ბრალდებით დაპატიმრებულია, ძიება მიდის და შედეგებს შეგატყობინებთო? ყველა ნორმალურ ქვეყანაში ასეა და ასეც უნდა იყოს. ჩვენთან კი... ესეც ერთი ხერხია პატიმრის გასაწამებლად. კამერაში გონდაკარგული წრიალებ და ფიქრობ, ღმერთო, მაცოდინე, სახლში რა ამბავიაო... იქნებ, იქ ჯოჯოხეთი დაატრიალეს?

იმ დღიდან დაიწყო ჩემი ბრძოლა ამ „ყოფილ მასწავლებელთან",

რომელთანაც, მანიას აზრით, „საერთო ენის გამონახვა“ არ უნდა გამჭირვებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი უძილობისა და სასოწარკვეთის ერთი მიზეზთაგანი ისიც იყო, რომ მალანიასთვის პირველი „ჩვენების“ მიცემისას რამდენიმე ამხანაგის გვარი დავუსახელე. მათ შორის ერთი ქალიც კი იყო - ელენე თოფურიძე. რა გარანტია მქონდა, რომ იმავე „ჩვენების“ საფუძველზე ისინიც არ დააპატიმრეს და სხვა კამერებში არ ისხდნენ? ამის გაფიქრება გონებას მაკარგვინებდა. მხოლოდ სამი თვის შემდეგ, სასამართლოზე გავიგე, რომ არც ერთი მათგანი არ დაუჭერიათ. უფრო მეტიც. მერე, როცა სხვისი ჩვენებების საფუძველზე იმათ უშიშროების ორგანოებში იბარებდნენ, აშინებდნენ, დაჭერით ემუქრებოდნენ და საიდუმლო თანამშრომლობას - „სეკსოლობას“ თხოვდნენ, ხშირად კიდეც უბრძანებდნენ, იმათთვის ის ჩემი პირველი „ჩვენება“, მადლობა ღმერთს, ერთხელაც კი არ წარუდგენიათ, ალბათ, იმიტომ, რომ მშვენივრად უწყოდნენ, ფიქრადაც არ მომსვლია იმისი თქმა, რაც იმ ქალალდებზე ეწერა.

ყველაფერმა ამან ბევრ ჩემს კეთილმსურველს საბაბი მისცა, ალტაცებით ემტკიცებინა, აი, რა ვაჟკაცია, შინსახკომში ერთი სიტყვაც კი ვერ დააცდენინესო. მე ამის გაგონება, რა თქმა უნდა, დიდად არ მწყენია. მაგრამ ის კი საკითხავია, გავუძლებდი თუ არა ძვლების მტვრევას, თმების ბლუჯა-ბლუჯა გლეჯას, ფრჩხილებში ნემსების შერჭობას და სხვა ამგვარ მანიპულაციებს, რისი დიდი სპეციალისტებიც მაშინდელი ჩეკისტები ბრძანდებოდნენ. სხვათა შორის, ამ თემაზე - „გამოტეხეს, ვერ გამოტეხეს, გაუძლო, ვერ გაუძლო“, - ყველაზე ხშირად ისინი მსჯელობენ, ვისაც ჩეკას ჯურღმულებში არც კი ჩაუხედავთ. რომ ჩაეხედათ, ნაკლებს იმსჯელებდნენ.

XXX

ამ უკანასკნელ ხანს ძალიან ხშირად ვფიქრობ ხოლმე ქეთევან წამებულზე. ნურავინ დამწამებს ამ დიდი, დიადი მანდილოსნისადმი

უპატივცემულობას. იქნებ, სხვაზე უკეთ მე ვიცი, რა გადაიტანა და რას გაუძლო მან. მოკრძალებით თავს ვიხრი მისი ქედუხრელობის, სიამაყის, საკუთარი ღირსების გრძნობის, ქვეყნისა და რწმენის ერთგულების წინაშე. თავისი ზეადამიანური ტვირთი ამ დიადმა ქალმა ღირსეულად ზიდა და ისე აღესრულა, როგორც მის გამორჩეულ ბუნებას შეეფერებოდა. მის წინაშე ჩვენ ჯერ კიდევ გადაუხდელი ვალი გვაძევს - მთელს ქვეყნიერებას უნდა გავაგებინოთ, თუ ქართულ მიწაზე როგორი მეუღლე, დედა, ერის მფარველი და დამცველი გამოზრდილა.

მაგრამ ახლა ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ზოგი ქართველი და არაქართველი ისტორიკოსი, ჩვენი თანამედროვეც და დიდი ხნის წინ გარდასულიც, ყოველნაირად ცდილობს მკითხველის დაჯერებას იმაში, რისი დაჯერებაც სრულიად შეუძლებელია. სათვალავი აღარა აქვთ იმ გადახურებულ ლურსმნებსა და შანთებს, რომლებიც შაჰ-აბასის ჯალათებმა დედოფალს ნასათუთარ სხეულში ჩაურჭვეს. არადა, სრულიად საკმარისია, ცოცხალ ადამიანს სხეულში ორი, სამი, ან, დიდ-დიდი, ხუთი გახურებული ლურსმანი ჩაურჭონ, რომ იგი გონებას ჰკარგავს, პროსტრაციაში ვარდება და ამის შემდეგ აღარავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს თუ კიდევ რამდენი ლურსმანითა და შანთით გაუმასპინძლდებიან.

მარკ ტვენის მეტად სანდო მოწმობით, ჟანა დარკი პირველად აგიზგიზებულ კოცონთან დასაწვავად რომ მიიყვანეს, ორლეანელი ქალწული შეკრთა, ატირდა და თავის პატრიოტულ იდეალზე უარიც კი განაცხადა. ეს სრულიად გასაგები ქალური სისუსტეა. მაგრამ მასში ძალიან მალე გაიღვიძა სიამაყემ, საკუთარი ღირსების გრძნობამ, სამშობლოს სიყვარულმა, მას შერცხვა თავისი წამიერი სისუსტისა და მეორე დღეს უკვე უშიშრად შედგა ფეხი აბრიალებულ კოცონში. იმ წამიერ სისუსტეს ჟანა დარკის სახელი და დიდება ოდნავადაც კი არ დაუმცირებია. პირიქით, თუ გნებავთ, ამან მეტი მომხიბლაობაც კი მიანიჭა თექვსმეტი წლის ქალწულს.

ქეთევან დედოფალს, დამსწრეთა ერთსულოვანი მოწმობით,

არც ეს წამიერი სისუსტე გამოუჩენია, რაიც გასაკვირი სულაც არ არის. იგი ახლად წამოჩიტული ქალწული კი აღარ იყო, არამედ ბევრის მომსწრე, მცოდნე და გადამტანი მანდილოსანი. ამიტომაც „აჯობა“ მან ჟანა დარკს. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ მოვალენი ვართ, ყოველი ახალი სტატიის თუ წიგნის დაბეჭდვისას ამ ქალს კიდევ ახალ-ახალი გავარვარებული ლურსმნებით, შანთებით, მდულარე კუპრით და კიდევ ათასი უბედურებით გავუმასპინძლდეთ. წამებისგან გონდაკარგული, ადამიანის სიკვდილს ნაკლები ფასიც კი აქვს, ვიდრე საღ გონებაზე მყოფი ადამიანისას, როცა იგი ამაყად და ღირსეულად ადის სასიკვდილო ეშაფოტზე.

XXX

გამომძიებელ ჩიტაიასთან გამკვლავებისაკენ რამდენიმე გარემოებამ მიბიძგა; ჯერ ერთი, რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ არ დამხვრეტდნენ, თუმცა გაშვებითაც აღარავინ გამიშვებდა. მეორე - ყველა ისინი რომ დაეჭირათ, ვინც მე პირველ „ჩვენებაში“ ვახსენე, - მათ შორის ხომ ერთი ქალიც იყო, - ეს ჩემი თავის მოჭრა და სირცხვილი იქნებოდა; უკვე მეორე დაკითხვაზე, - რომელიც, რა თქმა უნდა, როგორც ყველა დანარჩენი, - შუალამისას ტარდებოდა, - მივხვდი, რომ ჩიტაიას ჩემი ცემა და ფიზიკური წამება რატომღაც აკრძალული ჰქონდა (თითქოს სარეჟიმო ბეტონის კუბოში, 60 გრადუსი სიცხისას მარტოდმარტო დღე და ღამ გაუთავებელი წრიალი, აუტანელი, პირდაპირ გონების დამაბნელებელი შიმშილი, - ზედამხედველები პურს ჩვენი ულუფიდანაც გვპარავდნენ, განსაკუთრებით აქტიურობდა ერთი შავულვაშა, მყვირალა ოსი, იმისი მოტანილი პური ერთ ლუკმადაც კი არ მყოფნიდა, - და მეზობელი კამერებიდან კვნესის, გმინვის, წივილ-კივილისა და ღრიალის მოსმენა წამება არ იყოს).

ეს „მოწყალება“ ვინ მოიღო, დღესაც არ ვიცი, მაგრამ ჩიტაიას

იმ სამი თვის განმავლობაში ჩემთვის თითიც კი არ დაუკარებია. თორემ ჩემი პასუხები, - ყველაფერზე უარს ვეუბნებოდი, - ხშირად ისე გააცოფებდა ხოლმე, რომ ხელები აუკანკალდებოდა, ფერდაკარგული თვალებს ბოროტად ატრიალებდა და, ნება რომ ჰქონოდა, მცემდა კი არა, ნაკუწ-ნაკუწად დამფლეთდა. მაგრამ ნება რატომღაც არ ჰქონდა და, იძულებული იყო, ოდნავ გასაგონად კბილებიდან გამოჭრილი რუსული დედის გინებით დაკმაყოფილებულიყო.

მაგრამ ერთი ესეც მკითხოს კაცმა, რამ აზრი ჰქონდა ჩემს ჯიუტობას, თუ დაკითხვის ბოლოს ოქმზე ხელს წაუკითხავად ვუწერდი, თუმცა-ღა კარგად ვხედავდი, რომ ჩიტაია ცდილობდა, ოქმი ისე გაეფორმებინა, როგორც მისთვის იყო ხელსაყრელი. მას კი სრულიად გარკვეული მიზანი ჰქონდა - დაემტკიცებინა, რომ ჩვენ ხიმშიაშვილისა და იმერლიშვილის ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრები ვიყავით.

ერთხელ ისე გავთამამდი, რომ პირდაპირ შევუტიე, კეთილი ინებეთ და დედას ნუ მაგინებთ, მე მაგას მიუჩვეველი ვარ-მეთქი.

ჩიტაიამ იტკიცა, როდის გაგინებო(?!)

- ყოველთვის.

ჩიტაია მთლად გადაირია. ალბათ, გინებაც აკრძალული ჰქონდა. წამოხტა და მუშტები პირდაპირ თვალწინ დამიტრიალა:

- კობიძე, შენ აქ ნამეტანს... ჩეკისტი ვარ,ჩეკისტი... მითხარი, რომ კონტრა ხარ, ვაჟკაცურად გამოტყდი, გაგიყვან და აი, ამ ხელებით დაგხვრეტ!

- არავითარი კონტრა მე არა ვარ.

- აბა, პატრიოტი ხარ, ხომ? ბელადმა რა გვითხრა. თქვენ რას გულისხმობთ?

- აი!..აი!.. აი, აგერ გამოჩნდა, რა შვილიც ბრძანდები! არ იცი, ბელადმა რა გვითხრა, ხომ? მე რომ გერმანელთან ვიბრძოლებ, თქვენ ზურგი გამომითხარეთო, ხომ?

- ბელადმა შალვა ნუცუბიძე...

- სუს!..კრინტი!.. რა უნდოდა ნუცუბიძეს თქვენისთანა

ყაზირლებთან?!..

- თუ ყაზირლები ვართ, რატომ დაგვაპატიმრეთ? ორმოცდაერთში სულაც ბავშვები ვიყავით...

- აბა, აბა!.. ბავშვები!.. მოიცა, მოგიყვან ჭკუაზე. თქვი, მამულაიშვილმა კიდევ რა გითხრა? სიმართლე ილაპარაკე?

- მე არაფერი.

- აბა, გაგიღოთ კარები და გაგიშვათ, ხომ? ავტომობილი ხომ არ მოგართვა.

— მამულაიშვილს ჩემთვის მეტი არაფერი უთქვამს.

- აბა, ეს რა არის? - კარადიდან რაღაც სქელი „საქმე" გამოიღო და წინ დამიგდო, - ეს სულ მამულაიშვილის ჩვენებებია.

მივხვდი, რომ მატყუებდა.

- თუ ჩვენებებია, წამაკითხეთ.

- არა! ეგ ნომერი არ გაგივა. შენ მითხარი. ყველაფერი შენ თითონვე მითხარი.

- სათქმელი არაფერი მაქვს.

- ჰმ!.. კარგი. მე შენ მოგიყვან ჭკუაზე!..

და ამდენი ძიძგილაობის შემდეგ ხელს ოქმზე წაუკითხავად მოვუწერდი ხოლმე.

საქმე ისევ კარადაში შეისროლა.

უკვე გითხარით, ისე ცოფდებოდა ხოლმე, რომ ფერს კარგავდა და ხელები უცახცახებდა. მარგამ თითი არ დაუკარებია. თუმცა, ასეთი „სულგრძელობა" ნებისყოფის დიდ დაძაბვად ულირდა. მათ მსახიობობაც შეეძლოთ. ისინი ადამიანს ცემით სიკვდილის პირად რომ მიიყვანდნენ, მეორე წუთში „შეიბრალებდნენ" და კიდეც დაუტკბებოდნენ.

- ბიჭო, რას მაკვლევინებ თავს, შენ გგონია, მე ეს მეხალისება? არ მირჩევნია, ახლა შინ ვიჯდე და ბავშვებს ვეთამაშებოდე? მაგრამ ვერაფერი შეგასმენინე და !.. თქვი ყველაფერი, ამოღერღე, მეც მოვისვენებ და შენც.

- ბატონო, სათქმელი არაფერი მაქვს...

- ეეჰ!.. ისევ თავისებურად დაიწყო!.. ისევ მეჭიდავები! რას

მეჭიდავები, შენი დედა, შენი მკვდარი, შენი ცოცხალი!..

და ყველაფერი ისევ თავიდან იწყებოდა. ისევ ატყდებოდა კრიალა კაბინეტში პატიმრის კვნესა, გმინვა და ღრიალი.

მაგრამ ჩიტაიას ერთხელაც არ შევბრალებივარ და ასეთი სცენა არ გაუთამაშებია. ამ კაცმა თავიდანვე შემიძულა. იქნებ, სწორედ იმიტომაც, რომ ვიღაცამ ჩვენი ცემა აუკრძალა.

მამულაიშვილის არც ცემა დაჭირვებიათ და არც „შებრალება". მან პირველივე დაკითხვებზე „ყველაფერი აღიარა", ყველაფერი კოტე ხიმშიაშვილისადმი - თავისი დეიდაშვილისადმი ღრმა სიყვარულით და პატივისცემით ახსნა, ისიც კი მოახერხა, რომ კაციჭამია პოლკოვნიკს მარქაროვს უთხრა, ნამდვილი ნაპოლეონი ბრძანდებითო; ჩემზე აჩვენა, ხიმშიაშვილის საქმისადმი „ცხოველ დაინტერესებას იჩენდაო" (?). სასამართლოზე მოახერხა და წამჩურჩულა, - მოდი, ესსაქმე შენს თავზე აიღე, ვითომ ეს ორგანიზაცია შენ ჩამოაყალიბე, მე კი ჩემს თავს როგორმე ვუშველი (?). რა თქმა უნდა ცივი უარი მიიღო.

შემდეგ მამულაიშვილმა, - ობოლს ხომ ყველაფერი ეპატიება, - სეკროტობა, ე.ი. მაბეზღრობისა და ჯაშუშობის უსაზიზღრესი ფორმა - „კრუხობაც" [1]) იკადრა, რამაც იგი ციხე-გადასახლებისგან ვერ იხსნა, მაგრამ შორეულ ჩრდილოეთში დიდხელფასიანი თანამდებობის შოვნაში კი დაეხმარა. ერთ ხანს იგი კომის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატიც კი იყო. საქართველოში საცხოვრებლად ჩამობრუნება მაინც ვერ გაბედა, - ხან ბინა არა მაქვსო (რეაბილიტირებულებს ბინებს ურიგოდ აძლევდნენ). ხან - დიდ ხელფასზე ცხოვრებას ვარ მიჩვეული და აქ ვერ ვიცხოვრებო, და სხვ. ერთხელ კი ეს თურმე მეც კი დამაბრალა, ხალხში სახელს მიტეხსო. მაგრამ უთხრეს, ეგ ხმასაც არ იღებს, შენი ჩვენებების საფუძველზე კი იმდენი ათრიეს და აწამეს, რომ

---

1 რომელიმე გაჯიუტებულ პატიმარს კამერაში მეორე პატიმარს ჩუსკამენ. ეს გაჯიუტებულს „დაუმეგობრდება", ყველაფერს დასტყვებს და ამ ყველაფერს გამომძიებელს მოახსენებს. „კრუხობა" (Наседка) - ამას ქვია. მამულაიშვილმა ამ ასპარეზზეც დიდი უნარი გამოიჩინა.

ვერც კი დაგვითვლიაო. მართლაც, დაპატიმრებამდეც, ძიებასასამართლოზეც და შემდეგაც იმდენი სისაძაგლე ჰქონდა ჩადენილი, რომ ზოგი ბავშვობიდანვე თანშეზრდილიც კი აღარ ესალმებოდა.

თბილისში ამ ორიოდე წლის წინათ იმიტომ ჩამოვიდა, რომ არსთგამრიგესთვის სული ჩაებარებინა. აქ ერთხელაც გამოჩნდა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭს. ამბობენ, დიდებული გასვენება ჰქონდაო.

ლეო ბოლქვაძეს კი არც საქართველოში ჩამობრუნებისა შერცხვენია, თუმცა მამულაიშვილზე ნაკლები მიზეზები არ ჰქონია საიმისოდ, რომ აქეთ არც კი გამოეხედა.

მკითხველმა თითონ განსაჯოს.

ბოლოსდაბოლოს, ჩიტაია იძულებული გახდა, ჩემთვის ბოლქვაძე დაეპირისპირებინა. უამისოდ იგი საქმის „შეკვრას" ველარ ახერხებდა. მის სიძულვილს ჩემდამი მეც სიძულვილით ვუპასუხე და ჩემი „ჩვენება" თითქმის „ნოლამდე" დავიყვანე. თუ ამას ვინმე დიდ ვაჟკაცობად ჩამითვლის, „იყავნ ნება მისი", მაგრამ მე ხომ გითხარით, ვიცოდი, რომ ჩიტაიას ჩემი ცემისა და ფიზიკური წამების ნებართვა არ ჰქონდა, დახვრეტაზე კი არც ვფიქრობდიმეთქი.ის დაკითხვა, როცა ჩიტაიამ ბოლქვაძე დამიპირისპირა, საინტერესო იყო სხვა თვალსაზრისითაც.

კაბინეტში კიდეე ერთი ჩეკისტიც იჯდა. შემდეგ, უკვე კოლონიაში გავიგე, რომ ეს პროკურორი ლომინაძე ყოფილა. პროკურორის მოვალეობანი ცნობილია — მან კანონის ზუსტ შესრულებაზე უნდა იზრუნოს. ლომინაძეს ეჭვი შეუტანია ბოლქვაძის ჩვენებების სიმართლეში და მათი შემოწმება მოუნდომებია. ამ დაკითხვის დროს მან ერთხელ თითქოს ჩემი გამხნევებაც კი სცადა, - პაპიროსი მომაწოდა... მაგრამ შემიძლია, სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ლომინაძეს ჩიტაიასი და , ალბათ, საერთოდ, გამომძიებლებისა და ოპერატიული მუშაკებისა ისევე ეშინოდა, როგორც კურდღელს არწივის ეშინია.იმ ხანებში პროკურორის უფლება-მოვალეობანი პირდაპირ მიწასთან იყო გასწორებული... რატომ ვერ შესძლო ლომინაძემ, მაგალითად, ხმა ამოეღო და

ბოლქვაძისთვის მის, რბილად რომ ვთქვათ, უაზრო, პროვოკაციულ ჩვენებებზე მიეთითებინა? აბა, რაღაის პროკურორი იყო? პროკურორის მოვალეობა ხომ პატიმრის უთუოდ დადანაშაულება კი არა, სიმართლის, ჭუშმარიტების დადგენაა.

ბოლქვაძე კი...

საერთოდ, კეთილი კაცი ვარ. ადამიანებს ბოლოსდაბოლოს ყველაფერს ვაპატიებ ხოლმე. მაგრამ იმისი დავიწყება და პატიება, რაც იმ დღეს ჩიტაიას კაბინეტში მოხდა, არაფრით შემიძლია.

ბოლქვაძე ჩიტაიას კაბინეტში თავს ძალიან თავისუფლად, შინაურულად კი გრძნობდა, თითქოს ჩეკას გამომძიებელთან კი არა, ბავშვობიდანვე თანაშეზრდილ ამხანაგთან ყოფილიყოს. ეს იყო არა გუშინდელი დეზერტირი, თბილისის ქუჩებში გავლის რომ ეშინოდა და ყოველი მილიციელის დანახვაზე ფერი მისდიოდა, არამედ დიადი საბჭოეთის დროებით გზააბნეული შვილი, რომელმაც, მართალია, დაუშვა ორიოდე უმნიშვნელო ხასიათის შეცდომა დედა-სამშობლოს წინაშე, მაგრამ ახლა, საბოლოოდ „გაბოლშევიკებული", გულწრფელად, მთელი თავისი არსებით ინანიებს თავის დანაშაულს და სრული იმედი აქვს, რომ დედა-სამშობლო - პოლკოვნიკი ჩიტაიას სახით, - მას გაუგებს და, დანაშაულის სრული პატიება თუ მაინც არ მოხერხდა, სასჯელს მაინც საგრძნობლად შეუმსუბუქებს, რათა შემდეგ, მალე გათავისუფლებულმა ლეომ, - ჩიტაია მას სწორედ ასე, მეგობრულად მიმართავდა ხოლმე - ლეო, - მთელი თავისი ნიჭი და ენერგია სოციალისტური სამშობლოს აყვავებას შეალიოს.

ჩიტაიას სავსებით აწყობდა ხელს ბოლქვაძის „გაბოლშევიკება" - პროლეტარიატის ავანგარდული პარტიის ახლადმოვლენილი, ოღონდ ჯერჯერობით პატიმრობაში მყოფი წევრი თხზავდა და „აჩვენებდა" მხოლოდდამხოლოდ იმას, რაც პოდპოლკოვნიკს საქმის „დასამრგვალებლად" ჭირდებოდა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ჩიტაიამ ერთხელ ბოლქვაძეს პაპიროსი საკუთარი კოლოფიდან უთავაზა. ბოლქვაძემ ღიმილით მადლობა მოახსენა, გააბოლა და კედელს ნებიერად მიაწვა.

მე კი ბოლქვაძის დანახვაზე შიში გამიათკეცდა, - დედაჩემი არ ახსენოს - მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკითხვის მსვლელობის კვალობაზე პირდაპირ პანიკურმა შიშმა შემიპყრო, - ბოლქვაძემ დედაჩემიც არ ახსენოს, დეზერტირობის კვალის დაფარვაში მეხმარებოდაო და ის ხნიერი ქალიც არ დააჭერინოს-მეთქი. ბოლქვაძისგან - სრული გულწრფელობის პოზიციაზე მდგარი „ბოლშევიკისგან" უკვე ყველაფერი იყო მოსალოდნელი. მე ხომ არ ვიცოდი, რომ 7 ივლისს დეზერტირებს ამნისტია შეუფარდეს და გაათავისუფლეს.

საკვირველი ამნისტია კი იყო — დანაშაული აპატიეს სწორედ ბოლქვაძისთანა დეზერტირებს, ფრონტიდან რომ გამოიქცნენ და წლების მანძილზე უსაქმოდ დაეხეტებოდნენ, ისინი კი, ვინც რალაც საბუთებით ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობდა და ფრონტს ეხმარებოდა, ციხე-ლაგერებშივე დატოვეს.

დაკითხვის დაწყებისას ჩიტაიამ პროცესუალური ნორმით გათვალისწინებული კითხვა დაგვისვა:

- იცნობთ ერთმანეთს?

- დიახ.

- რა თქმა უნდა!..

- როგორი ურთიერთობა გაქვთ ერთმანეთთან?

- ნორმალური. - დაუდასტურა ბოლქვაძემ, - მე მგონია, მეგობრულიც.

ჩიტაია მე მომიბრუნდა:

- თქვენ რას იტყვით?

კინალამ მივახალე, დაჭერამდე ცოტა ხნით ადრე დამემუქრა, მე თუ დამიჭირეს, თქვენც ყველას, ვინც ხელს მაფარებთ, დაგაჭერინებთო. მაგრამ... სწორედ ის-ღა მაკლდა, დედაჩემიც დაეჭირათ.

ჩიტაიას აწყობდა ბოლქვაძის ვარიანტი, ფრონტზე დავიჭერი და თბილისში იმიტომ ჩამოვბრუნდიო. ოქმშიც ასე შეიტანა, იბრძოდა, დაიჭრა და ჩამოიყვანეს, ლაზარეთში უნდა დაეწვინათო. ბოლქვაძე რომ დაჭრილი კი არა, სულ უმნიშვნელოდ გაკაწრული

იყო და მის მკურნალობას უბრალო ექთანიც კი არ ჭირდებოდა, ამ გარემოებას მხოლოდ ტრიბუნალის თავმჯდომარემ სობოლევმა მიაქცია ყურადღება.

ჩიტაია კი თავისას მიერეკებოდა:

- მერე? მერე რა იყო?

- მერე ოპერაში, მეორე სართულზე, შესვენების დროს პაპიროსს ვეწეოდით და კობიძემ მითხრა, ფრონტზე აღარავინ ბრუნდება და ნულარც შენ წახვალო.

- მართალია? - მეკითხება ჩიტაია.

- დიახ...

ბოლქვაძის „ჭრილობით" რატომღაც არც პროკურორი დაინტერესებულა.

და ასე შემდეგ.

ბოლქვაძის არცერთ „ობიექტურ, გულახდილ ჩვენებაზე" უარი არ მითქვამს. მხოლოდ ერთხელ გავჯიუტდი, როცა ბოლქვაძემ ბრძანა, ერთხელ კობიძე დილით შემხვდა, ძალიან დაღლილი სახე ჰქონდა და ტანისამოსიც ტალახით ჰქონდა შესვრილი; პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ მიმახვედრა, წუხელ ანტისაბჭოთა ორგანიზაციის დავალებით ერთი სერიოზული საქმე გავაკეთეო.

-არა! ეგ ტყუილია! არ ვიცი, ბოლქვაძეს რა მოეჩვენა და რას „მიხვდა", მაგრამ არავითარი ორგანიზაციის დავალებით არასოდეს არც სერიოზული და არც არასერიოზული საქმე არ გამიკეთებია.

-გაიხსენე, ნუკრი! - მეგობრულად მირჩევს ბოლქვაძე, - იქნებ გაიხსენო: მელიქიშვილზე შევხვდით. შენ ძალიან დაღლილი სახე გქონდა... მე გკითხე, რა მოგივიდა-მეთქი. შენ ხელი ჩაიქნიე... მე...

- გასახსენებელი არაფერი მაქვს.

- აბა, ტყუილს ამბობს? - ერევა ჩიტაია, - ცილს გწამებს? აკი მეგობრები ვართო?

ჩიტაიას მრავალმნიშვნელოვანი მზერა პროკურორზე გადააქვს, - ხედავ, საქმე როგორ გველის წი)წილთან მაქვსო.

- არავითარი ორგანიზაციის დავალებით არავითარი დავალება არასოდეს შემისრულებია, კომკავშირის გარდა.

- რად გინდოდა... - დაიჩხავლა უეცრად ჩიტაიამ და წამოვარდა, I-კომკავშირის მანდატი ჯიბეში რად გინდოდა?! ორ სკამზე ჯდომას აპირებდი? ვერ მოგართვეს! ორ სკამზე, ხომ? დიახ!.. განაგრძე ბოლქვაძე!

-ნუკრი, აქ ჯიუტობას რაღა აზრი აქვს? - უკვირს ბოლქვაძეს.

- კაცო, შენ ნამდვილად იცი, რომ მე რაღაც ორგანიზაციის დავალებით სადღაც რაღაცა გავაკეთე?

- მე ეგ არ მითქვამს. მე ვთქვი, ასე მომეჩვენა-მეთქი.

-ჩაწერეთ, ბატონო, რომ ბოლქვაძეს ასე მოეჩვენა და ხელს მოგიწერთ. მე ხელს ისედაც ყველაფერზე გიწერთ.

- რაო?!.. - ჩიტაია ისევ გაცოფდა, - როგორ თუ - ყველაფერზე?! გესმის, კაცო?! შენ მე ხელს საკუთარ ჩვენებებზე მიწერ, მხოლოდ! დიახ!.. მხოლოდ!

ვინ იყო ქრისტიანი, რომ ჩიტაიასთვის ჩემი ცემის უფლება მიეცა! რას შემდგებოდა წიხლებით!.. რა გულს მოიოხებდა!..

ლომინაძე კი სდუმდა.

- შეიძლება, ვლაყბობდით, - ეცდილობ სიტუაციის შერბილებას, - მაგრამ საქმე არაფერი გამიკეთებია.

- არადა, მოლაყბე არასოდეს ვყოფილვარ.

- შენ რას იტყვი? - შინაურული კილოთი ეკითხება ჩიტაია ბოლქვაძეს.

ბოლქვაძე ასევე შინაურულად მხრებს იჩეჩავს და იღიმება, აქაოდა, ხომ ხედავთ, როგორ იქცევაო.

კინალამ დამავიწყდა: იმ ჩემს ბეტონის კუბოში დღედაღამ წრიალისას არ იქნა და ჩემში ცნობისმოყვარეობის გრძნობაც ვერ დავძლიე, თავს სრულიად უდანაშაულოდ ვგრძნობდი. ადამიანი რომ დასაჯო, მას დანაშაული უკვე ჩადენილი უნდა ჰქონდეს, ან უნდა აპირებდეს მაინც. მე არც ჩამიდენია და არც ვაპირებდი. მაშ, რას მიზამენ? ჩემი ჭკუით, ჩვენი გადამკიდე უშიშროების ორგანოები მეტად უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩდნენ. ხალხი დაპატიმრებული ჰყავთ, ძიება მიდის, ოქმები იწერება, დამტკიცებით კი არაფერი მტკიცდება. ახლა ამ ხალხს რა უნდა უყონ? ალბათ,

გაგვიშვებენ.

მერე გავიგე: ჩიტაია გამოლმა გვედავებოდა, რომ გალმა შერჩენოდა. მას სრულიადაც არ ჭირდებოდა, რომ ჩვენ რაღაც საქმე გვქონდა გაკეთებული, - პროკლამაციის ბეჭდვა და გავრცელება, არალეგალური სტამბის მოწყობა, იარაღის შეძენა და სხვა ამგვარები. სრულიად საკმარისი იყო, რომ მამულაიშვილმა მე იმერლიშვილის და ხიმშიაშვილის ორგანიზაციაში ჩამაბა, მე კი ჩემის მხრივ იმავე ორგანიზაციაში ბოლქვაძე, მარგველაშვილი და ცინცაძე ჩავაბი. რუსულად ამ ქმედებას საშინელი სახელი „вербовка" ჰქვია და მისი ჩამდენნი სასტიკად ისჯებოდნენ. მე კი ეს სრულიადაც არ მანაღვლებდა, ბოლქვაძის „ჩვენებები" გულგრილად მოვისმინე და, სავსებით კმაყოფილმა იმითი, რომ ბოლქვაძემ დედაჩემი არ დაასახელა და ეს დროული ქალი არ დააპატიმრებინა, ოქმს ხელი ისევე წაუკითხავად მოვაწერე. ლომინაძე უხმოდ ადგა და გავიდა.

ამის შემდეგ ჩიტაიამ მხოლოდ ერთხელ გამომიძახა. რა თქმა უნდა ნაშუალამევს. საკმაოდ გულთბილად მომესალმა. რატომღაც შესამჩნევად ღელავდა. ვერ მიეხვდი, რა ხდებოდა. რაღაც ქაღალდებს ფურცლავდა, აშრიალებდა, აქეთ-იქეთ აწყობდა. თურმე, ეს ჩემი „თანამოსაქმეების" დაკითხვის ოქმები იყო, რომლებიც წესით მე პირადად უნდა წამეკითხა. მაგრამ - არა, რაღაც ნაწყვეტებს თითონვე მიკითხავდა, თან კომენტარებს უკეთებდა:

- გიქეიფიათ, ა?.. კი, გიქეიფიათ... ეს არაფერი...

- სად გვიქეიფია?..

- სადღაც... არა, ეს არაფერია... ახალგაზრდები იქეიფებდით, აბა, რა იქნებოდა... ჰო... ბოლქვაძე დედაშენზე ამბობს, კეთილი ქალიაო. ომის დამთავრებაზე ოცნებობსო... მამამისს ნაკლებად ვიცნობდიო... ა? ერთი სიტყვით ვნახოთ... ისე საქმე უნდა დამთავრდეს... ა? არ გეყოფა? კი, კი გეყოფა... ა?..

რაღაც ქაღალდები წინ დამიწყო, მოაწერე, ცარიელი ფორმალობაა. რა თქმა უნდა, წაუკითხავად მოვაწერე. ეს იყო კიდევ ერთი დიდი სისულელეთაგანი, რაც კი ჩემს ცხოვრებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამიკეთებია...

ხშირად მიფიქრია, ნეტავი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს ჩვენი „თვალთვალი, დაპატიმრება, გამომძღავნება და გასამართლება რამდენ ენერგიად და ფულად დაუჯდათ? ჩეკისტების ენერგია - ჯანდაბას, მაგრამ ფული საბჭოთა სახელმწიფოს ხომ არასოდეს თავზე საყრელი არა ჰქონია.

სასამართლოზე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ჩემდა ჭირად თუ გასახარად, ალეკო მარგველაშვილს უამრავი ორცხობილა და თუშური ყველი ჰქონდა მოტანილი. მე ამას მოვულხინე. ბოლქვაძეს ერთხელ მივაძახე, მილიონჯერ გითხარი, დეზერტირობა სირცხვილია-მეთქი. მართალიაო, მიპასუხა, მაგრამ მე თითონაც მუდამ მაგ აზრისა ვიყავიო (?!). როცა ბოლქვაძეს ტრიბუნალის თავმჯდომარემ პოდპოლკოვნიკმა სობოლევმა უთხრა, ჭრილობა მაჩვენეო და ამან „ჭრილობა" აჩვენა, ყველას ხარხარი აგვიტყდა.

მამულაიშვილმა მოახერხა და შესვენებისას ჩამჩურჩულა, მოდი, ეს საქმე შენს თავზე აიღე, ვითომ ორგანიზატორი შენ იყავიო.

- შენ?

- მე როგორმე თავს დავიძვრენ.

- ბებიაშენისამ!..

როცა ჩემი დაკითხვის ჯერი დადგა, ავდექი, სობოლევს მოკლედ მივახალე, ეგ ყველაფერი ტყუილია-მეთქი, და ისევ დავჯექი. პური და ყველი მარგველაშვილს მართლაც ბლომად ჰქონდა წამოღებული.

განაჩენი მეორე დღეს გამოგვიცხადეს: მამულაიშვილს - 10 წელიწადი, მე და ბოლქვაძეს - 8-8, მარგველაშვილს - 7,ცინცაძეს კი - 5. აქვე უნდა ვთქვა, რომ მარგველაშვილსაც და ცინცაძესაც როგორც ძიების დროს, ისე სასამართლოზე თავი ღირსეულად ეჭირათ და დღემდე არ ვიცი, მათ საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მაინც რა დანაშაული მიუძღოდათ. ბოლქვაძე კი განაჩენით აშკარად უკმაყოფილო დარჩა. ალბათ, თავისი „გაბოლშევიკებისა" და „სრული გულახდილობისათვის" გათავისუფლების თუ არა,

მაქსიმუმ პირობითი სასჯელის იმედი მაინც ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეთერთმეტე

რა შეიძლება ეწოდოს ყოველივე ამას? აკი თითონ ჩიტაიაც აღშფოთებით მეკითხებოდა, თუ მეტი არაფერი გაგიკეთებიათ, აბა, უნდა გაგიღოთ კარები და გაგიშვათო.

მართლაც საინტერესოა: ოთხი წლის წინ, როცა17, წლისა ვიყავი, ვილაცამ სრულიად ნორმალური საქმე შემომთავაზა. მართლაც, რატომ უნდა გადაეწვათ თბილისი ჩარკვიანებს და ბაქრაძეებს, მაგრამ არც მე და არც დანარჩენებს ხომ ამ საქმებში არავითარი მონაწილეობა არ მიგვიღია. ამ საქმის გაკეთება ზედმეტიც შეიქნა - საქართველოში გერმანელები არ შემოსულან. ეგ საქმე აღარავის გაგვხსენებია. ვთქვათ, ეს „ლეგენდა" იყო და მის უკან საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტრები იმალებოდნენ, მთავრობას შეიარაღებულ აჯანყებას უწყობდნენ და ა.შ. და ა.შ. მაგრამ განა გამოძიებამ ეს დაადგინა? განა დამტკიცდა, რომ მამულაიშვილმაც და დანარჩენებმაც იმ ანტისაბჭოთა ორგანიზაციის მიზნები ეიცოდით და თანავუგრძნობდით? არა. გამოძიებამ მხოლოდ ის დაადგინა, რომ მამულაიშვილი და ხიმშიაშვილი დეიდაშვილები იყვნენ. მეტი არაფერი. რაღა იყო იმის მიზეზი, რომ იმდენ ხანს გვითვალთვალებდნენ, დაგვდევდნენ, გვსწავლობდნენ, უამრავ ფულსა და ენერგიას ხარჯავდნენ, მერე კი დაგვიჭირეს (გივი ცინცაძის ჩამოსაყვანად ჩეხოსლოვაკიაში თვითმფრინავით საგანგებო ოპერატიული მუშაკი გაგზავნეს, ალეკო მარგველაშვილი კი ქობულეთიდან ჩამოიტყუეს, სადაც იგი ფიზკულტურელთა საკავშირო პარადისთვის ემზადებოდა, დიდების სადგურზე ოთხი შეიარაღებული ჩეკისტი დაახვედრეს და „აიყვანეს") და ყოველნაირად ცდილობდნენ, რაღაცდაემტკიცებინათ და მიესაჯათ? გამომძიებელი ჩიტაიას მონდომება, თავისი მაღალი პროფესიული ღირსებები ერთხელაც გამოემჟღავნებინა და

სამსახურის კიბეზე კიდევ ერთი საფეხურით ამაღლებულიყო?

ახლა - მეორე მიზეზის შესახებ, რომელმაც უშიშროების ორგანოები აიძულა, გავესამართლებინეთ და საკმაოდ მკაცრად კი დავესაჯეთ (თუმცა შეიარაღებული აჯანყების მუხლით - მაშინდელი კოდექსის 58^2- ბრალდებისას 10, 8, 7 და 5 წელი მკაცრი სასჯელი სულაც არ არის. არადა, ჩვენ კიდევ ორი მუხლიც გვქონდა - 5810 - ანტისაბჭოთა აგიტაცია და 58^{11} - ორგანიზებული მზადება ამ დანაშაულთა ჩასადენად.

უნდა მოვიხსენიო კიდევ ერთი დეტალიც. სისხლის სამართლის მაშინდელ კოდექსში იყო ასეთი მუხლი - № 17, რომელიც თანამონაწილეობას გულისხმობდა, ე.ი. ვიღაც სხვამ რაღაც დანაშაული ჩაიდინა და თქვენ მას მიეშველეთ, ე.ი. თანამონაწილედ გაუხდით. იყო კიდევ მეორე პუნქტიც - № 19, რაც მცდელობას ნიშნავდა, - ე.ი. თქვენ შეეცადეთ რაღაც დანაშაულის ჩადენას, მაგრამ მხოლოდ შეეცადეთ, დანაშაული არ ჩაგიდენიათ.

ორივე ეს პუნქტი საგრძნობლად ამსუბუქებდა პატიმრის მდგომარეობას, გულისხმობდა შედარებით მსუბუქ სასჯელს. ჩვენ არც მე-17 მუხლი მოგვიყენეს და არც მე-19. პირდაპირ - 58^2, 58^{10}, 58^{11}. მისჯილები შინაგანი ციხიდან „გამანაწილებელში" რომ გადაგვიყვანეს, ამ ციხის უფროსი ვინმე თოფურია და მისი მოადგილე ხულორდავა დაფეთებულები მოვარდნენ ჭიშკართან:

- თქვენ რაზე ზიხართ?

რა გვეპასუხა? ბოლოს ისევ მე წავილაპარაკე:

- ლაყბობაზე...

- რის ლაყბობა!.. - დაგვიყვირა თოფურიამ, - თქვენ 58^2 გაქვთ

ერთმანეთს გაკვირვებულებმა გადავხედეთ - რა ეშმაკი იყო ეს 58^2, არც ერთმა არ ვიცოდით.

- როდის მოასწარით, ბიჭო?!.. - გულწრფელად გაიკვირვა ხულორდავამ. იგი საერთოდ კეთილი იყო. თავისებურად პატიოსანიც. დახეული ფეხსაცმლით დადიოდა და თოფურიას ბრძანებით ციხის სახელოსნოში ჩექმები შეუკერეს.

- რაღა ერთი წყვილი შეაკერინე, - უთხრა თოფურიამ, - შენ

მაგას ერთ კვირაში გაცვეთ! ორი, სამი წყვილი შეგეკერინებინა!

- მე ორი და - სხვას არც ერთი? არა! არ მინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეს პატიოსანი მეციხოვნეც გულდამშვიდებით უყურებდა, თუ როგორ ძიძაილაობდნენ და ჩხუბობდნენ ერთმანეთში მკბენარებდასეული პატიმრები ერთი ჯამი „ბალანდის" გულისათვის, რომელშიც ცოცხალი მატლები ფუთფუთებდნენ! იმ წყალწყალა, კომბოსტოს შავფოთლებიანი „ბალანდის" მაგრად მოხარშვა მაინც არ შეიძლებოდა, რომ ის მატლები ამომწყდარიყვნენ მაინც. ისეთი რა ჯიშის მატლები იყო, რომ 100^0 ტემპერატურას გაუძლებდნენ.

ასეთი ბალანდით „ჰკვებავდნენ" პატიმრებს არა მარტო ციხეში, არამედ საქართველოს კოლონიებშიც, სადაც პატიმრები უკანასკნელ ძალ-ღონეს საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიულ სიამაყეთა - რუსთავის მეტალურგიულის, ქუთაისის საავტომობილოს, თემქ-ის და სხვა და სხვათა მშენებლობას ალევდნენ.

მაშ, ასე: 58^2 (ესე იგი, ჩვენ 1941 წელს საქართველოში მოგვიწყვია შეიარაღებული აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ; 58^{10} - ჩაგვიტარებია ანტისაბჭოთა აგიტაცია; და - 58^{11} - გაგვიწევია ორგანიზებული მუშაობა ამ დანაშაულთა ჩასადენად.

კოლონიებსა და ლაგერებში ყველას უკვირდა, ამ მუხლებით ასე პატარა სასჯელები როგორ გაკმარესო. მცოდნენი და საქმეში ჩახედულნი კი ხელს იქნევდნენ, ალბათ, ვერაფერი მოასწარით, თორემ დახვრეტას ვერ გადარჩებითო. ერთმა ყოფილმა ჩეკისტმა, გვარად დუმბაძემ, რომელიც ანტისაბჭოთა აგიტაციისათვის იჯდა და რომელმაც გამიმხილა, - ჩეკისტებს რას ერჩით, ძამა, 37-ში საკონტროლო ციფრები მოგვდიოდა, ყოველ 1000 მოსახლეზე ამდენი და ამდენი სული უნდა დაგვეჭირა, თანაც - ამდენი კაცი და ამდენი - ქალიო: რაფავამ ეს ქაღალდი რომ მიიღო, მთელი დღე გულშემოყრილი იჯდა, მერე ქე განახორციელა, აბა, რომ არ განეხორციელებინა, თითონ იმას დახვრეტდნენო; ჰოდა, თქვენ ეგრეთწოდებული ანალოგიის წესით ხართ გასამართლებულიო. მაგ თქვენს საქმეზე უკვე ვინმე დაჭერილი იყო?

- კი. 41-ში. დახვრიტეს.

- ჰოო...

- კი, მაგრამ საქართველოში შეიარაღებული აჯანყება რომ არ ყოფილა?

- მაი აღარ ვიცი. მაი შენს გამომძიებელს მოჰკითხე.

- გავასაჩივრო?

- შენი ნებაა. მაგას ვინ დაგიშლის? მაგრამ აგი იცოდე ჩემგან: რაც მეტს გაასაჩივრებ, უფრო მეტს იჯდომები, მე ვერ მიყურებ? ჩემი ახალგაზრდობა საბჭოთა ხელისუფლების გამაგრებას შევალიე. ჰოდა, ა!.. - თავისი დაგლეჯილი ტელეგრეიკა შეაფრიალა. ფეხსაცმელში კი თითები მოუჩანდა.

ჩვენს მაქმეში თვით უმკაცრესი, მაგრამ ამავე დროს სამართლიანი მოსამართლე მხოლოდ მიტო მამულაიშვილს დასჯიდა - „განუცხადებლობის" - 58[12] მუხლით, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ძიების დროს დამტკიცდებოდა, რომ კოტე ხიმშიაშვილმა მას გაუმხილა, შეიარაღებული აჯანყების მოწყობას ვაპირებო და არ გამასპინძლებია იმავე ლათაიებით სტალინისა და შალვა ნუცუბიძის შესახებ, რომლებითაც მამულაიშვილი მე გამიმასპინძლდა. დანარჩენები, ჩემის აზრით, უდანაშაულონი ვიყავით (ბოლქვაძის - დეზერტირს - ამნისტია შეეხო). მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენი სახელოვანი უშიშროების ორგანოები აშკარად უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდნენ: მთავარი, ნამდვილი ორგანიზაცია 1941 წელში გაანადგურეს, ოთხი წლის შემდეგ კი იჭერენ ადამიანს, რატომ ოთხი წლის წინათ იმ ორგანიზაციის არსებობა არ შეგვატყობინეო. თანაც დაჭერილი მარტო მამულაიშვილი კი არა ჰყავთ, არამედ კიდევ ოთხი კაციც. ჰოდა, ეს ვარიანტი უშიშროების ორგანოების პრესტიჟისათვის სახარბიელო სულაც არ იყო.

ეს ორგანოები კი საკუთარ პრესტიჟს რომ საგანგებოდ, პირდაპირ თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ, სწორედ იმიტომ, რომ ნამდვილი ავტორიტეტი და პრესტიჟი მათ არასოდეს ჰქონიათ, ხოლო ხელოვნურ მცენარეს, ისევე, როგორც ხელოვნურად დაბადებულ ბავშვს, განსაკუთრებული მოვლა და ისეთი

საშუალებები სჭირდება, რომლებიც სრულიად ზედმეტია ბუნებრივად გაზრდილი მცენარისა და ბუნების კანონების შესაბამისად გაჩენილი ბავშვისათვის.

იმიერ-პოლარეთის ქალაქ ინტაში, ეგრეთწოდებულ „მინლაგში" ჩემთან ერთად ასეთი პიროვნება - ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე იურკოვსკი იჯდა, - ძველი ყაიდის რუსი ინტელიგენტი. იგი საფრანგეთში ჯერ კიდევ რომანოვების დროს, პირველ მსოფლიო ომამდე წასულა და არასოდეს საბჭოთა კავშირის მოქალაქე არ ყოფილა. არასოდეს არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია პოლიტიკასთანაც. საფრანგეთში მიულია საინჟინრო განათლება, გამხდარა საფრანგეთის მოქალაქე, დაოჯახებულა, ჰყოლია ოთხი ქალიშვილი, გამხდარა სიტროინის საავტომობილო ქარხნების კომერციული დირექტორი. იყო ბუნებით ხალისიანი, გონებამახვილი, კეთილი, ფართო ბუნების ადამიანი. სახლი სავსე ჰქონია მეგობრებით, მიმსვლელ-მომსვლელით, რითაც, თურმე, ძალიან აკვირვებდა ერთობ ხელმოჭერილ და ანგარიშიან ფრანგებს. ცხოვრობდა ასე და იყო ბედნიერი.

ერთ დღეს ქუჩაში მოსეირნეს ხელი სტაცეს პარიზში მოკალათებულმა გადაცმულმა ჩეკისტებმა, შეაგდეს ავტომობილში, გააქროლეს ბერლინისკენ, იქიდან კი - თვითმფრინავით - პირდაპირ მოსკოვში, ლუბიანკაზე. აქ გამოირკვა, რომ პარიზელი საბჭოთა აგენტები შემცდარან - ისინი სხვა კაცს, ამ ომის დროს გაქცეულ ვილაც პოლკოვნიკს ეძებდნენ, იურკოვსკი იმ პოლკოვნიკისათვის მიუმსგავსებიათ და - ყოველმხვრივ ბედნიერი კაცი თვალის დახამხამებაში მთელ მსოფლიოში უუბედურეს ადამიანად იქცა. უშიშროების ორგანოებს ფიქრადაც კი არ მოსვლიათ ამ კაცის წინაშე ბოდიშის მოხდა და საფრანგეთში გაშვება. არა, ბატონო, ჩვენი მღვდელი ეგრე არ სწირავს. დაგიჭირეთ? ესე იგი, დამნაშავე ხარ. უდანაშაულოებს საბჭოთა უშიშროების ორგანოები არ იჭერენ.იურკოვსკის ვერაფერი დააბრალეს და კოდექსის არავითარი მუხლი მისთვის არ მიუყენებიათ, აიღეს და ისევე, ყოველგვარი გამოძიების, სასამართლოს და მისჯის გარეშე თავი იმიერ-

პოლპარეთის „მინლაგში“ უკრეს. რატომ? არავინ იცის. რამდენი ხნით? ესეც არავინ იცის.ამას დიდი საერთაშორისო სკანდალი მოჰ ყვა. პარიზში როგორღაც გაიგეს, სად იმყოფებოდა საფრანგეთის პატიოსანი მოქალაქე. ფეხზე დადგა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, მოსკოვის საელჩო, საერთაშორისო წითელი ჯვარი... იურკოვსკის დღეში ხუთი, ექვსი, ზოგჯერ ათი ამანათი მოსდიოდა. იგი ყველაზე მდიდარი პატიმარი იყო მთელს „მინლაგში“ და ბუნებით გულუხვი და დარდიმანდი, ყველაფერს მარჯვნივ და მარცხნივ არიგებდა. საფრანგეთის საელჩო კი შეუსვენებლივ ბომბავდა უმაღლეს საბჭოთა ინსტანციებს - კეთილი ინებეთ და ჩვენი უდანაშაულო მოქალაქე დაგვიბრუნეთო.

თქვენს არ მომიკვდეთ!..

იურკოვსკის ყოველდღე იბარებენ ლაგერის ოპერ-რწმუნებულები და მუდამ ერთსადაიმავეს ეკითხებიან:

- შენ თუ პატიოსანი კაცი ხარ, საფრანგეთის მთავრობა შენზე ასე რატომ ზრუნავს?

- იმიტომ, - უყოყმანოდ პასუხობს თავისუფალ, დემოკრატიულ ქვეყანაში გაზრდილი კაცი, - რომ ის ნამდვილი მთავრობაა და თავი მოვალედ მიაჩნია, საკუთარ მოქალაქეებზე იზრუნოს. ამ თქვენს ბანდიტებს კი არა ჰგავს, საკუთარი ხალხის წამების მეტი რომ არაფერი შეუძლია.

იურკოვსკის ბავშვობაში სარატოვის გიმნაზიაში ცნობილ რუს საბჭოთა მწერალთან კონსტანტინე ფედინთან ერთად უსწავლია. გადაწყვიტა, თუ მიშველის, ისევ ის მიშველის, უზენაესი საბჭოს დეპუტატიო. და დაუშინა ფედინს წერილები, - „ძვირფასო კოსტია“ გწერს შენი მეგობარი კოლია იურკოვსკი, გახსოვს, მე და შენ ერთხელ“... და ასე შემდეგ.

არ ვიცი, სცდებოდა თუ არა ის წერილები „მინლაგის“ ზონებს, მაგრამ თვით ფედინამდეც რომ მისულიყო, ეს ღვაწლმოსილი მწერალი და მოღვაწე წარბსაც არ შეიხრიდა. კონსტანტინე ფედინის მოქალაქეობრივ და ადამიანურ ფიზიონომიას ახლა ძალიან კარგად ვიცნობთ. ის ბრძანდებოდა, პასტერნაკის კუბო სახლთან რომ

ჩაუტარეს და ფანჯრიდანაც კი არ გამოიხედა.

კუბომდე, უფრო ზუსტად, გაურანდავი ფიცრის ყუთამდე მივიდა იურკოვსკის საქმეც. სამმართველოს დისპეტჩერობიდან მოხსნეს, თუმცა საქმეს მშვენივრად უძღვებოდა და ყველა პატივს სცემდა, - ამ ადგილზე არ შეიძლება პატიმარი იჯდესო, და ვიღაც დედაკაცი წამოსვეს, პარტ-ბიუროს მდივნის საყვარელი იყო. ლაგერის ინტელიგენტებმა მთხოვეს, ნიკოლაი კონსტანტინოვიჩი შენს ბრიგადაში აიყვანეო. ავიყვანე და, დიდად რომ არ დამეტვირთა, უკვე ხნიერი კაცი იყო, - ღამის ცვლაში, ტარიელ ქუთათელაძესთან ჩავრიცხე. ერთ ღამეს გული ცუდად გაუხდა, ექიმი არსად იყო და ტარიელს ხელებში ჩააკვდა.

იურკოვსკის ცხედარი რომ ყუთში ჩასტენეს და სადღაც გააქანეს, იმ ღამეს ლაგერში არავის უძინია.

ასე მოექცნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანს, რომლის გამოსახსნელადაც საფრანგეთის - ჩვენი მოკავშირის მთავრობამ მთელი თავისი გავლენა და პრესტიჟი აამოქმედა. რალას გვიზამდნენ ხუთ უპატრონო ქართველ ახალგაზრდას, რომელთაგან ორი მაინც არც თუ მთლად უდანაშაულო იყო? ან შეიძლება 22 წლის, ზრდადასრულებულ, უნივერსიტეტდამთავრებულ ახალგაზრდას პასუხი მოსთხოვო იმისთვის, რაც მას ოთხი წლის წინათ, 17 წლის ასაკში ჩაუდენია? ჩვენ კი ხომ „ჩადენილიც“ არაფერი გვქონდა. მე პირადად არაფრის ჩადენას არც ვაპირებდი.

შეიძლება. შეიძლებოდა!.. აუცილებელიც იყო!.. ამას თხოულობდა მაშინდელი უშიშროების ორგანოების ავტორიტეტი და პრესტიჟი. ვინც ორგანოებმა დაიჭირეს - იგი დამნაშავეა. ეს იყო მათი პრინციპი. და ეს პრინციპი მოქმედებდა არა მარტო ჩვენ ხუთის მიმართ, არამედ მილიონობით უდანაშაულო ადამიანის მიმართაც.

უთუოდ რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას იმ „გულკეთილობისა“ თუ „სამართლიანობის“ თაობაზე, რომელიც მაშინ საქართველოს უშიშროების ორგანოებმა ჩვენს „საქმეში“ დასახელებული ადამიანების მიმართ გამოიჩინეს. საქმეში არსებული ჩვენებების

მიხედვით, მათ შორის ერთი ჩემი პირველი ჩვენებისაც, რომელიც მალანიამ და ლორთქიფანიძემ „თავისებურად გააფორმეს“, მათ კიდევ არა ერთი ადამიანის დაჭერა შეეძლოთ. „დასაჭერები“ იყვნენ ელენე თოფურიძე, როლანდ სიკინჭილაშვილი, გივი ბეგიაშვილი, გივი დოლიძე, გოგი ხუნწარია, ჯიმშერ ლორთქიფანიძე, გურამ ქველაძე, გერმანე გვენეტაძე (დაიჭირეს 1946 წელს), გიორგი მასხარაშვილი (გადაასახლეს 1951 წლის დეკემბერში), მარიამ აბულაძე (დაიჭირეს 1946 წელს)... ამათ ახლა, ვინც კიდევ ცოცხალია, შეუძლიათ, ამაყად განაცხადონ, გაუგონარი გმირობა გვაქვს ჩადენილი - სტალინის ულმობელ მთავრობას შეიარაღებულ აჯანყებას ვუწყობდით, თანაც სწორედ მაშინ, როცა უშიშროების ორგანოების სისასტიკემ გაუგონარ მასშტაბებს მიაღწიაო. ამისი სრული უფლება აქვთ. მაგრამ რატომ არ დააპატიმრეს ისინი ყველანი ორგანოებმა მაშინ, ეს მე დღესაც არ ვიცი. უფრო ის იყო, რომ ამდენი ხალხის ერთად დაჭერა იმ მომენტში წამგებიანი იქნებოდა პოლიტიკურად. შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ ყველა ეს ჩამოთვლილი პირი უშიშროების ორგანოების „ხუფს“ ქვეშ იყვნენ, ყოველი მათი ნაბიჯი მოწდებოდა, - ელენე თოფურიძეს, მაგალითად, იტალიაში წასვლა 1956 წელსაც კი, XX ყრილობის შემდეგაც ჩაუშალეს, - და შესაფერის სიტუაციაში ყველა ამათ ისევე დაიჭერდნენ და გადაჰკარგავდნენ, როგორც ჩვენ დაგვიჭირეს და გადაგვკარგეს. ჩვენ, სხვათა შორის, გადაგვკარგეს სამუდამოდ. როცა ჩემი 8 წელიწადი მოვათავე, ქ.ინტის კომენდატურაში კალინინის საიდუმლო ბრძანება წამიკითხეს, რომლის ძალითაც საცხოვრებლად სამუდამოდ ინტაში, იმიერ-პოლარეთში უნდა დავრჩენილიყავი, თორემ 15 წლის კატორღას მომისჯიდნენ. ეს ლიტონი სიტყვები არ იყო. ვინმე ქურდაძე გამოიქცა და მართლაც 15 წლის კატორღა მიუსაჯეს.

როგორც სულ ახლახან გავიგე, ძალიან ბევრი ადამიანი გადარჩენილა დაჭერას, 1941 წელშიც, როცა იმერლიშვილ-ხიმშიაშვილის ორგანიზაცია გამოამჟღავნეს და დააპატიმრეს. როგორც ჩვენს შემთხვევაში, აქაც ამისი ახსნა ყველაზე ნაკლებ

შეიძლება ჩეკისტების გულკეთილობით და სამართლიანობით. ალბათ მაშინაც პოლიტიკურმა მოსაზრებამ იძალა. მართლაც, ხომ არ შეიძლებოდა, ნახევარი უნივერსიტეტი ციხეში შეეყარათ? ჩეკისტებმა მაშინ 19 შესანიშნავი ახალგაზრდა დახვრიტეს, ეს კი სრულიად საკმარისი იყო გარეთ დარჩენილთა დასაშინებლად. ეს კი სრულიად საკმარისი იყო გარეთ დარჩენილთა დასაშინებლად. ნაწილი დახვრიტეს, ნაწილი დააშინეს, თუ საჭიროდ დაინახავდნენ, იმათაც დაიჭერდნენ, უნივერსიტეტი კი ფუნქციონირებდა და ქართველ ახალგაზრდობას, რა სპეციალობისაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით ზრდიდა, საქმე გაკეთებული იყო. ასეთი იყო ეპოქის სახე და შინაარსი.

41-ში დახვრეტილები ვახსენე. ისინი ხომ შეიარაღებული აჯანყების - უკვე მოწყობილი შეიარაღებული აჯანყების ბრალდებით დახვრიტეს, თანაც, - აი, როგორი მიუდგომელნი და სამართლიანები არიან, - ორი თუ სამი ბრალდებული კიდეც გამოუშვეს, ბრალდება არ დაუმტკიცდათო (?!). მაშ, დახვრეტილებს და მისჯილებს დაუმტკიცდათ? ესე იგი, 1941 წლის შემოდგომაზე საქართველოში ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყება მოხდა. სად? როდის? რომელ ქალაქსა, ან, რომელ სოფელში? რა ისეთი ორიგინალური „აჯანყება“ იყო, რომ ერთი გასროლაც, ერთი შეძახილიც კი ძეხორციელს არავის გაუგონია, ჩეკისტებმა კი ყველაფერი გაიგონეს, დაინახეს, „აჯანყებულები“ დაამარცხეს და მერე კიდეც დასაჯეს.

აბსურდი - ეს ძალიან სუსტი სიტყვაა მთელი ამ სიტუაციის დასახასიათებლად.

ტრიბუნალის მაშინდელი თავმჯდომარე კრასნოდარელი სამხედრო იურისტი ფომინი დაპატიმრებულების ჭირისუფლებს პირდაპირ ეუბნებოდა, მაგ ახალგაზრდებს საქმით ვერაფერი მოუსწრიათ (საკვირველიც იყო, რამე მოესწროთ, როცა ყოველ ათ საბჭოთა მოქალაქეში ერთი მაინც უშიშროების ფარული აგენტი იყო!), როგორმე მარქაროვი მომაშორეთ, მაგ ახალგაზრდებს

ფრონტზე, საჯარიმო ბატალიონებში გაეგზავნი და თავიანთ თავს მერე მოუარონო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მარქაროვის - ყოფილი ქურდბაცაცის, მერე კი „პავლოვიჩის“ მიერ თბილისის ბატონ-პატრონად დანიშნულის, - ამ მარქაროვის „მოშორება“ არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ადვილი კი არა, შეუძლებელიც. ჯერ იყო და ძიებას სათავეში თითონვე ჩაუდგა, ხელკეტი მოიმარჯვა და ღმერთმა თქვენს მტერს ნუ განაცდევინოს, რაც იმ ბიჭებს იმან დღე დააყარა. ზემოხსენებულმა იურა ბოგომოლოვმა მითხრა, კოტე ხიმშიაშვილს ზურგი ხის ქერქივით ჰქონდა გამაგრებული, სულ პირდაღმა იწვაო. უფრო უარეს დღეში ყოფილა იმერლიშვილი. ეს სასამართლოზე ხელით შემოუტანიათ. სკამზე რაღაც ნივთივით დაუდვეთ. არც ლაპარაკის თავი ჰქონდა და აღარც რაიმე ესმოდაო. მარქაროვი სასამართლოს სხდომებს ესწრებოდა, დახვრეტის განაჩენიც მანვე გამოატანინა, - ბერიას მარჯვენა ხელს ვინ შეეკამათებოდა! - განაჩენი დასამტკიცებლად მოსკოვში (თვითმფრინავით!) თითონვე წაიღო, თითონვე ჩამოიტანა (რა თქმა უნდა, ისევ თვითმფრინავით!) და დახვრეტასაც თითონვე დაესწრო.

ყველაფერი ნათელი და გასაგებია. მაშინდელი უშიშროების ორგანოებში ყველაფერს გამომძიებლები წყვეტდნენ. ზემოთ აკი გითხარით, პროკურორ ლომინაძეს გამომძიებელი ჩიტაიასი ჩემზე უფრო მეტად ეშინოდა-მეთქი. ეს მართლაც ასე იყო. რის კანონი, რომელი კანონი!.. ყველაფერს რეზინის და რკინის ხელკეტები, ფრჩხილებში შესარჭობი ნემსები, ელექტროშოკი და სხვა ასეთი აღკაზმულობა წყვეტდა. ჩიტაიამ ერთხელ პირდაპირ მითხრა, - ნამეტანს ნუ მექაჩები, შენისთანები ბევრი მინახავს, თორემ აქ ერთი კამერა მაქვს, თბილისში რომ 40 გრადუსი სიცხეა, იმ კამერაში ყინულეთია და თბილისში რომ ზამთარია და ყინავს, იმ კამერაში 60 გრადუსი სიცხეა, იქ ჩაგაბრძანებ და მერე ვნახოთ, როგორ ხასიათზე დაჯდებიო. რატომ არ ჩამაბრძანებდა - ვინ დაუშლიდა? ლომინაძე? ამას თითონაც ეშინოდა, ჩიტაია არ განმირისხდეს და არ ჩამაბრძანოსო. ან ლომინაძემ არ იცოდა, რომ სულაც მისი

სანქციის გარეშე დამიჭირეს, ოთხი დღე მცემეს, მაწამეს და. მაშიმშილეს, მერე ქაღალდზე ის დაწერეს, რაც თითონვე ანყობდათ?

ეს ყველაფერი ასე იყო. მაშინ არ იყო კანონი, არ იყო სამართალი. და ვისაც ამისი დანახვა და დაჯერება ახლაც კი არ უნდა, ის მომიტევონ და - ასე თუ ისე თითონაც მონაწილეობდა იმ განუკითხაობასა და წრესგადასულ სისასტიკეში. მონაწილეობის ფორმები და საშუალებები კი ბევრეზე ბევრი იყო.

თავი მეთორმეტე

სახელმწიფო უშიშროების ორგანოები და ლავრენტი ბერია - ეს თანდათან სინონიმებად იქცა. რა თქმა უნდა, საქმე მთლად ასეც არ არის. გულმხეცობაში, სისასტიკეში, დაუნდობლობაში, ვერაგობა-მზაკვრობაში ბერიას არც მისი წინამორბედნი ჩამორჩებოდნენ. უასეთებოდ სტალინს ერთი დღეც კი არ უცხოვრია და ვერც იცხოვრებდა. ოღონდ ეს იყო, ბერია არც კი ერიდებოდა თავისი დაუსჯელობის, ყოვლისშემძლეობის, ცინიზმის დემონსტრაციას. მეტად მარტივი ბუნების კაცი იყო და საკუთარი პიროვნებითა და საქმეებით თავმოწონებას სრულიადაც არ ერიდებოდა. ჰქონდა ერთი, თუ გნებავთ, კარგი თვისებაც, თუ ეს სიტყვა შეიძლება ბერიას მიმართ ვიხმაროთ: თავისი „თანამერძოლების" გამტანი იყო. თავის ერთგულებას აფასებდა. სხვა რაღა გინდა, სტალინი გაციებული არც კი იყო, რომ ბერია ციხის კარებს ეცა და „თავისი მეგრელები" გამოუშვა, მათ შორის - პეტრე შარიაც, რომელიც შემდეგ ამბობდა, მაგისთანა უვიცი, არაფრისმცოდნე კაცი არც კი მინახავს, ოღონდ ეშმაკი იყო და მალე ხვდებოდა, ცხვირი საით უნდა მიებრუნებინაო.

- წიგნების კითხვა თუ უყვარდა?

- აჰ!.. ერთხელ მოსკოვიდან მატარებლით მოვდიოდით. შემომითვალა, ახლა ყველა წიგნებს კითხულობს, მეც რამე შემირჩიე და გამომიგზავნეო. რაღაც დეტექტივი შევურჩიე. ერთი საათის შემდეგ უკანვე დამიბრუნა, მომეშვი, თუ კაცი ხარ, თავი ამატკივაო.

ცრუობდა ბატონი პეტრე, თუ მართალს ამბობდა, ეს მკითხველმა განსაჯოს. მე კი, რაკი შარია ვახსენე, ბარემ ერთსაც გეტყვით. ჩემს მახსოვრობაში ეს იყო ერთადერთი ადამიანი, რომლის მსოფლმხედველობაც და ფსიქიკაც ლაგერმა ძირფესვიანად შეცვალა. ყველას გვახსოვს პეტრე შარია - სტალინისა და ბერიას ერთგული მეაბჯრე, რომელსაც რკინის მუშტში ჰყავდა მომწყვდეული ქართველი ინტელიგენცია. ლაგერის შემდეგ იგი უკვე სულ სხვა კაცი იყო. მწერალთა კავშირის ტრიბუნიდან ასეთი რამეც კი განაცხადა, - „სოციალისტური რეალიზმი" - ეს უაზრობაა; ამ სიტყვებში არავითარი აზრი არ არის; ეს ფორმულა დიდი თანამდებობის პირებმა მოიგონეს იმისათვის, რომ მწერლებს ის პიროვნებები ედიდებინათო."

შარია ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ალ.ბარამიძემ მიიღო, შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ შარიას რუსთველოლოგიური ძიებანი მუდამ უდავოდ საინტერესო, ღრმა და აქტუალური იყო:

ამ ბოლო ხანებში საქართველოში და მის გარეთაც რაღაც ხმები ისმის, ლავრენტი ბერია მარტო ჯალათი და სისხლისმსმელი კი არ იყო, არამედ ნიჭიერი არქიტექტორიც, ფართო ინტერესების ადამიანი, მხატვრობის, ლიტერატურის, მუსიკის მოყვარული, თითონაც კარგად მღეროდა, ცურავდა, ვარჯიშობდა და ა.შ. თბილისში კარგად ცნობილი ოჯახის ახალგაზრდა წარმომადგენელმა ასე მიბრძანა, ბერია მთლად შავი პიროვნება კი არა, უფრო... ნაცრისფერი იყოო. ე.ი. თეთრისა და შავის ნარევი ყოფილა! ხოლო მეორე თბილისელმა, ასევე ცნობილი ოჯახის შვილმა და თითონაც გამოჩენილმა პიროვნებამ, ოღონდ საკმაოდ ხანდაზმულმა ბერიას „ჰუმანურობის" ასეთი მაგალითი მიამბო.

ბერია საქმეებზე სოხუმში წასულა და თან რომელიღაც თავისი საყვარელი ქალი წაუყვანია (ამ ქალის ვინაობა ხანდაზმულმა არასგზით არ გამიმხილა). მინისტრთა საბჭოს აგარაკზე ცხოვრობდნენ. სანამ ბერიაქალაქში საქმეებზე იყო წასული, სატრფო საბანაოდ ზღვაში ჩასულა, მაგრამ ნამდვილი კბილების ნაცვლად

პროთეზი ჰქონია და ზღვაში ჩავარდნია. დაფეთებულა, პროთეზის მოსაძებნად ბევრი უყვინთავს, მაგრამ უშედეგოდ. უკბილებოდ დარჩენილი სახლში ცოცხალმკვდარი აბრუნებულა, ბერია უკბილებოდ რომ მნახავს, ნამდვილად დამხვრეტსო. სადილობისას ბერია მოსულა, თავისი სატრფოსთვის შეუხედავს და... სიცილისგან გადაფიჩინებულა, - რა მოგსვლია, რას დამსგავსებიხარო.

ისტორიას აღარ შემოუნახავს, იმ ღამის ბერია ისევ იმ ქალთან დაწვა, თუ სხვა ისურვა.

- ისევ თბილისში ჩამოიყვანა, - ღრმააზროვნად დაასკვნა ხანდაზმულმა, - დახვრეტა, დაპატიმრება. ამისთანები არც კი უფიქრია. საყვედურიც კი არ უთქვამს. აი!..

- ჰუმანური კაცი ყოფილა.

- ვინ? ლავრენტი? არჩვეულებრივად ჰუმანური პიროვნება იყო. ბავშვებისათვის ჭკუას ჰკარგავდა. ახლაც კი ვინ იცის, რას აღარ აბრალებენ.

- ზოგი იმასაც ამბობს, კაცის ხორცს ჭამდაო.

- ენას ძვალი არა აქვს. ერთი მაგათ ჰკითხოს კაცმა, კაცის ხორცი რატომ უნდა ეჭამა, სხვას ვერაფერს იშოვნიდა?! აი, ამ უბრალო კითხვაზე მიპასუხონ.

- ამბობენ, სურსათ-სანოვაგე სახლში მანქანებით მიუდიოდაო. ახლა რამდენი აგარაკი ჰქონდა?..

- მანქანები რაა!.. სპეციალური მატარებელი ჰქონდა. ერთი ვაგონი აუზად იყო გადაკეთებული და შიგ ორაგულები ცურავდნენ.

- ნეტავი, ორაგული ერჩია თუ ზუთხი?

- მე მგონი, მაინც ორაგული. არა, თუ მოუნდებოდა, ზუთხსაც კარგად მიურბენინებდნენ. ესენი კი - ადამიანის ხორციო! უცნაური ხალხი ვართ ეს ქართველები.

ოღონდაც! ქართველები ოღონდაც რომ უცნაური ხალხი ვართ.

ბერიას საქართველოში მომადლიერებულიც ბევრი ჰყავს. წაავლებდა ხელს ვინმე ქუჩის მაწანწალას, ქურდბაცაცას, ჯიბგირს და რამდენიმე წელიწადში უშიშროების გენერლად აქცევდა. ესენი მოვალენიც არიან, კუბოს კარამდე ბერიასათვის ილოცონ. და

ლოცულობენ კიდეც. შემთხვევას არ გაუშვებენ, რომ პურზე ღვინო არ დააწვეთონ. ეგ კი არა, ზოგჯერ ამასაც გაიგონებთ, ბერიას მაგიერ სასამართლოზე ვილაც გრიმირებული მსახიობი იჯდა, ლავრენტი პავლოვიჩი კი ცოცხალია, იმას ტყვიის სროლას ვინ გაუბედავდაო.

- დახვრეტითაც მსახიობი დახვრიტეს?

- ეგ არავინ იცის.

- მაშ, ბერია ამდენ ხანს სადღაა?

- სადაცაა, თითონ იცის.

ამ ხალხის მუცლის გვრემა გასაგებია, მაგრამ ბევრ ნორმალურ ქართველს რაღა დაემართა? თუნდაც იმ ხანდაზმულ ძიას, ბერიას ჰუმანურობა რომ „უეჭველი ფაქტით" დამიმტკიცა? ვინ არ იცის, რომ ბერიამ ცირკი და სტადიონი ააშენა, საბჭოთა კავშირში პირველი საბავშვო რკინიგზა გაიყვანა, ივანე ჯავახიშვილის დევნა-დაპატიმრებებს (სტალინის მითითებისამებრ) ბოლო მოუღო, და სხვა, და ა.შ. მაგრამ ყოველივე ამის გამო ბერია - ბერია აღარ იყო? ბერია არ იყო უპრინციპო, უსინდისო და კაცთმოძულე, პირსისხლიანი კარიერისტი, რომელმაც ასიათასობით უდანაშაულო მსხვერპლის ფასად გაიკვალა გზა უმაღლესი ხელისუფლებისაკენ, მერე კი, სტალინი ჯერ კარგად გაცივებულიც კი არ იყო, რომ ქვეყნის 180°-ით მოტრიალება სცადა და საკუთარი თქმა დააპირა სწორედ იმ პოლიტიკურ სისტემაზე, რომლის დამყარების და განმტკიცების მიზნითაც ოცდაათი წლის განმავლობაში დაუნდობლად ჟლეტდა ქართველს და არაქართველს, მოხუცს, ახალგაზრდას და უწლოვან ბავშვებს, ქალებს და კაცებს?.. ეჰ!.. რატომ 1947 წელს თბილისის „პერესილკაში" ფოტოაპარატი არ მქონდა, რომ „პოლიტპატიმრებისთვის" - რვა, ათი, თერთმეტ-თორმეტი წლის ბიჭუნებისთვის სურათები გადამეღო, როცა ისინი, შიმშილისაგან და უჰაერობისაგან გალურჯებულნი, შიშველ-ტიტველნი დაბობღავდნენ №18, პოლიტიკური პატიმრების უზარმაზარ კამერაში!.. მაგრამ ვინც ხედვას და სმენას განგებ იხშობს, იმას რა ფოტოაპარატი უშველის?

ჩვენი დღეებიდან მშვენივრად მოჩანს ბერიას თავბრუდამხვევი კარიერის ყოველი ხაზი. უკვე ადვილი ამოსახსნელია ამ კარიერის მიზეზებიცა და მამოძრავებელი ძალებიც. სტალინს ქართველები და საქართველო სძულდა. სტალინი ვერ ენდობოდა თავის პარტიულ ამხანაგებსაც - ქართველ ბოლშევიკებს, სტალინს ჭირდებოდა ფუნქციონერი, რომელიც სრულიად უკრიტიკოდ, სიტყვის შეუბრუნებლად გაატარებდა ამიერ-კავკასიაში მის პოლიტიკურ ხაზს. და იპოვნა კიდეც. ეს იყო ერთი გზააბნეული სეკსოტი, რომელმაც აღარ იცოდა, ვისთვის მიეძღვნა თავისი ახალგაზრდული ენერგია - მენშევიკებისთვის, მუსავატისტებისთვის, თუ ბოლშევიკებისთვის. იპოვნა, დაიახლოვა და მთელი ამიერ-კავკასია პირდაპირ საჩუქრად მიუძღვნა. არავის, არც ერთ სატრაპს და დამპყრობელს არ გაუბედავს და უკადრია საქართველოში ის, რასაც ბერია კადრულობდა და ბედავდა. ეს ყველამ იცის. და სანამ სტალინი ცოცხალი იყო, ბერიას ყველაფერი ხახვივით შერჩა. არადა, სტალინის არქივი სავსე იყო პარტ-ფუნქციონერების წერილებით - ბერია მოგვაშორეთ, მაგასთან მუშაობა არ შეიძლებაო. სტალინმა ბერიას ყოველი ნაბიჯი, მისი ყოველი ხარჯის სახელი და გვარიც მშვენივრად იცოდა.

ზოგ მემუარისტს, სხვათა შორის, არ დაეჯერება. (ალბათ, ბევრს ჩემიც არ სჯერა). ა.მიქოიანი წერს, სტალინმა და ბერიამ ერთმანეთი... 1931 წელს გაიცნესო. პირდაპირ საკვირველია! ბერია 1927 წელს უკვე „ზაკჩეკას“ უფროსი იყო, და ამ თანამდებობის პირს სტალინი არ იცნობდა? „ზაკჩეკას“ უფროსად, ესე იგი, ამიერ-კავკასიის ბატონ-პატრონად ბერია უსტალინოდ დანიშნეს?

რუსები იტყვიან, „Рыбак рыбака видит издалека“,- ო. სტალინმა და ბერიამ ერთმანეთი ჯერაც ოციანი წლების დასაწყისში „იცნეს“. სტალინმა თავისი „საქმეების ჩაწყობა“ ჯერაც ლენინის სიცოცხლეში დაიწყო. ამას მოჰყვა ბერიას ელვისებური მოვლინება ამიერ-კავკასიის განმგებლად, რამაც ძველი ბოლშევიკებიც და ნამდვილი ინტელიგენციაც - საქართველოშიც, სომხეთშიც და აზერბაიჯანშიც ნამდვილ შოკში ჩააგდო. ძველ

ბოლშევიკებსაც და ნამდვილ ინტელიგენციასაც მაშინ ძალზე ბევრი რამ ჰქონდათ სადავო და გამოსარკვევი, იმ საკითხების საბოლოოდ გამორკვევა და შეთანხმება მაინც არ მოხერხდა, - მაგრამ ერთში კი ისინიც, და ესენიც ერთსულოვანნი იყვნენ: ვინ, ბერია - ამიერკავკასიის ბატონ-პატრონი?!..

ამისი დაჯერებაც კი არავის შეეძლო.

მაგრამ სტალინს არც ვინმესთვის უკითხავს, ეგკაცი მოგწონთ, თუ არაო. თვითონ მოსწონდა და ძალიანაც, მორჩა და გათავდა არა, კი არ მოსწონდა, ხედავდა, რომ ეს იყო, ვინც მას სჭირდებოდა.

ბერიას ხელით გაანადგურა მან თავისი პარტიული ამხანაგები - ძველი ბოლშევიკები და ნამდვილი ქართველი ინტელიგენციაც, ყველა ისინი, ვისაც მისი ბელადობისა, სიბრძნისა და გენიალობისა ისევე სჯეროდა, როგორც შარშანდელი თოვლისა.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ბუდუ მდივნის ამბავი. რომელიც თვითმხილველისგან ალექსანდრე პაპავასაგან ვიცი. მე ალ.პაპავას რამდენჯერმე ვთხოვე, ეს ამბავი დაეწერა და გამოექვეყნებინა. მაგრამ ვერ მოახერხა. სანამ იგი ცოცხალი იყო, სტალინზე წერა მაინც მხოლოდ შტამპებით შეიძლებოდა. ახლა მე ვცდი.

1937 წელს დაპატიმრებულმა ბუდუ მდივანმა უარი თქვა ბერიას გამომძიებლებისთვის ჩვენების მიცემაზე და მოსკოვში, სტალინთან წაყვანა მოითხოვა. კარგა ხანს ამისი გაგონებაც კი არავის უნდოდა, მაგრამ ბუდუ მდივანმა არ დათმო და ბოლოს იძულებულნი გახდნენ, წაეყვანათ. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა საბჭოთა კავშირის ისტორიაში, რომ პატიმარს დაუთმეს და სურვილი შეუსრულეს. მთელი ციხე მოლოდინმა შეიპყრო, - აბა, ვნახოთ, ბუდუს მართლა სტალინთან თუ მიიყვანენ და ან ამ შეხვედრას რა შედეგი მოჰყვებაო. გამოუკლებლივ ყველას რაღაცის იმედი გაუჩნდა. პატიმარს ხომ საერთოდ ცოტა ჰყოფნის.

ორიოდე კვირა არაფერი ისმოდა, მერე კი, ნასადილევს, ციხის ჭიშკარი გაიღო და ეზოში მხნედ მომღიმარი ბუდუ მდივანი შემოვიდა. მთელი ციხე ფანჯრებს მიაწყდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- რაო, ბუდუ, რაო? სად იყავი, რა ჰქენი?..

ბუდუ მდივანმა ორივე ხელი საზეიმოდ ზეაღმართა.

- გილოცავთ, ბიჭებო! მე თქვენ გილოცავთ, თქვენ კი მე მომილოცეთ. ხაზეინთან ვიყავი. ყველაფერი ვუთხარი. ყველაფერი იცის. დღეს არა, ხვალ ყველას გაგვათავისუფლებენ. ერთხელ კიდევ გილოცავთ, გეხვევით და გკოცნით!

ბუდუ მდივანი კამერაში აიყვანეს. ციხეში სიხარულის ყიჟინას და ხვევნა-კოცნას ბოლო არ უჩანდა.

ბუდუ მდივანი მართლაც სტალინთან შეუყვანიათ. ბელადს ხელი ჩამოურთმევია, დაუსვამს... კარგა ხანს ულაპარაკიათ. ჩვენო, - უთქვამს ბუდუს, - შენთან სადავო აღარაფერი გვაქვსო; ჩვენ წინააღმდეგნი ვიყავით ამიერ-კავკასიის ფედერაციისა და საქართველოს ავტონომიისო; ახლა, შენი ახალი კონსტიტუციის ძალით ორივეს პრობლემა გადაჭრილია — ამიერკავკასიის ფედერაცია გაუქმდა, საქართველოს კი დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსი მიენიჭა, ასე რომ, ახლა ძალიანაც რომ გვინდოდეს, ველარაფერზე შემოგედავებითო.

- აბა, ის მეგრელი რაღას გერჩით? უკითხავს სტალინს (?!).

- ნამდვილად არ ვიცი. მაგაზე ნურაფერს მკითხავ.

- ეჰ! - ამოუოხრია სტალინს, - აღარც კი ვიცი, ვის ვენდო. კარგი, ჩემო ბუდუ! რაც იყო. ყველაფერი მაპატიე. და იცოდე: ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გინდა. სოციალიზმს მარტო ვერ ავაშენებ, ამხანაგები და მხარის დამჭერები მჭირდება.

წამომდგარა, ბუდუ მდივანი კარებამდე მიუცილებია და ხელის მაგარი ჩამორთმევით დამშვიდობებია.

ამის გამგონე პატიმრებს ბევრს ეჭვმა გაჰკრა გულში. ბუდუ და სტალინი ერთმანეთს მუდამ პირზე კოცნით ეგებებოდნენ და ემშვიდობებოდნენ, ეს ხელის ჩამორთმევა რაღა იყო? თანაც, თუ ბუდუს გათავისუფლება უნდოდა, იქვე რატომ არ გაათავისუფლა, ამსიგრძე გზაზე სტოლიპინის ვაგონით რატომ-ღა ათრევინა?

თითონ ბუდუ დარწმუნებული იყო, დღეს-ხვალ ყველას გაგვიშვებენო.

ბუდუ მდივანი იმ ღამესვე დახვრიტეს. დანარჩენები - ზოგი მეორე დღეს, ზოგი - მესამეს, ზოგი - მათ შორის ალექსანდრე პაპავაც - ოცი წელიწადი ლაგერებში ჰყავდათ და ცოცხალნი გადარჩნენ, რაც, უნდა ითქვას, მეტად საკვირველია: სტალინი თავისი ვერაგობის მოწმეებს ცოცხლად არ სტოვებდა. მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, ხომ არ შეიძლება დახვრიტო გამოუკლებლივ ყველა, ვისაც კი შენს სულში ცალი თვალით მაინც ჩამოუხედავს?

ბუდუ მდივანი აქტიური მონაწილე იყო საქართველოში მე-11 არმიის შემოჭრისა. ამ საქმეში იგი სტალინს ემხრობოდა, ძველი ქართველი ბოლშევიკების საგრძნობ ნაწილს კი დაუპირისპირდა, ვინაიდან ისინი ამ აქციას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ. ერის წინაშე მდივანმა უდიდესი დანაშაული ჩაიდინა, ამოდენა ცოდვის გამოსყიდვა საერთოდ შეუძლებელია. არასოდეს უცხო ჯარისკაცის ხიშტს რომელიმე ერისათვის ბედნიერება არ მოუტანია - სადაც ხიშტს რომელიმე ერისათვის ბედნიერება არ მოუტანია - სადაც ხიშტი და ძალადობაა, იქ არ არის ერისათვის უმთავრესი - არჩევანის თავისუფლება. ამასაც რომ თავი დავანებოთ, - თუმცა ამისთვის თავის დანებება დანაშაულია, - ხომ შეიძლებოდა, მაშინდელი საქართველოს მესვეურები ისე კი არ მოქცეულიყვნენ, როგორც მოიქცნენ, როცა საქართველო უბრძოლველად ჩააბარეს შემოსეულ არმიას, არამედ ისე მოქცეულიყვნენ, როგორც საჭირო იყო და მე-11 არმიისათვის სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაემართათ. ასეთ ბრძოლაში უამრავ ქართველთან ერთად უთვალავი წითელარმიელიც გაწყდებოდა. მაშინ ვის ან როგორ უნდა დაეჯერებინა ქართველი კაცი, აი, ამ უთვალავმა არაქართველმა ახალგაზრდამ, რომელთა გვამებითაც მოფენილია საქართველოს მთა-ველები, თავიანთი სიცოცხლე შენს ბედნიერებას შესწირეს, ეს ინტერნაციონალიზმიაო. ყოველი საღად მოაზროვნე ქართველი იტყოდა, ან იფიქრებდა მაინც, ინტერნაციონალიზმი საერთოდ დიდებული რამაა, ეგ მე არ მესწავლება, მაგრამ რა ძალა ედგათ მაგ უბედურებს, ეცოცხლათ, გაეხარათ, ჩვენს თავს კი როგორმე ჩვენვე მოვუვლიდითო.

ბუდუ მდივანი სტალინს იმიტომ არ დაუხვრეტია, როგორ თუ საქართველოს ანექსიაში მხარი დამიჭირეო. თავის დროზე მდივანი სასტიკად შეებრძოლა ამიერ-კავკასიის ფედერალიზაციისა და საქართველოს ავტონომიზაციის პროგრამას და ამ საქმეში, ბოლოსდაბოლოს, ლენინის მიმხრობაც შესძლო. ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაუყოვნებლივ დაშლას ხელი ლენინის სიკვდილმა შეუშალა.სტალინმა ეს საკუთარი თითიდან გამოწოვილი ფედერაცია მაინც დატოვა, თუმცა-ღა, ალბათ, უკვე თითონაც კარგად ხედავდა, რომ ეს ხელოვნური წარმონაქმნი იყო და დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა. 1936 წლის კონსტიტუციით ამიერ-კავკასიის ფედერაცია ყოველგვარი ხმაურის გარეშე გააუქმა, საქართველო „დამოუკიდებელი რესპუბლიკა“ გახადა, თავისი ადრინდელი ცოდვების კრიტიკოსები კი, ბუდუ მდივანი და დანარჩენი ქართველი „უკლონისტები“, რომელთაც სიკვდილამდე ვერ გაიგეს, ეს სახელი რატომ შეერქვათ, მოუსავლეთის გზას გაუყენა. ასეთ საქმეებში კი მას სწორედ ბერიასთანა დაქირავებული მკვლელები ჭირდებოდა, ვისთვისაც სულერთი იყო, ვინ და რატომ ეხოცათ, ოღონდ კი პირადად მათი კარიერა უზრუნველყოფილიყო.

მაგრამ განა მართლაც საკვირველი არ არის, რომ ბუდუ მდივანს კიდევ სტალინის სიტყვისა სჯეროდა? ამ ერთხელაც სასტიკად მოტყუვდა. დასახვრეტად გაყვანილს ყვირილი დაუწყია, უარის ღირსი ვარ, ქართველი ხალხი მე გავაუბედურეო. ალბათ, ეგონა, რომ საქმე მისი დახვრეტით მთავრდებოდა. ამაშიც მოტყუვდა, - მას მისი ოჯახის ორმოცამდე წევრიც უკან დაადევნეს, ქალი და რძალი არ დაუნდვიათ. ასეთი ბიჭი იყო სოსელო, შეცდებოდა, საქმეს ჩაიხრებდა, მერე თავის სისულელეს სხვას გადააბრალებდა და - მის კვალსაც კი არ ტოვებდა. მუდამ ასე იქცეოდა. ეს იყო მისი სტილი, მეთოდი. ჰიტლერი რომ თავს დაესხა, მოლოტოვსა და დანარჩენებს დაეძგერა, ეს საქმე თქვენ მიყავით, ინგლისი და საფრანგეთი თქვენ გადამკიდეთო. ესენი დაიბნენ და ძლივს წამოილულლულეს, შენი ნება ასეთი იყოო. იმ მომენტში მათი დახვრეტისათვის არ ეცალა. ომის შემდეგ კი მოიცალა და მთელ

პოლიტბიუროს წყალი შეუყენა. მაგრამ დახვრეტა ველარ მოასწრო. თითონ აღესრულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXX

დღეს ქართველი ხალხის წინაშე, ისევე, როგორც, ალბათ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის წინაშეც, ერთი არნახული, კაცობრიობის ისტორიაში გაუგონარი პრობლემა დგას: რა მოუხერხოს თავის უსამართლოდ დახვრეტილ შვილებს? არა, მიხეილ ჯავახიშვილის, გრიგოლ წერეთლის, ვახტანგ კოტეტიშვილის, ევგენი მიქელაძის ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის და მათი რიგის სხვა ადამიანთა ბედი მძიმე და ტრაგიკული, მაგრამ გარკვეულიცაა: ისინი უსამართლობის მსხვერპლნი შეიქნენ, ხალხმა მათი სახელები და მემკვიდრეობა დაიბრუნა (არც როდესმე დაუკარგავს) და მათი ხსოვნის წინაშე თავი მოწიწებით დახარა. ასეც იქნება, სანამ საქართველო არსებობს. მაგრამ როგორ იქნება იმათი საქმე, ვინც საქართველოს მხოლოდ უბედურება მოუტანა, ვინც სტალინთან ერთად ნერგავდა უსამართლობას, განუკითხაობას, სიცრუეს, სიყალბეს, სისასტიკეს და ყოველგვარ სხვა უბედურებას, შემდეგ კი ყალბი ბრალდების საფუძველზე დახვრიტეს, ესე იგი, თითონაც უსამართლობის, განუკითხაობისა და სისასტიკის მსხვერპლნი შეიქნენ. ახია მათზეო, იტყვის ზოგიერთი. მაგრამ საქმე ასეც არ არის. უსამართლობა - მუდამ უსამართლობაა. საზოგადოებრივი წესრიგის თუ სახელმწიფო უშიშროების დამცველმა ვინმე კაცისმკვლელი, ბანდიტი და მძარცველი რომ დაიჭიროს, ეს დიდი დანაშაულები არც კი უხსენოს და რაღაც შეთხზული, ყურით მოთრეული ბრალდების საფუძველზე სიცოცხლეს გამოასალმოს, ადამიანებს, ხალხს უთუოდ პროტესტის გრძნობა გაუჩნდება. და ის პროტესტის გრძნობა სამუდამოდ დარჩება ხალხის გულში.

სულაც არ ვაპირებ, კაცისმკვლელები, ბანდიტები და მძარცველები ვუწოდო მალაქია ტოროშელიძეს, ერმალო ბედიას,

ბენიტო ბუაჩიძეს, ფრიდონ ნაროუშვილს და სხვა ამათი რიგის ადამიანებს. ესენი ე.წ. ინტელექტუალური ფრონტის მუშაკები იყვნენ, ზოგი მათგანი კი კეთილი პიროვნებაც იყო. მაგრამ ამ ადამიანებმა მთელი თავისი ენერგია მოახმარეს ხალხის ცნობიერებაში ყალბი პოსტულატების, ისტორიული სიცრუის, ფარისევლობის, მაამებლობის, უსამართლობის დამკვიდრებას. მათ გვასწავლეს ოვაციების გამართვა მკვლელებისა და მძარცველებისათვის (სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, „ხალხების" მამამ საქართველოდან 700-800 მილიარდი დოლარის მარგანეცი გაიტანა და ცარიელზე დაგვსვა. კარგად ჩაუფიქრდნენ ამ ციფრს თავგადაკლული სტალინისტები). განა, ეთქვათ, მალაქია ტოროშელიძემ და ერმალო ბედიამ არ იცოდნენ, რომ გამოკვლევა „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", მათ რომ შეთხზეს, მერე ბერიას სახელით გამოვიდა, თავიდან ბოლომდე ყალბი იყო? რა თქმა უნდა, იცოდნენ. ფიქრობდნენ, ამითი მსოფლიო პროლეტარიატის საქმეს ვეხმარებითო? იმ პროლეტარიატს ჰკითხეს კი, სიყალბით, სიცრუით და ფარისევლობით დახმარება თუ გინდაო? იქნება, პროლეტარიატს უარი ეთქვა. მაგრამ არც უკითხავთ. ახლა კი უსამართლოდ დახვრეტილი ტოროშელიძე, ბედია და სხვები იძულებულნი არიან, თითონვე იმართლონ თავი. საეჭვოა, რომ მათ ეს შესძლონ.

ის სიყალბე და სიცრუე არ გამქრალა ამ ადამიანების განადგურებასთან ერთად. პირიქით, ყველაფერმა იმან იმძლავრა, ფესვი გაიდგა, გაიფურჩქნა, „აკადემიური" და „მეცნიერული" ფორმებიც კი მიიღო. ყველაფერი ამას სტალინის „ისტორიული გამარჯვებებიც" მიემატა - ომის მოგება, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ჩინეთის გასაბჭოება... მისი ადეპტები კი ახლაც თავგამოდებით იბრძვიან, ეროვნულ საჭეს ახლაც ეპოტინებიან და ფარ-ხმალის დაყრას სულაც არ აპირებენ.

არა და არ ელევა პრობლემები ქართველ ხალხს.

XXX

ეროვნული ბიბლიოთეკა

1935 წელს მოსკოვში ქართული კულტურის დეკადის გამართვისას,ისევე, როგორც შემდეგ - შალვა ნუცუბიძის ციხიდან გამოშვებისას, სტალინი იმდენად ქართულ კულტურაზე არ ფიქრობდა, რამდენადაც საკუთარ თავზე. საზღვარგარეთულ პრესაში მაშინ აქტიურ პროპაგანდას უწევდნენ აზრს, რას უნდა წარმოადგენდეს რუსეთი და რუსი ხალხი, თუკი მას ვიღაც კავკასიელი ველური ტომის შვილი მართავსო. სტალინი იძულებული გახდა, ქართული კულტურის საუკეთესო წარმომადგენლები მოსკოვში ჩაეყვანა და ამ გზით არა იმდენად და არა მხოლოდ ქართული კულტურის, რამდენადაც საკუთარი თავის რეაბილიტაცია მოეხდინა. რა თქმა უნდა, ქართულმა კულტურამ დეკადაზე თავისი დიდი სიტყვა თქვა. ხოლო რა დღე გაუთენეს დეკადიდან დაბრუნების შემდეგ ქართული კულტურის გამოჩენილ წარმომადგენელს - მიხ. ჯავახიშვილს, ტ.ტაბიძეს, პ.იაშვილს, ე.მიქელაძეს, ა.ახმეტელს და მრავალ სხვას, ეს ყველას კარგად მოეხსენება. დღეს მათი საფლავებიც დაკარგულია...

„ალბათ, იყო რამეში გარეული, თორემ“...

1936 წლის დეკადა ქართული კულტურის უკანასკნელი თავისუფალი ამოსუნთქვა იყო. მას შემდეგ ქართველ ხელოვანთ მხოლოდ ის უნდა ეწერათ და ეკეთებინათ, რაც სტალინსა და ბერიას მოეწონებოდა. „პარტიის გენერალურ ხაზს ეთანხმებოდა“. ფართო ასპარეზი გაეხსნა პარტიულ ფუნქციონერებს, რომელთა მთელი გონებრივი ავლადიდება „ბელადების“ უსაზღვროდ გაბერილი ბიოგრაფიების ცოდნით ამოიწურებოდა. კულტურა ფუნქციონერების ბრჭყალებში მოექცა. ეს სტალინის სიკვდილამდე და მერეც კარგა ხანს გაგრძელდა. ხოლო ბევრმა ფუნქციონერმა მაშინ გამომუშავებული „ხელმძღვანელობის პრინციპები“ და „მართვის ჩვევები“ შემდეგშიც შეინარჩუნა და დაურიდებლად იყენებდა კიდეც.

თავისი ისტორიის მანძილზე ქართველ ხალხს უამრავი მტერი ჰყოლია. კიდევ უფრო მეტი - მტერ-მოყვარე. რუსთაველმა თავის

დროზე თქვა, „მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერიაო“. მაგრამ ჯერ მაინც ვერ ვისწავლეთ. ჩვენს განაწამებ ხალხს განგებამ ამ საუკუნის ოციან წლებში წილად ისიც არგუნა, რომ საკუთარი წიაღიდან წარმოეშვა ფსევდო-ინტელიგენტების, „იდეისათვის მებრძოლთა“ გენერაცია, რომლებიც, პოლიკარპე კაკაბაძის ლომკაცასი არ იყოს, მენშევიკების გაქცევის შემდეგ, 1921 წლის თებერვალში „გაბოლშევიკდნენ“, მას აქეთ „უანგაროდ იბრძოდნენ“ და ქართველ ხალხს „წინ მიუძღოდნენ ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში“. ახლა ყველამ იცის, რომ „ნათელი მომავლისა“ და „უკეთესი მერმისისათვის“ ბრძოლაში ის „იდეური ამხანაგები“ ფრიად სასტიკნი, განუკითხავნი და დაუნდობელნი ბრძანდებოდნენ საკუთარი თანამემამულეებისადმი, ცილისწამებისა, მორალური და ფიზიკური განადგურებისათვის დაუფიქრებლად იმეტებდნენ საკუთარ თანამედროვეებს. და „თანამებრძოლებსაც კი“. ამ საქმეში მათ საზღვარი არ იცოდნენ. არადა, ამ ქვეყნად ვერავინ და, მათ შორის, თვით ეს „იდეური ამხანაგებიც“ კი ვერ აგიხსნიან, თუ რატომ უნდა ეწამონ დღევანდელი ადამიანები იმისათვის, რომ „ბედნიერად“ იცხოვრონ შთამომავლებმა. თანამედროვეებმა რაიმე დააშავეს? ან მართლა „ბედნიერად“ იცხოვრებენ კი შთამომავლები? ამისი ცოდნა არავის შეუძლია, არავითარი გარანტიები აქ არ არსებობს. ამის მაგალითი ჩემი თაობის ბედია. ის პოლიტიკოსი, ვინც გიქადაგებთ, გაიჭირვეთ და მოითმინეთ, სამაგიეროდ თქვენი შთამომავლები კარგად იცხოვრებენო, მოურიდებლად უნდა გააგდოთ პოლიტიკური სარბიელიდან.

მენშევიკების გაქცევის შემდეგ „გაბოლშევიკებული ინტელიგენტები“ უმეცარი; გაუნათლებელი და - ამავე დროს საარაკოდ თავდაჯერებული, საკუთარი თავით კმაყოფილი, ყოყოჩა და პატივმოყვარე, თან სასტიკი, განუკითხავი და დაუნდობელი მედროვეები იყვნენ. მათ სწორედ საკუთარი უმეცრების წყალობით ირწმუნეს, ქართველ ხალხს დიდ, განუზომელ სიკეთეს ვუშვრებით, ნათელი მომავლისაკენ მივუძღვით და ამ საქმეში ჩვენი მაგივრობა არავის შეუძლიაო. არადა, ამ „ნათელ მომავალზე“ ძალიან

ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ და ვერასგზით ვერ აგიხსნიდნენ, თუ კონკრეტულად რას მოასწავებს, მაგალითად, პოსტულატი, - „თითოეულისაგან - მისი უნარის მიხედვით, თითოეულს - მისი მოთხოვნილების მიხედვითო“. სხვისი არ ვიცი, ჩემის აზრით კი ამ ფორმულაში იმოდენა სისულელეა, რომ ადამიანები იბნევიან და ფიქრობენ, ასეთ სისულელეს როგორ იტყოდნენ, ალბათ, მანდ რაღაც ძალიან ღრმა აზრი იმალებაო.

სწორედ ამ „იდეური ამხანაგების“ აქტიური ხელისშეწყობით გაანადგურეს სტალინმა და ბერიამ საუკეთესო ქართველი ინტელიგენტები...

თავისი მოჩვენებითი „უანგარობის“, „პატიოსნების“, „იდეურობის“, „ყოველმხრივი კომპეტენტურობის“ და „უკიდეგანო ცოდნა-განათლების“ წყალობით „გაბოლშევიკებულებმა მოახერხეს ქართველი ხალხის დარწმუნება, ჩვენი ერთადერთი საზრუნავი თქვენი გაბედნიერება არისო. სინამდვილეში კი მათ სხვა ერთადერთი საზრუნავი ჰქონდათ - ეტრიალათ ცხოვრების ზედაპირზე, გარეულიყვნენ გამოჩენილ ადამიანებში, ამ გზით განედიდებინათ საკუთარი თავი და ისტორიაში ჩაწერილიყვნენ, როგორც ერის გამორჩეული შვილები. არა ერთი და ორი ქართველი მართლაც გაბრიყვდა და გაბოლშევიკებულების „იდეურობა“, „უანგარობა“ და „პატიოსნება“ იწამა. ეს რწმენა, სამწუხაროდ, ბოლომდე დღესაც არ აღმოფხვრილა.

თავი მეთოთხმეტე

მკითხველს უკვე ვუამბე, თუ როგორ დაფეთდა თბილისის გამანაწილებელი ციხის - „პერესილკის“ უფროსი თოფურია, როცა ჩვენი ჯგუფის „საქმეს“ გაეცნო. ისიც გითხარით, რომ პირადად მე მაშინ გავიგე, რომ გასამართლებული ვიყავი რაღაც 58[2] მუხლით. ახლა, ალბათ, უნდა გიამბოთ, რას წარმოადგენდა თბილისის მაშინდელი „პერესილკა“. მაგრამ ამისგან თავს შევიკავებ, იმიტომ,

რომ მე არც ჰომეროსი ვარ, არც შექსპირი, არც დანტე თუ დოსტოევსკი... მე არ ძალმიძს იმ შემაზრზენი ფენომენის აღწერა, რასაც მაშინდელი „პერესილკა“ წარმოადგენდა. მხოლოდ ერთს გეტყვით - უშიშროების სამინისტროს შინაგან ციხეში, როგორღაც იყო, მკბენარისგან დაზღვეულნი მაინც ვიყავით, აქ კი, კამერაში შესვლა და იატაკზე მორთხმაც კი ვერ მოვასწარით (სხვა ჩამოსაჯდომი არაფერი იყო), რომ... ეჰ! შევეშვათ. მაშინდელი ციხე-კოლონიებისა და ლაგერების „მშვენიერებანი“ უკვე ბევრჯერაა აღწერილი, განსაკუთრებით რუსი, ბალტიისპირელი ებრაელი მწერლების წიგნებში და არა მგონია, ეს საქმე მათზე უკეთ გავაკეთო. ამიტომ...

„პერესილკიდან“ ყოველდღე აგზავნიდნენ ეტაპებს შორეულ ლაგერებში. ჩვენ გვეუბნებოდნენ, მაგ მუხლებით გასამართლებულებს საქართველოში არ დაგტოვებენო. თანდათან შევეჩვიე იმ აზრს, რომ მართლაც პოლიტიკური მოღვაწე და სახელმწიფოსთვის დიდად საშიში პიროვნება ვიყავი. შინაურების ნახვის იმედი გადამეწურა. რას ბრძანებთ! ხომ შეიძლებოდა, დედაჩემისთვის ფარული ინსტრუქტაჟი ჩამეტარებინა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ კიდევ ერთი შეიარაღებული აჯანყება მომეწყო, მე თქვენ გეტყვით და - გამოცდილება არ მქონდა!

თანდათან შევურიგდი იმ აზრსაც, რომ კოლიმაზე, ან არხანგელსკში, ან სადმე კიდევ უფრო უარეს ადგილებში გამაგზავნიდნენ. ვფიქრობდი, იქნება, იქ ბიძაჩემების კვალს წავაწყდე-მეთქი. მაგრამ ბედმა ინება და შორეული ლაგერების ნაცვლად № 49 კოლონიაში, თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის მშენებლობაზე გაგვიყვანეს.

ნეტავი, თბილისელებმა თუ იციან, რომ აქვე, მათი ქალაქის ფარგლებში ასეთი ჯოჯოხეთი არსებობდა? თუ შეიძლება, ადამიანმა თბილისის „პერესილკაზე“ უარესი რამ წარმოიდგინოს, ეს №49 კოლონია იქნება. შიმშილი, ჭუჭყი, მკბენარები, ცემა-ტყეპა, ქათმის სიბრმავე შიმშილის ნიადაგზე, და - სიკვდილიანობა. დღეში შიმშილით 8, 10, 12 კაცი კვდებოდა. „დროგზე“ დაახოხოლავებდნენ

და იქვე გორაზე გამართულ სასაფლაოზე გაჰქონდათ. არც კუბო, არც სხვა რამ საჭირო და აუცილებელი. მხოლოდ „მეორე სროკის“, ესე იგი, ნახმარი, ნახვრეტებიანი ზეწარი... ისიც ყოველთვის არა. პატიმარს გააჩნდა... ადამინისტრაციის წარმომადგენლები მერე იქ დამარხულ მიცვალებულს ჭირისუფლებს მიჰყიდდნენ ხოლმე. ჭირისუფლები მკვდარს ღამით ამოთხრიდნენ და წაიღებდნენ. საქმე მეტად კვალიფიციურად კეთდებოდა. მხოლოდ ერთხელ მოხდა, რომ ჭირისუფლებმა საკუთარი მიცვალებულის მაგიერ სხვა მკვდარი წაიღეს. და ამას მეტად სერიოზული, მაგრამ ხმადაბალი თათბირი მოჰყვა კოლონიის უფროსის მოადგილის კაბინეტში:

- რა ჰქენით, ბიჭო, ამ პატიოსან ხალხსა სხვა მკვდარი გაატანეთ?

- რა გვექნა, როსტომოვიჩ, ზუსტად მივუთითეეით, სულ განაპირასა სწევსო. ამათ კიდე... აბა, რა ვიცი, ეს როგორ მოხდა...

- ახლავე შენ თითონ გაჰყე და ეგ საქმე რიგიანად მოაგვარე.

- დაღამდეს!..

- ღამით ისევ შეგეშლება და!..

- არა. როგორ შემეშლება. არ შემეშლება.

- აბა, შენ იცი!.. თქვენ კი, პატივცემულებო, მშვიდად იყავით. ესეთი რამ პირველად მოხდა, ამდენი ხანია, აქა ვარ. საღამომდე გაიარ-გამოიარეთ, გული გადააყოლეთ, საღამოს კი ეს კაცი თქვენს მიცვალებულს ჩაგაბარებთ. ესე იქნება!

კოლონიაში მიყვანის დღესვე სიცხე მომცა. ექიმმა ამირან მორჩილაძემ ზონაში დამტოვა. კოლონიის უფროსმა მყისვე განჭვრიტა, ალბათ, სიმულიანტობსო და მესაფლავეების ბრიგადაში ჩამრთო. მაგრამ იქ ხალხმა შემიბრალა, ავადა ხარ, დაისვენეო და ვებერთელა საფლავი უჩემოდ ამოთხარეს. ასე რომ, ამ პროფესიის დაუფლება არ მომიხერხდა.როგორც ყველა ციხესა და კოლონიაში, აქაც ქურდები ბატონობდნენ. ყოველ შემთხვევაში, ძალიან იქაჩებოდნენ. ისეთი პიჯაკი მომპარეს, რომ ჩასაცმელად აღარც კი ვარგოდა. არ ვიცი, რად უნდოდათ. ისე, მიგდებული ნახეს და ხელს გააყოლეს.

ჩემს თვალწინ ჩატარდა ერთი ქურდბაცაცას „გამოსწორების“

ტიპიური პროცესი. იქ იყო ერთი ქურდბაცაცა გოგია ფურცელაძე, მეტსახელად „სალდათა“. ამბობდნენ, ისეთი წუპაკი ქურდი იყო, რომ თოკზე გასაშრობად გაკიდებულ ქალის საცვლებს არ ტოვებდაო. თან მკლავლონიერიც იყო. კოლონიის ადმინისტრაციამ იგი ე.წ. „სტაროსტად“ ესე იგი, პატიმრების აღმზრდელად დააყენა. ვინ „გამოასწორა“ სალდათამ, არ ვიცი, თითონ კი დღეში რამდენჯერმე სადილობდა, იმდენჯერვე ვახშმობდა, გასუქდა, გალაღდა, რუსულადაც კი ალაპარაკდა, საიდანღაც თეთრი კიტელი და შარვალიც „დაირტყა“... ერთი სიტყვით, „გამოსწორდა“. და სხვებსაც „ასწორებდა“: შიმშილისაგან ლანდად ქცეულ „დახადიაგას“ ბუმბულივით აიტაცებდა ხოლმე და მიწაზე გამეტებით დაანარცხებდა, წესრიგი რატომ დაარღვიეო. „დახადიაგა“ კი შიმშილისგან ისე იყო გონებადაბნელებული, რომ დღის წესრიგი კი არა, ისიც კი არ ახსოვდა, თუ საერთოდ სად იმყოფებოდა. „დახადიაგებს“ მუდამ ასე ეგონათ, საკუთარ სახლებში ვართო. ისე, გოგია ფურცელაძეზე უფრო დაწვრილებითი ცნობების მოწოდება შეეძლო ყოფილ პოლიტპატიმარს, ამჟამად რეაბილიტირებულ გოგი მაისურაძეს.

საერთოდ, ბერიას უწყებას ძალიან უყვარდა ყოფილი, ოღონდ მკლავლონიერი ქურდები. უყვარდა და აწინაურებდა. ესენიც სწრაფად ივიწყებდნენ თავიანთ წარსულს, მით-უმეტეს, რომ იქ სახარბიელო არაფერი იყო, სხვა პატიმრებს ტყავს აძრობდნენ, თითონ სუქდებოდნენ და, რომ გეკითხათ, ადმინისტრაციასთან ერთად იბრძოდნენ საბჭოთა ხალხის „ნათელი მომავლისათვის“. უფრო უბრალოდ და გასაგებად რომ ვთქვათ, ეს საზოგადოება კოლონია-ლაგერების მტკიცე დასაყრდენი იყო და უფრო მეტი სისასტიკით, ვერაგობით, სიხარბით და დაუნდობლობით გამოირჩეოდა, ვიდრე თითონ ადმინისტრაცია.

კოლონია-ლაგერების ადმინისტრაციის მცირე საიმედო დასაყრდენს შინსახკომისა და უშიროების ორგანოების ყოფილი თანამშრომლები წარმოადგენდნენ, რომლებიც რაიმე, ჩვეულებრივ დიდი, გახმაურებული დანაშაულისათვის დაიჭირეს და პატიმრებად

იქცნენ. ამათ რა შემაზრზენი დანაშაულიც არ უნდა ჰქონოდათ ჩადენილი, კოლონია-ლაგერის ადმინისტრაცია უთუოდ „ხელმძღვანელ თანამდებობაზე“ დანიშნავდა და უფრთხილდებოდა, რათა ერთად ებრძოლათ „ხალხის ნათელი მომავლისათვის“.

ერთი ასეთი ამბავი მოხდა ზუგდიდის კოლონიაში. კოლონიის უფროსად ვინმე ჯგერენაია მუშაობდა. მასთან ვადას იხდიდა ზუგდიდელივე კაცი, რომელსაც რაღაც უმნიშვნელო დანაშაულისათვის მცირე ვადა ჰქონდა მისჯილი. მოაწია ამ კაცის გათავისუფლების წინა დღემ - კოლონიიდან სწორედ მეორე დილით უნდა გამოეშვათ. იგი ჯგერენაიასთან მივიდა და თხოვა, ჩემი გათავისუფლების აღსანიშნავად ცოლს სახლში სამზადისი აქვს, გამიშვი, მივეშველები და საღამოს თერთმეტი საათისათვის ისევ კოლონიაში ვიქნები, ხვალ დილით კი სულ გამიშვებ და ის იქნება, ოღონდ ხვალ თუ შენ მეწვევი და სუფრას დამიმშვენებ, დიდი მადლობელი ვიქნებიო.

- რატომ არ გეწვევი, ხვალ შენ უკვე სუფთა საბჭოთა მოქალაქე იქნება. წადი. ოღონდ იცოდე, თერთმეტ საათზე აქ იყავი, ერთი წუთით არ დაიგვიანო.

რატომღაც ისე მოხდა, რომ პატიმარი თერთმეტ საათზე კოლონიაში ვერ გამოცხადდა. თორმეტის ნახევარზე მის სახლში თითონ ჯგერენაია შეიჭრა, ნაგანი დაახალა და იქვე, ცოლ-შვილისა და ნათესავ-მეგობრების თვალწინ მოჰკლა. ჯგერენაია დააპატიმრეს, მიუსაჯეს და ჩვენ კოლონიაში გამოგზავნეს, სადაც ადმინისტრაციამ მას... კულტურულ-აღმზრდელობითი ნაწილი ჩაბარა.

ასეთსავე „საპატიო“ თანამდებობაზე დანიშნეს ის ჩეკისტიც, ვინცელბაქიძის დაღმართზე სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდა მოჰკლეს.

და ასე შემდეგ.

49-ე კოლონიაში სრულიად შემთხვევით წავაწყდი ერთ დოკუმენტს, რომელმაც, ჯერ კიდევ ახალგაზრდას, გულუბრყვილოს და გამოუცდელს, თვალი ბევრ რამეზე ამიხილა. დოკუმენტი რუსულ ენაზე იყო დაწერილი და კიევის ოლქის შინსახკომისათვის

გაუგზავნიათ. მე მისი ასლი წავიკითხე.

„ჩვენი კოლონია“, - ეწერა რეგისტრირებულ და დანომრილ დოკუმენტში, - „სტრელოკის“ (ესე იგი, უბრალო ჯარისკაცის, „ვერტუხაის“, შეიარაღებული მოდარაჯის. - რ.კ.) თანამდებობაზე ვაპირებთ -ს დანიშვნას (გვარი აღარ მახსოვს. - რ.კ.). მას 1932-34 წლებში კიევის ოლქში, სოფელ №-ში უცხოვრია. გთხოვთ, შეგვატყობინეოთ, გაქვთ თუ არა მასზე რაიმე მაკომპრომეტირებელი მასალა, რის შედეგადაც გადავწყვეტთ მისი თანამდებობაზე დანიშვნის საკითხს“.

არ ვიცი, ინახებოდა თუ არა იმდენი ხნის განმავლობაში კიევის შინსახკომში რაიმე „მაკომპრომეტირებელი მასალა“ უბირ გლეხკაცზე, რომელსაც 40-45 წლის ასაკშიც კი „ვერტუხაის თანამდებობის“ გარდა ვერაფრისთვის მიულწევია. ის კი ნათელია თუ რა ტოტალური თვალთვალი იყო მაშინ გამეფებული ქვეყანაში, რომელსაც „ხალხთა მამა“ თავისუფლების შუქურას უწოდებდა.

მართლაც უსაზღვრო იყო ბელადის უტიფრობა და სითავხედე! იმავე უკრაინაში რამდენიმე წლის წინ გლეხობის ნახევარი შიმშილით ამოწყდა, ის კი ტრიბუნაზე ავიდა და ქვეყანას სწორედ ის ეპითეტი - „თავისუფლების შუქურა“ უწოდა. ხოლო რაც შეეხება „გლეხობის ნახევარს“, მკითხველმა განსაჯოს, მქონდა თუ არა ამ ციფრების დასახელების უფლება. საბჭოთა ისტორიკოსებმა განაცხადეს, ჩვენ არ ვიცით, მაშინ უკრაინაში რამდენი გლეხი ამოწყდა, უცხოური წყაროები ორ ციფრს ასახელებენ - 7 მილიონს და 17 მილიონს, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ სიმართლე სადღაც ამ ორ ციფრს შუაა(?!).

საბჭოთა ისტორიკოსები უცხო ქვეყნების წყაროებში ეძებენ, თუ მათ ქვეყანაში რამდენი გლეხი ამოწყდა! ქვეყანაც და ისტორიოგრაფიაც ასეთი უნდა! მაგრამ სადღა ვეძიოთ, თუ სხვა სოციალური ფენების რამდენი წარმომადგენელი ამოწყდა „თავისუფლების შუქურაში“?

ორიოდე სიტყვა უშიშროების ორგანოების მიერ იმ „მაკომპრომეტირებელი მასალების მოპოვების გზებსა,

საშუალებებსა და მეთოდებზე. ამ საქმეში მთავარ როლს, რა თქმა უნდა, საიდუმლო მოთვალთვალეები, ე.წ. „სეკსოტები“ ასრულებდნენ (შემოკლებული „Секретный сотрудник“). ახლა ჩემთვის ძნელია მათი ზუსტი რიცხვის, მოსახლეობასთან მათი რაოდენობის შეფარდების დასახელება (ასეთი ციფრები ამასწინათ გამოქვეყნდა ჩეხოსლოვაკიაში), მაგრამ უდავოა, რომ სტალინს და მის ბანდას ისინი პირდაპირ აურაცხელი ჰყავდა და მათ დიდ ფულსაც ახარჯებდა. იყვნენ მუდმივი სეკსოტები - ისინი სისტემატურ გასამრჯელოს იღებდნენ, იყვნენ დროებითი სეკსოტებიც - ამათ რაიმე ერთ დავალებას შეასრულებინებდნენ, მერეკი ფულს ან მისცემდნენ, ან არა. სეკსოტს შეეძლო უშიშროების ორგანოებისთვის „მაკომპრომეტირებელი მასალა“ მიეწოდებინა საკუთარ მამაზე, და-ძმაზე, ცოლზე, შვილებზე... რაც უფრო მეტ „იდეურ-პოლიტიკურ სიფხიზლესა“ და „პრინციპულობას“ გამოირჩეოდა, მით უფრო მეტად აფასებდნენ და პატივს სცემდნენ მათ უშიშროების ორგანოები. თავისთავად ცხადია, რომ სეკსოტები არც თითონ უშვებდნენ ხელიდან შემთხვევას, რომ უშიშროების ორგანოებისათვის „მასალა“ მიეწოდებინათ, მათთვისაც საქმე გაეჩინათ და თითონაც რაღაცას გამორჩენილიყვნენ. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, და ეს ნამდვილადაც ასე იქნებოდა, რომ სეკსოტების მიერ მიწოდებული მასალა ყოველთვის არ გამოირჩეოდა დიდი სიზუსტით, მიუხედავად იმისა, რომ იმ „სეკსოტებს“ სხვა „სეკსოტები“ უთვალთვალებდნენ და ამოწმებდნენ. ხოლო რომლებს დაუჯერებდნენ და „საქმეს“ ვისი „მასალების“ საფუძველზე აღძრავდნენ, ეს უკვე უშიშროების ორგანოების საქმე იყო. (სხვათა შორის, მკითხველს ვთხოვ, „სეკსოტების“ რიგში ნუ ჩარიცხავს ქალბატონ ზინაიდა პეტრეს ასულ ზუმბაძეს, რომელმაც ჩვენზე განცხადება შეიტანა. ჯერ ერთი, მას გასამრჯელო არ მიუღია და, მეორეც, მან უბრალოდ მოქალაქეობრივი ვალი მოიხადა თავისი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს წინაშე, რომელმაც მას, მართალია, მამა დაუხვრიტა, მაგრამ სამაგიეროდ დედა ციხეში სულ რაღაც რვა წელიწადი ამყოფა და მერე კიდეც გაათავისუფლა).

სეკსოტების ვინაობა ძალიან მალე ცნობილი ხდებოდა კოლონიის თუ ლაგერის მოსახლეობისათვის. ასე რომ, ფაქტიურად ისინი არავითარი საიდუმლო მოთვალთვალენი, მართლა სეკსოტები კი არ იყვნენ, არამედ ყველასათვის ცნობილი, ყველას მიერ შეძულებული ნაძირალები, რომელთა გამოჩენისთანავე ყველა ხმას ჩაიკმენდდა ხოლმე, არადა იქნებ საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის ქებაც კი წამოეწყო, თუმცა გულში ამ ორ ფენომენზე მეტად არაფერი ძულდა. თითონ უშიშროების ორგანოებიც არ იჩენდნენ დიდ ფხას და უნარს თავიანთი საიდუმლო აგენტების ნამდვილად გასაიდუმლოებაში.

კოლონიაში მიყვანისთანავე კეთილისმსურველებმა სახელდებით ჩამოგვითვალეს ყველა იქაური სეკსოტი, ვისთანაც ფრთხილად უნდა ვყოფილიყავით. მათი ვინაობა უკვე ყველამ იცოდა. კიდევ უფრო უნიჭოდ იქცეოდნენ პატივცემული უშიშროების ორგანოების თანამშრომლები რუსეთის დიდ ლაგერებში. და პატიმრები სამუშაოზე გასასვლელად რომ დაეწყობოდნენ, „ნარიადჩიკი“, ან სხვა ვინმე, ყველას გასაგონად დასაჭექავდა, ივანოვო ან, ვთქვათ, სიდოროვო, შენ დღეს ზონაში რჩები, სამუშაოზე არ წახვედიო. და უკვე მთელმა ლაგერმა იცოდა, რომ ივანოვს თუ სიდოროვს ოპერ-რწმუნებული იხმობდა და სეკსოტობას შესთავაზებდა. მე ეს პირდაპირ ვუთხარი კომი რესპუბლიკაში ინკოს ლაგერის ოპერ-რწმუნებულებს, რომელთაც ასევე ზონაში დამტოვეს, სეკსოტობა შემომთავაზეს და თან დამპირდნენ, ნურაფრის გეშინია, ვერავინ ვერაფერს გაიგებსო.

- რაღა ვერ გაიგებს, დღეს „ნარიადჩიკმა“ ქვეყანას გააგონა, კობიძე ზონაში რჩებაო.

- ეგ არაფერია... ზონაში ბევრი მიზეზით შეიძლება დაგტოვონ. ა? რას იტყვი? არ დაგვეხმარები? შენ ხომ მაინც საბჭოთა ადამიანი ხარ?

- საბჭოთა ადამიანი კი ვარ, მაგრამ დახმარებით მაინ ვერ დაგეხმარებით.

- ბენდეროვცების გეშინია?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- არავისი არ მეშინია.

- შენ იცი...

- ნახვამდის!..

საერთოდ, კოლონია-ლაგერების დამშეულ მოსახლეობაში ოპერრწმუნებულებს მაინცადამაინც არ უჭირდათ სეკსოტების მოპოვება.

რალა დასამალია, მუდმივი, გამომასულელებელი შიმშილი ადამიანს ბევრი სიმდაბლისაკენ უბიძგებს. მაგრამ ვილებ ჩემს თავზე პასუხისმგებლობას და ვაცხადებ, რომ მიუხედავად შიმშილისა, დამცირებისა, ტანჯვა-წამებისა და მიუხედავად იმ შელავათებისა, რასაც ოპერ-რწმუნებულები სეკსოტებს უქმნიდნენ, კოლონია-ლაგერების მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ზიზღით უარყოფდა ჩეკასთან თანამშრომლობასაც და იმ შელავათებსაც. ეს კი აორკეცებდა ჩეკისტების სიძულვილს პატიმრებისადმი, რასაც პატიმრები თავის მხრივ ორმაგი სიძულვილით პასუხობდნენ. ასეთ სიძულვილში გადიოდა ათეული წლები.

ჩემი დაპატიმრების პირველ დღეებში, სანამ პროკურორის სანქციას აიღებდნენ და მალანიას განყოფილებაში ვყავდით, რაკი დარწმუნდნენ, რომ დანაშაული არაფერი მქონდა, ერთმა კაპიტანმა, გვარად, მგონი, კორინთელმა, უშიშროების ორგანოებთან თანამშრომლობა შემომთავაზა. ამ ორგანოებისადმი ბავშვობიდანვე ჩამოყალიბებული ურთიერთობა მქონდა და კორინთელის ნართაულები ვითომ არც კი გამიგონია. მერე, გადასახლებიდან რომ ჩამოვედი, ერთმა საკმაოდ ცნობილმა მწერალმა მითხრა, შე სულელო, მიგეცა ხელწერილი და მაშინვე გამოგიშვებდნენ, იმდენი წელიწადი ციხეში ტყუილად გაგიტარებიაო.

- მერე უნდა მეჯაშუშა?

- აჰაჰ! დაგიძახებდნენ - ეტყოდი, მთავრობის წინააღმდეგ არავინ არაფერს ლაპარაკობსო და - მორჩა!

არ ვიცი... არა მგონია, უშიშროების ორგანოების ბრჭყალებიდან თავის დაძვრენა ასე ადვილი ყოფილიყოს. მაგრამ, ასე იყო თუ ისე მაგათთან თანამშრომლობა არასოდეს ფიქრადაც კი არ მომსვლია.

ერთი წლის შემდეგ № 49 კოლონიის უფროსი რატომღაც გამოცვალეს - მაიორი კილურაძე წავიდა და მის ნაცვლად მაიორი ხაჩატროვი მოვიდა. ამან იმით დაიწყო, რომ დაუყოვნებლივ გამათავისუფლა კლუბის გამგის თანამდებობიდან, - როგორ დავიჯერო, რომ ანტისაბჭოთა ელემენტს პატიმრობის საბჭოური სულისკვეთებით აღზრდა შეუძლიაო. საერთოდ, განსაკუთრებულ ყურადღებას მაქცევდა. ერთი ხნის შემდეგ შიმშილისაგან დასიებულ და დალურჯებულ პატიმრებს დიდი წრე შეაკვრევინა და გარმონის ხმებზე ცეკვა-თამაში გაამართვინა. წარმოიდგინეთ, რა საყურებელი იქნებოდა ჩამოხეულ-ჩამოწეწილი, ფეხშიშველა, შიმშილისაგან დაოსებული „დახადიაგების" ქანცმილეული ბაჯბაჯი. ხაჩატროვი კი გამოჩენილ ადგილზე იდგა და ტაშს ისეთი გატაცებით უკრავდა, თითქოს მსოფლიო საბალეტო ხელოვნების უკეთესი ოსტატების კონცერტზეაო. მერე მეც ჩამაცივდა, კობიძე, ჩამოუარეო. ხმა არც კი გავეცი და იქაურობას გავეცალე. ამის შემდეგ ხაჩატროვმა საბოლოოდ გადაწყვიტა, ამ კაცის გამოსწორება შეუძლებელიაო და თავი, სხვა უიმედო ქურდ-ბაცაცებთან ერთად, შორეულ ეტაპში მიკრა, რაც მაშინ სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იყო, - რა ვქნა, ვერაფერს გავხდი, დაიღუპოს, ჩვენ კაცობრიობის ნათელი მომავლისთვის ვიბრძვით, ბრძოლა კი მსხვერპლს მოითხოვსო.

თურმე, ჩემზე ხაჩატროვს ხელი საბოლოოდ კულტურულ-აღმზრდელობითი ნაწილის უფროსმა, შინსახკომის ყოფილმა ლეიტენანტმა გრიშა გაბუნიამ ჩააქნევინა, რომელსაც „სულ რაღაც" ერთი მანქანა ყურძნის მოპარვა არ აპატიეს და ჩეკისტის გამორჩეული სამოსელი პატიმრის „ტელეგრეიკაზე" გააცვლევინეს. თანამშრომლებზე განაწყენებული გრიშა გულახდილად ჩიოდა, იმიტომ კი არ ჩამსვეს, რომ მოვიპარე, არამედ იმიტომ, რომ იმათ არ ვუწილადეო. ჩემდამი სიძულვილისთვის კი გაბუნიას სერიოზული მიზეზი ჰქონდა, - „ვითომ, უმაღლესი აქვს დამთავრებული, ბელადების ბიოგრაფიაზე კი წარმოდგენა არა აქვს, რომ ბერიამ მენშევიკებს აჯანყება მოუწყოო". სად და როდის მოუწყო ბერიამ აჯანყება მენშევიკებს, ეს გრიშა გაბუნიას საიდუმლოდ დარჩა.

თითონ გრიშამ კი, თურმე, განთავისუფლების შემდეგ ის ყურძენი უკანვე მიიტანა და სამუშაოდ მინისტრთა საბჭოში მოაწყვეს.

„კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის მებრძოლს“ კი ხელი სახელმწიფოს სალაროში ჩასცდენია და სამუშაოდ ახლა სხვა კოლონიაში გაუგზავნიათ, ოღონდ ამჯერად სულ სხვა თანამდებობაზე. ხოლო ჩემი გადასახლებიდან დაბრუნება რომ გაუგია, უთქვამს, - ყოჩაღ, მუდამ ვიცოდი, რომ ეგ ბიჭი ყოველგვარ განსაცდელს გაუძლებდაო. ოღონდაც, ვინც 49-ე კოლონიის რეჟიმს გაუძლო, ის ჯოჯოხეთსაც გაუძლებდა სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ჩვენ, პატიმრებს დღეში 13-14-ჯერ გვთვლიდნენ: ორჯერ - დილით - ჭიშკართან მწყობრად მოჯარულებს, სანამ ჭიშკარიდან გავიდოდით; კიდევ ორჯერ - ჭიშკრიდან გასვლის შემდეგ; სამასიოდე ნაბიჯის შემდეგ მშენებლობის ჭიშკარს მივადგებოდით და კონვოის უფროსი აქაც ორჯერ გადაგვთვლიდა, სამუშაო ზონაში მერე-ღა შეგვიშვებდნენ. საღილად, 1 საათზე, ისევ ორჯერ გადათვლა, სამუშაოს დამთავრების შემდეგ ორჯერ დათვლა ჭიშკრამდე, ორჯერ - ჭიშკრის შემდეგ და ისევ ორჯერ კოლონიის ჭიშკართან. საღამოს, ძილის წინ კიდევერთი საერთო შემოწმება. ხოლო, როცა სათვალავი აერეოდათ, ეს კი თითქმის ყოველდღე ხდებოდა, მაშინ 18-20-ჯერ გვთვლიდნენ. ნამდვილად კარგი სკოლა იყო!

ხაჩატუროვის მიერ შორეულ ლაგერებში გაგზავნილი ჯერჯერობით ისევ თბილისს შევრჩი და ღრმალელის აგურქარხანაში მოვხვდი, რომელიც რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობას აგურით ამარაგებდა, თუ რა თქმა უნდა, შეიძლება აგური ეწოდოს იმას, რასაც ჩვენ მეტალურგიული გიგანტის მშენებლებს, ესე იგი, ჩვენსავით ჩამოხეულ-ჩამოძენძილ, მშიერ და მკბენარებით სავსე პატიმრებს ვუგზავნიდით. ამ კოლონიაში თვალნათლივ დავინახე, თუ რას წარმოადგენდა მეურნეობისა და საწარმოების გაძღოლის მაშინდელი პრინციპები.

სამუშაო ზონის უზარმაზარ ეზოში ე.წ. გოფმანის ღუმელის ვეებერთელა შენობა იდგა. ის ღუმელი დამპროექტებელსა და ამშენებელს 12 მილიონ აგურზე გაუთვლია, ე.ი. ნორმალური

ექსპლოატაციის დროს ეს ლუმელი წელიწადში 12 მილიონ ნორმალურ აგურს იძლეოდა. მაგრამ საბჭოთა კავშირს ხომ ამერიკისთვის უნდა გაესწრო! ამიტომ ზემდგომმა ამხანაგებმა მოითხოვეს „ლუმელის წარმადობის მნიშვნელოვნად გაზრდა". ნედლი აგურის დამზადების მნიშვნელოვნად გაზრდა კიდევ შეიძლება - მეტ თიხას მოსჭრი, მეტ საშრობს ააშენებ, მეტ მუშას დაასაქმებ - და ნედლი აგურიც მეტი გექნება. მაგრამ როცა საქმე ლუმელზე და ნედლი აგურის გამოწვაზე მიდგება, მაშინ საქმე რთულდება. გოფმანს ზუსტად ჰქონდა დადგენილი, ლუმელში ცეცხლის ალი როგორი ტემპერატურისა უნდა ყოფილიყო და ნედლი აგურის წყებაში როგორი სისწრაფით უნდა ემუშავა. მაგრამ გოფმანი ამერიკას არ გამოკიდებია. ის თავის საქმეს აკეთებდა. საბჭოთა ინჟინრებმა კი, ვისაც „ზემდგომი ამხანაგების მითითებათა" უგულებელყოფა ისევე არ შეეძლოთ, როგორც ამომავალი მზის მთის გადალმა გადაგორება, ამოცანა მეტად მარტივად გადაწყვიტეს: ცეცხლის ალის ტემპერატურა მკვეთრად გაზარდეს და ალის მოძრაობის სისწრაფეც ასევე მკვეთრად გააძლიერეს. გამომწვარი, ე.ი. გარედან შეტრუსული და გაწითლებული, შიგნით კი ნახევრად ნედლი აგურის გამოშვება მკვეთრად გაიზარდა, აგურის ხარისხი ასევე მკვეთრად დაეცა. ხშირად მიფიქრია და სანდო ხალხისთვისაც მიკითხავს, ამ რუსთაველ-რატომ-ღა ვაშენებთ, თუ დასანგრევად გვინდა-მეთქი. პასუხი კი არსად იყო.

აგურის საწყობის გამგედ დამნიშნეს. ამაში დიდი წვლილი შეიტანა განსვენებულმა ალიოშა ასათიანმა, აგრეთვე ანტონ წულუკიძემ, რომელმაც კოლონიის ელიტას - იმავე ალ. ასათიანს და სხვებს ლუტუშა მაჭავარიანის მეშვეობით ჩემი პიროვნების ზეპირი, მაგრამ ფრიად დადებითი დახასიათება გამოუგზავნა.

საწყობის გამგეობა საკმაოდ თავსატეხი საქმე იყო. ერთსადაიმავე დროს ხდებოდა გოფმანის ლუმელის რამდენიმე გახსნილი კარიდან „გამომწვარი" აგურის გამოზიდვა და შტაბელებად დაწყობა, აგურის დატვირთვა ოცამდე მანქანაზე და რკინიგზის ჩიხში გაგზავნა, საიდანაც იგი პლატფორმებით რუსთავში მიდიოდა.

კეთილმსურველებმა თავიდანვე გამაფრთხილეს, ღუმელიდან აგურის გამომზიდავნი შეეცდებიან, მოგატყუონ და მეტი აგური მოგაწერონ, ვიდრე ფაქტიურად გამოზიდავენო; თავის მხრივ აგურის მანქანებზე დამტვირთველნიც და შემთხვევას არ გაუშვებდნენ, რომ არ მოგატყუონ და რაიმე ხეირი არ ნახონო. ამას ისიც დაემატა, რომ ღუმელიდან გამომტანთა ბრიგადირებმა იუკადრისეს ჩემი უფროსობა, ან, იქნებ, სხვა მოსაზრებებიც ჰქონდათ, და დაშინება დამიწყეს, რომ თანამდებობიდან გავქცეულიყავი. ერთი მათგანი, რაჩიკ მისირიანი მალე შემომირიგდა, მეორე კი, პროფესიონალი სპეკულიანტი, ენაბლუ კოდელაშვილი („ნუკლი, ლაც ლო დეზელტილის ბაზალსი ზეთი იყიდებოდა, სულ ცემი იყო"...) ბოლომდე არ მისვენებდა და ერთხელ გვიან შემოდგომაზე, როცა აგურხანაში მთავარი სამუშაოები დამთავრებულია, მოახერხა და 80.000 ცალი აგური დამაკლო. სახლიდან ფული მოვატანინე, იმ კოდელაშვილს მივეცი და დანაკლისი მეორე დღესვე შემივსო.

აგურის გამზიდავ მანქანებში ორი ამერიკული „სტუდებეკერიც" ერია. წესით თითო რეისზე ამათ 1500 ცალი აგური უნდა წაეღოთ. ამის ნაცვლად 1250 აღებინებდნენ, რომ მეტი რეისის გაკეთება მოესწროთ და უფრო მაღალი ხელფასი მიეღოთ (შოფრებად - თავისუფალი მოქალაქეები გვყავდნენ). დღეში ათ-ათ რეისს აკეთებდნენ და ამრიგად ყოველდღე 5000 ცალი ზედმეტი აგური მრჩებოდა. ამ ზედმეტ აგურს ისევ მისირიანს ვაძლევდი, მისი ბრიგადის პროცენტები მაღლა იწევდა და როგორც მუშები, ისე კოლონიის ადმინისტრაციაც კმაყოფილი ჰყავდა, ამათ კი, მგონი, არც გაუგიათ, რომ ის მაღალი პროცენტები ჩემი წყალობა იყო.

რკინიგზის ჩიხში საწყობის გამგედ პატიოსანი რუსი ახალგაზრდა იყო; მოვიდა, გამენდო და მითხრა, უამრავი ზედმეტი აგური მაქვს, თუ დაგჭირდეს, შემომითვალე და მოგცემო. ქვეყანამ იცოდა, რომ ის პატიოსანი ბიჭი იყო, აგურს „მარცხნივ" არ ჰყიდდა და, მიუხედავად საბჭოთა კავშირის თავისუფალი მოქალაქის საამაყო სტატუსისა, ჩემი არ იყოს, სანახევროდ მშიერი დადიოდა. ზედმეტი აგური კი იმიტომ ჰქონდა, რომ რკინიგზელებიც, ჩვენი

შოფრებისა არ იყოს, პლატფორმების დაცვისთვის ჩქარობდნენ, მეტ რეისს გავაკეთებთო, და ნაკლებ აგურს ატვირთვინებდნენ, რუსთაველ მშენებლებს კი ატყუებდნენ, რა ნორმაც გეკუთვნით, იმდენი ჩამოგვაქვსო. როგორ გამოდიოდნენ მდგომარეობიდან რუსთაველი მშენებლები, რომლებსაც რკინიგზა ყოველდღიურად ათიათასობით აგურს აკლებდა, ეს აღარ ვიცი. ასე ხორციელდებოდა ცხოვრებაში ლენინის ფორმულა - სოციალიზმი არის აღრიცხვაო.

შოფრებში ერთი ხელმრუდი მართლაც ერია, ვინმე ლოთი გრანკინი. მოტუება და ზედმეტი აგური. გატანა პირველსავე დღეს დამიპირა, მაგრამ ვერ მოახერხა. მაინც არ მოისვენა, ორიოდე დღის შემდეგ ერთი მანქანა აგური სადღაც „მარცხნივ" გააქანა, ქარხნის პარტბიუროს მდივანს დაუნახავს და - გააგდეს. ამის შემდეგ არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე შოფერს ეყალთაბანდოს. სრულიადაც არა იმიტომ, რომ გრანკინის შემთხვევამ დააშინა. უბრალოდ, ხელფასიდან ხელფასამდე თავი როგორღაც გაჰქონდათ, ნორმალურ ჩაცმა-დახურვაზე, ბინებზე, საკუთარ ავტომობილებზე და სხვა ასეთ „ბურჟუაზიულ ზედმეტობებზე" მაშინ არავინ ფიქრობდა. შოფრები ყოველ რეისზე საბუთს თითონვე, საკუთარი ხელით ავსებდენენ, „საშვსაც" თითონვე იღებდნენ და მიდიოდნენ. ხელისთვის ერთი ზედმეტი აგურიც კი არავის გაუყოლებია.

ქარხანაში შოფრებს გარდა მხოლოდ ერთი თავისუფალი მუშა იყო ბებერი ძია შაქრო, პატიმრებზე უფრო ჩამოძენძილი, მშიერი და გაწამებული. თავისუფალი მოქალაქეები იყვნენ ქარხნის დირექტორი, მთავარი ინჟინერი, საგეგმო ნაწილის და საამქროს გამგე, მოლარე და დირექტორის პირადი მდივანი, ჩეკისტი-ქალი. ერთიც - ინჟინერი, ვინმე უკლება. სხვები ორასამდეკაცი, - პატიმრები იყვნენ. დაუმატეთ ამათ ერთი ორმოცდაათი „ვერტუხაიც", თავიანთი ოფიცრიანად და სრული წარმოდგენა გექნებათ სტალინური ეკონომიკის და მეურნეობის პრინციპებზე.

საერთოდ, ძალიან მიკვირს, როცა სტალინის ლაგერებზე ლაპარაკისას მხოლოდ კოლიმას, მაგადანს, ვორკუტას, შორეულ

ალმოსავლეთ, ყაზახისტანს ახსენებენ. ხალხმა დღესაც კი არ იცის, რომ ჩვენს მზიურ საქართველოში 70-მდე კოლონია და ერთიც - რუსთავის უზარმაზარი ლაგერი იყო. ყველაფერი, რაც იმ წლებში აშენდა და გაკეთდა, უფლებააყრილი, მშიერი გაწამებული და თავმოძულებული პატიმრების ნახელავია. პატიმრებმა ააშენეს რუსთავის მეტალურგიული, ქუთაისის საავტომობილო, თბილისის ელმავალმშენებელი, სანაპირო, ცირკი, „დინამოს" სტადიონი... პატიმრებს გაჰყადათ გზები, ჰკრეფდნენ ჩაის, მუშაობდნენ, მაღაროებში, ფაბრიკა-ქარხნებში... და ამავე დროს პატიმრების შრომა უკიდურესად საზარალო იყო ეკონომიური თვალსაზრისით: ჯერ ერთი, ყოველ 4-5 პატიმარზე საშუალოდ ერთი შეიარაღებული ყარაული და ასევე შეიარაღებული ადმინისტრატორი მოდიოდა - სულ ჯან-ღონით სავსე ხალხი და მეორეც: როგორ შეიძლება, პატიოსანი და ხარისხიანი შრომა მოსთხოვო შიმშილისაგან დაოსებულ ადამიანს? მაშინ გაჩნდა ახლა საყოველთაოდ ცნობილი სიტყვა „ტუფტა", რაც ყალთაბანდობას ნიშნავს. ყოველი საქმე - პატარა თუ დიდი ორჯერ-სამჯერ კეთდებოდა და ბოლომდე რიგიანად გაკეთებული მაინც არასოდეს ყოფილა. ამისი მკაფიო მაგალითები იგივე რუსთავის მეტალურგიული, თბილისის ელმავალმშენებელი და ქუთაისის საავტომობილო ქარხნები გახლავთ. არა მგონია, ამ ქარხნების პროდუქციით მსოფლიო ბაზრების დაპყრობა შევძლოთ.

საქართველოს კოლონიებში 1948 წლამდე შიმშილი, განუკითხაობა, ჭუჭყი, სიყალბე, ქრთამი, უსამართლობა მეფობდა. მაგრამ ერთი სასიკეთო ნიშანიც გაჩნდა: ე.წ. „ჩათვლები" შემოიღეს. თუ პატიმარი კარგად იმუშავებდა, მას პატიმრობის ერთი დღე ორ და სამ დღედაც კი ჩაეთვლებოდა. ამან საერთო განწყობილება საგრძნობლად აამაღლა ათწლიანი ვადის სამ-ოთხ წელიწადში მოხდა ხუმრობა არ გახლავთ. ქურდები არც მანამდე მუშაობდნენ და არც ამის შემდეგ. იმ დამშეულმა პოლიტპატიმრებმა კი, რაც შეეძლოთ, ხელი გამოიღეს. სამუშაოს პირდაპირ თავს აკლავდნენ და ამ გზით პატიმრობის ვადას საგრძნობლად იმცირებდნენ.

მაგრამ ეს შელავათიც სრულიად მოულოდნელად, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მოისპო. 1948 წლის აგვისტოში გამოუკლებლივ ყველა პოლიტიკურ პატიმარს ხელი დაგვავლეს, სატვირთო ვაგონებში შეგვრეკეს და თავი იმიერ-პოლარეთში, შორეულ აღმოსავლეთში, ციმბირში თუ შუა აზიაში გვიკრეს, იქ კი ისეთი სასტიკი რეჟიმი შეგვიქმნეს, რომლის აღწერაც კი ძნელია. არავითარი კავშირი გარესამყაროსთან, წელიწადში მხოლოდ ერთი წერილი, ზურგზე და მუხლთან - ნომრები (ჩემი ნომერი იყო - 354), კატორღული შრომა, დაუსრულებელი შიმშილი, აღარავითარი „ჩათვლები“ და აშ. ლაგერის ადმინისტრაცია და შეიარაღებული დაცვა, რა თქმა უნდა განუხრელად ახორციელებდა ყველა ამ დრაკონულ ზომებს, მაგრამ, სიმართლე უნდა ვთქვა, რეჟიმის ასეთი გამკაცრების მიზეზი ცათ თითონაც არ იცოდნენ. მართლაც: ომი მოგებულია, ქვეყანამ შვებით ამოისუნთქა, საბარათო სისტემა მოისპო (მაშინ ჯერ ბევრმა არ ვიცოდით, ამას სტალინმა როგორი მეთოდებით მიაღწია), ყოველწლიურად ხორციელდებოდა ე.წ. „ფასების დაკლება“ (ბევრი მაშინაც ხვდებოდა, რომ ეს ბლეფი იყო), უცხოეთის ბევრ სახელმწიფოში ციხეები სულ დაიცალა და მათზე თეთრი ბაირაღები აღმართეს... აქ კი...

ვერავის ვერაფერი გაეგო. ძველი პატიმრები შიშობდნენ, ალბათ, დახვრეტები დაიწყებაო, წინათაც ასე იყო ხოლმეო... რამდენიმე წელიწადი გაუსამართლებლად დახვრეტის შიშში გავატარე, მაგრამ... ქ. ინტაში, სადაც მე ვიყავი, მხოლოდ ერთი კაცი, ყოფილი პოლკოვნიკი პავლოვი დახვრიტეს. რატომ, დანამდვილებით დღესაც არ ვიცი. ამბობდნენ, ამხანაგები დაანამუსა, თუ აქ სამუშაოდ ჩამოგვრეკეს, ვიმუშაოთ, მაგრამ თუ ამოხოცვა დაგვიპირეს, მაშინ ხელი გამოვიღოთო. ერთმა ამხანაგთაგანმა გასცა.

ამასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა: რამდენი სულიერი ბოგინობს ამ ქვეყნად ახლაც, ვისაც ხელი აქვს გასვრილი ამხანაგების, მეგობრების, თვით უახლოესი ნათესავების სისხლში. რა დათვლის!.. ისინი ხომ არ ბრძანდებიან, ყოველ გზაჯვარედინზე რომ გაჰყვირიან, გვიშველეთ, ქვეყანა იღუპება, სტალინს

გვილანძღავენო.

იმავე ხანებში დაიწყო ყოფილ სამხედრო ტყვეთა დაპატიმრება-გადასახლებანი. იზრდებოდა და იზრდებოდა ლაგერების მოსახლეობა.

გავიდა ორიოდე წელიწადი და საბჭოთა კავშირში კიდევ ერთი დიდი მასშტაბის სადამსჯელო ღონისძიება განხორციელდა. თბილისელებს ეხსომებათ: ქალაქში კაზაკები შემოიყვანეს და უამრავი ხალხი გაუსამართლებლად გადაასახლეს. ის „ღონისძიება" ქვეყნის ყველა დიდ ქალაქში განხორციელდა.

ამ შემთხვევაშიც ვერავინ ვერაფერი გაიგო: რატომ და რისთვის გადაასახლეს ეს სრულიად უდანაშაულო ხალხი?

ამ აქციის მიზეზი მაშინ ვერც პატიმრებმა გავიგეთ, როგორც არ ვიცოდით ლაგერებში რეჟიმის უმაგალითო გამკაცრების მიზეზები.

ახლა კი პირადად ჩემთვის ყველაფერი დღესავით ნათელია. ყველა იმ თითქოს აუხსნელი უბედურების მიზეზი სტალინსა და იოსიპ ბროზ ტიტოს შორის ურთიერთობის გამძაფრება იყო. მოგეხსენებათ, ეს ორი კომუნისტი ერთმანეთს სწორედ 1948 წელს გადაეკიდა. სტალინმა დაუყოვნებლივ დაიწყო მზადება ტიტოს გასანადგურებლად და ამიტომ თავისი „ზურგის განმტკიცებას" შეუდგა.

1950 წელს დაიწყო კორეის ომი. ჩვენი პროპაგანდა იუწყებოდა ამერიკელები ომის გამოუცხადებლად ვერაგულად თავს დაესხნენ ჩრდილო კორეასო. მაგრამ არსებობს ომის ერთი დაუწერელი კანონი: ის, ვინც მეზობელ ქვეყანას თავს მუხანათურად, ომის გამოუცხადებლად ესხმის, პირველ ხანებში მოწინააღმდეგის ტერიტორიის ნაწილს მაინც იკავებს. ამის მკაფიო მაგალითად ისევ გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დასაწყისი გამოდგება. კორეაში კი სრულიად გაუგებარი რამ მოხდა: ამერიკელები ომის გამოუცხადებლად და ვერაგულად დაესხნენ თავს ჩრდილო კორეას, მაგრამ წინ წაწევისა და მოწინააღმდეგის ტერიტორიის, თუნდაც ამ ტერიტორიის ნაწილის დაკავების ნაცვლად თითონვე მოკურცხლეს და ლამის ზღვამდე სულმოუთქმელად ირბინეს.

ამ გარემოებამ მაშინვე ბევრი ჩააფიქრა.

ომი კი გაგრძელდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ამ ომს მაინც შორიდან ვუყურებთ და რალაც ადგილობრივი მნიშვნელობის კონფლიქტად მიგვაჩნია. ნამდვილად კი ეს ხანგრძლივი, და მძიმე ომი იყო, რაც ორივე მხარეს - ამერიკელებსაც, ჩრდილო და სამხრეთ კორეელებსაც და ჩინელებსაც - ჩინელი „მოხალისეები" ომში პირველი დღეებიდანვე ჩაებნენ, - აურაცხელ ადამიანურ და მატერიალურ მსხვერპლად დაუჯდა. მარტო კორეელი გაწყდა ცხრა მილიონი. დაღუპული ჩინელი მოხალისეების, ამერიკელებისა და რუსების, - დიახ, რუსების, - რიცხვი დღესაც არავინ იცის. პროფ. სპიცინი წერდა, კორეის ომამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში სტანდარტული საცხოვრებელი სახლი 5000 დოლარი ღირდა, კორეის ომის შემდეგ კი ისეთივე სახლის ფასმა 10.250 დოლარს მიაღწიაო.

1950 წელს დაწყებული ომი სამ წელიწადს 1953 წლის ივნისამდე გაგრძელდა და გენერალისიმუსის გარდაცვალებიდან სამი თვის შემდეგ შეწყდა (!) მას აქეთ კი ბარე ორმოცი წელიწადი გავიდა და ამერიკელები ჩრდილო კორეას თავზე ერთხელაც კი აღარ დასხმიან. საკვირველი კია: გენიალური მხედართმთავრის სტალინის არ შეშინებიათ და ხრუშჩოვსა, ან ბრეჟნევს მოერიდნენ?

ამერიკელებს 1950 წელს ჩრდილო კორეაზე თავდასხმა და მესამე მსოფლიო ომის გაჩალება ფიქრადაც არ მოსვლიათ. მესამე მსოფლიო ომი სტალინმა და მაო ძედუნმა გააჩალეს. ჩანაფიქრი არც თუ ისე რთული იყო: ამერიკის შეერთებული შტატები უნდა ჩაეთრიათ დიდ ომში კონტინენტალურ ჩინეთთან. ეს სტალინს ხელ-ფეხს გაუხსნიდა ევროპაში, რასაც ტიტოს განადგურება სიბერეში შესული სტალინის მთავარი საზრუნავი და - კიდევ, იქნებ, ორიოდე ევროპულ სახელმწიფოში სოფლის კოლექტივიზაცია მოჰყვებოდა', რაიც, სტალინის აზრით სოციალისტური ალმშენებლობის უმთავრესი პირობა იყო, რომელი ქვეყანაც კი არ უნდა გადასულიყო სოციალისტურ რელსებზე.

მაშინდელი ამერიკელი სარდალი შორეულ აღმოსავლეთში

მაკარტური წამოეგო კიდეც ამ ანკესზე და კონტინენტალური ჩინეთის ინტენსიური დაბომბვა დაიწყო. კორეის ნახევარკუნძულზე სულ უფრო და უფრო ღვივდებოდა დიდი მსოფლიო ომის ხანძარი. მაო ძედუნი დაუფიქრებლად აგზავნიდა ომის ქარცეცხლში ჩინელ „მოხალისეთა“ ახალ-ახალ ლეგიონებს. მაგრამ ამერიკელები (ან, იქნებ, მათი მრჩევლები) ბოლოსდაბოლოს მიუხვდნენ სტალინს ჩანაფიქრს, მაკარტური გადააყენეს და მის ნაცვლად გენერალი რიჯუეი დააყენეს. ამან ჩრდილო კორეელები და ჩინელები სადემარკაციო ხაზთან ამორეკა. აქვე გამაგრდა და საზღვარი ერთი გოჯითაც კი არ დაურღვევია. ჩინელი მოხალისეების ბევრზე ბევრმა შეტევამ ალარავითარი შედეგი ალარ გამოიღო, ისევე როგორც მაო ძედუნის ყბადალებულმა სამასმა თუ რვაასმა უკანასკნელმა სერიოზულმა გაფრთხილებამ მომდევნო წლებში.

უკანასკელ ხანს პრესაში თითქმის შეწყდა სტალინის კრიტიკა. თითქოს, მართლაც ყველაფერი უკვე ითქვა: გაუთავებელი, უსასტიკესი რეპრესიები, ნაძალადევი კოლექტივიზაცია და გლეხთა კლასის ამოძირკვა, ომისწინანდელი და ომისდროინდელი შეცდომები, ომისშემდგომი სიყალბენი... აპრილში ფასებს „დაუკლებდა“, წინა დღის ტარიფებს შეცვლიდა, მაისში კი სახელმწიფო სესხს გამოუშვებდა და ხალხს ორი თვის ხელფასს - წლიური შემოსავლის მეექვსედს ართმევდა... მეტი რაღა უნდა ითქვას? თითქოს, ალარაფერი. მაგრამ ჯერ არაფერი თქმულა ჯულაშვილის კიდეევერთ უმაგალითო დანაშაულზე, რასაც მხოლოდ ერთი სახელი - მესამე მსოფლიო ომის გაჩალების ცდა უნდა ეწოდოს. ეს ცდა არც ყოფილა, სტალინმა მესამე მსოფლიო ომი კიდეც წამოიწყო. მაგრამ თუ ის დიდი ხანძარი მთელს მსოფლიოს არ მოედო, ეს გენერალისიმუსის დამსახურება კი არ არის, არამედ მისი მოწინააღმდეგეებისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეთხუთმეტე

მაგრამ სანამ თბილისიდან იმიერპოლარეთის დაბა ინტაში ჩაგვიყვანდნენ და ე.წ. „მინერალურ ლაგერში“ გამოგვამწყვდევდნენ, ეტაპით 6-7 ათასი კილომეტრი უნდა გაგვევლო. ეს გზა იმსახურებს, რომ მასზე უფრო დაწვრილებით გიამბოთ.აგურხანაში დილით არაფერი ვიცოდით. სამუშაოზე არ გვიშვებს. არც კი ვიცი, იმ დღეს აგური ვინ მიიღო და გაგზავნა. შუადღეზე გამოგვიცხადეს, ბარგი შეჰკარით და ეტაპისათვის მოემზადოთო. საცვირთო მანქანებში ჩაგვსხეს და ბარგი თავზე დაგვაწყეს.„პერესილკაში“ შეგვყარეს. აქ თავმოყრილი იყვნენ პოლიტ-პატიმრები მთელი საქართველოს კოლონიებიდან, გარდა 58 12 მუხლით, ე.ი. განუცხადებლობისთვის მსჯავრდადებულებისა. არავინ გვეუბნებოდა, რას გვიპირებდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ ჯგუფებად დაგვყვეს და გასაჩხრეკად სპეციალურ სადგომებში ჩაგვიყვანეს.

უზარმაზარი ოთახის კედლებთან მერვეპოლკელი ვერტუხაები იყვნენ ჩამწკრივებულნი. ფუსფუსებდნენ ოფიცრები. „გაიხადეთ და ტანსაცმელი ფეხებთან დაიწყვეთ!“ გავიხადეთ და დავიწყვეთ. „ტრუსებიც გაიხადეთ!“ ტრუსებიც გავიხადეთ. ოთახში „ვერტუხაების“ სხვა გუნდი შემოიჭრა. დანაწილდნენ და ჩვენს ტანისამოსს ეცნენ. ყოველ შარვალს, პერანგს, წინდას, ცხვირსახოცს, ნაკერებს, ნაქსოვს დიდხანს სინჯავდნენ, ამოწმებდნენ, აქეთ-იქით ატრიალებდენენ, ჭმუჭნიდნენ, წელავდნენ, ისევ სინჯავდნენ და ამოწმებდნენ. ეს ბარე ერთ საათს გაგრძელდა. „პირები დააღეთ!“ დავაღეთ. ვიღაც წითურმა კაპიტანმა, ალბათ, დაღებული პირების სპეციალისტმა ჩამოგვიარა და კბილები, ღრძილები, ენა, სასა - ყველაფერი უდიდესი ყურადღებით დაგვითვალიერა. ეს ოფიცერი რომ გავიდა, ორი ახალი „ვერტუხაი“ შემოვიდა. „კედლისაკენ მიტრიალდით“. „დაიხარეთ!“ დავიხარეთ. სალდათებმა უკანალები შეგვიმოწმეს, ოღონდ, - ცილისწამებას არ ვაპირებ, მხოლოდ ვიზუალურად, ხელებით არ მოგვკარებიან. „გასწორდით! ტანისამოსი აიღეთ!“ გავსწორდით. მაგრამ

ტანისამოსის ხეირიანად აკრეფა ვერც კი მოვასწარი, რომ სალდათმა უკანიდან ხელი მკრა და ბუმბულივით გამაფრინა მოპირდაპირე კედელთან მდგომი სალდათისაკენ (ასე მსუბუქად და ამავე დროს შედეგიანად ხელის კვრას მხოლოდ კარგად ნავარჯიშევი პროფესიონალი თუ მოახერხებს). ამან თავიდან ფეხებამდე ამათვალიერ-ჩამათვალიერა, მომატრიალა და ხელი წელანდელი „ვერტუხაისავით" მიბიძგა. მესამე ვერტუხაისთან მივფრინდი. „Танцуем?!" - შემეხუმრა ლოყებლაჟღაჟა, პრიალაჩექმებიანი „ვერტუხაი", შემათვალიერა და მეოთხე კუთხისაკენ მიბიძგა. მაგრამ დაავიწყდა, რომ ტანისამოსიც უნდა გაეტანებინა. მყისვე ადგილიდან მოწყდა მკაცრი კაპიტანი, რომელიც მთელ ამ პროცედურას გულდასმით უთვალთვალებდა, დამნაშავეს მივარდა, კბილებიდან რალაც გამოსცრა და დამნაშავე დაუყოვნებლივ პოსტიდან მოხსნა, ამისი ადგილი სხვა „ვერტუხაიმ" დაიკავა. მე კი ამასობაში მესამე „ვერტუხაი" მბურჯგნიდა, მატრიალებდა, მსინჯავდა, ისევ მატრიალებდა... აქედან მეოთხე კუთხისკენ მისროლეს, სადაც იგივე განმეორდა. ამის შემდეგ ჩხრეკა დამთავრდა - ოთახს მეხუთე კუთხე არ ჰქონდა.

საბარგო ავტომობილებში ჩაგვსხეს, თავზე ჩვენივე ბარგი დაგვაწყობინეს და ნავთლულის სადგურისკენ წაგვიყვანეს. გარედან ჩვენი ფუთები და ჩემოდნები ჩანდა, ჩვენ კი არა. ახლა რომ ორთა-ჭალჰესია, იქ ავთანდილ გელაშვილს რატომლაც „ვერტუხაისთან" გაპაექრება მოეხასიათა. წვრილთვალება ყაზახმა მაშინვე ნაგანი დააძრო, მაგრამ სროლით აღარ უსვრია. თვალებს კი მრისხანედ ბრიცავდა. ავთანდილი ძლივს დავაწყნარე. ყაზახმა კი მას ზიზღიანი კილოთი მოკლე, მაგრამ ამომწურავი დიაგნოზი დაუსვა და რევოლვერი ისევ ბუდეში ჩაიდო. სიმართლე გითხრათ, არც მე მგონია, რომ ავთანდილი იმ წუთებში წინდახედულების განსახიერებას წარმოადგენდა.

ნავთლულის სადგურში ოცდაცამეტ-ოცდაცამეტი კაცი სატვირთო ვაგონებში შეგვყარეს. სიმართლე უნდა ითქვას, ვაგონებში დიდი სივიწროვე არ იყო. მე მეორე სართულის ნარზე,

პატარა ფანჯარასთან მოვეწყე და იმ წამსვე ლიანდაგების გასწვრივ მოწრიალე დედაჩემი დავინახე. მამაჩემს, თურმე, არ სცალოდა, თავისი დაწესებულების ბალანსზე მუშაობდა. არადა, სად მივყავდით, ან როდესმე დაბრუნდებოდით თუ არა, ეს არავინ იცოდა. დედაჩემი თან ვეებერთელა, ათასგვარი სანოვაგით სავსე ტომარას დაათრევდა, ფანჯარაში დამინახა და ის ტომარა მერვეპოლკელ „ვერტუხაებს“ გადასცა, ჩემი შვილი ამა და ამ ვაგონში ზის და გადაეცითო. ის ტომარა და სანოვაგე თვალითაც არ მინახავს, მერვეპოლკელებმა კი თავისებურად პატივი მცეს, - დედაჩემს უთხრეს, ეშელონი ინტაში მიდისო, ეს ერთი, და მეორეც - ვაგონში გადასათვლელად რომ შემოგვიცვივდებოდნენ, სხვებს ხის ჩაქუჩებს დაურთავდნენ ხოლმე, კედლიდან კედლამდე ერეკებოდნენ და ისე ითვლიდნენ. მე კი ის ჩაქუჩი ერთხელაც არ მომხვედრია. ახლა გაითვალისწინეთ, რომ გზაში ოცი დღე ვიყავით, დღე-ღამეში ათჯერ კი ან თორმეტჯერ გვთვლიდნენ. ასე რომ, ერთმა ტომარა სანოვაგემ უთვალავ დარტყმას გადამარჩინა.

მაგრამ სხვებთან ერთად ერთი სასჯელი კი გავიზიარე: წყალი დიდხანს არ მოგვცეს. წარმოიდგინეთ: აგვისტოს სიცხეში თაკარა მზის ქვეშ პატარა, თუნუქის სახურავიანი ვაგონი დგას და შიგ ოცდაცამეტი სული ვიხარშებით. თუნუქი ისეა გავარვარებული, რომ ერთ მეტრზე ვერ მიეკარები. უწყლობისაგან ვიგუდებით. ერთი წვეთი წყალი მთელს ქვეყნიერებას მირჩევნია. მაგრამ ჩვენი ხვეწნა-მუდარა არავის ესმის. იატაკზე და ნარებზე ოფლში გაღვრილნი ვყრივართ, განძრევის თავი არავისა აქვს.

- ნაჩალნიკ, ვოდი!

„ნაჩალნიკები“ თითქოს დაყრუებულან...

ეშელონი ნავთლულიდან სამხრობისას გავიდა. მოსახვევებში ვხედავდი, რომ პირველი და ბოლო ვაგონების სახურავებზე პროექტორები და ტყვიამფრქვევები იდგა და სალდათები ისხდნენ. ვითომ, ბერიას და მის ბანდას ჩემი და ჩემისთანებისა ასე ეშინოდათ? თუ თავს და კიდევ ვილაცას არწმუნებდნენ, ძალიან საჭირო უწყება ვართ, სახელმწიფოს უამრავი ძლიერ საშიში მტერი ჰყავს, მაგრამ

ჩვენ ფხიზლად ვდგევართ სოციალიზმის ინტერესების სადარაჯო? თუ ის ვილაცა თვითონვე არწმუნებდა ბერიასაც და მისიანებსაც „თავისუფლების შუქურას“ ძალიან სჭირდებით, ყველაფრით მოგამარაგებთ, თქვენ კი სიფხიზლე ერთი წამითაც არ მოადუნოთო?

გაიგოს, ვისაც შეუძლია.

წყალი მხოლოდ შუაღამისას, სადღაც აზერბაიჯანში, მოგვცეს. რაღაც დიდი სადგური იყო. ორთქლმავლებზე ისევ ЗКВЖД ეწერა. წყალი ბლომად მოგვცეს. რამდენიც გვინდოდა. ვერტუხაი ვედროს ავსებდა და მოწოდება ერთხელაც კი არ დაზარებია. წყალს თავზე და ტანზეც კი ვიცლებდით. გამოვცოცხლდით და კიდეც გავხალისდით. ფანჯრიდან გრილმა ნიავმაც გაგვიხსენა. იქნებ, სასიკვდილოდ სულაც არ მივყავართ? თუმცა, ვინ იცის... ვინ გვეტყვის, წინ რა მოგველის, ის მაინც გვითხრან, სად მივყავართ. არა! ყურსაც კი არავინ გვიგდებს. წყალი კიდევ გინდათთ? არა? მორჩა! ვაგონის კარი ხრიგინით დაიკეტა.

ოღონდ პატიმრების კვალობაზე ნორმალურად გვკვებავდნენ. სუპი მართლაც სუპს ჰგავდა, გვაძლევდნენ შემწვარი თევზის ნაჭრებს, მახორკას. გაიგე, რას გვიპირებდნენ...

მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ გენერალისიმუს სოსო ჯუღაშვილს უკვე შესანიშნავად ჰქონდა დამუშავებული მუქთა და მორალური მუშა-ხელის - პატიმრების გამოყენების პირდაპირ იეზუიტური ტექნოლოგია. სადაც საჭირო იყო, პატიმრებით სავსე ეშელონს იქ გაგზავნიდა, იმდენს აჭმევდა, რომ შიმშილით არ დახოცილიყვნენ, და ამუშავებდა. გენერალისიმუსი ალარ იმეორებდა 37-ის „შეცდომებს“, როცა 100 პატიმრიდან 97 ან იხვრიტებოდა, ან შიმშილითა და წამებით იხოცებოდა. ის დრო წავიდა! გენერალისიმუსს ომისშემდგომ წლებში უფრო ღრმად და საფუძვლიანად ჰქონდა დამუშავებული სოციალიზმის, შემდეგ კი კომუნიზმის გაშლილი ფრონტით მშენებლობის პრინციპები. მართალია, ამ „პრინციპებით“ მოქმედებას ის მოჰყვა, რომ ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობაზე, შახტებსა და მაღაროებში, საერთოდ, ყოველგვარ სამეურნეო ობიექტზე მომუშავე პატიმრების რიცხვი

მრავალჯერ სჭარბობდა ამავე მეურნეობებში დასაქმებულ თავისუფალ მოქალაქეთა რიცხვს, - ჩვეულებრივ, მაგალითად, ასჯერ ან უფრო მეტჯერაც, მაგრამ ეს უკვე გენერალისიმუსის ბრალი აღარ იყო. ნუ უღალატებდნენ სამშობლოს, ნუ ჩადგებოდნენ იმპერიალისტური ქვეყნების დაზვერვათა სამსახურში, ნუ ჩაუვარდებოდნენ ტყვედ გერმანელ დამპყრობლებს, ნუ მოუსმენდნენ, ან - უფრო უარესი - თვითონვე ნუ მოჰყვებოდნენ ანტისაბჭოთა ანეგდოტებს და - მეტს გენერალისიმუსი მათგან არაფერს თხოულობდა. ეს პატიმრებიც ისეთივე თავისუფალი მოქალაქენი იქნებოდნენ, როგორც სხვები. ამ უკანასკნელთა რიცხვი კი ქვეყნის საერთო მასშტაბით მაინც საგრძნობლად სჭარბობდა პატიმრების რიცხვს. ის ნათლად მოჩანდა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებიდან. ვისაც არ სჯერა, კეთილ ინებოს და, შეადაროს ციხე-კოლონია-ლაგერებში გამომწყვდეული 7,8,9 თუ 10 წლის ბავშვების რიცხვი იმავე ასაკის თავისუფალ ბავშვთა რიცხვს. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ თავისუფალი ბავშვთა რიცხვი შეუდარებლად უფრო დიდი იქნება.

არასოდეს დამავიწყდება ერთი პატარა ეპიზოდი. ჩვენი ეშელონი სადღაც რუსეთის სტეპში დგას. ღამეა. ვაგონს ვიღაც მოხუცებული რუსი დედაკაცი მოადგა და ჩვენს „ვერტუხაის“ შეევედრა:

- Сынок, у меня сын арестован, посмотри, может он у тебя?

– Отойди, бабка! - ყასიდად გაუჯავრდა „ვერტუხაი“, - а то я и тебя арестую.

– Только и осталось, что меня арестовать, - ამოიოხრა ბერიქალმა და სადღაც წაჩანჩალდა. ალბათ, ახლა სხვა ვაგონის „ვერტუხაის“ შეევედრა, ჩემი შვილი მაჩვენეო.

რამდენი სვეგამწარებული დედა ჩავიდა საფლავში ისე, რომ შვილის ნახვას ველარ ელირსა. მაგრამ გენერალისიმუსი რა შუაშია? იმ შვილს ასე უთხრეს, თოფი აიღე და სამშობლოს მტრებს შეებრძოლეო, მისთვის არავის უთქვამს, მტრებს ტყვედ ჩაბარდიო. და მან კარგად იცოდა, რომ გენერალისიმუსი სტალინი მკაცრი,

მაგრამ სამართლიანი კაცი იყო. როგორ? მაშ, ყოფილ ტყვეს და იმ ჯარისკაცს, რომელიც ბოლომდე თავგანწირვით იბრძოდა და რაიხსტაგი აიღო, ომგადახდილ, გამარჯვებულ სამშობლოში ერთნაირი უფლებებით უნდა ესარგებლათ? არა! სამართლიანობა - უპირველეს ყოვლისა! თანაც ქვეყანას მუქთა და მორჩილი მუშახელი ესაჭიროება. ჩამქრალია ლენინგრადის ელექტროსადგურები, გაჩერების პირზეა გორკის ავტოქარხანა, ჩამქრალნი დგანან ჩრდილოეთის რკინიგზის ორთქლმავლები. აბა, დაუყოვნებლივ, 20-30 ათასი პატიმარი დაბა ინტისაკენ. მანდაური ქვანახშირი დაბალი ხარისხისაა, მეტალურგიულ და ქიმიურ მრეწველობაში არ გამოდგება, მაგრამ ელსადგურებსა და ორთქლმავლებს მშვენივრად აამუშავებს. აბა!..

და მიჰქრიან პატიმრებით სავსე ეშელონები უცნობი იმიერ-პოლარული დაბა ინტისაკენ. ვაგონებში მსხდომმა პატიმრებმა კი არც იციან, სად მიდიან, რატომ ან რით აიხსნება, რომ მათ შედარებით ნორმალურად აჭმევენ? მართალია, ამ ულუფების გადამკიდე სიმძიმეების აწევაში რეკორდს ვერ დაამყარებ; არის ქვეყნად გაცილებით უფრო გემრიელი და ყუათიანი საჭმელები. კაცმა რომ თქვას, ნორმალურ საკვებად არც ეს საჭმელი ჩაითვლება. მაგრამ წამოდგომა და წელში გამართვა მაინც შეგიძლია. რა ხდება?

ეშელონის ბინადრებმა ოცი დღის შემდეგ გაიგეს, რაც ხდებოდა. ისინი - ყველანი - მიწის მუშები თუ პროფესორები, პიანისტები თუ ზეინკლები, ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა „ინტაუგოლის“ შახტებზე დაანაწილეს და მეშახტის მძიმე, მაგრამ საამაყო პროფესიის ათვისება აიძულეს. თანაც მათ შახტებში უნდა ემუშავათ არა თავიანთი პატიმრობის ვადის მოხდამდე, არამედ სიკვდილამდე. ასეთი იყო გენერალისიმუსის ნება. მას კი ის ქვანახშირი თავის სახლში არ მიჰქონდა, მას ყველაფერი ხალხისათვის უნდოდა. ამიტომ „საკავშირო სტაროსტა“ კალინინი იხმო, - სწორედ ის კეთილი მოხუცი მიხეილ ივანოვიჩი, რომელსაც საბჭოთა ლაგერების მოსახლეობა იმედითა და სასოებით მისჩერებოდა, - თუ ვინმე გვიშველის, ეგ გვიშველისო, - საკუთარი ცოლი კი ისეთსავე ლაგერში

ჰყავდა... სტალინმა კალინინი იხმო და საიდუმლო ბრძანება დააწერინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი 8 წელიწადი რომ გავაჯახირე, ლაგერის ჭიშკარს იგივე „ჩორნი ვორონი“ მოადგა, შეიარაღებულმა სალდათებმა ჩამსვეს და ინტას კომენდატურაში მიმიყვანეს. აქ წინ დამიდეს ბლანკი, რომელშიც ეწერა, სიკვდილამდე ინტაში უნდა დარჩე, თუ გაიქცევი, 15 წლის კატორღა მოგესჯება, თვეში ორჯერ კომენდატურაში გამოცხადდები და დაგვიდასტურებ, რომ არსად გაქცეულხარ. ღმერთი არ გაგიწყრეს, - სიტყვიერად დაუმატა კომენდანტმა, - და სადგურისკენ არც კი გაიხედო. ბლანკზე ხელი მომაწერინეს.

ერთი სიტყვით, „გამათავისუფლეს“.

ამასთან დაკავშირებით ერთ შემთხვევას გიამბობთ.

„მინლაგში“ ყოფილი სამხედრო პირი, 37-ში დახვრეტას შემთხვევით გადარჩენილი ანდრეი ბალიასინსკი იჯდა. როცა რეაბილიტაციები დაიწყო, მისმა ცოლმა მოსკოვში სსრკ შეიარაღებულ ძალთა პროკურატურაში განცხადება შეიტანა და ქმრის რეაბილიტაცია მოითხოვა. კეთილგანწყობილად მიიღეს, რამდენჯერმე დაჰკითხეს, მერე კი პროკურორმა - გენერალ-ლეიტენანტმა უთხრა, - ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რამდენიმე კითხვა პირადად თქვენს ქმარს უნდა მივცე, უთხარით, ჩემთან მოვიდესო.

- თქვენთან ვინ მოუშვებს?!..

- როგორ?!..

- იქიდან არ უშვებენ.

- საიდან?!

- სადაც არის.

- აკი ვადა მოათავაო?!

- მოათავა.

- მერე?

- მაინც არ უშვებენ.

- მაპატიეთ, ქალბატონო, მაგრამ... ასეთი კანონი საბჭოთა კავშირში არ არსებობს.

- მაინც არ უშვებენ. ნუთუ არ გჯერათ? პატიოსან სიტყვას გაძლევთ...

ქალი ატირდა. გენერალ-ლეიტენანტმა წყალი მოიტანა და ქალი ძლივს დაამშვიდა.

ძალიან საინტერესო სურათია: ქვეყნის შეიარაღებული ძალების პროკურორმა არც კი იცის, რომ ქვეყანაში მოქმედებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი კანონი, რომლის მიხედვითაც სასჯელმოხდილ პატიმარს ეკრძალება შინ დაბრუნება, იგი სიკვდილამდე ფაქტიურ პატიმრად რჩება. რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ ის გენერალ-ლეიტენანტი უგულისყურო კაცი იყო და მხედველობიდან გამორჩა კალინინის ბრძანებულება, რომელიც ათეულობით მილიონი ადამიანის ბედს განსაზღვრავდა? თუ იმიტომ, რომ მაშინ საბჭოთა კავშირში ყველაფერი გასაიდუმლებული იყო და მარჯვენა ხელმა არ იცოდა, რას იქმოდა მარცხენა?

ბალიასინსკიმ მალე სრული რეაბილიტაცია მიიღო. გავბედე და სადგურამდე გავაცილე. ეს დიდი რისკი იყო, ვინაიდან მე თვითონ ჯერ რეაბილიტირებული არ ვიყავი. საბჭოთა კავშირი კი მაშინ უკვე ოცდაათი წლის იყო. ჯულაშვილს შეეძლო ეთქვა, ოცდაათი წელიწადია, დგას საბჭოთა კავშირი, როგორც თავისუფლების შუქურაო...

ოცი დღე-ღამე იკაკუნა, იგრიალა და იღრჭიალა ჩვენმა მატარებელმა საბჭოთა კავშირის - მსოფლიოში უდიდესი სარკინიგზო სახელმწიფოს რელსებზე. ოცი დღე-ღამე მივდიოდით და ვიდექით, ვჩერდებოდით და ისევ ვიძროდით... სამხრეთის მცხუნვარება თანდათან ჩრდილოეთურმა სიგრილემ, მერე კი უკვე საკმაოდ მწვავე სიცივემაც შეცვალა. ჩვენ კი არ ვიცოდით, საით მიჰქროდა ჩვენი ბედის მატარებელი... ოცდამეერთე დღეს მატარებლიდან გადმოგვრეკეს და მაშინ-ღა გავიგეთ, რომ იმიერ-პოლარეთში, დაბა ინტაში ვიყავით, რომ აქ, ვეებერთელა სივრცეზე გაშლილ დაბაში ძალას იკრეფდა, იზრდებოდა, ფართოვდებოდა და ჭაობიანი ნიადაგის სულ უფრო დაუფრო დიდ სიღრმეებში იჭრებოდა

კომბინატი „ინტაუგოლი“. ჩვენ „მინერალური ლაგერის“ მოსახლეობა უნდა გაგვემრავლებინა - ქვანახშირი ხომ მინერალია. ხოლო რას წარმოადგენდა ეს „მინლაგი“ რეჟიმის თვალსაზრისით, ეს ორიოდე საათის შემდეგ გავიგეთ და კიდეც დავინახეთ.

სამუშაოდან ქალების დიდი ბრიგადა ბრუნდებოდა. რა თქმა უნდა, მწყობრით მოდიოდნენ, თითო მწკრივში ექვს-ექვსი ქალი, ყველა ერთნაირ „ტელეგრეიკაში“. როცა ჭიშკარს ასიოდე მეტრის მანძილზე მოუახლოვდნენ, ბადრაგის ოფიცერმა ქალებს რაღაც მოკლე ბრძანება ესროლა. უკვე კარგად გაწვრთნილ ქალებს განმეორება არ დასჭირვებიათ - ერთმანეთს ხელმკლავები გაუკეთეს, სახეები კი ზეცას აუშვირეს. ის ასი მეტრი ასე უაზროდ, არაბუნებრივად თავაშვერილებმა გამოიარეს და ჭიშკარშიც ასევე შემოვიდნენ. ნორმალური ადამიანები (და არც ცხოველები) მიწაზე ასე არ დადიან.

მეორე დღეს ბალტიისპირეთიდან დიდი, 60-ტონიანი სატვირთო ვაგონით პატიმრები მოიყვანეს. შიგ ასამდე მამაკაცი იყო შეტენილი. გზაში ორი კვირა ყოფილან და სულ ფეხზე მდგარან. ტუალეტის მაგივრობას კარებში, იატაკიდან ერთი მეტრის სიმაღლეზე გაკეთებული პატარა ნახვრეტი უწევდათ, რომელშიც ჟანგიანი თუნუქის მოკლე მილი ყოფილა გაჩრილი. და იმ ას მამაკაცში ერთი სრულიად ახალგაზრდა, ქერა, სანდომიანი ქალიც ერია. ახლაც კი ვერ წარმომიდგენია, თუ როგორ ახერხებდა ის უბედური „ტუალეტით“ სარგებლობას.

- რა აზრი აქვს ყოველივე ამას? - ვკითხე ყოფილ პოლკოვნიკს ჩალოვსკის, რომელიც გერმანელების ტყვედ სულ ნახევარი საათი ყოფილა, გამოქცეულა, ოთხი წელიწადი უომია, რამდენიმე ორდენი და, მედალი დაუმსახურებია, ომის დამთავრებითანავე კი დაუჭერიათ და, როგორც სამშობლოს მოღალატისთვის, 25 წელიწადი მიუსჯიათ.

- ყოველივე ამის აზრი მარტივი და ნათელია, - მშვიდად მპასუხობს ჩალოვსკი, ერთი უგანათლებულესი პიროვნებათაგანი, რომელიც ოდესმე შემხვედრია, პირველად არც კი დავიჯერე, რომ

ის სამხედრო პირი იყო; ასეთი სამხედროები არასოდეს შემხვედრია, შესანიშნავად ერკვეოდა ლიტერატურაში, მხატვრობაში, მუსიკაში, თვითონაც ხატავდა... - თუ ეს ყველაფერი ასე გაგრძელდა, - უკეთესი ცვლილებების იმედი კი მე არა მაქვს, პირიქით, შეიძლება, უარესიც კი იყოს, - მაშინ ჩვენ ორიოდე წელიწადში თვითონვე დავიჯერებთ, რომ მართლაც საშინელი ბოროტმოქმედები ვართ და სწორედ ასეთ მოპყრობას ვიმსახურებთ. ხოლო ერთი ახალგაზრდა, ინტელიგენტი ქალი ასი მამაკაცით გამოტენილ ვაგონში - ეს ეკონომიკური მიზანშეწონილობაა და სხვა არაფერი.

ვიღაც მაიორი ჭკუიდან ჩვენი ჩასვლის მეორე დღესვე შეიშალა. მე-5 ლაგპუნქტის - ადგილობრივი „პერესილკის" უზარმაზარ, პატიმრებით, ოფიცრებითა და „ვერტუხაებით" სავსე, ხმაურიან ეზოში უეცრად სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. და გავიგონეთ ვიღაცის მიერ ხმამაღლა, მკაფიოდ წარმოთქმული:

- Я – Иван Грозный!.. Урка Сталин снял с меня шапку. Я – Иван Грозный!..

ტანმაღალი, ქაღალდივით გაფითრებული ნამაიორალი რაღაც შემაღლებულზე შემდგარიყო და ამ სიტყვებს იმეორებდა. ჩეკისტები გონს მოვიდნენ, შეშლილს ეცნენ და სადღაც გააქანეს. ხუთი წლის შემდეგ, როცა ასევე „ლაგპუნქტში" უკვე გასათავისუფლებლად მომიყვანეს, შეშლილებისთვის უკვე ორი ვეებერთელა ბარაკი ჰქონდათ გამოყოფილი. მაგრამ, თუ სიმართლეს ბოლომდე გავყვებით, „მინლაგში" ჭკუიდან შეიშალა მეორე ლაგპუნქტის უფროსი, აგრეთვე პოლკოვნიკი.ის-ის იყო, პატიმრები ესტრადასთან შეგვყარეს. ლაგპუნქტის უფროსი დინჯად, სერიოზული გამომეტყველებით ავიდა ესტრადაზე, საიდანაც სიტყვა უნდა წარმოეთქვა იმის თაობაზე, თუ როგორ ესაჭიროება სოციალისტურ სამშობლოს ინტის ენერგეტიკული ქვანახშირი და როგორ ზრუნავს სოციალისტური სამშობლო თავის პატიმრებზე. ამის ნაცვლად პატარა, ბელურასავით ჩაპუტკუნებულმა პოლკოვნიკმა უეცრად ხელები გაშალა, სიმღერა შემოსძახა და კიდეც ჩამოუარა. ჩეკისტები მასაც ისევე მოექცნენ, როგორც „ივანე მრისხანეს".

„მინლაგის“ და ათობით სხვა ასეთივე ლაგერების უაზრო, წრესგადასული სისასტიკის რეჟიმებზე უკვე ბევრია დაწერილი. მკითხველს აღარ შევაწუხებ. ოღონდ ერთს კი ვეტყვი: ლაგერებში რეჟიმის უაზრო სისასტიკე სულ უფრო და უფრო მძაფრდებოდა. წელიწადი არ მოტრიალდებოდა, რომ რაიმე ახალი, პატიმრების კიდევ უფრო შემავიწროებელი და დამამცირებელი რამ არ მოეგონებინათ. ამაზე გაკვრით წინა თავშიც ვილაპარაკე. ლაგერის ადმინისტრაცია, ზედამხედველები, დაცვა, „ვერტუხაები“ თვითონაც გრძნობდნენ ყველა იმ „ღონისძიების“ უაზრობას, მაგრამ - დირექტივების და მითითებების ერთგულნი, - ცხოვრებაში ურყევად და სრული მოცულობით ახორციელებდნენ. ასე გრძელდებოდა სტალინის სიკვდილამდე. რეჟიმის შემსუბუქება ბერიას დახვრეტის შემდეგ დაიწყო.

მე-5 ლაგპუნქტიდან - „პერესილკიდან“ მალე მე-2 ლაგპუნქტში, გამგზავნეს, სადაც მე-4, მე-5, მე-6 და მე-10 შახტები მოქმედებდა. აქ კვება - საქართველოს კოლონიებთან შედარებით ნორმალური იყო, - ე.ი. შიმშილისაგან არავინ კვდებოდა. ტანისამოსი - სტანდარტული - „ტელეგრეიკა“, „ბუშლატი“. ოღონდ „ვალენკებს“ მხოლოდ იმათ აძლევდნენ, ვინც მაღაროში არ ჩადიოდა და „ზედაპირზე“ („На поверхности“) მუშაობდა. მეშახტეებს კი გამოუცხადეს, „ვალენკები“ თქვენ არ გჭირდებათ, შახტში ფეხები არ მოგეყინებათო. ეს მართლაც ასე იყო - შახტში ფეხები მართლაც არ მოგეყინებოდათ. მაგრამ დილით, სანამ საცხოვრებელი ზონიდან შახტამდე მიხვიდოდი, თითქმის ორი საათი რომ 40-გრადუსიან ყინვაში იყავი. ასევე - სამუშაოდან დაბრუნებისას - ისევ ორი საათი თოვლსა და 40 გრადუსიან ყინვაში. მეშახტეების ფეხების ყინულზე ბაკუნისაგან ყურთასმენა აღარ იყო.

რამდენიმე ქართველი მე-5 შახტზე მოვხვდით. ეს შახტი ექსპლოატაციაში შესული ჯერაც არ იყო. მოსამზადებელი სამუშაოები მიდიოდა. შახტის უფროსმა, ვინმე თბილისში ნამყოფმა ებრაელმა, ყოფილმა პოლიტპატიმარმა ბერეზინმა გვითხრა, ახლა თქვენ დახრილ გვირაბში (Уклон) ჩაგიყვანენ და იქაურობა ერევნის

მოედანივით გამიკრიალეთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიც არ უნდა ცდილიყავით, იმ გვირაბს ერევნის მოედანს ვერ დაამსგავსებდით. არც ძალიან მოგვინდომებია. მალე გავითავისეთ აქაური ლოზუნგი - „Где бы не работать, лишь бы не работать". პატიმრის მთავარი საზრუნავი საკუთარი სიცოცხლის და ჯანმრთელობის შენარჩუნება იყო და არა სტახანოვური შრომა სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად. თუმცა აქაც ჰყავდათ თავიანთი სტახანოველები, დამკვრელები, ქვანახშირის ოსტატები. იყო ხალხიც - ყოველგვარი რანგის პოლიტმუშაკები - რომლებსაც სერიოზულად სჯეროდათ, რომ საკმარისი იყო ოჯახს, კერას, ცოლ-შვილს მოწყვეტილი პატიმრისათვის „ქვანახშირის ოსტატის" წოდება მიგენიჭებინათ და დღეში არა შვიდასი, არამედ რვაასი გრამი ჭვავის თუ სხვა რაღაც ჯანდაბა-დოზანის პური გეძლიათ, რომ ეს პატიმარი საბოლოოდ, მთელი თავისი არსებით გაბედნიერდებოდა. რაღად უნდოდა მას ოჯახი და ცოლ-შვილი, რაკი „ქვანახშირის ოსტატის" წოდებას ელირსა?

იმ დახრილ გვირაბში სრული ორი თვე ვიმუშავე. ერთხელ ბრიგადირი და უბნის უფროსი შემომწყრნენ, თვითონ არაფერს აკეთებს და სხვა ქართველებიც აიყოლიაო. მხოლოდ 300 გრამი პური გამომიწერეს და ლაგერში უზარმაზარ შავ დაფაზე ჩემი გვარი გამოჭიმეს. მერე დილით ბრიგადირს, ლევ უნაჟაკოვს ვუთხარი, შენ რა კავკასიელი ხარ, ქართველს ეგეთი საქმე მიქენი, დამაცადე, რა დღე გაგითენო-მეთქი. შეშინდა და სამუშაოს დამთავრებისთანავე უბნის უფროსთან გავარდა, კობიძემ დღეს გადასარევად იმუშავაო. იმ დღეს უმაღლესი ულუფა - „Котел № 5" მომცეს. შახტის ეკონომისტს, ვინმე იასანინს კი ბერეზინისთვის უთქვამს, სადგინახავთ, რომ უმაღლესი განათლების მქონე ქართველი შავ სამუშაოს თავს აკლავდაო.

- მაგ ბიჭს უმაღლესი განათლება აქვს?!..

- თბილისის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული.

- როდის მოასწრო?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- ეგ ალარ ვიცი.

- ჰოო... რამე მოუხერხე...

კოტე ჯავრიშვილიც წამომეშველა და სუფთა სამუშაოზე - ტექნიკური კონტროლის ინსპექციაში გადამიყვანეს, რომელიც ორ, № 5 და № 10 შახტს ემსახურებოდა. გავსუფთავდი, სუფთადვე ჩავიცვი. ამასობაში სახლიდან ამანათებიც მომივიდა და უბრალო, ყველას მიერ ათვალწუნებული „რაბოტიაგადან" ლაგერის ელიტაში გადავინაცვლე. თანდათან კი ჩემი საუნივერსიტეტო განათლებისა და რუსული წერა-კითხვის წყალობით დავწინაურდი და ტექნიკური კონტროლის ინსპექციის ფაქტიური ხელმძღვანელი გავხდი. ინსპექციის ფორმალური ხელმძღვანელები მუდამ სხვები იყვნენ - არა პატიმრები, - სასკოო, ნაკონეჩნიო, სმოილიჩენეოო, კინერტიო, - არაფრის მცოდნე, წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი; ხელფასსაც ისინი იღებდნენ, საქმეს კი ფაქტიურად მე ვაკეთებდი. ეს სრული ოთხი წელიწადი გაგრძელდა. ოღონდ ცოტა უცნაურად კი დაიწყო.

„მინლაგის" ერთადერთი სიკეთე ის იყო, რომ ადმინისტრაცია ქურდებს და მათთანა ნაძირალებს არ აჭაჭანებდა.

ტექნიკური კონტროლის ინსპექციაში ახალი გამოწყობილი ვიყავი. უფროსმა, აგრეთვე პატიმარმა, მაგრამ საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებულმა მიხეილ სასკომ დავალება მომცა, ხვალ დილით შახტში ჩახვალთ, ჯერ დასავლეთის ლავებს მოინახულებთ, გაიგებთ, იქ რა ხდება; შემდეგ აღმოსავლეთის შტრეკში (გვირაბში) გახვალთ, იქ ლიანდაგზე ქვანახშირით დატვირთული ვაგონები იდგომება, შეამოწმებთ, ქვანახშირი მშრალია, თუ სველი, და მომახსენებთო.

შახტში მარტო ჩასვლა არ შეიძლება. ეს კანონია. უთუოდ ორნი მაინც უნდა იყოთ. მაგრამ მე ხომ ქართველი ყოყლოჩინა გახლდით. სპეცტანსაცმელი და რეზინის ჩექმები ჩავიცვი, ჩაფხუტი დავიხურე, ნათურა მოვიმარჯვე და შახტში მარტოდმარტო ჩავეშვი.

დასავლეთის შტრეკს გავყევი, კარგა ხანს ვიარე და მარჯვნივ რაღაც შესახვევი დავინახე. შევუხვიე. ერთ ხანს კიდევ ვიარე და შორს რაღაც სუსტი ყვითელი სინათლე დავინახე. მივუახლოვდი.

ორი გამურული მეშახტე ჩაცუცქულიყო და რაღაც ბოძს ამაგრებდა. ამათ მეტი შახტში არავინ შემხვედრია, ვინაიდან ეს ე.წ. სარემონტო ცვლა იყო.

- Где тут западная лава?

ამომხედეს. მერე ერთმა უხმოდ ხელი ამიქნია, რაც ასე გავიგე, ზევითო. ისინი თავის საქმეს დაუბრუნდნენ, მე კი ბოძების მწკრივს გავყევი. კარგა ხანს ვიარე. მერე გავიგე, ასიოდე მეტრი მაინც გამივლია. მაგრამ მარცხნივ ერთი მეორის მიყოლებით ჩამწკრივებული ბოძების, ხოლო მარჯვნივ ჩემი ნათურის სინათლეზე შავად მოლაპლაპე კონვეიერის მეტს ვერაფერს ვხედავდი. ლავა სადღა ჯანდაბაშია? ბოლოს, რაღაცპატარა ხვრელს მივადექი, ვიფიქრე, ლავა ან თვითონ ეს ხვრელია, ან ამ ხვრელის იქით იქნება-მეთქი. დავიჩოქე, მერე კიდეც წავწექი - ხვრელი ძალიან ვიწრო იყო - და გავფოფხდი. მივფორთხავ, ხვრელს კი, ვგრძნობ, ბოლო არ უჩანს. ოფლში გავიწურე. შიშმა ამიტანა. ერთი-ორჯერ უკან დაბრუნება გადავწყვიტე, მაგრამ თავმოყვარეობამ დამძლია. ველარც მოვტრიალდები, ხვრელში ისე ვარ გაჭედილი, როგორც მატლი ხეში. მაინც წინ მივფორთხავ. და უეცრად ნათურა არ ჩამიქრა. ეს, თურმე, საკმაოდ ხშირი ამბავია. -ბატარეაში კონტაქტები წყდება. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა. კუნაპეტ სიბნელეში, ხვრელში გაჭედილი ვწევარ, ველარც წინ გაფორთხება გადამიწყვეტია, და აღარც უკან მიბრუნების საშუალება მაქვს. ოფლი წურწურით ჩამომდის, თვალებიც კი მეწვის... არა, წინ გაფორთხება უკვე მეშინია. ამიტომ რაღაც არაადამიანური, გველისებური მოძრაობით უკანვე გავფორთხდი. ორიოდე მეტრი თუ მექნებოდა „გავლილი", რომ ნათურა ისევ აინთო! თურმე, ესეც არაიშვიათად ხდება - ბატარეაში სპილენძის მავთულები ერთმანეთს რაღაც მანქანებით ისევ ნახულობენ. გავმხნევდი. არ ვიცი, რამდენი ხნის შემდეგ, მაგრამ ეს კი იყო, რომ ხვრელს თავი დავაღწიე, მთელს სხეულზე გრილი ჰაერის ჭავლი ვიგრძენი, თავი მივაბრუნე და ისევ წელანდელი ბოძები დავინახე. ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს ახლად დავიბადეო. ბოძებს ახლა ქვევით დავყევი.

წელანდელი მეშახტეები უკვე წასულიყვნენ. მაგრამ ახლა ალარაფრის მეშინოდა. მთავარ შტრეკზე გამოვედი და აღმოსავლეთის ლავისაკენ გავწიე.

ლიანდაგზე მართლაც ქვანახშირით სავსე ვაგონეტების მწკრივი იდგა. ნათურა მოვიმარჯვე და ჯერ ერთ ვაგონეტში ჩავიხედე, მერე მეორეში, მესამეში... ქვანახშირი ყველგან თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. დავრწმუნდი, ეს ქვანახშირი სველია-მეთქი. დავალება შესრულებული მქონდა და ზევით ამოვედი.

ნასადილევს საცხოვრებელი ზონიდან სასკო გამობრძანდა. მითხრეს, გიხმობსო. ვეახელი.

- აბა, ამხანაგო კობიძე, შახტში რა ნახეთ?

- დასავლეთის ლავაში მარტო ორი მეშახტე იყო. რაღაცას თვლიდნენ.

- გასაგებია. აღმოსავლეთ ლავაში? ქვანახშირი შეამოწმეთ?

- დიახ...

- მერე?

- ძალიან სველი ქვანახშირი იყო.

- ჰმ!.. სველი?

- დიახ... ძალიან.

- მდაა... - სასკომ თავი გადააქნია, მაგიდის უჯრა გამოსწია, უზარმაზარი, თვალისმომჭრელი მბრწყინავი ქვანახშირის ნატეხი ამოიღო და დიდის ამბით დამანახა, - აი, დღეს დილით აღმოსავლეთ ლავიდან ასეთი მშრალი ქვანახშირი ამოვიდა.

ნატეხი მაგიდაზე დასდო, გულხელი დაიკრიფა და მრავალმნიშვნელოვნად მომაჩერდა.

- ესე იგი...

- არაფერი. დასკვნა თქვენ თვითონვე გააკეთეთ.

უბრალოდ, სასკომ არ დამიჯერა, რომ შახტში მართლა ვიყავი და ქვანახშირიც შევამოწმე. იმდენმა წვალებამ და ზაფრამ, რაც იქ გადავიტანე, სულ ტყუილად ჩამიარა.

მერე გავიგე: ლავა სწორედ ის ერთიმეორის მიყოლებით ჩამწკრივებული ბოძები და მათ გვერდით - შავად მოლაპლაპე

კონვეირი ყოფილა.

ის ხვრელი კი ე.წ. **Вентилляционная сбойка** გაუმაგრებელი საჰაერო ხვრელი. ადვილად შეიძლებოდა, ჩამოზვავებულიყო და მართლაც მატლივით გავსრისე. და ველარც მომნახავდნენ. აზრადაც არავის მოუვიდოდა, რომ შეიძლებოდა ყოფილიყო ქვეყნად ისეთი „მეშახტე", რომელიც საკენტილაციო ხვრელში შებრომას „მოიფიქრებდა".

ძალიან სასაცილო ამბავია, არა?

მაგრამ შახტი მაინც მალე შევისწავლე და, როგორც გითხარით, ძალიან საჭირო და ანგარიშგასაწევი პიროვნებაც შევიქენი.

„მინლაგში" ადმინისტრაცია ქურდებს არ აბარებდა. არა პოლიტიკური პატიმრებისადმი განსაკუთრებული სიმპატიების გამო, არამედ იმიტომ, რომ იქ, სადაც ბევრი ქურდია, საწარმოო პროცესიც დეზორგანიზებულია. ქურდები არც თვითონ მუშაობენ და სხვებსაც სიცოცხლეს უწამლავენ. აქ კი საკმარისი იყო, ქურდების რომელიმე ჯგუფს თავი წამოეყო და დანები თუ ცულები დაეტრიალებინა, რომ მაშინვე ხელს სტაცებდნენ ხოლმე და საჯარიმო ზონაში აგზავნიდნენ, მანდ რამდენიც გინდათ, ერთმანეთი იმდენი ხოცეთო. ამიტომ ლაგერში სიმშვიდე და, თუ გნებავთ, სამუშაო განწყობილებაც სუფევდა, - პატიმრებს ძვირად უღირდათ ზედმეტი 100 თუ 200 გრამი პური, რომელსაც გეგმების გადაჭარბებით შესრულებისთვის იღებდნენ და, რაც შეეძლოთ, თავებს არ იზოგავდნენ. ამანათებსაც - უმთავრესად ქართველები, ბალტიისპირელები და დასავლეთ-უკრაინელები თავისუფლად ვიღებდით, „წილის" მოთხოვნა ფიქრადაც არავის მოსდიოდა.

ქურდებმა, ვინმე ციხინის მეთაურობით, მაინც მოახერხეს რამდენიმე სისხლიანი აქციის ჩატარება.

ჯერ იყო და ვინმე ნემჩინოვი, ახალგაზრდა, მეტად ლამაზი და თამამი ბიჭი მოჰკლეს. ეს რაღაც დანაშაულისთვის კარცერში მოხვდა, იქ ციბინს და მის კომპანიას დაუამხანაგდა. კარცერიდან გამოსულს ციბინმა შემოუთვალა, შენი ჩექმები წავაგე და გამომიგზავნეო. ამან ჩექმების ნაცვლად ორსიტყვიანი კლასიკური

რუსული ფრაზა გაუგზავნა. ალბათ, ფიქრობდა, კარცერში ზის და რა უნდა დამაკლოსო. თვითონაც კარგი ხელტორიანი ბიჭი იყო.

მართლაც ვერ წარმოვიდგინეთ, რომ ციბინი ამ ბიჭს კარცერიდან რამეს დააკლებდა. კარცერი - ეს იყო ზონა ზონაში. დიდ საერთო ზონაში მავთულხლართებით მომცრო ზონა იყო გამოყოფილი და შიგ ერთსართულიანი ციხე იდგა, რომელსაც დღე და ღამე შეიარაღებული ოფიცრები და „ვერტუხაები" დარაჯობდნენ. კარცერში მსხდომნი თვეში ერთხელ აბანოში დაჰყავდათ. საჭმელს კარცერშივე აძლევდნენ. იქიდან ქურდებს რა უნდა მოეხერხებინათ?

მაგრამ მოახერხეს. წილი ჰყარეს და ნემჩინოვის მოკვლა ერთ მათგანს, გვარად ციბინს შეხვდა. ამან აგურით ნაგები რუსული ღუმელი დაარღვია, იმ ერთსართულიანი სახლის სახურავზე აძვრა, იქიდან გადმოხტა, მომცრო ბოძს თავს გადმოევლო, დიდ ზონაში დახტა და მშვიდად მძინარე ნემჩინოვს თავზე დაადგა. მძინარე კაცის მოკვლა ქურდების კანონით არ შეიძლება. ციბინმა ნემჩინოვი შეანჯღრია. როგორც კი იმან თავი წამოჰყო და კიდეც წამოხტა, თავში რკინის მოკლე კეტი ჩასცხო. იმანვე წუთს გულში დანაც უმარჯვა და - ნემჩინოვი მოჭრილი ხესავით წაიქცა.

ქურდული წესითვე მოჰკლეს ერთი ვეებერთელა ნალჩიკელი ვაჟკაცი. ამას ოდესღაც ქურდებისათვის რაღაც დაუშავებია და კარცერში ქურდებთანვე შეაგდეს. კარებზე ბრახუნი ასტეხა, მიშველეთო, მაგრამ არავინ მიეშველა. ქურდები ეცნენ, წააქციეს, ყელზე განასკვული პირსახოცი მოსდეს და მასში ჯოხი გაუყარეს. ყველა ქურდმა იმ ჯოხს ხელი ჩაავლო და დაატრიალეს. კაცი ორიოდე წუთში გათავდა, დამნაშავე კი არავინ იყო. კითხვაზე, „ვინ მოჰკლაო", ათი თუ თორმეტი ქურდი ერთხმად პასუხობდა, არ ვიცითო. ამიტომ არავინ გაუსამართლებიათ.

ციბინს საჯარიმოში გაგზავნა დაუპირეს. გაცოფდა - ამ მე-2 ლაგპუნქტზე თავს უკვე ლაღად გრძნობდა. იმ „სუკას" - ყოფილ ქურდს, რომელიც მის გასახლებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა, მიაძახა, იცოდე, ერთი საათის სიცოცხლე-ღა დაგრჩენიაო. იმან ხელი აგდებით აუქნია, წაეთრიეო. ციბინი კი მართლაც „გაეთრია"

- საჯარიმოზე გაგზავნეს, მაგრამ იმ „სუკასაც“ ზუსტად ერთი საათის შემდეგ ვილაცამ ცულით თავი გაუპო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ ფრენბურთის თამაშისას რაიც ძალიან მალე, ასეთი დიალოგის შემდეგ აგვიკრძალეს:

- ბურთი აქ მომეცით! ბარაკებისაკენ - ნაბიჯით იარ! შენ ხომ მეოცე ბარაკში ხარ! კარგა შორს გამოგისეირნია! აბა!..

- ამითი რა შავდება, უფროსო? ცოტა გავერთობით.

- არა!..

- უფროსო...

- არა-მეთქი! რა გუნებაზე იმუშავებენ შახტებში თქვენი ამხანაგები, თუ იციან, რომ თქვენ აქ ბურთაობით ერთობით!

- ჩვენ მესამე ცვლა ვართ!

- მერე რა, რომ მესამე ცვლა ხართ?!..

- ღამით შახტზე გავალთ. მაშინ ისინი ითამაშებენ.

- არა! გითხრეს, არაო! ესე იგი, არა!..

ფრენბურთის თამაშისას ციბინს ჩემი ბურთი პირდაპირ სახეში მოხვდა და ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა. რა თქმა უნდა, შემთხვევითი ამბავი იყო. მაგრამ დამიმახსოვრა და ვილაც ბაცაცას ჩემი ჩექმები მოაპარვინა. მე და ტარიელ ქუთათელაძე ციბინს მივადექით, უთხარი, ჩექმები დაგვიბრუნონო. მან ხელები გაასავსავა, არაფერი ვიციო. ჩექმები მაინც ვიპოვნეთ, გადაუკეთებიათ და მეკუჭნავე გოტესმანისათვის მიუყიდიათ. ციბინმა გოტესმანს შემოუთვალა, არ გასცე, ჩექმები ვინ მოგყიდა, თორემ თავს წაგაცლითო. ყველაფერი ამითი დამთავრდა.

ციბინის გასახლების შემდეგ ლაგერში სიმშვიდე ჩამოვარდა. ქურდებმა თავი ერთხელაც [illegible]აგვახსენეს.

ნაშუალამევს ბარაკში მოულოდნელად სინათლე ჩაქრა და კუნაპეტ სიბნელეში სირბილი, ლიწინ-ლიწინი, ხვნეშა, ბრაგვანი და კიდევ რაღაც გაუგებარი ხმები გაისმა. ნარზე წამოვჯექი და შევეცადე, გამოვრკვეულიყავი.

სინათლე ისევ ქურდებს ჩაუქრიათ და ცულებით, დანებით, რკინის კეტებით შეიარაღებულნი ბარაკში სეკსოტების ამოსახოცად

შემოვარდნილან. ჩემს თავზე ცნობილი მაბეზღარა სტეპანოვი იწვა და პირველად, თურმე, მას ეცნენ. იმან მოასწრო, ჩამოხტა და ნარს ქვეშ შეძვრა.

ვიღაც არაყით გამომთვრალი ცულოსანი მომვარდა და შემანჯღრია:

- სტეპანოვი სად არის?

- არ ვიცი.

- თქვი, „კაცო“! თქვი!..

- არ ვიცი!..

- „კაცო“!..

ამ დროს სინათლე ისევ აინთო. ქურდებს სახეზე შავი ნილბები ჰქონდათ ჩამოფარებული და ვერ იცნობდით, მაგრამ სეკსოტების ხოცვას მაინც თავი ანებეს და გაიქცნენ. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ მათ თურმე ვინმე რომენსკი ხელმძღვანელობდა. იგი ჩვენს, მე-10 შახტზე მუშაობდა და ძალიან კარგად ვიცნობდი. ძალიან კარგ მემონტაჟედ ითვლებოდა, გეგმებს ისიცა და მისი ბრიგადაც მუდამ გადაჭარბებით ასრულებდნენ და შახტის ადმინისტრაციას შუამდგომლობა ჰქონდა აღძრული, განთავისუფლების შემდეგ ჩვენს შახტზე დასტოვეთო. განთავისუფლებამდე ერთი თვე-ღა რჩებოდა. მაგრამ ქურდის სისხლი აუთამაშდა და...

ისიცა და მისი ამხანაგებიც სადღაც გადაჰკარგეს.

ერთხელ ნამდვილი ხოცვა-ჟლეტაც მომიხდა.

სამუშაო ზონიდან სადილად საცხოვრებელ ზონაში მოგვიყვანეს. ჭიშკრიდან სასადილომდე 200-მდე მეტრი მანძილი უნდა გაგვევლო. ამ დროს მარცხენა მხრიდან, კარცერიდან ქურდების ჯგუფი გამოიყვანეს და აბანოსკენ წალალეს. ქურდები დაბორკილნი და ერთმანეთზე საერთო ჯაჭვით იყვნენ გადაბმულნი. აბანო სასადილოს უკან იყო, ამიტომ ქურდები წინ წაგვიძღვანეს, ჩვენ კი უკან მივყვებოდით. როცა ქურდები ოპერ-რწმუნებულის სახლს გაუსწორდნენ, სახლს უკანიდან ცულებით შეიარაღებული ბრბო გამოვიდა. ათამდე კაცი იქნებოდა. წამიც აღარ დაუხანებიათ, დაბორკილ ქურდებს ეცნენ და ჩეხვა დაუწყეს. ენით აუწერელი

სურათის მოწმენი შევიქენით. იქით რომელიღაც ქურდის თავი გაგორდა, აქეთ - მოკვეთილი ხელი, იქით - ფეხი... დაბორკილი და ერთმანეთზე მაგრად მიბმული ქურდები აქეთ-იქით ეხეთქებოდნენ და სასოწარკვეთილი, პირდაპირ ცხოველური ბღავილით იქაურობას იკლებდნენ, ცულიანები კი მათ შორის ტრიალებდნენ და...

არასოდეს მეგონა, თუ ქურდები ასე შემეცოდებოდნენ, მაგრამ...

სწორედ ასეთ წუთებში მიფიქრია ხოლმე, რომ არასოდეს ნორმალური ადამიანი არ იქურდებს, თუ ცხოვრების ნორმალური პირობები გააჩნია. როგორც ჩანს, ლომბროზი ზოგ რაღაცაში მართალია. ზოგჯერ იბადება ისეთი სულიერიც, რომ თუგინდ ოქროს აკვანში გამოზარდო, მაინც იქურდებს, მაინც მოჰკლავს, მაინც დაასახიჩრებს. მაგრამ ასეთები მაინც უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ. ხოლო ჩვენს „სოციალისტურ სამოთხეში" ქურდების გაუგონარი სიმრავლე ვერავითარ შემთხვევაში ლომბროზის თეორიით ვერ აიხსნება - ამის მიზეზი სწორედ ჩვენი ცხოვრების გაუგონარი უკულმართობანია. ამ აზრს ვერავინ შემაცვლევინებს.

გაუგონარი, სულისშემძვრელი ჩახჩუხი იდგა. ზედამხედველები ჯერ შეშინდნენ და გაიქცნენ, მერე მოიფიქრეს, „ვერტუხაები" მოიშველიეს, მობრუნდნენ და გაშველებას შეუდგნენ. ქურდების ნახევარი მაინც უკვე დახოცილი იყო, დანარჩენები კი, დასახიჩრებულნი, დასისხლიანებულნი, თოვლზე ეყარნენ და საწყალობლად ბღაოდნენ.

თქვენ რაღას აკეთებდითო, მკითხავთ. არაფერს. დაზაფრულნი ვიდექით და ამ სურათს მივჩერებოდით. მერე ზედამხედველებმა შემოგვიყვირეს, თქვენს საქმეს მიჰხედეთო. ჩვენც - დავიძარით, დახოცილებსა და დაჭრილებს გვერდი ავუარეთ და... სასადილოს მივაშურეთ. არ მახსოვს, საჭმელზე რომელიმე ჩვენგანს უარი ეთქვას. ლაგერი საკუთარ კანონებს გიკარნახებთ. არამც თუ ჩემს ბავშვობაში, არამედ სტუდენტობაშიც კი, ჩვენს ფანჯრებთან რომ მიცვალებულს ჩაატარებდნენ, იმ ღამეს უძილოდ ვათენებდი.

ლაგერში კი მკვდრების ხილვას და სიახლოვეს სულაც ალარაფრად ვაგდებდი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე გავიგეთ: ის ხოცვა-ჟლეტა ვინმე სუხოლეტკოს მოუწყვია. რაღაც უბრალო საქმეზე კარცერში მოხვედრილა, იქ ქურდებს რაღაც მძიმე შეურაცხყოფა მიუყენებიათ - ისინი ხომ ასეთი სისაძაგლეების ოსტატები არიან. ჰოდა, აი...

როცა „ხალხების მამის" აურაცხელ ცოდვებზე ვფიქრობ ხოლმე, უპირველეს ყოვლისა ეს შემზარავი სურათი მახსენდება. ქურდები ხომ დაიხოცნენ და დასახიჩრდნენ. მაგრამ ამის შემდეგ რამედ ალარც სუხოლეტკოს სიცოცხლე ღირდა. ამბობდნენ, მშვიდი, უწყინარი ბიჭი იყო, ბუზს არავის აუფრენდაო. შეურაცხყოფას და დამცირებას ასეთები უფრო მძიმედ ურიგდებიან.

ვიღაც პოლკოვნიკი საჯაროდ დაემუქრა, მოსკოვში წავალ და შენს თავს უთუოდ დავახვრეტინებო. ათი თუ თორმეტი კაცის აკუწვას მართლაც არავინ აპატიებდა.

XXX

თუ მე-10 შახტის ტექნიკური კონტროლის ინსპექციაში 4 წელიწადი გავძელი, ეს იმიტომ, რომ შახტის უფროსად უგერგილო და ცინიკოსი ახალგაზრდა ინჟინრის ბონდარენკოს შემდგ უწიგნური დონბასელი მებიგე, იგნატ აფანასიევიჩ სიდელევი დანიშნეს. სულაც არ ვაპირებ იმის თქმას, ეს კაცი ჰუმანურობის განსახიერება იყო-მეთქი. იგი არც სისასტიკის ჩადენას ერიდებოდა. პირველი ორი დღე თითქმის მთელი შახტი 300 გრამ პურზე დასვა - ბონდარენკოს ცოდვებს მე ვერ ავიკიდებო. ბრიგადირები ბევრს ეაჯნენ, მაგრამ ამაოდ.

- იგნატ აფანასიევიჩ, ბიჭები თავს წამაძრობენ.
- არ წაგაძრობენ.
- მეშახტე და - სამასი გრამი პური?!
- არ ვიცი.
- იგნატ აფანასიევიჩ...

- არაფერი ვიცი!..

იმ დღეს ლაგერში სიდელევის გინების მეტს ვერაფერს გაიგონებდით. მაგრამ ის დღე იყო და ის. ამ უწიგნურმა კაცმა სწრაფად მიაღწია იმას, რომ ყოველი მისი ბრძანება და მითითება შახტზე სულმოუთქმელად, სიტყვის შეუბრუნებლად სრულდებოდა. ბრძანებებს და მითითებებს კი იგი - გამოცდილი მეშახტე საქმის ცოდნით იძლეოდა. ამან შედეგიც ძალიან მალე გამოიღო: ჩამორჩენილი მე-10 შახტი მთელი პეჩორის აუზის სალაპარაკო შეიქნა. ხოლო მე-10 შახტზე მუშაობა სანატრელი შეექნათ რაიონის სხვა - მე-4 და მე-5 შახტზე მომუშავეებს. მე-10 შახტის ხალხს უზრუნველყოფილი ჰქონდათ დღეში 800 გრამიპური და უმაღლესი, № 8 ქვაბი („კოტიოლ") - დილით ცხელი ჩაი, სადილად - ორი თავი, ვახშმად - ფაფა და თევზის ნაჭერი. კაცმა რომ თქვას, რომაელი ლუკულუსი მაინც უკეთ იკვებებოდა, ვიდრე იმავე მე-10 შახტის პატიმრები. ამათთვის ხელი ოდნავ რომ გებიძგათ, წაიქცეოდნენ და მერე წამოდგომას ბარე ნახევარი საათი მოუნდებოდნენ. მაგრამ იმდენი ძალა მაინც ჰქონდათ, რომ ნიჩაბი რვა საათის განმავლობაში შეუსვენებლივ ექნიათ და ის № 8 „კოტიოლი" გამოემუშავებინათ. სხვებისთვის, როგორც გითხარით, ესეც სანატრელი იყო.

სიდელევის პიროვნებამ თავიდანვე დამაინტერესა და ვფიქრობ, კარგადაც შევისწავლე. ეს უწიგნური, მაგრამ თავისებურად ჭკვიანი, მტკიცე ნებისყოფის კაციც თავისი ეპოქის პროდუქტი იყო. იგი მშვენივრად ხედავდა, რომ არავის და არც თვით მას არ შეეძლო არსებული მდგომარეობის შეცვლა. როგორც გითხარით, არც სისასტიკის გამოჩენას ერიდებოდა. განსაკუთრებით დამახსომდა ერთი შემთხვევა: საკუთარი დაუდევრობით შახტში ფერი მოიტეხა ცვლის უფროსმა ვოლჟანმა. ლაგერის საავადმყოფოში თითქმის ორი თვე იწვა. როცა გამოწერეს, ისევ კოჭლობდა, სტკიოდა და მთხოვა, ცოტა ხნით შენს ინსპექციაში ამიყვანე, სულს მოვითქვამ, სულ გამოვრჩები და მერე ისევ შახტში ჩავალო. რა თქმა უნდა, დავეთანხმე. მაგრამ სიდელევმა ამისი გაგონებაც კი არ ისურვა - ვოლჟინი ავტორიტეტიანი, საქმის მცოდნე ცვლის უფროსი იყო,

მის სიტყვას მეშახტეები ანგარიშს უწევდნენ და სიდელევმა ეს კოჭლი, ჯერაც მოურჩენელი კაცი მყისვე ისევ შახტში ჩაგზავნა. როცა თხოვნა გავუმეორე, თავი მძიმედ გადააქნია:

- შენ, ბიჭუნი, არ იცი... ასე მაგისთვისაც უკეთესია და სხვებისათვისაც. დიდი ამბავი, რომ ფეხი ტკივა. გაუვლის. მორჩა!..

მაგრამ ეს უსწავლელი და, როცა ჭირდებოდა, ფრიად სასტიკი კაცი მაინც ორიგინალური პიროვნება იყო. მას ხშირად ჩაუდენია ისეთი საქციელი, რომელიც პირადად ჩემში ნამდვილ მოწონებას იმსახურებდა.

პირველ დილას შახტზე მოსული - უფროსად სწორად წინა საღამოს დანიშნეს, - უბნებისა და ცვლების უფროსებს და ცალკეულ მეშახტეებს დავალებებს აძლევდა. ერთი თავისუფალი მეშახტე, წვრილმანი და შურიანი, გულბოროტი კაცი, გვარად ბრეი, უშნოდ აუხირდა, - ასეთ დავალებას როგორ მაძლევ, თავი რა დიდ ვინმედ წარმოგიდგენია, ჩამობრძანდი და, თუ ადვილია, შენ თვითონ გააკეთეო.

ბერის აშკარა შური ალაპარაკებდა - გუშინ ის და სიდელევი ერთნაირი რიგითი მეშახტეები იყვნენ, დღეს კი...

ამბავი ბევრი ხალხის თანდასწრებით ხდებოდა. სიდელევი თმის ძირებამდე გაწითლდა. კიდეც დაიბნა. მაგრამ ძალა მაინც მოიკრიფა:

- ეგეთი საქმე მე ბევრჯერ გამიკეთებია.

- ჰოდა, ახლაც წამობრძანდი! - არ ცხრებოდა ბერი, - თორემ ეგ ადვილია - კაბინეტში გამოჭიმულხარ და ბრძანებებს იძლევი.

- მე არავისთვის მითხოვნია, კაბინეტში გამომჭიმეთო...

- ვიცით!.. ყველაფერი ვიცით! მბრძანებლობა ადვილია, შენ საქმის კეთება თქვი. დიახ!..

ბრეი კიდვე კარგა ხანს ჩხაოდა.

ჩვენ კაბინეტიდან უხმოდ გამოვიპარეთ - სირცხვილისა და უხერხულობისაგან გაწითლებული, ენაჩავარდნილი სიდელევის ყურება აღარ შეგვეძლო.

ბრეი შახტში ჯაჯღანით ჩაეშვა.

მეორე დღეს - არაფერი. მესამე დღეს კი შახტზე მოსულ ბრეის ფანერის დაფაზე ვეებერთელა ასოებით დაწერილი ბრძანება დახვდა, - დაინიშნოს ბრეი პირველი მოსამზადებელი უბნის უფროსად.

ბრეი გაფითრდა. ყველაფერს მოელოდა, ამას კი არა. იმ უბნის უფროსობა ხუმრობა არ იყო. პირდაპირ სიდელევის კაბინეტში შევარდა.

- იგნაშა, ეს რა ამბავია?!..

- რაზე ამბობ?

- მე... პირველი უბანი... ეს რა... მე...

- შენ არ მიბრძანე, უფროსობა ადვილიაო? ჰოდა, მიდი, ძმაო, და იუფროსე.

- იგნაშა... მე როდის... მე... შენ...

- აქ სალაპარაკო არაფერია. მიდი და უბანი ჩაიბარე. მორჩა!

რაღა გზა იყო, ბრეიმ ჩაიბარა. პირველსავე ცვლაში შახტიდან ორჯერ ამოიჭრა და სიდელევთან რჩევისათვის შევარდა, - იმ ადგილზე რა ვქნა და ამ ადგილს რა მოვუხერხო.

- არ ვიცი. - ორივეჯერ ცივად მოუჭრა სიდელევმა, - უბნის უფროსი შენა ხარ.

ბრეიმ ის პირველი დღე როგორღაც გააჯახირა. მეორე დღის პირველი ცვლაც: მეორე ცვლაში კი იმოდენა ავარია მოუხდა, რომ მისი შედეგების ლიკვიდაციას მერე ორი კვირა ჭირდებოდა - სანგრევის მთელი სიგრძეზე ჭერი ჩამოენგრა. დაფეთებული ბრეი სიდელევთან შევარდა და განცხადება შეურბენინა.

- ეგ რა არის?

- განცხადებაა.

- რას თხოულობ?

- გამათავისუფლე. იგნაშა, გევედრები, გამანთავისუფლე...

- შენი ნებაა. - სიდელევმა განცხადებას რეზოლუცია დაადო.

ასე გადაუხადა მან ბრეის თავისი საჯარო შერცხვენისა და გაწითლების სამაგიერო. გადაუხადა არა სიტყვით, არამედ საქმით. მე მთელი ეს ეპიზოდი ძალიან მომეწონა. ცუდი მხოლოდ ის იყო, რომ ორი დღე, ორი დღე, სანამ ბრეი უბანს უფროსობდა, მისი

მეშახტეები 300 გრამ პურზე ისხდნენ. ეს სიდელევმაც მშვენივრად იცოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ტექნიკური კონტროლის ინსპექციის ფაქტიური უფროსი, მე სიდელევისაგან დამოუკიდებელი ვიყავი, მას ჩემი დასჯა, ან, მით უმეტეს, მოხსნა, კანონით არ შეეძლო. არც როდესმე უცდია. ერთმანეთს კარგად შევეწყეთ. ხან მე ვატყუებდი, - მან კი იცოდა, რომ ვატყუებდი, მაგრამ არ ვიმჩნევდი, ვითომც აქ არაფერიო, - ხან კიდევ ორივე ერთად საბჭოთა ხელისუფლებას ვატყუებდით - ცუდი ხარისხის ქვანახშირს კარგი ხარისხისად ვუსაღებდით. ოღონდ ამას ვაკეთებდით არა ბოროტი განზრახვით. არამედ იმიტომ, რომ როგორც იტყვიან, თავს ზევით ძალა არ იყო, - სრულიად შეუძლებელი იყო იმ მოთხოვნების შესრულება, რომელსაც სახელმწიფო გვიყენებდა.

- რას იზამ, ბიჭუნი! მიჰხედე! ხალხი მშიერი არ დამიტოვო. შენ შახტში თუ ყოფილხარ?

- შახტში თითქმის ყოველდღე ჩავდივარ.

- ჩემთან მოდი, კარგ „სპეცოვკას“ და რეზინის ჩექმებს მოგცემ.

- გეახლებით.

კარგად ვიცოდით, რომ ცუდი ხარისხის ქვანახშირი ისევ ჩვენისთანა პატიმრებს გორკის ავტოქარხანაში თუ რკინიგზებზე წამებად ექცეოდათ, მაგრამ რა შეგვეძლო? ერთხელ კი ჩვენი ქვანახშირის ხარისხმა პირდაპირ საანეკდოტო ამბავი დაგვმართა.

რომელიღაც მეფრინველეობის ფაბრიკისთვის, თურმე, უფრო მაღალი ხარისხის ქვანახშირი გაგვიგზავნია, ვიდრე ამ ფაბრიკას ჭირდებოდა. უფრო მაღალი ხარისხის ქვანახშირს კი წვის ტემპერატურაც შეუდარებლად უფრო მაღალი აქვს. ამიტომ ინკუბატორში წიწილები კი არ გამოიჩეკნენ, არამედ კვერცხებშივე გამოიფუფქნენ. ფაბრიკამ დიდი ზარალი ნახა და „ინტაქგოლის“ ხელმძღვანელობას მრისხანე წერილი გამოუგზავნა, ლენინგრადელი მუშათა კლასის აღშფოთებას საზღვარი არ აქვს, - ასე ამბობენ, ქათმის ხორცის გემო გადაგვავიწყდაო. მოგეხსენებათ, ლენინგრადელ მუშებს არასოდეს „ტაბაკა“ არ მოჰკლებიათ.

„ინტაჟგოლის“ ხელმძღვანელობამ სასტიკი საყვედური გამოგვიცხადა, - ქვანახშირის ხარისხს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევაო.

- ეს როგორ მოხდა, ბიჭუნი?

- ნამეტანი მოვინდომეთ, იგნატ აფანასიევიჩ!..

- ოჰ, ალბათ, ეგრე იყო. არაფერია. წადი, იმუშავე. დიდი ამბავი, თუ ქათმის ხორცი შემოაკლდათ. მე ორმოცი წლის ვიყავი, პირველად რომ „ტაბაკა“ გავსინჯე. კარგია! მგონი, თქვენია, ქართველების, ხომ?

- დიახ...

- ჰო... წადი, იმუშავე...

საყვედური შუაზე გავიყავით.

ისე, მაშინ არც „ტაბაკას“ გემო ვიცოდი და არც ის, ეგ კერძი მართლა ქართველების მოგონილია, თუ არა.

ასე გავატარეთ ერთად ოთხი წელიწადი. მალე სამთო დირექტორის წიდება მიანიჭეს, ფორმა - ჩაიცვა და ძალიანაც უხდებოდა, მაგრამ...

- მთელი სიცოცხლე ვწვალობდი, - მითხრა ერთხელ, როცა საქმე არაფერი გვქონდა, ეზოში ვისხედით და ჩრდილოეთის უძალო მზეზე ვთბებოდით, - შიმშილი, გაჭირვება - არაფერი დამკლებია. ერთ სნეულებას მოვერევი, მეორე მომადგება... სიკვდილის დროც მოდის...

- რას ბრძანებთ, იგნატ აფანასიევიჩ, რა დროს თქვენი სიკვდილია.

- ნუ იტყვი... აი, ნახავ...

რამდენიმე დღის შემდეგ შახტზე ამბავი მოვიდა, სიდელევი ცუდად გამხდარა და საავადმყოფოში დაუწვენიათო. მესამე დღეს გარდაიცვალა.

- არაყისგან დაიწვა, - მითხრა ერთმა მეშახტემ.

- რა ლაპარაკია! - აღვშფოთდი მე, - ოთხი წელიწადი გვერდიგვერდ ვმუშაობდით და ერთხელ რა არის, ერთხელაც კი მთვრალი არ მინახავს.

- ერიჰაა!.. - მეშახტეს გულიანად გაეცინა, - სიდელევი ყოველ ცისმარე დღე მთვრალი იყო. პირველად რომ დათვრა, თორმეტი წლისა იყო. მას აქეთ დღე არ გამოუტოვებია, მაგრამ ვერ შეატყობდი. მაგარი ყაბახი იყო.

სიდელევი მართლაც გამოუსწორებელი ალკოჰოლიკი ყოფილა და ცირეზით მომკვდარა.

- ასე, ჩემო ძმობილო! - მითხრა მეშახტემ, მხარზე ხელი დამკრა და გამშორდა.

ძნელი სათქმელია, წრფელად უყვარდათ თუ არა სიდელევი მეშახტეებს. მისმა სიკვდილმა კი ყველა დააღონა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ არავინ იცოდა, ვინ დაიკავებდა სიდელევის ადგილს და ისევ თუ ექნებოდათ მეშახტეებს ის გარანტირებული 800 გრამი პური და № 8 „კოტიოლი“. და მეორეც, მეშახტეებს სხვა სადარდებელიც გაუჩნდათ: იგნატ აფანასიევიჩი ნამალევად არაყს, თამბაქოს, ხან რაღაც სასუსნავსაც გვიზიდავდა ხოლმე და სულს მოგვათქმევინებდა, ახლა კი ვინ რაღას მოგვიტანსო.

მართლაც ასე იყო. სიდელევი ტანისამოსის ქვეშ, სხეულზე არაყით სავსე რეზინის „გრელკებს“ შემოიკრავდა ხოლმე და მეშახტეებისათვის მიჰქონდა. ეს „ვერტუხაებმაც“ და ოფიცრებმაც შეამჩნიეს, მაგრამ არ იმჩნევდნენ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სტალინ-ბერიას უკულმართი ტვინით დაწესებული რეჟიმის სრული ასი პროცენტით შესრულება ნორმალური ადამიანის ძალ-ღონეს ალემატებოდა. იგივე „ვერტუხაები“ პირველ ხანებში დალაპარაკების ღირსადაც არ გვთვლიდნენ, მერე კი პატიმრებს ზოგჯერ ზედმეტი წერილის გამოგზავნაშიც კი ეხმარებოდნენ; ერთხელ ჩხრეკისას პასტერნაკის წიგნი ჩამომართვეს, ანტისაბჭოთა მწერალიაო, მეორე ღამით კი იმავე ოფიცერმა წიგნი ჩუმად დამიბრუნა. მეორეც კი იმიტომ, რომ მეშახტეები სიდელევს იმ პატივისცემას ათმაგად უხდიდნენ და ისე თავდადებით მუშაობდნენ, რომ № 10 შახტი მთელს პეჩორის აუზის და მის გარეთაც ჰქუხდა.

ბუნებრივია კითხვა, როდის იყო სიდელევი მართალი და პატიოსანი საკუთარი თავის წინაშე: მაშინ, რაღაც სახელ-

მწიფოებრივი თუ საწარმოო-სამეურნეო მოსაზრებით მეშახტეებს 300 გრამ პურზე დასვამდა ხოლმე, თუ მაშინ, როცა რეზინის „გრელკებს“ ტანზე შემოიკრავდა და სამთო დირექტორის ლამაზ ფორმაში გამოწყობილი, სამუშაო ზონის ჭიშკარში გულაფანცქალებული შემოდიოდა, „ვერტუხაებმა“ არ გამჩხრიკონ, არაყი არ აღმომიჩინონ და ამ ხნის, ასეთი დამსახურებული კაცი საქვეყნოდ არ შემარცხვინონო?

ძნელი სათქმელია...

ამ უბრალო კაცის ცხოვრება არის მაგალითი იმისა, რომ ადამიანს შეუძლია სერიოზულად, სრული მონდომებით და დიდი წარმატებით აკეთოს დავალებული საქმე, თუნდაც ის საქმე მის სულსა და გულს არ ეკარებოდეს. სიდელევს შახტის ხელმძღვანელობა დაავალეს. მან ამ საქმეს ხელი მოჰკიდებდა. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ სულის სიღრმეში სიდელევს პატიმრები ეცოდებოდა. თვითონაც მრავალ ჭირნახულს, გულწრფელად გაეხარდებოდა, პატიმრები თავისუფალი რომ ენახა. ძალიან ბევრსაც კი გაიღებდა, ოღონდ ისინი სატანჯველისაგან დაეხსნა. ამის მაგივრად იძულებული იყო, ყოველი მათგანისათვის სამუშაო დღის დასასრულს ის ტალახივით შავი პური მისხალ-მისხალ ეანგარიშა და ისე გამოეწერა, ზედმეტი არ მომივიდესო. და ამ შავ საქმესაც სრული სერიოზულობით აკეთებდა.

რაიონის უფროსმა, გულმხეცმა ჟილინმა ერთხელ უსაყვედურა კიდეც, - რა ამბავია, იგნაშა, შენთან ყველა პატიმარი უმაღლეს ულუფას რომ იღებს, დავიჯერო, შახტზე ერთი ზარმაციც კი არ გყავსო?

- ალბათ, მყავს. ერთი ზარმაცი მაინც როგორ არ მეყოლება!

- აბა?

- შახტში ბნელა. როგორ გავარჩიო, ვინ ზარმაცია და ვინ არა? ჟილინმა ამოიხვნეშა და რაღაც ქაღალდზე ხელი მოუწერა.

- იგნატ აფანასიევიჩ, ჩრდილოეთში როგორ მოხვდით? - ვკითხე ერთხელ.

- მეც არ ვიცი. ვმუშაობდი დონბასში, მებიგედ. გამომიძახეს და

მითხრეს, ჩრდილოეთში ინსტრუქტორად უნდა წახვიდეო. რა, უარი მეთქვა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

- შინ როდის გაგვიშვებენ?

- ეგ არ ვიცი! - და მაგიდაზე მრავალმნიშვნელოვნად ფანქარი დააკაკუნა, მაგ თემაზე ნუ მელაპარაკებიო.

ერთხელ ნამდვილად დიდი უბედურებისაგან დამიხსნა.

ლაგერის უფროსად ვინმე პოლევოი დაგვიყენეს - კაცი სასტიკი, განუკითხავი, დაუნდობელი. მისი შავთვალა ქალიშვილი ჩვენი შახტის კალორიფერზე მოეწყო. ჩვენს ინსპექციაში რატომღაც ხშირად შემოირბენდა ხოლმე. ვიფიქრე, კალორიფერის მორიგეს ჩვენთან არაფერი ესაქმება-მეთქი, და საკოცნელად მივეტანე. შავთვალა მზეთუნახავმა იმ საღამოსვე მამამისთან დამაბეზღა. მამა განრისხდა და ოპერ-რწმუნებულებს დაავალა, სასწრაფოდ ეს საქმე გამოიძიეთო. ოპერ-რწმუნებულებად ახალგაზრდა ოფიცრები იყვნენ, პოლევოის წრესგადასული სისასტიკე თვითონაც მობეზრებული ჰქონდათ და სიდელევს თხოვეს, ამ საქმეს მიჰ ხედეთო.

სიდელევმა კაბინეტში დამიძახა. შავთვალა მზეთუნახავი კუთხეში იჯდა და ნიშნისმოგებით მომჩერებოდა.

- რა დაგიშავათ ამან? - ჰკითხა მას სიდელევმა.

- საკოცნელად გამოიწია.

სიდელევი გაწითლდა. ერთხანს ხმას ვეღარ იღებდა. მერე ჩემსკენ გამობრუნდა:

- ისა... კაპიდზე... რაქვია... კოცნა და ასეთები - სამუშაოს შემდეგ... ჰო... ჯერ ვიმუშაოთ... აქ კოცნისთვის კი არ ჩამოვუყვანივართ. სწორი არ არის?

შავთვალა მზეთუნახავი წამოხტა და კაბინეტიდან გაიჭრა. სიდელევმა კი ოპერ-რწმუნებულებს დაურეკა, - ბიჭი უდანაშაულოა, შევამოწმე, ხალხი დავკითხე, თვითონ ეგ გოგო დღეში ათჯერ მაინც შერბის მაგათთან, ერთი, მამამისს ჰკითხეთ, კალორიფერის მორიგეს ტექნიკური კონტროლის ინსპექციაში რა ესაქმება-თქო.

გადავრჩი, თორემ საჯარიმო ზონა არ ამცდებოდა, იქიდან კი

ძვლებსაც ველარ გამოვიტანდი. შავთვალა მზეთუნახავი კი მხოლოდ ინტრიგანი და მაბეზღარა კი არ ყოფილა, არამედ ჭლექიანიც. სწორედ მაშინ მოკვდა, როცა მე, უკვე ვადამოხდილი და ლაგერიდან გამოსული, დროებით ავტობაზის დისპეტჩერად ვმუშაობდი. მამამისი მოვიდა და მანქანა მთხოვა. რა თქმა უნდა, უარი არ მითქვამს. ისე. ტარიელ ქუთათელაძე მარწმუნებდა, ის გოგო შენთვის კი არა, ჩემთვის მორბოდა ხოლმე და შენ ამიტომ დაგაბეზღაო. ვინ იცის... რას გაუგებ მზეთუნახავს, მით უმეტეს, თუ მას ორიოდე თვის სიცოცხლე-ღა დარჩენია?

ლაგერიდან გამოსულმა სიდელევის საფლავის ნახვა მოვინდომე. მიმასწავლეს, აქა და აქ მარხია, თავთით კი დიდი წითელი ვარსკვლავი უდგასო. მივედი. ვეებერთელა წითელი ვარსკვლავის მხოლოდ წვერი-ღა მოჩანდა, დანარჩენი ჭაობს ჩაესრუტა. ჩრდილოეთი არავის ინდობს, - არც პატიმრებს და არც გამოცდილ მებიგეებს, ზემდგომმა ორგანოებმა იმიერ-პოლარეთში ინსტრუქტორებად რომ გამოგზავნეს.

სიდელევი რომ მოკვდა, ჩემს გათავისუფლებამდე ორიოდე თვე-ღა რჩებოდა. მეგონა, მოსვენებით ვიქნები-მეთქი. მაგრამ შევცდი. ჯერ კიდევ სიდელევის სიცოცხლეში ერთი შეცდომა დავუშვი და მისი სიკვდილის შემდეგ გადამახდევინეს.

ჩვენი ინსპექციის თანამშრომელი, თაჯიკი მუმინოვი რატომღაც საეტაპოდ გაამზადეს. შუააზიელები მომვარდნენ, იქნებ, როგორმე დაატოვებინოო. ლაგერიდან შემოთვალეს, ქაღალდი გამოგზავნეთ, რომ მუმინოვი შახტისთვის საჭირო კაცია და - დავტოვებთო. სასწრაფო ქაღალდი საწარმოო განყოფილების სახელზე იყო, საჭიროა მეორე ქაღალდიც - სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილების სახელზეცო. მეორე ქაღალდიც გავამზადე და უფროსების კაბინეტში შევედი. სიდელევი და პოპოვი უკვე ერთმანეთის გვერდიგვერდ ისხდნენ. ეს ქაღალდი ხელმოსაწერად სიდელევს მივაწოდე (?!). პოპოვი გაფითრდა და რაღაც გაუგებარი ჩაიბურტყუნა: მან არ იცოდა, რომ ლაგერიდან მეორე ქაღალდი მოითხოვეს და გადაწყვიტა, კობიძემ ჩემი ხელისმოწერა არაფრად

მიიჩნია, კაცად არ მაგდებს და ხელს ახლა სიდელევს აწერინებსო. გონებაშეზღუდული, ეჭვიანი, შურისმაძიებელი კაცი იყო. მე მეჩქარებოდა და პოპოვის განცხადებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ამის შემდეგ ერთი თვეც არ გასულა, რომ სიდელევი მოკვდა. კიდევ ორიოდე კვირა და პოპოვმა - ახლა უკვე შახტის უფროსმა - ფიცხელი ბრძანება გამოაცხო, კობიძე მოიხსნას „За разложение производственной дисциплины".

საცხოვრებელ ზონაში დაბრუნებულს კი გამომიცხადეს, საწარმოო ზონაში, შახტებზე გასვლა აკრძალული გაქვსო. მარტო ეს ფაქტი სრულ წარმოდგენას გიქმნით იმაზეც, თუ როგორი უფლებებით ვსარგებლობდით პატიმრები და იმაზეც, თუ როგორი წვრილმანი და ბოროტი შეიძლება იყოს ადამიანი, თუნდაც მას ჯიბეში ლენინის დიადი პარტიის მანდატი ედოს. ამ ამბის გახსენებას თავს იმით-ღა ვინუგეშებ ხოლმე, რომ სიდელევის ხელში საათივით აწყობილი შახტის მუშაობა უნიჭო და წვრილმანმა პოპოვმა ნაცარტუტად აქცია, მეშახტეები დაამშია, ტრესტის მაჩვენებლები დააქვეითა და იძულებული გახდნენ, მოეხსნათ. მაგრამ „ღვაწლმოსილ" ადამიანს თანაც პარტიულს უმუშევრად ხომ ვერ დატოვებდნენ! სამმართველოში რაღაც თანამდებობა გამოუძებნეს და დაამშვიდეს.

პირდაპირ საოცარია, თუ როგორი პრივილეგიებით სარგებლობდნენ იქ პარტიის წევრები და კომკავშირელები. ვინმე აქსენოვმა, გაუსწორებელმა ლოთმა და უსაქმურმა, ერთიანად მოშალა ავტობაზის მუშაობა. თან გაიძახოდა, - პარტიული ვარ, ვერავინ ვერაფერს დამაკლებსო. მართლაც „ვერაფერს აკლებდნენ". თითქმის ყოველ კვირა მოადგილეებს და თანაშემწეებს უცვლიდნენ, - მიეხმარეთ, მხარში ამოუდექითო, - ის კი დღეში რამდენჯერმე თვრებოდა და ზოგჯერ „სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად" თავისი ავტობაზის ნაცვლად სულ სხვა ორგანიზაციაში, მაგალითად, მუშათა მომარაგების სამმართველოში, ან მექანიკური ქარხნის კანტორაში შეაბოტებდა ხოლმე. და არაფერი, სანამ მე იქ ვიყავი, აქსენოვის მოხსნა ფიქრადაც არავის მოსვლია, - როგორ იქნება, პარტიის წევრიაო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეთექვსმეტე

ჩვეულებრივი პარტიმრით დაწყებული და სამთო დირექტორებით დამთავრებული, „ვერტუხაებით“ და ჩეკისტი ოფიცრების ჩათვლით, ყველა ხედავდა, თუ როგორი არაბუნებრივი, წრესგადასული სისასტიკე მეფობდა სტალინის ლაგერებში. ხსნა, შველა კი არსაიდან ჩანდა. ინტის „მინერალურ ლაგერში“ რვა წელიწადი დავყავი და პროტესტის მხოლოდ ერთი შემთხვევა მახსოვს. ეს კია, რომ თურმე, შეიძლებოდა, ის ერთადერთი შემთხვევა პირადად მე ძალიან ძვირად დამჯდომოდა.

საცხოვრებელ ბარაკში პაპიროსის მოწევისათვის კარცერში ჩამსვეს - სამუშაოზე გაყვანით, ე.ი. დილით სამუშაოზე გავდიოდი, სამუშაოდან კი კარცერში ვბრუნდებოდი. პური მხოლოდ 400 გრამი მეძლეოდა.

კამერაში პირდაპირ იატაკზე ოცამდე კაცი ვისხედით. შელამებულზე ვილაც უცნობი მომიჩოჩდა. სიბნელეში სახე ვერ გავარჩიე, ხმის მიხედვით - ახალგაზრდა აღარ უნდა ყოფილიყო.

- მაპატიეთ, თქვენს გვარს ხომ ვერ მეტყოდით? - კილო, ლექსიკა - ინტელიგენტის ჰქონდა.

ჩემი გვარი ვუთხარი და თან ხელი ქისის ამოსაღებად წავიღე - მთელმა ლაგერმა იცოდა, რომ სახლიდან კარგი თამბაქო მომდიოდა და უარს არავის ვეუბნებოდი. მაგრამ ამ კაცმა - არ ვეწევიო, და უფრო ახლოს მომიჩოჩდა.

- ჰო... - მითხრა მან და ჩემი გვარი გაიმეორა, - თქვენ პოლკოვნიკ პავლოვზე რამე გსმენიათ?

- რაღაც გამიგონია.

- ის ჩემი მეგობარი იყო. დახვრიტეს. ყოველ შემთხვევაში, ასე მითხრეს, დახვრიტესო. მე, ალბათ, ისევ ოცდახუთს შემივსებენ.

- პავლოვი მართლა დახვრიტეს? თქვენი მეგობარი იყო?

უცნობი ერთ ხანს დუმდა. მერე - დავინახე - ხელი ჩაიქნია - დაიძინონ, მერე გიამბობთო.

ნაშუაღამევს ისევ მომიჩოჩდა.

- გაგებული მაქვს, რომ თქვენ უნივერსიტეტი დაამთავრეთ, მართალია?

- თითქმის.

- ესე იგი?

- დიპლომი დავიცავი, სახელმწიფო გამოცდების ჩაბარება კი ვერ მოვასწარი.

- მართლა შეიარაღებული აჯანყების ბრალდებით ზიხართ?

- დიახ. მაგრამ ეგ მხოლოდ „პერესილკაში" გავიგე.

- ხდება ხოლმე. ეგ მე არ მიკვირს. თქვენ ამბობთ, „ტიფლის", და არა „ტფილისი". მეც მუდამ ეგრე ვამბობ - „ტიფლის". ბავშვობაში ორი წელიწადი თქვენს დედაქალაქში ვიცხოვრე. მამაჩემი სამხედრო იყო.

მეც ოფიცერი ვარ.

- ძალიან სასიამოვნოა! მაგრამ საიდან იცით, მე რომელი მუხლით ვზივარ?

- თქვენს შესახებ მე კიდევ ზოგი რამ ვიცი. შემიძლია, მოგილოცოთ: დიდ ხანი არ არის, რაც ამ ლაგერში ხართ, მაგრამ უკვე „ნამდვილი ქართველის" სახელი დაგიმსახურებიათ.

- ეგ კომპლიმენტია?

- ნამდვილზე ნამდვილი. არ ვიცი, როგორ დაიჭერენ თავს ახლანდელი ქართველი პოლიტიკური პატიმრები, მაგრამ იმათ, ვინც აქ მანამდე იყო და აქვე ამოწყდა, ძალიან დიდი სახელი დასტოვეს. ისინი აქ ახლაც დიდ ვაჟკაცებად და ამავე დროს - ნამდვილ ინტელიგენტებად ითვლებიან. ეს კი საკმაოდ იშვიათი შეფარდებაა. ჩვენში, რუს ინტელიგენტებში, საკმაოდ ბევრია ქალაჩუნა. მე კი ვფიქრობ, რომ პასუხისმგებელი ვარ შთამომავლობის წინაშე ყველა იმ უმსგავსოებისა და სისაძაგლისთვის, რაც ახლა ხდება.

- გაგვიგონებენ.

- მე ჩემი 25 წელი უკვე მოსჯილი მაქვს.

- მაგისი დამძიმებაც შეიძლება. თქვენ ღმერთმა დაგიფაროთ, მაგრამ თქვენი მეგობარი ხომ...

- მესმის. მართალი ბრძანდებით, მაგრამ იცით, პავლოვი რისთვის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

- რალაც-რალაცეები მსმენია. გულახდილად გეტყვით, კიდეც მჯეროდა და არც მჯეროდა.

- შემიძლია, ყველაფერი ზუსტად გიამბოთ. მან ათამდე კაცი შეგვკრიბა და გვითხრა: ჩვენ აქ სამუშაოდ, ქვანახშირის ამოსაღებად ჩამოგვიყვანეს. კეთილი და პატიოსანი. ვიმუშაოთ ბოლოსდაბოლოს, ჩვენი ნაშრომი ისევ ხალხს დარჩება. მაგრამ ხომ ხედავთ, როგორ ამკაცრებენ ლაგერის რეჟიმს. ამბობენ, დახვრეტები დაიწყებაო. კაშკეტინის ვარიანტი გამეორდებაო (ვინმე კაშკეტინმა 1939 წელს პეჩორის აუზის ლაგერები გადაიარა და პირდაპირ გაანახევრა. პატიმრებს დაამწკრივებდა და, ვინც თვალში არ მოუვიდოდა, საკუთარი ხელით ხვრეტდა. უკან ორი „ვერტუხაი" მიჰყვებოდა, რომლებიც დაცლილ მაუზერს ხელახლა უტენიდნენ. განაპირა ვორკუტის ლაგერები რომ გაანახევრა, მოსკოვიდან ვილაცეები ჩამოფრინდნენ, კაშკეტინს ხელი წაავლეს და იქვე მიახვრიტეს. არადა, ჯიბეში მას ასეთი მანდატი ედო - „Особо-уполномоченный правительства СССР"). აი, ეს კი მე არ მინდა. მოდით, შევიარაღდეთ. დანებით, რკინის ჯოხებით... ვისაც რითი შეუძლია. თუ დახვრეტას დაგვიპირებენ, თავს დავიცავთ. არ დაგვიპირებენ - ვიმუშავებთ. მე სრულიადაც არ მოგიწოდებთ, ავჯანყდეთო. თანახმანი ხართ!

- თანახმა ვართ.

ყველამ ხელები ავწიეთ. მაგრამ იმ ათიდან ერთმა იმავე საღამოს დაგვაბეზღა, თანაც ყოვლად უსინდისოდ - აჯანყებას აპირებენო. პავლოვს ხელი სტაცეს და, როგორც გავიგეთ, დახვრიტეს. მე კი ისევ ოცდახუთი შემითავსეს... ოღონდ ახლა მე ვფიქრობ, რომ შევცდით. პავლოვი შეცდა.

- შეცდა?!

- დიახ! ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, ნამდვილი ვაჟკაცი, დიდი ბუნების ადამიანი იყო, მაგრამ... ახლა, ჩემის აზრით, დახვრეტები არ იქნება. კაშკეტინის დროს სხვა იყო. მაშინ

ჩრდილოეთში რკინიგზა არ შემოდიოდა.არ იყო ელექტრონი, წყალი... ლაგერებში ხალხი ბუზებივით იხოცებოდა. გაჩნდა დიზენტერია, ტიფი, ათასი სახადი და უბედურება... ხელისუფლება იძულებული გახდა, პატიმრების რიცხვი გაენახევრებინა. ვინც გადარჩა, იმათ ლაგერებში დაუფქვავი ქერი და ჭვავი შეუყარეს და ასე აცოცხლეს. თუმცა ამის მერეც ბევრი იხოცებოდა. მაგრამ გადარჩენილებს რკინიგზა გააყვანინეს, ელსადგურები ააშენებინეს. ახლა „პირობები შექმნილია". ხალხი, ასე თუ ისე, მუშაობს, ქვეყანას ქვანახშირით ამარაგებს. ასე რომ, პატიმრების რიცხვის განახევრება ხელისუფლებას ახლა არ ესაჭიროება. პირიქით, ახალი შახტები შენდება და პატიმრები მეტიც კი დაჭირდებათ. ეჭვი არ მეპარება, რომ იშოვნიან. ასე რომ... მაგრამ მე არც პავლოვს ვამტყუნებ. შეცდა, მაგრამ მაინც მართალი იყო. ამათგან ყველაფერს უნდა ელოდე.

- დიახ...

- ახლა, თუ ნებას მომცემთ, პირადად თქვენს შესახებ, მოგახსენებთ. ჩვენ სხვა ლაგერების პატიმრებთან დაკავშირება გადავწყვიტეთ. და გვირჩიეს, № 1 ლაგპუნქტში არის ერთი ახალგაზრდა ქართველი,. უმაღლესი განათლებით, ზის ძალიან სერიოზულ საქმეზე - საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებაში აქტიური მონაწილეობისათვის. ამაყი და ძლიერი პიროვნებაა, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს არა მარტო ქართველებში, არამედ ლაგერის მთელს მოსახლეობაშიო.-

- ეს ყველაფერი - მე მეხება?

- ეს ყველაფერი თქვენ გეხებათ.

- მერე!

- ჩვენ უბრალოდ ვერ მოვასწარით თქვენთან დაკავშირება. ხომ იცით, ეს თითქმის შეუძლებელია. ლაგპუნქტებს შორის არავითარი კონტაქტი არ არის. ერთადერთი საშუალება, სულგრძელად მაპატიეთ და - გოვნოვოზებია. (იყვნენ ასეთი პატიმრები - ლაგერებში დადიოდნენ და ტუალეტებიდან ფეკალური მასა გაჰქონდათ). მაგრამ პავლოვმა თქვა, ქართველები ამაყი ხალხია, ეს საშუალება არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდგებაო. სხვა გზების ძებნა დავიწყეთ. მაგრამ ჩეკისტები უკვე გვითვალთვალებდნენ და, აი, ყველაფერი ასე დამთავრდა.

- პავლოვი მართლა დახვრიტეს?

- ოღონდ არ გეწყინოთ და - თქვენ გამოუსწორებელი ოპტიმისტი ჩანხართ.

- რატომ? მეც ვფიქრობ, რომ დახვრეტდნენ.

- უკვე მესამეჯერ კი მეკითხებით, დახვრიტეს, თუ არაო.

- უბრალოდ, არ მინდა კარგი კაცის სიკვდილი დავიჯერო.

- ნამდვილად კარგი კაცი იყო! მენდეთ. ეჰ!..

ალბათ, უკვე საკმაოდ ხმამაღლა ვლაპარაკობდით, იმიტომ, რომ ვილაცას გაეღვიძა, მომიჩოჩდა და მთხოვა, შენი კარგი თამბაქო მომაწევინეო.

ეს ჩემი ახალი ნაცნობი კი მოულოდნელად, დილით ადრე, კამერიდან გაიყვანეს და სადღაც გაგზავნეს. კარებში გასვლისას გამილიმა და ხელი დამიქნია. დილის პურს რომ გვირიგებდნენ, ზედამხედველს ვკითხე, ის კაცი რა გვარი იყო-მეთქი.

- არ ვიცი. - მომიგდო ზედამხედველმა და კარი მომიკეტა.

XXX

ჩრდილოეთის ლაგერებში ჯერ კიდევ ომამდე ამოწყვეტილ ქართველებს მართლაც დიდი სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი.არც გასაკვირია - 37-ში ნამდვილი ქართველი ინტელიგენცია გადაასახლეს.

ყინულეთში დარჩნენ. იმათი დამსახურებაა, რომ თუ ლაგერში „ნამდვილ ქართველად“ ჩაგთვლიდნენ, ეს დიდი პატივი იყო.

ერთხელ „ნამდვილქართველობა“ ჩემი თაობის ქართველმა პოლიტპატიმრებმაც დაადასტურეს. №3 ლაგპუნქტში ბენდერელებმა ოპერ-რწმუნებულს „სეკსოტების“ - მაბეზღარების სია მოჰპარეს. იმ სიაში გამოუკლებლივ ყველა ეროვნების შვილი აღმოჩნდა წარმოდგენილი, თვით დასავლეთ უკრაინელების და ბელორუსების ჩათვლით, და არ იყო არც ერთი ქართველი. ეს ამბავი მთელს

პეჩორის აუზის ლაგერებში მეხივით გავარდა და მთელი თვე ყურთასმენა გვქონდა წაღებული, - „აი, მესმის, ხალხი ყოჩაღ, ქართველებო!..“ ასე რომ, რაღაც სიხარულისა და სიამაყის გრძნობა, შეიძლება, ლაგერებშიც განიცადო.

ერთხელ კი უხერხულ მდგომარეობაში ჩავცვივდით.

ჩვენს №2 ლაგპუნქტში იყო ვიღაც ირანელი სომეხი - უბნელესი, უუმეცრესი პიროვნება. არც ერთი ენა არ იცოდა, სწორედ ეს აფიქრებინებდა ჩეკისტებს, ეგკაცი უდიდესი საერთაშორისო ჯაშუში იქნებაო. ძლივს შეასმინეს, სამუშაოზე უნდა იაროო, და რომელიღაც ბრიგადაში ჩარიცხეს. შახტში კი ჩავიდოდა ხოლმე, მაგრამ იქ სადმე კუთხეში ჩამოჯდებოდა და თითსაც ვერ გაანძრევინებდი. პატიმრებს გასართობი გაუჩნდათ. იმას რომ დაინახავდნენ, ერთი ხარხარი და ხორხოცი ატყდებოდა ხოლმე, - ჩრდილოეთის სტახანოვი მოდისო.

იმ კაცს ერთხელ რაღაც მოელანდა და ერთ კახელ ბიჭს, ყოფილ მფრინავს, უკანიდან თავში რკინის კეტი ჩასცხო. მფრინავი ცოცხალმკვდარი დაეცა. ექიმებმა ბევრი ღამე ათიეს მის გადასარჩენად.

მთელი ლაგერი შეიძრა. ვიღაცეებმა ხმა გაგვივრცელეს, ქართველები გაცეცხლებულები არიან და გადაუწყვეტიათ, იმ ერთი ქართველის სამაგიეროდ ნახევარი ლაგერი უნდა ამოვწყვიტოთო. სპეციალური ყარაულები და სეკსოტები მოგვიჩინეს. ლაგერის ადმინისტრაცია შინ აღარ მიდიოდა, კაბინეტებში დღე და ღამე სინათლე ენთო. ქართველების „ბირჟის“ - „ვალენკების“ საშრობის გარშემო გაუთავებლად „სეკსოტები“ დაძრწოდნენ. ერთი სიტყვით, ლაგერში ასეთი განწყობილება შეიქნა, - ხალხის ჩეხვა ან ახლა დაიწყება, ან ახლა, ქართველები აღარ დაიწყებენ მტყუანისა და მართლის გარჩევას, დანამდვილებით ცნობილია, იმ ვიღაც პირბნელი ირანელი სომეხის გულისთვის ნახევარ ლაგერს ამოწყვეტენო, და სხვა ამგვარები. ირანელი ჩეკისტებმა საღლაც გააქრეს, ჩვენ კი იმ „სუშილკაში“ ვისხედით და არ ვიცოდით, რა გვექნა. ვინ იყო მტყუანსა თუ მართლის განურჩევლად ამომწყვეტი?

ხელის გამნძრევიც კი არავინ იყო. ის კახელი გულზე დიდად არც კი გვეხატებოდა, - კომუნისტი ვარ, დედა შრომის გმირი მყავს, ლაგერში შემთხვევით მოვხვდი და მალე გამათავისუფლებენო, თავი ყინჩად ეჭირა.

„ლაგერი" ორი თუ სამი დღე განაბული, ნირწამხდარი იყო. მესამე დღეს „სუშილკაში" ლაგერის საპატიო პირი - ცნობილი ქირურგი გვეწვია და მოლაპარაკება გაგვიმართა, - იმ ვილაც ბნელი პიროვნების გულისთვის სისხლს ნუ დაღვრით, თავის საქციელს იგი, ალბათ, უკვე ნანობს, თანაც ველარც მიწვდებით, რწმუნებულმა სხვა ლაგერში გადამალა, ჩემი თვალით ვნახე, როგორ გაგზავნესო; თქვენს ბიჭს კი აღარაფერი უშავს, თავზე პირადად მე ვადგევარ, მალე სულ გამოჯანმრთელდება და ისევ ის „სიმპატიჩნი გრუზინჩიკი" იქნებაო.

ჩვენ ჯერ თავი დავიფასეთ.

- სისხლის ზღვების დაყენებას არავინ აპირებს, - ვუთხარი მე ქირურგს, - ვიცით, ამისთვის რაც მოგველის, მაგრამ... კარგი, თქვენ თვითონ გვიბრძანეთ, რა ვქნათ, შევარჩინოთ?

- რომან სერგეევიჩ, ძვირფასო, მას ხომ ველარ მივწვდებით!

გააგზავნეს. მოაშორეს. ალბათ, უკვე საჯარიმო ზონაშია. მაშ, მის მაგივრად სხვისი სისხლი უნდა დაიღვაროს? სადაა ლოგიკა?

- სხვისი სისხლის დაღვრა ჩვენ არც გვიფიქრია. ჩვენ ველურები არა ვართ.

- ღმერთმა გიშველოთ! აი, სწორედ ამ სიტყვების გაგონება მინდოდა მე თქვენგან. დიდი მადლობა, რომან სერგეევიჩ!..

- არაფერს... როგორ გეკადრებათ!

ქირურგი კმაყოფილი გაიქცა. უფროსმა „ნარიადჩიკმა" კი საღამოს კაცი გამომიგზავნა, თუ გინდა, დაისვენე, შეგიძლია, ერთი კვირა სამუშაოზე არ გახვიდეო.

მადლობა შევუთვალე. სამუშაოზე მაინც არ გავდიოდი: ე.წ. სამმართველოს ბრიგადაში ვიყავი. ჩვენი პრივილეგია ის იყო, რომ სამუშაოზე ცალკე გავყავდით, სადილად ისევ საცხოვრებელ ზონაში მოგვიყვანდნენ და ნასადილევს კვლავ სამუშაო ზონაში

გაგვიყვანდნენ ხოლმე. კაცი არ იყო შემმოწმებელი, სამუშაო ზონაში საერთოდ გადიოდი, თუ არა... მე თვის ბოლოს გავიდოდი ხოლმე, სიდელევს საჭირო ქაღალდს შევუტანდი, ხელს მოვაწერინებდი და - შემდეგი თვის ბოლომდე თავისუფალი ვიყავი. „სუშილკაში" ვიჯექი და ტარიელ ქუთათელაძის აკორდეონზე „На сопках Манджурии"-ს ვუკრავდი.

საერთოდ, პატიმრებს ამბის გაზვიადება ჩვევიათ. რაკი მოქმედების საშუალებას მოკლებულნი არიან, ფანტაზიას აამოქმედებენ ხოლმე და საზღვარი აღარ იციან. ერთხელ ვინმე ტუპიკინი შემომელახა - ლაგერში ვილაც ქართველ ჩეკისტებს შემოუგდიათ და ჯავრს ჩვენზე იყრიდა. ერთ ხანს ვუთმინეთ, მერე კიყბა მოვუნგრიე. ლაგერში ხმა გავარდა, იმ ულვაშებიან ქართველს მთელი ბარაკი უცემიაო. კოტე ჯავრიშვილი ჩაერია და „რეალური მაჩვენებლები გამოაქვეყნა". ვინ ეხვეწებოდა, დღესაც არ ვიცი. ოღონდ ეს კი იყო, რომ თითქმის არავინ დაუჯერა და ლაგერში ერთ ხანს დევთა მმუსვრელად ვითვლებოდი.

მალე სხვა, უფრო სერიოზული საქმეც გამოჩნდა - რუსულ ენაზე დიდი რომანის წერა დავიწყე, რომელშიც ასახული იქნებოდა საქართველოს ცხოვრება ამ საუკუნის დასაწყისიდან დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე. ჩემი ვარაუდით, ხუთი თუ ექვსი ათასი გვერდი უნდა დამეწერა, რომლებშიც, რაღა თქმა უნდა, სათანადო ადგილი დაეთმობოდა დიდი სტალინის მხედართმთავრულ გენიასაც. ნამდვილად ასე იქნებოდა, თუმცა იოსებ ჯულაშვილის პიროვნებისადმი სიყრმიდანვე ზიზღით და უნდობლობით ვიყავი განმსჭვალული.

დიდად ნუ გაიკვირვებთ, პატივცემულო მკითხველო! თქვენ სიცოცხლეში განა ერთხელ მაინც დიდი ტყუილი არ გითქვამთ? მე კი ეს რომანი 1940-იანი წლების მიწურულში წამოვიწყე, როცა ჯულაშვილის ქებით ქვეყანა იყო დაყრუებული. ესეც არ იყოს, რომანს „უჯრისთვის" კი არ ვწერდი, არამედ დასაბეჭდად, თუმცა-ღა წარმოდგენაც კი არ მქონდა, სად, როდის და როგორ დაიბეჭდებოდა.

ამ საქმისაკენ ორმა უკრაინელმა მეგობარმა - გრიგორი კიჩურმა და დმიტრო პარამარჩუკმა მიბიძგა. მათ ერთი ებრაელი - სოლომონ აბეზგაუზიც ეხმარებოდა.

დაიწყო წერა. მთავარი რედაქტორი კოჩური იყო. შესავალი თავების რამდენიმე თავი სასტიკად გამიკრიტიკა. დავხიე და გადავყარე. მერე საქმე სასიკეთოდ შეტრიალდა და რამდენიმე პირველი თავი წრფელი მოწონების საგანი გახდა. ორი თუ სამი თვის შემდეგ კი კოჩურმა ასეთი ვერდიქტი გამოგვიტანა, -"Эту вещь просто необходимо довести до канца"-ო. ვფიქრობ, ეს თავის ქებად არ ჩამომერთმევა. კოჩური თავისუფლად ფლობდა რამდენიმე ევროპულ ენას, დაიწყო ქართულის შესწავლაც და მცირე ხანში შესამჩნევ წარმატებებს მიაღწია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი პირდაპირ ფანტასტიური ერუდიციის ადამიანი იყო. შეგეძლოთ, მაგალითად, გეკითხათ, სერვანტესმა როდის დაიწყო და როდის თაამთავრა „დონ-კიხოტის" წერაო, რომ დაუფიქრებლად დაგისახელებდათ არა მარტო ორ ამ თარიღს, არამედ გეტყოდათ იმასაც, თუ პირველად ესპანურ ენაზე ვინ და როდის გამოსცა ეს რომანი. კიდევ რომელ ევროპულ ენაზე როდისაა იგი თარგმნილი და გამოქვეყნებული და ა.შ. და ა.შ. არც მიკვირს, რომ დღეს უკრაინაში იგი დასავლეთ-ევროპის ლიტერატურის უდიდეს სპეციალისტად ითვლება.

მას რატომღაც მცდარი შეხედულება ჰქონდა გალაქტიონ ტაბიძეზე. მე შევეცადე ამის გაქარწყლებას და გალაქტიონის ნამდენიმე ლექსის ბწკარედი გავუკეთე. ყველა ის ლექსი მან შესანიშნავად აამეტყველა უკრაინულ ენაზე, დაიწუნა მხოლოდ „ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი..."

დმიტრო პარამარჩუკი ბარათაშვილის „მერანმა" გააოგნა. მან ეს ლექსი უკრაინულ ენაზე თარგმნა. თარგმანი ერთი ხნის წინათ დაიბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში" - უკრაინულ ენაზე.

რაც შეეხება ჩემს რომანს - ხელნაწერი რამდენჯერმე ჩამომართვეს, დიდი ჯახირით უკანვე დავიბრუნე... საერთოდ, არა მგონია, „მინლაგსა" და მსგავს დაწესებულებაში სერიოზული

შემოქმედებითი მუშაობა შეიძლებოდეს. ერთი რვეული მაინც შევავსე და ლაგერიდან ჩამოვიტანე, აქ კი... დამეკარგა, დიდად არ მინანია, თუმცა კოჩურმა კი ინტიდან გამოცილებისას მითხრა, უთუოდ საინტერესო ნაწარმოები იქნება, მაგრამ, ალბათ, აჯობებს, თუ ქართულად დაწერთ, ახლა მაინც იგრძნობა, რომ რუსულად არარუსი წერსო. საკმაოდ მოურიდებელი, პირუთვნელი ლაპარაკი სჩვეოდა. მაგრამ მე მისგან არაფერი მწყინდა, მისი ნათქვამი გავითვალისწინე და მის აქეთ რუსულ ენაზე მხატვრული არაფერი დამიწერია, მით უმეტეს, რომ კოჩურისგან დამოუკიდებლად იგივე რჩევა მეტად ლამაზმა და ჭკვიანმა რუსმა ქალმაც მომცა, რომელსაც ჩემი რვეული უკვე ლაგერიდან გამოსვლის შემდეგ წავაკითხე.

ერთი დეტალიც გრიგორი კოჩურის ბიოგრაფიიდან: დაპატიმრებული იყო არა მარტო იგი, არამედ მისი მეუღლეც, ირინა მიხაილოვნა. კოჩურმა სრულიად არაფერი იცოდა, თუ სად და როგორ იყო მისი ცოლი. გამოუთქმელად დარდობდა. „არა მგონია, დაეხვრიტოთო, - მეტყოდა ხოლმე, - დანაშაული არც მე და არც იმას არაფერი გვქონდა. მე ათი წელი მაკმარეს. ლოგიკური იქნება, თუ ვივარაუდებ, რომ ასეთივე სასჯელი გამოუტანეს იმასაც. მაგრამ სად არის? საით გაგზავნეს? ნუთუ ერთი წერილის გამოგზავნაც კი ვერ მოახერხა? სად ვეძიო?“

ხელს ჩაიქნევდა ხოლმე და კაეშანს მიეცემოდა.

გასათავისუფლებლად უზარმაზარი „მინერალური ლაგერის“ ყველა ცალკეული ლაგპუნქტიდან აქაურ „პერესილკაში“ - № 5 ლაგპუნქტში გვგზავნიდნენ. როცა ვადამ მოუწია, გრიგორი პორფირიევიჩიც იმავე № 5 ლაგპუნქტში გაგზავნეს. ჭიშკარში შესვლა ვერც კი მოასწრო, რომ... თავისი ირინა მიხაილოვნა დაინახა.

ბერიას უწყებაში ერთი სასტიკი კანონი მოქმედებდა, რომელსაც განუხრელად იცავდნენ: ცოლი და ქმარი, ან მამა და შვილი, ან და და ძმა, ან, საერთოდ, ერთ საქმეზე გასამართლებულნი ერთ ლაგერში არ უნდა ყოფილიყვნენ. ჩეკისტებს შეშლიათ და ირინა მიხაილოვნაც იმავე „მინლაგში“ გამოუგზავნიათ, სადაც მისი ქმარი იყო, ოღონდ,

რა თქმა უნდა, ცალკე, ქალების ლაგპუნქტში. ირინა მიხაილოვნას ცოდნია, რომ ეს „კანონის“ დარღვევა იყო და თუ გამომჟღავნდებოდა, მას, ან მის ქმარს მაშინვე სადმე გადაჰკარგავდნენ. ამიტომ სრული შვიდი წელიწადი ითმინა და ქმარს არ შეატყობინა, აქვე, შენს გვერდით, შენგან სამიოდე კილომეტრზე ვარო, რამდენ მოთმენად, როგორ ტანჯვად დაუჯდა ქალს ეს საქციელი. მაგრამ გაუძლო, ვარაუდობდა, გათავისუფლებისას შევხვდებითო და ვარაუდმა გაუმართლა. ოღონდ ეს იყო, თავისი ოქროს კულულებიანი გრიცკოს ნაცვლად ხელში ჭაღარა ბერიკაცი შერჩა. ახალგაზრდა აღარც მას ეთქმოდა. ისღა დამრჩენია, დავუმატო, რომ ცოდნა-განათლებით და კულტურით სწორედ თავისი ქმრის შესაფერი იყო, ოღონდ უფრო რბილი, სათნო, და ჩემი რვეულების გარჩევისას ქმრისთვის არაერთხელ დაუტატანებია, პროკურორივით ნუ იქცევიო.

თავი მეჩვიდმეტე

„ლაგერიდან“ გამოსვლის შემდეგ მალე თვალნათლივ დავრწმუნდი, რომ განუკითხავი, წვრილმანი და ბოროტად შურისმაძიებელი შეიძლება იყოს არა მარტო ერთი ადამიანი, არამედ მთელი ქალაქის მოსახლეობაც.

ჯერ კიდევ ლაგერში ყოფნისას რამდენიმე გულშემატკივარმა გამაფრთხილა, ქალაქში ერთი მოგვარე კაცი ცხოვრობს, იმას ნურც მიეკარები, სალამსაც ნუ მისცემ, თორემ შავ დღეში ჩავარდებიო.

- ასეთი უსაშველო რა ჭირს?!

- ოო., ნურც მეკითხები!..

ასეც გადავწყვიტე, - იმ ვიღაც გრიშა კობიძეს, ახლოსაც კი არ გავეკარები, თავს როგორმე უიმისოდაც გავიტან მეთქი. მაგრამ ბედმა სხვანაირად ინება.

ჯერ ერთი, დედაჩემს გრიშა კობიძე თბილისადანვე მოუძებნია და წერილს, თურმე, წერილზე უგზავნიდა, მანდ ჩემი შვილი ზის და

მიმიხედეო. გრიშა კობიძე ლაგერში ვერ მომაკითხავდა - ეს სასტიკად იყო აკრძალული. მაგრამ ჩემი გათავისუფლების თარიღი კი იცოდა. გარდა ამისა, ჩემზე რამდენიმე თვით ადრე პატიმარი ბიკენტი ჯმუხაძე გათავისუფლდა. ვინ დაავალა, არ ვიცი, მაგრამ გრიშა კობიძესთან მისულა და უთქვამს, მალე შენი მოგვარე თავისუფლდება და ღამის გასათევი საძებნელი ექნებაო.

- აბა, მე აქ რა მოხელე ვარო?! - იტკიცა თურმე გრიშამ, - ამ ყიამეთში ჩემს მოგვარეს, ჩემს სისხლსა და ხორცს ღამეს აღარ გავათევინებ? ეეე!..

- როდის გამოდის? - უკითხავს ელენე დავიდოვნას, რომელიც ქმართან იყო ჩამოსული და სააფთიაქო სამმართველოში ბაზის უფროსად მუშაობდა.

- ჩვიდმეტ აპრილს.

- თქვენი სახელი?

- ბიკენტი.

- აბა, მე შენ გთხოვ და კიდეც გავალებ, ჩემო ბიკენტი: იმ ბიჭს კომენდატურაში დაუხვდი და პირდაპირ ჩემთან მოიყვანე. ჩემი ქალობა უფლებას არ მომცემს, ჩემი ქმრის მოგვარე ამ ყინულეთში ღამეს ცის ქვეშ ათევდეს და მე აქ ორ ოთახში ვიყო გამოჭიმული. ძალიან გთხოვ, არ დამალალატო. მე სამსახურში ვიქნები, თორემ თვითონვე დავხვდებოდი.

ბიკენტი ჯმუხაძე და საშა პაპავა 17 აპრილს მართლაც კომენდატურასთან დამხვდნენ. მე ხელები გავასავსავე.

- გაფრთხილებული ვარ, მაგ კაცს არ მიეკაროო.

- მისაკარებელი მართლაც არ არის. ვიცნობ, ახალგაზრდობაში თბილისში ლექსებს ვუბეჭდავდი.

- პოეტია?

- პოეტი კი არა, ქაჯი და სატანაა, მაგრამ... დიდი ჩეკისტი იყო და რევოლუციურ ლექსებს წერდა. შენ სხვა გზა არა გაქვს, უნდა მიხვიდე. იწყენს, რატომ არ მოვიდაო, და გადაგეკიდება. ჩეკისტები ძალიან წყალობენ, ჩვენ კი მაგათ ხელში ვართ.

- ცოლიც ძალიან გაიქაჩა, - დაუმატა ბიკენტიმ.

- ჯანდაბას! მივიდეთ. ერთი-ორ ღამეს გავათევ, სუფთა ლოგინში მაინც ჩამაწვენენ. მერე ვნახოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივედით. მართლაც, ძალიან კარგად დაგვხვდნენ, გემრიელად გვაკვებეს და სუფთა ლოგინშიც ჩამაწვინეს.

- მაშას ჩვენს ოთახში წავიყვან. - მითხრა ელენე დავიდოვნამ.

მაშა, თვრამეტიოდე წლის, შავთვალა მოსამსახურე გოგონა იყო. ვახშმობისას რამდენჯერმე გვერდით მომეყრდნო.

- რატომ?

- აბა?!

-აგერ, კუთხეში გაუშალე.

- ო, რა ხართ ეს კობიძეები!..

მაშა ნაშუადამევს თავზე დამადგა და ჩურჩულით მკითხა, წყალი ხომ არ გწყურიაო.

რუსის ქალი აკურთხოს გამჩენმა! მთელი ღამე ისე მიალერსებდა, როგორც დედა თავის ჩვილს მიუალერსებს...

დილით ღრმად ჩაძინებულები მხიარულად მოხარხარე მასპინძლებმა ძლივს გაგვაღვიძეს. მაშამ თვალები მოიფშვნიტა, ყაყაჩოსავით გაწითლდა და საბანი თავზე წამოიფარა.

ერთი სიტყვით, გათავისუფლების პირველსავე ღამეს გემრიელადაც ვივახშმე, სუფთა ლოგინშიც ჩავწექი და ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ეს ყველაფერი შხამად მექცეოდა.

სამსახური უნდა მეძებნა. პურის ფულიც გამიჩნდებოდა და საერთო საცხოვრებელში გადასვლის საშუალებაც - გრიშა კობიძის ჭერქვეშ დიდხანს დარჩენას არ ვაპირებდი.

ტრესტის მუშათა კადრების განყოფილებაში მითხრეს, ერთადერთი ვაკანსია გვაქვს - ელექტროსადგურში მენაცრედ შეგვიძლია გაგიშვათო.

- ეგ რა არის?

- დიდი არაფერი. ღუმელიდან ნაცარი უნდა გამოხვეტოთო და მანქანაზე დატვირთოთ.

- მე უმაღლესი განათლება მაქვს.

ოფიცერმა მხრები-ღა აიჩეჩა.

ხელმძღვანელი კადრების განყოფილებაში მისვლაც კი არ ღირდა, იქვინმებოიკო იჯდა და „მინლაგის კონტინგენტს“ გასაქანს არ აძლევდა. საკმარისი იყო სადმე უბრალო სუფთა სამუშაო გამოჩენილიყო, რომ იქ მაშინვე ვინმე ოფიცრის ცოლს გაგზავნიდა და შენ პირში ჩალაგამოვლებულს დაგტოვებდა.

ხმები დადიოდა, „მინლაგიდან“ გამოსულებისთვის დიდი შახტი შენდება, № 11X12, და ყველას იქ მიიღებენო. მაგრამ იმ შახტის დამთავრება საახალწლოდ იყო განზრახული. ჯერ კი აპრილი იდგა, ხოლო იმ შახტზე მოწყობა, რომელზეც ჯერ კიდევ გუშინ, პატიმარი ვმუშაობდი, ახლა, ლაგერიდან გამოსულს, სასტიკად მეკრძალებოდა. რატომ? თუ გნებავთ, ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ ჩეკისტები როგორ ხელოვნურად ჰქმნიდნენ ათასგვარ, ყოვლად უაზრო აკრძალვებს, ოღონდ კი საკუთარი არსებობა და მაღალი ხელფასები გაემართლებინათ და ჩინ-მედლები ეხვეტათ.

„მინლაგიდან“ უკვე რამდენიმე ქართველი იყო გამოსული. ორიოდე დღის შემდეგ ერთი მათგანი - ვლადიმერ გოგოლაძე მოვარდა და მითხრა, აგურის ქარხანაში დისპეტჩერი ჭირდებათ და წამოდიო. ჯერ კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროს დისპეტჩერთან, საკმაოდ ახალგაზრდა კაცთან მივედით. ხელგაშლით მიგვიღო. ქართველი ბრძანდებით? უმაღლესი განათლებით? მორჩა. თანაც რუსულად მშვენივრად ლაპარაკობთ. განყოფილების უფროსი ვასიუტა ქართველებისთვის სულს ლევს. პირველი საათისთვის იქნება. მანამდე ყველაფერს ვეტყვი. ხელფასი 980 მანეთი. პრემიალურები. აბა, გელოდებით.

სრულ პირველ საათზე ვასიუტას კაბინეტში შევედით. ვასიუტა - ზორბა, ჩასუქებული უკრაინელი წამოდგა და თითქმის შუა კაბინეტში შემეგება. მართლაც ქართველი ყოფილხარ, ვხედავ. უმაღლესი განათლებით, ხომ? ჩინებულია. ხელფასი - 980. კიდევ რაღაცეები. აბა, განცხადება დავწეროთ.

ქაღალდი და კალმისტარი თვითონვე მომაწოდა. დავჯექი, ჩავაწიკწიკე, მე, რამაზ კობიძე გთხოვთ დამნიშნოთ აგურის ქარხნის დისპეტჩერადო, ხელი მოვაწერე და წინ დავუდე, თან ვფიქრობდი,

980 მანეთი (ძველი კურსით) არც ისე დიდი ფულია, მაგრამ როგორმე თავს გავიტან, მერე კი ვნახავ-მეთქი.

ვასიუტამ კალმისტარი აიღო და ის იყო, რეზოლუცია უნდა დაედო, რომ შეჩერდა. სახეზე ნაცრისფერმა გადაჰკრა. შემომხედა. ისევ ქაღალდს დახედა. ქაღალდი გვერდზე გასწია და რაღაც გაუგებარი წაილულლულა.

- რა ბრძანეთ?

- არაფერი... ისა... ჰმ!.. ხვალ შემოიარეთ.

სიბრიყვე გამოვიჩინე და მეორე დღეს მართლაც შევიარე. ვასიუტას კაბინეტში აღარავინ შემიშვა. დისპეტჩერი ჩაის სვამდა. ცივად მომიგდო, მაგ თანამდებობაზე კადრების განყოფილებიდან, მგონი, ვიღაც ტექნიკოსს გვიგზავნიანო. ტექნიკოსი - დისპეტჩერის თანამდებობაზე?!..

ამ დღიდან დაიწყო. სრული რვა თვე სამსახურში ვერ მოვეწყე და უმუშევარმა ვიარე, მხოლოდ იმიტომ, რომ გრიშა კობიძის - მთელი პეჩორის აუზის საძულველი კაცის მოგვარე ვიყავი - მხოლოდ მოგვარე და არა ძმიშვილი, ან ბიძაშვილი, ან სხვა რამ ამის მსგავსი. მერე დავიდოვნამ მითხრა, საწარმოების უფროსები და დირექტორები ერთმანეთს ურეკავდნენ და აფრთხილებდნენ, ახალგაზრდა კობიძე დადის და სამსახურს ეძებს, არ მიიკაროთ, იმ სუპოსტატთან ცხოვრობს და თითქოს, მისი ნათესავიც არისო. არავინ მეკითხებოდა, მართლა მისი ნათესავი ვიყავი, თუ არა. მთელი ის ამოდენა ქალაქი წინ გადამიდგა და რაკი თითონ გრიშა კობიძეს - უშიშროების ორგანოების აგენტს ვერაფერს აკლებდნენ, ჯავრი ჩემზე იყარეს. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ამ პოზიციაში სწორედ ის პიროვნებები ჩადგნენ, ვინც თანაშდებობას, მდგომარეობას და კეთილდღეობას სწორედ უშიშროების ორგანოების წყალობით მიაღწია.

საქმე ისე წამივიდა, რომ მე - ერთი - იმოდენა, 30-ათასიან ქალაქს უნდა შევბმოდი და დამემარცხებინა. არადა, მართლაც მარტო ვიყავი და უბრალო ხელისგამმართველიც კი არავინ მყავდა.

ჩემებური თავქარიანობის გამოჩენა მაინც მოვასწარი. იმავე

ვლადიმერ გოგოლაძემ და ავთანდილ გელაძემ თავი მოიკლეს და ელექტროქსელის უფროსს ჩემი თავი სამსახურში მიაღებინეს - „სახაზო შემომვლელის“ თანამდებობაზე („Линейный обходчик“) - 500 მანეთი ხელფასით და იმ პირობით, რომ ელექტროგადამცემ ხაზებს კი არ შევამოწმებდი, რაზეც წარმოდგენაც კი არ მქონდა, არამედ კანტორაში ვიმუშავებდი რაღაც სასწრაფო ქაღალდების შესადგენად, რომელსაც თხოულობდა.

მაგრამ ორიოდე დღის შემდეგ სახაზო შემომვლელებმა ხმაური ასტეხეს, ეგ ბიჭი ბრიგადაში გვეთვლება, ფულიც ჩვენ უნდა გამოვუწეროთ და კეთილ ინებოს, ჩვენთან ხაზების შესამოწმებლად წამოვიდესო, ინტის ჭაობებში კი ჩემი ერთადერთი კოსტუმით და ერთადერთი წყვილი ფეხსაცმელით ათეულ კილომეტრიანი ელექტროგადამცემების შემოვლა არც თუ დიდად სახარბიელო საქმე იყო.

ჩემსა და ბრიგადირს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა.

- სპეცტანსაცმელს და რეზინის ჩექმებს მომცემთ?

- ჯერ ვერა.

- აბა, როდის?

- როცა საქმეს აითვისებ. არისტოკრატები ჩვენ არ გვჭირდება.

- ამ ერთი კოსტუმის მეტი არაფერი გამაჩნია.

- ეგ მე არ მეხება.

- ჰმ!.. - წარმოვიდგინე, რა ღრიანცელი ატყდებოდა სასადილოში, როცა ლაფში ამოსვრილი კოსტუმით შევიდოდი, როგორ გაიხარებდნენ ისინი, ვინც სამუშაოს არ მაძლევდნენ და კარით კარამდე მაწანწალებდნენ.

უფროსთან შევედი და განცხადება შევუტანე, სამუშაოდან გამათავისუფლეთ-მეთქი. ხმაც არ ამოუღია, რეზოლუცია ისე წააწერა. ახლაც თვალწინ მიდგას წითელი ასოებით წადლაბნილი: „Согласен“.

რას ვფიქრობდი იმ წუთში? ახლა ველარც კი გამიხსენებია.

სამსახური მაინც უნდა მეძებნა. სახლიდან 400 (ახლანდელი

კურსით 40) მანეთს მიგზავნიდნენ და იმასაც გრიშა კობიძეს ვაბარებდი, მეტი საშველი კი არსაიდან იყო.

კიდევ რამდენიმე ხნის შემდეგ იგივე ვლადიმერ გოგოლაძე მოვარდა. თურმე, დაქადნებული ჰქონდა, მოკვდები და მაგას სამსახურს ვუშოვნიო. მახარა, არიქა, საპროექტო კანტორაში კოლექტორი ჭირდებათ და წამოდიო. ჯერ კანტორის დირექტორთან შევედი, მერე მთავარ ინჟინერთან, ორივე ძალიან გულითადად შემხვდა, ორივემ მითხრა, სწორედ თქვენისთანა ახალგაზრდა გვჭირდებაო, და სხვა ამგვარები. როგორც ჩანდა, ინტაში ორივე ახალი ჩამოსული იყო, არ იცოდნენ, რომ აქ ისეთი დრაკონი სახლობდა და ამიტომ ჩემი გვარისთვის ყურადღება არც კი მიუქცევიათ. განცხადება დამაწერინეს, ოღონდ მითხრეს, საბოლოოდ თქვენს საკითხს კადრების უფროსი ლიბერმანი გადაწყვეტს, იგი ხვალ იქნება, ჩვენ საკუთარ აზრს ვეტყვით და, რაღა თქმა უნდა, გაგაფორმებთო.

მეორე დღეს ლიბერმანს ჩემი განცხადება წინ ედო. კაბინეტში შესულს ყურადღებით მომაჩერდა. რაღაც უმნიშვნელო კითხვები მომცა და მერე პირდაპირ მკითხა, გრიშა კობიძე თქვენი რა არისო.

- არაფერი.

- სად ცხოვრობთ?

- გრიშა კობიძესთან.

- ?!..

- სხვა გზა არა მაქვს.

- ჰმ!.. იცით... დიახ... ჰო... არა მგონია, ჩვენთან მუშაობა შეძლოთ...

- კოლექტორად ლაგერში მიმუშავია.

- ის სხვაა... ის სულ სხვაა... არა, არა... ნამდვილად გაგიჭირდებათ... ასე რომ... ჰო... დიახ...

- დირექტორმა, მთავარმა ინჟინერმა - ორივემ მითხრა, შეძლებთო.

- ჰო, ვიცი... მითხრეს... მაგრამ პასუხს საბოლოოდ მე ვაგებ ხოლმე... ასე რომ... დიახ...

წამოვედი.

უფრო მძიმე ამბავი შემემთხვა ავტობაზაში.

ლაგერიდან ლამაზი მსახიობი ქალი ვალენტინა ვოლნოვსკაია გამოვიდა. იმან რეკომენდაცია გამიწია კომბინატის დისპეტჩერთან. ეს დისპეტჩერი უცნაური კაცი იყო - ფანჯარას გამოაღებდა ხოლმე და ეზოში მომუშავე პატიმრებს მგზნებარე სიტყვებით მიმართავდა, - ცოტაც მოითმინეთ, ძმებო, ამ ჯოჯოხეთს მალე ბოლო მოელება, ეს ბობოლები დაემხობიან, თქვენ კი სახლებში წახვალთო. არადა, მე-20 ყრილობამდე ჯერ კიდევ სამი წელიწადი იყო დარჩენილი. ახლაც ვერ გამიგია, იმ კაცს ეს ყველაფერი როგორ შერჩა. მან, ზემოთ რომ ავტობაზის ლოთი დირექტორი აქსიონოვი გიხსენეთ, იმასთან მიმიყვანა და უთხრა, ეს კოხტა ბიჭი უმუშევარიაო.

- ეგ ببب... ჭი ამ ففف... უთიდან უმმუშევარმი აღარ არის... - ამოჟლაჟნა მთვრალმა აქსიონოვმა.

- აბა, შენ იცი!

- ششიტყვა - ششიტყვაა.

აქსიონავმა საგეგმო განყოფილებაში გაგზავნა, იქ იმუშავე, შტატი ჯერ არა მაქვს, მაგრამ იმ თვიდან რამეს მოგიხერხებო.

საგეგმო განყოფილების უფროსმა, მოსკოველმა ინტელიგენტმა ქალმა გალინა ალექსანდროვამ, ციხეებსა და გადასახლებაში ოცი წელიწადი რომ ჰქონდა მოთეული, გულთბილად მიმიღო:

- შტატი რომ არა გვაქვს? მიხაილ სემიონოვიჩი მელაპარაკა. არა უშავს, იმუშავეთ. ჩვენი ავტობაზა დიდია, რამეს გავახერხებთ. აი, ის მაგიდა თქვენი იყოს. ეს გოგონები თქვენი თანამშრომლები იქნებიან. იმედია, მათდამი ისეთსავე ჯენტლმენობას გამოიჩენთ, როგორც ქართველებსა ჩვევიათ. ხომ?

იმ დღესვე რაღაც პატარა დავალებები მომცა. აღტაცებული დარჩა, რა სწრაფად ანგარიშობთ და როგორი კარგი ხელიც გქონიათ, კი არა წერთ, პირდაპირ ხატავთო.

- ცოტა ხატვაც ვიცი. თუ გნებავთ, დაგხატავთ. ვცდი.

- ოო! მართლა? ძალიან კარგი. მაგრამ ეს მერე, მერე... ახლა კი - საქმე. აბა, გოგონებო!..

განყოფილებაში მალე მოვშინაურდი. აღარავის ახსოვდა, რომ შტატგარეშე ვმუშაობდი. საკმაოდ რთული დავალების მოცემაც კი დამიწყეს, გოგონებმა კი ეშმაკობას მიჰყვეს ხელი: როცა რაიმე თავსატეხი საქმე გამოჩნდებოდა, ერთ ამბავს ასტეხდნენ ხოლმე, ამას რომან სერგეევიჩი ჩვენზე უკეთ გააკეთებსო, სამაგიეროდ მურაბიანი ჩაით და შინაური ნამცხვრებით მიმასპინძლდებოდნენ.

მაგრამ ეს ოქროს ხანა მალე დამთავრდა.

თვის ბოლო მოვიდა. რაკი შტატგარეშე ვიყავი, აქსიონოვმა შემომითვალა, ცეხის უფროსის სახელზე განცხადება დაწერე, გთხოვთ, ამინაზღაუროთ, რაც ცეხში სამუშაოები მაქვს შესრულებულიო. განცხადება გალინა ალექსანდროვნამ ცეხის უფროსს დაამოწმებინოს და მერე რეზოლუციას მე დავადებო.

გალინა ალექსანდროვნამ განცხადებას დახედა, ჩემი გვარი დაინახა, თვალები გაუფართოვდა, შეჰკივლა და... გული წაუვიდა. რომ არ შევშველებოდი, იატაკზე დაენარცხებოდა.

განყოფილებაში წივილ-კივილი ატყდა.

- გადით! აქედან გადით! - მომკიოდნენ დაფეთებული გოგონები. - გადით!.. ახლავე გადით!..

რაღა ბევრი გავაგრძელო, ავტობაზიდანაც ისევე კუდ-ამოძუებული გამომისტუმრეს, როგორც სხვა დაწესებულებებიდან.

ასევე - სახანძრო რაზმის ბულალტერიიდან, ასევე ელექტრ-ქსელის სამმართველოდან... რომელი ერთი ჩამოვთვალო. როგორც გითხარით, ის ერთი ვეებერთელა ქალაქი იყო და - მე.

რა უნდა მექნა?

ახლა, ალბათ, მკითხველს აინტერესებს, ასეთი უსაშველო რა იყო ეს გრიშა კობიძე, რომ მის გამო ასეთ დღეში ჩაგაგდესო.

მაგ თემაზე ამომწურავი პასუხის მოცემა შემიძლია. და აი, რატომ: გრიშა კობიძეს ბერიას სახელზე უზარმაზარი განცხადება ჰქონდა გამზადებული. განცხადება კი არა, ფაქტიურად ეს იყო მისი, სხვათა შორის, 1905 წლიდან ბოლშევიკური პარტიის წევრის, დაწვრილებითი ბიოგრაფია რამდენიმე ასეულ გვერდზე. ლავრენტი ბერიას გრ.კობიძე თითქმის ყოველ გვერდზე ახსენებდა, თუ როგორ

ებრძოდნენ ეს ორნი ერთად საქართველოში კონტრრევოლუციას, როგორ დახვრიტეს, როგორ ამოძირკვეს, როგორ ამოშანთეს, როგორ გაანადგურეს და ა.შ. ინტის უშიშროების სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი ჟოლტიკოვი გრიშა კობიძეს პირდებოდა, მაგ შენს განცხადებას ფელდიეგერის ხელით პირდაპირ ბერიას გავუგზავნიო. არ ვიცი, მართლა გაუგზავნიდა, თუ არა. მაგრამ განცხადება ქართულად იყო დაწერილი. საჭირო იყო მისი რუსულ ენაზე თარგმნა. გრიშა კობიძე სხვას ვერავის ენდობოდა და ამ საქმის გეკეთება მე „შემომაწერა", ალბათ, იმის საფასურად, რომ მის სახლში ვცხოვრობდი და თვეში 400 მანეთად კიდეც მაჭმევდა (თუმცა ელენეა დავიდოვნამ რამდენჯერმე მითხრა, შენ ჩემი სტუმარი ხარ, მაგ ურჯუკის მე და შენ არაფერი გვინდაო).

ამიტომაც ვიცი დაწვრილებით გრიშა კობიძის ბიოგრაფია. ახლა დრო არ არის იმის მოყოლისა. გეტყვით მხოლოდ, რომ ამ კაცს საკუთარი ხელით ხუთასამდე ადამიანი ჰყავდა დახვრეტილი, უმრავლეს შემთხვევაში - ყოველგვარი სასამართლოსა და გამოძიების გარეშე. სხვა ცოდვებზე აღაფერს გეტყვით, მით უმეტეს ისეთებზე, რომლებიც მან თავის „განცხადებაში" არ მოიხსენია, მე კი ელენა დავიდოვნასაგან მაქვს გაგებული.

მაგრამ ყველაზე საზიზღარი დანაშაული, რომლის გულისთვისაც ეს კაცი მართლაც მთელმა ჩრდილოეთმა შეიძულა, აი, ეს იყო: 1937 წელს სხვებთან ერთად ინტაში რამდენიმე ათეული ქართველი პოლიტპატიმარიც ჩაუყვანიათ. მათ შორის გრიშა კობიძეც. მეორე დილით ყველანი დაამწკრივეს და სამუშაოდ, მიწის სათხრელად გაიყვანეს. მაგრამ გუშინდელმა პროფესორებმა, მწერლებმა, ექიმებმა, ინჟინრებმა იუკადრისეს ეს შავი, მძიმე და დამამცირებელი სამუშაო. ერთხმად დაიძახეს, ახლა კი მივხვდით, რატომ დაგვიჭირეს და აქ რატომ ამოგვრეკეს, სტალინს ნებავს, ჩრდილოეთი ჩვენი ხელით „აითვისოს", აქ რკინიგზები და ქალაქები ააშენოს, ჩვენ კი აქ შიმშილით და აუტანელი შრომით ამოგვწყვიტოსო! ვერ მივართვითო!.. - ბარები მოისროლეს და მიწაყრილზე ჩამოსხდნენ.

აი, აქ იხელთა დრო რევოლუციამდელი პარტსტაჟის მქონე გველაძუამ. წამოვარდა და იმ ქართველებს თითი გამეტებით დაუქნია.

- აი, სად გამომჟღავნდა თქვენი კონტრრევოლუციური ბუნება! სტალინს, საბჭოთა ხელისუფლებას საბოტაჟს უწყობთ? ო-ო! მე თქვენ გაჩვენებთ! თუ თქვენი თავი ძაღლებივით არ ამოვაწყვეტინო, გოგიტო ციმბირელი ნულარ მერქვას!..

იმ დღესვე ოპერ-რწმუნებულის სახელზე განცხადება გააშანშალა, ლაგერში საბოტაჟნიკების ტროცკისტული ორგანიზაცია აღმოვაჩინე და გთხოვთ, დაუყოვნებლივ ზომები მიიღოთ, თორემ ეს რამდენიმე ნაძირალა მთელს ლაგერს გარყვნისო.

ოპერ-რწმუნებულს ორი თავი კი არ ება, ეს განცხადება უყურადღებოდ დაეტოვებინა. ის ქართველები იმ ღამესვე კარცერში შერეკეს, მეორე დილით კი „გაასამართლეს“ და იმ დღესვე დახვრიტეს. გოგიტო ციმბირელმა კი იმდენი მოახერხა, რომ რევოლვერი მასაც ანდვეს და დახვრეტაში მონაწილეობა მიიღებინეს.

ეს ამბავი მთელს ჩრდილოეთის ლაგერებში მეხივით გავარდა. და იმ ლაგერების მთელმა მოსახლეობამ ერთხმად ამოიგმინა:

- Вот гад!.. Это же надо!..

ასეთი ამბავი მართლაც სიზმრადაც არავის მოსწრებია. გრიშა კობიძე კი უშიშროების უსანდოესი პირი გახდა. მას აქეთ სულ დიდ თანამდებობებზე აყენებდნენ, - კოლონიის უფროსად, ლაგერის უფროსად, რაღაცის დირექტორად, რაღაცის მმართველად, გამგედ და ასე შემდეგ. მეტრაბახებოდა, ხომ რეპრესირებული მქვია, აქამდე ურევოლვეროდ ერთი წუთი არ ვყოფილვარო. სიბერეში რომ შევიდა, დიდ თანამდებობებს აღარ ანდობდნენ. მე რომ შემიხიზნა, მაშინ ხის დამმუშავებელ კომბინატში საწყობის გამგედ მუშაობდა და, მგონი, აღარც რევოლვერი ჰქონდა.

აღარც გიამბობთ ყველაფერ იმას, რაც მე ამ კაცის შესახებ ვიცი, ნაწილობრივ მის „განცხადებაში“ აღწერილი „საგმირო საქმეებიდან“, ნაწილობრივ ელენა დავიდოვნასგან - ამ მანდილოსნის მიერ ნაამბობი, გასაგები მიზეზების გამო,

„განცხადებაში“ არ შესულა, ნაწილობრივ იმ ადამიანებისგან, ვის თვალწინაც ამ კაცის ცხოვრება მოდიოდა. ყველაფერი ამის თხრობა ბევრ დროს წაგვართმევს და არც ისაა გამორიცხული, რომ მკითხველთაგან რომელიმეს საერთოდ ადამიანისადმი რწმენა დაეკარგოს და ღრმა კაეშანს მიეცეს. ვიტყვი მხოლოდ, რომ არ არსებობს, არც კი გაგონილა რაიმე ცოდვა, დანაშაული, სიმდაბლე, წრესგადასული სისასტიკე, ვერაგობა, მზაკვრობა, უზნეობა - სისხლის აღრევაც კი, - რაიც ამ ადამიანს თავისი სიცოცხლის მანძილზე ათჯერ, ასჯერ და ათასჯერაც კი არ ჩაედინოს. ამიტომაც არაა საკვირველი ქალაქის მოსახლეობის ის დიდი უნაპირო სიძულვილი მისდამი. მაგრამ რატომ ერთი იმ პატიოსან გვამთაგანი ერთხელ მაინც არ ჩაფიქრდა და თავის თავს არ ჰკითხა, ეს ბიჭი რაღა შუაშიაო? ყველამ კარგად იცოდა, რომ „მინლაგიდან“ გამოსულ ნაპატიმრალს ღამის გასათევი კი არა, ჩამოსაჯდომი ადგილიც არ ჰქონდა. რა იყო გასაკვირი იმაში, რომ მე იმ კაცს - ჩემს მოგვარეს შეეფარე? არაფერი. ეს კი იყო, რომ, როგორც რამდენჯერმე გითხარით კიდეც, მთელმა ქალაქმა შემიძულა, ყოველ შემთხვევაში, ყველამ, ვისაც კი ჩემს ბედზე რაიმე გავლენის მოხდენა შეეძლო.

ამასობაში ელენა დავიდოვნამ შვებულება აიღო და საქართველოში გამოემგზავრა. მე გრიშა კობიძესთან ცხოვრება აღარ მინდოდა და საერთო საცხოვრებელში გადავედი. თავი იმ 400 (ახლანდელი 40) მანეთით გამქონდა, სახლიდან რომ მიგზავნიდნენ. არადა, უკვე 30 წლისა ვიყავი. ფოსტაში ყოველი მისვლა და ფულის მიღება ჩემთვის სიკვდილი იყო. მაგრამ რა მექნა? შიმშილისაგან კიდეც დავსუსტდი, გონება მიბნელდებოდა ხოლმე... სასიკეთოს კი წინ ვერაფერს ვხედავდი.

კეთილმსურველები მაინც მყავდა. მათ რამდენჯერმე მითხრეს, თუ ვინმე გიშველის, ისევ იური ბლუდაუ გიშველისო. ბლუდაუ - გადმოსახლებული გერმანელი - სპორტული დარბაზის დირექტორი იყო. ოდესღაც ტრესტის მთავარ ინჟინერს, ვინმე ხრიმჩენკოს, თვითონვე სპორტსმენს თუ სპორტის მოყვარულს უნებებია და

ქალაქში, სადაც მშრომელებს თავის მისადები ადგილიც არ გააჩნდათ, მშვენიერი სპორტული დარბაზი აუშენებია, მაყურებელთა ტრიბუნებითა და დახურული აუზით. და ეს იმ ქალაქში, სადაც ტრესტის მმართველმა და ლაგერის უფროსმა ღია პარტიული კონფერენციის ტრიბუნიდან პირდაპირ განაცხადა, ჩვენ საცხოვრებელ სახლებს არ ვაშენებთ, უფლება არა გვაქვს, ამიტომ ხალხი საშენ მასალებს გვპარავს, მაგრამ ამას უნდა შევურიგდეთ - მოიპარონ და თავი როგორმე შეაფარონ, თორემ გაიყინებიან, სამშობლოს კი ქვანახშირი ჭირდებაო. ამ კაცის გვარი სალეეკი იყო. მოგვიანებით მასზე კიდევ რამდენიმე სიტყვას მოგახსენებთ, - ის შესანიშნავი ნიმუში იყო იმისა, თუ როგორ შეიძლება ერთ ადამიანში ერთსა და იმავე დროს გულჩვილი ბავშვიც იყოს და დაუნდობელი, სასტიკი დამსჯელიც.

სპორტული დარბაზი თითქმის სულ ცარიელი იყო. დამლაგებლები მას ყოველდღე აკრიალებდნენ, იატაკზე ერბო აიკრიფებოდა, მაგრამ არავითარი სპორტული ღონისძიება არ ტარდებოდა. ჩეკისტებს და მეშახტეებს მარტო ფეხბურთი აინტერესებდათ, იმიერ-პოლარეთში კი ფეხბურთს აქაურ ზაფხულში, ერთ თვეს ან თვენახევარს თუ ითამაშებ, ისიც თუ მზიანი ზაფხული გამოერია, რაც აგრეთვე ძალიან იშვიათია. მაგრამ ფეხბურთი არასოდეს ჩემი საქმე არ ყოფილა. ისევ კალათბურთი თუ მიშველიდა. თუ ბლუდაუს მოვეწონებოდი, ხელს წამიკრავდა და რაიმე სამსახურს მაშოვნინებდა. რა მეთამაშებოდა, მაგრამ ხომ იცით, გაჭირვებამ დედოფალთან დამაწვინაო. ჩემი საქმეც ისე იყო.

შვიდ ნოემბერს დარბაზში დიდი სპორტული დღესასწაული გაიმართა. პეჩორიდან ფრენბურთელი ქალები და ვაჟები ჩამოვიდნენ, ვორკუტიდან ფრენბურთელი და კალათბურთელი ვაჟები. სხვა გზა აღარ იყო, - ბედი უნდა მეცადა.

დარბაზის ტრიბუნები სამთო დირექტორებითა და ინჟინრებით, შინსახკომელი გენერლებით, ოფიცრებითა და მათი ნაპატივები ცოლებითა და შვილებით გაივსო. ბლომად იყვნენ ჩვეულებრივი მოკვდავებიც. ჯერ პარადი გაიმართა. წარმოითქვა მისასალმებელი

სიტყვები. ქუხდა აპლოდისმენტები, გრიალებდა რადიოლა. საზეიმო ნაწილის შემდეგ სპორტული შეჯიბრებები დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოედანზე ჯერ პეჩორისა და ინტის ფრენბურთელი გოგონები გამოვიდნენ. როგორც იტყვიან, მატჩი პეჩორელების აშკარა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დასრულდა. დირექტორებმა, ინჟინრებმა, გენერლებმა და ოფიცრებმა, აგრეთვე ქალებმაც აშკარად მოიწყინეს. მარტო პატარა ბავშვები მხიარულობდნენ. საერთოდ, აქაური საზოგადოება სპორტის დიდი გულშემატკივარია და საკუთარი გუნდის მარცხს ძალიან მწვავედ განიცდის.

მცირე შესვენების შემდეგ მოედანზე ინტისა და ვორკუტის ფრენბურთელი ვაჟები გამოვიდნენ. მატჩი ვორკუტელების აშკარა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დასრულდა. ტრიბუნებზე უკმაყოფილო ჩურჩულიც კი ატყდა. ორ შემთხვევაში - ორი დამარცხება! ამას ინტელი მეშახტეებისა და ჩეკისტების თავმოყვარეობა როგორ აიტანდა! ვილაც ბრაზისგან აჭარხლებული გენერალი კიდეც ადგა და წავიდა. გამწარებული ბლუდაუ თავის კაბინეტში ჩაიკეტა და აღარავის ეჩვენებოდა.

ცოტა უფრო ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მოედანზე პეჩორისა და ვორკუტის ფრენბურთელი ვაჟები გამოვიდნენ. ახლა კი რაღაც ნამდვილი ბრძოლის მსგავსი გაიმართა, - თამაში ერთ გუნდსაც ეხერხებოდა და მეორესაც. მატჩი ბოლოს მაინც ვორკუტელებმა მოიგეს და ხტუნავდნენ. პეჩორელებს კი წაგება დიდად არ უნაღვლიათ, აუზში გადაცვივდნენ და რაღაც წყალბურთის მსგავსი გამართეს. ტრიბუნები კი გულგრილად დუმდნენ - ინტელებს არც ვორკუტის გამარჯვება ახარებდათ და არც პეჩორელების მარცხი აღონებდათ, ისინი კი აქ საკუთარი გუნდების საქომაგოდ მოვიდნენ.

დადგა ინტელი კალათბურთელების ჯერიც. ჩვენს წინ ვორკუტის სამთო ტექნიკუმის სტუდენტები დამწკრივდნენ - 18-20 წლის, მოხდენილი, მხიარული ბიჭები - და ომახიანად მოგვესალმნენ.

დიდი გადაჭარბება იქნება, თუ ვიტყვი, კონკრეტული სტუდენტები

ამერიკელი პროფესიონალებივით თამაშობდნენო, მაგრამ საკმაოდ სწრაფი და შეთამამებულნიც კი გამოდგნენ. ჰყავდათ ერთი ტანმაღალი თავდამსხმელი, დამუშავებული ჰქონდათ რამდენიმე მარტივი კომბინაცია, იცოდნენ თამაშის წესებიც, რასაც კალათბურთში უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ფეხბურთში ან ფრენბურთში. ჩვენი გუნდი კი... ერთადერთმა ლიტველმა, რომელმაც თამაში ასე თუ ისე იცოდა, სწორედ წინა დღეს ხელი მოიტეხა. გუნდის კაპიტანი, ახალგაზრდა ინჟინერი პოლოჟენცევი ფრენბურთელი იყო, კალათბურთი არ ეხერხებოდა, კაპიტნად კი იმიტომ დანიშნეს, რომ კომკავშირელი იყო. წინდაწინვე პატიოსნად ალიარა, ჩემი იმედი მაინცდამაინც ნუ გექნებათო. ხელნატკენი ლიტველის ნაცვლად მაისურა ერთმა ტანმაღალმა, ანეგდოტების მოყვარულმა ოფიცერმა გადაიცვა. სახელად ვალოდია ერქვა და კალათბურთს თავის სიცოცხლეში პირველად თამაშობდა. გვერდზე გავიყვანე და დავარიგე, ჩვენი კალათის ქვეშ იდექი, ვორკუტელების ილეთებსა და ტანის ქნევას დიდად ნუ აჰყვები, თვალი კი ფხიზლად ადევნე, როგორც კი ბურთს კალათისკენ გაუშვებს, მაშინვე ხელი დააფარე, ოღონდ ხელზე ან სხეულზე არ შეეხო-მეთქი.

- მერე?

- მერე - ბურთი აუცილებლად მე გადმომაწოდე.

- არის!..

წარმოიდგინეთ, მართლაც არა უშავდა. ჩემი დავალება 50-60 პროცენტით მაინც შეასრულა.

ასე რომ, ისეთნი, ვისაც კალათბურთთან ისე ოდესღაც საქმე გქონია, გუნდში მხოლოდ ორნი ვიყავით - მე და უწვერული, მაგრამ უკვე დაცოლშვილებული გეოლოგი იურა (გვარი აღარ მახსოვს). მაგრამ ამას თავი უკვე დიდ კალათბურთელად მოჰ ქონდა, მოედანზე მოწყენილი გამომეტყველებით მიმოდიოდა, - ერთხელაც კი არ გაქცეულა, - და სულ იმას ცდილობდა, ბურთი კალათში თვითონ ჩაეგდო. რამდენჯერვე კიდეც შევუყვირე, ჯარიმები დავიმსახურე და გუნდს ქულები დავაკარგვინე.

გვყავდა ერთი ოდესელი სომეხიც - მაკარივანიჩ დარმანიანი.

სწორედ ასე ეძახდნენ, გადაბმულად - მაკარივანიჩ, ყოველგვარი პაუზის გარეშე, არა - მაკარ ივანიჩ. რატომ - არ ვიცი. მაგრამ ეს დიდად დაფასებული ფეხბურთელი იყო, გოლეადორი, კალათბურთს არაფრად აგდებდა და არც აინტერესებდა. მისთვის სულერთი იყო, მოვიგებდით, თუ წავაგებდით, დიდი სპორტსმენის, ინტის სიამაყის სახელი და მდგომარეობა უკვე განაღდებული ჰქონდა. იდგა მოწინააღმდეგის ფარქვეშ და, თუ შემთხვევა მიეცემოდა, ბურთს კალათში ჩააგდებდა. ეს იყო და ეს.

ვორკუტელები, რა თქმა უნდა, გვჯობნიდნენ. მაგრამ არც თუ ძალიან დიდად. იმიტომ, რომ ძალიან თავდაჯერებულად იქცეოდნენ და არც პოზიორობას ერიდებოდნენ. ზოგჯერ ვითომ პრესინგიც წამოიწყეს, თუმცა ამისი აუცილებლობა სულაც არ ჰქონიათ. ალბათ, მაყურებლის გაცურება უნდოდათ. ამიტომაც იყო, რომ თამაშის დამთავრებამდე ორიდე წუთით ადრე სულ სამი თუ ოთხი ქულით გვისწრებდნენ, თუმცა, სრული მონდომებით რომ ეთამაშათ, გაცილებით მეტ უპირატესობას მოიპოვებდნენ.

სწორედ თამაშის მიწურულში გადმომხედა განგებამ წყალობის თვალით.

მოედნის ცენტრში ვიდექი. გამოუთქმელად დაღლილი. თითქმის ბურანში ვიყავი. ვიღაცამ ბურთი მომაწოდა. თამაშის მოგების იმედი აღარ მქონდა. ბურთი მაინც ვტყორცნე... ბურთი ისე ჩაეშვა ბადეში, რომ სალტეს არც კი შეჰხებია.

ახმაურებული ტრიბუნები გაირინდნენ.

ათიოდე წამის შემდეგ, ისევ ცენტრში მოხეტიალეს, ბურთი ისევ გადმომიგდეს. ისევ დაუფიქრებლად ვტყორცნე. ბურთი ისევ რბილად ჩაეშვა ბადეში.

ტრიბუნებზე ყრუ ხმაური და ჩოჩქოლი ატყდა. მოისმა შეძახილებიც.

ჩვენი მოწინააღმდეგენი ვორკუტელები დაბნეულები და გაკვირვებულნი მომჩერებიან. მათ, ყინულოვანი და ნისლიანი ჩრდილოეთის შვილებმა, ალბათ პირველად ნახეს, თუ როგორ ჩაუშვა მოედნის ცენტრიდან ცალი ხელით ნასროლი ბურთი

კალათში, თანაც ორჯერ ზედიზედ.

დროზე ყოველგვარი წარმოდგენა დაკარგული მაქვს. ვიცი მხოლოდ, რომ თამაში, სადაცაა, დამთავრდება. სირბილი აღარ შემიძლია და ცენტრში დავაბიჯებ. ბურთი მე მომაწოდეს და იგი კალათისკენ დაუფიქრებლად ვტყორცნე.

- ჩიკ!..

ტრიბუნები აღელდნენ. იმატა შეძახილებმა. ანგარიში უკვე ჩვენს სასარგებლოდაა. დარბაზში ბლუდაუ შემოიჭრა და იქვე, კარებთან ჩაცუცქდა. თვალები გადმოცვენაზე აქვს.

ვორკუტელებს კი ველარ გაუგიათ, მოედანზე რა ხდება. ბურთი ტანმაღალ ვორკუტელს აქვს და ხელებში უაზროდ ათამაშებს. სხვა ვორკუტელები დგანან.

- აქ მომეცი! - ბრძანების კილოთი, ანგარიშმიუცემლად მივაძახე მოწინააღმდეგეს.

დაბნეულმა ვორკუტელმა ბურთი მართლაც... მე გადმომიგდო. კალათისკენ აღარც გამიხედავს, ისე ვტყორცნე.

- ჩიკ!..

ტრიბუნებზე ქარიშხალმა გადაიგრგვინა. მუცლებიანი დირექტორები, გენერლები, პოლკოვნიკები, გამოწკეპილი ახალგაზრდა ოფიცრები ტრიბუნებიდან პირდაპირ ბავშვებივით მოხტიან, მეხვევიან, ხელებს მიწვდიან, ბეჭებზე მიტყაპუნებენ. დარბაზში ქალების გაბმული, ისტერიული კივილი დგას. ხოლო ზოგი სიხარულისგან კიდეც ტირისო, იმიტომ არ გეუბნებით, რომ დაჯერება გაგიჭირდებათ. ბედნიერებისგან თავგზადაკარგული ბლუდაუ ჩემს გარშემო ტრიალებს, დაუზოგავად მანჯღრევს და რაღაც გაუგებარს ჩამკივის. გარშემო ისეთი ღრიანცელია, რომ აფორიაქებული, ჭკუიდან შეშლილი ტრიბუნებიდან ერთი სიტყვა მესმის:

- Грузин!.. Грузин!..

აღარავის ახსოვს, რომ ამ „გრუზინს“ სხვისი ცოდვების გამო რვა თვე უმუშევრად ატარებდნენ.

კარგა ნაშუალამევი იყო, როცა აღტაცებულმა ბრბომ ჩემს

საერთო საცხოვრებელამდე მომაცილა. ოღონდ ეს ბრბო მხოლოდ უბრალო მეშახტეებისგან შედგებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორიოდე დღის შემდეგ იური ბლუდაუ № 11/12 შახტის მომავალ დირექტორს ფედოტოვს მოელაპარაკა და ყოფილი „მინლაგერისთვის“ საოცნებო თანამდებობაზე სამთო დისპეტჩერად დამნიშნეს. ოღონდ ფედოტოვს მაინც უკითხავს, ეგ ბიჭი იმ კობიძის ხომ არაფერიაო. „სრულიად არაფერი, - თავი გამოუდვია ბლუდაუს, - ეს იმას არც იცნობს და მისი სახელის გაგონებაც არ უნდაო“.

თავი მეთვრამეტე

დისპეტჩერის თანამდებობა - სინეკურაა. ამაში მაშინვე დავრწმუნდი, როგორც კი სამი დანარჩენი დისპეტჩერი გავიცანი და მათი მუშაობის სტილი დავინახე. რა თქმა უნდა, არც ერთი მათგანი „მინლაგში“ არასოდეს მჯდარა, სამივე პარტიული იყო. ერთი მათგანი, არტიუშკოვი უიმედო ალკოჰოლიზმით იყო შეპყრობილი, რაც ჩრდილოეთში ჩვეულებრივი მოვლენაა, და ამ ნიადაგზე მეტყველება სრულიად მოშლილი ჰქონდა. ამიტომ არ შეიძლებოდა, რომ დისპეტჩერის თანამდებობაზე ნორმალურად ემუშავა. დისპეტჩერის მთავარი სამუშაო იარაღი - ტელეფონი და ენაა, ტელეფონით მოსმენა და შემდეგ ტელეფონითვე ბრძანების, მითითების, შეკითხვის, თხოვნის, რჩევის მიცემა. არტიუშკოვს ეს ყველაფერი შვიდი თვის ბავშვის დონეზე შეეძლო. მაგრამ მისი ცოლი ტრესტის სამმართველოში რაღაც დიდ თანამდებობაზე მუშაობდა, გავლენიანი ქალი იყო და ქმარი ამ სრულიად შეუფერებელ თანამდებობაზე მან დაანიშვნინა. არტიუშკოვის დისპეტჩერობა, - შახტზეც და მთელს ქალაქშიც, - გაუთავებელი დაცინვის, სიცილ-ხარხარის, ათასგვარი ოინბაზობის მიზეზი გახდა და ეს წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა. ბოლოს შახტის უფროსი მოთმინებიდან გამოვიდა და არტიუშკოვი პოლიკლინიკაში გაგზავნა, შეამოწმეთ, ამ კაცს დისპეტჩერად მუშაობა თუ შეუძლიაო.

ცოლმა თავისი გავლენა პოლიკლინიკაში გამოიყენა და არტიუშკოვმა ბეჭედდასმული ცნობა მოიტანა - სავსებით ჯანმრთელია და დისპეტჩერობაც შეუძლიაო. ფედოტოვმა თავში მუშტები წაიშინა და... არტიუშკოვი დისპეტჩერად დატოვა.

სხვა გზა აღარ იყო - არტიუშკოვის მაგივრობაც მე უნდა გამეწია. შახტზე ორი-სამი საათით ადრე ვცხადდებოდი. ნერვები ამეწეწა, - ძალიან ძნელია სხვისი საქმის ბოლომდე მიყვანა, მერე - შეუსვენებლად - საკუთარი საქმის დაწყება და ამისი ბოლომდე მიყვანა. არტიუშკოვმა კი ვახტზე გასვლისას დაინახე, რომ ჩემს საშვს გარდიგარდმო ლურჯი ზოლი ჰქონდა, რაც იმისი ნიშანი იყო, რომ გუშინდელი პატიმარი ვიყავი და სიცოცხლის საგრძნობი ნაწილი „მინლაგში" მქონდა გატარებული. ამიტომ გაიჯგიმა, ქედმაღლობა დაიწყო და რამდენიც შეეძლო, სიტყვების იმ მარაგით...თავი უფროს დისპეტჩერად გამოაცხადა. მის საშვს, როგორც ყოველი თავისუფალი მოქალაქისას, წითელი ხაზი ჰ ქონდა. ფედოტოვს ის-ღა დარჩენოდა, რომ ჩემთვის ერჩია, მაგ იდიოტს ყურადღებას ნუ მიაქცევო.

მეორე დისპეტჩერად, ყოფილი ჩეკისტი რეპინი აიყვანეს. იგი უკვე სამხედრო პენსიას იღებდა, მაგრამ ეცოტავებოდა, თანაც შახტის პარტორგანიზაცია უნდა გაეძლიერებინათ და - ამიტომ დანიშნეს. რეპინს არასოდეს შახტში არ ჩაუხედავს, მეშახტის შრომაზე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა, სამაგიეროდ დარწმუნებული იყო, ეს ყველაფერი - წვრილმანია, რასაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი ის არის, რომ პარტიის წევრი ვარ და უჩემობა არ შეიძლებაო. ერთი წლის შემდეგ თავისი უთავბოლო პასუხებით ტრესტის მმართველი ისე გაამწარა, რომ ამან ფიცხელი ბრძანება გამოსცა, შემთხვევითი ხალხი მოხსენით და დისპეტჩერებად სამთო ტექნიკოსები ან ინჟინრები დააყენეთო. რეპინმა შახტის უფროსს ულტიმატუმი წაუყენა, ჯერ „მინლაგელი" კობიძე მოხსენით, მერე კი - მე, ნუ გავიწყდებათ, რომ პარტიის წევრი ვარო. ასეც მოიქცნენ. ჯერ მე მომხსნეს, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მუშაობით კმაყოფილნი იყვნენ. რეპინი სადღაც

გადაიყვანეს. მაგრამ ვერც იქ იმუშავა და... ისევ დისპეტჩერად დააბრუნეს. მე კი სამსახური ისევ საძებნელი გამიხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე დისპეტჩერად ვინმე სალდატოვი იყო. ამ კაცზე სრულიად ვერაფერს გეტყვით, იმიტომ, რომ მთელი წლის განმავლობაში მისგან ერთი რა არის, ერთი სიტყვაც კი არ გამიგონია. თუ დაელაპარაკებოდით, გაწითლდებოდა, პასუხს კი არ მოგცემდათ. ხშირად მიფიქრია, იქნებ, მუნჯიც არის-მეთქი. მაგრამ ერთხელ შევუსწარი, თავის ცოლს ტელეფონით ელაპარაკებოდა, ჩემს დანახვაზე გაწითლდა და ყურმილი ისე დააგდო, თითქოს ხელი დაეწვაო. ასე რომ, ლაპარაკი კი შეძლებია, მაგრამ ხმის ამოღება ისევე ერცხვინებოდა, როგორც ნორმალურ ადამიანს საჯაროდ გაშიშვლებისა რცხვენია. შახტზე ამასაც არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა, მაგრამ პარტიის წევრი იყო. მეშახტეები კი მეკითხებოდნენ, ეგ კაცი ნორმალური თუა, რაზეც არ უნდა დავურეკოთ, შახტი რომ კიდეც ინგრეოდეს, ხმას არ გაგვცემს, ყურმილს აიღებს, მოგვისმენს და ყურმილს ისევე ხმაამოუღებლად დასდებსო.

სალდატოვი ამ თანამდებობაზე დროებით აუყვანიათ, რადგან პარტორგანიზაციის მდივნის შტატი არ ჰქონდათ, მაგრამ ეს „დროებით" წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა.

ამ „დისპეტჩერების" გადამკიდეს სიცოცხლე გამიმწარდა. ხან ერთი უნდა შემეცვალა, ხან მეორე, ხან მესამე... ხან ერთს უნდა მივშველებოდი, ხან მეორეს, ხან მესამეს... გავხდი... ნერვიული სისტემა მომეშალა... ვერც კი დავითვლი, შახტზე რამდენჯერ დღე-ღამეში გადაბმულად მიმორიგია... მოხსნას კი, აკი გითხარით, ყველაზე ადრე მომხსნეს, მიუხედავად იმისა, რომ საერთო აზრი ასეთი იყო, ეგ ერთი კაცი ოთხის მაგივრობას სწევსო.

მაგრამ თუ ბოლომდე გულახდილი ვიქნები, უნდა გითხრათ, რომ მე თითონ უკმაყოფილო ვარ № 11X12 შახტის დისპეტჩერად ჩემი მუშაობისა. ერთხელ საკმაოდ მძიმე შეცდომა მომივიდა, რამაც ჩემი ავტორიტეტი შახტზე ნაცარტუტად აქცია.

თავიდანვე ასეთი „პოლიციური" ღონისძიება დამავალეს: ჩემი

ნებართვის გარეშე ცვლის დამთავრებამდე შახტიდან, ხელმძღვანელი პირების გარდა, ვერავინ ამოვიდოდა. რა თქმა უნდა, სრულიად უაზრო ღონისძიება იყო: თუ მეშახტემ სანგრევი მიატოვა, იმსიგრძე გვირაბები გამოიარა და ლიფტთან მივიდა, მის შახტში ყურყუტს აზრიალარა აქვს. არც ერთხელ ეს „ღონისძიება“ არ გამიტარებია - მეშახტეები შახტში მაშინ ჩადიოდნენ და ამოდიოდნენ, როცა მოესურვებოდათ. ამისი კონტროლი ცვლებისა და უბნებისა უფროსებს მივანდე. რა თქმა უნდა, არავისი დაბეზღება ფიქრადაც კი არ მომსვლია - ლაგერებს, შახტებს, და საერთოდ, ჩრდილოეთს თავისი კანონები აქვს და მათი დარღვევა არავის სიკეთეს არ უქადის. მაგრამ...

შახტიდან რეკვა ამიტეხეს - დიდი ქვანახშირი წამოვიდა და სასწრაფოდ ვაგონეტები მოგვაშველეო. თუ მართლაც სასწრაფოდ არ მიაშველებ ქვანახშირის დენა შეწყდება, კონვეირი გაჩერდება და ყველანი - მეშახტეებიცა და უფროსებიც საყვედურებით აგიკლებენ. კაცმა რომ თქვას, დისპეტჩერის მთავარი მოვალეობა სწორედ სანგრევების ტრანსპორტით უზრუნველყოფაა.

ვაგონეტების რიცხვი კი შახტში განსაზღვრულია. ამიტომ ისინი უნდა გამუდმებით მოძრაობდნენ - ქვანახშირით სავსე ვაგონეტები ზევით უნდა ამოდიოდნენ, სადაც სანგრევებს შორის უკვე მიწისქვეშა ტრანსპორტის უფროსი ანაწილებს.

დატვირთული ვაგონეტების შახტიდან ამოზიდვას სპეციალური მუშა ხელმძღვანელობს, რომელსაც რუსულად „Стволовой“ ჰქვია. სწრაფად ტელეფონით დავურეკე, მაგრამ... პასუხი არავინ გამცა. არადა, „სტვოლოვოის“ თავისი სამუშაო ადგილიდან წასვლის უფლება არა აქვს. ტელეფონი რამდენიმე წუთს ვაჯახირე, მაგრამ პასუხი არ იყო. შახტიდან უკვე წყევლა-კრულვა მესმის, ჩქარა ვაგონეტები მოგვაშველეო. რა ვქნა! ვრეკავ ზედაპირის მექანიკოსთან - პასუხს არავინ იძლევა. შახტიდან უკვე მემუქრებიან - პირდაპირ ტრესტის მმართველთან გიჩივლებთო. სხვა გზა აღარ იყო. ჩემი აპარატურა კომუტატორზე გადავრთე და შახტის ეზოში გავვარდი. იმოდენა ეზოში კუნჭული არ დამიტოვებია, ის წყეული

„სტვოლოვოი“ კი არსად იყო. მერე ქანცგაწყვეტილი და სასოწარკვეთილი ისევ სადისპეტჩეროსკენ გავემართე და გზადაგზა, სრულიად შემთხვევით, იქ შევიხედე, სადაც „სტვოლოვოის“ არაფერი ესაქმებოდა - სამანქანო განყოფილებაში. ვნახოთ და - იქ არ ბრძანდებოდა! მემანქანე ქალს თავზე დადგომოდა და რაღაცაზე ეკამათებოდა.

თურმე, ამ ქალთან წინასწარ მოულაპარაკია და 25 მანეთზე შეთანხმებულან. როცა აქტი დასრულდა, სტოვოლოკომ ქალს 50 მანეთიანი გაუწოდა და ხურდა მოსთხოვა. ქალმა - ხურდა არა მაქვსო. - მაშ, რა ვქნათ? - მოდი, ერთხელაც ვიალერსოთ, - შესთავაზა ქალმა. - არა, ფული მჭირდება. - გითხარი, ხურდა არა მაქვს-მეთქი. - ალერსი აღარ მინდა! - მე რა გიყო?!.. - და ასე - დაუსრულებლივ.

ჩემს შესვლაზე ქალმა თმა გაისწორა და თავისი მანქანა ჩართო. „სტვოლოვომ“ კი არავითარი ყურადღება არ მომაქცია და ისევ თავისი განაგრძო. სამანქანოდან ყვირილითა და მუჯლუგუნებით გამოვაგდე და სადისპეტჩეროში ავვარდი. ტელეფონისტმა ქალმა მითხრა, მეშახტეებმა კონვეირი გამორთეს და სანგრევიდან გამოვიდნენო.

ცვლა ჩამიშალა. მეშახტეების შრომამ და წვალებამ ფუჭად ჩაიარა.

სკამზე დავეგდე და გულხელი დავიკრიფე. ვისთვის რა პასუხი გამეცა? ხომ ვერ ვიტყოდი, „სტვოლოვოი“ ქალთან ნებივრობდა და ცვლა იმიტომ ჩაიშალა-მეთქი.

სწორედ ტელეფონმა დაიწკრიალა და შახტიდან ერთმა ცნობილმა მეშახტემ მეგობრული, შინაურული კილოთი მთხოვა, რომან სერგეევიჩ, აქ სამი ბიჭი ვართ, საქმე მოთავებული გვაქვს, დღეს საზეიმო დღეა და დარეკე, ამოგვიყვანონო.

განერვიულებულმა, ილაჯგაწყვეტილმა თავი ვერ შევიკავე, ჩავძახე, თავიდან მომწყდი-მეთქი და ყურმილი მივაგდე.

ის მეშახტე თავს ჩემს მეგობრად თუ არა, კარგ ამხანაგად მაინც თვლიდა და ასეთ უხეშობას ჩემგან არ ელოდა. გამწარებულა,

შახტიდან ჩემს უკითხავად ამოსულა და გაცეცხლებულს, სამორიგეოში კარგა ვრცელი მონოლოგი წარმოუთქვამს, - ეგ ბიჭი სულ გამოცვლილა, თავი კარიერაზე დაუდვია, აღარც ამხანაგები ახსოვს და აღარც მეგობრებიო. ამის შემდეგ აღარ მელაპარაკებოდა და აღარც მესალმებოდა. კარგა ხანი გავიდა, სანამ შემომირიგდებოდა და დანაშაულს მაპატიებდა.

შახტის საქმე კი სულ უფრო და უფრო ცუდად მიდიოდა, რასაც მრავალი მიზეზი იწვევდა.

ლაგერებიდან გამოსული ხალხი უარეს დღეშიც კი ჩავარდა. ლაგერში ბარაკები, პური, რაღაც საჭმელი მაინც იყო. გარეთ? სრულიად არაფერი. ლაგერიდან გამოსულს თითონ უნდა ეზრუნა ყველაფერზე, საშუალება კი არაფრისა ჰქონდა. ისევ ის „ტელეგრეიკები", იგივე „ბუშლატები". ვთქვათ, შახტზე მუშაობა დაიწყო და პურის ფული იშოვნა. შახტიდან ამოსული სად წავიდეს? დაიწყეს კარტონით, თუნუქის ნაჭრებით, ტოლით რაღაც „შანხაების" შეკოწიწება. ბევრი შახტის დერეფნებშივე გამოიძინებდა ხოლმე. გაჩაღდა ხე-ტყის, ყოველგვარი სამშენებლო მასალების პარვა... ტრესტისა და ლაგერის უფროსმა პოლკოვნიკმა სალეევმა კლუბში კრებაზე ტრიბუნიდან ბრძანა, საცხოვრებლის შენების უფლება არ გვაქვს, ამიტომ ხალხი მასალას იპარავს, ამას უნდა შევურიგდეთო (?!). ეს იყო ქურდობისა და ტაციობის ოფიციალური ნებართვა. ერთხელ კი შუაღამისას ჩემს კაბინეტში ერთი გამურული მეშახტე შემოიტუზა. და მთხოვა, კაბინეტი ნახევარი საათით დამითმეო.

- მეტი არაფერი გინდა?

- არა. დედაკაცს მუხლებზე დავისვამ და ტელეფონით ისე ვილაპარაკებ. შახტი ერთი წუთითაც არ გაჩერდება. მერე - ნახევარლიტრიანი. დედაკაცი მუხლებზე - ცუდია?

- ნეტავი არ მიედ-მიედებოდე.

- ეჰ! წადი, ცოტა ხნით გაისეირნე.

- ხელს ნუ მიშლი.

- არაყი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ჩემთან მოდი და არაყს მე თვითონ დაგალევინებ.

- შენთან დიდი ხალხი დადის. ექიმები, მსახიობები...

- შენც მოდი.

- ბულალტერიის გასაღები მაინც მომეცი.

- არა მაქვს.

- მაშ, რა ვქნა? ორი კვირაა, დედაკაცზე არ ავფორთხებულვარ.

- მომწყდი-მეთქი! თავი უშენოდაც მისკდება.

ამ ლაყბობაში რადიო-ტელეფონის ორმოცამდე ნომერი ჩართულიყო. ენით აუწერელი ღრიანცელი იდგა.

- ეხ!..

ყოველი „მინლაგიდან" გამოსული „ჩემოდანზე იჯდა", ამიტომ გულს აღარც სამუშაოს უდებდნენ. რამდენჯერ შახტში ჩავსულვარ და დამინახავს, რომ მთელი ბრიგადა სანგრევის კუთხეში მიწოლილიყო და ეძინა. მინახავს ცოლ-ქმარიც, ბინის უქონლობის გამო ერთმანეთს სიყვარულსა და ერთგულებას სადღაც, მიყრუებულ სანგრევში, სახეებგამურულნი რომ უმტკიცებდნენ...

სტალინის სიკვდილის შემდეგ რეჟიმის ყოველი, თუნდაც უმნიშვნელო შემსუბუქება ლაგერის მიერ აღიქმებოდა, როგორც იმისი უტყუარი ნიშანი, რომ ბოლო ეღებოდა უსასრულო კატორღულ შრომას და მალე ყველას შინ გამოგვიშვებდნენ. მართლაც, ერთმანეთს მოჰყვა ე.წ. საიდუმლო ამნისტიები, რომლებიც პრესაში არ ქვეყნდებოდა. ჯერ მცირეწლოვანი ბავშვების დედები გამოუშვეს, მერე ისინი, ვისაც დანაშაული 18 წლის ასაკამდე ჰქონდა ჩადენილი. მერე ლაგერებში სიარული დაიწყეს კომისიებმა, რომლებიც პატიმრებს პირდაპირ ეკითხებოდნენ, რომ გაგიშვათ, საბჭოთა ხელისუფლებას ისევ შეებრძოლები, თუ არაო. რა თქმა უნდა, უმრავლესობა პასუხობდა, არაო, პასპორტებს ილებდნენ და მიდიოდნენ. ლაგერის მოსახლეობა აშკარად მცირდებოდა. ხალხმა მუშაობაზე გული აიყარა, ყველას გული შინისკენ მიუწევდა და აღარავის ადარდებდა გეგმების შესრულება და ამასთან დაკავშირებული ათასგვარი უბედურება.

№ 11X12 შახტზე შერეული კონტიგენტი მუშაობდა - იყვნენ

პატიმრებიც ლაგერებიდან გამოსულნიც, სწორედ ისინი, ვინც დღე დღეზე შინ წასვლის იმედით სულდგმულობდა და სრულიად არ ალელვებდა მრეწველობის პრიორიტეტული პრობლემატიკა. ამიტომ მუშაობა და მორიგეობა პირდაპირ წამებად მექცა.

სამსახურებრივად მევალებოდა, ყოველ ორ საათში ერთხელ სამმართველოს დისპეტჩერისთვის დამერეკა და ანგარიში ჩამებარებინა, ამდენი ქვანახშირი უნდა ამოგველო, ფაქტიურად ამდენი ამოვიღეთ - მეთქი თუ ჩამორჩენა იყო, ამისი მიზეზიც უნდა მომეხსენებინა.

შახტზე ორი მთავარი ლავა-სანგრევი იყო - აღმოსავლეთ და დასავლეთ ლავები. აღმოსავლეთით ლავაში პატიმრები მუშაობდნენ და საქმეც ნორმალურად მიდიოდა - პატიმრებს ფულის შოვნა უნდოდათ, რათა ლაგერიდან გამოსულებს რაღაც ეყიდათ და ჩაეცვათ. „ტელეგრეიკები" ყველას მობეზრებული ჰქონდა. თუ ამ სანგრევიდან ქვანახშირის გამოსვლა შეფერხდებოდა, ამას რაიმე სერიოზული მიზეზიც ექნებოდა, - შახტზე ეს საერთოდ ჩვეულებრივი მოვლენაა.

დასავლეთ სანგრევში კი ვადამოხდილი და ლაგერებიდან გამოსული ხალხი მუშაობდა. ესენი სანგრევში ჩაეშვებოდნენ, კონვეირებს და კომბაინებს ჩართავდნენ და... დასაძინებლად მიწვებოდნენ. დარდი აღარ ჰქონდათ, კომბაინი ქვანახშირს ჭრიდა და ტვირთავდა, თუ ტყუილად გუგუნებდა. რა მეთქვა სამმართველოს დისპეტჩერისთვის. ხან რას მოვიგონებდი, ხან რას... მერე ფანტაზია აღარ მეყო და ცვლის უფროსს ივანე პოგუპკოს ვუთხარი, იძინე, ბატონო, მაგრამ ის მაინც მიკარნახე ხოლმე, სამმართველოს დისპეტჩერს რა ვუთხრა-მეთქი. ხან რას მომიჩმახავდა და ხან რას, და ისევ ძილად მიეგდებოდა.

ალბათ, მკითხველს გაუკვირდება, თუ ვიტყვი, რომ ასეთ ვითარებაში წესიერად და მონდომებით ისევ ბალტიისპირელები მუშაობდნენ - პატიმრებიცა და ვადამოხდილებიც. პატიმრები - ზემოთმოყვანილი მიზეზის გამო, ოღონდ კი ლაგერიდან ჯიბეცარიელები არ გამოსულიყვნენ (დამავიწყდა, მეთქვა, რომ

პატიმრებისთვის ფულის - რაღაც პროცენტების მიცემა მალენკოვის დროს დაიწყო). ვადამოხდილები კი - სულ სხვა მოსაზრებით: სანამ ბალტიისპირეთში საბჭოთა ხელისუფლება იქნება, ჩვენ შინ არ დავბრუნდებითო.

- რატომ?

- საბჭოთა ხელისუფლების ხელში ცხოვრება არ გვინდა.

- აქაც ხომ საბჭოთა ხელისუფლებაა.

- სამაგიეროდ, აქედან აღარსად გაგვასახლებენ. იქ კი ვინ იცის, რა იქნება. დღეს დაგვაბრუნებენ, ხვალ კი იქნებ თავი უფრო უარეს ადგილებშიც კი გვიკრან.

ამ ხალხმა პირდაპირ შესაშური ნებისყოფა, და თვით უმძიმეს პირობებთან შეგუების უნარი გამოიჩინა. გუშინდელი პედაგოგები, მსახიობები, მეცნიერები, მეკიოლინეები, - ნამდვილი პროფესიონალი ინტელიგენტები - მთელი სერიოზულობით დაეუფლნენ მეშახტეების წამყვან პროფესიებს - კომბაინერობას, მექანიკოსობას, ელექტრიკოსობას, მემონტაჟეობას, - ჩუმად, უხმაუროდ შრომობდნენ და იმოდენა ტრესტის მაჩვენებლები ძირითადად მათ კისერზე იყო. ლაგერებიდან გამოსულ ბალტიისპირელებს ფული საკმაოდ ჰქონდათ ჯიბეში, მერე პატარ-პატარა სახლებს იშენებდნენ, სახლდებოდნენ, ქორწინდებოდნენ... სამშობლოში დაბრუნებას არავინ აპირებდა, - ყველანი საბჭოთა ხელისუფლების დამხობას ელოდებოდნენ.

ბალტიისპირელებთან დაკავშირებით ერთი საკმაოდ დიდი შეცდომა დაეუშვი, რომელიც, შეიძლებოდა, ძალიან ძვირად დაგჯდომოდა. სადისპეტჩეროში ცვლის უფროსი - რუსი შემოიჭრა და შემომეკედრა, მიშველე, შახტში ჩამომყევით.

- მე აქედან გასვლის უფლება არა მაქვს.

- ვიცი... მაინც უნდა წამოხვიდე. გთხოვ, გეკედრები.

- ისეთი რა მოხდა?

- სანგრევია გასამაგრებელი იონას-პრონასები კი შიგ არ შედიან - ჭერი ჭრიალებს და ჩამოინგრევაო.

- მერე?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- შენ თუ ეტყვი, შევლენ.

- რა უფლება მაქვს?!..

- გთხოვ, აი გვეედრები... თუ ერთ საათში არ გავამაგრეთ, მართლა ჩამოინგრევა. გავბრიყვდი და შახტში ჩავყევი. ლიტველები სანგრევის შესასვლელთან შეყუჟულიყვნენ.

- რატომ არ ამაგრებთ?

- ჭრიალებს. თქვენ თვითონვე ნახეთ.

მათ, ალბათ, ეგონათ, რაკი ეს კაცი მესამე სართულზე ზის და მთელი შახტის მუშაობას იქიდან განაგებს, სანგრევის მდგომარეობასაც შეაფასებსო.

სანგრევში შევფოფხდი, ნათურა აქა-იქ ჭერს მივუშვირე. უკანვე გამოვფოფხდი.

- უნდა გაამაგროთ! თუ არა, მაქსიმუმ ორ საათში მართლა ჩამოინგრევა.

ლიტველებს ხმა აღარ ამოუღიათ, სანგრევში შევიდნენ და გამაგრებას შეუდგნენ.

გადავრჩი, სანგრევი არ ჩამოზვავებულა - ლიტველებმა გამაგრება მოასწრეს. მაგრამ რა გარანტია მქონდა, რომ მოასწრებდნენ? აბსოლუტურად არავითარი. სანგრევის ჩამოზვავებას კი რვა-ათი კაცის უეჭველი დაღუპვა მოჰყვებოდა. ყველაფერი ეს საკმაოდ დიდი დაგვიანებით გავიაზრე.

საერთოდ არის ასეთი კანონზომიერება: თუ შახტი გამართულად, რიტმულად მუშაობს, იქ ტრავმატიზმიც ნაკლებია. ამ საქმეში დიდ როლს ასრულებს მეშახტეების საერთო განწყობილება. თავისი შრომის შედეგებით კმაყოფილი მეშახტე უფრო ფხიზელი, წელგამართული და აქტიურია. იმავე სიდელევის დროს მე-10 შახტის კონტიგენტი, პატიმრის კვალობაზე, თავისი შრომის შედეგებით - 800 გრამი პურით და 125 გრამი ფაფით - პატიმრის მაქსიმუმით - კმაყოფილი იყო, უფრო ზუსტად, იცოდა, რომ ზედაკარს მიაღწია და იმას იქით აღარც კი გადაახედებდნენ. მიღწეულის ხელიდან გაშვება კი არ უნდოდა. ამიტომაც იყო ფხიზლად, ამიტომაც არ ეზარებოდა ზედმეტად ხელის განძრევა,

ამიტომვე უფრთხილდებოდა როგორც საკუთარი თავის, ისე ამხანაგის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, იმ ოთხი წლის განმავლობაში მე-10 შახტზე სულ სამი მეშახტე დაილუპა - სამივე საკუთარი გაუფრთხილებლობით, ნამეტნავი გათამამებისა და უპატიებელი შეცდომების გამო. 4 წელიწადში მხოლოდ 3 დალუპული - ეს პირდაპირ მსოფლიო რეკორდია, რომელიც, შეიძლება, ამერიკის შეერთებულ შტატებსაც კი შეშურდეთ, სადაც, ჯერ ერთი, პირდაპირ ზღაპრული სამთო-გეოლოგიური პირობებია, - ის ქვეყანა საერთოდ ბედნიერ ვარსკვლავზეა გაჩენილი, - და ტექნოლიგიური პროცესიც უმაღლესი დონისაა.

№ 11X12 შახტზე კი... აკი გითხარით,

„მინლაგიდან" გამოსულები კადრების განყოფილებაში ფორმდებოდნენ, შახტში ზლაზვნითა და მთქნარებით ეშვებოდნენ, მექანიზმებს ჩართავდნენ და მერე - ან იძინებდნენ, ან ლაყბობდნენ, ან... საქმეს სწორედ იმდენს აკეთებდნენ, რომ პურის ფულად ჰ ყოფნოდათ, ეს კი ძალიან ცოტა იყო. შახტის საქმეები სულ უკან-უკან მიდიოდა.

ყველაფერ ამას კი უბრალო ტრავმატიზმი და მარცხი კი არა, სისტემატური, გაუთავებელი სიკვდილიანობა მოჰყვა. არ მახსოვს, განსაკუთრებით ღამის ცვლაში, ერთი კაცი მაინც არ დალუპულიყოს. ერთხელ კი ე.წ. კვერშლაგი - ფუჭ ქანებში გაყვანილი გვირაბი ჩამოგვენგრა და ერთბაშად ცხრა კაცი დაგველუპა. ამ საქმის გამოსაკვლევად მოსკოვიდან მინისტრის მოადგილეც კი ჩამოფრინდა.

ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ ვერ იქნა და შახტის უფროსმა ფედოტოვმა რიგითი მეშახტეების გულებისაკენ გზა ვერ იპოვნა.

ფედოტოვი ტიპიური „ვიდვიჟენეცი" იყო. ყოველი წლის შემოდგომაზე ინტაში ჩამოდიოდნენ სამთო ინჟინრისა და ტექნიკოსის დიპლომიანი ახალგაზრდები, რომლებიც თანდათან ცვლიდნენ ე.წ. უდიპლომო პრაქტიკოსებს. ეს ძალიან საყურადღებო და მტკივნეული პროცესი იყო.

არსებობდა (ალბათ, ახლაც ძალაშია) კანონი, რომლის

მიხედვითაც შახტში ხელმძღვანელი თანამდებობის დაკავება მხოლოდ დიპლომიან სპეციალისტებს შეუძლია. ეს კანონი 3 უმანური მოსაზრებითაა ნაკარნახევი: შახტი ხიფათითაა სავსე. ადამიანს აქ ყოველ ნაბიჯზე მარცხი, არაიშვიათად სიკვდილიც კი ემუქრება. და რათა მეშახტეები მაქსიმალურად იყვნენ დაზღვეულნი ხიფათისაგან, მათ მხოლოდ საქმის მცოდნე სპეციალისტებმა - დიპლომირებულმა ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა უნდა უხელმძღანელონ.

დიდებული კანონია!

რეალურ ცხოვრებაში კი იგი თავის საწინააღმდეგო ეფექტს იძლევა. რიგით მეშახტეს ურჩევნია, მას თუნდაც წერა-კითხვის უცოდინარი, მაგრამ მიწისქვეშეთის კარგი მცოდნე მეშახტე-მებიგე, ამწმენდი, ჩამომქცეველი - ხელმძღვანელობდეს, რომელიც უშეცდომოდ განსაზღვრავს, სანგრევში შესვლა და ბიგის შეყენება როდის უხიფათოა და როდის არა, ვიდრე უწვერული დიპლომიანი ინჟინერი, რომელსაც დიპლომი საღღაც დიდ ქალაქში აქვს მიღებული, შახტში სულ ორჯერ თუ სამჯერ თუ ჩაუხედავს და არ იცის, საქმეს საიდან და როგორ უნდა მიუდგეს. ასეთებს მეშახტეები არ ენდობიან და ყოფილა შემთხვევებიც, როცა ასეთები მეშახტეებს კინწისკვრით გამოუგდიათ. დიპლომიანმა ახალგაზრდებმა წინდაწინვე იცოდნენ, თუ როგორ შეხვედროდნენ მათ მეშახტეები. არც თუ საკუთარი თავის დიდი იმედი ჰქონდათ. ამიტომ ზოგი მათგანი, - რა თქმა უნდა, მცირე ნაწილი, - თავის დიპლომს ერთი-ორი წლით გვერდზე გადასდებდა, და თავის შრომით ბიოგრაფიას რიგით მეშახტედ იწყება. ნამდვილი შახტის დირექტორები, მთავარი ინჟინრები, უბნების ხელმძღვანელები სწორედ ამათგან გამოდიოდნენ.

ამათ რიცხვს ეკუთვნოდა ლეონიდ ფედოტოვიც. ამიტომ იგი თავიდანვე გამოარჩია და შეიყვარა ლაგერის და ტრესტის მმართველმაც.

ფედოტოვს გაუმართლა. ერთი წლის შემდეგ ცვლა ჩააბარეს და გაუძღვა. მერე უბნის უფროსის თანაშემწეობა შეძლო, მერე უბნის

უფროსობაც... წავიდა და წავიდა... ოცდაათი წლის ასაკში უკვე მილიონერი შახტის უფროსი იყო. ბანკშიც რამდენიმე ასეულათას მანეთს ინახავდა. მაგრამ მეშახტეებს იგი მაინც არ უყვარდათ. მეტყოდნენ ხოლმე, ეგ ილბლიანია (везучий), და არა ნამდვილიო (настоящий).

- რიგითი მეშახტეობიდან დაიწყო, - ვიცავ ჩემს კეთილისმყოფელს.

- ეგ კი. - თავს მიქნევენ მეშახტეები. - მაგას ვერ წაართმევ.

- ცვლას კარგად ხელმძღვანელობდა.

- ამ ცვლას ხელმძღვანელი არც კი ჭირდებოდა. თავისი საქმე თითონაც კარგად იცოდნენ.

- უბანს. მეშვიდე შახტს.

- უბანს არ ჭირდებოდა. მეშვიდე შახტზე კი გუტმანი და ნეხოროშევი არ ჰყოლოდნენ, ვნახავდით, რასაც უხელმძღვანელებდა.

ფედოტოვი არც უსამართლო კაცი იყო, არც თუ ძალიან უხეში, არც შრომა ეზარებოდა. ყოველ დილის ხუთ საათზე უკვე ფეხზე იყო და დაღამებამდე ფეხზე ტრიალებდა. სხვისი სიკეთისა და თავდადების დანახვაც შეეძლო. ხედავდა, მაგალითად, რომ სამი დისპეტჩერის საქმე ფაქტიურად ჩემს კისერზე იყო, რამდენადაც ეს შახტზე შესაძლებელია, და მაფასებდა. პრემიას არ მაკლებდა. დედაჩემმა რომ ჩამომაკითხა, შემოვიდა და ჯიბეში 5000 მანეთი ჩამიდო. მაგრამ...

მეშახტეები მას ორ რამეს არ პატიობდნენ, იმას, რატომ იგი „მართლაც ნამდვილი" არ იყო, და მეორეც - ცხოვრების დიდკაცურ სტილს. ოო, აქ კი ფედოტოვი მართლაც ყოველგვარ საზღვარს გადადიოდა! აჩემებული ჰყავდა, მაგალითად, საკუთარი სასადილოს გამგე და მზარეული. სადაც კი დანიშნავდნენ, უთუოდ თან წაიყვანდა. უთუოდ ამ მზარეულის ხელით მომზადებული საჭმელები უნდა ეჭამა. ერთხელ კარგა დიდი ავარია მოხდა, მაგრამ სასადილოს გამგე არასდიდებით საგანგებო კაბინეტში ჩაკეტილ ფედოტოვთან არ მიშვებდა, - იგი ს ა დ ი ლ ო ბ ს ო.

ახალ სამუშაოზე გადასვლისას ფედოტოვს თან მარტო მზარეული კი არ მიჰყავდა, არამედ თავისი მრავალრიცხოვანი საყვარლებიც. ამბობდნენ, თავისი ჰარამხანა გადმოიყვანაო. მიუმატეთ ყველაფერ ამას ისიც, რომ როცა სამთო მრეწველობის მუშაკების ფორმა გააუქმეს, ფედოტოვმა რაღაც უსაშველო პალტო შეიკერა, რომელსაც შიგნიდან ათი თუ თორმეტი მელიის ტყავი ჰქონდა გამოკერებული, დაუმატეთ ისიც, რომ როცა შახტის მთავარმა ინჟინერმა თავისთვის „მოსკვიჩი" იყიდა, ფედოტოვმა მას თხოვა, მათხოვეო, გამოართვა და მთელი წელიწადი დააჯირითებდა, მთავარი ინჟინერი და მისი ცოლი კი გაჭედილი ავტობუსით დაჯაყჯაყებდნენ და მათ ადგილსაც კი არავინ უთმობდა, - თუ ჯდომა უნდოდათ, თავისი მანქანით ევლოთო.

საყურადღებო კი ის არის, რომ ასე საჯაროდ, ყველას დასანახად ასეთ ბატონკაცურ ცხოვრებას სხვა არავინ ეწეოდა, არც სამთო დირექტორები და ინჟინრები, რომლებსაც ფედოტოვზე ნაკლები ფული არ ჰქონდათ, და არც დიდრონი ჩეკისტები, რომელებსაც ფული სულაც არ აკლდათ. ყველა ესენი საკმაოდ უბრალოდ ცხოვრობდნენ, და ჩვეულებრივად ეცვათ. ლაგერის და ტრესტის მმართველმა სალეევმა კი თავისი უზარმაზარი სახლი საბავშვო ბაღს დაუთმო და თვითონ ცოლიანად ოროთახიან ბინაში გადავიდა, ოღონდ, რა თქმა უნდა, ეს მათი დირექტორებსაც და გენერალ-პოლკოვნიკებსაც ხელს სრულიადაც არ უშლიდათ იმაში, რომ პატიმრებს გაცილებით უფრო უარესად მოქცეოდნენ, ვიდრე ძველი რომაელი პატრიციები, ან ამერიკელი პლანტატორები თავიანთ მონებს ექცეოდნენ.

სანამ № 11X12 შახტზე ვმუშაობდი, გეგმა ერთხელაც არ შესრულებულა. მერე ფედოტოვის მწყალობელი სალეევი პენსიაზე გადავიდა, მისი ადგილი ფედოტოვის დაუძინებელმა მტერმა ჟუკოვმა დაიკავა, ფედოტოვი მოხსნა და შახტი წელში მხოლოდ ამის შემდეგ გაიმართა. ოღონდ, როგორც გითხარით, ფედოტოვმა მანამდე თვითონ ჩემი მოხსნა მოასწრო, რათა პარტორგანიზაცია არ დაესუსტებინა.

მაგრამ სანამ სამსახურიდან მომხსნიდნენ, დაცოლიანება მოვასწარი. 1954 წლის დეკემბრის ბოლოს ინტაში ჩემი ერთ-ერთ მეგობარმა ეთერი ჯაჯანაშვილიმა ჩამომაკითხა. მკითხველმა თვითონ განსაჯოს, ამისათვის როგორი გაბედულება იყო საჭირო.

ეთერი თბილისიდან დიდის ამბით გამოუცილებიათ. ვაგზლის პერონზე ტევა აღარ იყოო. ისეთი სიმღერები და ცეკვა-თამაში გაუჩაღებიათ, რომ ვაგზლის ადმინისტრაცია იძულებული გამხდარა, კაბინეტიდან გამობრძანებულიყო და მომღერალ-მოცეკვავეებისთვის მკაცრი შენიშვნა მიეცა, მუშაობაში ხელი გვეშლებაო. მამაცხონებულებს, დღელამე ორთქმავლების გაუთავებელი კივილ-წივილი არ უშლით ხელს და „მრავალჟამიერის“ ხმებმა შეუშალათ?! არადა, ისეთი ხალხი მღეროდა, ისე ხმაშემოწყობილად, რომ ასეთი სიმღერის მოსმენაში ხალხი ფულს იხდის ხოლმე. მაგრამ ჯერ კიდევ 1954 წელი - ჯუღაშვილის ეპოქა იდგა.

როგორც იქნა მატარებელი დაიძრა. ჩემი საცოლე მარტო საკუთარმა გამცილებელმა კი არა, მთელმა ვაგზალმა გამოაცილა. იყო ყვავილების სროლა, შეძახილები, ყიჟინა, ისევ ცეკვა-თამაში და ისევ სიმღერები, სიმღერები და სიმღერები. ასი თუ ორასი კაცი სიმღერებს ერთმანეთს ართმევდა და ისეთი გუგუნი იდგა, იფიქრებდით, ცა ჩამოინგრაო. თბილისელ ტაქსისტებს მერე მთელი კვირის განმავლობაში მეტი სალაპარაკო აღარ ჰქონიათ.

საქმე ამით არ გათავებულა. მატარებელი რომ გაქანდა, კუპის კარი წამდაუწუმ იღებოდა და ჩემს ძმას, რომელიც ეთერის მოსკოვამდე აცილებდა, მაგრამ ინტამდეც ჩამოჰყვა, ჩურჩულით დერეფანში იხმობდნენ:

- თუ ხათრი გაქვს, ბიძიკო, გაგვაგებინე, რა ხდება?

- თავის საქმროსთან მიდის!

- კარგი ახლა... საქმროსთან ბევრი წასულა, მაგრამ ასეთი ამბავი არავის უნახავს. ეცი პატივი ამ ჩემს ჭალარას, მითხარი, რა ხდება.

- თავის საქმროსთან მიდის...

- ჰე!.. კარგი, ახლა, ის გინდა, ამ ხნის კაცმა მუხლებზე დაგიჩოქო?

ბოლოსდაბოლოს ჩემი ძმა იძულებული გამხდარა, ეთქვა, ამისი საქმრო იმიერ-პოლონეთში, სამუდამო გადასახლებაშია და ეს იმასთან მიდისო.

და დაიწყო. დაიწყო კუპეში ყვავილების, შოკოლადების, ნამცხვრების შემოგზავნა.

საინტერესო ამბავი მომხდარა, თბილისის მუშაახალგაზრდობის მე-11 სკოლაში, სადაც ჩემი ცოლი ქართულ ენას და ლიტერატურას ასწავლიდა: ეთერის მოსწავლეები გაუფრთხილებია, არაფრის გულისათვის გასაცილებლად სადგურში არ გამოხვიდეთ და რაიმე შარი არ აგიტეხონო, - ორიოდე „აქტიური პარტიული“ მთელს ამ ამბავს ამრეზით თურმე უყურებდა. მაგრამ სკოლის დირექტორს პართენ ლოგუას და სასწავლო ნაწილის გამგეს შალვა სალუქვაძეს მოსწავლე ბიჭები დაუნამუსებიათ, - თქვენი მასწავლებელი სადღაც ყინულეთში მიდის, როდის ჩამობრუნდება, ან საერთოდ ჩამობრუნდება თუ არა, ეს ღმერთმა იცის, თქვენ კი სადგურზე გასაცილებლად გასვლა გეშინიათ, ეს რა ვაჟკაცობააო. უამრავი ბიჭი სადგურზე გამოსულა. დიდებში გარევა ვერ გაუბედნიათ, პერონის განაპირას დამდგარან და მატარებელი რომ დაიძრა, თავიანთ მასწავლებელს ხელების ქნევით დამშვიდობებიან. მერე მატარებელს დადევნებიან და კარგა ხანს ურბენიათ. ეთერიმ - ცრემლები ველარ შეიკავეო. საერთოდ, იმ დღეს ბევრი გამცილებელი ტიროდა, ცრემლიც ბევრი იყო და სიხარულიც. სიცილით იგონებდა, კუპე ისე გაავსეს, რომ ჩამოსაჯდომი ადგილიც კი აღარ გექონდაო.

ინტაში რომ ჩამოვიდა, უკუნეთი სიბნელე და 40^0-იანი ყინვა იდგა. ინტაში მაშინ ერთადერთი „პობედა“ იყო - ტრესტისა და ლაგერის უფროსის სალეევის პერსონალური მანქანა. შოფერმა იდრის ისმაილოვმა თავი გადასდო და სადგურში ჩამოსულის შესახვედრად იმ „პობედით“ გაგვიყვანა. იმ დროისათვის უკვე რაღაც პატარა სახლის მაგვარი რომ მქონდა აშენებული, სამზარეულოთი და რუსული ღუმელით... იქ დავეფუძნეთ.

ბედმა ინება, რომ სწორედ საახალწლოდ ავად გავმხდარიყავი.

ექიმმა ექვსდღიანი ბიულეტენი გამომიწერა. სამუშაოზე რომ გავედი, მთელი ადმინისტრაცია - მერე თხუთმეტიოდე კაცი ჩემს კაბინეტში დამხვდა, დაოჯახება მომილოცეს და, იმის ნაცვლად, რომ თავიანთი საქმეებისათვის მიეხედათ, ისე ჩამოსხდნენ. ვერაფერს მივხვდი.

- შენ რამდენი წლის იყავი, როცა დაგიჭირეს? - მკითხა ფედოტოვმა.

- ოცდაერთის.

- მუშაობდი?

- უნივერსიტეტში ვსწავლობდი.

- სიმართლეს ამბობ?

- მოსატყუარი რა მაქვს? - კიდევ გამეცინა.

- ჩვენ ვიფიქრეთ, მინისტრი იყო. აი, ნახე. - ფედოტოვმა უჯრიდან ტელეგრამების სქელი დასტა ამოიღო და გამომიწოდა. - ეს ხუთი დღეა მთელი ჩრდილოეთის ფოსტა შენთვის მუშაობს.

ყველამ გაიცინა. მერე წამოდგნენ და წავიდ-წამოვიდნენ.

დასტა გადავთვალე. ორას ტელეგრამაზე მეტი იყო. თბილისელი მეგობრები მე და ეთერი ჯაჯანაშვილს შეუღლებას გვილოცავდნენ. მაშინ ხალხი პოლიტ-პატიმრებს თანაგრძნობით გვეპყრობოდა. ახლა სხვა დროა. ახლა ვინმე ბრიყვი გამოგეჯგიმება და თითს დაგიქნევს, დამნაშავე რომ არ ყოფილიყავი, სტალინი არ დაგიჭერდაო. თუმცა, ამ თემაზე უკვე ვილაპარაკე.

XXX

ბარე ოცი წელიწადია, რაც საბჭოთა კავშირში რეაბილიტაციები დაიწყო.

ბოლო კი ჯერაც არ უჩანს.

ეს ტერმინი - რეაბილიტაცია საბჭოთა კავშირში პირველად ლავრენტი ბერიამ იხმარა. მან სხვებზე უკეთ იცოდა, ციხეებში როგორი ხალხიც იყო გამოკეტილი. ექიმების - „თეთრხალათიანი მკვლელების“ საქმე სტალინური ცილისწამების კლასიკური ნიმუში იყო. ნაძირალა დედაკაცის ტიმაშჩუკის განცხადების საფუძველზე,

„მეცნიერულ ნიადაგზე“, მსოფლიო მედიცინის კონსტიტუციებზე დაყრდნობით და ლათინური ტერმინების გამოყენებით ექიმებს, როგორც ორჯერ ორი ოთხია, ისე „დაუმტკიცეს“, რომ სტალინის ერთგული თანამებრძოლი ანდრია ჟდანოვი მათი მოკვდინებული იყო. ცემისა და შიმშილისაგან სასომიხდილმა ექიმებმა ამ აბსურდს ხელი მოაწერეს და სადაც იყო, სასამართლოს წინაშე უნდა წარმდგარიყვნენ. რაც მოელოდათ, ადვილი წარმოსადგენია. მაგრამ მთლად განწირულნიც არ ყოფილან. „ხალხების მამა“ გარდაიცვალა. ბერიამ აღარ დაახანა, ექიმებს ციხის კარი გაულო და სრული რეაბილიტაცია „მიანიჭა“.

ეს საქმე ბერიას პოლიტბიუროს არც ერთი წევრისათვის არ შეუთანხმებია. არც კი უცნობებია. ამან მასზე ისედაც აღრენილი პოლიტბიურო მთლად გააცოფა: როცა დაჭერებისა და დახვრეტების დრო იდგა, ლავრენტი ბერია ყველას სჯობდა და პირველი იყო; ახლა, როცა სამართლიანობის აღდგენის და რეაბილიტაციების დრო მოვიდა, ლავრენტი ბერია ისევ პირველობას იჩემებს?! ოჰ, ეგ მართლაც ვერაგი, ეგა! ეგ ორპირა იანუსი!

ამ გარემოებამ ხრუშჩოვს დიდად შეუწყო ხელი, რომ პოლიტბიუროს ყველა წევრი ბერიას წინააღმდეგ სულ რამდენიმე დღეში აემხედრებინა. ამანვე გამოაშკარავა, რომ ბერია, როგორც დიდი მასშტაბის პოლიტიკოსი, გროშის ფასადაც არ ღირდა. მან ისიც კი ვერ დაინახა, თუ როგორ იყვნენ განწყობილი მისდამი პოლიტბიუროს წევრები, „უახლოესი მეგობრის“ მალენკოვის ჩათვლით. უსტალინოდ ბერიამ მაღალ პოლიტიკურ ორბიტაზე ორიოდე თვეც ძლივს გაძლო, იგი დაატიმრეს და დახვრიტეს.

რა იქნებოდა, ბერია რომ არ დაეხვრიტათ? ამაზე საკუთარი შეხედულება მაქვს. მაშინ მალენკოვის პოლიტიკური ხაზი განხორციელდებოდა და ვინ იცის, საბჭოთა ხალხისათვის ეს უკეთესიც კი ყოფილიყო. მაგრამ ბერიამ მალე იგრძნო, რომ მის გარშემო მტრული ძალები ირაზმებოდნენ და კონტრშეტევისათვის მზადება დაიწყო. ხმები დადიოდა, მოსკოვის გარშემო შინსახკომის 400.000-იანი ჯარები მოაგროვაო. ეს ციფრი, შეიძლება, ზუსტი არ

იყოს, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ მოსკოვსა და მის ოლქში ერთმანეთს ბერიას და ჟუკოვის ჯარები დაუპირისპირდათ. ამ ორთაბრძოლაში ჟუკოვმა გაიმარჯვა. ოღონდ, ჩემის აზრით, არასწორია საკმაოდ გავრცელებული აზრი, თითქოს ბერიას უნდოდა, მთელი სახელმწიფო ხელში ჩაეგდო და პირველი კაცი გამხდარიყო. უფრო ის იყო, რომ „პირველი კაცი" ბერიას „ახლო მეგობარი" მალენკოვი იქნებოდა, ხოლო მის ზურგს უკან ბერია ყველაფერს თავის ჭკუაზე წაიყვანდა. მაგრამ მალენკოვმა ბერიას ზუსტად ისევე „უმეგობრა", როგორც მაშინდელი პოლიტბიუროს წევრებს ჩვეოდათ.

მე შემიძლია ისიც დავუმატო, რომ ბერიას თვით უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოებში ძალიან ძლიერი ოპოზიცია ჰ ყავდა უკვე სტალინის სიცოცხლეშივე. ამის დამადასტურებელი ფაქტი არაერთი ვიცი.

ჩვენს ლაგერში ერთი საბჭოთა კავშირის გმირი, მფრინავი იჯდა. ლავრენტი პავლოვიჩს მისი ცოლი მოსწონებია, უარი მიუღია, განრისხებულა, ქმარი - ყოველგვარი ბრალდების, გამოძიებისა და სასამართლო განაჩენის გარეშე ლაგერში შემოუგზავნია და ცოლს, როგორც ამბობდნენ, ბოლოსდაბოლოს დაუფლებია.

გმირი გამუდმებით კარცერში ჰყავდათ.ამბობდნენ პირდაპირ დასაბმელიაო. „ვიცი, ეს საქმე ვინც დამმართა, არ შევარჩენ მაგ სათვალეებიან გველსო" და სხვა ამგვარები. ის ახალგაზრდა ვაჟკაცი ყველას ეცოდებოდა, თვით ლაგერის ადმინისტრაციის ჩათვლით და, როგორც ამბობდნენ, საჭმელად მხოლოდ 300 გრამ პურს კი არ აძლევდნენ, როგორც კარცერში მჯდომს ეკუთვნოდა, არამედ სრულ ულუფას.

როგორც გახსოვთ, სტალინის ავადმყოფობის ამბავი 1953 წლის 2 მარტს გამოცხადდა, სიკვდილი კი მხოლოდ 5 მარტს, მაგრამ მისი სიკვდილისათვის აღარავის დაუცდია, 2 მარტს, დღის 12 საათზე მფრინავი კარცერიდან გამოიყვანეს, „ჩორნი ვორონში" ჩასვეს და სადღაც გაგზავნეს. ეს ჩემს თვალწინ მოხდა. ახალგაზრდა, ქერა, წვერმოშვებული, სამხრეებაგლეჯილი და უქამრო ვაჟკაცი „ჩორნი ვორონამდე" მთელი ლაგერის ოფიცრობამ მიაცილა, რამდენჯერმე

მხრებზე ხელი მოუთათუნეს და გაისტუმრეს.

ქართველების ბირჟაზე მისულს ხანდაზმულმა ქუთაისელმა ფოტოგრაფმა (სამშობლოს ღალატი, 581ა, 25 წელი) მითხრა, გაიგე, ის ბიჭი რომ წაუყვანიათო?

- ჰო, ეს წუთია, წაიყვანეს.

- მერე?

- რა - მერე?

- აგერ ნახავ შენ, თუ ერთ კვირაში მაგენმა აჭკებიანი არ გააგორონ.

„აჭკებიანის" ბერიას ვეძახდით.

- რას ამბობ, კაცო?!

ბერიას დაჭერა მაშინ ჩემთვის წარმოუდგენელი რამ იყო. მას ხომ მთელი ქვეყანა ხელში ეჭირა.

- ა, ეს ქუთაისელი, ბალისკიდელი კაცი, ფოტოგრაფი გეუბნები: „აჭკებიანისთვის" ერთი კვირა მიმიცია.

- გაჩუმდი, არავინ გაგვიგონოს!

- კი, ბატონო, გავჩუმდები...

ქუთაისელი ფოტოგრაფი მხოლოდ ერთ რამეში შეცდა, - „აჭკებიანის" გაგორებას ორი თვე მოანდომეს.

მაგრამ იმ მფრინავის მოსკოვში 2 მარტს გაგზავნა, როცა სტალინი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ სიკვდილს ველარ გადაურჩებოდა, ჩემთვის ახლა სულ სხვა რამეს მოასწავებს: ბერიას ოპოზიცია ამოქმედდა და მოსკოვში მისი აღვირახსნილობის კიდევ ერთი ცოცხალი მოწმე გაიწვიეს. ინტაში კი თანდათან იწყეს დაბრუნება იმ შინსახკომელთა ოფიცრებმა, ვინც პატიმრებისადმი ნორმალური მოქცევით გამოირჩეოდა და ამიტომ იქაურობას მოაშორეს. ერთმა მათგანმა, პოლკოვნიკმა ვისარიონოვმა ახლა საფუძვლიანი წმენდაც ჩაატარა და უშიშროების პოლკოვნიკ ჟოლტიკოვს - სწორედ იმას, გრიშა კობიძეს რომ პირდებოდა, შენს განცხადებას ბერიას ფელდიეგერის ხელით გავუგზავნეო, - სამხრეები სახალხოდ ააგლიჯა, პენსიაც მოუხსნა და აიძულა, შრომითი ბიოგრაფია სატვირთო ავტომობილის მძღოლის ამპლუაში

გაეგრძელებინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო კიდევ მრავალი ნიშანიც, რაც ადასტურებდა, რომ „საკუთარ ორგანიზაციებში“ ბუდამ ძლიერი ოპოზიცია ჰყავდა და ერთადერთი, ვინც მას იფარავდა, სტალინი იყო, თუმცა, ე.წ. „მეგრელების საქმე“ მაფიქრებინებს, რომ ეს აქცია ბერიას წინააღმდეგ იყო მიმართული და „ხალხების მამა“ მას წესის აგებას უპირებდა.

რაც შეეხება მალენკოვის პოლიტიკურ ხაზს, მალე ისიც ნათლად გამოიკვეთა. არ იქნებოდა არავითარი მე-20 ყრილობა, სტალინის არავითარი საჯარო კრიტიკა, მთელს ქვეყანაში კი, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში ყველაფერი ძირფესვიანად შეიცვლებოდა. სტალინის სიცოცხლის ბოლო წლებში ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო მდგომარეობა კატასტროფის პირად იყო მისული. ისტორიამ ინება, რომ სტალინის უკულმართობები მის უახლოესს და უერთგულესს გაესწორებინა, სწორედ იმას, ვინც საკუთარი მუშტებით უმასპინძლდებოდა „დიდი ბელადის“ ნამდვილ თუ მოგონილ მტრებს და ბელადის კეთილგანწყობა და ნდობაც, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ გზით მოიპოვა.

სხვათა შორის, საინტერესოა ამერიკის მოსკოველი ელჩის ჩარლზ ბოლენის დაკვირვება, იმისა, ვინც თქვა, რუზველტს სტალინი ჯენტლმენი ეგონა, არ იცოდა, რომ იგი შარაგზის ბანდიტი იყო. ბოლენმა დაწერა, სტალინის სიკვდილის შემდეგ მალენკოვი სრულიად გამოიცვალა, უფერული ფუნქციონერის ნაცვლად ჩვენ მხიარული, გონებახვილი, ლაღი და თავის თავში დარწმუნებული ადამიანი დავინახეთ, რომელსაც თურმე, შესანიშნავი მეტყველების, აზრის მოკლედ და მკაფიოდ გამოთქმის უნარიც ჰქონიაო.

უკვე მარტის ბოლოს და აპრილის დასაწყისში ინტას ვიღაც დიდი ფუნქციონერები ეწვევნენ და ადგილობრივ ადმინისტრაციას გამოუცხადეს, - მორჩა, ის დრო გათავდა, მუშახელით პროკურატურა აღარ მოგამარაგებთ, ყველაფერზე იზრუნეთ, ხალხს საცხოვრებლები აუშენეთ, დააპურეთ, ჩააცვით და ადამიანურად მოეპყარითო.

- კი, მაგრამ... - შეიშმუშნა ადგილობრივი ადმინისტრაცია, -

ესენი ხომ ყოფილი...

- არავითარი ყოფილი! - მოუჭრა ფუნქციონერმა, - ეს ჩვენი ხალხია. ჩვენ მათ აქვე, ადგილზეე პარტიაში მივიღებთ, რა თქმა უნდა, ვინც ამისი ღირსია და პარტიაში შესვლას მოისურვებს.

ადგილობრივმა ადმინისტაციამ მოწყენით ყურები ჩამოჰყარა.

ხმები დაირხა, მალენკოვმა კოლმეურნეებს ისე მოუფონა, რომ გლეხებმა პირი იბრუნეს და ქალაქებიდან ახლა სოფლებში გარბიანო. მართლაც ასე იყო.

მერე ასეთი ხმებიც დაირხა, მალენკოვი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას აუქმებს, ჩვენი ჯარები გამოჰყავს და გერმანიას აერთიანებსო. მართლაც, მოსკოვში ვილჰემ პიკი, ოტო გროტეოლი და აღმოსავლეთ გერმანიის სხვა ხელმძღვანელები ჩამოვიდნენ.

კარგი დრო დგებოდა. აკი გითხარით ჯერ ორსული ქალები გამოუშვეს, მერე ახალგაზრდა დედები, მერე ისინი, ვისაც დანაშაული 18 წლის ასაკამდე ჰქონდათ ჩადენილი. ამ უკანასკნელ ამნისტიასთან დაკავშირებით საინტერესო ამბავი შემემთხვა.

მე და ავთანდილ გელაშვილს „დანაშაული" სწორედ თვრამეტი წლის შესრულებამდე გვქონდა ჩადენილი. მოვილაპარაკეთ და კომენდანტურაში გავქანდით.

- რაშია საქმე?

- პასპორტები მოგვეცით და სახლში გაგვიშვით.

- რის საფუძველზე?

- ამნისტია - არ იცით? ვისაც დანაშაული 18 ასაკამდე აქვს ჩადენილი, ისინი გაათავისუფლეთო.

- იქ წერია, გაათავისუფლეთო. **Освободить из-под стражи! Вы уже не под стражей. Вы же вышли из лагеря. Вы теперь сильно спец-поселенцы. Поняли?**

- მოქალაქე კომენდანტო! მოგვისმინეთ: ლაგერიდან გამოსულნი ჩვენ იმიტომ ვართ, რომ პატარა დანაშაული გვქონია, მცირეწლები მოგვისაჯეს და ამიტომ ლაგერიდან ამნისტიაზე ადრე გამოვედით.

თქვენ კი ლაგერებიდან ისეთებს უშვებთ, ვისაც დიდი დანაშაული აქვს ჩადენილი და სასამართლომ 10, 15, 20, 25 წელი მიუსაჯა. სად არის ლოგიკა?

- ჰმ!.. - კომენდანტი ჩაფიქრდა. კეფა მოიფხანა. კარგა ხანს ფიქრობდა. მერე თავი ასწია, - წადით პროკურორთან. მითხრას და - გაგიშვებთ.

ინტის ახალგაზრდა პროკურორმა ხელგაშლით მიგვიღო, მოგვისმინა და დაგვპირდა: - კომენდატი ცდება. თქვენ მართლები ხართ. მაგრამ მე მაინც მოსკოვს მოველაპარაკები. ზეგ შემოიარეთ.

შევიარეთ.

- იცით, ისა.. მაზეგ შემოირათ.

შევიარეთ.

- პროკურორი არ არის. - მდივანმა გოგონამ რაღაც წიგნის კითხვა განაგრძო.

- როდის იქნება?

- არ ვიცი...

კიდევ ერთხელ შევიარეთ.

- პროკურორი არ არის! - გოგონას წიგნიდან თავიც არ აუწევია.

- როდის იქნება?

- არ უთქვამს.

- ჩვენს შესახებ ხომ არაფერი დაუბარებია?

- არაფერი.

იმ საიდუმლო ამნისტიის შემდეგ ინტაში კიდევ სამი წელიწადი გვაყურყუტეს.

მერე მალენკოვი ისე გათამამდა, რომ გამოაცხადა, ნუ გადავყვებით ფოლადს, თუჯს და ნაგლინს, ხალხი დავაპუროთ, ჩავაცვათ და დავახუროთო.

ნიკიტა ხრუშჩოვი სწორედ ამას უცდიდა. რაო? როგორ, შენ აღარც მარქსი და ენგელსი გწამს? აღარც ლენინი? აღარც სტალინი?!... არა, ეგრე არ გამოვა.

მალენკოვი გადააყენეს და ქვეყანას სათავეში ხრუშჩოვი ჩაუდგა. ადამიანი, რომელმაც უდიდესი ენერგია დაახარჯა სტალინის

ბოროტმოქმედებათა, შეცდომათა და ბანალურ სიბრიყვეთა გამომჟღავნებას და რომელსაც აგრეთვე უდიდესი ენერგია საკუთარ „შეცდომების“ მიჩქმალვას, სტალინის შინა და გარეპოლიტიკურ უკულმართობათა, ცხოვრებაში დამკვიდრებას, განვითარებას და განმტკიცებას შეალია. ხრუშჩოვმა საკარმიდამო ნაკვეთებიც კი ჩამოართვა კოლმეურნეებს, რათა „ბოლომდე ამოეძირკვა წვრილ-ბურჟუაზიული ინსტიქტები“, რომელნიც, ლენინის დაკვირ-ვებისამებრ, ყოველ დღე, ყოველ საათს და ყოველ წუთს წარმოშობს პატიოსან მშრომელთა ექსპლოატატორებს, და ხრუშჩოვმავე შეზიდა ატომური რაკეტები კუბაში, რათა ამერიკის შეერთებული შტატები დაეჩოქებინა და „კაპიტალიზმი დაემარხა“.

რეაბილიტაციები კი გრძელდებოდა. ოღონდ არა სრული მასშტაბით, არამედ შერჩევით.

პირველ რიგში, უფრო სწორედ, ყოველგვარ რიგსგარეშე იმათ ამართლებდნენ, ვინც თავის დროზე სტალინის ბანდის აქტიური წევრი იყო და უდანაშაულო ხალხის დახვრეტა-გადასახლებაში, თუნდაც საკუთარი ქვეყნის ანექსიასა და ოკუპაციაში ლომის წილი ედო. ამათ შორის თუნდაც მხოლოდ ორჯონიკიძის დასახელება იკმარებდა. შემდეგ თანდათანობით სხვების, მაგრამ სრულიად არა გამოუკლებლივ ყველა უდანაშაულოდ დასჯილის ჯერიც დადგა. ჭადის ნატეხი თქვენს მონა-მორჩილსაც ერგო. რაც შეეხება „ლენინ-სტალინის პარტიის“ ნამდვილ, იდეურ მოწინააღმდეგეებს, მათი რეაბილიტაციის, მოქალაქეობრივი და პოლიტიკური რეანიმაციის საკითხი ჯერაც ჰაერშია გამოკიდებული. ვერავინ იტყვის, მოხდება, თუ არა მათი სრული რეაბილიტაცია. არადა, ეს სრულიად აუცილებელია სახელმწიფოში სრული პოლიტიკური პლურა-ლიზმის ჩამოყალიბებისთვის. საამისოდ ჯერჯერობით მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უფრო ზრუნავენ, ვიდრე პოლიტიკური ხელმძღვანელები.

თავი მეცხრამეტე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიროვი რომ მოჰკლეს, მე თერთმეტი წლისა ვიყავი. როგორც გითხარით, ბიძაჩემი ბაჭუა კუპრაშვილი დიდ მომავალს მიწინასწარმეტყველებდა და ძალიანაც მიფრთხილდებოდა. ალბათ, ამიტომაც იყო, როცა ამ მკვლელობით შეშფოთებული რამდენიმე ძველი ბოლშევიკი მასთან შეიკრიბა, მე მითხრეს, დიდ ოთახში გადი, ჩვენ სალაპარაკო გვაქვსო.

გავედი. დიდად არ ჩავფიქრებულვარ, თუ კაბინეტში რაზე ლაპარაკობდნენ. ახლა კი, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ბიძაჩემის კაბინეტში ჩაკეტილი ჯაღარა ძიები და, მათ შორის, ერთი სანდომიანი შესახედაობის მანდილოსანიც თითქმის ორი საათი სწორედ კიროვის მკვლელობაზე ლაპარაკობდნენ. ბიცოლაჩემი მაგდა ამილახვარი რამდენჯერმე შევიდა კაბინეტში, რამდენიმე წუთს დაჰყოფდა ხოლმე და ძალიან შეფიქრიანებული გამოდიოდა.

სასადილოში სუფრა რომ გაიშალა, ბიცოლაჩემი კაბინეტში ერთხელაც შევიდა. ახლა იქ კარგა ხანს დაჰყო. მერე, როდის-როდის, კაბინეტის კარი ფართოდ გაიღო და ყველანი ერთი-მეორის მიყოლებით გამოვიდნენ. კაბინეტში თამბაქოს ბოლის ლურჯი კედელი იდგა. ვიღაცა ახველებდა, ვიღაცა ცხვირსახოცით ცხვირს ძალიან ხმამაღლა იწმენდდა - ძველ სოციალ-დემოკრატებს აღზრდა-განათლება იტონსა და კემბრიჯში არ მიუღიათ. მაგრამ მოსულთაგან არც ერთი სადილად არ დარჩა. ბიძაჩემი კიდეც განაწყენდა, - ნუ გადამრევთ, ხალხი ბაზარში ორჯერ გავგზავნე, დავსხდეთ და ვისადილოთო, მაგრამ...

- არა, ბაჭუა, არა... გვეჩქარება... მერე, მერე!..

და ყველანი წავიდ-წამოვიდნენ.

სულაც არ ვამტკიცებ, ამ ხალხმა მაშინვე გაითვალისწინა, კიროვის მკვლელობას რა ჯოჯოხეთი მოჰყვებოდა-მეთქი. მე მაშინ მხოლოდ ის დავინახე, რომ სადილად მხოლოდ შინაურები დავსხედით. ბაჭუაც და მაგდაც - ორივენი უგუნებოდ იყვნენ. დიდი

ბებო სუპს ხმაამოულებლად ასხამდა. ბავშვებმაც ვიგრძენით, რომ ცელქობა-მხიარულების დრო არ იყო და სუფრიდან ისე ავდექით, რომ ხმაც კი არ ამოგვიღია.

არავითარ განსაკუთრებულ გრძნობას კიროვის მიმართ არ განვიცდიდი. ვიცოდი, რომ მუხანათურად, მიპარვით მოჰკლეს. მაგრამ თერთმეტი წლის ბიჭისთვის სიბრალულის გრძნობაც უცნობია. ახლა - მით უმეტეს, ახლა როგორც ყველამ, ისევე მეც ვიცი, რომ კიროვი იყო აქტიური მონაწილე სტალინის უდიდესი ბოროტმოქმედებისა, რომელიც კი 1934 წლის 1 დეკემბრამდე მოხდა. კეთილ ხსოვნას იგი არაფრით იმსახურებს. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ მისი მკვლელობის დღე იქცა იმ მიჯნად, რომლის შემდეგაც სტალინი - „გამარჯვებულთა ე.ი. მე-17 ყრილობის" ავტორი აშკარა, დაუფარავ ხოცვა-ჟლეტაზე გადავიდა და შეუბრალებლად უსწორდებოდა ყველას, ვინც არ მოსწონდა გუშინ, არ მოსწონდა დღეს და არ მოეწონებოდა ხვალ. ის ტოტალური შიში, რომელიც დღესაც ძალაშია და კიდევ დიდხანს არ გაქრება, ქვეყნად კიროვის მოკვლის დღიდან გაბატონდა. იმ დღიდან დაჰკარგა ძილი და მოსვენება ყველამ, ვისაც რაიმე სტალინის საწინააღმდეგო თუნდაც გულში ჰქონდა გავლებული და არცერთი თვით უახლესი ადამიანისთვისაც კი არ გაუზიარებია. ასეთი კი იყო საბჭოთა კავშირის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა, გარდა პარტიული ფუნქციონერების უახლესი გენერაციისა - ადამიანებისა, რომლებსაც არ სწამდათ არაფერი ადამიანური და რომლებმაც კარგად აითვისეს და დაიმახსოვრეს, რომ რაღაც ამქვეყნიური სიკეთის მოხვეჭის გზა მხოლოდ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში ღია ან ფარული სამსახური იყო. სრულიად დაზღვეულნი, რა თქმა უნდა, არც იყვნენ, მაგრამ, მოგეხსენებათ, ქვეყნად ყველაფერი შედარებითია.

სწორედ სახელწიფო უშიშროების ორგანოების ზოგი თანამშრომელია, ახლაც დანას ეხევა, კიროვი სტალინს არ მოუკლავსო. ეს ხალხი აზრს მაშინაც არ შეიცვლიდა, სმოლნის დერეფანში რევოლვერით შეიარაღებულნი თვითონ „ხალხების

მამა“ რომ გამოეჭირათ. მაგრამ თუ კიროვი მართლაც ვილაცა ფსიქოპატმა მოჰკლა, როგორც ზოგი ახლაც ამტკიცებს, მაშინ რალა საჭირო იყო ლენინგრადში მყისვე მრავლის უმრავლესი პარტფუნქციონერის დახვრეტა, ხოლო ვინც დახვრეტას გადაურჩა, მათი იმერ-პოლარეთში სამუდამოდ გადასახლება? ან რა მოიგო საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ იმით, რომ სტალინმა მთელი მსოფლიო ასეთი სურათის წინაშე დააყენა: ამ პარტიაში იდეური მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ტყვიით უმასპინძლდებიანო? რა, პარტიის - „ეპოქის ტვინისა და სინდისის“ მორალური ავტორიტეტი გაიზარდა? ახლა ისიც დაუმატეთ, ამ ერთ მკვლელობას მომდევნო წლებში რა ჯოჯოხეთი მოჰყვა. როგორ უბრუნდებათ ამის შემდეგ ადამიანებს ენა იმის სამტკიცებლად, რომ სტალინი ბრძენი, შორსმჭვრეტელი და, ასე გასინჯეთ, ჰუმანური ადამიანიც კი იყო?

ბედმა ინტაში სამ ადამიანს შემახვედრა, რომელნიც კიროვთან უახლოეს ურთიერთობაში იყვნენ. მაგრამ მერე რა? გგონიათ, რომელიმე მათგანს წამოცდა, რასაც კიროვის მკვლელობის შესახებ ნამდვილად ფიქრობდა?

ერთი მათგანი, რომან ვლადიმიროვიჩ ვლადიმიროვი ერთ დროს კიროვის პირადი მდივანი, მერე კი, მგონი, კომკავშირის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის ერთ-ერთი მდივანი იყო.

- რომან ვლადიმიროვიჩ, კიროვის მკვლელობის დროს თქვენ სად იყავით?

- ლენინგრადში. - ვლადიმიროვი ადგა და თავის ოდესღაც ყვითელ, ახლა კი გაშავებულ ტყაპუჭს მისწვდა.

- მერე?

- რა - მერე? კიროვი მოჰკლა ნიკოლაევმა. მგონი, ეს ცნობილია. - ვლადიმიროვმა ტყაპუჭი ჩაიცვა. სახეს მარიდებს.

- თქვენ რატომ-ღა გადმოგასახლეს?

- მარტო მე არ გადმოვუსახლებივართ. ბევრი გადმოასახლეს.

ვლადიმიროვმა ტყაპუჭი შეიკრა და ისე წავიდა, არც კი დამმშვიდობებია. არადა, მანამდე მშვენიერი ურთიერთობა გვქონდა და კარგად იცოდა, რომ რაც არ უნდა ეთქვა, ოპერ-რწმუნებულთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაბეზღებლად არ გავიქცეოდი.

ასე „ვენდობოდით“ ადამიანები ლაგერებში ერთმანეთს. არადა, საინტერესოც კია, რისი-ღა უნდა შინებოდა ადამიანს, ვინც ცხოვრებაში ყველაფერი დაჰკარგა და ის ტყაპუჭი-ღა შერჩა?

ცნობილი რუსი მომღერალი ნიკოლოზ პეჩკოვსკი ჩემს ბრიგადაში - ტექნიკური კონტროლის ინსპექციაში „მუშაობდა“. რა თქმა უნდა, არ ვსაქმავდით. თავს თვითონ ისაქმებდა. რაღაც კანტორის შენება წამოვიწყეთ. როცა მასალები შემოგვაკლდებოდა, „შახსტროის“ ორგანიზაციას მიაკითხავდა, დრამატული ტენორის თითქმის მთელს მსოფლიო რეპერტუარს უმღეროდა და მასალებს ასე გვიშოვნიდა. ლაგერში რომ ამღერდებოდა, მავთულხლართებს თითქმის ქალაქი შემოაჯარებოდა ხოლმე. ეს ჩეკისტებს არ მოეწონათ. ვიღაც მაიორს უბრძანებია, ჩემი ჩამოსვლა არავის გაუგია და პეჩკოვსკის ჩამოყვანაზე კი მთელი ქალაქი ფეხზე დადგაო. მომღერალს ხელი წაავლეს და საღღაც, უფრო შორეულ ბანაკში გადაჰკარგეს.

. რამდენჯერაც არ ვეცადე, კიროვის მკვლელობაზე სიტყვა ვერ დავაცდენინე. არადა, კიროვის უახლოესი მეგობარი იყო, დღე და ღამე ერთად ვიყავითო. ერთხელ კი ასეთი ამბავი მიამბო:

- კიროვს ვთხოვე, საზღვარგარეთ გამიშვი-მეთქი.

- იქ რომ დარჩე?

- ეს რა ხუმრობაა, სერიოჟა?!

- კარგი, ვნახოთ.

ერთი კვირის შემდეგ პოლონეთში გასტროლების უფლება და ვიზაც მომიტანეს. გახარებული ცოლს დავპირდი, ისე შეგმოსავ, რომ მთელი ლენინგრადელი შემოგნატროდეს-მეთქი.

- აბა, შენ იცი!..

(პეჩკოვსკი რომ დაიჭირეს, შვილი - ოცდაოთხი წლის საზღვაო ოფიცერი, დაუხვრიტეს, ცოლი კი ჭკუაზე შეცდა და საგიჟეთში მოკვდა).

პეჩკოვსკიმ ვიზა ჯიბეში ჩაიდო, მატარებელში ჩაჯდა და ჩოპამდე ბედნიერად იმგზავრა. ჩოპში მგზავრებმა ჩასვლა და ევროპულ

მატარებელში გადასხდომა დაიწყეს. პეჩკოვსკიმაც ჩემოდნები გაამზადა. ამ დროს კუპეში ორი ჩეკისტი შევიდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- თქვენ აქ დარჩებით.

- როგორ?!

- თქვენ უკანვე გაბრუნდებით. თქვენი საბუთები გაუქმებულია.

ლენინგრადში მიბრუნებული პეჩკოვსკი სადგურიდან პირდაპირ კიროვთან გაჰქანდა.

- რას მამასხარავებ?!

- შენ აქ რა გინდა?!.. - კიროვი თვითონაც გაოცებული მიაჩერდა.

- არ იცი?!

- რა უნდა ვიცოდე?!

პეჩკოვსკიმ ყველაფერი უამბო.კიროვმა თავი გადააქნია, მაგიდას მიუჯდა და პეჩკოვსკის აღარც დალაპარაკებია.

- სტალინი ჩაერია? - ვეკითხები პეჩკოვსკის, - სტალინმა აღარ გაგიშვათ?

- ოჰ, რას ამბობთ!.. არა, არა... სტალინი მე მუდამ კარგად მექცეოდა. იმას კოზლოვსკი არ უყვარდა, მართალია, თორემ მე... არა, არა, იოსიფ ვისარიონოვიჩ არაფერ შუაში იყო.

- კი, მაგრამ, კიროვმა თქვენ ხომ...

- არა, არა!... რას ბრძანებთ!.. არავითარ შემთხვევაში!.. იოსიფ ვისარიონოვიჩი მანდ არაფერ შუაშია.

ნუ დაგავიწყდათ, მე და პეჩკოვსკი ამ დიალოგის დროს ქვეყნიერების კიდეზე, იმიერ-პოლარეთში, ერთ პატარა, ჩაბნელებულ ოთახში ვსხედვართ, რომელშიც თვენ ორის მეტი არავინაა, და ორივემ მშვენივრად ვიცით, რომ ჩვენს ნალაპარაკევს ძეხორციელი ვერ გაიგებს.და გინდაც ვინმემ გაიგოს, დასაკარგი, როგორც გითხარით, აღარც მე და აღარც პეჩკოვსკის აღარაფერი გვქონდა.

შიშმა საზღვარი არ იცის.

იგი ადამიანს, ალბათ, საფლავშიც თან მიჰყვება.

№ 11 12 შახტზე ერთი კაცი დამიახლოვდა - იური გერმანოვიჩ შვედი. წარმოშობით მართლაც შვედი იყო. რუსეთში ჯერ კიდევ ბაბუამისი გადმოსახლებულა და ნატურალიზაციის საუკეთესო და

უმოკლეს გზად რევოლუციური მოღვაწეობა აურჩევია. მას აქეთ რუსეთში არ ყოფილა მთავრობის საწინააღმდეგო არც ერთი მოძრაობა, რომ იმ კაცს და მის შთამომავლებს აქტიური მონაწილეობა არ მიეღოთ და ბორკილები არ ელესოთ. კაცია და გუნებაო, მეტყვით, მაგრამ ციხეში ჩაჯდომა არც შვეიცარიაში უნდა გაჭირვებოდათ... სოციალიზმი მაშინ არც შვეიცარიაში ყოფილა.

იური გერმანოვიჩი ასპროცენტიანი ტროცკისტი იყო. პირველად მისგან გავიგონე, პეტროგრადი იუდენიჩის შემოტევისგან ლიოვა ტროცკიმ გადაარჩინაო. პირველად მისგან გავიგონე ასე ფამილარული „ლიოვა ტროცკი". ახლა არ იკითხავთ, პეტროგრადი ლიოვას როგორ გადაურჩენია? მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს თავი მოუყარა და წითელ ნაწილებს წინ წარუმძღვარა. გენერალი იუდენიჩი ღვთისნიერი კაცი იყო, ქალებსა და ბავშვებს ტყვია ვერ ესროლა და პეტროგრადი გადარჩაო.

- ეგ რა ვაჟკაცობაა?

- ეგ, ჩემო ძვირფასო, კაცობრიობის ისტორიაში არაერთხელ აპრობირებული ხერხია, რომელიც მხოლოდ ერთი შეხედვითაა შემაძრწუნებელი და საშინელი, სინამდვილეში, პეტროგრადის ფრონტზე არ დაღვრილა არც ერთი წვეთი სისხლი, არ დალუპულა არცერთი თეთრგვარდიელი და არცერთი წითელარმიელი, ქალაქი კი გადარჩა.

- იუდენიჩს რომ ესროლა?

- ლიოვა ტროცკიმ იცოდა, რომ იუდენიჩი არ ისროდა. როგორ ვერ ხვდებით? მთელი აზრი ამაშია. თუმცა, ეს ამბავი რომ გავიგე, კარგა ხანი მეც დაზაფრული დავდიოდი. მოვლენის არსს დიდი ხნის შემდეგ ჩავწვდი და კიდეც დავმშვიდდი.

იური გერმანოვიჩი შახტზე ათისთავად მუშაობდა. ნაშუაღამევს, საქმეებს რომ მოაწესრიგებდა, ჩემთან ამოვიდოდა ხოლმე და ათას რამეზე მემასლათებოდა. იგი არ მიმალავდა თავის პოლიტიკურ სიმპატიებს და, სიმართლე უნდა ითქვას, თვალი ბევრ რამეზე ამიხილა.

- ტროცკის ხსენებისაა არ გეშინიათ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- არასოდეს არაფრისა მშინებია. ჩვენ, შვედები ცივსისხლიანები ვართ.

- ტროცკისტი ბრძანებით?

- ვინა? მე? როგორ გითხრათ... ალბათ, ჰო, ტროცკისტი ვარ. თუმცა, რა ვიცი... მისი ბევრი რამ მომწონდა, ბევრი რამ კი არა... ყველაზე დიდი, ნამდვილი ტროცკისტი კი თქვენი სტალინია.

- სტალინი ჩემი არასოდეს ყოფილა, მაგრამ ტროცკისტი რატომ-ღა არის?

- იმიტომ, რომ საკუთარი არაფერი გააჩნდა და ყველაფერს ტროცკისგან სესხულობდა. მერე, როცა დაინახა, ტროცკის ველარაფერს გამოვრჩებიო, აიღო და მოაკვლევინა.

- ცოტათი ხომ არ აუბრალოებთ?

- ოდნავადაც არა. როგორი იყო ლიოვას რევოლუციური სტრატეგია? ქალაქის გაძლიერება სოფლის ხარჯზე (ანუ, სტალინის ენაზე, ინდუსტრიალიზაცია), მართვის მკაცრი ადმინისტრაციული მეთოდები (სტალინისებურად - აი, ეს ლაგერები, რომლების ცქერითაც თქვენ ამდენი წელიწადია, ტკბებით) და - რევოლუციის ექსპორტს სტალინი მილიარდებს, ათეულ მილიარდებს ახარჯავს და ამიტომ საკუთარი ხალხი მშიერი ჰყავს, მორჩა და გათავდა! ოღონდ ამ მიზნებს იოსიპ ვისსარიონოვიჩი მისთვის ჩვეული სიუხეშით, უდიერობით, მხეცურად ანხორციელებს, ტროცკი კი, ალბათ, უფრო მოქნილად მოიქცეოდა. ტროცკის „შრომით არმიებში" თქვენ ცოლი და შვილები მაინც გეყოლებოდათ, ახლა კი, ლაგერში გამომწყვდეულმა თუ ვინმე ქალს სხვანაირად შეჰ ხედეთ, ე. ი. ისე, როგორც ნორმალურმა მამაკაცმა ქალს უნდა უყუროს, თავს მაშინვე საჯარიმო ზონაში გიკრავენ და შეიძლება, იქიდან ვერასოდეს გამოხვიდეთ. აი, მთელი განსხვავება ეს არის. ისე კი, თუ სიმართლეს ვიტყვით, ლიოვაც დიდი სისხლისმღვრელი ვინმე ბრძანდებოდა. თქვენ, ახალგაზრდებს, ტყუილად გგონიათ, რომ იგი თეთრხელთათმანებიანი ინტელიგენტი იყო. არაფერიც! ენას კარგად ასარსებლებდა, მართალია, მაგრამ ძალიან სასტიკი კაცი იყო. საერთოდ, ყველა რევოლუციონერი დარწმუნებულია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ უფლება აქვს, რამდენიც მოეპრიანება, საიქიოს იმდენი სული გაისტუმროს.

- ლენინიც?

- რა - ლენინიც?

- ლენინიც ეგეთი იყო?

- ოჰ, ახალგაზრდობავ! ძამიკო, მთელი სიცოცხლე ციხეში ზიხარ და ეგეთ უბრალო რამეს კი მე, ბერიკაცს მეკითხები. მე არ ვიცი, ლენინი როგორი იყო. მე მას არ ვიცნობდი და არც მინახავს. აი, ასე! არც დაველაპარაკებივარ.

- ახლა რომ შინ გაგიშვან, რას იზამთ?

- შევეცდები, ჟურნალისტური მუშაობის კლასი ვაჩვენო, მაგრამ... მანამდე ჯერაც ბევრი წყალი ჩაივლის.

- კიროვი?

- რა - კიროვი?

- იცნობდით?

- მშვენივრად.

- ვინ მოჰკლა?

- ნიკოლაევმა. კიროვი მოჰკლა ნიკოლაევმა.

- იცნობდით?

- ნიკოლაევს - არა. კიროვს - კი. მე ხომ ჩრდილოეთის საჰაერო ფლოტის პოლიტსამმართველოს უფროსი ვიყავი. ვიყავი იმ პარტკონფერენციის დელეგატიც. ის-იყო, მაგიდა მივალაგე და პალტო უნდა ჩამეცვა, რომ ტელეფონმა გაიწკრიალა. ვილაცამ მითხრა, კიროვი მოჰკლესო. ყურმილი ხელიდან გამივარდა. მას აქეთ ოცი წელიწადია ვზივარ, როგორც... კიროვის მკვლელობის აქტიური მონაწილე.

- გაგასამართლეს?

- არც უფიქრიათ.

- იცით, იური გერმანოვიჩ, ამ თემაზე ბევრ ადამიანთან მისაუბრია და ყველა მეუბნება, კიროვი ნიკოლაევმა მოჰკლაო. თქვენ უფრო გაბედული ადამიანი ბრძანდებით, მაგრამ თქვენც მეუბნებით, კიროვი ნიკოლაევმა მოჰკლაო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- კიროვი მოჰკლა ნიკოლაევმა.

- მესმის...

- არა, ყველაფერი არ გესმით. მე ძველი კომუნისტი ვარ. თქვენ?

- ძველი კომკავშირელი.

- მერე? ძალიან გინდათ, რომ თქვენი სახელმწიფო მეთაური მკვლელი იყოს? მე, მაგალითად, ეს არ მინდა.

- არც მე მინდა.

- ჰოდა, მორჩა. საკითხი ამოწურულია.

- მესმის. მაგრამ მე მაინტერესებს, თქვენ თვითონ, გულის სიღრმეში რას ფიქრობთ?

- ძალიან გაინტერესებთ?

- ძალიან.

- კიროვი მოჰკლა ნიკოლაევმა. ერთ ხანს ჩვენ, კიროვის ახლობლები, ვფიქრობდით, რომ კიროვი მოაკვლევინა ვიღაც დიდმა ჩეკისტმა, რათა სტალინისთვის ესიამოვნებინა. თვითონ სტალინს ასეთი ბრძანება არ გაუცია, მაგრამ დრო გავიდა, ვნახე და განვიცადე უამრავი რამ, რაც კიროვის მკვლელობას მოჰყვა, და ახლა სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ კიროვის ნამდვილ მკვლელს ვერასოდეს იპოვნიან. მე კი არ მინდა, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მეთაური ბანალური მკვლელი იყოს.

- როგორი კაცი იყო?

- სტალინი?

- კიროვი.

- უბრალო. სჯეროდა, რომ სტალინის ქვეყანა სწორი გზით მიჰ ყავდა. ეს მას ურყევად სჯეროდა.

- თქვენ?

- მე ცოტა სხვანაირ პოზიციაზე ვდგევარ. ჩვენ უკვე იმდენი დავაშავეთ, რომ უკან დასაბრუნებელი გზა აღარა გვაქვს. ამიტომ უთუოდ უნდა გავიმარჯვოთ.

- კი, მაგრამ... ამდენი წელი ლაგერებში, სრულიად უდანაშაულოდ...

- მაგას უკვე აღარაფერი ეშველება. მორჩა! ბედმა ინება, რომ

ჩვენს სახელმწიფოს სათავეში ცბიერი და ვერაგი აზიატი მოქცეოდა. ეს უკვე ისტორიაა.

- თქვენ წელან... ლენინზეც...

- ვინ? მე? არაფერი მაგის მსგავსი! მოგჩვენებიათ, ძვირფასო!

ჩემთვის იური გერმანოვიჩის პოზიცია გასაგებია: მიუხედავად ყველაფრისა, ვრჩები იდეურ პოზიციაზე! ასეთები ბევრი მინახავს. აქაოდა, იდეურები ვართო და - თავიც კი მოაქვთ, პატივისცემას თხოულობენ. მაგრამ რატომ არ აწუხებთ მოგონება იმ ათასების და მილიონებისა, ვინც მათ თვალწინ შიმშილით, წამებით, ჯალათების ან მთვრალი „ვერტუხაების“ ტყვიით ამოწყდა? კარგია, თქვენ ნუ მომიკვდებით, - იმდენი დანაშაული მიგვიძღვის, რომ ერთი-ღა დაგვრჩენია - უთუოდ უნდა გავიმარჯვოთო! იქნება, მკითხველმა კიდეც გამამტყუნოს, მაგრამ ასეთ „იდეურებს“ მე კაცობრიობის საუკეთესო შვილებად ნამდვილად ვერ მივიჩნევდი. გარდა ამისა, შვედის ნალაპარაკევი ძალიან ზუსტად გადმოგეცით. მერე? თქვენ ახლა იცით, კიროვი ნიკოლაევმა მოჰკლა თუ იოსებ ჯულაშვილმა?

№ 11 12 შახტზე ერთ ნამდვილად შესანიშნავ პიროვნებას კი დავუახლოვდი. ეს გახლდათ 80 წლის სამთო ინჟინერი სერგეი ვასილიევიჩ დურაკოვი. იგი 1928 წელს „შახტის საქმეზე“ დაიჭირეს და პატიმრობაში ოცდარვა წელიწადი გაატარა. დიდი სპეციალისტი და უპატიოსნესი ადამიანი იყო. როცა მას და კიდევ რამდენიმე სვეგამწარებულ სამთო ინჟინერს - ნეხოროშოვს, გუტმანს და სხვებს ვიხსენებ, ვფიქრობ ხოლმე, რა ეშველებოდა საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობას, ეს რამდენიმე ინჟინერიც ისევე რომ დაეხვრიტათ, როგორც მათი „თანამოსაქმენი“ დახვრიტეს? პეჩორის აუზის შახტები ხომ ამათი, ამ რამდენიმე კაცის აშენებულია! დარწმუნებული ვარ, ასეთივე გაწამებული ინჟინრების აშენებულია ქვანახშირის სხვა აუზების შახტებიც. ამათი შემცვლელი სპეციალისტები საბჭოთა გენერაციის ინჟინრებს შორის ნამდვილად არ მოიპოვებოდა. ნეხოროშევი კი შეფიცული კომუნისტიც იყო. 1954 წელს რეაბილიტაცია მიიღო, პარტიაშიც სტაჟით აღადგინეს და საწევრო 100.000 მანეთამდე გადაიხადა.

ხრუშჩოვის დროს ვალენტინა გაგანოვა სამუშაოდ ჩამორჩენილ ბრიგადაში გადავიდა - და პირდაპირ გაგვაყრუეს, შეხედეთ, რა გმირული საქციელი ჩაიდინაო. რა თქმა უნდა, დიდებული, დიდსულოვანი საქციელია. სულაც არ ვაპირებ გაგანოვას დამცირებას. მაგრამ არავინ იცის, რომ ინტის 12 შახტს ფაქტიურად ზემოთჩამოთვლილი სამი ინჟინერი უვლიდა. დანიშნავდნენ, ვთქვათ, გუტმანს № 5 ჩამორჩენილი შახტის უფროსად. საქმეს მოაწესრიგებდა, გეგმებს შეასრულებდა, შექმნიდა მტკიცე კოლექტივებს... ამასობაში მოიშლებოდა მუშაობა, ვთქვათ, № 4 შახტზე. გუტმანს ახლა მე-4 შახტზე გადაისროდნენ. და ასე დაუსრულებლივ. ასევე - დურაკოვის მიმართაც, სანამ ეს კაცი ისე არ დაბერდა და დასნეულდა, რომ რჩევის მიცემის მეტი აღარაფერი შეეძლო. მერე № 11 12 შახტზე მთავარი ინჟინრის თანაშემწედ დანიშნეს და ცოტათი მაინც მოასვენეს. მაგრამ მაინც დიდ ანგარიშს უწევდნენ და მისი სიტყვა კანონი იყო. არ მახსოვს, შახტის უფროსს მისთვის უხეში სიტყვა ან შეყვირება ეკადრებინოს. ერთხელ სერგეი ვასილევიჩს ჩემს კაბინეტში ჩაეძინა. რაღაც საქმეზე სასწრაფოდ დაჭირდათ. და შახტის უფროსმა ფედოტოვმა მე პირდაპირ ყელი გამომიწია, - ვასილიჩს შენ უყვარხარ და გააღვიძეო.

უხეში სიტყვა, უკანასკნელი სიტყვებით გინება, ღრიალი და შეყვირება კი მაშინ ჩვეულებრივი სტილი იყო. ჩემი თვალით მინახავს, № 2 რაიონის უფროსი ჟელინი რომელიმე უბნის უფროსს, რომელმაც გეგმა ვერ შეასრულა, თმებით როგორ დაითრევდა ხოლმე და თავს კედელზე ახლეკინებდა. ასეთი „სტილი" მეფობდა არა მხოლოდ შახტებზე, არამედ სსრკ ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროშიც. მინისტრი ამხანაგი ალექსანდრ ფიოდოროვიჩ ზასიადკო კოლეგიას იშვიათად ჩაატარებდა ისე, რომ რომელიმე ტრესტის მმართველი მაგრად არ მიებერტყა. ამ მმართველთაგანი, თურმე, ბევრი მერე ტრაბახობდა კიდეც.

ე. ი. უკეთ უნდა ვიმუშაოო. და ამ სიტყვებს ვინმე დამწყები უწვერული ტექნიკოსი ან ინჟინერი კი არ წარმოთქვამდა, არამედ ჭაღარა, 50-ს გადაცილებული ტრესტის მმართველი, 1 ან რანგის

სამთო დირექტორი!

ის ზასიადკო მერე ხრუშჩოვმა მოხსნა, - სიყალბე ჩაიდინა, 1955 წლის 1 იანვარს ქვანახშირი 1954 წლის 31 დეკემბერს მიაწერა და წლიური გეგმა ასე შეასრულაო. თითქოს ეს სრულიად ჩვეულებრივი ამბავი არ ყოფილიყოს საბჭოთა კავშირის მთელს მრეწველობაში. ახალ მინისტრად ალექსანდრ ფიოდოროვიჩს ზადემიდკო დანიშნეს. ეს წესიერი კაცი იყო და ხელქვეითებსაც წესიერად ეკიდებოდა. ამას კი ის მოჰყვა, რომ ქვანახშირის მოპოვების საქმე საბჭოთა კავშირში სულ უკან-უკან წავიდა. ახლა ალექსანდრ ფიოდოროვიჩს ზადემიდკო მოხსნეს და ისევ ალექსანდრ ფიოდოროვიჩ ზასიადკო დანიშნეს. ამან საქმე გამოასწორა თუ არა, ეგ ალარ ვიცი, შახტიდან და ინტიდანაც მალე წამოვედი.

ახლა - ისევ სერგეი ვასილიჩ დურაკოვზე. მართლა ვუყვარდი, თუ არა, ეს არ ვიცი, მაგრამ როცა ღამით მორიგეობა უწევდა, ჩემს კაბინეტში ჯდომა და დაბალი ხმით მასლაათი კი მართლა ეხალისებოდა. ერთხელ შევუბედე, ამდენი ხანი, 26 წელიწადი რეპრესირებული რატომ ხართ-მეთქი.

- ახ, რა ვიცი, გეთაყვა... ერთხელ ზედმეტი მომივიდა და, ალბათ, იმისთვის.

- ზედმეტი მოგივიდათ? რა?

- რა ვიცი... შახტში ჩვენ და უცხოელი ინჟინრები ერთად ვმუშაობდით. ჩვენ, რუსებს, ისინი არაფრით გვჯობნიდნენ. მაგრამ, სიტყვაზე, ერთი და იმავე თანამდებობაზე, ერთი და იგივე საქმისათვის მე, ვთქვათ, 100 მანეთს მიხდიდნენ, იმას კი - 700,800,1000. ჰოდა...

- მაგისთვის 26 წელი მოგისაჯეს?

- არა. ოსო-მ მომისაჯა. (Особое совещание). ხუთი წელი. ხუთ წელს რომ შევასრულებ, ისევ ხუთ წელს მიმატებდნენ. მერე - ისევ ხუთ წელს... და აი... არ იცით?

როგორ არ ვიცოდი. როცა ადამიანს დაიჭერდნენ და დანაშაული არ დაუმტკიცდებოდა, მაგრამ მისი გაშვება ეწინააღმდეგებოდა სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებს, საქმეს იმ „Особое совещание“-ს გადაუგზავნიდნენ. მოკლედ იმ ორგანოს - სამეული

ეწოდებოდა. და მასში შედიოდნენ პროკურორი, შინაგან საქმეთა მინისტრი და პარტიის ცკ-ს წარმომადგენელი. სამეული. სამეული 3 ან 5 წელს მოგისჯიდა. ვადის გასრულებისას ლაგერის ადმინისტრაცია ისევ სამეულს შეეკითხებოდა, გამოვუშვათ თუ არაო. მე შემთხვევა არ მახსოვს, რომ ვინმე გაეშვათ. სამეული ისევ იმ 3 ან 5 წელს დაგიმატებდათ. და ასე, იმ ხალხს ლაგერებში 15,20,25,30 წელი მოასრულებინეს. მე რომ წამოვედი, მაგალითად, სერგი ვასილიჩი ისევ ინტაში დავტოვე. შემდეგ რა ბედი ეწია, არ ვიცი. ეს კია, რომ 19 წელს სუსლოვის რეცეპტებით გამოცემულ დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში „Шахтинское дело"-ს მონაწილენი ისევ დივერსანტებად, ჯაშუშებად და ქვეყნის დამაცქვერებად იხსენიებიან, რაც მე იმ პატიოსანი ინჟინრების მიმართ აღვირახსნილ ცილისწამებად მიმაჩნია.

ერთ საკითხში კი მე და ჩემი სერგეი ვასილიჩი არ იქნა და ვერ შევთანხმდით. ეს ღრმა ბერიკაცი პირდაპირ ბავშვით იყო შეყვარებული... სერგო ორჯონიკიძეში.

- ეს უნიჭიერესი, უჭკვიანესი ადამიანი იყო... ურთულეს პრობლემებს თვალისდახამხამებაში წვდებოდა. არ მახსოვს, რაიმეში შემცდარიყო. არ მახსოვს და არც გამიგონია! ახლა - როგორი ადამიანი! ბაჯაღლო ოქრო! გელიმებათ? ჰკითხეთ ნეხოროშევს, ჰკითხეთ გუტმანს... ოო, არაფერი მითხრათ! თქვენ მას უბრალოდ არ იცნობთ. ეს ადამიანი კი არა, ბუნების სასწაული იყო.

სიმართლე გითხრათ, ორჯონიკიძის შავ საქმეებზე მაშინ ძალიან ცოტა რამ ვიცოდი. ისიც სტალინის ვერაგობის უმანკო მსხვერპლად მიმაჩნდა. ამიტომ სერგეი ვასილევიჩისთვის დიდი პაექრობა არ გამიმართავს. ოღონდ ერთხელ ვუთხარი მისი არაჩვეულებრივი ადამიანობისა დიდად არა მჯერა-მეთქი.

- ო-ო! - მოხუცი აღელდა და სახეზეც კი წამოწითლდა, - მაგას როგორ ამბობთ!.. გეუბნებით, ეს ადამიანი კი არა, ბაჯაღლო ოქრო იყო. მისი სიკვდილი რომ გავიგეთ, ვოლოგდის ციხეში გლოვა ჩამოდგა. იმ დღეს პირში ლუკმა არ ჩაგვიდვია. დიახ! არა, მე

ძალიან გთხოვთ... ვისაც გინდათ, ჰკითხეთ. ვინც კი სერგო კონსტანტინოვიჩს იცნობდა, მისი პიროვნებით მოხიბლული იყო და ასეთსავე დარჩა. ო-ო!.. ო-ო!.. მაგას რას მელაპარაკებით!.. ჩემთვის, მაგალითად, მუდამ ამოუხსნელ ამოცანად დარჩება. ეს როგორ - სერგოც ქართველი და - ბერიაც - ქართველი?! ეს რაღაც გაუგებრობაა. ამ გამოცანას მთელი ქვეყნიერების მეცნიერები ვერ ამოხსნიან.

ასეთი პათეტიკით კარგა ხანს მიმასპინძლდებოდა. ბოლოს, როცა ძალიან ჩავაცივდი, ერთი ფაქტი მაინც დამისახელე-მეთქი, მან ორი ფაქტი დამისახელა:

- როგორც კი გაიგო, რომ შვებულებით მთელი სამი წელიწადი არ მესარგებლა, გამომიძახა, საშინლად გამიწყრა და მყისვე შვებულება გამიფორმა. ვეეედრე, შახტს ექსპლოატაციაში გადავცემ და მაშინ დავისვენებ-მეთქი, გაგონებაც კი არ ისურვა. კიდევ ერთ ინჟინერს, ნაუმ ბორისოვიჩ ზალცმანს - იყო ასეთი, - ფილტვების ანთება აღმოაჩნდა, მაგრამ საავადმყოფოში მაინც არ წვებოდა, დიდი საქმე ჰქონდა დასამთავრებელი. სერგომ ეს გაიგო, „სასწრაფო დახმარება“ გამოაძახებინა და ზალცმანი სანგრევიდან პირდაპირ საავადმყოფოში გააგზავნა. აი, როგორი ადამიანი იყო სერგო კონსტანტინოვიჩი. თქვენ მას უბრალოდ არ იცნობდით.

აღარ ვუთხარი კეთილ სერგეი ვასილიევიჩს, რომ მისი ნაამბობიდან სულაც არ გამომდინარეობდა, თითქოს სერგო კონსტანტინოვიჩი ადამიანი კი არა, ბაჯაღლო ოქრო იყო. თვითონ იგი კი ერთხელ არ ჩაფიქრებულა ერთ უბრალო რამეზე: რას აკეთებდა „ბაჯაღლო ოქრო“ მაშინ, როცა საქმისათვის თავდადებულ ინჟინრებს, მუშაობას რომ თავს აკლავდნენ, დასვენებაზეც აღარ ფიქრობდნენ და ფილტვების ანთებასაც აღარაფრად აგდებდნენ, - რას აკეთებდა „ბაჯაღლო ოქრო“ მაშინ, როცა ასეთ ხალხს გაუგონარ ცილს სწამებდნენ, ხვრეტდნენ და სამუდამოდ ასახლებდნენ.

ამ ორჯონიკიძისეული ტრიუკებით, რომელზეც არც ერთი კავკასიელი მეჯლანე არ წამოეგება, კეთილი და სამართლიანი

კაცის სახელი მოსკოვში გადასვლის პირველ ხანებში ლავრენტი ბერიამაც გაიგდო. მიდის, ვთქვათ, ლავრენტი პავლოვიჩი კრემლის ეზოში და დაინახა, როგორ ჰგვის მოხუცი მეეზოვე-ქალი. შეჩერდა და ბერიქალი თავისთან იხმო.

- ზდრავსტვუიტე! - საუბარი რუსულ ენაზე მიმდინარეობს. მაგრამ ბერიას აქცენტი ქართული ასოებით უკეთ გადმოიცემა.

- **Здравствуй, сынок, дай бог тебе здоровья!**

- ვი დავნო დვორნიკომ რაბოტაეტე?

- **Да всю жизнь, милый.**

- ჰმ!.. ა ვი კაგდა ნიბუტ ვ სანატორიი ბივალი.

- **Бог с вами, какой там санаторий!.. Мне бы в тени где-нибудь посидеть, вот и весь мой санаторий. Нет, никогда не была!**

- ბეზობრაზიე! - და ლავრენტი პავლოვიჩი მხლებლებს მიუბრუნდება, - ეტუ ჟენშჩინუ ნემედლენო ადეტ, სნაბდიტ დენგამი ი პოსლატ ვ ლიკადიუ, ვ ლუჩში სანატორიი. ნემედლენო! ა ტო ნას კოე კტო სტალ ზაბივატ, ჩტო მი სტროიმ სოციალიზმ, ა ნე ჩტო ნიბუტ ესჩო!..

ბერიქალს იმ დღესვე ახლებში გამოაწყობენ და ლივადიაში გაგზავნიან. მოსკოვში კი მეხივით გავარდება, - „**В кремле один человек – Лаврентий Павлович Берия**“.

ხალხის გულის მოგება, თურმე, ამ იაფფასიან ტრიუკებითაც შეიძლება. მაგრამ ლავრენტი პავლოვიჩს მალე გადაავიწყდა თავისი „ჰუმანური პრინციპები“, მოწყალე მზერა ბებრუხანა დვორიჩიხებს აარიდა და შეუდარებლად უფრო ახალგაზრდა ქალებსა და ქალწულებს მიაპყრო. როგორც მისი საბრალდებო დასკვნიდან ჩანს, - ზოგი რამ კი ხალხმა მანამდეც კარგად იცოდა, - ამ ასპარეზზე მან უფრო დიდი წარმატებები მოიპოვა.

XXX

„მინლაგში“ დავუახლოვდი ერთ თავისებურ ადამიანსაც. ეს

იყო ლენინგრადის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის ყოფილი დეკანი პროფესორი ნიკოლაი კონსტანტინოვიჩ ვლასოვი - სტალინთან დაახლოებული პირი, მისი არაოფიციალური (და ამიტომ ოფიციალურებზე უფრო მეტად უფლებამოსილი) წარმომადგენელი გერმანელ კომუნისტებთან ურთიერთობაში. თავგადაკარგული სტალინისტი. მაგრამ მის სტალინისტობას მეტად თავისებური იერი ჰქონდა. როგორც პიროვნება და ადამიანი, სტალინი ვლასოვს ზიზღს ჰგვრიდა და აშკარა სიამოვნებითაც კი მიამბობდა ზოგეპიზოდს „ხალხთა მამის" ცხოვრებიდან, რომელთა მოწმეც თვითონ ყოფილა. მაგალითად, როგორ უწოდა მიხა ცხაკაიამ სტალინს საჯაროდ „ნაბიჭვარი".

- მიხა ცხაკაიამ?! - მე ამის დაჯერება გამიჭირდა, - სტალინს?!

- მიხა ცხაკაიამ - სტალინს.

- როდის? სად?

- 1939 წელს. საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე. უფრო ზუსტად, პირველივე სხდომის შემდეგ, შესვენებისას.

- თქვენ იქ იყავით?

- გახლდით.

- მერე?

- არაფერი. როგორც უხუცეს დეპუტატს, მაშინ პირველი სესია მიხა ცხაკაიას გაახსნევინეს. შესვენებაზე შემოვეხვიეთ, ვულოცავდით. ახალგაზრდებს შორის იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. უეცრად ოთახში აღზნებული სტალინი შემოიჭრა, მიხას მივარდა და მხრებზე ორივე ხელი დააყრდნო, - „მიხა, ჩემზე ამის შემდეგაც იტყვიან, ტირანია, დემოკრატი არ არისო". მიხამ მისი ხელები მოიშორა, და უკმეხად მიუგდო - „დამეკარგე, შე ნაბიჭვაროო!"

- ნაბიჭვაროო?! საჯაროდ?!..

- საჯაროდ. ნაბიჭვაროო.

- მერე?

- არაფერი.

- შერჩა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- როგორც იცით, მიხა თავისი სიკვდილით მოკვდა და დიდის პატივით დამარხეს.

- ჰმ?..

- არა გჯერათ?

- სიმართლე გითხრათ, არა.

- ჩემო ძვირფასო, თქვენ კი არა, მეც კი არა მჯერა, თუმცა ცხაკაიასგან ორ ნაბიჯზე ვიდექი.

- ჰმ!..

- მაინც არ გჯერათ?

- ნიკოლაი კონსტანტინოვიჩ!..

- დიახ?

- რომელ ენაზე ლაპარაკობდნენ?

- ქართულზე.

- მაშ, საიდან იცით, ერთმანეთს რა უთხრეს?

- ეე!.. თქვენ გინდათ, დაგისახელოთ, ვინ მითარგმნა? არა, ჩემო კარგო, ეგ არ მოხდება. ერთი კი უნდა გითხრათ: ამხანაგი სტალინი ძალიან რთული პიროვნებაა. მას, სიგიჟემდე თავმოყვარე და პატივმოყვარე კაცს შეუძლია, აი, ასეთი საჯარო შეურაცხყოფაც კი გადაყლაპოს, თუ ამას სიტუაცია მოითხოვს. ამხანაგი სტალინი, გეცოდინებათ, მართლაც ნაბიჭვარია, მაგრამ ამ ერთი სიტყვის გამო უზენაესი საბჭოს პირველსავე სესიაზე სკანდალის ატეხვა და მიხა ცხაკაიას - ძველი, ჭაღარამოსილი ბოლშევიკის დაპატიმრება ნამდვილად მიზანშეუწონელი იყო. მით უმეტეს, რომ ის ყველაფერი სულ რამდენიმე კაცმა გაიგონა.

- რამდენიმე კაცი ცოტა არ არის.

- ცოტა არ არის, მაგრამ ზოგმა მათგანმა ეს იმავე წუთში დაივიწყა, ერთი კი აი, იმიერ-პოლარეთში თქვენ გვერდით ზის.

- ესე იგი, თქვენ დაგაპატიმრეს, როგორც...

- დააპატიმრეს, როგორც იმ ამბის მოწმე. არა მარტო დამაპატიმრეს, არამედ კიდეც მომისაჯეს, გადმომასახლეს და შინ როდესმე დაბრუნდები თუ არა, ეგ ალაჰმა იცის. მე კი ლენინგრადში მცირეწლოვანი ქალიშვილი დამრჩა. აი, ასე, ჩემო ძვირფასო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეგობარო!

ცოლს ვლასოვი რატომღაც არასოდეს ახსენებდა.

და ეს კაცი მთელი თავისი არსებით სტალინისტი იყო.

- ეს დიდი ადამიანია! მან ლენინის მემკვიდრეობა შეგვინარჩუნა და განავითარა კიდეც. მან ბეჩავი რუსეთი უძლეველ სახელმწიფოდ აქცია. იგი მსოფლიო ისტორიის უდიდესი ფიგურაა.

მივაჩერდი და თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევდი.

ერთ საღამოს სქელი რვეულების დასტა მომიტანა და მთხოვა, გაეცანითო.

- სიამოვნებით. რა არის?

- სტალინის „ანარქიზმი თუ სოციალიზმი" ხომ გახსოვთ? იქ არის ერთი ღრმა დებულება, სამყაროს ერთიანობის შესახებ. იმ ფურცლებზე დაყრდნობით მე ვცადე დროის, სივრცის, სხვა ფილოსოფიური კატეგორიების მარქსისტული თვალსაზრისით ჩამოყალიბება.

- დიდი სიამოვნებით წავიკითხავ.

მაგრამ ვლასოვის ნაწერების წაკითხვა ძალიან გამიჭირდა - საშინელი ხელი ჰქონდა. გარდა ამისა, რა დიდი სიბრძნეა იმაში, რომ სამყარო ერთიანია, ხოლო მატერიალური და იდეალური საბოლოო ჯამში ერთ მთლიან ფენომენს წარმოადგენენ? ავიღე და ვლასოვის რვეულები კოჩურას გადავეცი, წაიკითხეთ-მეთქი. მან ორიოდე დღეში წაიკითხა, უკანვე მომიტანა და გაოცებით მითხრა, საინტერესო ნაშრომია, ხინჯი ვერ ვუპოვე, მაგრამ... საკუთარ დაკვირვებებს, მიგნებებს, საერთოდ ყველაფერს ეგ კაცი სტალინს აწერს, იმისიაო. არადა, ერთი სიტყვით, სცადეთ და წაიკითხეთ.

ვლასოვი ბოლოსდაბოლოს მიხვდა, რომ მისი რვეულების წამკითხავი არ ვიყავი. რვეულები ისე წაიღო, რომ წყენა არც გამოუმჟღავნებია. მერე ის რვეულები მოსკოვში, სტალინს გაუგზავნა და პასუხიც მიიღო, განხილვის შედეგებს შეგატყობინებთო. გამორიცხული არ იყო, რომ ფილოსოფიური აზროვნება კიდევ ერთი მარქსისტული გამოკვლევით გამდიდრდებოდა, ხოლო საბჭოთა კავშირის მოსახლეობა ერთხელაც ამოიგმინებდა,

ღმერთო, რა ჭკვიანი ბელადი გვყავს. ან ამღენს როდის ასწრებსო, მაგრამ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინი აღესრულა, მეოცე ყრილობაზე შავი დღე აყარეს, ხოლო ვლასოვმა ხრუშჩოვს დეპეშა გაუგზავნა, მაგ უმაგალითო მკრეხელობისთვის ისტორიის წინაშე პასუხს აგებთო. ლენინგრადში დაბრუნებასაც კი აღარ აპირებდა, ამ ქვეყანაში ცხოვრება აღარ მინდაო. კომენდატურაში დაიბარეს და პასპორტი ძალით ჩასჩარეს. ახლა, ალბათ, ცოცხალი აღარ იქნება.

1955 წელს მოსკოვში გფრ-ს კანცლერის კონრად ადენაუერის ჩამოსვლას ის მოჰყვა, რომ გერმანელი სამხედრო ტყვეები გაათავისუფლეს და სამშობლოში გაუშვეს. ამას ცოტა ხნის შემდეგ ყოფილი საბჭოთა ტყვეების, სტალინის მიერ ლაგერებში გამომწყვდეულთა გათავისუფლება მოჰყვა. კიდევ ცოტა ხანიც - და სსილნო „სპეც“ პოსელენეციც გამათავისუფლეს (ქართულად რა მერქვა, ახლაც არ ვიცი). პასპორტები მოგვცეს და გამოგვიშვეს. ამ დროისათვის მე რეაბილიტაციაზე განცხადება მქონდა შეტანილი. ბედად კოტე ჯავრიშვილი რაღაც საქმეზე ქ. ვორკუტაში მიდიოდა. მიტო მამულაიშვილთან დაწვრილებითი წერილი გავატანე, როცა გამომძიებელი დაგკითხავს, ასე და ასე ილაპარაკე-მეთქი. მართლაც ისე ილაპარაკა და თბილისში მაისში ჩამოსულმა რეაბილიტაციის ქაღალდი უკვე სექტემბერში მივიღე. ოღონდ სამხედრო ტრიბუნალის თავჯდომარემ გენერალმა ტოლმაჩოვმა არ მოგვცა რეაბილიტაცია „დანაშაულის არარსებობისათვის“, არამედ „დანაშაულის დაუმტკიცებლობისთვის“, - მამულაშვილი მაშინ უკვე პარტიის წევრი იყო და მეტი სიფრთხილის გამოჩენა მართებდაო. პროკურორმა გუზეევმა მანუგეშა, პირადად შენ ცოტა ხნის შემდეგ შემოიარე და უთუოდ მოგცემთ რეაბილიტაციას „დანაშაულის არარსებობისთვისო“. ერთი ხნის შემდეგ პროკურატურაში მართლაც შევიარე, მაგრამ გუზეევი შვებულებაში გასული დამხვდა. სხვებმა მითხრეს, რამდენჯერმე გიკითხა, ხომ არ მოსულაო; განცხადება დაგვიწერე და რასაც ის დაგპირდა, ჩვენ გაგიკეთებთო. კარგი, დავწერ და მოგიტანთ-მეთქი, მაგრამ მერე

ხელი ჩავიქნიე და პროკურატურისაკენ აღარ გამიხედავს. კიდევ დაკითხვებისა და ოქმებზე ხელის მოწერის თავი ნამდვილად აღარ მქონდა. რეაბილიტირებული ვიყავი. მეტი არაფერი მინდოდა.

თავი მეოცე

ჩემის მხრივ, დიდი გულუბრყვილობა იყო, როცა რეაბილიტაციის მიღების შემდეგ გადავწყვიტე, არსად მემსახურა და ლიტერატურული შრომით, ე.ი. ჰონორარით მეცხოვრა. მარტო რომ ვყოფილიყავი, იქნებ, როგორმე თავი ამ გზითაც გამეტანა, მაგრამ უკვე დაცოლშვილებული ვიყავი. ჩემი ვაჟი ირაკლი 1956 წლის 18 სექტემბერს დაიბადა, სწორედ ჩემი რეაბილიტაციის დღეებში. ვინ იცის, რა დღეში ჩავცვივდებოდით, დახმარების ხელი ჩემი მეუღლის ბიძას ლევან ჯაჯანაშვილს და ბიცოლას ეკატერინე გვრიტიშვილს რომ არ გამოეწოდებინათ. კარგა ხანი გავიდა, სანამ მივხვდებოდი, რომ ჰონორარზე ცხოვრება და ცოლ-შვილის რჩენა არ შემეძლო. მანამდე კი ხან ნარკვევებსა ებეჭდავდი, ხან თეატრალურ და კინორეცენზიებსაც, რაც, სიმართლე უნდა ითქვას, ჩემი საქმე სულაც არ იყო. ახლა საქართველოში ბევრი თეატრმცოდნე და კინომცოდნეა და ამ საქმეში ღმერთმა ხელი მათ მოუმართოთ.

ერთი ნარკვევით კი შემიძლია თავი მოვიწონო. გადასახლებიდან ჩამობრუნებული ჩემს დედულეთში - ტყიბულის რაიონის სოფელ ცუცხვათში ავედი. წინათ, ჩემს ბავშვობაში, სოფლის შუაგულიდან ლურჯად მოსისინე წაბლის ტყით დაფარული ქედი მოჩანდა ხოლმე. ამ ტყეში უამრავი სოკო-წითელი გვიკრეფია. ახლა კი ქედზე ერთი არ არის, ერთი ხეც კი არსად იდგა - იქაურობა ნაზამთრალი სახედრის ზურგივით იყო გატიტვლებული.

- რა იქნა წაბლნარი?!.. - გაოცებით ვკითხე მეზობლებს.

- დავწვით! სახლებში კი ზამთრობით როგორც უწინ გვციოდა, ახლა ისთვლე გვცივა. ბუხარი და - სახლის გათბობა?!..

თბილისში ჩამობრუნებული ჟურნალ „დროშის“ მაშინდელ რედაქტორს გრიშა აბაშიძეს მოველაპარაკე. მან ჩანაფიქრი მომიწონა და დახმარებაც აღმითქვა. „დროშის“ ფულით მთელი საქართველო მოვიარე - ლაგოდეხიდან სოხუმამდე. ყველგან ერთი და იგივე სურათი იყო - უამრავი შეშის ხარჯვა ბუხრებში - სიცივე და ნესტი სახლებში. ნარკვევი დავწერე და გრიგოლ აბაშიძეს წარვუდგინე. მან მითხრა, ეს ძალიან სერიოზული ამბავია და ხელი სხვა ვინმე ავტორიტეტულმა პიროვნებამაც მოაწეროსო !. ხელის მომწერის მსურველები მართლაც გამოჩნდნენ, მაგრამ ყველას ზურგი ვუჩვენე და ნარკვევი „ლიტერატურული საქართველოს“ მაშინდელ რედაქტორს გიორგი ნატროშვილს მივუტანე. ნატროშვილმა ნარკვევი იმავე ნომერში დაბეჭდა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მთელი საქართველო - სოხუმიდან ლაგოდეხამდე ფეხზე დადგა. თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ბუხარი, როგორც სახლის გათბობისა და საჭმლის მომზადების კერა - ანაქრონიზმია. ქართული სოფლის მოსახლეობა მზად იყო, ბუხარი თუნდ იმავე დღეს სხვა, უფრო რაციონალური დანადგარით შეეცვალა. პირადად მე მაშინ რუსულ ღუმელზე ვფიქრობდი, - გამოცდილი მქონდა. ესეც არ იყოს, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმეში მე და გურამ თიკანაძემ კიდეც ვნახეთ, ახალგაზრდა, ჯარიდან დემობილიზებული მეგრელი თავის ახალ სახლში რუსულ ღუმელს რომ აშენებინებდა საგანგებოდ საიდანღაც ჩამოყვანილ ხელოსნებს.

წამოწყებას თითქოს სასიკეთო პირი უჩანდა. მაგრამ გაზეთში გამოხმაურებების ბეჭდვა მოულოდნელად შეწყდა, თითქოს დანით მოკვეთესო, დასკვნაც კი აღარ გამოქვეყნებულა. მომდევნო თვეებში ამ საკითხისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სიმპოზიუმები გაიმართა. ჩემი მიწვევა ფიქრადაც კი არავის მოსვლია, აქაოდა, ბუხრების შენება საქართველოს სახკომსაბჭომ ჯერაც ომამდე აკრძალაო. ის აღარავის გახსენებია, რომ სახკომსაბჭოს ხსენებული დადგენილების შესრულებას არავინ ცდილა. ხელოვნების მუშაკთა სახლის დარბაზში რომ შევედი, სიმპოზიუმი უკვე მთავრდებოდა.

პრეზიდიუმის უმრავლესობაში უმრავლესობა რატომღაც ხელოვნებათმცოდნეებისაგან შედგებოდა. ერთადერთი გამონაკლისი „საქსოფლმშენპროექტის“ მთავარი ინჟინერი ჩხეიძე იყო, რომელმაც ორიოდე თვის წინათ გულახდილად მითხრა, თქვენი წერილიდან გავიგე, თუ მუშაობაში რამდენი ნაკლი გვქონიაო, და კაპიტალური წერილიც კი მოამზადა „ლიტერატურული საქართველოსთვის“. წერილი რატომღაც არ დაუბეჭდეს. ალბათ, ბევრი იზიარებდა გრიგოლ აბაშიძის მოსაზრებას, ახალგაზრდა, საზოგადოებისათვის უცნობი პუბლიცისტისთვის ასეთი სერიოზული საქმის მინდობა არ შეიძლებაო. თურმე, ახალგაზრდები (მე კი მაშინ 35 წლისა ვიყავი), უნდა დაელოდონ, სანამ რაიმე სერიოზული საკითხი ხანდაზმული და ცნობილი პუბლიცისტების თავში არ მომწიფდება.

საქართველოს სოფლებში კი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას ახლაც სერიოზული ნაკლოვანებანი ახლავს. სოფლად სულ საზაფხულო სახლებია. საქართველოში კი მეტად უსიამო, ცივი, ძვალრბილში გამტანი ზამთარი იცის და მაშინ ჩვენს სოფლურ სახლში ცხოვრება პირდაპირ გამტანჯველია, ოღონდ ამ საქმეს ხელოვნებათმცოდნეებმა კი არა, სულ სხვა პროფესიების, - სწორედ რომ მრავალი პროფესიის ადამიანებმა უნდა მიხედონ.

ჟურნალ „დროშის“ რედაქციამ გამოაცხადა დახურული კონკურსი თანამედროვეობისადმი მიძღვნილ მოთხრობასა და ნარკვევზე. კონკურსის პირობების თანახმად ჟურნალში დაიბეჭდებოდა გამარჯვებული ავტორების მოკლე ბიოგრაფიები და ფოტოსურათები.

დავწერე მოთხრობა ქართველი მეშახტეების ცხოვრებაზე და საიდუმლოების ყველა მოთხოვნის დაცვით ჩავაბარე საკონკურსო კომისიას. ამ კომისიის არც ერთი წევრისთვის არაფერი მითქვამს, ე. ი. საქმე „არ ჩამიწყვია“. ოღონდ ერთი წევრთაგანი, კოტე ჯავრიშვილი, ეტყობა, მაინც მიხვდა, რომ ის მოთხრობა ჩემი იყო - ქართველი მწერლები მეშახტეების თემატიკას არც თუ ძალიან წყალობდნენ. მაგრამ კოტე ჯავრიშვილს კომისიის არც ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევრისთვის არაფერი უთქვამს - ეს დანამდვილებით ვიცი, - და საქმე ბუნებრივი მდინარეებისათვის მიუნდია.

მოთხრობა კომისიის გამოუკლებლივ ყოველმა წევრმა მოიწონა (ეს იყო „ხუმრობა და ხიფათი", იგი მას შემდეგ ჩემს წიგნებში ბევრჯერ დაიბეჭდა და მისი დამწუნებელი კაცი არ მინახავს).

საბოლოო მსჯავრისათვის მოთხრობა საკონკურსო კომისიის თავჯდომარეს წარუდგინეს. მოთხრობა მასაც მოეწონა. მაგრამ როცა კონვერტები გახსნეს, დევიზები გაიშიფრა და თავჯდომარემ გაიგო, რომ მოთხრობა ჩემი იყო, მან... კატეგორიული უარი განაცხადა მოთხრობის დაბეჭდვაზე (?!).

კომისიამ მოთხრობას მაინც მიანიჭა მესამე პრემია. მეტის პრეტენზია არც მაშინ მქონია და არც ახლა მაქვს. მაგრამ საყურადღებოა ერთი გარემოება. ჩვეულებრივ მაშინ (და, მგონი, ახლაც) პირველ პრემიას არავის ანიჭებდნენ. ვითომ, რატომ? პირველი პრემია ეკუთვნის გამარჯვებულ ნაწარმოებებთაგან საუკეთესოს, და არა იმას, რომელიც აკმაყოფილებს რაღაც აბსტრაქტულ, დროისა და სივრცის მიღმა მოქმედ კრიტერიუმებს.

მაგრამ კომისიის თავჯდომარე რატომღაც გაჯიუტდა და ეს პრემირებული მოთხრობა, დიდი ბრძოლისა და ვაივაგლახის შემდეგ ჟურნალში კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან შვიდი თუ რვა თვის შემდეგ დაბეჭდა, როცა მკითხველს აღარც ის კონკურსი ახსოვდა და აღარც მისი შედეგები. არ დაიბეჭდა არც ჩემი ფოტოსურათი (ამაოდ დაშვრა ოთარ თურქია) და არც ჩემი მოკლე ბიოგრაფია. იმ კომისიის თავჯდომარე, ცნობილი მწერალი, დღესაც ცოცხალია, იქნებ ახლა მაინც მიპასუხოს, როგორ შეიძლება ამ საქციელის ახსნა ან გამართლება? ჩემის აზრით, მას არც ახსნა მოეძებნება და არც გამართლება. მკითხველი კი ადვილად წარმოადგენს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის, გადასახლებიდან ორიოდე წლის წინათ ჩამობრუნებისათვის, ჟურნალ „დროშის" რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვება.

შთაბეჭდილება ისეთი შეიქნა, თითქოს მე ულირსი მოთხრობა შევაპარე, შეცდნენ და პრემია მომანიჭეს, შემდეგ კი საკუთარი

შეცდომა დაინახეს და შეძლებისამებრ გამოასწორეს. ვიმეორებ, მას აქეთ „ხუმრობა და ხიფათი“ რამდენჯერმე დაიბეჭდა და მკითხველს შეუძლია თვითონ იმსჯელოს მის ავკარგიანობაზე.

ჰონორარის იმედით ცხოვრებამ სიკეთე ვერ მომიტანა. როცა ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მოვეწყე, ეს საშუალება ხელიდან აღარ გავუშვი, მოვეწყე, დისერტაციაც მალე დავიცავი, რაკი პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედებაზე უკვე რამდენიმე წერილი მქონდა გამოქვეყნებული, და ძალიან მალე ინსტიტუტის დირექტორმა გიორგი ლეონიძემ თავისი სიძის ოთარ გვინჩიძის აქტიური ჩარევის შედეგად ინსტიტუტის სწავლულ მდივნად დამნიშნა.

როგორც იქნა, შვებით ამოვისუნთქე.

XXX

საკანდიდატო დისერტაცია სულხან-საბას სახელობის პედინსტიტუტში დავიცავი. ამ ინსტიტუტს მაშინ პუშკინის სახელი ერქვა. ესეც ერთი მკაფიო ნიმუშია იმისა, თუ უმეცარ და უსამშობლო მმართველებს შეუძლიათ სამასხროდ გახადონ დიდი პოეტის სახელიც. ახლა რუსი ისტორიკოსები ბევრ ყალბ ფასეულობათა გადახედვით არიან დაკავებულნი. ალბათ, ისეც მოხდება, რომ არაერთ რევოლუციას და რევოლუციონერს ჩამოეცლება შარავანდედი, რომლითაც ჩვენ ყველანი მათ ათეული, ასეული წლების მანძილზე ვმოსავდით. პუშკინის სახელი კი სულ უფრო და უფრო მეტ ბრწყინვალებას შეიძენს. ეს სახელი უკვდავია.

ამასწინათ საქართველოს ტელეეკრანიდან და ზოგი გაზეთის ფურცლებიდანაც საყვედური გაისმა - პუშკინი იმპერიული აზროვნების კაცი იყო. ამ მოსაზრებაში არის სიმართლის მარცვალი. მაგრამ ასეთივე შეფარდებით რუსთაველი ფეოდალური აზროვნების კაცი იყო. დანარჩენი თავისთავად გასაგებია. რაც შეეხება პუშკინის მართლაც მცდარ აზრს, ქართული ხალხური სიმღერები ნაღვლიანია და მათში არის რაღაც აღმოსავლური

უაზრობის მსგავსიო, ეს ცოდვა ჩვენმა არისტოკრატებმა უნდა იკისრონ, პუშკინი ორთაჭალის ბაღებში რომ აქეიფეს და სრულიადაც არა ნაღვლიანი, არამედ ოპტიმისტური და არა აღმოსავლურად უაზრო, მაგრამ ღრმააზრიანი „მრავალჟამიერის", „ჩაკრულოს", „მუმლი მუხასას" და მრავალი სხვის მაგივრად მართლაც უაზრო ქალაქურ-ეკლექტიკური ბაიათები უმღერეს.

ჩემს საკანდიდატო დისერტაციას მოულოდნელი ამბავი მოჰ ყვა.

ინსტიტუტის თანამშრომელმა ირინა სუკიასოვა, რომელიც მოსკოვში გასაგზავნად ჩემს საქმეს აფორმებდა, ერთხელ მითხრა, დერეფანში გაბრძანდით და მანდ რომ ერთი ზონზროხა კაცი დგას, კარგად შეათვალიერეთო. გავედი და ის კაცი შევათვალიერე. თითქოს, რალაც ნაცნობი სახე ჰქონდა. მაგრამ დანამდვილებით ვერავის მივამსგავსე. სუკიასოვას ასეც ვუთხარი.

- გვარი - მალანია - არაფერს გეუბნებათ? - მკითხა მან.

- ეგ მალანიაა?..

- მალანია გახლავთ.

- ჩეკისტი?!.

- ყოფილი.

- აქ რა უნდა?!

- დისერტაციას იცავს. თანაც - პედაგოგიკაში. თანაც მან მშვენივრად გიცნოთ და თქვენს შესახებ ცნობებიც კი მომაწოდა.

- რაო? შეიარაღებული აჯანყება მოგვიწყოო.

- არა. პირიქით. ამხანაგებს აბეზღებდა და აჭერინებდაო.

- ვინ? მე?!..

დერეფანში გავარდნა დავაპირე. მაგრამ სუკიასოვა გადამელობა და კარიც საიმედოდ ჩაკეტა.

- ეგ პირველი მხეცი იყო. პატიმრებს კი არა, საკუთარ თანამშრომლებსაც ძმარს ადენდა.

- დაჯექით, რამაზ! ყველაფერი ვიცი. მაგის შიშით ჩიტები ველარ ფრინავდნენ. ახლა კი თქვენი ეშინია. ცდილობს, სახელი გაგიტეხოთ. ეგ საშიში მხეცია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- ვხედავ. მაგრამ რატომ ეშინია? მე უკვე დავიცავი...

- რა გარანტია აქვს, რომ მაგის დაცვაზე არ მოხვალთ და არ განაცხადებთ, რა ვაჟბატონიც ბრძანდება?

- ჰოო... გასაგებია. მაგრამ ვერც კი ვიცანი.

- ახლა უკვე იცანით.

ირინა სუკიასოვას ოჯახი 37-ში გაუნადგურებიათ.

- გამიშვით, თვალს ერთხელაც შევავლებ.

- არა! მაგის დროც მოვა.

იქნებ, მკითხველს დაჯერებაც კი გაუჭირდეს, მაგრამ პირადად მალანიასადმი არავითარ სიძულვილს არ ვგრძნობდი. ეს უმეცარი სოფლელი თავისი დროის პროდუქტი იყო. მაგრამ არც იმისი უფლება მქონდა, რომ განზე გავმდგარიყავი. მალანიამ და მისთანებმა ასიათასობით შესანიშნავი ქართველი ინტელიგენტი გაანადგურეს და მათ ნაცვლად ის „საბჭოთა გენერაციის ინტელიგენცია“ გამოზარდეს, დააპურეს და ქვეყნის სადავეები ჩააბარეს, რომელთაც არც კი იციან, რა არის ნამდვილი ინტელიგენტობა, რომ ინტელიგენტი - ეს მცოდნე, განათლებული და მტკიცე მორალური პრინციპების კაცია და არა სინდისგარეცხილი მედროვე, რომელიც ყოველგვარ სისაძაგლეს იკადრებს, ოღონდაც კი თბილი ადგილი შეინარჩუნოს. ახლა მე შესაძლებლობა მეძლეოდა საქვეყნოდ ალაიაში გამეტარებინა ერთი ის მძვინვარე მხეცთაგანი, ვისი შიშითაც ხეები ველარ ხარობდნენ და ბალახი აღარ იზრდებოდა. გვერდით მედგა ახალგაზრდა ქალი, რომელიც მზად იყო, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლა მალანიას და მისთანების წინააღმდეგ. ამ დროს ხელის ჩაქნევა და გვერდზე გადგომა არ შეიძლებოდა. მალანიას სახელი ლაფში უნდა ამოსვრილიყო. ეს იქნებოდა, თუ გნებავთ, ქართველი ინტელიგენციის დამოკიდებულების გამოხატვა საკუთარი ჯალათებისადმი.

მთავარი საქმე ირინა სუკიასოვამ იკისრა. მან სათითაოდ ჩამოუარა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ყოველ წევრს, ვისაც კი ენდომებოდა, - იმ საბჭოში მალანიასთანებთან დამქაშებიც საკმაოდ იყვნენ, - და გააფრთხილა. ყველა აღტაცებით დეთანხმა.

როცა სადისერტაციო საქმეებზე ჩემს ოფიციალურ ოპონენტთან პროფესორ დიმიტრი ბენაშვილთან შინ მივედი, მან ყველა ქაღალდზე ხელი სწრაფად მომიწერა და მითხრა, ახლა კი დაჯექი, უნდა მოვილაპარაკოთო.

- გისმენთ, ბატონო დიმიტრი.

- ემაგ მალანიას იცნობ?

- ძალიან კარგად.

- ბიჭო, მართლა ნაცემი ჰყავხარ?

- ასე ვთქვათ...

- ჰმ... ჰაი დედასა!.. რამდენი წლისა იყავი?

- ოცდაერთის.

- რა გვინდაო?

- არაფერი. შენ თვითონ გვითხარი, რა დაგიშავებიაო.

- ო-ჰო-ჰო-ჰო! ო-ჰო-ჰო-ჰო! ეგრე იციან! არ დამიჯერებ, მე რა დღეში ვიყავი. 37-ში კავკავამდე ფეხით ვირბინე. კარგი. მერე გიამბობ. ახლა: არ გვეყო, რაც მაგათ ძმარი გვადინეს? ახლა მე მაგას ხარისხი უნდა მივცე? პედაგოგიკაში? მაგან ჩვენს ახალგაზრდებს უნდა ასწავლოს? ეგ არ მოხდება! აი, მე - დიმიტრი ბენაშვილი და აი - არამზადა!..

მოვილაპარაკეთ: დაცვის დროს საბჭოს თავჯდომარე მალანიას ბიოგრაფიას რომ წაიკითხავს და საზოგადოებას მიმართავს, შეკითხვა ხომ არავისა აქვსო, მე წამოვდგები და საბჭოს წევრებს მოვახსენებ ყველაფერს, რაც დისერტანტ ილია მალანიას შესახებ ვიცი.

- აბა, შენ იცი! რამაზ!.. - დიმიტრი ბენაშვილი ხელის მაგარი ჩამორთმევით დამემშვიდობა.

მაგრამ ამის სასტიკი წინააღმდეგი გახდა ირინა სუკიასოვა.

- არავითარ შემთხვევაში!..

ამ დროისათვის მალანიამ და მისმა დამქაშებმა უკვე იცოდნენ, რომ მე და სუკიასოვა ერთად ვმოქმედებდით. მანქანებით დამსდევდნენ. გრიბოედოვის ქუჩაზე (თუ ათარბეგოვის?) ირინას სახლში შევიდოდი თუ არა, მყისვე მისი ფანჯრების ქვეშ რამდენიმე

მანქანა ჩამწკრივდებოდა და გვითვალთვალებდა. ესენი ორგანოებიდან გამოყრილი საზოგადოება გახლდათ. მალანია ერთხელ ირინას კაბინეტში შევარდა და მუქარა დაუწყო. ქალს ისტერიკა დაემართა.

- რატომ, ირინა? მე მაგ კაცის არ მეშინია.

- ძალიან კარგია, რომ არ გეშინიათ. მაგრამ საბჭოს თავჯდომარედ იმ დღეს პროფესორი მიხეილ კანკავა იქნება. ეგ კი პირდაპირ თავს იკლავს, ისე უნდა, რომ მალანიას ხარისხი მიანიჭონ. თქვენ თუ დაცვისას ადგებით და ყველაფერს იტყვით, კანკავა დატრიალდება, ერთ ამბავს ასტეხს და თავისას გაიტანს. პრორექტორია, მაინც ანგარიშს უწევენ. წავაგებთ, შანტაჟს მოგიწყობენ, კენჭის ყრისას საბჭოს წევრებს თავზე დაადგებიან... მალანია აქეთ შემოგიტევთ. ვინ იცის, რა აღარ მოჩმახოს... ერთხელ მითხრა, არც კი ვიცოდი, ეგ კობიძე ვინ იყო, ჩეკაში თავისი ფეხით მოვიდა, ყველაფერი მიამბო და უამრავი ხალხი დაასახელაო...

- რა ყველაფერი მიამბოო?!..

- მაგისი გარჩევის დრო აღარავის ექნება, კანკავა კი თავისას გაიტანს. მენდეთ, რამაზ! თავი ისე დაიჭირეთ, ვითომ ეს საქმე სულაც არ გაინტერესებდეთ.

- ბენაშვილს დავპირდი.

- არაფერია. მე ავუხსნი.

- არც მოვიდე?

- რატომაც არა! მოდით, დაესწარით. ოღონდ ხმა არ ამოიღოთ. მენდეთ, ყველაფერი კარგად იქნება. პირობა მომეცით, რამაზ!

- კარგი, ბატონო, გაძლევთ!

დაცვა რამდენიმე წუთის დაწყებული იყო, როცა დარბაზში მე, მანანა გიგინეიშვილი, ლეილა სულხანიშვილი, კობა იმედაშვილი შევედით. კანკავა სწორედ მალანიას ბიოგრაფიას კითხულობდა. ტრიბუნაზე მდგომ მალანიას ჩვენს დანახვაზე ფერი წაუვიდა. კანკავამ ბიოგრაფიის კითხვა რომ ჩაათავა, პირველ რიგში მჯდომი დიმიტრი ბენაშვილი პირდაპირ დასაბმელი შეიქნა. სახეაწითლებული, ლამის ჩემსკენ მობრუნებულიყო და ხმამაღლა

დაეყვირა, რალას უყურებ, ადექი და თქვიო. მოპირდაპირე კედელთან მჯდომი ირინა თვალებით, ხელების შეუმჩნეველი მოძრაობებით მემუდარებოდა, ხმა არ ამოიღოო. კანკავა ცდილობდა, ჩემთვის მზერა აერიდებინა, მაგრამ ვერ ახერხებდა. სიცილს ძლივს ვიკავებდი, რომ ბრძოლა მოგებული მქონდა. ჩემს ამხანაგებს ვანიშნე, გავიდეთ-მეთქი. ხმაამოუღებლად გამომყვნენ. კარებიდან მალანიას მივხედე. მოფერიანებულიყო. სავსე დარბაზს გამარჯვებული კაცის გამომეტყველებით გასცქეროდა. დარბაზში ბევრი - მალანიას ამფსონები, ისინი, პაგონებჩამოხსნილი ჩეკისტები, მანქანებით რომ დამსდევდნენ, მხიარულად იღიმებოდნენ. მათ დაცვის დამთავრებას აღარ დაუცადეს, მალანიასთან გავარდნენ, სავსე სუფრას მიუსხდნენ და პირველსავე სადღეგრძელოს „მრავალჟამიერი" დააგუგუნეს, მაგრამ... სტუმრებმა მეორე სადღეგრძელო ველარ მოასწრეს: ოთახში ფერწასული, წელმოწყვეტილი ილია მალანია შელასლასდა: საბჭოს 25 წევრიდან 11-მა მას შავი კენჭი ჩაუგდო. მალანიას ხარისხის მინიჭებაზე უარი ეთქვა. დანარჩენი თერთმეტიდან კი ბევრი კიდეც განაწყენებულა, რატომ ჩვენც არ გაგვაფრთხილეთ, მაგას თეთრს როგორ მივცემდითო.

კანკავა სუკიასოვას დიდხანს უბღვერდა, მაგრამ ვერაფერი დააკლო, რადგან წესიერი, საქმის ერთგული და წიგნიერი ქალი იყო. სხვათა შორის, სუკიასოვა იყო იმ ჯგუფის ერთი უაქტიურესი წევრთაგანი, რომელმაც ბევრი იბრძოლა და ცნობილი რუსი ფანტასტის ალექსანდრე გრინის სრულ რეაბილიტაციას მიაღწია.

მალანია კი... ინსტიტუტში მეწვია. ჯერ ხელის ჩამორთმევა დამიპირა, მერე მითხრა, შენ შეგეშალა, მთავარი ჩეკისტი და სულთამხუთავი მანია იყო, მე კი მალანია ვარო. ასეთი უტიფრობა მისგან არც კი გამკვირვებია, მან ლევან გოთუას 1946 წელს ცემით სული კინალამ ამოართვა, 1954-ში გადასახლებიდან დაბრუნებულ მწერალს თბილისის სადგურზე დახვდა (!) და შეჰღალადა, ცოლ-შვილი ამომიწყდეს, თუ შენი ჩამოსვლა არ გამხარებოდესო.

- მანიასაც ვიცნობ, - ვუთხარი მე, - მასაც შევხვედრივარ. შენ წელამდე თუ მოგწვდებოდა. ასე რომ... გარდა ამისა, მე, ვთქვათ,

შემეშალა, შენ რატომ აღარ შეგეშალა და სუკიასოვასთან დამუშავება დამიწყე? ან აქ რატომ მომადექი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყო ლათაიები, - გამაუბედურეს, ლუკმა-პური საძებარი გამიხდა, ინჟინერ კაცს ჩეკაში რა მინდოდა, ძალით წამათრიესო, და სხვა ამგვარები. სხვათა შორის ისიც მითხრა, მიტო მამულაშვილი „ჩეკას“ აგენტი გახდაო. მე ვუთხარი, საბჭოს წევრებმა უჩემოდაც იცოდნენ, ვინც იყავი და მე ხომ დაცვას და ადვოკატობას ვერ დაგიწყებდი-მეთქი. გამიგო. დამშვიდობებისას ისევ ხელის ჩამორთმევა დამიპირა. პედინსტიტუტისთვის ხარისხზე ერთხელაც მიუკითხავს, მაგრამ ამჯერად წინ აკაკი გაწერელია გადალობებია, - 150 გვერდის დაწერა საკმარისი არ არის, ადამიანი მორალურადაც სუფთა უნდა იყოსო. ინსტიტუტის რექტორი დავით ჩხიკვიშვილი იძულებული გამხდარა, მალანია უარით გამოესტუმრებინა.

უკვე გითხარით, ბოროტი და შურისმგებელი კაცი არა ვარ-მეთქი, მაგრამ მალანიაზე ყველაფერი ახია. იგი იყო ახლა უკვე საბოლოოდ გამომჟღავნებული და სახელგატეხილი „სტალინური კოპორტის“ ტიპიური წარმომადგენელი, და ბოლომდე ასეთად დარჩა. სხვა რაღა გინდათ, ის არ მაკმარა, რაც დამმართა, და კატორღიდან 11 წლის შემდეგ რის ვაივაგლახით ჩამობრუნებულს სახელის გატეხა დამიპირა, - ჯაშუშობდა და ამხანაგებს აჭერინებდაო, თუმცა კარგად იცოდა, რომ არ მითქვამს ერთი სიტყვაც კი იმათგან, რომლებიც მან მომაწერა და ხელიც მომაწერინა.

XXX

როგორც გითხარით, ლეონიძესთან მის სიკვდილამდე ვიმუშავე. ინსტიტუტში ხელგაშლით მიმიღო. თავისი კაბინეტის კარი ფართოდ გამიღო და მითხრა, აი, ეს ოთახი დილიდან ოთხ საათამდე შენია; ოთხზე მე მოვალ ხოლმე და მერე... რა ვიცი... მერე ან შენ წადი სახლში, ან საღამომდე ერთად ვიყოთო.

ამ დღიდან მოყოლებული სანამ უკურნებელმა სენმა ლოგინად

არ ჩააგდო, ყოველ საღამოს მართლაც ერთად ვიყავი. მოპატიჟე და პატივისმცემელი ხომ არ ელეოდა, თვალის ჩაკვრით შეტყობდა, ავარჩიოთ, რომელიც უფრო მოგვეწონება და იმასთან წავიდეთო. მართლაც მივდიოდით. თავდაპირველად მიკვირდა და არც მომწონდა, მისი სადღეგრძელო ყოველ სუფრაზე სამჯერ და ხუთჯერ რომ ისმოდა, მაგრამ მალე შევეჩვიე. თავის მხრივ იმას ის არ მოსწონდა, რომ ჩემთვის სულ ერთი იყო, როდის და ვის შემდეგ მადღეგრძელებდნენ, ან საერთოდ მადღეგრძელებდნენ თუ არა. რამდენჯერმე შემომწყრა კიდეც, - ის ვინ არის, რომ შენზე წინ ადღეგრძელეს? ესე იგი თავი კარგა ვერ გიჭირამ! გავიწყდება, რომ ნატანჯი კაცი ხარ, ახლა კი ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სწავლული მდივანი და საბჭოს წევრი ხარ! ხუმრობა კი არ არი!

ღამის 11-12 საათზე კარგად გამობრუჟულს თავისი მანქანით სახლში მიმიყვანდა ხოლმე და დამემშვიდობებოდა.

მე პირდაპირ მოვალე ვარ, გავფანტო ის ყალბი წარმოდგენა, რომელიც ჩვენი საზოგადოებრიობის ერთ ნაწილს გიორგი ლეონიძეზე, როგორც ინსტიტუტის დირექტორზე აქვს შემუშავებული. მართალია, რომ სამსახურში ნაშუადღევს მოდიოდა; ისიც მართალია, რომ თუ სადმე კარგ პურმარილზე მიიწვევდნენ, შეიძლება, საქმე მიეტოვებინა და წასულიყო. თუმცა, ეს ძალიან იშვიათად თუ მომხდარა - საქმის მიტოვება მას არ უყვარდა. მაგრამ ისიც მართალია, რომ გიორგი ლეონიძე იყო დიდი და ღრმა განათლების კაცი, საქართველოს ისტორიის და ქართული ლიტერატურის უბადლო მცოდნე, საქართველოს ნამდვილი პატრიოტი და გულშემატკივარი. იყო ალალი, უშუალო, არ შეეძლო ვერაგობა, ორპირობა, საერთოდ, მტრობაც კი არ შეეძლო. სამაგიეროდ, მშვენივრად შეეძლო თანამშრომლის შეცნობა, მისი მეცნიერული პოტენციალის განსაზღვრა. არაერთხელ მომხდარა, რომ მის რაიმე გამონათქვამში ეჭვი შემიტანია და მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ დავრწმუნებულვარ, რომ ცამდე მართალი იყო. და რაც მე მასში განსაკუთრებით მომწონდა და კიდეც მაოცებდა, **გიორგი ლეონიძე** საოცრად თვითკრიტიკული და ფხიზელი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაძიებელი გონების კაცი იყო.

- შენც ჩემნაირი სტუდენტი ხომ არ იყავი? - მკითხა ერთხელ.

- ?!..

- პროფესორ-მასწავლებლებს მე შეხედულებით, გარეგნობითა ვზომავდი. ვიტყოდი ხოლმე, რასა ჰგავს, ან როგორა ლაპარაკობს, მაგან რა უნდა მასწავლოს-მეთქი. და მაგრადაც ვცდებოდი. ადამიანი, მით უმეტეს, მეცნიერი არც შეხედულებით გაიზომება და არც, თუ გინდა, მეტყველებით. ბევრი ოქროპირია, რომ შეუძლია, საათობით ყური გაგდებინოს, თავში კი არაფერი შეგრჩება; და ზოგია სიტყვას სიტყვაზე ძლივს ამბობს, მაგრამ იმ ჯახირში შეიძლება, კაი-კაი მარგალიტები გადმოალაგოს. დიდადა შევცდი, რომ უნივერსიტეტი მივატოვე.

რატომღაც ძალიან აფიქრებდა თავისი მოთხრობების წიგნის „ნატვრის ხის" ბედი. რამდენჯერმე მკითხა, რას იტყვიო. იმდენჯერვე გავუმეორე, რასაც მართლაც ვფიქრობდი, - მაგ პროზაული მოთხრობებით ერთხელაც დაამტკიცე, რომ ნამდვილი პოეტი ხარ-მეთქი. მართლაც ასე ვფიქრობ, ქვეყნიერებაზე არ ყოფილა ნამდვილი პოეტი, რომ კალამი პროზაში ეცადოს და ბრწყინვალე წიგნები არ დაეწეროს. ხოლო რაც შეეხება სტალინის თემას, ურომლისოდაც ლეონიძის შემოქმედება წარმოუდგენელია, ეს თემა, საკუთრივ პოეტიკის თვალსაზრისით, მას სახოტბო პოეზიის უმაღლეს დონეზე აქვს შესრულებული. სხვა საქმეა, რომ თვით სახოტბო პოეზია არ წარმოადგენს პოეზიის უმაღლეს სახეობას, ვინაიდან მასში არ არის კონფლიქტი, კოლიზია, ბრძოლა, მწვავე დრამატიზმი. სახოტბო ნაწარმოებებში ბრძოლა უკვე გასრულებულია, კონფლიქტი - ამოწურული და ავტორს ის-ღა დარჩენია, ხოტბა შეასხას გამარჯვებული გმირის ქველობას, სიბრძნეს, სიმამაცეს და ა.შ. ასეთია სახოტბო პოეზიის არსი და ამას ვერც გიორგი ლეონიძე გაექცეოდა. ხოლო რაც შეეხება ლეონიძის დამოკიდებულებას პირადად სტალინისადმი, მე პირველად სწორად მისგან მოვისმინე ის აზრი, რომლის გამოთქმას მე თვითონ ვერ ვბედავდი: „რის პატრიოტიზმი? ბიჭო, წინიდან გერმანელი მოდიოდა, უკანიდან კი

ჩეკისტი, ბიჭი იყავ და არ იბრძოლებდი". ამ სიტყვების გაგონებაზე არც თუ ძალიან მცირერიცხოვანი საზოგადოება სახტად დარჩა. მე კი ერთხელაც გავიფიქრე, რომ „ბავშვობისა და ყრმობის" ავტორის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვები ერთხელაც გვიაშკარავებს, თუ რა რთულ დროში მოგვიწია ცხოვრება ჩვენ ყველას და რამდენი ხანი უნდა გავიდეს, სანამ ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

რაც შეეხება დირექტორობას, აი, ერთი დეტალი - 1965 წლის ბოლოს მოგვაგროვებინა ინსტიტუტში შესრულებული ყველა თემა, დაახლოებით 90-მდე, სამ ნაწილად გაჰყო, ერთი თვითონ დაიტოვა, მეორე მოადგილეს - გურამ გვერდწითელს მისცა, მესამე კი - მე. სამივემ რამდენიმე დღე-ღამე გავასწორეთ, სანამ იმ თემებს ჩავიკითხავდით და გადავამოწმებდით. ლეონიძის შემდეგ ეს არც ერთ დირექტორს არ გაუკეთებია. ამას დაუმატეთ, თუ როგორი მასშტაბურობით, სიღრმით, მოხდენილადაც კი ატარებდა იგი დიდი, ეროვნული მნიშვნელობის ღონისძიებებს და ნათელი გახდება, თუ როგორი დანაკლისი განიცადა ქართველმა ხალხმა 1966 წლის აგვისტოში. სულ ორიოდე კვირის შემდეგ ხომ რუსთაველის 800 წლის იუბილე უნდა დაწყებულიყო.

XXX

ჩემი და ლეონიძის ურთიერთობა სრულიადაც არ ყოფილა ულრუბლო, პატრიარქალურ-იდილიური. ხდებოდა, რომ მას - სიცოცხლის, ღვინის, ქალების ტრფიალს გულზე რაღაც დიდი კაეშანი შემოაწვებოდა ხოლმე. ასეთ წუთებში მას არავისი დანახვა არ უნდოდა.

- წუხელ შენი იმერული მოთხრობები წავიკითხე, - მითხრა ერთხელ, - რაო, დავით კლდიაშვილს ეჯიბრები?

- ?!..

- რათ იკეტები? გამოდი. ქვეყანას ფართოდ შეხედე.

- დავით კლდიაშვილზე უფრო ფართოდ?

- თუნდაც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

- არა. ეგ ნამდვილად გამიჭირდება.

- ახლა არ დამაბრალო, ლეონიძე დავით კლდიაშვილს იწუწუნებსო. კარგია, მაგრამ... პატარაა. ნამდვილია, გესმის? ფესვიანია, მაგრამ - პატარაა.

- ეგ თქვენი აზრია. მე კი ვფიქრობ, რომ დავითისოდენა მწერალი ჩვენ ან გვყავს და ან არა.

- ვითომ?.. - მან აშკარა ინტერესით შემომხედა.

- ნამდვილად, ბატონო გიორგი!

- მაგ აზრს რითი ასაბუთებ?

შევეცადე, ეს აზრი დამესაბუთებინა. ყურადღებით მისმენდა. ასეთ წუთებში დიდებული იყო ხოლმე. როცა გავათავე, ერთ ხანს სდუმდა, მერე კი მითხრა, კარგები ილაპარაკე, მე კი წელან იმერლობაზე გაგეხუმრე, განა არ ვიცი, რომ მე თვითონ კახელი კაცი ვარო.

- მერე და - მაგაში ცუდი რა არის?

- არაფერი. სრულებით არაფერი. პირიქით. ჩვენი კუთხურობა, ჩვენი დიალექტები - ჩვენივე სიმდიდრეა. აბა, სად კახური სიმღერები და სად სვანური, ან მეგრული, ან სხვები, მაგრამ ფესვი - ერთია.

იმ საღამოსაც ღვინის სარდაფში, ლეონიძის ძმაკაცთან ილოსთან ჩამოვსხედით. მაგრამ დიდად არ მოგვილხენია. ლეონიძე შუაღამემდე დავით და სერგო კლდიაშვილებზე, პაოლოზე, ტიციანზე, ნიკო ლორთქიფანიძეზე ლაპარაკობდა. თავის ძმას ლევანს ახსენებდა.

- ძმები ერთმანეთს დაგვაშორეს. ამაზე დიდი უბედურება იქნებაღა?! სამშობლო - სამშობლოა, ძმა კი - ძმაა! არა, ძმა გადაივიწყე და სამშობლო გიყვარდესო. კარგი, ბატონო, ვცდილობ, გადავივიწყო, მაგრამ თუ არ მავიწყდება?

ნიკოლოზ ჩაჩავას ნაამბობი გადავეცი.

1937 წლის ზაფხულში ჩაჩავა სანდრო ეულს მწერალთა კავშირში დაუბარებია, რაღაც მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტი მიუცია და უთქვამს, ჩვენი მწერლები ახლა ქვიშხეთში არიან; ეს ქალალდი წაიღე, ყველას ჩამოუარე და ხელი მოაწერინე, თორემ თავი აღარც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ შეგრჩება და აღარც მეო.

- ეს რა არის? - უკითხავს კოლიას.

- წაიკითხე. საიდუმლო არაფერია. ქართველი მწერლები მიესალმებიან ტროცკისტ- ბუხარინელი ქვეწარმავლების განადგურებას.

- სანდრო, კაცო... მე...

- მორჩა! აი, გზის ფული. ხელი ყველას მოაწერინე და ხვალ ჩამომიტანე.

ქვიშხეთში კოლიამ ყველა ქართველ მწერალს ჩამოუარა, ვინც კი იქ იყო. ქაღალდზე ხელი ყველამ მოუწერა. ბოლოს კოლია ნიკოლორთქიფანიძესთან მისულა. დიდ ქართველ მწერალს ქაღალდი ყურადღებით წაუკითხავს და ხმაამოუღებლად კოლიასთვის დაუბრუნებია.

- წაიღე, ბიძი, ეს აქედან.

- ნიკოლაი მერაბოვიჩ...

- მე მაგაზე ხელს არ მოვაწერ.

მეორე დღეს სანდრო ეული საგონებელში ჩავარდნილა. ჩაჩავამ მითხრა, ფერიც კი წაუვიდაო.

- რა ვქნა, ბიჭო?!.. - სანდრო ოთახში ადგილს ვეღარ პოულობდა.

- იქნება, ვერ შეამჩნიოს. - კოლია ბერიას გულისხმობდა.

- ეჰ!.. - სანდრომ ხელი უიმედოდ ჩაიქნია და კოლია გამოუშვა.

ჩაჩავას ნაამბობი აქ თავდება. არავინ იცის, სანდრო ეულმა ეს ამბავი ბერიას შეატყობინა, თუ არა. უფრო ის იყო, რომ დამალვას ვერ გაბედავდა. მაგრამ ნიკო ლორთქიფანიძე არავის დაუსჯია. შერჩა. ჩვენი ბელადები არც ისე უბრალო ხალხი იყო.

ლეონიძე დიდხანს სდუმდა.

- მართლა ეგრე იყო? - მკითხა ბოლოს, თუმცა უკვე სჯეროდა, რომ „მართლა ეგრე იყო“.

- კოლიამ მიამბო...

- ჰო, კოლიამ...

ლეონიძე წამოდგა. სახლამდე ისე მიმიყვანა, რომ აღარ დამლაპარაკებია. მანქანაში გულხელდაკრეფილი იჯდა და რაღაც

მძიმე საფიქრალს ფიქრობდა.

დავით კლდიაშვილი კი მართლაც დიდი მწერალია. მან მარტო „სამანიშვილის დედინაცვალი“ რომ დაეწერა, ისიცეყოფოდა თავისი სახელის უკვდავსაყოფად. საკვირველია, როგორი ზუსტი, მოკლე, მოხდენილი შტრიხებითა აქვს მოხაზული მწერალს ამ შედევრის პერსონაჟები. და როგორი ნატიფი, მოალერსე იუმორით გვიხატავს ამ სვეგამწარებული ადამიანების ცხოვრებას. ისინი ყველანი სავსებით ნორმალური, კეთილი, სამართლიანი, კეთილგანწყობილი ადამიანები არიან. არც ერთ მათგანს - პლატონ სამანიშვილივით დაწყებული და კირილე მიმინოშვილივით გათავებული გულში არა აქვთ სხვების მიმართ რაიმე ბოროტი ზრახვის ნასახიც კი. თვით თავქარიანი კირილე მიმინოშვილიც კი უხერხულ მდგომარეობაში აგდებს პლატონ სამანიშვილს არა ბოროტი განზრახვით, არამედ შემთხვევით, სიმთვრალით წონასწორობის წამიერი დაკარგვის გამო. სხვები კი... ბეკინა ჭარმაგი ბერიკაცია და უცოლობა აღარ შეუძლია. პლატონს ქონების გაყოფისა და შვილების გაუბედურების დარდი აწუხებს. არისტო ქაშაკიძეს თავისი ნათესავი ქალის გამოხსნა უნდა... ვერც ერთ ამ პერსონაჟს საძრახისს ვერაფერს დააბრალებთ. მოვლენები კი სწრაფად ვითარდება და მალე ეს კეთილი ადამიანები ერთმანეთს სასიკვდილოდ იმეტებენ. შემზარავია პლატონ სამანიშვილის - თავდაპირველად მეტად თავაზიანი, მამის ტრადიციულად მორჩილი და პატივისცემელი ადამიანის სრული მორალური დეგრადაცია... ბუნებრივად ეხლართება ერთმანეთს კომიკური და ტრაგიკული. ამას კი ბევრი მწერალი ვერ ახერხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გიჩვენებო...

პოლკოვნიკი ბახვა კემულარია წინა ღამის ნაქეიფარი იყო და თავი უსკდებოდა. ქალაქის პროკურორი რომ შაქრიან ღვინოს დაგალევინებს, სხვას რაღა უნდა მოჰკითხო! მაგრამ სამსახურში მაინც დაუგვიანებლივ გამოცხადდა, - თანამშრომლებისათვის მუდამ სანიმუშო უნდა იყო. ერთი ჭიქა ბორჯომი დალია და ფიქრობდა, მეორე ჭიქაც დაეისხა თუ არაო. ამ დროს ადიუტანტი შემოვიდა და მოახსენა, წისქვილკომბინატის ბუღალტერს ბენედიქტე ჩიკაშუას თქვენთან შემოსვლა უნდაო.

- ორ საათზე მოვიდეს!

- საჩქარო საქმე მაქვსო.

- ჰიტლერი დაატყვევა?

- ხი-ხი!..

- შემოვიდეს.

ბენედიქტე ჩიკაშუას მთელი ქალაქი იცნობდა. ჯერ ერთი იმიტომ რომ, წისქვილკომბინატის ბუღალტერი იყო და ეს თანამდებობა ერთხელაც არ გამოუცვლია. მეორეც იმიტომ, რომ მთელი სიცოცხლე ერთ შავ პალტოში გაატარა.

ახლა ხელში რაღაც ქაღალდი ეჭირა. კართან გაჩერდა და წელში მოიხარა.

- რა ამბავია? - ბახვამ მეორე ჭიქა ბორჯომიც დაისხა.

- ჩემი ოჯახის დაქცევა, ბახვა ბატონო! ნეტავი ეს დღე არ გამთენებოდა!..

- ბატონი აქ არავინ არის! სახელმწიფო უშიშროებაში ხარ. ხელში რა გიჭირავს?

- განცხადება მოგართვი, - ჩიკაშუამ კაბინეტი ფეხის წვერებზე გადაირბინა და კემულარიას განცხადება წინ დაუდო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XXX

ფოთის პირველი სკოლის მეცხრე კლასში ერთი გამორჩეული მოწაფე ნაურ მარღანია სწავლობდა. ბავშვობიდანვე თირკმელებით იყო ავად, ამიტომ სირბილი, ხტუნაობა, ძიძგილაობა და ამგვარები არ ეხალისებოდა. ერთავად წიგნებში ჰქონდა თავი ჩარგული და სამაგალითო მოსწავლედ ითვლებოდა. არ იცოდა, „ოთხიანი“ რა იყო. მასწავლებლები არც კი იძახებდნენ, „ხუთიანებს“ ისე უწერდნენ. მაგრამ ყველაზე მეტად იგი მაინც ქართული ლიტერატურის მასწავლებელს ტიტე ლიპარტელიანს უყვარდა. ეს კაცი ქალაქის განათლების განყოფილებაში ისე არ შეივლიდა, რომ ამაყად არ განეცხადებინა: მობრძანდით ბატონო, შეგვამოწმეთ, ისეთ ბიჭს დაგახვედრებთ, რომ გული გაგინათდებათო.

- მარღანია? - ნაურის ნიჭისა და ნაკითხობის ამბავი ქალაქის განათლების მესვეურებს უკვე არაერთხელ სმენოდათ.

- მარღანიას! - უდასტურებდა ლიპარტელიანი.

- მოვალთ!

განათლების მესვეურები სკოლაში ერთხელ მართლაც მოვიდნენ, ტიტეს გაკვეთილს დაესწრნენ და სულ თავების ქნევით წავიდნენ.

ერთი სიტყვით, ნაურ მარღანიას ცხოვრებაში გზა ხსნილი ჰ ქონდა. მაგრამ ერთი ხანი იყო, რაღაც საფიქრალი გაუჩნდა, ხოლო რაც იყო საფიქრალი ამის გაგება წილად ხვდა ნაურის სამ თანაკლასელს - ბენედიქტე ჩიკაშუას შვილს აჩიკოს, ნავსადგურის დისპეტჩერის კირილე მგალობლიშვილის გოგოს მარინეს და ქვრივი მარიამ ღურწუმელიას ბიჭს, მუდამ მშიერ ტარიელს. მარიამს ქმარი ფრონტზე დაელუპა, თვითონ წყალმანკი სჭირდა და მასზე უბედური ქალი ფოთში მეორე აღარავინ იყო.

ეს სამნი ნაურ მარღანიამ სათითაოდ დაანამუსა, დღეს საღამოს შვიდ საათზე ჩემთან მოდითო, სამივენი დათანხმდნენ, მარინე მგალობლიშვილი თვითონაც კარგი მოსწავლე იყო და თავი ნაურის მეგობრად მოჰქონდა. აჩიკო ჩიკაშუა ერთგულ, გამტან ბიჭად

ითვლებოდა. არ მომხდარა, რომ სკოლაში მოტანილი პურის ნაჭერი მარტო შეეჭამოს და ვინმესთვის არ გაენაწილებინოს. ტარიელ ლურწუმიას კი მობეზრებული ჰქონდა მუდამ მკვნესავი დედის ყურება და მიზეზს ეძებდა, რომ საღამოს სადმე გაპარულიყო.

ნაურიმ თანაკლასელები თავის ოთახში შეიყვანა და კარი მაგრად ჩაკეტა.

- დასხედით!

სამივენი დასხდნენ.

- შემთხვევით არ მომხდარა, მეგობრებო, - დაიწყო ნაურიმ, - რომ ჩემს სახლში დღეს მხოლოდ თქვენ სამს დაგიძახეთ. ბევრი ვიფიქრე, სანამ არჩევანს თქვენზე შევაჩერებდი.

ამ დროს კარზე დააკაკუნეს:

- ნაური, აქა ხარ? - ნაურის დედის ხმა იყო.

- აქა ვარ!

- შარვალი რა უყავი?

- სკამზე გადავკიდე.

- არ არის!

- პაშა აიღებდა.

- ხოო... - დედა წავიდა.

- ქვეყანა იქცევა და მაგან - შარვალიო! - ჩაიბურტყუნა ნაურიმ.

- კარგი... ახლა ძალიან გთხოვთ, ყური დამიგდოთ. - ნაური ერთი ხნით ისევ კარს მიაჩერდა, მაგრამ იქიდან ჩამიჩუმი აღარ ისმოდა. - მეგობრებო! ყველანი ვხედავთ, თუ რა დღეში ჩაგვყარა საბჭოთა ხელისუფლებამ. სანამ ომი დაიწყებოდა, ბაქიბუქობდნენ, თუ ვინმე თავს დაგვესხმის, მისსავე ტერიტორიაზე გავანადგურებთო. დაგვეხსნენ და კარგად ვხედავთ, ვისი ტერიტორია ნადგურდება და ვისი ქალაქები ინგრევა. ვერ ვხედავთ?

- ვხედავთ! - უპასუხეს თანაკლასელებმა.

- ახლა მტერი უშუალოდ ფოთს ემუქრება. - ნაური მუდამ ასეთი გამართული ქართულით ლაპარაკობდა, - ჩვენების სტრატეგია მოგეხსენებათ. უკან დახევისას ყველაფერს აფეთქებენ, მტერი ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებს ისევ ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენებსო. ასევე

მოიქცევა ფოთის ხელმძღვანელობაც, ეგენი არც სხვაზე უკეთესები არიან და არც უარესები. დნეპროჰესი აუფეთქებიათ და ფოთს მოერიდებიან? მაგრამ ერთი ვიკითხოთ, ფოთი მაგათი აშენებულია? რა უფლებით ანგრევენ? ფოთის აშენებაში ნიკო ნიკოლაძემ სიცხლი ჩაანთხია და ახლა ვილაცეებმა უნდა დაანგრიონ? ეს ჩვენ არ უნდა დავუშვათ! გავერთიანდეთ, შევკავშირდეთ და ფოთში ერთი ქოხიც კი არ დაანგრევინოთ. დანგრევა ადვილია, მერე შენ აშენება თქვი. მაგენი ომის შემდეგ თავისთვის სახახლეებს აიშენებენ და რიგითი მშრომელები აღარც გაახსენდებათ. ასე არ არის?

თანაკლასელები დაბნეულები გამოიყურებოდნენ. მერე ტარიელ ლურწუმია შეინძრა:

- სწორია! - ალბათ ძალიან შიოდა.

- კი, მაგრამ... - ხმა ახლა აჩიკო ჩიკაშუამ ამოიღო, - თუ გერმანელები ფოთში ვერ შემოვიდნენ?

- ხო! - აჰყვა აჩიკოს საბეაწითლებული მარინეც, - დღეს გერმანელები გვჯობნიან, ხვალ რომ ჩვენ მოვერიოთ?

- თქვენ ვერ გამიგეთ! - ნაურიმ თავი გადააქნია, - თუ ფოთში გერმანელები ვერ შემოვიდნენ, მით უკეთესი! როცა ჯერი მოგვიწევს, წავალთ და, როგორც სხვები იბრძვიან, ჩვენც ისე ვიბრძოლებთ. ჩემი პროგრამა ნავარაუდევია ისეთ სიტუაციაზე, თუ გერმანელები ფოთს მოადგნენ და ზოგიერთებმა ქალაქის აფეთქება მოინდომეს.

- კი, მაგრამ... ნავსადგურს გერმანელები მართლა გამოიყენებენ?

- ვინ დაანებებს? აქ არა ვართ?! კეფალი გაზიდონ, რამდენიც უნდათ, ჯანდაბას! მაგრამ მარგანეცი - ნურას უკაცრავად! მარგანეცს ერთ მისხალსაც არ გავატანთ, თორემ ის მარგანეცი მერე ისევ ჩვენს არმიას დაატყდება თავზე. გერმანიის გაძლიერებას ხელი ყოველნაირად უნდა შევუშალოთ.

- ეს სწორია. - ახმაურდნენ თანაკლასელები.

- არის ჩემს პროგრამაში რამე მიუღებელი?

- არაფერი!

- ვინც თანახმაა, ხელი ასწიოს.

ხელი სამივემ ასწია.

- ასე! ამას იქით ჩვენ შეფიცულები ვართ. ხვალ შვიდ საათზე აქვე ვიკრიბებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- იარაღი და ამისთანაობა დაგვჭირდება? - იკითხა აჩიკო ჩიკაშუამ.

- ვნახოთ! მაგაზე ხვალ მოვილაპარაკებთ. ესე იგი, შვიდ საათზე. ახლა დავიშალოთ, ოღონდ უხმაუროდ... ჩემიანებს ნუ შევაშფოთებთ.

სამივენი წამოდგნენ და კიბეს ფეხაკრეფით დაჰყვნენ.

მაგრამ მეორე დღეს ნაური მარღანიასთან აღარც ერთი თანაკლასელი აღარ მისულა. ნაური ღამის პირველ საათამდე იდგა ფანჯარასთან. რა დარწმუნდა, არავინ მოდისო, დაწვა და საბანი თავზე წაიფარა.

XXX

ბენედიქტე ჩიკაშუას ჩვეულება ჰქონდა:

ყოველი ვახშმობისას უთუოდ უნდა ალაპარაკებულიყო, რომ ახლა ცუდი დროა, ომია, ადამიანი ფრთხილად უნდა იყო, ყოველ ნაბიჯზე წინ უნდა დაიხედო, თორემ - ერთი მოუფიქრებლად წამოცდენილი სიტყვა და - მორჩა! თუ დახვრეტას გადარჩი, ისეთ მოუსავლეთში გადაგკარგავენ, რომ ძეხორციელი ველარ მოგიძებს. ახლა მთავარია მოთმენა! გშია - მოითმინე! გწყურია - მოითმინე! შეგცივდა - მოითმინე! კბილს კბილი დააჭირე! მერე ან ასე იქნება, ან ისე.

იმ საღამოს ასე ილაპარაკა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ აჩიკო დაუჯდა და ყველაფერი უამბო.

- რაო?! - დაფეთდა ბულალტერი, - დამღუპე?! მღუპავ?!

მაგიდას მიუჯდა, ფოთის სახელმწიფო უშიშროების უფროსის ბახვა კემულარიას სახელზე განცხადება დაწერა, ცოლს დაუძახა, ეს უდღეური არსად გაუშვაო და ჯერ მგალობლიშვილებთან გაიქცა, მერე მარიამ ღურწუმელიასთან. მარინესაც და ტარიელსაც განცხადებაზე ხელი მოაწერინა. მერე სახლში მოქლოშინდა და

განცხადებაზე ხელი აჩიკოსაც მოაწერინა. გათენებამდე არ ჩაუმუხლია, ოთახში წინ და უკან დარბოდა. რვა საათზე კი უკვე უშიშროების სამმართველოსკენ მიჰქროდა.

XXX

კედელთან ატუზულ ორ ბიჭსა და ერთ გოგოს ბახვა კემულარია ერთ ხანს ხმაამოუღებლად მისჩერებოდა. ჭიქა ბორჯომი ისე გამოსცალა, რომ მათთვის მზერა არ მოუშორებია.

- თქვენი დაწერილია? - ჭიქა დადგა და განცხადება აიღო.

- დიახ!

- ვინმემ ძალა დაგატანათ? ხელი საკუთარი ნებით მოაწერეთ?

- დიახ!..

- კარგად მოქცეულხართ. სამშობლოს ახლა უჭირს და ერთგული შვილები სჭირდება. ამ საქმეს მე მივხედავ. თქვენ წადით, დაისვენეთ, ოღონდ ჯერჯერობით ფოთიდან არსად წახვიდეთ.

XXX

რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარი ბახვა კემულარიას არ წყალობდა. ამ პროვინციულ ქალაქში რომ გადმოაგდო, ბახვა მიხვდა, ჩემი კარიერა აქვე დამთავრდება, თბილისში გადაყვანას აღარავინ მალირსებსო. ამიტომ ქცევის სტილი შეიცვალა. ხალხის მტრები არასოდეს შეუბრალებია, მაგრამ პარტიისა და ხელისუფლების ერთგულ ადამიანებთან პირდაპირ მეგობრული ურთიერთობები დაამყარა. უწინდელივით აღარ იფხორებოდა, სალამსაც რომ არავის აღირსებდა ხოლმე. ახლა თუ პურ-მარილზე დაპატიჟებას შეუბედავდნენ, უარს არ იტყოდა. სუფრაზე გამოუთქმელად გამხიარულდებოდა ხოლმე და საერთოდ ყურადღებას იქცევდა. ანეგდოტები არ ელეოდა და მოქეიფეებს სიცილით ხოცავდა. ერთ სტახანოველ მტვირთავს შვილიც კი მოუნათლა, ოღონდ, რა თქმა უნდა, საბჭოური წესით. ერთი სიტყვით,

პენსიაზე გადასვლის შემდეგ, ბახვა კემულარიას თავისუფლად შეეძლო ამავე ქალაქში დასახლებულიყო. არც ქუჩაში გამოსვლისა მოერიდებოდა და არც მოწიწებული სალამ-ქალამი დააკლდებოდა.

ახლა ეს ვიღაც მარღანია გამოტყვრა! მეცხრეკლასელი ღლაპი!რა თქმა უნდა, ეს ამხელა ამბავი თხუთმეტი წლის ღლაპს არ წამოუწყია. ვიღაც უფროსები აბრიყვებენ და იყენებენ. ეს მუდამ ასეა. მაგრამ ბახვას არაფერი დაემალება. ოღონდ ბახვამ ეს ამბავი ახლავე რესპუბლიკის კომისარს უნდა შეატყობინოს. წესია. ვინ იცის, ამ ხალხის მტრებს ფესვები სადა აქვთ გადგმული.

ბახვამ სპეცტელეფონით რესპუბლიკის სახალხო კომისარს დაურეკა:

- ბახვა კემულარია გაწუხებთ!

- გისმენ!

- არ ისვენებენ, ამხანაგო კომისარო, ნაძირალები, კიდევ ერთი ფარული ორგანიზაცია გამომიტყვრა.

- რაიმე სერიოზულია?

- ჩემი ვარაუდით, საკმაოდ.

-იმოქმედე! - კომისარმა ყურმილი დააგდო.

ბახვამ დარეკვა არ იკადრა. საბუთიც უნდა შეიქმნას. რესპუბლიკის კომისრის სახელზე რაპორტი დაწერა და საგანგებო კურიერის ხელით თბილისში გაგზავნა ბრძანა. ვნახოთ, იმის წაკითხვისას, ბატონი კომისარი როგორ ხასიათზე დადგება. წინათ თითქოს კარგი მეგობრები იყვნენ, ახლა კი - „გისმენ!", „იმოქმედე!"... ამიტომაცაა, გუშინდელი ღლაპები, ოპერატიული მუშაობის ანბანს ბახვასგან რომ სწავლობდნენ, ახლა სალამსაც ძლივს ეუბნებიან...

ბახვამ ახლა ის ღლაპი უნდა დაიჭიროს. ჰაი, გიდი, ოცდაჩვიდმეტი წელი! მაშინ ჯერ იჭერდი და ქაღალდებს მერე აფორმებდი, ხელს ვისაც გინდოდა იმას ჩაავლებდი. „ესა და ეს შენი რა არის? ბიძაშვილია? მერე? არ იცოდი, რა საქმიანობასაც ეწეოდა? ოჰ, შე გველის წიწილო! დასცხეთ!" გამთენიისას საქმე გათავებული იყო. ოქმს, თუ გეზარებოდა, სულაც ნუ შეადგენდი. ახლა - ჯერ ოქმი შეადგინე, მერე პროკურორს სანქცია გამოთხოვე... მართლაც რომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დრონი მეფობენ და არა მეფენი.

X X X

- რა გვარი ხარ, ბიჭო?
- მარღანია.
-რომელი მარღანიასი ხარ?
- ექიმის.
- ჰო... რატომ მოგიყვანეს?
- არ ვიცი!

ნაურიმ განცხადება აკანკალებული ხელით გამოართვა.

- სიმართლე სწერია?
- დიახ...
- მერე?
- ასე იყო...
- მერე?
- ასე იყო...
- მერე?
- აბა, ფოთის დაწვა...
- კრინტი! გამომივიდა ფოთის ქალაქისთავი. ეს საქმე ვინ ჩაგაგონა?
- არავინ!
- სიმართლე თქვა!
- არავინ!
- აბა, რაც დაგემართოს, შენს თავს დააბრალე!

ბახვამ საჭირო ხალხს უხმო. ნაური მარღანიას ტანისამოსი შემოახიეს, იატაკზე წამოაქციეს და რეზინის ჯოხები დაურთეს. ჯერ ჰკიოდა, მერე გონება დაჰკარგა. გაათრიეს და კარცერში შეაგდეს.

მეორე დღე ბახვამ მარღანიას საჭმელი შესთავაზა და დაყვავებით, ელაპარაკა, - ტყუილად ნურც ჩვენ გაგვაწვალებ და ნურც შენ ეწამები, ეს - უშიშროებაა, ჩვენ არაფერი დაგვემალება,

ყველაფერი გვიამბე და საქმე ამით დამთავრდებაო.

- რა გიამბობთ?

- თქვი, ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში ვინ ჩაგითრია.

- არავინ. ეგ ანტისაბჭოთა ორგანიზაცია არ არის.

- ჭკუას ნუ მასწავლი! თქვი, ვინ ჩაგითრია?

- არავინ!

კემულარიამ მარლანიას ახლა თვითონვე უთაქა. ეს საქმე სხვაზე ნაკლებად არც მას შეეძლო. მარლანია გაათრიეს და ისევ კარცერში, სამას გრამ ტალახივით პურზე და ცივ წყალზე დასვეს.

უშიშროებაში მუშაობა ბახვამ ოცდახუთი წლის წინ დაიწყო. ოცდახუთი წელი, კულაკობა, ტროცკისტები, მავნებლები, ოცდაჩვიდმეტი, - ყველაფერმა ამის კისერზე გადაიარა; პირველი ორდენი რომ მისცეს, სიხარულისაგან კინაღამ გაგიჟდა. მერე იმას მეორე ორდენი მოჰყვა, მეორეს - მესამე... ახლა ბახვას კიტელი ბარე ერთ ფუთს იწონის. და ეს ყველაფერი ახლა წყალში უნდა გადაუცვივდეს? ამასწინათ, კომისარმა თვითონვე დაურეკა, ორგანიზაციის საქმე როგორ არისო.

- ძიება ნორმალურად მიმდინარეობს.

- იმოქმედე!

ნაური მარლანია შიმშილისა და ცემისგან ისეთ დღეში იყო, რომ მშობელი დედა ვეღარ იცნობდა. მაგრამ რაც არ იცოდა, რა ეთქვა? ბახვა უკვე კარგად ხედავდა, რომ ბიჭმა უკვე ყველაფერი თქვა და მის უკან არავითარი ორგანიზაცია არ იმალებოდა. ესე იგი, ბახვა კემულარიას კომისრის თვალში თავი საბოლოოდ უნდა მოეჭრას?

არა! ნათქვამია, გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო. ბახვა კემულარიას უშიშროების ორგანოებში მთელი სიცოცხლე ტყუილად არ დაულამებია.

ორი დღის შემდეგ, სახელმწიფო უშიშროების განყოფილებაში ნაური მარლანიას ყოფილი მასწავლებელი ტიტე ლიპარტელიანი გამოიძახეს.

- გამარჯობათ, ბატონო ტიტე! - გულითადად მიესალმა მას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კემულარია, - როგორ ბრძანდებით?

- არა მიშავს... - ტიტეს ფერი აღარ ედო.

- თქვენი მოსწავლის დაპატიმრების ამბავი გეცოდინებათ.

- დიახ...

- რისი თქმა შეგიძლიათ?

- რა მოგახსენოთ... ცუდად არ სწავლობდა...

- ჰო... მთელი უბედურება მაგ ნიჭიერებისა და ნაკითხობისაგან მოდის. ჯერ პირზე რძე არ შეშრობია და თავი უკვე ქვეყნის ბატონპატრონი ჰგონია. ასე არ არის?

- დიახ... ნაწილობრივ... ალბათ...

- ასეა!

ბახვამ იმ დღეს ლიპარტელიანი აღარ აწვალა. გაუშვა. მესამე დღეს კი ისევ გამოიძახა, პირდაპირ მიახალა: თქვენმა მოსწავლემ ქალაქში ანტისაბჭოთა ორგანიზაცია ჩამოაყალიბა, შენ თვითონ კი წინათ მენშევიკი იყავიო.

- მენშევიკი რომ ვიყავი, ეს არასოდეს დამიმალავს... - ტიტემ ორივე ხელი გულთან მიიტანა.

- მაგას მნიშვნელობა არა აქვს.

კაბინეტში ორი ოფიცერი შემოიჭრა. ტიტეს ხელები გადაუგრიხეს, წიხლების ცემით წინ გაიგდეს და კარცერში შეაგდეს.

მესამე დღეს, ბახვა კემულარიას კაბინეტში აჩიკო ჩიკაშუა შეიყვანეს. გრძელ მაგიდას ხუთი თუ ექვსი ჩეკისტი უჯდა. ბახვამ ჩიკაშუას უხმოდ, თვალებით ანიშნა კუთხეში მდგარ სკამზე. აჩიკო დაჯდა.

- მარღანიამ შემოგთავაზა თუ არა, ფარულ ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრობა? - ჯიქურ ჰკითხა მას კემულარიამ.

- დიახ!..

- ასე... ახლა ყური დაგვიგდე, - კემულარია მის პირდაპირ მჯდომ ოფიცერს მიუბრუნდა, - ლეიტენანტო!

- გისმენთ! - ღვამიჩავა წამოდგა და გაიჭიმა.

- თქვენ ვინმემ ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრობა შემოგთავაზათ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- არასოდეს! - მტკიცე კილოთი მიუგო ლვამიჩავამ.

- დაბრძანდით! კაპიტან ვოლფენზონ!

- სლუშაიუს! - ვოლფენზონი წამოდგა და გაიჭიმა.

- ვამ კტო ნიბუდ კაგდა ნიბუდ პრედლაგალ ჩლენსტვო ანტისავეტსკოი ტაინოი ორგანიზაციი.

- ნიკოგდა! - ტყვიასავით ისროლა ვოლფენზონმა.

- სადიტეს! კაპიტანო დარახველიძე! - ბახვა მესამე ოფიცერს მიუბრუნდა, - შენ როდესმე ვინმეს ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში ხომ არ ჩაუთრევიხარ? ხომ არავის უცდია?

- არასოდეს! ეგ არც მოხდებოდა.

-დაჯექი, ლეიტენანტ არუთინოვ!

არუთინოვი წამოდგა და გაიჭიმა.

- იქნებ, ვინმემ შენ შემოგთავაზა, ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში შემოდიო, საბჭოთა ხელისუფლებას ზურგში დანა ჩავცეთო, ა?

- არა! თავის დღეში...

- დაჯექი! - ბახვა კემულარია სკამის ზურგს მიაწვა და აჩიკო ჩიკაშუას გაჰხედა, - გესმის, ჩიკაშუა? ახლა ეს მითხარი, კლასში რამდენი მოსწავლე ხართ?

- ე... ორმოცამდე...

- მერე? ნაურ მარღანიამ რაღა შენ და კიდევ ის ორი ღლაპი ამოგარჩიათ, ფარული ორგანიზაციის წევრობა რაღა თქვენ სამს შემოგთავაზათ, კლასში სხვა აღარავინ იყო?

- როგორ არ იყო...

- აბა?

ჩიკაშუა სდუმდა.

- რას იტყვით, ამხანაგებო.

- ყველაფერი ნათელია. - ახმაურდნენ ოფიცრები, - მარღანიამ იცოდა, ვისთვის რა ეთქვა. ონ ეტო პრეკრასნო ზნალ!

- მეც ვფიქრობ, რომ სურათი ნათელია. - კემულარიამ ზარის ღილაკს ხელი დააჭირა. კაბინეტში ორი ოფიცერი შემოვიდა, აჩიკო ჩიკაშუას სხეულზე ხელები მოუფათურეს, ჯიბეები გაუჩხრიკეს, წინ გაიგდეს და კარცერში ჩაჰკეტეს.

ამის შემდეგ კაბინეტში ტარიელ ღურწუმელია შეიყვანეს.

- მამაშენი სად არის? - ჰკითხა მას ბახვამ.

- ქაღალდი მოგვივიდა, დაიღუპაო.

- მერე? სამშობლოსთვის დაღუპული ვაჟკაცის შვილი ასე იქცევი?

- მე...

- მოიცა! აი, აგერ ამდენი საბჭოთა ადამიანი ზის. ეკითხოთ ამათ, ვინმემ ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში შესვლა შესთავაზათ? მე გავჩუმდები, შენ თვითონ ჰკითხე.

- მაგათ მაგას ვინ... მაგრამ...

- არ გინდა? მე ვკითხავ. ამხანაგებო, თქვენ რომელიმეს ვინმემ ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში შესვლა შემოგთავაზათ?

- არასოდეს! - ახმაურდნენ ოფიცრები, - ეგ ჩვენთვის არავის გაუბედნია. ნიკოგდა!..

-აი! შენმა მეგობარმა ჩიკაშუამ მითხრა, კლასში ორმოცი მოწაფე ვართო. მერედა, მაგ მარღანიამ რაღა თქვენ სამი გამოგარჩიათ?

- მე... პირადად...

- კარგი, მოვრჩეთ! ახლა შენ ჩაგიყვანენ, სადაც საჭიროა. ყველაფერი მოიფიქრე და გამოძიებას სრული სიმართლე მოახსენე. ჩვენთან გაძალიანება სიკეთეს არ მოგიტანს.

ტარიელ ღურწუმელიაც ორმა ოფიცერმა გაიყვანა. როგორც სამამულო ომში დაღუპულის შვილს, მას ხელები არ გადაუგრიხეს. ბოლოს მარინე მგალობლიშვილის ჯერიც დადგა.

- დაჯექი მარინე! - თითქმის მამაშვილური კილოთი მიმართა მას კემულარიამ.

მარინე დაჯდა.

- შენი თანაკლასელები ვერ გამოდგნენ მაინცდამაინც დიდი ვაჟკაცები. სამივე ასე ამბობს, მარინე მგალობლიშვილი ნამდვილი ანტისაბჭოთა ელემენტიაო.

- მაგას... ჩემზე ამბობენ?! - მარინეს თვალები გაუფართოვდა.

- აი, ეს ამდენი ხალხი მოწმეა. ასე არ არის, ამხანაგებო?

- ასეა, ასე!.. - ერთხმად დაუდასტურეს ოფიცრებმა - სამივემ ასე თქვა. ვსე ტროე, კაკ ოდინ!

- რას იტყვი?

მარინემ მხრები აიჩეჩა.

- ნაური მარღანიასთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

- ჩვეულებრივი...

- მაშასადამე, გამორიცხულია, რომ ნაურის შენდამი გულში მტრობა, ან რაიმე ასეთი ჰქონდეს, ხომ? გამორიცხულია. შენც მისდამი კარგადა ხარ განწყობილი. ამიტომ, ჩვენ იმასაც დავუჯერებთ, რასაც შენზე ამბობს და შენც დაგიჯერებთ, რასაც მასზე იტყვი. სწორია?

- დიახ...

- აბა, გისმენთ. - ბახვა ნებიერად გადაწვა საკარძლის ზურგზე.

მარინე სდუმდა.

- მარინე, გისმენთ. - ბახვამ პაპიროსი გააბოლა. თან მარინეს თვალებში მისჩერებოდა.

- რა მოგახსენოთ... ნაური...

- ნაური - რა?

-ნაური წესიერი ყმაწვილია... ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვიცნობ. დიახ... მე...

- რა -შენ?

- მე ისეთი არაფერი შემიმჩნევია.

-როგორ?

- რისთვისაც ხალხს აპატიმრებენ.

- სულ არაფერი?! გესმით, ამხანაგებო? - ოფიცრებს სიცილი აუტყდათ, კარგა ხანს იცინოდნენ და თან თავებს აქნევდნენ.

-სკაჟიტე პაჟალუსტა! - ვოლფენზონი სხვებზე უფრო დიდხანს იცინოდა და თავს სინანულით აქნევდა. - კაკიე ნოვოსტი!..

- ფარული შეკრება არ გქონიათ? - ჯიქურ ჰკითხა კემულარიამ მარინეს.

- გქონდა... დიახ... მაგრამ...

- მაგრამ რა? გესმით, ამხანაგებო, ფარული შეკრება ჰქონდათ.

- დიახ, დიახ!.. - ისევ ახარხარდნენ ოფიცრები, - ჰქონდათ! სლავა ბოგუ, პრიზნალას!.. ხა-ხა-ხა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

- გვქონდა მაგრამ... შეიძლება, ნაური შეცდა, მაგრამ... არ ვიცი, -მარინემ ისევ მხრები აიჩეჩა.

- გქონდათ, მაგრამ არ იცი?!..

-ნაური სულ ბავშვია...

ამის გაგონებაზე კემულარიამ მაგიდას მუშტი დაახალა:

- შენ ჭკუას ნუ გვასწავლი, ბავშვია!.. იმ ფარულ შეკრებაზე რა ილაპარაკეთ, პარტიზანებად წავიდეთ, და ფაშისტებს შევებრძოლოთო?

- თუ საჭირო გახდა...

- რაო?

- თუ საჭირო გახდა, ჩვენ პარტიზანებადაც წავალთ.

- ოჰო!.. და აქ, სახელმწიფო უშიშროებაში, იმიტომ მოგიყვანეს, რომ პარტიზანებად წასვლას აპირებდით, ხომ? გესმით, ამხანაგებო?

- გვესმის... -ოფიცრებმა თავები მძიმე სინანულით გადააქნიეს!

- ვხედავთ... ბეზობრაზიე!..

მარინეც ორმა ოფიცერმა გაიგდო წინ. ხელები არ გადაუგრეხიათ. ოღონდ კარში გასვლისას, მარინემ უკან გაოცებით მოიხედა. მაშინ ერთმა ოფიცერმა ხელი წაავლო და წინ ბურთივით ისროლა.

XXX

სასამართლო თვენახევრის შემდეგ გაიმართა. ტიტე ლიპარტელიანი და ნაური ისე იყვნენ ნაცემნი და ნაწამებნი, რომ ფეხზე დგომაც კი არ შეეძლოთ. მარინე მგალობლიშვილს თმა გათეთრებოდა და მთელი სხეულით კანკალებდა. ჩიკაშუას და ღურწუმელიას შიმშილისა და უჰაერო კარცერში გდებისგან სახეები გათეთრებოდათ და შეშუპებოდათ.

სასამართლომ ტიტე ლიპარტელიანსა და ნაური მარღანიას მიუსაჯა დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით. მარინე

მგალობლიშვილსა და აჩიკო ჩიკაშუას - თხუთმეტ-თხუტმეტი წელიწადი, აგრეთვე, პირადი ქონების კონფისკაციით; ხოლო ტარიელ ლურწუმელიას - ათი წელიწადი კონფისკაციის გარეშე. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ლურწუმელია ფრონტზე დალუპული მეომრის შვილი იყო.

საშა, იგივე „ადმირალი“
(დოკუმენტური კრიმინალისტური ლიტერატურის მოტივებზე)

- ადექი, კაცო, ადექი! - შავკაბიანმა, გრძელცხვირა, მოკლენიკაპიანმა ქალმა თავი ველარ შეიკავა და მძინარე კაცს, საბანი თავზე რომ წაუხურავს და პირი კედლისაკენ უქნია, ზურგზე მუშტები აუბრაგუნა.

ამბავი თბილისის ერთ გარეუბანში, ძველებური სახლის პატარა, ვიწროფანჯრებიან ოთახში ხდება. ოთახი უბრალოდ, ღარიბულადაა მოწყობილი. დგას რამდენიმე „ტაბურეტკა“, ერთი ძველი, გაცვეთილი საკარძელი, უბრალო, გაზეთგადაფარებული მაგიდა და გაბზარულ სარკიანი კარადა. რკინის საწოლიან, რომელზეც ახლა კაცი წევს, ხის უბრალო, შავ ჩარჩოში ჩასმული სამიოდე წლის ბიჭუნას ფოტოსურათი ჰკიდია.

მძინარე შეინძრა. საბანი გადასწია და ნამძინარევი თვალები უაზროთ დააჭყიტა. ეს შუახანს მიღწეული, თითქმის მთლად გამელოტებული, ჭრელთვალა მამაკაცია. სახის გამომეტყველება ავი, უდიერი აქვს. და ეს ზიზღნარევი, უსულგულო გამომეტყველება ამ კაცის - საშა სიდამონიძის სახეს ერთი წუთითაც კი არ შორდება.

საშამ ცოლს ახლაც აი ეს, ჩვეული - ზიზღნარევი, უდიერი მზერა შეავლო და ისევ საბანში ჩაძვრომა დააპირა.

-უი, თვალი კი დამიდგეს! - სასოწარკვეთით შეიცხადა სოფიკომ: იგი ქმარს აღარ დაერიდა, საბანი გადააძრო და უსუფთაო, ათასგან დაკერებული საცვლების ამარა დატოვა, - თვალი კი დამიდგეს, საშაჯან! ერთი საათიც იქნება, დეპოს მუშებმა ჩაიარეს. გათენდა!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხალხი დასახლდა!..

სოფიკომ საბანი კუთხეში მიაგდო, ქმარს გვერდით მიუჯდა და ახლა უკვე დაყვავებით მლიქვნელური ალერსით მიმართა:

- ადე, საშაჯან, ადე, გენაცვალე! გუშინ უკანასკნელი მანეთიანი მაწონში მივეცი... გასიამოვნე... დღეს კი, იქნებ, პირში ობიც ამოგვივიდეს... საშაჯან, ლამაზო, ეგრე გდებას არ სჯობია, საქმეს მიხედო? ტკბილი ლუკმა მენატრება, აი!.. ადე, არწივოჯან, ადრე და საქმეს ეწიე...

სოფიკო მკვირცხლად წამოხტა და კარადასთან მივიდა:

- მშიერს კი მაინც არ გაგიშვებ, აი! მაშინ სოფიკო მოგიკვდეს!..ჭიმიანთ პელოს სამი მანეთი ვესესხე და რამეები მოვიტანე... მაშ!.. ოღონდ ადექი! აგე, საყვირის ხმა, არ გესმის?

მართლაც, გარედან ქარხნის საყვირის მძლავრი გუგუნი შემოიჭრა და ყველა სხვა ხმა ჩაახშო. ვიწრო ფანჯრიდან მოჩანს, როგორ დაიძრა გაჩერებიდან ხალხით გაჭედილი ავტობუსი. ერთი მგზავრი კინალამ ჩამორჩა, დაძრულ მანქანას დაედევნა და საფეხურზე შეხტა. შიგნით მდგომებმა ჩამორჩენილი სიცილით აიტაცეს და შუაში ჩააყენეს.

იმავე წამს გაჩერებას მეორე ავტობუსი მოადგა და ხალხი ახლა მას მიესია.

ამ ადრიანი, ღრუბლიანი დილით ყველას სამუშაოზე მიეჩქარება.

- აგე, შენი ფეხსაცმელი, საშაჯან!

საშამ ცოლს თავისი ჩვეული - ზიზღნარევი, უდიერი მზერა შეავლო და ხმაამოუღებლად წამოჯდა.

X X X

ცოლი და ქმარი უკვე მაგიდას უსხედან. ფიქრმოსილი საშა კუთხისკენ იყურება. მაგიდას უგულოდ დახედა, ძეხვის ნაჭერი აიღო და უხალისოდ გაღეჭა.

- ჭამე, საშაჯან, ჭამე! ცოტა ძილი კი დაგაკლდა, მაგრამ შენი ხელობა ხომ იცი... ზოგჯერ თუ ცოტა ადრე ადექი, საქმე ხელიდან

გაგიფრინდება. აი, პური აიღე! ეჰ, გუშინ ჭიმიანთ პელომ ახალი კაბა მაჩვენა... ცისფერი... გული ჩამეწვა, აი! გუნებაში ვთქვი, ეჰ, ჩემი საშა ახლა ჩავარდნილია, საქმე გამოელია, თორემ არც ცისფერს გამომილევდა და არც ვარდისფერს-მეთქი!..

საშამ ძეხვიანი ხელი ნალა დაუშვა და ცოლს მძიმე მზერა გაუსწორა.

სოფიკო შეცბა. ენა ჩაიგდო. მაგიდაზე თეფშები უაზროდ მისწიმოსწია და ქმარს თვალებში მლიქვნელურად შესციცინა.

საშამ ძეხვის ნაჭერი მაგიდაზე მიაგდო და მოპირდაპირე კედელზე დაკიდებულ ბავშვის სურათს მზერა გაუსწორა.

სოფიკომ ქმრის გამოხედვა დაიჭირა. დაიბნა. ჭირის ოფლმა დაასხა. ალარ იცის, რა ქნას. სწრაფი მოძრაობით თმა შეისწორა და ყალბად ამოიოხრა, თან ქმარს ალმაცერად გახედა:

- ეჰ, ეს ცხოვრება რა არის! მაშ, ჩემი გოგიას დამკარგავი კაბებზე უნდა ვფიქრობდე?!.. მაგრამ ეს ისე, გასამხიარულებლად გითხარი, საშაჯან! მაშ, მე ცისფერის ან ვარდისფერის ჩამცმელი ვარ? მაშინ ეს სოფიკო მოკვდეს!

საშა ცოლს მძიმედ, კუშტად მისჩერებია.

სოფიკომ შიშისაგან სული სძვრება. მაგრამ მაინც მოახერხა, სწრაფად პირჯვარი გადაიწერა და ბავშვის სურათს ყალბი სასოებით მიაჩერდა. ქმარს ისევ სწრაფი, ალმაცერი მზერა შეავლო და წაიჩურჩულა:

- დედა მოგიკვდეს, შენი ერთადერთი დედა მოგიკვდეს, შვილოჯან!

საშა ცოლს გაუნძრევლად, უდიერად მისჩერებია.

XXX

საშას უკვე პალტო ჩაუცვამს. ახლა ქუდს იხურავს და წასასვლელად ემზადება. სოფიკომ მლიქვნელურად შესციცინა, უბიდან არყის პატარა, 250-გრამიანი ბოთლი ამოაძრო და გაუწოდა:

- იქნებ, ქუჩაში დგომა დიდხანს მოგიხდეს, საშაჯან!

შეგცივდება...

საშამ ბოთლი გამოართვა, პალტოს ჯიბეში ჩაიდო და გავიდა. სოფიკომ თვალი გააყოლა და პირჯვარი გადაიწერა.

XXX

ქუდჩამოფხატული, პალტოს ჯიბეებში ხელებჩაწყობილი საშა აუჩქარებლად მიაბიჯებს ქუჩაში.

ავტობუსის გაჩერებას მიუახლოვდა. მაგრამ არ გაჩერებულა. ავტობუსის მომლოდინე ხალხი ცივად შეათვალიერა და მოპირდაპირე მხარეს გადავიდა.

...

საშამ ვიწრო ქუჩაზე ჩაუხვია.

...

ქუდჩამოფხატული, პალტოს საყელოაწეული საშა ვიწრო ქუჩებს მიჰყვება. მის გაქვავებულ სახეს არ შორდება ზიზღნარევი, უდიერი გამომეტყველება. ნიკაპი პალტოს საყელოში ჩაურგავს და იშვიათ შემხვდურებს ცივად აკვირდება.

...

საშა ძველებური, ვიწრო ქუჩის ტროტუარს მიჰყვება.

ქუჩის ბოლოში მივიდა. შეჩერდა. მიიხედ-მოიხედა. ძველებური, ორსართულიანი სახლის განიერ სადარბაზოს მზერა შეავლო. ისევ მიიხედ-მოიხედა. როცა დარწმუნდა. ქუჩაში არავინ არისო, სახლის მეორე სართულის ფანჯრებს ახედა.

ფანჯრებზე უძრავად ჰკიდია ძვირფასი, ლამაზად ამოქარგული ფარდები.

საშამ ისევ მიიხედ-მოიხედა და იქვე, ჩიხში შევიდა. იქ არავინაა. საშამ ჯიბის საათი ამოიღო, დახედა, მერე საათი ისევ ჯიბეში ჩაიწყო, აგურის კედელს ფრთხილად მიეყრდნო და გაირინდა.

გარინდული საშა სადარბაზოს მისჩერებია.

სადარბაზოს კარი გაიღო და იქედან ახალგაზრდა, კარგად ჩაცმული, ინტელიგენტური შესახედაობის ქალი გამოვიდა. ქალს

ხელში სანოვაგის ჩანთა უჭირავს.

საშა დაიძაბა. ქალს უთვალთვალებს.

ქალმა სადარბაზოს კარი ჩაკეტა, ქუჩაში გამოვიდა, პირველი სართულის ფანჯარასთან მივიდა და დააკაკუნა.

ფარდა გადასწიეს. მსუქანმა ქალმა გამოიხედა, გაიღიმა და სარკმელი გამოაღო. ქუჩაში მდგომმა რაღაცა გადასცა. მსუქანმა თავი დაუქნია და ფარდა ჩამოუშვა.

ახალგაზრდა ქალი შუა ქუჩაზე გამოვიდა. მეორე სართულის ფანჯრებს ახედა. პალტოს საყელო გაისწორა და სწრაფი ნაბიჯით გაჰყვა ქუჩას.

...

ახალგაზრდა ქალი თვალს მოეფარა.

...

საშა ფრთხილად გამოვიდა საფარიდან. ქუჩას გახედა. არავინ არის. საშა სწრაფად მივიდა სადარბაზოსთან, „ატმიჩკა“ ამოიღო, კარი სწრაფად გააღო და შევიდა.

...

საშა სწრაფი ნაბიჯით მიჰყვა განიერ კიბეს.

...

საშა სწრაფად, ნამდვილი პროფესიონალური ქურდის სიმარჯვით „მუშაობს“. ფართო მდიდრულად მოწყობილ ოთახში სერვანტის მინა გასწია, ორი ვერცხლის თასი გამოიღო და პალტოს ჯიბეებში ჩაიდო...

მერე ვერცხლისავე, მაღალფეხებიანი ჭიქები გადმოიღო. შარვლის ჯიბეში უკრა თავი.

სერვანტში საინტერესო სხვა არაფერია.

საშამ მიიხედ-მოიხედა. კუთხეში მდგარ კომოდთან მივიდა, უჯრა გამოსწია და შიგ ხელები ააფათურა.

იატაკზე ზედიზედ ცვივა ქალის პერანგები, ბიუსტჰალტერები...

საშამ უჯრაში ქალის ხელჩანთა დაინახა, სწრაფად ამოიღო და გახსნა. მაგრამ ხელჩანთაში რაღაც ძველი ქვითარისა და ტრამვაის დაჭმუჭნული ბილეთის მეტი არაფერია. საშამ

კბილებიდან რაღაც უცენზურო გამოსცა. უეცრად კომოდს სინათლის სხივი დაეცა, საშამ მოიხედა და... გაშეშდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ოთახის კარები, წელან დახურული რომ იყო, ახლა გაღებულია. კარებში სამიოდე წლის, თმახუჭუჭა, ფაქიზად ჩაცმული ბიჭუნა დგას და უცნობ ძიას თამამად, აშკარა ინტერესით მისჩერებია.

თავზარდაცემულმა, ოფლდასხმულმა საშამ თვალებზე ხელი ჩამოისვა და ბავშვს ერთხელაც შეხედა. არა, ეს მოჩვენება არ არის. ბავშვი თამამად დგას კარებში, მარჯვენა ხელი კარის სახელურისათვის ჩაუვლია და უცნობ ძიას აშკარა ინტერესით მისჩერებია.

საშამ გაოფლიანებული შუბლი იდაყვით მოიწმინდა. ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. რაღაცას მოედო. მოიხედა - ტახტია. დაჯდა და ბავშვს მზერა გაუშტერა.

ბავშვი უშიშრად შემოვიდა ოთახში, ტახტთან მივიდა, ზედ აფორთხდა, საშას გვერდით მიუჯდა და კარგად გაზრდილი, განებივრებული ბავშვის სითამამითა და უშუალობით ჰკითხა:

- შენ ვინა ხარ?

საშამ ჯიბიდან დაჭმუჭნული, ჭუჭყიანი ცხვირსახოცი ამოათრია და ოფლიანი სახე შეიწმინდა. აშკარად გაბნეული და თავზარდაცემულია. ახლა ამ ბავშვს რა უპასუხოს?!..

- სტუმრად მოხვედით? - ბავშვი საშას შიგ თვალებში მისჩერებია.

საშა გაქვავებული, ხმაჩავარდნილი ზის. მის შუბლზე ისევ ოფლმა გამოჟონა.

- დედიკო ბაზარში წავიდა. არ იცოდი?

საშა სდუმს.

- არ იცოდი? - ამ კითხვის პასუხი ბავშვს ძალიან აინტერესებს.

- ჰო... არა... არა, არ ვიცოდი... - წაილულღლულა საშამ.

- ჰი-ჰი-ჰი! - ბავშვმა მხიარულად გადაიკისკისა. მართლაც, სასაცილო არ არის? ძია სტუმრად მოვიდა და დედიკო კი შინ არ დაუხვდა.

საშამ ბავშვს მზერა აარიდა.

- დედიკო მალე მოვა, - ბავშვს უკვე ეცოდება ეს ძია, ასე უდროო

დროს რომ მოსულა, - შენ იქ იჯექი და მოვა. კარგი?

- ე... ისა... კარგი, ჰო, კარგი... შენ... იმ ოთახში გადი, იქ ითამაშე.

- იქ ვითამაშო? კარგი, - ბავშვი უფროსებთან შეკამათებას ჩვეული არ არის, - მე მალე მოვალ.

ბავშვი ტახტიდან ჩამოფორთხდა და მეორე ოთახისაკენ გაიქცა. მაგრამ შუა გზაზე შეჩერდა, იატაკზე მიმოფანტული საცვლები შეათვალიერა და საშას ინტერესით შეხედა.

- ესენი შენ დაყარე? თუ დედიკომ?

- ესენი... ჰო... არა... არა, დედიკომ... შენ წადი, წადი...

ბავშვი მეორე ოთახში გაიქცა.

საშა ერთხანს გაუნძრევლად ზის. ვერ გადაუწყვეტია, ადგეს და წავიდეს თუ „საქმე" განაგრძოს. მერე რაღაც გადაწყვიტა და წამოდგა. ოთახი მოათვალიერა, აი, ტანსაცმლის კარადა... რა ქნას? გამოაღოს თუ?..

საშამ პალტოს ღილი შეიბნია. ისევ კარადას მიაჩერდა და უეცრად ოთახში ისევ ბავშვი შემოვარდა.

- მე აქ ვიქნები. - განუცხადა მან საშას და ტახტზე მოიკალათა, - დედიკო მალე მოვა. მანამდე ცხენობანა ვითამაშოთ.

- ჰა?.. რაო?!..

- ცხენობანა. შენ ვითომ მამიკო ხარ და ცხენი იყავი. აი, აქ მოდი.

- ე... არა, არა... მე უნდა წავიდე...

- არა, არ წახვიდე! აი, აქ მოდი! - ბავშვი ტახტიდან ჩამოხტა, საშას ხელი წაავლო და ტახტთან მიიყვანა, - აი, აქ დაიკუზე. ძია, დაიკუზე!.. მუხლებზე დადექი!..

- არა... მე... მეჩქარება... უნდა წავიდე.

- ძია, ცოტა ხანი, გეხვეწები... აი, აქ დაიკუზე!

- ა?..

- დაიკუზე, ძია, მუხლებზე დადექი!..

- ჰო, კარგი, კარგი... ოღონდ... ისა... მერე...

- დაიკუზე, ძია, ჩქარა დაიკუზე!..

და საშამაც „დაიკუზა“. ჩაიჩოქა, ხელებით იატაკს დაეყრდნო და „ცხენად“ იქცა. ბიჭუნა სწრაფად ტახტზე აცოცდა, იქედან მარდად შეახტა საშას ზურგზე, ყურებში ხელი ჩაავლო, გვერდებში ქუსლები უთავაზა და შესძახა:

-აჩუ, ცხენო, აჩუ!.. აჩუ, აჩუუ!

დაოთხილი საშა ოთახში გაძანძალდა და ბიჭუნა „გააქროლა“.

- აჩუ, ცხენო, აჩუუ!..

XXX

გზაჯვარედინთან მდგომმა, ახალგაზრდა, კოხტაულვაშებიანმა მილიციელმა ვერა და ვერ გაიგო, თუ რას უყვება მას მსუქანი, ფერდაკარგული, აქოშინებული ქალი, ქუჩაში საშინაო ხალათით რომ გამოვარდნილა. ეს სწორედ ის ქალია, წელან პირველი სართულის ფანჯარაში რომ დავინახეთ.

- არიქა... ისა... ვაიმე!.. ჩქარა!..

- დალაგებით მითხარ, ადამიანო!..

- ჩქარა-მეთქი! ბავშვს არაფერი მოაწიოს.

- ბავშვსო?! - მილიციელმა წარბები შეიკრა, - ბავშვს იქ რა უნდა?..

- ბავშვი მარტოა სახლში! ვაიმე!..

მილიციელმა სწრაფად ნაგანი მოისინჯა, მაგრამ, ყოველი შემთხვევისათვის ქალს მაინც ჩაჰკითხა:

- იქნებ, ქურდი კი არა, ვინმე ნათესავია?

- არა, ამ დროს მაგათთან არავინ მოდის! ვაიმე! ირინეს რა ვუთხრა!.. ჩქარა-მეთქი, ჩქარა! ვაიმე!..

- წამო, აბა!

სწრაფი ნაბიჯით მიმავალ მილიციელს აფორიაქებული ქალი უკან დაედევნა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XXX

მილიციელმა და ქალმა სადარბაზოს მიაღწიეს. მათ უკან ცნობისმოყვარეები მისდევენ. მილიციელმა სადარბაზოს კარი გამოიღო, რევოლვერი მოიმარჯვა და სირბილით აჰყვა კიბეს.

სქელი ქალი და სხვებიც კიბეზე არბიან.

ოთახის კართან მილიციელი წამით შეჩერდა, მერე კარი სწრაფად გამოლიღო, ნაგანი დაუმიზნა და დასჭყივლა:

- ხელები მაღლა!

მაგრამ იმავე წამს სახეზე დაბნეულობამ გადაურბინა. კართან მოვარდნილი სქელი ქალი და ცნობისმოყვარეებიც შეჩქიფდნენ.

- ი! - აღმოხდა ერთ გაოცებულ მამაკაცს.

საშა გულაღმა გაკოტრიალებულა იატაკზე, ხელები განზე გადაუყრია და თავდავიწყებული ხითხითებს. მის გარშემო კი აღტაცებული ბიჭუნა ცალ ფეხზე დახტის და თავდავიწყებით გაჰ კივის:

-აჩუ, აჩუ, ცხენო,
უნდა გაგაჭენო!..
ალაზანი დიდია,
შიგ ბებერი ჰკიდია,
პური ვთხოვე,
არ მაჭამა,
ჩემი ცოდო ჰკიდია!..

დაბნეულ მილიციელს რევოლვერიანი ხელი გაუშეშდა.

იარაღმომარჯვებული მილიციელის დანახვაზე საშამ თვალები ჭყიტა და ნელა-ნელა წამოჯდა.

- ერთი ამას დამიხედეთ! - სქელმა ქალმა ხელი ლოყაზე იტაცა. მილიციელი ნელა შევიდა ოთახში. საშას თავზე დაადგა.

- ადექი! - უბრძანა დაბალი ხმით, - ხელები მაღლა! ეს მერამდენეჯერ გიჭერენ.

საშა აუჩქარებლად ადგა და ხელები მაღლა ასწია. არა, მომხდარი ამბავი მას მაინდამაინც არ აღელვებს. მიჩვეულია. იგი

ახლა თავისი ჩვეულებისამებრ - ზიზღით, უდიერად იყურება.

- ირაკლი, მოდი, შვილო! - სქელი ქალი ბავშვს მივარდა, აიტაცა და გულზე მიიხუტა. - მოდი, დეიდა მაშო გენაცვალოს!.. ვაიმე, ვაიმე!.. კიდევ ილბალი გქონია! ვაიმე!..

მილიციელმა საშა სწრაფად გაჩხრიკა და ჯიბეებიდან მოპარული ნივთები ამოიღო. ერთმა ცნობისმოყვარეთაგანმა ნივთები სწრაფად გაზეთში შეახვია.

- ირინა, ირინე მოვიდა! - გაისმა ხმები.

ოთახში ფერდაკარგული ბავშვის დედა შემოიჭრა, სწორედ ის ახალგაზრდა ქალი, წელან რომ ბაზარში წავიდა, და ბავშვს მივარდა:

- ირაკლი, შვილო!..

ირინემ ბავშვი მაშოს გამოართვა და გულზე მიიკრა.

- წინ გამიძეხი! - უბრძანა მილიციელმა საშას.

ხელებაწეული საშა ნელა წავიდა კარისკენ. მას გზა დაუთმეს. მილიციელი უკან მიჰყვება.

- დედიკო, ძია სად მიჰყავთ? - გაოცებით ჰკითხა ირაკლიმ დედას.

- მილიციაში, შვილო. ციხეში! - სწრაფად, ირინეს ნაცვლად უპასუხა მაშომ, - ეგ გარეწარი, ეგა!..

- რატომ? - აღშფოთდა ირაკლი, - რატომ მიჰყავთ? დედიკო, უთხარი, არ წაიყვანონ! არ წაიყვანონ! კარგი ძიაა! არ მინდა.

ირაკლი აღრიალდა.

საშა კარებში შეჩერდა და ბავშვისკენ მოხედვა დააპირა. მაგრამ, - წინ, იარე! - უბრძანა მილიციელმა. საშამ თავი დაღუნა და კარებში გავიდა.

- დედიკო, უთხარი, დააბრუნონ! - აღრიალებული ირაკლის სასოწარკვეთილებას საზღვარი არა აქვს.

XXX

თავჩაქინდრული საშა მოაჯირს იქით ზის და გულხელი დაუკრეფია. აქეთ-იქედან ორი თოფმომარჯვებული ჯარისკაცი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაქვავებულა.

ეს - სასამართლოა!

მომცრო, მაგრამ დიდფანჯრებიანი დარბაზის კედლებზე შოთა რუსთაველის პორტრეტები, ლოზუნგები და შოთას აფორიზმებია.

ძველებურ, ჩუქურთმებიან და ღერბიან მაგიდას შუახნის სათვალიანი მოსამართლე უზის. აქეთ-იქით მსაჯულები - ახალგაზრდა ქალი და ხაკის კიტელიანი მამაკაცი სხედან.

მოსამართლის წინ, პატარა მაგიდას ახალგაზრდა, კუშტი შესახედაობის პროკურორი უზის. მარჯვნივ - შუახანს გადაცილებული, ფერმკრთალი, სახედაღარული, მაგრამ ფაქიზად ჩაცმული, ჰალსტუხიანი, თმებგადავარცხნილი ადვოკატი.

დარბაზი ხალხითაა სავსე.

წინა რიგში ეხედავთ ელეგანტურ, ოდნავ სევდიან ირინესა და სქელ, ფორიაქა მაშოს.

მარჯვნივ ჩვენი ნაცნობი, კოხტა ულვაშებიანი მილიციელი ზის.

შორს, კუთხეში ულაზათოდ ჩაცმული სოფიკო მიყუჟულა.

მოსამართლე. (წამოდგა, სათვალე მოირგო, წინ გადაშლილ „საქმეს“ ჩახედა და წელში გაიმართა) მოწმეების მოსმენა დამთავრებულია. გადავდივართ მხარეთა კამათზე. სიტყვა ეძლევა ბრალდებულის დამცველს,ადვოკატთა კოლეგიის წევრს, ამხანაგ ბერიანიძეს.

ადვოკატი. (წამოდგა, ჰალსტუხი მანერულად გაისწორა, ჩაახველა და თვალები ჭერს აღაპყრო) მე, ამხანაგო მოსამართლენო, ჩემს თავს უფლებას მივცემ, ეჭვი შევიტანო მთელი ამ პროცესის საჭიროებასა და მიზანშეწონილობაში (თავი დაღუნა და „ჩაფიქრდა“) ვინ ზის საბრალდებულო სკამზე? საბრალდებულო სკამზე ზის ასაკოვანი, მოწიფული, დაბრძენებული მამაკაცი - ოჯახის მამა. რა ბრალდება მას? მას ბრალდება ქურდობა. კეთილი და პატიოსანი. ქურდობა - მეტად მძიმე დანაშაულია. ქურდი - უსათუოდ უნდა დაისაჯოს. მაგრამ რას ეწოდება ქურდობა? ქურდობა ეწოდება სხვისი ქონების ნამალევად მითვისებას. მაგრამ რა

მიითვისა ბრალდებულმა? (ხაზგასმით) ბრალდებულს არაფერი მიუთვისებია. დიახ! (ადვოკატმა თვალები დაქაჩა) აი, ამ პროცესის მთავარი პარადოქსი! ქურდობა ბრალდება ადამიანს, რომელსაც არაფერი მიუთვისებია. მაშ, რისთვისღა ვასამართლებთ მას? აი, კითხვა! და ამ კითხვაზე მე პასუხი ვერ მომიძებნია. (სარკასტულად) იქნებ, ამ პასუხის მოძებნაში ამხანაგი პროკურორი დამეხმაროს?

პროკურორი. (კუშტად) დაგეხმარებით... დაგეხმარებით...

მოსამართლე. (ზარს აწკარუნებს) სიწყნარე! სიწყნარე! (ადვოკატს) განაგრძეთ!

ადვოკატი. (პროკურორს ულრმესი თავაზიანობით, თეატრალურად თავი დაუკრა) ნამდვილად ულრმესი მადლობელი ვიქნები! დიახ!.. დიახ!.. შევხედოთ ახლა ბრალდებულს სხვა კუთხით, სხვა თვალსაზრისით, სხვა ასპექტში, სხვა გარემოებათა სინათლეზე... რა ნახა მან უპატრონო ბინაში? მან ნახა სამოოდე წლის, მშვენიერი ბიჭუნა და რა გაახსენდა მას? მას გაახსენდა თავისი უმანკო, გაუფურჩქვნელი, ნორჩი გოგია, რომელიც სულ ორიოდე წლის წინათ...

საშა. (გავეშებული, პირგამეხებული წამოვარდა) ეგ თქვენი საქმე არ არის! მე რაც გამახსენდა...

მოსამართლე. (მკაცრად) სიწყნარე! სიწყნარე! ბრალდებულო, დაჯექით! დაჯექით!.. თქვენთვის სიტყვა არ მომიცია!..

ჯარისკაცებმა საშა ადგილზე დასვეს.

საშა. (თავი ჩააქნია და რაღაც ჩაიბურტყუნა).

მოსამართლე.(ადვოკატს) განაგრძეთ!

ადვოკატი. დიახ!.. ბრალდებულის რეაქცია, რა თქმა უნდა, გასაგებია.

საშა. (ისევ წამოვარდა) გასაგები თქვენი ლაპარაკი არ არის.

მოსამართლე.სიწყნარე! სიწყნარე! ბრალდებულო, დაჯექით!..

ჯარისკაცებმა საშა ადგილზე დასვეს.

მოსამართლე. (ადვოკატს) განაგრძეთ!

ადვოკატი. დიახ! რისთვის მივიდა ბრალდებული იმ ბინაში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ეს არ ვიცით.

პროკურორი. (აღშფოთებით) არ ვიცითო! აბა, ესენი რა არის? (უთითებს ვერცხლის თასებსა და ჭიქებზე, რომლებიც მოსამართლის მაგიდაზე აწყვია) ესენი საიდანაა?

გუშინდელი მილიციელი. (ველარ მოითმინა და წამოხტა) მაგას ეგენი ჩემი ხელებით ამოვულაგე ჯიბეებიდან! აი, ამ ხელებით, აი!..

მოსამართლე. (ზარს აწკარუნებდა) სიწყნარე!

მაშო. (აღშფოთებით) მაშ, ბავშვის სანახავად მოსულა?!..

დარბაზში მოძრაობა და ხმაურია.

მოსამართლე. (ზარს აწკარუნებს) სიწყნარე! სიწყნარე!..

(ხალხი თანდათან წყნარდება... ადვოკატს): განაგრძეთ!

ადვოკატი. დიახ! განაგრძობ! გმადლობთ! ოღონდ ამხანაგ მოსამართლეს ვთხოვ, უბრძანოს გაჩუმება ბრალდებულს. მე პროკურორთან ბრძოლაც მეყოფა.

მოსამართლე.ბრალდებულო სიდამონიძე!

ხაშა. (ადგა და გაიჭიმა).

მოსამართლე.თქვენ გეკრძალებათ კამათში ჩარევა!

ხაშა. მესმის!

მოსამართლე.დაჯექით! (ადვოკატს) განაგრძეთ!

ადვოკატი. მაშ, ვინ იმყოფება იმ ბინაში? ბინაში იმყოფება სამოდე წლის, მომხიბლავი, მშვენივრად ჩაცმული ბიჭუნა. ბრალდებულს რომ თვითონ ჰქონოდა ასეთი ბავშვობა, იქნებ, მისი ცხოვრებაც სხვა გზით წასულიყო?..

პროკურორი. ასეთი ბავშვობა, შეიძლება, ბევრს არ გვქონია! რა, ყველას ჭურდობა დაგვეწყო?!..

დარბაზში მოძრაობა და ხმაურია.

მოსამართლე.(ზარს აწკარუნებს) სიწყნარე! სიწყნარე.

ადვოკატი. კიდევ ერთხელ და კატეგორიულად მოვითხოვ, სიტყვას ნუ მაწყვეტინებენ. ლაპარაკის უფლებას მე ჩვენი საბჭოთა კანონი მაძლევს, დიახ! და, მაშ, რა ხდება იმ ბინაში? ბრალდებული ივიწყებს ყველაფერს, ივიწყებს ხიფათს, საშიშროებას, და იგი

ბავშვს ეთამაშება. დიახ, ეს ხანდაზმული, ასაკოვანი ადამიანი მამაკაცი ოთხზე დგება და ბავშვს ცხენობანას ეთამაშება. დიახ, ცხენობანას! და არა ქურდობანას, არა ყაჩაღობანას, არა ბანდიტობანას!.. და განა, ამხანაგო მოსამართლენო, ეს გულისამაჩუყებელი სურათი არ არის? სად, რომელ დროში, რომელ ქვეყანაში დაუსჯიათ ადამიანი იმისათვის, რომ მან ბავშვი გაართო და ცხენობანა ეთამაშა?!.. არსად, არცერთ დროში ეს არ მომხდარა! და ნუთუ, ამხანაგო მოსამართლენო, ამას ახლა თქვენ ჩაიდენთ?!..

დარბაზში მოძრაობა და ხმაურია.

მილიციელი ადგილს ველარ პოულობს.

მაშო ირინეს რაღაცას გაცხარებით უმტკიცებს.

პროკურორმა ხელი ჩაიქნია და სკამზე დემონსტრატიულად შეტრიალდა.

მოსამართლე.(ზარს აწკარუნებს) სიწყნარე, სიწყნარე!

ხალხი თანდათან წყნარდება.

ადვოკატი. დაბოლოს, ამხანაგო, მე თქვენს ყურადღებას მივაქცევ მეტად დიდ, მეტად მნიშვნელოვან გარემოებას, რომელზედაც, ჩვენდა სამწუხაროდ და საკვალალოდ, აქ ჯერ არავის არაფერი უთქვამს. რა დღეებს განვიცდით ახლა ჩვენ? რა ხდება ჩვენს ტურფა, ჩვენს მზიურ საქართველოში? საქართველოში ახლა შოთა რუსთაველის იუბილე იწყება. დიახ, ახლა ყველგან შოთას სახელი ჰქუხს, ყველგან მისი უკვდავი აფორიზმები ჟღერენ, ყველგან მისი სურათები ჰკიდია... აი, ერთი სურათიც! (უთითებს კედელზე ჩამოკიდებულ შოთას პორტრეტზე) დღეს ბედნიერი, გალაღებული, სვემზიანი ქართველი...

პროკურორი.(გაცხარებული წამოხტა) მე პროტესტს ვაცხადებ! ეს აშკარა დემაგოგიაა!

მოსამართლე. (ზარს აწკარუნებს) სიწყნარე! სიწყნარე!

პროკურორი. (ხელი გამწარებით ჩაიქნია და დაჯდა).

მოსამართლე.(ადვოკატს) განაგრძეთ.

ადვოკატი. დღეს ბედნიერი ქართველი ხალხი მოძმე საბჭოთა ერებთან და მთელს პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად უკვდავი

შოთას დაბადების 800 წლისთავს ზეიმობს. ყოველ ოჯახში, ყოველ ქუჩაში და შესახვევში ზეიმი და სიხარულია. ჩვენთან ერთად ზეიმობენ რუსები და უკრაინელები, ინგლისელები და ფრანგები, უნგრელები დაა პოლონელები... ჩვეგ კი აქ, ამ დარბაზში რას ვაკეთებთ? ჩვენ ციხეში ვაგზავნით უდანაშაულო ადამიანს?! (უფრო პათეტიურად) და ამიტომ მე გეუბნებით თქვენ: შეაჩერეთ ნემეზიდას მსახვრალი ხელი! ქმნა მართლისა სიმართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლადო, ბრძანა შოთამ. ხოლო თუ ჩვენ მაინც გვინდა, ეს უდანაშაულო ადამიანი დავლუპოთ, საამისოდ რაღა უკვდავი შოთას საიუბილეო დღეები ავირჩიეთ. არა, თუ ეს ჩვენ მაინცდამაინც გვინდა, მოდით, შემდეგისათვის გადავდოთ. ახლა კი ნუ შეურაცხყოფთ ამ დიდებულ, ამ სანუკვარ, ამ წმინდა დღეებს! (დაჯდა და ცხვირსახოცით სახიდან ოფლი მოიწმინდა).

დარბაზში მოძრაობა და ხმაურია.

მოსამართლე. (ზარს აწკარუნებს) სიწყნარე, სიწყნარე! სიტყვა ეძლევა სახელმწიფო ბრალმდებელს!

პრკურორი. (ადგა. კუშტად იყურება. ძალიან აღელვებულია და სიტყვას ვეღარ პოულობს) ამხანაგო მოსამართლენო! მე არ ვიცი, რა შუაშია აქ რუსთაველი და... რატომ იკადრა ადვოკატმა... თუმცა... (ხელი ჩაიქნია) ქურდობის მცდელობის ფაქტი დადასტურებულად მიმაჩნია დიახ! ბრალდებული უნდა დაისაჯოს! (დაჯდა).

მოსამართლე. გასაგებია! საბოლოო სიტყვა ეძლევა ბრალდებულს.

საშა. (წამოდგა. სადღაც სივრცეში გაიხედა და თავი ჩაღუნა).

მოსამართლე. სათქმელი არაფერი გაქვთ?

საშა. (ისევ, ოდნავ შესამჩნევად მხრები აიჩეჩა. თავჩაღუნული).

მოსამართლე. რას თხოვთ სასამართლოს?

საშა. (ხმას არ იღებს. იატაკს დასჩერებია).

მოსამართლე. დაჯექით! სასამართლო გადის განაჩენის გამოსატანად!

მოსამართლეები გადიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დარბაზში ხალხი აიშალა და ახმაურდა:

- ადვოკატი ტყუილად იხარჯებოდა...

-კაცო, და თუ არაფერი წამოულია?!

-აბა, მართლა ბავშვთან სათამაშოდ მივიდა?

- რუსთაველიც რომ გარიეს!..

-მიუსჯიან!

XXX

- სასამართლო მოდის! - შესძახა კომენდატმა.

ხალხი წამოიშალა.

მაგისთან მოსამართლენი დგანან.

ხალხი განაჩენს ფეხზე მდგომი ისმენს.

მოსამართლე. სასამართლომ ქურდობის მცდელობის ფაქტი დადასტურებულად ცნო და ბრალდებულ ალექსანდრე - იგივე საშა - სიდამონიძეს - იგივე კეჭალმაძეს, იგივე „ადმირალს“ - მიუსაჯა ხუთი წლის პატიმრობა.

ფეხზე მდგომმა საშამ საწყლად მიმოიხედა და თავი ჩალუნა.

ხალხი აიშალა.

ხალხი ნელ-ნელა დარბაზიდან გამოდის.

კარებში გამომავალ ირინესთან და მაშოსთან სოფიკო მიტუსტუსდა.

სოფიკო. ბოდიში! გამარჯობათ!

ირინე. (თავშეკავებულად) გამარჯობათ!

სოფიკო. თქვენ მე არ მიცნობთ, მაგრამ... ისა... ამბობენ, შოთა რუსთაველის დღეებში ამნისტია იქნებაო. არ გაგიგიათ?

მაშო. (მკაცრად) არა, არ გაგვიგია!

სოფიკო. მაშ, რუსთაველის დღეებში ხალხს ციხეებში ჩატოვებენ?

მაშო. (მკაცრად) არ ვიცით!

სოფიკო. (მზერა ახლა ირინეს მიაპყრო) თქვენ რას იტყვით, ჩატოვებენ?

ირინე. (შეწუხებული) არ ვიცი, ქალბატონო, არაფერი არ ვიცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXX

მზით განათებული თბილისის სადგური სავსეა მოზეიმე ხალხით.

აქ ნახავთ ყველას, ვისი წარმოდგენაც კი საერთოდ სადგურზე შეიძლება: საზეიმოდ გამოწყობილ დარბაისელ ქალებსა და კაცებს. მოხუცებულებს, მოკისკისე ქალიშვილებს და ჭაბუკებს; საგანგებოდ ჩაცმულ და თმადავარცხნილ ბავშვებს; თეთრფორმიან და თეთრხელთათმანებიან მილიციელებს; ახალ ფორმებში გამოწყობილ რკინიგზელებს; ნაყინის, ყვავილებისა და გაზეთების გამყიდველებს.

პერონი საზეიმოდაა მორთული.

ახალ წინსაფრებიანი, ნომრებიანი მებარგეები ელექტროურიკებს მიაწკარუნებენ.

ყველგან დროშები, ყვავილები და შოთა რუსთაველის პორტრეტებია.

ხალხის მხიარულ ჟივილ-ხივილს ლიანდაგებზე მომანევრე ელმავლების გუგუნი და ორთქმავლების მძლავრი ქშენა უერთდება.

და ეს მრავალხმიანი გუგუნი უცბად რადიორეპროდუქციის მკვეთრმა ხმამ გაჰკვეთა:

- ყურადღება! ყურადღება! მატარებელი ნომერი თორმეტი, მოსკოვი-თბილისი გამოვიდა მეზობელი სადგურიდან. ექვსი წუთის შემდეგ მიღებული იქნება პირველ ლიანდაგზე. მატარებლის მეშვიდე, საერთაშორისო ვაგონში იმყოფება ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგი, პროფესორი ალენ ჰოულდი. ქართველ მეცნიერთა დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს პროფესორი მიხეილ გამრეკელი, ვთხოვთ მოემზადოს საპატიო სტუმრის მისაღებად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XXX

- ბატონო მიხეილ, ჩვენ გვიხმობენ! - მიაძახა დეპუტატების მოსაცდელ დარბაზში შემოსულმა შაგგრემანმა ახალგაზრდამ სათვალიან, ჭაღარა პროფესორს, რომელიც თავისი დელეგაციის წევრებით გარშემორტყმული დგას და რაღაცას ლაპარაკობს.

- ვიცი, გეთაყვა, ვიცი! გავიგონე! - გამრეკელი ცდილობს, დინჯად ილაპარაკოს, მაგრამ აღელვება მაინც ეტყობა, - ახლა... ეს მეშვიდე ვაგონი სად გაჩერდება?

- პერონის დასაწყისში.

- არა, შუაში.

-შუაში კი არა, მარჯვნივ! - აღარ აცლიან ერთმანეთს დელეგაციის აღელვებული წევრები.

- ჰმ! - გამრეკელი უკვე აშკარად ნერვიულობს, - გეთაყვა, ან მარჯვნივ იქნება, ან მარცხნივ, ან ზევით, ან ქვევით... ეგ ხომ მეც ვიცი... აბა, გავიდეთ!

დელეგაცია პერონისკენ მიეშურება.

XXX

პერონის გასწვრივ დინჯად შემოცურდა მოსკოვის მატარებელი. ვაგონების ფანჯრებს მხიარულად მომღიმარე მგზავრები მოდგომიან.

ბევრ ფანჯარაში ყვავილებიანი ხელებია გამოშვერილი. ხელები ყვავილებს იქნევენ.

ვაგონების კიბეებზე გამყოლები იღიმებიან.

დელეგაციის წინ დინჯად ჩაიარა ერთმა ვაგონმა, მეორემ, მესამემ...

გამრეკელი. (ვაგონების ნორმებს გაფაციცებით ათვალიერებს) მესამე... მეოთხე... აბა, მეგობრებო! მეხუთე... აბა, მეგობრებო! ქალბატონო ელენე, თქვენ ქალბატონ ლიზი ჰოულდს მიეახლებით... დიახ!.. აბა, მეგობრებო!..

მეშვიდე, საერთაშორისო ვაგონი დინჯად მოსრიალდა, სვლას უკლო და სწორედ დელეგაციის წევრების წინ გაჩერდა. შუა ფანჯრიდან მომღიმარე ჰოულდები - ორმოციოდე წლის, ქერა, მაღალი და ბრგე ალენი და მასზე ოდნავ ახალგაზრდა, ლამაზი და ქერა ლიზი იცქირებოდა.

- აგერ!.. აგერ!.. ბატონი ალენი!.. ლიზი ჰოულდი!..

გამრეკელმა მისალმების ნიშნად ჰოულდს რამდენჯერმე ხელი დაუქნია და ვაგონის კარისკენ გაეშურა. მოჯარულ ხალხში გზას ძლივს იკვლევს. დელეგაციის წევრები ცდილობენ, არ ჩამორჩნენ.

XXX

გამრეკელი და დელეგაციის წევრები ჰოულდებს კიბეზე ჩამოსვლაში შველიან.

ხელის ჩამორთმევა, სიცილი, მხრებზე ხელის მოთათუნება...

აქვე, ხალხით სავსე პერონზე სახელდახელო მიტინგი იმართება.

გამრეკელი. (ჩაახველა და სათვალე გაისწორა) ნება მომეცით, ქართველი მეცნიერების, მწერლების, მთელი ქართველი საზოგადოებრიობის სახელით მხურვალედ მოგესალმოთ თქვენ, ბატონო ალენ ჰოულდ და თქვენ, ქალბატონო ლიზი...

იფეთქა ტაშმა...

- თქვენ ჩამოხვედით შექსპირისა და ბაირონის, დიკენსისა და თეკერეის შორეული ქვეყნიდან, რათა ჩვენთან ერთად იზეიმოთ უკვდავი შოთა რუსთაველის დაბადების რვაასი წლისთავი.

ისევ იფეთქა ტაშმა.

ტაშს უკრავდნენ ჰოულდები.

ტაშს უკრავენ დელეგაციის წევრები.

ტაშს უკრავს შემოჯარული ხალხი.

ტაშს უკრავს თვით პროფესორი გამრეკელი.

- ნება მომეცით, დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რათა ეს დღეები თქვენთვის სასიამოვნო მოგონებად დარჩეს!

ისევ ტაშმა იფეთქა...

ჰოულდი წელში გაიმართა და საპასუხო სიტყვის სათქმელად მოემზადა.

გარშემო სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

- ბა... ტონებო! - ეს ქართული სიტყვა ჰოულდმა ამაყად, გამარჯვებულის ღიმილით წარმოთქვა, - ო! ჩვენ... მე და ლიზი... ჩამოვედით... საქართველოს შიგნით... ო!.. ეთ!.. ოო-უ! რათა... ე... ვემ... თხვიოთ.. - ჰოულდმა თითი ასწია ეე... ო-უ! დიდი... შოთა რუსთაველის... მიწას!.. ო-ო!.. ო-ოუ!..

იფეთქა ტაშმა.

ტაშს უკრავს თვითონ მომღიმარე ჰოულდი.

ტაშს უკრავს ლიზი ჰოულდი.

ტაშს უკრავენ დელეგაციის წევრები, გამრეკელი, ხალხი...

-გმადლობთ... ო!.. ოუ!.. ყურადღების... გამო!..

ისევ ტაში.

XXX

დელეგაციის წევრებითა და ხალხით გარშემორტყმული ჰოულდები პერონის გასასვლელისაკენ მიდიან.

XXX

თბილისის სადგურის მოედანზე ზღვა ხალხი ირევა. ყველა სადღესასწაულო გუნებაზეა. ისმის სიცილ-ხარხარი, შეძახილები, მუსიკის ხმები. ჰოულდები და მათი დამხვდურები გაჭირვებით მიიკვლევენ გზას ხალხში.

ტროტუართან კრიალა, შავი ლიმუზინი დგას. ჰოულდებს მოღიმარე შოფერმა კარი გაუღო. ლიზი ჰოულდი ჩაჯდა და ნებიერად გადაწვა ტყავის საზურგეზე.

ალენ ჰოულდი გამრეკელს მიუბრუნდა, გაუღიმა და მხარზე ხელი მოუთათუნა.

გარშემო დელეგაციის წევრები და ცნობისმოყვარეები მოჯარულან.

- ბატონო, ალენ, - გამრეკელმა სათვალე გაისწორა, - ამ წუთიდან თქვენ მთელი ქართველი ხალხის სტუმარი ხართ. ახლა, თქვენის ნებართვით, მე გაგაცნობთ იმას, თუ რას მოითხოვენ მასპინძლები თქვენგან. ახლა სასტუმროში მოგასვენებთ. იქ თქვენს დასახვედრად ყველაფერი მზადაა. საღამოს შვიდ საათამდე სავსებით თავისუფალი ბრძანდებით. სრულ შვიდ საათზე კი, თუ, რასაკვირველია, მოისურვებთ, შეგიძლიათ დაესწროთ მეცნიერების შეხვედრას, ასე ვთქვათ, მრგვალ მაგიდასთან...

- ო!.. - ო-ოუ! - ჰოულდმა წარბები ასწია, - ო-უ! მრგვალი... მაგიდა... ო-ოუ!.. კარგია.. ო-ოუ! შვიდი... საათზე... ო-ოუ. მაგრამ ჯერ ერთი... ოპერაციონ... ო! ო-უ! - ჰოულდმა პიჯაკის გარეთა გულის ჯიბეზე ხელი მოიფათურა, - ლონდონში... ახლა... საღამოა!.. ო-ოუ! მოსკოვში ახლა... ო! ო-უ! მაგრამ რამდენი... საათია ახლა... თბილისში? ო-უ!.. ო-ოუ!

სანამ ამას ამბობდა, ჰოულდი ხან პიჯაკის კიბეზე ისვამდა ხელს და ხან შარვლის.

ყველანი მიხვდნენ, რომ ჰოულდს თავისი საათის თბილისურ დროზე დაყენება უნდოდა და გამხიარულდნენ. გამრეკელმა სწრაფად თავისი საათი ამოიღო და დახედა:

გამრეკელი. თბილისურად ახლა პირველის თხუთმეტი წუთია!

ჰოულდი. ო-ოუ! თხუთმეტი წუთი! ო-ოუ!..

ჰოულდმა ისევ ჯიბეებზე მოიფათურა ხელი, მაგრამ... საათი არსად ჩანს. ჰოულდი, ცოტა არ იყოს, შეცბა. ხელები ისევ ჯიბეებზე მოიფათურა. მაგრამ ამაოდ. საათი არსადაა.

ჰოულდმა ცოლს გადახედა.

ლიზი ჰოულდი ქმარს შეშფოთებული, ოდნავ წარბშეკრული მისჩერებია.

- ო! ო-ოუ!.. - ჰოულდმა ისევ მოიფათურა ჯიბეები. მაგრამ არა, საათი არსად არის.

გარშემომყოფნი გაისუსნენ.

პროფესორი გამრეკელი გაფითრდა. თავისიანებს ეიჭვით გადახედა.

გამრეკელი. მეგობრებო... ნუთუ?.. ბატონო ჰოულდ. (ჩააბვენელა და სათვალეები გაისწორა) ბატონო ალენ... მე... უკიდურესად...

ჰოულდი. (სწრაფად ხელები გაასავსავა) ო, ნოუ, ნოუ! (ჰოულდს იმის თქმა უნდა, ნუ სწუხდებითო) არა, ბატონებო, არა! (ჰოულდი ცოლს მიუბრუნდა) ნოუ, ლიზი, ნოუ!

ლიზი ჰოულდი. (გულმოკლული ზის. ეტყობა, ის საათი მისთვის რატომღაც ძვირფასი იყო. მაგრამ თავს ძალა დაატანა და, ლამის ცრემლმორეულმა დამხვდურებს ნაძალადევად გაუღიმა) თენკ იუ!

ჰოულდი. ო! ო-ოუ! ბატონებო, გმადლობთ! დიდი მადლობა!

ჰოულდი სწრაფად დაიხარა და შოფერს ანიშნა, წადიო.

ჰოულდი. ო! ო-ოუ!

შავი ლიმუზინი ნელა დაიძრა, მერე სვლას უმატა და გაქანდა.

ნირწამხდარმა მასპინძლებმა მანქანას თვალი გააყოლეს. მერე ერთმანეთს გადახედეს. პროფესორმა გამრეკელმა გულხელი დაიკრიფა.

XXX

- მე მაინტერესებს ორი რამ: სადა აქვს საზღვარი ამ ჩვენი ქურდბაცაცების უსინდისობას, - ეს ერთი! და სადა აქვს საზღვარი ჩვენი მილიციის უმოქმედობასა და გულგრილობას?! გთხოვთ, მიპასუხოთ!

ეს ბოლო ორი სიტყვა პროფესორმა გამრეკელმა ქვებივით ისროლა და სათვალე დემონსტრატიულად მოიგლიჯა.

ამბავი ვრცელ, ნათელ ოთახში - თბილისის მილიციის უფროსის კაბინეტში ხდება. კედლების გასწვრივ, სკამებზე სხედან მილიციის ოფიცრები - ლეიტენანტები, კაპიტნები, ზის ერთი ჩასუქებული მაიორიც... დიდ საწერ მაგიდას, რომელზეც ხუთი თუ ექვსი ტელეფონი დგას, მილიციის პოლკოვნიკი უზის. პროფესორ გამრეკელს კი გვერდში ამოსდგომიან ახალგაზრდა მეცნიერი ქალი

ელენე და დელეგაციის სხვა წევრები.

მილიციის თანამშრომლები პროფესორს გაკვირვებით მიაჩერდნენ.

- რუსთაველის იუბილე! - პათეტიურად შესძახა გამრეკელმა, - რუს-თა-ვე-ლის!.. იუბილე ადამიანისა, რომელმაც... ჰო!.. არა, არა, არ ვიცი! პირდაპირ არ ვიცი!..

გამრეკელმა ხელები სასოწარკვეთით გაშალა და სკამზე დაეშვა.

- თუ არ ვცდები, თქვენ პროფესორი გამრეკელი ბრძანდებით? - თავაზიანად ჰკითხა პოლკოვნიკმა.

- დიახ, მაგრამ... მერე რა? გეკითხებით, მერე რა, რომ გამრეკელი ვარ?

- დამშვიდდით, ბატონო მიხეილ, დამშვიდდით!..

ახალგაზრდა ლეიტენანტი სწრაფად წამოდგა, „ბორჯომი" ჭიქაში დაასხა და პროფესორს მიაწოდა.

ლეიტენანტი. ბორჯომი მოსვით!

პოლკოვნიკი. გმადლობთ! (ჭიქა აიღო და მოსვა).

პოლკოვნიკი. რაღაც უსიამოვნო ამბავი შეგმთხვევიათ.

გამრეკელი. (ჭიქა ლამბაქზე დადგა, ხელები გაასავსავა და ელენეს მიუბრუნდა) ელენე, გეთაყვა, შენ უამბე! მე ამაზე ლაპარაკი არ შემიძლია!..

მილიციელებმა თავები ელენესკენ მიაბრუნეს.

ელენე. (ამას თავი რაღაც სქელ წიგნში აქვს ჩარგული; ოდნავ შესამჩნევად მხრები აიჩეჩა) ერთი სიტყვით... ჩვენთან რუსთაველის იუბილეზე სტუმრად ჩამოვიდა ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგი ალენ ჰოულდი. ეს სწორედ ის ალენ ჰოულდი, - კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი გახლავთ, რომელმაც ჯერ კიდევ 1952 წელს ცნობილ ფრანგ ბიზანტიოლოგ დელაკრუასა და ასევე ცნობილ ავსტრიელ ორიენტალისტ ბრანემიულერთან ერთად საყურადღებო ცნობები მოგვაწოდა ძველი ანტიოქიის მიწა-წყალზე დაცული ხელნაწერების შესახებ და გამოთქვა ვარაუდი, რომ ის მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა, რომელიც ძველ საქართველოსა და...

- ღმერთო ჩემო! - გამრეკელი წამოიჭრა, - ღმერთო ჩემო! რა დროს ანტიოქია და ბრანემიულერია! რა დროს ბიზანტია და ორიენტალისტებია!..

პოლკოვნიკი. (თავდაჭერილი ღიმილით) რატომ, საინტერესოა.

მილიციის ოფიცრები იღიმებიან.

გამრეკელი. (გაანჩხლებით) ქალბატონო ელენე! როგორც დელეგაციის მეთაური, გიბრძანებთ: დაუყოვნებლივ აცნობეთ ამხანაგ პოლკოვნიკს თბილისის სადგურზე მომხდარი ამბავი. დიახ!..

ელენე. (გულგრილად) მისტერ ჰოულდს საათი მოპარეს!

მილიციის თანამშრომლები შეძრწუნდნენ. ერთმანეთს გადახედეს. პოლკოვნიკმა მაგიდას მუშტი დაახალა, წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

პოლკოვნიკი. (ელენეს) რა იცით, რომ თბილისის სადგურზე მოპარეს?

ელენე. (გაოცებით) აბა, სად მოპარავდნენ?!..

პოლკოვნიკი. რატომ - სად? ხაშურში, როსტოვში, ლონდონში...

ელენე. (დაიბნა. მხრები აიჩეჩა, მერე თავი ისევ წიგნში ჩარგო).

მსუქანი მაიორი. (ღიმილით) თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ ინგლისში ქურდები აღარ არიან?

- აბა, ქურდები იქ არიან, აი! - ახმაურდნენ მილიციის ოფიცრები.

- თვალებში ბეწვს ამოგაცლიან!

- წაიკითხეთ კრიმინალისტური ლიტერატურა!

- ლიტერატურა რად გინდა! ლატიშევი, ფეხბურთის მსაჯი, იქ არ გაქურდეს? ორი დღე ულუკმაპუროდ იჯდა.

- მარტო ბილეთი უყიდეს!

- სიწყნარე! - წარბშეკრულმა პოლკოვნიკმა მაგიდას თითი დაუკაკუნა. - ინგლისელ ქურდებს სკოტლანდ-იარღმა მოუაროს. ჩვენ ჩვენი ვეძიოთ. (ელენეს) კიდევ რისი თქმა შეგიძლიათ?

ელენე. (მხრები აიჩეჩა) არაფრის!.. მმ... პროფესორი ჰოულდი ქართველი ხალხის დიდი მეგობარია. ჯერ კიდევ ათას ცხრაას...

პოლკოვნიკი. (რბილად) უკაცრავად! ეგ მერე. ხალხში ვინმე საეჭვო ხომ არ შეგიმჩნევიათ?

ელენე. (ცდილობს გაიხსენოს) ა... არავინ.

პოლკოვნიკი. როგორი საათი იყო?

ელენე. (ისევ მზრები აიჩეჩა) არ ვიცით...

პოლკოვნიკი. (თავის თანამშრომლებს გადახედა. იმათ ერთმანეთს გადახედეს. პაუზა).

გამრეკელი. არა, ეს საოცარია!.. (სათვალე მოიგლიჯა) თუ ჩვენ თვითონ გითხარით, საათი სად დაიკარგა, ის საათი როგორი იყო,ქურდს რა ეცვა, რა ეხურა, თუ ეს ყველაფერი ჩვენ გითხარით, თქვენ რაღა მოხელეები ხართ?!

პაუზა. პოლკოვნიკმა ისევ თავის თანამშრომლებს გადახედა. თანამშრომლებმა ჩაიღიმეს.

პოლკოვნიკი. (გამრეკელს) მაშ, რა ვეძიოთ?

გამრეკელი. საათი.

პოლკოვნიკი. რომელი? რანაირი?

გამრეკელი. ეგ მე აღარ ვიცი.

პოლკოვნიკი. ას-სე!.. (ნელა მივიდა და თავის მაგიდას მიუჯდა) ცოტა უცნაური ამბავია.

გამრეკელი. არა, უცნაურზე მეტია!

პოლკოვნიკი. ჰმ!

ელენე. ბოდიში, ამხანაგო პოლკოვნიკო, მე კრიმინალისტიკაში ვერ ვერკვევი. მაგრამ... პროფესორი ჰოულდი უაღრესად ტაქტიანი, კულტურული ადამიანია. იგი შეცდება, არასგზით არ გაამხილოს საათის დაკარგვა, რათა ჩვენ - მასპინძლები - უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაგვაყენოს.

გამრეკელი. დიახ! ნამდვილად! ნამდვილად!..

პოლკოვნიკი. შეიძლება, პასუხი მოგახსენოთ?

ელენე.

გამრეკელი. ბრძანეთ!

პოლკოვნიკი. თქვენგან განსხვავებით, პატივცემულო ქალბატონო,ელენე,აქ ჩვენ კრიმინალისტიკაში ცოტათი ვერკვევით. ცოტათი ვერკვევით სხვა საქმეებშიც. და უნდა მოგახსენოთ, რომ თუ პროფესორი ჰოულდი, როგორც თქვენ ბრძანეთ, ნამდვილად

ტაქტიანი და კულტურული ადამიანია, მან უნდა გვითხრას საათის შესახებ ყველაფერი, რისი თქმაც კი შეიძლება. როგორი საათი იყო, უკანასკნელად ჯიბიდან როდის ამოიღო და სხვა... ამით იგი დაგვეხმარება - უხერხული მდგომარეობიდან დაგვიხსნას.

მილიციელები. - უნდა გვითხრას!

- უსათუოდ!

- აი, მაშინ მართლაც კულტურული კაცი იქნედა.

- მასპინძლები ქურდებისაგან უნდა განასხვავოს.

პოლკოვნიკი. (გამრეკელსა და ელენეს) ამაზე რას იტყვით?

გამრეკელმა და ელენემ ერთმანეთს გადახედეს.

გამრეკელი. მმ... რა ვიცი. (მხრები აიჩეჩა).

ელენე. მმ... პროფესორმა ჰოულდმა კარგად იცის, რომ დაკარგული ნივთის პოვნა ყოველთვის არ ხერხდება, ამიტომ, ჩემის აზრით, იგი ამჯობინებს, საათის დაკარგვაზე არაფერი თქვას.

პოლკოვნიკი. მდა!.. (წამოდგა და გაიარ-გამოიარა) იქნებ, მაინც გვეცადა?

პაუზა.

ელენე. საეჭვოა, აქედან რამე გამოვიდეს!..

გამრეკელი. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ამ თემაზე პროფესორ ჰოულდთან საუბარი მეტად უხერხულია, ის კაცი ჩამოვიდა იუბილეზე, და არა...

პოლკოვნიკი. თუ თქვენთვის უხერხულია, ქალბატონი ელენე წამოგვყვეს.

ელენე. მმ... მე... იცით...

გამრეკელი. მოითმინეთ! ჰოულდთან თქვენ თვითონ წახვალთ?!

პოლკოვნიკი. რა თქმა უნდა! უსათუოდ!

გამრეკელი. მაშინ... იცით... მაშინ წავიდეთ. მეც წამოვალ. ელენე, წავიდეთ!

პოლკოვნიკი. წავიდეთ!.. ვნახოთ, იქნებ, ჰოულდმა ასე არ გაგვწიროს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XXX

სასტუმრო „ინტურისტის“ კიბეზე ადიან პოლკოვნიკი ცხადაძე, ჩასუქებული მაიორი - აბაიშვილი, გამრეკელი და ელენე.

გამრეკელი. (უეცრად შეჩერდა) ტყუილად მივდივართ!

ელენე. იცით, მეც... პირდაპირ ტანში მზარავს...

პოლკოვნიკი. დამშვიდდით!.. ცდა ბედის მონახევრეაო.

გამრეკელმა ხელი ჩაიქნია და კიბეს აჰყვა. სხვებიც მიჰყვნენ.

XXX

- ჰელოუ! - კარის კაკუნზე ჰოულდმა თავი მოაბრუნა. კარი გაიღო და „ლუქსში“ ოთხნი შემოვიდნენ.

ჰოულდი მყისვე ზეწამოიჭრა და ფართოდ გაიღიმა. წამოდგა აშკარად დანალვლიანებული ლიზიც.

გამრეკელი. (უკიდურესი თავაზიანობით) ბატონო ჰოულდ! ჩემდა სამწუხაროდ და სავალალოდ, იძულებული ვარ, გაგახსენოთ ის მეტად უსიამო ამბავი, რომელიც... ასე ვთქვათ... დიახ!.. მაგრამ ჯერ ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ: თბილისის მილიციის უფროსი, პოლკოვნიკი ცხადაძე!

ჰოულდი. ო-ოუ! პოლკოვნიკ!.. ო-ოუ!

ცხადაძეს ღიმილით თავი დაუკრა და ხელი მაგრად ჩამოართვა.

გამრეკელი. მაიორი... მმ... მაიორი...

მაიორი. აბაიშვილი!

ჰოულდი. ოუ! მაიორი! ო-ოუ!..

აბაშვილს ღიმილით თავი დაუკრა და ხელი მაგრად ჩამოართვა.

გამრეკელი. ქალბატონ ელენეს თქვენ უკვე იცნობთ!

ჰოულდი. ო-ოუ!.. ჰელენ! ო-ოუ!

ჰოულდმა ელენეს მხარზე ხელი მოუთათუნა.

ჰოულდი. (ცოლისკენ ხელი გაიშვირა) ლიზი!.. ო-ოუ! ლიზი!

პოლკოვნიკმა და მაიორმა ლიზის თავი დაუკრეს.

ქალი ამაოდ შეეცადა, სახეზე ღიმილი გამოესახა. ლიზი ჰ

ოულდი ძალიან დანაღვლიანებულია.

ჰოულდი. ო-ოუ! ლიზი!.. ო-ოუ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამრეკელი. (ხელები მოიფშვნიტა) დიახ!.. მაშ, ასე... მე, ბატონო ალენ ჰოულდ, უღრმესი, უკიდურესი ბოდიშის მოხდით უნდა...

ჰოულდი. ო! (ხელები გაასავსავა) ო! ნოუ!.. ნო-ოუ! უ-კაცრავად!.. მე... ვიცი!.. ოუ!.. ო-ოუ! და მე ლიზი... (ცოლს ხელი წაავლო და გვერდზე მოიყენა) და მე და ლიზი... ვამბობთ: საათი არ დაიკარგა! ო-ოუ!.. ნო-ოუ! საათი არის იქ, ლანდონში! ო-ო! ო-ოუ! ო-ხო-ხო-ხო! ო! საათი არის ლანდონში! ო! ო-უ! ო-ოუ! ო-ხო-ხო-ხო!..

ჰოულდმა დანაღვლიანებულ ცოლს მხარზე ხელი მოჰკიდა და მოსულებს ამაყად, გამარჯვებული კაცის მოწყალე ღიმილით გადახედა.

გამრეკელი პოლკოვნიკს მიაჩერდა. პოლკოვნიკი - მაიორს. მერე ოთხივე მოსულმა ერთმანეთს გადახედა.

ჰოულდი გამარჯვებულად იღიმება.

XXX

სასტუმრო „ინტურისტის“ შესასვლელთან, ქუჩაში დგანან ოთხნი: პოლკოვნიკი ცხადაძე, მაიორი აბაიშვილი, პროფესორი გამრეკელი და ელენე. ოთხივე ნირწამხდარია.

გამრეკელი. (უეცრად, ცხარედ) ამხანაგებო, თუ ლიზი ჰოულდის გამომეტყველება თქვენ არაფერს გეუბნებათ?..

პოლკოვნიკი. (უხალისოდ) რატომ... რალაცას გვეუბნება...

გამრეკელი. სახელდობრ?

პოლკოვნიკი. ქალი... ძალიან დამწუხრებულია.

გამრეკელი. რატომ? სწყინს, ინგლისი რა ნისლიანი ქვეყანაა და საქართველო რა მზიური ყოფილაო?!

პოლკოვნიკი. (პასუხი დაუგვიანა. პროფესორს თვალებში მიაჩერდა და ოდნავ შესამჩნევად ჩაიღიმა) იქნებ, არც ეგ უხაროდეს.

გამრეკელი. (ენა ჩაუვარდა და პოლკოვნიკს გაოცებული, თავზარდაცემული მიაჩერდა).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XXX

- არაფერი წმინდა ამ ჩვენი ქურდბაცაცებისათვის არ არსებობს, - მსუქანმა მაიორმა, აბაიშვილმა, ხელი უიმედოდ ჩაიქნია.

- ახალი ამბავი! - დაცინვით გაეხმაურა მას პოლკოვნიკი ცხადაძე.

ორივენი ცხადაძის ვრცელ კაბინეტში სხედან. პოლკოვნიკი მაგიდას უზის, მაიორი კი - მის პირდაპირ, სკამზე ჩამომჯდარა. ორივე წარბშეკრულია.

პოლკოვნიკმა ზარს ხელი დააჭირა.

შემოვიდა მდივანი-ქალი.

- კაპიტან ქრისტესაშვილს უხმეთ!

- ახლავე!

ქალი გავიდა.

შემოდის კაპიტანი ქრისტესაშვილი.

პოლკოვნიკი. რა ისმის?

ქრისტესაშვილი. არაფერი, ამხანაგო პოლკოვნიკო! არსად კვალი არა ჩანს.

პოლკოვნიკი. არზუმანოვს დაურეკეთ?

ქრისტესაშვილი. დიახ! მთელი საქართველოს მილიცია ფეხზეა.

პოლკოვნიკი. მერე?

ქრისტესაშვილი. არსად არაფერი.

პოლკოვნიკი. კარგი, წადი!

ქრისტესაშვილი გადის.

პოლკოვნიკი. ასეც ვიცოდი.

პაუზა.

პოლკოვნიკი მაგიდაზე თითებს ათამაშებს.

პოლკოვნიკი. - ახლა ძალიან ვაჟკაცობს, ეგ ჰოულდი. მაგრამ ჩავა ინგლისში და...

მაიორი. (სიტყვა ჩამოართვა) მთელს დუნიაზე თავს მოგვჭრის.

პოლკოვნიკი. იუბილეზე ჩავედი, გამქურდეს, გამძარცვეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიორი. ო-ოუ! ხოუ! ნოუ! (მაიორმა ჰოულდს ფრიად ნიჭიერად გამოაჯავრა).

პოლკოვნიკი. (ღიმილი ძლივს შეიკავა).

მაიორი. გულზე ვარ გასიებული.

პაუზა.

მაიორი. ერთი გზაღა გვაქვს.

პოლკოვნიკი. ისევ ქურდებს უნდა დავეკითხოთ, ხომ?

მაიორი. ისევ! ისევ მაგ წყალწაღებულებს უნდა დავეკითხოთ.

პოლკოვნიკი. მერე - კანონი?

მაიორი. გამთქვამ?

პოლკოვნიკი. ასეთი საქმეები არ იმალება.

მაიორი. ერთ საყვედურს კაცი არ მოუკლავს.

პაუზა.

პოლკოვნიკი. ის ერთი საყვედურიც შუაზე გავიყოთ და ნახევარ-ნახევარი მოგვივა. მაგრამ... ვის უნდა ჰკითხო? ვინც ციხეში გვიზის, სულ ნაყარ-ნუყარია. მაგათ ძაღლადაც არავინ აგდებს.

პაუზა.

მაიორი. მე... „ადმირალზე" ვფიქრობ.

პოლკოვნიკი. ვინ „ადმირალიო"?!

მაიორი. სიდამონიძე.

პოლკოვნიკი. ეგ... კიდევ ზის?!

მაიორი. ხუთი წელი უბოძეს.

პოლკოვნიკი. კაცო... აკი... შვილის საფლავი დაიფიცა, აღარ ვიქურდებო?..

მაიორი. ცოლი უნდა უჩუჩხუნებდეს.

პოლკოვნიკი. ო, რა საძაგელი დედაკაცია?

მაიორი. უსაძაგლესი!

პაუზა.

პოლკოვნიკი. ვენდოთ?

მაიორი. გავლენა აქვს. რა ვიცი, წინად ჰქონდა.

პოლკოვნიკი. წინად კი... მაგრამ... სამაგიეროს რას ჰპირდები?

მაიორი. (გადაჭრით) არაფერს! სულ არაფერს!.. (წამოდგა და

გაიარ-გამოიარა) სამი დღით გამოვუშვათ. პირობა მოგვცეს, რომ არ გაიქცევა. საათს იპოვის თუ არ იპოვის, მეოთხე დღეს უკანვე მობრძანდეს.

პოლკოვნიკი. ციხეში?

მაიორი. ციხეში.

პოლკოვნიკი. მომპარავიც მოგვიყვანოს?

მაიორი. მაგას არ იზამს.

პოლკოვნიკი. მართალია, არ იზამს. ჰმ!.. სულ არაფერს დავპირდეთ?

მაიორი. არა! რაც დაიმსახურა, მოიხადოს!

პაუზა.

პოლკოვნიკი. აბა, მე ასე ვიტყვი: წინასწარ ნურაფერს დავპირდებით, თუ ამ სამ დღეში კაცობა გამოიჩინა, მაშინ...

მაიორი: მაშინ?

პოლკოვნიკი: კარგი, ამაზე მერე. მაგრამ ახლა - დაგვთანხმდებით?..

მაიორი: რა ვიცი...

X X X

-საშა, გამოგიშვეს?! - განცვიფრებულ სოფიკოს წარბები ზევით-ზევით წაუვიდა.

საშა მძიმედ შემოვიდა თავის ღარიბულ ოთახში. მიიხედ-მოიხედა. შვილის სურათს თვალი შეავლო. სოფიკოს არავითარი ყურადღება არ მიაქცია. ქუდი კუთხეში მიაგდო, ლოგინთან მივიდა, და როგორც იყო, ფეხსაცმელებიანად, გულაღმა გაიშოტა, ხელები თავქვეშ ამოუწყო და თვალები ჭერს გაუშტერა.

- არც კი მჯერა, საშაჯან! - დაფაცურდა სოფიკო, - ახლავე საჭმელს მოგიტან... განა არ ვიცოდი, გამოგიშვებდნენ, რუსთაველის ზეიმია, მთელი ქვეყანა ხარობს და მაშ, თქვენ, უდანაშაულო ადამიანებს, ციხეში ჩაგტოვებდნენ?.. ანგლიჩნები, ამერიკელები, ფრანცუზები ჩამოსულან და უთქვამთ, თუ ციხის კარები არ

გაგილიათ, ახლავე ბარგს ავიკრავთ და ჩვენი ფეხი აქ აღარ იქნებაო. ჩვენს მთავრობასაც რაღა უნდა ექნა, ხელად ბრძანება გაუციათ და - აჰა! ახლავე, საშაჯან! გუშინ ჭიმიანთ პელოს სამი მანეთი ვესესხე... აი, ყველიანი მაკარონი გამიკეთებია... ერთი მითხარი, თხაიგოლა და დამწვარ პეტუაც გამოუშვეს? იმ დღეს შავდათუა გიტარისტი მოვიდა და ცხარე ცრემლით იტირა (ხმას დაუწია და ჩურჩულზე გადავიდა) სოლოლაკში საქმე მიუციათ, ერთი ბინაა, სამ-სამი გაზიმზიმებული ჩემოდანი კუთხეში დგას, ერთი ხელის წამოკვრა უნდა, მეტი არაფერიო. ვაიო, რატომ ბიჭები გარეთ არ არიანო, რომაო...

- ქალო, მორჩა! - დაჭექა უეცრად საშამ.

- ვაი, გული გადამიქანდა! - თავზარდაცემულმა სოფიკომ ხელი მკერდზე მიიდო, - ბოდიში, საშაჯან! აი, მაკარონი მომაქვს.

- ეგ ჭიმიანთ პელო რა ხშირ-ხშირად გაძლევს სამმანეთიანებს? - საშამ სახე მოიღრიცა და ცოლი ავი თვალებით გაბურღა.

- ახლა... ადამიანი ქალია... რას იზამ...

- ფეხსაცმელი გამხადე!

- ახლავე! - სოფიკო საშას ფეხსაცმელებს დაეჯაჯგურა.

XXX

- კაცო, მაშ, მაგისთვის დაგვიძახე?! - კარგად მობერებული, მელოტი ქურდი ვანუა აშკარად დაბნეული და გაოცებულია.

ამბავი საშას ოთახში ხდება. აქ თავი მოუყრია რვა თუ ათ ქურდს. ზოგი სკამებზე ზის, ორი - საშას საწოლზე წამომჯდარა; რამდენიმე კედელთან ატუზულა. მაგიდაზე ღვინის ბოთლები და სახელდახელო სადილის ნამუსრევია. კარადასთან, ძველ სავარძელში, გულხელდაკრეფილი სოფიკო ჩაცუცქულა.

ქურდები საშას გაკვირვებით მიაჩერდნენ.

- ამისათვის! - საშამ მხრები აიჩეჩა.

- მაშ, მთავრობას დავჭირდით?! - ახალგაზრდა, მდიდრულად, მაგრამ უგემოვნოდ ჩაცმული, ოქროსბეჭდებიანი ქურდი აღტაცებაში

მოვიდა.

- ერთხელ ნეხვიც აყვავდებაო, - წაილაპარაკა ვილაცამ.

აქა-იქ ჩაიღიმეს.

პაუზა.

ყველანი საშას მისჩერებიან.

-კარგი! - ბებერმა ვანუამ სახეზე ხელი ჩამოისვა, - შენთან ერთი შეკითხვა მაქვს, საშაჯან!

- ბრძანე.

ვანუა. ერთიც ვნახოთ, მთავრობას არ დავუჯერეთ და საათი არ ვიპოვეთ, რა, ყველას დაგვიჭერენ?

საშა. ხელსაც არავინ გვახლებს. ისე, თუ იქურდებ, დაგიჭერენ.

ვანუა. ეგ ხომ აქამდისაც ეგრე იყო!..

საშა. ამას იქეთაც ასე იქნება.

პაუზა. ქურდები საშას ჩაფიქრებული მისჩერებიან.

ვანუა. კიდევ ერთი შეკითხვა საშაჯან.

საშა. ბრძანე!

ვანუა. აი, შენ თვითონ რა ხეირი გაქვს? თუ იპოვნე, გამოგიშვებენ?

ყველამ კისერი წაიგრძელა. ამ კითხვის პასუხი ყველას ძალიან აინტერესებს.

- არავინაც არ გამომიშვებს!

- მაშ, როგორ?! - დაიბნა ვანუა.

- რა, ვირის მუშა ხარ?!

- ერთი შეხედე!

- კარგია, აი!

საშა. საათს ვიპოვნი თუ არ ვიპოვნი, სამ დღეში ციხეში უნდა დავბრუნდე!

ქურდები. (გაოცებით) ვააჰ!

სოფიკო. ეგრეც ვიცოდი! ანგლიჩანი და ფრანცუზები წავლენ თუ არა, ეგენი ხალხს ისევ ციხეში შერეკავენ.

საშა. შენ გაჩუმდი!

სოფიკო. (სავარძლის კუთხეში მიიყუჟა).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პაუზა.

ბეჭდებიანი ქურდი. ერთი სიტყვა შეიძლება?

საშა. ბრძანე.

ბეჭდებიანი. რომ გამოუშვიხართ, ეგ კარგი. გენდნენ. მაგრამ მაგ საქმიდან არაფერი გამოვა, კაცო. იქნებ, ის საათი ოქროსია. იქნებ, ბრილიანტის თვლები აქვს. რა, მე იმ ქურდის ადგილას საათს უკან მოგცემდით? თავის დღეში არ მოგცემდით, და ყველანიც არ მოგცემდნენ.

ვანუა მელოტი. შენ სხვების მაგიერ რად ლაპარაკობ?

ბეჭდებიანი. (უხმაუროდ მხრები აიჩეჩა და დაჯდა).

პაუზა.

მიტუა. (ტანდაბალი, ბოროტი შესახედაობის, ყბებგანიერი ქურდი, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა კუთხეში)№: აბა, ერთი! აქ, როცა ლაპარაკი უნდათ, ნებართვას საშასგან ილებენ. მე მაგას არ გავაკეთებ. ეგ იმოდენა ქურდი არ არის და აღარც იმოდენა ავტორიტეტი აქვს. რომ მე მაგას სიტყვა ვთხოვო. ჰო! (საშას) შენ ამას წინად რა ჰქენი? სახლში შეხვედი, ბარახლო დახვეტე და უცბათ - ჰოპ! ვილაც ძუძუმწოვარას თამაში დაუწყე. ამის შემდეგ შენ ქურდი ხარ? ჰო! ახლა მილიციას გამოუშვიხარ, ესე და ესეო. მაგრამ ერთი ეს მითხარი, თვითონ მილიციას ჩვენთვის კარგი რა გაუკეთებია? ციხე-კალონია-გამოშვება, ციხე-კალონია-გამოშვება... მეტი? არაფერი! ჰო! მილიცია - ჩვენი მტერია. ახლა რუსთაველიო!.. კანეჩნა, კარგ ლექსებსა სწერდა, ის იმოდენა, „ვეფხისტყაოსანი“ მარტო იმას დაუწერია. მაგრამ ახლა რომ იმის ზეიმია, რა, ქარხნებში მუშები აღარ მუშაობენ? რა, მაღაზიაში აღარ ვაჭრობენ? რა, გლეხები ყანებს აღარ ხნავენ, აღარ თოხნიან? თოხნიან და ხნავენ! ჰო! მაშ, ქურდები - რა? ქურდები ხალხი არ არიან? ჰო! „ადმირალ“! (საშას თითი დაუქნრა) ის დრო მოკვდა, შენ რომ „ადმირალს“ გეძახდნენ! შენ ჭკუით იყავი! საწყალ ქურდს რაღაც უშოვნია, ახლა შენ მთავრობასთან თავი უნდა გამოიჩინო და ის საათი უკანვე წაიღო?! ბოდიში! არ გამოვა! ჰო! (დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და პაპიროსი გააბოლა).

პაუზა. საშა თავჩაქინდრული ზის.

ახალგაზრდა, მკერდმოლეღილი ქურდი: მიტრუა მართალია, მაგრამ... დამკარგავი ინგლისელი ყოფილა. რა, ახლა ჩვენ ინგლისთან ომი გვინდა?

მეორე ქურდი. ერთი საათის გულისათვის ომი თავის დღეში არ დაწყებულა. ორი და სამი რომ დაკარგულიყო, მაშინ კიდევ ჰო.

მესამე ქურდი. აი ხათაბალა!

პაუზა.

ერისტო. (ხანში შესული, ფერმკრთალი, სახედაღარული ქურდი) ერთი სიტყვა ბებერ ერისტოსაც ათქმევინეთ. (ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა, სახეზე ხელი ჩამოისვა) ერთხელ, ჩემო ბატონო, ავლაბარში ვართადა... იერთ მსუქან ბინაშიდ შევედით. სახლშიდ მარტუა ცოლი და ქმარია. ორივეს რასაკვირველია, სძინავთ. მაგრამ სანამდე ჩვენ ბარახლოსა ვბოჭავდით, ქმარმა არ გაიღვიძა?.. კაარგი! ლიეერი, რასაკვირველია, მივუშვირე და ვუთხარი: ხმა არ გაიღო, თორემ... დაგახლი-თქვა! ჰო! შენ ხარ ჩემი ბატონი, გეისუსა! ოლონდ ე ბარგახლო რომ შევკარითა და უნდა წამოვიდეთ, არ წამოიწია ი კაცმა და არ დაგვიყვირა, - გიცნობთ, ვერსად დამემალებითო?!.. აბა!. აი, ასთე დაგვემუქრა! შენ ხარ ჩემი ბატონი, რაღას ვიზამდი... ავდექი და შვიდი ტყვია შიგ სახეში მივეცი... ჰო! საშო, შენ აქით მოიხედე! ჰო! მერე? მთავრობამ მაპატივა? აბა! რომ დამიჭირეს, როგორათაც სუფთა მკვლელი, ისთე გამასამართლეს! ჯერ დახვრეტა მამინდომეს და მერე, ქვე იცით, თორმეტი წელიწადი ვარკუტაშიდ ვიყინებოდი. აბა! ქურდს მთავრობის იმედი არაფეშიდ არ უნდა ჰქონდეს! აჰ!

პაუზა.

სოფიკო. (გაწიწმატებული წამოხტა) ან ახლა ხუთი წელი რაში მოგცეს? იმ სახლიდან კაპიკის საღირალი არ წამოგიღია.

საშა. გეუბნებიან, მანდ დაეგდე!

პაუზა.

ერისტო. შენ ასე ჰქენი, საშო, ე სამი დღე ისეირნე და თვალს წყალი დაალევინე. მერე, თუ გაქცევა და დამალვა არ გინდა, მიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უთხარი, მევიწდომე და ვერ ვიპოვნე-თქვა. ასე არა სჯობია?!

მიტუა. მაგას ეგ არ უნდა! მაგას მთავრობასთან თავის გამოჩენა უნდა! (ქუდი თავზე მოიგდო) მახლას! მე წავედი. (საშას) მე შენ კაცად ალარ გცნობ! (სწრაფი ნაბიჯით გავიდა).

პაუზა.

ერისტო. ე ჩვენი მიტუა რა გულჯავრიანია! ჰი!.. (პიჯაკი გაისწორა) მეც წავედი. პეტრა საქმე მაქვს. კარგათა გნახეთ (ყველას თავი დაუკრა და გავიდა).

პაუზა.

ოქროსბეჭდებიანი. მახლას, მეც პლეტი ვიყიდე, რაღა! (გავიდა).

პაუზა.

სოფიკო. რა ეჩქარებოდათ, რა!.. აი, ღვინო კიდევ არის...

პაუზა.

მკერდმოღეღილი ქურდი. არა, თქვენ მიტრუას ხათაბალა არ იცით. ერთი ბინა გაუწმენდია, მაგრამ ჩულურეთელი ქურდები ედავებიან, ეგ საქმე ნაყიდი გვქონდა და დაგვასწარიო. ახლა ბარახლოსა მალავს. ჰი-ჰი-ჰი!..

ქურდები იცინიან.

პაუზა.

ქურდები, ვანუას გარდა დგებიან.

პირველი ქურდი. ეგრეც არ არის, საშაჯან! თუ ბაკას სადმე წავაწყდით, შეგატყობინებთ.

მეორე ქურდი. თუ წავაწყდით ჰო! მაგრამ... ეგ საქმე კაცის გაკეთებული არ არის.

მესამე ქურდი. კანეჩნა! მაგრამ მაინც გუნებაში გვექნება.

მკერდმოღეღილი.შენც მიიხედ-მოიხედე... აბა, კარგად იყავით!..

ქურდები ვანუას გარდა გადიან.

პაუზა.

საშა გულამღვრეული ზის. ვანუაც გუნებაწამხდარია.

სოფიკო. სუფრა ავალაგო საშაჯან?

საშა. (არ უპასუხა. წამოდგა, საწოლთან მივიდა, გულაღმა წამოწვა და ხელები თავქვე ამოიდო).

სოფიკო. (ჭურჭლის ალაგებას შეუდგა. მერე ფანჯარაში გაიხედა და): აგე, დოცენტა კოლაც მოდის.

ვანუა. ვინაო?!..

სოფიკო. კოლა არ იცით?! საშაჯან, ეგრე ამბობს, რაც საშა დაიჭირეს, ჩემთვის მზე დაბნელდაო. ამბობს, თუ საშა უფროსი ძმასავით მიყვარსო.

საშა. რაო?!

სოფიკო. ჰო, რაღა!..

საშა. ვინ დოცენტი კოლააო?!

სოფიკო. აი, მოდის.

კარი გაიღო და ოთახში დაბალი, ჯმუხი. ხშირწარბებიანი, კუშტი შესახედაობის კაცი შემოვიდა. ასე, ოცდახუთი წლის იქნებოდა. ტახტზე გაშოტილ საშას თვალი ჰკიდა და გაშეშდა.

სოფიკო. (დაფაცურდა) მოდი, კოლაჯან, მოდი! რამდენჯერ გინატრია! ახ, საშა როდის გამოვა, რომ თითო სტაქანი დავლიოთო. აი, ჩვენი საშაც! მთავრობამ გამოუშვა. თურმე, კოლაჯან, ანგლიჩნებსა და ფრანცუზებს...

- ქალო, მორჩი! - დასჭექა საშამ.

სოფიკო. (შეშინდა და ენა ჩაიგდო).

საშა. (მოსულს ალმაცერად, უდიერად გადმოხედა): შენ რომელი კოლა ხარ?

კოლა. (მხრები აიჩეჩა და უნდობლად წიბურტყუნა) ვარ, რა... დოცენტა...

საშა, შენ მე მიცნობ?

კოლა. (გაურკვევლად მხრები აიჩეჩა) რატომ...

საშა. (ცოლს ავად გახედა).

სოფიკო. გიცნობს, საშაჯან, როგორ არ გიცნობს... იმ დღესაც თქვა, თუ ახ, საშა როდის გამოვა, რომ თითო ჭიქა...

საშა. (რისხვით) ქალო, მორჩი!..

სოფიკო. (ხმა ჩაიკმიდა).

ვანუა. კარგი, კარგი, ნუ ჩხუბობთ. ეს სამი დღე მაინც ტკბილად იყავით. (მოსულს) შენა, კოხტა ბიჭო, სადაური ხარ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოლა. ჩვენ... გრაკალის მხრიდან ვართ.

ვანუა. კარგია. დოცენტა რატომ დაგარქვეს?

კოლა. რა ვიცი...

ვანუა. როგორ თუ არ იცი?!..

კოლა. ერთი მატარებლიდან ჩემოდანი წავიღე. შიგ სულ წიგნები იყო. ჰოდა... ბიჭებმა...

აპნუა. ჰოდა, ეგრე თქვი! თბილისში როდის ჩამოხვედი?

კოლა. თბილისში ვმუშაობ ორი თვეა... აქაური ქურდები ჯერ კაცად არა მცნობენ, მაგრამ... მალე გამიცნობენ...

ვანუა. აბა, შენ იცი! ახლა ეს მითხარი, კოხტა ბიჭო, აი, გუშინწინ თბილისის საღგურზე...

საშა. (მაგიდას მუშტი დაახალა) მორჩი!..

ვანუა. (შეკრთა) ბოდიში, საშაჯან!..

საშა. (კოლას მრისხანედ, მრავალმნიშვნელოვნად მიაჩერდა).

კოლა. ჩვენ... ბოდიში... (გატრიალდა და თავჩალუნული გავიდა).

საშა. (ახლა სოფიკოს მიაჩრდა) ჰმ!..

სოფიკო. (შეშინებული კედელს აეკრო) მცემე, საშაჯან, მცემე! ოღონდ იცოდე, მე შენი ერთგული ვარ! მუდამ! მე ჩემი ქალობა... თავის დღეში...

საშა. (ცოლს უდიერად, გამოუთქმელი ზიზღით მისჩერებოდა).

ვანუა. ნუ ჩხუბობთ, კაცო! ნუ ჩხუბობთ!..

XXX

მზით განათლებული თბილისის ქუჩები სავსეა მოზეიმე, ახმაურებული ხალხით.

ყველგან შოთა რუსთაველის პორტრეტები და აფორიზმებია.

ქუჩის რადიორეპროდუქტორებთან ხალხმრავალი ჯგუფები დგანან და გადაცემებს ისმენენ.

დანაღვლიანებული საშა და ვანუა ნელა მიაბიჯებენ რუსთაველის პროსპექტისკენ. პიონერთა სასახლეს მიუახლოვდნენ და გასცდნენ კიდეც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რადიორეპროდუქტორიდან ტაშის გრიალი შემოესმათ. შეჩერდნენ.

რეპროდუქტორში. (კაცის ომახიანი ხმა): სიტყვა ეძლევა ინდოელ პოეტ-ქალს ამრიტა პრიტამს.

რეპროდუქტორში. ისევ ტაშის გრიალი. ტაშს უკრავენ პროსპექტზე, რეპროდუქტორებთან შეგროვილებიც.

რეპროდუქტორში. ამრიტა პრიტამი იწყებს ინდურ ენაზე ლაპარაკს.

ვანუა. ხედავ, საშა?! ინდოეთიო, კაცო!..

საშა. ვხედავ!

ორივენი ნელა მიაბიჯებდნენ პროსპექტზე.

ვანუა. (ნაღვლიანად) ეჰ, დრო გაფუჭდა, საშაჯან!

საშა. რაზე ამბობ?

ვანუა. ეჰ! მა რა... ქურდი - ქურდს აღარა ჰგავს... კაცობა... დაიკარგა. ეს ქალებიც ხომ...

საშა. ქალებიც რა?

ვანუა. (შეკრთა) არა, არაფერი... მე განა იმას ვამბობ... ოღონდ...

საშა. იარე!

XXX

საშა და ვანუა ნელი ნაბიჯით მიჰყვებიან რუსთაველის პროსპექტს.

რეპროდუქტორში - ტაშის გრიალი.

საშა და ვანუა შეჩერდნენ.

რეპროდუქტორში - კაცის ხმა: სიტყვა ეძლევა ავსტრიელ მეცნიერს და პოეტს, „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე მთარგმნელს ჰუგო ჰუპერტს.

რეპროდუქტორში - ტაშის გრიალი. შემდეგ ჰუგო ჰუპერტი იწყებს გერმანულ ენაზე ლაპარაკს.

საშას და ვანუას მომდევნო დიალოგი ამ ლაპარაკის ფონზე მოდის.

ვანუა. კაცო, ამ რუსთველს მართლაც მთელი ქვეყანა ზეიმობს, რაღა!..

საშა. (დაცინვით) აკი დრო გაფუჭდა და ქვეყანა დაილუპაო?!

ვანუა. არა... ახლა... მთელი ქვეყანა... რატომ...

საშა. იარე!..

ორივენი ნელი ნაბიჯით მიჰყვებიან პროსპექტს.

XXX

რეპროდუქტორში - კაცის ხმა: სიტყვა ეძლევა ნორვეგიელ მეცნიერს ოსლოს უნივერსიტეტის რექტორს პროფესორ ჰანს ფიხტს.

რეპროდუქტორში ტაშის გრიალი.

ტაშს უკრავენ პროსპექტზე, რეპროდუქტორთან შეგროვილებიც.

რეპროდუქტორში ჰანს ფოხტი იწყებს ნორვეგიულ ენაზე ლაპარაკს.

საშას და ვანუას მომდევნო დიალოგი ამ ლაპარაკის ფონზე მიდის.

ვანუა: ეჰ, საშაჯან!

საშა: რაო?

ვანუა: ქურდის ფასი ამ ქვეყანაზე - კაპიკია!აი, დაებერდი... წელი მტკივა, გულიც მტკივა, სუნთქვა მიჭირს... წინ კი რა არის? არაფერი! სულ არაფერი! აი, ასფალტი!

საშა. იარე!

საშა და ვანუა ნელა მიჰყვებიან პროსპექტს.

XXX

რეპროდუქტორში - ტაშის გრიალი.

საშა და ვანუა შეჩერდნენ.

რეპროდუქტორში - მამაკაცის ხმა. სიტყვა ეძლევა პოლონელ პოეტს ვაცლავ კუბაცკის.

რეპროდუქტორში - ტაშის გრიალი.

ტაშს უკრავენ პროსპექტზე, რეპროდუქტორთან შეგროვილებიც.

რეპროდუქტორში ვაცლავ კუბაცკი პოლონურ ენაზე ალაპარაკდა.

საშას და ვანუას მომდევნო დიალოგი ამ ლაპარაკის ფონზე მიდის.

ვანუა. საშაჯან!

საშა. ა?

ვანუა. ეგრე სანამ ვიაროთ?!.. (ჯიბეები მოიქექა) აი, მანეთი და სამი აბაზი მაქვს... სადმე შევიდეთ?

საშა. მანეთად სად უნდა შეხვიდე?!

ვანუა. რატომ! აგე, ლაღიძის წყლები... თითო ხაჭაპური - ოთხი აბაზი... თითო წყალი - სამი შაური... აჰა! ცოტას წავიქეიფებთ და კიდევ ფულიც დაგვრჩება.

საშა. მერე? საათს ლაღიძე გამოგვიგზავნის?!..

ვანუა. ახლა... ერთი ათი წუთი...

საშა. იარე!

საშა და ვანუა ნელა მიჰყვებიან პროსპექტს.

XXX

რეპროდუქტოლრში - ტაშის გრიალი.

საშა და ვანუა შეჩერდნენ.

რეპროდუქტორში - კაცის ხმა: სიტყვა ეძლევა ფრანგ პოეტს მაქს პოლ ფუშეს.

რეპროდუქტორში - ტაში. ტაშს უკრავენ რეპროდუქტორთან შეკრებილებიც.

რეპროდუქტორში მაქს პოლ ფუშე ფრანგულ ენაზე ალაპარაკდნენ.

საშას და ვანუას მომდევნო დიალოგი ამ ლაპარაკის ფონზე მიდის.

ვანუა: საშაჯან!

საშა: (შეჩერდა).

ვანუა: ესე ხეტიალს, მოდი, კუკიაზე გავიდეთ, იქნები, იქაურ ქურდებს...

საშა: იქ ვინმეს იცნობ?

ვანუა: ვაჰ, მეჭეჭებიანი პეტას, გარმონისტ ვალოდას!..

საშა: (მხრები აიჩეჩა) წავიდეთ!

პროსპექტიდან დაუხვიეს და ავტობუსის გაჩერებისაკენ გაემართნენ.

XXX

კუკიის მიდამოებში, პატარა ბაღში ხალხი შეგროვილია და რეპროდუქტორს უსმენს. ბაღიდან ორმოცდაათიოდე ნაბიჯზე, აგურის კედელს საშა მიჰყრდნობია და იცდის.

რეპროდუქტორში ტაშის გრიალი. შემდეგ - კაცის ხმა: სიტყვა ეძლევა ჩეხ პოეტს ირჟი ტაუფერს. ისევ ტაშის გრიალი. ტაშს უკრავენ ბაღში შეკრებილი მოხუცებიც, ახალგაზრდებიც, ბავშვებიც. შემდეგ რეპროდუქტორში ირჟი ტაუფერი ჩეხურ ენაზე ალაპარაკდა.

ბაღის მოპირდაპირე, ვიწრო ქუჩიდან ვანუა გამოლასლასდა და საშას მიაშურა.

საშა. რაო?

ვანუა. (ხელი ჩაიქნია) ააფრინე ალალიო...

XXX

საშა და ვანუა დალმართზე ჩამოდიან.

რეპროდუქტორში - ტაშის გრიალი. შემდეგ - კაცის ხმა: სიტყვა ეძლევა იტალიელ პოეტს ედუარდო სანგვინეტის. ისევ ტაშის გრიალი.

ტაშს უკრავენ ვიწრო ქუჩაზე, რეპროდუქტორთან შეგროვილებიც. შემდეგ რეპროდუქტორში ედუარდო სანგვინეტი იტალიურ ენაზე ალაპარაკდა. საშას და ვანუას მომდევნო დიალოგი ამ ლაპარაკის ფონზე მიდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშა. (შეჩერდა და ამოიხვნეშა) ახლა რა ვქნათ?

ვანუა. რა ვიცი... წელან გითხარი და არ დამიჯერე.

საშა. რა არ დაგიჯერე?!..

ვანუა. ვაჰ!.. აი, მანეთი და სამი აბაზი მაქვს. აქ სადმე...

საშა. (ანჩხლად) ვაა-აჰ!.. კაცო, შენი სიცოცხლე იპარავ, და სჭამ, იპარავ, და სჭამ... აღარ მოგბეზრდა?!..

ვანუა. (ამაყად) მაგას ვის ეუბნები?!

საშა. შენ გეუბნები!

ვანუა. ხელი არ შემახო! ქურდებს შევატყობინებ.

საშა. ჰმ!

ვანუა. (ძალიან განაწყენებული) შენი თავი რა გგონია!

საშა. აბა!

ვანუა. აბა და აბა!

საშა. ჰა-მეთქი!

ვანუა. ერთი ბაკა დაგავალეს, ისიც ვერ გიპოვნია.

საშა. ჰა-მეთქი!

ვანუა. ჰა-მეთქი!

საშა. ხმას ნუ იღებ!

საშა. ჰო?!

ვანუა. ჰო!

ერთმანეთს უხმოდ მიაჩერდნენ. მერე ერთად დაუყვნენ დაღმართს.

XXX

საშა და ვანუა ვიწრო ქუჩას მიჰყვებიან. ქუჩა ჩაათავეს და პლეხანოვის პროსპექტზე გავიდნენ.

პროსპექტი სავსეა ხალხით.

ყველგან შოთა რუსთაველის პორტრეტები და აფორიზმებია.

რეპროდუქტორში ტაშის გრიალი გაისმა. შემდეგ - კაცის ხმა: სიტყვა ეძლევა ინგლისელ ქართველოლოგს, პროფესორ ალენ ჰ ოულდს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საშა. დაიცა.!

ვანუა. რა იყო?!

საშა. დაიცა-მეთქი!

რეპროდუქტორში ალენ ჰოულდი ინგლისურ ენაზე ალაპარაკდა.

საშა. ის არის!

ვანუა. ვინა?!

საშა. ისა, ანგლიჩანი!.. ე-ეხ!.. არა, მაშ, ეს საქმეა?!

ვანუა. (ჰოულდის ლაპარაკს ყური მიუგდო და თავი გადააქნია) შენ ეგა თქვი, საშაჯან, შენ ეგა თქვი!..

XXX

სოფიკო სახლში ფუსფუსებს.

დააკაკუნეს. კარი გაიღო და დოცენტი კოლა შემოვიდა.

სოფიკო. კოლაჯან! მოდი, გენაცვალე! (შეეგება და კოლას თავი მკერდზე მიიკრა).

კოლა. (თავი გულგრილად გაინთავისუფლა და სკამზე ჩამოჯდა).

სოფიკო. (კოლას წინ დაუჯდა). გული არ გაიტეხო ორ დღეში ისევ გალიაში მოაყუჩებენ.

კოლა. ახლა რისთვის გამოუშვიათ?

სოფიკო. ოჰ! რაღაც საათი დაიკარგაო ვითომ, მაგან უნდა იპოვნოს.

კოლა. რა საათი?

სოფიკო. რავი, ვილაც ანგლიჩანს სადგურზე დაუკარგია.

კოლა. (ჰიჯაკი გულგრილად გადაიწია და გულისჯიბიდან ოქროს ბრეგეტი ამოიღო) ესა?

სოფიკო. ვაიმე კოლაჯან! შენა გაქვს?!.. (ბრეგეტი გამოსტაცა და დაათვალიერა) ის არის?

კოლა. მე რა ვიცი...

სოფიკო. სადგურზე იშოვნე?

კოლა. ჰო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფიკო. გუშინწინ?

კოლა. ჰო!

სოფიკო. ის იქნება კოლაჯან!.. ქა, ბაჯაღლო ოქროსია.

კოლა. მიეცი.

სოფიკო. ვისა, ქა?!..

კოლა. შენს ქმარს.

სოფიკო. ვა, გაგიჟდი?!..

კოლა. მაგისთანას ათასს ვიშოვნი.

სოფიკო. რას ამბობ, კოლა, რას ამბობ?!.. ბაჯაღლო ოქროა!

კოლა. (გულგრილად) როგორც გინდა... მაგ საათზე გული აღარა მაქვს.

სოფიკო. ახლა, კოლაჯან რას იზამ!.. მშოვნელი ბიჭი ხარ, ამისთანას, მართლაც, ათასს იშოვნი. ეს კოლაჯან, შენს სახსოვრად მე მქონდეს.

კოლა. (გულგრილად მხრები აიჩეჩა).

სოფიკო. (კოლას ეძგერა, მარჯვენა ხელი გამოართვა და გულზე მიიკრა).

კოლა. (ქალს გაჯავრებული მიაჩერდა. მერე ხელი გამოგლიჯა და ოთახიდან გავიდა.).

XXX

საშა და ვანუა აუჩქარებლად მიაბიჯებენ ვაკის სასაფლაოს მთავარ გზაზე.

ვანუა. (საფლავებზე უჩვენა) აი, ამისათვის სულ ერთია... რუსთაველი, ზეიმი; ეს ქვეყანა, ამათ აღარაფერი უნდათ...

საშა ხმაამოულებლივ მიაბიჯებს გზაზე.

ვანუა. (ქუდი მოიხადა) ეჰ, ნეტავ მეც როდის მოვისვენებ...

საშამ ხმა არ გასცა.

კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გაიარეს.

საშა უეცრად შეჩერდა...

ვანუა გაკვირვებული მისჩერებია.

საშა. იცი, რა... არ მინდა!.. ნუ მივალთ...

ვანუა. კაცო, საფლავი ნახე... შენი შვილია, სხვა ხომ არა!..

ჩაფიქრდა.

საშა. (მოწყვეტით) არა! არ მინდა! მერე...

მოტრიალდა და სასაფლაოს ჭიშკრისკენ წამოვიდა.

გაკვირვებული ვანუა უკან დაედევნა.

XXX

ლოგინზე წამოწოლილი სოფიკო სწრაფად წამოდგა, საკინძე შეიკრა, თმები შეისწორა და შუა ოთახში გაჩერდა.

კარი გაიღო და საშა შემოვიდა. მას ვანუა შემოჰყვა.

სოფიკო. როგორ დაღლილხარ, საშაჯან! ფერი აღარ გადევს.

საშამ ხმა არ გასცა. აუჩქარებლად სკამთან მივიდა და ჩამოჯდა და ახლალა უპასუხა.

- სამაგიეროდ, შენ ბროწეულივით ჰყვავიხარ.

სოფიკო. ჰო!..

ვანუა. ნუ ჩხუბობთ, კაცო, ნუ ჩხუბობთ!..

საშა. წყალი მოიტა!

სოფიკო. ახლავე (ოთახიდან გავიდა).

საშამ ლოგინზე ბალიში გაასწორა და წამოწოლა დააპირა. მაგრამ უეცრად შეჩერდა და წარბები შეიკრა.

სოფიკო. (ოთახში შემოვიდა და საშას წყლიანი ჭიქა გაუწოდა) აი, საშაჯან!

- დაიცა!.. - საშამ ჭიქა ხელით გასწია, - ეს... რა ტიკტიკებს?

- რა უნდა ტიკტიკებდეს?! - გულგახეთქილმა სოფიკომ ლოყაზე ხელი მიიდო.

- ჩუ! - საშამ ცოლს თვალები დაუბრიალა, - ხმას ნუ იღებ!..

პაუზა.

- ჰმ!.. - საშა კარადასთან მივიდა. კარი გამოაღო. ჭურჭლიან თაროზე ხელი მოაფათურა და... ბრეგეტი გამოიღო.

- უი, ქა!.. - შეიცხადა სოფიკომ და თვალები გადაატრიალა, - აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიდან გაჩნდა?!..

- ვანო, ხედავ?!.. - საშამ ბრეგეტი ვანუას დაანახვა.

ვანუა. ვაჰ, როგორ არ ვხედავ?!..

საშა. ჰმ!..

სოფიკო. საშაჯან, აი, ჩემს ქალობას ვფიცავარ...

საშა. კრინტი! ვანო, ხედავ!..

ვანუა. კაცო, როგორ არა ვხედავ... ჩქარა გააქანე, თორემ ის ანგლიჩანი წავა.

საშა. მე გავაქანო?!..

ვანუა. ვა, მაშ მე?!..

საშა. არა, დაიცა!.. ჰმ! (სოფიკოს) ის შენი დოცენტი ახლა სად არის?

სოფიკო. არ ვიცი, საშაჯან!..

საშა. არ იცი-ი?.. ჰმ!.. წადი, ახლავე მონახე და აქ მოიყვანე, თორემ - დოცენტი ხომ არის უკვე, პროფესორობასაც მე მივანიჭებ. არ გადავდებ აი, იცოდე!..

სოფიკო. საშაჯან!..

საშა. კრინტი!..

სოფიკო. (ოთახიდან თავგზადაკარგული გავარდა).

ვანუა. კაცო, რუსთაველს თავი ეჭრება.

საშა. არ მოეჭრება. არც იმას და არც მე. დაიცა! მოდიან.

კარი გაიღო და ფერდაკარგული სოფიკო შემოვიდა. მის უკან კოლა შემოიტუზა და იქვე, კარებთან, კედელს მიეყრდნო.

საშა. (სოფიკოს) შენ გადი!

სოფიკო მყისვე გავიდა.

საშა. (კოლას) შენ აქ მოდი!..

კოლა. (შემკრთალი მიუახლოვდა).

საშა. (ღელავს) ისა... შენ... რამდენი წლისა ხარ?

კოლა. (მხრები აიჩეჩა) ოცდახუთის.

საშა. კარგი... ეგ არაფერი... იცი რა? მოდი, პატივი დამდე და ეგ საათი შენი ხელით მილიციაში, ცხადაძესთან მიიტანე. ჰა?

კოლა. (დაიბნა. ვერაფერი უპასუხა).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საშა. ერთი საათია, მეტი ხომ არაფერი!..

კოლა. შენვე... მიუტანე...

საშა. ა?.. მე?.. ე-ეხ... (პაუზა) ვანო, გესმის?..

ვანუა. ახლავე საშაჯან! (კოლას მიუახლოვდა) შენ, კოხტა ბიჭო, ისა... შენ უნდა მიუტანო... ჰო!.. ისა... რა ჰქვიანა... ჰო!..

საშა. ჰო!

კოლა. დამიჭერენ.

საშა, არ დაგიჭერენ!..

ვანუა. ვინ დაგიჭერს, მიგაქვს, ხომ არ მოგაქვს!.. იმათ რა იციან, რომ შენ მოიპარე.

კოლა. (ყოყმანებს).

საშა. ჩვენ უკან წამოგყვებით. იქვე, ბაღში დაგიცდით. ნუ გეშინია!

ვანუა. ნუ გეშინია!..

კალა. კკარგი... ოღონდ...

საშა. ნუ გეშინიან!..

ვანუა. ჩვენც მოვდივართ.

საშამ და ვანუამ კოლა წინ გაიგდეს და ოთახიდან გამოვიდნენ.

XXX

საშა, ვანუა და კოლა ქუჩაში მიდიან.

ვანუა. ბიჭო, იცი, რა საქმეზე მიდიხარ?

საშა. შენს სახელს საქართველო არ დაივიწყებს.

რამდენიმე ნაბიჯი გაიარეს.

ვანუა. რუსთაველი იცი? იმის საქმეზე მიდიხარ.

საშა. მთელი საქართველო შენ მოგჩერებია.

კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გაიარეს.

კოლა. (უეცრად შეჩერდა და სასოწარკვეთილად შესძახა): კაცო, სად მიგყავართ?!.. მილიციაში ჩემი ფეხით მივიდე?!..

საშამ და ვანუამ ერთმანეთს გადახედეს.

ვანუა. მაშ, უარს ამბობ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საშა. ცუდ საქმეზე ხომ არ მიდიხარ?

კოლა. არ მინდა! მილიციაში არ წავალ!

საშამ და ვანუამ ურთმანეთს გადახედეს.

ვანუა. მაშ, რა ვქნათ?!..

საშა. ქვეყანას თავი ეჭრება!

კოლა. მილიციაში არ წავალ! (თავი ჩაქინდრა).

პაუზა.

ვანუა. (შუბლზე ხელი მოირტყა) იცი, რა?

საშა. რა?

ვანუა. თვითონ ამ ანგლიჩანს მიუტანოს.

საშა. სახლში?

ვანუა. სახლში რათა? იქნებ, იმან დააჭერინოს! არა! სადმე აეკიდოს და უჩუმრად ისევ ჯიბეში ჩაუდვას. ქურდი კაცისათვის ამაზე ადვილი რაღა იქნება?

საშა. ა?

ორივენი კოლას მიაჩერდნენ. კოლამ თავი ასწია.

ვანუა. ჰა, კოხტა ბიჭო?

საშა. (კოლას თვალებში მისჩერებია).

კოლა. ეგ... შეიძლება...

ვანუა. (შვებით) მორჩა და გათავდა!

საშა. აი, საათი! (ბრეგეტი გაუწოდა) ახლა სწორედ რუსთაველის თეატრშია. როცა გამოვლენ... იცნობ?

კოლა. ერთი რიჟა ახმახია.

საშა. ჰოდა...

კოლა. კარგი! (საათი ჯიბეში ჩაიდო).

ვანუა. ჩვენ უკან გამოგყვებით.

კოლა. როგორც გინდათ... (თავი დაუქნი და წავიდა).

საშამ და ვანუამ მზერა გააყოლეს.

XXX

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ბარემ უკან გაჰყოლოდი. - პოლკოვნიკმა ცხადაძემ საშას ეს სიტყვები საყვედურის კილოთი უთხრა.

- უკან დევნა ჩემი ხელობა არ არის... - გულგრილად მიუგო საშამ. ისინი ცხადაძის კაბინეტში არიან. აქვეა მსუქანი მაიორიც.

ცხადაძემ თავის საათს დახედა. თავი დააქნია, წამოდგა და გაიარ-გამოიარა.

მაიორმა საშას ალმაცერი მზერა შეავლო და თავი ჩაქინდრა.

პაუზა.

კარზე დააკაკუნეს.

პოლკოვნიკი. მობრძანდით!

მორიგე. პროფესორი გამრეკელი გეახლათ!

პოლკოვნიკი. (სიხარულის ღიმილი ძლივს შეიკავა) სთხოვე!

კაბინეტში შემოსულ გამრეკელს და ელენეს პოლკოვნიკი და მაიორი ფეხზე წამომდგარნი შეეგებნენ.

გამრეკელი. (ფორიაქით) გამარჯობათ! (ყველას, მათ შორის კუთხეში მჯდომ საშასაც ხელი ჩამოართვა. საშა არ წამომდგარა, მაგრამ პროფესორმა ამას ყურადღება არ მიაქცია) იცით, პირდაპირ საოცარი ამბავია!.. მე პირდაპირ... დიდი, ულრმესი ბოდიში უნდა მოგიხადოთ... თქვენთან ნამდვილად დიდი დამნაშავე ვარ... დიახ!.. იცით, თეატრიდან გამოვდივარ და... ოჰ, პირდაპირ არ ვიცი... ალენ ჰოულდს საათი... ისევ ჯიბეში ალმოაჩნდა!..

პოლკოვნიკი. (ნაძალადევი გაკვირვებით) მართლა?!..

გამრეკელი. წარმოიდგინეთ, მაშ, წარმოიდგინეთ!.. მე... პირდაპირ არ ვიცი... აი, დაწვრილებით ქალბატონი ელენე გიამბობთ...

ელენე. ჩვენი დღევანდელი დილის სხდომა დაახლოებით ხუთის ნახევარზე დამთავრდა... მმ... ბატონმა ჰოულდმა თავის მოკლე, მაგრამ უაღრესად საინტერესო მოხსენებაში ამომწურავად მიმოიხილა ინგლისური ქართველოლოგიის მიღწევები უკანასკნელი წლების მანძილზე და აღნიშნა, რომ მოყოლებული...

მმ... ათას ცხრაათ ორმოცდა...

გამრეკელი. ღმერთო ჩემო! ქალბატონო ელენე! რა დროს ეგენია!.. მოკლედ მოახსენეთ ამხანაგ პოლკოვნიკს...

ელენე. ბატონ ჰოულდს საათი ისევ ჯიბეში აქვს.

გამრეკელი. დიახ, ჯიბეში! და არა სადმე სხვაგან! წარმოგიდგენიათ?!.. და წყეულიმც იყოს პროფესორი გამრეკელი, თუ ოდესმე კიდევ... დიახ!.. დიახ!..

პოლკოვნიკი. დამშვიდდით, ბატონო მიხეილ!.. (ჭიქაში წყალი ჩაასხა და მიაწოდა).

გამრეკელი. გმადლობთ! (წყალი მოსვა) უაღრესად ვწუხვარ, რომ ტყუილად აგაფორიაქეთ.

პოლკოვნიკი, არა უშავს... რა ვუყოთ!..

გამრეკელი. დიახ!.. ათასი, ათიათასი ბოდიში! ჩვენ, მეცნიერებს, ასეთი ამბები გვემართება ხოლმე. მე ერთხელ ესკიმოს ჯოხი ჯიბეში ჩავიდე, ავტოკალამი კი სანაგვე ყუთში მოვისროლე. ალბათ, ბატონი ჰოულდიც... ასე... დიახ!..

პოლკოვნიკი. ალბათ, ალბათ, გასაგებია!..

გამრეკელი. დიდი ტვირთი კი მომეხსნა... ხუმრობა ხომ არ იყო... მაგრამ რაკი ყველაფერი, თურმე, გაუგებრობა ყოფილა, მადლობა ღმერთს! თქვენთან კი დიდი, ძალიან დიდი ბოდიში!..

პოლკოვნიკი, არა უშავს... როგორ გეკადრებათ...

გამრეკელი. ახლა, თქვენის ნებართვით, ჩვენ წავალთ. საღამოს სხდომა, მერე ბანკეტი... ერთხელ კიდევ, უდიდეს ბოდიშს გიხდით!..

პოლკოვნიკი.

მაიორი. როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებათ!..

საერთო ხელის ჩამორთმევა.

კარებისკენ წასული გამრეკელი უეცრად შეჩერდა და მოტრიალდა:

- არა, მართლაც... ზოგი ჩვენი ამხანაგი ასეთ ვარაუდსაც გამოთქვამს: ქურდებს შერცხვათო და საათი ნამალევად დააბრუნესო. სასაცილო არ არის?.. პირდაპირ აღარ ვიცით, რა ვიფიქროთ!..

პოლკოვნიკი. (ღიმილით) მართლაც, უცნაური ამბავია.

გამრეკელი. მე კი ვფიქრობ: ქურდები ან არ მოიპარავდნენ, ან თუ მოიპარეს, უკან აღარ მოიტანდნენ.

პოლკოვნიკი. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა!..

- აბა, ნახვამდის!.. უფრო სასიკეთო საქმეზე შევხვედროდეთ!..

- ნახვამდის, ნახვამდის!..

გამრეკელი და ელენე გადიან.

პაუზა.

პოლკოვნიკი. (მაგიდას მიუჯდა და საშას ყურადღებით თვალებში შეხედა.მერე მუშტი მძიმედ, უხმაუროდ დაუშვა მაგიდაზე და საშას ხაზგასმით, დამარცვლით უთხრა) გმად-ლობთ! საშა სიდამონიძე, გმადლობთ!..

მსუქანი მაიორი საშას ალერსიანი ღიმილით მისჩერებია.

საშამ თავი ჩაჰქინდრა. ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო და დასრისა.

მაგრამ არ მოუკიდა. წამოდგა, პაპიროსი საფერფლეში ჩადო და პოლკოვნიკს თავი დაუკრა.

პოლოკოვნიკმა და მაიორმა ერთმანეთს გადახედეს.

მაიორი. (საშასკენ მთელი ტანით მოტრიალდა). ორი დღე კიდევა გაქვს.

საშა. ვიცი.

პოლკოვნიკმა და მაიორმა ისევ ერთმანეთს გადახედეს.

საშა. (უეცრად გაანჩხლდა) რა, ხელის ჩამორთმევას არ მიპირებთ?!

- როგორ არა, როგორ არა, - პოლკოვნიკი და მაიორი წამოცვივდნენ და საშას ხელები გაუწოდეს.

-ყველაფერი მე უნდა გასწავლოთ?! - საშამ ჯერ ერთს ჩამოართვა ხელი, მერე მეორეს, - შენ, მაიორო, ცოტა სასტიკი კაცი ხარ, დაიცა, არ გეწყინოს! ჰო!.. ცოტა... ისა... მახლას! კიდევ შევხვდებით. ახლა გამარჯვებით! თქვენთან ბარი ბარში ვარ.

საშამ ორივეს თავი დაუკრა და ოთახიდან ამაყად გავიდა.

პოლკოვნიკმა და მაიორმა ერთმანეთს გადახედეს და ორივეს გულიანად გაეცინა.

XXX

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშამ აუჩქარებლად, ღირსეული კაცის ნაბიჯებით ჩაიარა, კიბე, ეზო გადაჭრა, ქუჩაში გავიდა და პატარა სკვერში შეუხვია. აქ, მზის გულზე, სკამზე ჩამომჯდარი ვანუა თვლემს.

საშა მივიდა და ვანუას გვერდით მიუჯდა.

ვანუა. (თვალები გაახილა და მუშტით ამოიფშვნიტა) უკვე?

საშა. მორჩა!..

ვანუა. მადლობა ღმერთს!.. მადლობა ღმერთს!.. (პირჯვარი გამოისახა).

- ყურადღება! - გაისმა უეცრად რადიო-რეპროდუქტორში, - ვიწყებთ ქართული ხალხური მუსიკის კონცერტს.

რადიოში კახური „მრავალჟამიერი“ გაისმა.

საშა და ვანუას მომდევნო დიალოგი ამ სიმღერის ფონზე მიდის.

საშა. ესეც ასე, ვანოჯან!

ვანუა. მადლობა ღმერთს, კიდევ მადლობა ღმერთს, საშაჯან!..

საშა. საქართველოს ბედი ჰქონია.

ვანუა. შენ ეგა თქვი, შენ ეგა თქვი!.. კაცო, რაღა იმ ბიჭმა მოიპარა, ან შენ იმ საათის ტიკტიკი როგორ გაიგონე! მაშ, კიდევ იტყვიან, ბედისწერა არაფერიაო?!

საშა. მაგას აღარავინ იტყვის!

ვანუა. „მრავალჟამიერი“ ჰქუხს.

საშა. წავიდეთ. გავიაროთ! რაღა მილიციასთან ვსხედვართ?!

ვანუა. წავიდეთ, საშაჯან, წავიდეთ!

ადგნენ, სკვერიდან გამოვიდნენ და სანაპირო ქუჩას აუჩქარებლად გაჰყვნენ.

სანაპირო სავსეა მოზეიმე ხალხით. ყველგან შოთა რუსთაველის პორტრეტები და აფორიზმებია.

რადიოში ქუხს „მრავალჟამიერი“.

ვანუა. ერთი ეს მითხარი, საშაჯან: ამოდენა საქმე გააკეთე, მაშ, ცოტას არ გაპატიებენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშა. ვინ იცის...

ვანუა. ჰო, რა, კანონი - კანონია. ეგენი ეგრე ამბობენ: მოიპარავს - დაგსჯი, არ მოიპარავ - არ დაგსჯი. არა?

საშა. ჰო, ეგრეა.

ვანუა. ახლა შენი ფეხით ისევ ციხეში უნდა წახვიდე?

საშა. უნდა წავიდე.

ვანუა. ჰაი, დედასა! (დანაღვლიანდა) ე-ეხ!.. ხუთი წელიწადი!

მაშ, მე კიდევ ხუთ წელიწადს ვიცხოვრებ?! ვაი არა აქვს შენს ვანუასა! წელანბალში რომ ვიჯექი, უცბათ გულზე რალაცა ეკალივით ჩამესო. კინალამ იქვე სული გავაფრთხე, აი!

საშა. იექიმე... იწამლე...

ვანუა. ეჰ, ვიექიმო, თორემ, სადაც შევალ, სულ „პაჟალუსტას“ მეტყვიან, აი! მორჩა ჩემი ცხოვრება, საშაჯან, გაიარე, აი! (ხელისგულს სული შეუბერა).

საშა. არა, უშავს!.. მაგრად იყავი!..

ვანუა. ეჰ!..

რადიოში ქუხს „მრავალჟამიერი“.

XXX

საშა და ვანუა ბარათაშვილის ხიდთან მივიდნენ.

ვანუა. რამეში ჩავსხდეთ?

საშა. (ფიქრიანად) რაში უნდა ჩავსხდეთ?

ვანუა. მაშ, სახლში ფეხით ხომ არ წახვალ.

საშა. სახლში?!..

საშა. (წარბშეკრული დგას).

ვანუა. (დაბნეულად თვალები აახამხამა).

პაუზა.

ვანუა. მაშ, ბიჭის საფლავზე?

საშა. (ფიქრიანად) არა!..

ვანუა. მაშ, სად მიდიხარ?!

საშა. სხვაგან?..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანუა. სად სხვაგან?!

საშა. (დაფიქრებული, წარბებშეკრული დგას).

ვანუა. მე გაგშორდე?

საშა. არა! (ვანუას თვალებში შეხედა) ჩემთან უნდა წამოხვიდე.

ვანუა. ახარ? სად?!..

საშა. სადაც მივდივარ! იქ მარტო არ მიმესვლება.

ვანუა. ჰო-ო! შორს არის.

საშა. არც ისე.

ვანუა. მაშ, წავიდეთ, რაღა!

საშა. წავიდეთ!

XXX

წარბებშეკრული საშა და ოდნავ დაბნეული ვანუა ვიწრო ქუჩაზე მიაბიჯებენ.

ჩვენს ქუჩა ვიცანით. ამ ქუჩით მიდიოდა საშა ბინის გასაქურდად მოთხრობის დასაწყისში.

ჩაუხვიეს და ახლა მეორე, ჩვენთვის ისევ ნაცნობ ქუჩას გაჰ ყვნენ.

საშა და ვანუა ქუჩაში მიაბიჯებენ.

აი, ნაცნობი შესახვევი და ჩიხიც. ორსართულიანი სახლი. ნაცნობი სადარბაზო კარები.

ვანუა საშას გაკვირვებული მისჩერებია.

წარბებშეკრული საშა სადარბაზო კარებს უყურებს.

მერე მეორე სართულის ფანჯრებს ახედა.

ფანჯრებზე უძრავად ჰკიდია ძვირფასი ფარდები.

- ვაი თუ შინ არც არიან - წაიბურტყუნა საშამ.

- ვინა, კაცო?!

- დაიცა!..

პაუზა.

საშამ უცბათ ხელი ჩაიქნია, ქუჩა გადაჭრა და სადარბაზოში შეავიდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანუა უკან დაედევნა.

საშა კიბეზე ადის.

ვანუა უკან მისდევს.

საშა მეორე სართულზე, ნაცნობ კართან გაჩერდა, ძალიან ალელვებულია. ერთიანად ოფლშია გაწურული. ყოყმანობს. ვანუას ალმაცერად გადახედა: უცბად გადაწყვიტა და ზარს თითი დააჭირა.

- ახლავე! - მოისმა შიგნიდან ქალის ხმა.

კარი გაიღო და ზღურბლზე სადღესასწაულოდ გამოწყობილი ირინე გამოჩნდა. საშას დანახვაზე ქალს ელდა ეცა და ხელი ლოყაზე მიიდო.

- არა, არა!.. - სწრაფად მიაძახა საშამ და ქურდი მოიშვლიპა, - ისა... გამარჯობათ!..

- გამარჯობათ, ქალბატონო! - სიტყვა შეაწია ვანუამაც, - დღე მშვიდობისა!..

- გამარჯობათ! - ძლივს წაილუღლუღა ირინემ!

- ისა... - საშამ ოფლიანი შუბლი ქუდით მოიწმინდა, - როგორ ბრძანდებით?

-მმ... არა გვიშავს...

- ჩვენ... - საშამ ვანუას ალმაცერად გადახედა, - თქვენი ბიჭის სანახავად მოვედით...

- დიახ, დიახ, ქალბატონო - მყისვე დაუდასტურა ვანუამ, - გვეინტერესება.

საშა. შეიძლება?

ირინე. მობრძანდით, მაგრამ... თქვენ ხომ...

საშა. გამომიშვეს. სამი დღით გამომიშვეს.

ვანუა. მთავრობას დასჭირდა.

ირინე. (შესამჩნევად დამშვიდდა. ღიმილიც კი მოერია, მაგრამ გაიქრო) მობრძანდით!

საშა. გმადლობთ!..

ირინე „სტუმრებს“ ოთახში შეუძღვა, სკამები გამოუწია და, ცოტა გაუბედავად დაიძახა:

- ირაკლი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ბატონო! - გაისმა ბავშვის ხმა მეორე ოთახიდან.

- მოდი, დედიკო! შენთან... ძიები მოვიდნენ...

მყისვე მეორე ოთახის კარი გაიღო და ირაკლი შემობაჯბაჯდა.

ბავშვი შეჩერდა. საშას შეხედა. გახარებული გაექანა და კისერზე ჩამოეკიდა.

- ძია, მოხვედი?!..

-მოვედი... მოვედი... - ლუღლუღებს გაბედნიერებული საშა, - გამარჯობა!..

- გაგახსენდი?

- გამახსენდი, გამახსენდი.

- ცხენობანა გინდა?

- ა?.. ცხენობანა!.. - საშამ ირინეს ალმაცერად გადახედა, - მინდა... მინდა...

- მოდი!.. - ირაკლიმ საშა მაშინდელივით ტახტთან მიათრია, დააოთხა და ზურგზე მოახტა.

- აჩუ, ცხენო, აჩუუ!..

საშა ოთახში აძუნძულდა.

ირინე. (ღიმილი ძლივს შეიკავა. რატომღაც ოთახი მოათვალიერა. მერე სერვანტთან მივიდა, არაყიანი გრაფინი, ჭიქები, ხაჭაპურები და ხილი გამოიღო და სახელდახელო სუფრა გაშალა.

ვანუა. (ჩაახველა და ტუჩები ხელით მოიწმინდა).

ირაკლი. (თავდავიწყებით) აჩუ,აჩუ, ცხენო-ო!..

- ირაკლი! - ირინეს ხმაში სიმკაცრე გაისმა, - გეყოფა! ძია დაიღალა!

ოფლად გალვრილი საშა იატაკიდან წამოდგა.

ირაკლი. (სუფრას უკმაყოფილო მზერა შეავლო) დედიკო, ახლა არ ვჭამეთ?!..

ირინე. იქნებ, ძიებს შიათ!

ირაკლი. (ჯიუტად) არა, არა შიათ! (საშას მივარდა და ხელი წაავლო) წამოდი, მამიკომ ნამდვილი ცხენი მიყიდა! წამოდი (გასწია და საშა მეორე ოთახში ძალით გაიყვანა).

ირინე. (ღიმილს ძლივს იკავებს. ვანუას არაყი დაუსხა)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიირთვით!..

ვანუა. გმადლობთ!..

ირინე. თქვენ... მმ... ბატონი საშას ამხანაგი ხართ?.. აი, ხაჭაპური მიირთვით.

ვანუა. გმადლობთ! აბა, როგორ გითხრათ, ქალბატონო! საშა უფრო „დომუშნიკია", ბინებზე დადის, მე კი უფრო ჯიბისტი ვიყავი. ეს თქვენს ოჯახს გაუმარჯოს, ბიჭი გაგიზარდოთ! (არაყი გადაჰკრა). უჰ, ცეცხლი!.. ოღონდა დიდი ხეირი, რომ გითხრათ, ვერც ერთმა ვერა ვნახეთ. აჰ! აჰა, ჯერ ხომ სამოცისა არცა ვარ, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში უკვე ორასი წელიწადი ციხე მქონდა მისჯილი. ეს საქმეა? თანაც - ხალხი ზარალდება. აჰა, აი, მაშინ აქ საშა არ დაეჭირნათ, ყველაფერს წაიღებდა და... თქვენ ცარიელზე დარჩებოდით. ჰოდა, აბა, იანგარიშე!..

ირინე. მმ... ჰო!.. მართლაც... იცით... კიდევ დაგისხათ?

ვანუა. როგორც გნებავთ!...

ირინე. (კიდევ დაუსხა).

ვანუა. გმადლობთ! მაშ, სანამ ჩვენ ორნი ვართ, ეს საშას გაუმარჯოს! თქვენი ოჯახის დიდი მეგობარია! ძალიან! წინათ რაც იყო, იყო. რა ვუყოთ (ჭიქა ასწია).

ირინე. (თავისი ჭიქა ვანუასას მიუჭახუნა) იცოცხლოს და გაუმარჯოს!

ვანუა. (არაყი გადაჰკრა) უჰ, ცეცხლია! ახლა საშამ მთავრობას დიიი-დი საქმე გაუკეთა! ოღონდ ჯერ საიდუმლოა. თქმა არ შეიძლება.

ირინე. ო, რა თქმა უნდა... მე... ეჭვი არ მეპარება, რომ...

ვანუა. დი-ი-დი საქმეა, ძალიან დიდი! მაშ! არარ! (ჭიქას ხელი დააფარა) არა, არა! მეტი არ შემიძლიან, ქალბატონო!.. ისინი სადღაც დაიკარგნენ. (მეორე ოთახიდან ბედნიერად მომღიმარე საშა და ირაკლი გამოვიდნენ) აი!.. ჰა, ნამდვილი ცხენი აჭენეთ?

ირაკლი. ვაჭენეთ! დედიკო, ხაჭაპური მინდა.

ირინე. მოდი (ირაკლი ხაჭაპური მიაწოდა. საშას) დაბრძანდით!

საშა. გმადლობთ! (დაჯდა). თქვენს ირაკლის... არ დავეიწყნივარ.

ირინე. (ღიმილი ძლივს შეიკავა) როგორ გეკადრებათ!.. (არაყი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაუსხა) მიირთვით!

საშა. გმადლობთ!.. (ჭიქა აიღო).

ირაკლი. დედიკო! ერთმა ძიამ რუსთაველს საათი წაართვა და საშა ძიამ ისევ წაართვა და ისევ რუსთაველს მიუტანა და აღარ წაართვა.

ირინე. მართლა!.. ოჰ, რა კარგია!

საშა. დიახ... ისა... აბა, იცოცხლე, ქალბატონო!.. უდროოდ შემოგეჭერით, მაგრამ... აშოროს თქვენ ოჯახს მტერი, ავი თვალი... სულ, რასაკვირველია, სიკეთე და ბედნიერება გქონდეთ! (არაყი გადაჰკრა).

ირინე. გმადლობთ! (ხაჭაპური მიუწია) მიირთვით!

საშა; გმადლობთ!

ვანუა. მაშ, რუსთაველს ეზეიმობთ, ირაკლიჯან?

ირაკლი. (პირი ხაჭაპურით აქვს გამოტენილი და ვანუას თავი დაუქნია).

საშა. აბა, ვანო, ახლა კი წავიდეთ!

ირინე. რატომ ჩქარობთ?..

ვანუა. წავიდეთ... ეს კარგი ხალხი მოვინახულეთ, დავლოცეთ... მეტი რაღა გვინდა!

ირაკლი. არ წახვიდეთ. (იატაკს ჯიუტად ფეხი დაჰკრა).

საშა. არა, ირაკლი, უნდა წავიდეთ! საქმეები გვაქვს (დგება). ბოდიში, ქალბატონო, შეწუხებისათვის.

ირინე. რა ბრძანებაა!

ვანუა. კაცო, ისეთი რა შევაწუხეთ! მოვედით, ვინახულეთ, ცუდი ხომ არაფერი გაგვიკეთებია!.. გმადლობთ, ქალბატონო, პატივისცემისათვის.

ყველანი დგებიან. ირინემ ირაკლი ხელში აიტაცა.

ირაკლი. ისევ მალე მოდით!

საშა. მოვალთ, მალე მავალთ!

ირინე. გამარჯვებით! მართლაც, ნუ დაგვიგვიწყებთ!

ირინე საშასა და ვანუას კარებამდე აცილებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XXX

საშა და ვანუა სადარბაზოს კარებთან, ქუჩაში დგანან.
საშა. ესეც ასე, ვანოჯან!
ვანუა. ესე და ესე! მთავარი - ადამიანობაა! წავიდეთ.
საშა. წავიდეთ!

XXX

საშა და ვანუა აუჩქარებლად მიაბიჯებენ ქუჩაში. მოშორებით ობუსის გაჩერება გამოჩნდა.
ვანუა. (შეჩერდა) არაფერში ჩავსხდეთ?
საშა. (ფიქრიანად) რაში უნდა ჩავსხდეთ?
ვანუა. მაშ, სახლამდე ფეხით ხომ არ ივლი.
პაუზა. საშა ვანუას ფიქრიანად მისჩერებია.
საშა. სახლში... რა დამრჩენია?!..
ვანუა. მაშ, სად მიდიხარ.
საშა. სადაც წასასვლელი ვარ.
ვანუა. რაო?!..
საშა. (არაფერი უპასუხა. ჩაფიქრებულმა სადღაც შორს ედა).
ვანუა. რა თქვი, კაცო?!
საშა. გაიყარა ჩვენი გზები, ვანოჯან! შენ - აქეთ, მე კი - ალაში.
ვანუა. აი, დიდება შენდა, ღმერთო? კაცო, ორი დღე ხომ კიდევა ს! გავიარ-გამოვიაროთ, თვალს წყალი დავალევინოთ.
საშა. იჰ! (ხელი ჩაიქნია).
ვანუა. (ერთხანს ხმას ალარ იღებს. მერე): ალარც ბიჭებს ნახავ?
საშა. მაგისთანა ბიჭები იქაც ბევრია.
ვანუა. ჰმ!.. ჰო, ეგ კი მართალია.
პაუზა.
საშამ ვანუას ხელი გაუწოდა.

საშა. აბა, გამარჯვებით, ვანო! თავს გაუფრთხილდი. ცოცხალი დამხვდი.

ვანუა. ლაპარაკობ, რა! მე ხუთ წელიწადს კიდევ ვიცხოვრებ? - ეჰ.

საშა. შეეცადე. მოინდომე!

ვანუა. მე რაღად გინდივარ? აგე, პატარა ირაკლი. ჩემზე უკეთ გიძმაკაცებს.

საშა. მარტო ის რას მეყოფა!

ვანუა. ე-ეჰ!

პაუზა.

საშა წელში გაიმართა, ჯიბიდან პატარა სარკე ამოიღო, ჩაიხედა, საყელო გაისწორა, თმაზე ხელი გადაისვა.

ვანუა გაოცებული მიჩერებია.

ვანუა. კაცო, შენ ციხეში მიდიხარ, თუ მუშტაიდში?!

საშა. ეგ მე ვიცი... შენ კიდევ ისა... ქურდობას თავი დაანებე. ხომ ჰხედავ, ხეირი არაფერია.

ვანუა. მერე - ხელობა? რითი ვიცხოვრო?

საშა. სადმე დარაჯად დადექი.

ვანუა. თორმეტჯერ ნასამართლევი ვარ, დარაჯად ვინ დამაყენებს?!..

საშა. რამე მოიფიქრე...

ვანუა. (უიმედოდ) ეჰ!..

საშა. აბა, გამარჯვებით!..

საშა წელში ერთხელაც გაიმართა და ციხისაკენ გამარჯვებული და ვალმოხდილი კაცის იერით გაეშურა.

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საარჩევი

ციხიდან ციხეში..... 5
მოთხრობები
გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას
გიჩვენებო.....298
საშა, იგივე „ადმირალი“.....312

ეროვნული
ბიბლიოთეკა

	რედაქტორი	ლამარა თურმანიძე
	მხატვარი	სპარტაკ ცინცაძე
ტექ.	რედაქტორი	ოლია კაპანაძე
	კორექტორები	მანანა ჩოკოშვილი
		ლია შარვაშიძე

ს. ბ. 6126

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „მეცნ“ რუსთაველის
გამზირი 42

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამაზ კობიძე

ციხიდან ციხეში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნის გამოცემის სპონსორია

ფირმა „ბაზალეთი“

K 289.658
3